


კომკომ  
ქვეყანაქვეყანა



ქვეყნა

გამომცემლობა  
„საბჭოთა საჭარბელო“  
თბილისი

1964

41' + 81'  
499.962.1+699.962.1.09  
შ.82

გიორგი შატბერაშვილის ამ წიგნში მკითხვე-  
ლი გაეცნობა ავტორის ნაფიქრს ქართულ  
სიტყვისა და სიტყვის ქართული ოსტატების  
შესახებ.

წიგნში სამი განყოფილებაა: თვალადური  
ქართულის კაშნიკი, ძიება, მიმოგონება.



Handwritten text in a cursive script, likely Armenian, consisting of three lines:

Օրհնութեան  
Դրոշման  
Քննչին



„ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამკრ-  
ხულ არს!“

იოანე-ზოხიძე, „ქებაა და დიდებაა  
ქართულისა ენისაა“.

ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრებში და კარადის თაროებზე დიდხანს ეწყო ძველი საერთო რვეულები, დასტებად შეკრუ-  
ლი გაყვითლებული ქაღალდის ფურცლები, ფერადყდიანი, სხვადასხვა დროის უბის წიგნაკები, ძველი და ახალი მარკის პაპიროსის კოლოფის ყდები: შიგნით თუ გარეთ გაკრული ხე-  
ლით მიწერილი სიტყვები და გამოთქმები. ამ სიტყვების, გამოთქმების მოკლე ახსნა, ჩაწერის თარიღი, მთქმელის ვი-  
ნაობა, ფრჩხილებში მინაწერი:

„შემოწმდეს!“

„შევეკითხო სიტყვის პაპას!“

„ეკითხო სიტყვის დედას!“

„შევეკითხო მამალხინეს!“

„სიტყვის პაპა“ საბა ორბელიანია. ის არის ქართული სი-  
ტყვის უსიერ ტევრში ჩემი მეგზური-და უცთომელი კონ-  
სულტანტი.

„სიტყვის დედა“ დედაჩემია... ამ ჩანაწერთა დიდი ნაწილის პირველმთქმელი და ამხსნელი, ამიტომ განზრახულ ნაშრომს შინაურულად „დედას ლექსიკონს“ ვეძახი და მასვე ვუძღვნი.

...ძველ სახლში დრო დინჯად, ქართლურად მიზოზინებდა.

ძველ თაროზე უწინდებურად ეწყო ყდაგაცრეცილი წიგნე-  
ბი. მამა „კალმასტბას“ კითხულობდა. კითხულობდა ხმამაღლა.

დედა უსმენდა და იღიმებოდა. ხანდახან ორივეს სიცილი წაიღებდა, მეც ავყვებოდი. შუალამემდე კითხულობდნენ და საუბრობდნენ.

„კალმასობა“ დიდებულია, მაგრამ არა ნაკლებ მათი საუბარი მიზიდავდა. ჩუმაღ ვუსმენდი. პირველად მაშინ შევნიშნე, სხვა არის დიასახლისის ენა და სხვა არის მამასახლისის ენა. დედა ოთახის, ეზო-ყურის, სათონის, ბოსტნის ენით საუბრობს, მამის ენაა ვენახის, მარნის, ორლობის. მინდვრისა და სათიბის სურნელი დაჰკრავს. უსმენ, იწერ, იმახსოვრებ და სადღაც შენში ეს ორი ნაკადი ერთმანეთს ერთვის, როგორც ოღესღაც ამ ორი ადამიანის სული, სისხლი და ხორცი შემოვიდა შენში და გაერთიანდა... პირველად მათ დამაწაფეს ქართულის ჭაშნიკს. დამანახვეს სიღრმე მისი, მაგემეს სიტკბო მისი და თითქოს მითხრეს: „ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს!“

მამალხინე?

მამალხინე ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ყველა, ვისაც ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება შეუძლია, მამალხინეა. სახელი პირობითია. პირობითია მას აქეთ, რაც ნამდვილი მამალხინე მოკვდა. ვისაც მისი შეცვლა შეუძლია, ვისაც შეუძლია ანკესსმოდებული სიტყვა „გამომითარგმნოს“, ყველა მამალხინეა.

მაგრამ დავეხსნათ მამალხინეს... ჯერ კიდევ თავმოუყრელ, საბოლოოდ გაურანდავ და დაულაგებელ სიტყვებს, ჩემს წინ დაზვინულ ძველ ჩანაწერებს, ჩემს წარმოდგენაში „თვალადური ლექსიკონი“ ჰქვია. თვალადი ჩემი სოფლის სახელია. ეს ჭირნახულიც თვალადის მინდვრებში, ორლობებებსა თუ წისქვილებშია მოწეული. წვეთ-წვეთად, წლობით ნამქალი, ნაგროვები და ნარუდუნები. ოც წელიწადზე მეტი გასულა მას შემდეგ, რაც პირველი ხელეური გამომიღია და ჭირნახულის ხვავიც დიდია. ხვავს განიაგება, გაცხრილვა, დარკვევა და საწისქვილედ გამზადება უნდა. ვიცი, ადვილი არ არის ეს საქმე. ეგებ სჯობდა, სხვისთვის დამეთმო, ან რომელიმე სამეცნიერო დაწესებულებისათვის გადამეცა... იქნებ სწორეთ ისა სჯობს, ადგილის კურდღელს ადგილის მწეგარი გამოქეცილოს?

ვიცი, ამ დიდ ხეავს, დიდი ხნის ნაგროვებს, ასე ერთბაშად და მთლიანად ვერ მოუველი... ჯერჯერობით მხოლოდ განზრახული „თვალადური ლექსიკონის“ კაშნიკსა ვწერ. მას შემდეგ ვწერ, რაც დაერწმუნდი, რომ ამ სიტყვებსა და გამოთქმებს მხოლოდ ჩემთვის არ ვაგროვებდი. ერთი სიტყვით, გადავწყვიტე ჩემი ოჯახის, კარის მეზობლებისა და გარე მეზობლების ენა სამზეოზე გამომეტანა. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს მხოლოდ კაშნიკია. მთლიანი „თვალადური ლექსიკონის“ დამთავრება და გამოქვეყნება ისევ მომავლის საქმედ მიჩვენება.

აქვე უნდა ითქვას, რატომ თვალადური და არა ქართლური? იმიტომ ხომ არა, რომ თვალადურ ქართულს რაღაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი ახასიათებს? იშვიათი და კარგი აქაც მოიძებნება და სხვაგანაც. ჩემი ჩანაწერები თვალადური მეტყველების ამომწურავი აღნუსხვის პრეტენზიითაც კი არ გამოდის; მითუმეტეს, ქართლურს როგორ გადასწვდება. თვალადური ქართლურის ერთი კოლორიტული შენაქადია, ისევე, როგორც პატარა კავთურა დედა-მტკვრისა.

ჩაწერილ მასალას ვადარებდი საბა ორბელიანის ლექსიკონს. შემდეგ კი, უკანასკნელ წლებში, როცა მომზადება და გამოქვეყნება საბოლოოდ გადავწყვიტე, შევადარე „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების, ვუკ. ბერიძის, სტ. მენტეშაშვილის, გ. შარაშიძის, ბ. წერეთლის, მ. ალავეძის ლექსიკონებს, შ. ძიძიგურის მთარაქულ სალექსიკონო მასალას, ნაწილობრივ ალ. ნეიმანის ლექსიკონსა და ძველი ქართული შეგლების გამოცემათა ლექსიკონებს.

უნდა გამოვტყდე, ყოველი სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სხვა ლექსიკონებში აღმოჩნდებოდა, ჩემს ინტერესს კარგავდა. ვეძებდი სრულიად „ყამირსა და დაუკრეფავს“. ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების მიგნება სიამოვნებას მგვრიდა.

ამგვარ მუშაობას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა და უარყოფითიც: გამოუმზეურებელი მასალის შეგროვების ინტერესი ჩემს ძიებას აცხოველებდა, მაგრამ უყურადღებოდ ვტრვებდი ბევრ ძვირფას, „სხვის ხელში გამოვლილ“, მაგ-

რამ ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენას. მაგრამ ბოლო დროს ჩემგან მოძულებული სიტყვებიც „შევირიგე“, დავამუშავე, ნაწილი „ჭაშნიკში“ შევიტანე, დიდი ნაწილი კი მთლიანი თვალადური ლექსიკონისათვის შევინახე.

„თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ თავისებური აღნაგობისა და ზასიათის ნაშრომია... ფიქრებია ქართულ სიტყვაზე, მის აღნაგობაზე, გენეზისზე, ქართული ენის სხვადასხვა კილოების ნათესაობა-დამოკიდებულებაზე, შინაარსით თუ ფორმით მსგავსებაზე. ეს ფიქრები და მოსაზრებები, ზოგჯერ დაუმთავრებელი გუმანი თუ ეჭვი, ჩართულია განმარტებულ სიტყვათა შუა პატარა წერილებისა და გამოკვლევების სახით. ეს ჩანაწერები ერთგვარი ანგარიშია სიტყვებზე დაკვირვებისა, ფიქრისა და მეცადინეობისა, ცდება ქართული ენის არსში ჩაწვდომისა... იქნებ ეს „ანგარიში“ სხვასაც გამოადგეს და ქართული ენის შესწავლას ოდნავ მაინც შეუწყოს ხელი.

სიტყვების ახსნისა და მათი მნიშვნელობის დაზუსტებისას ვეხები ამ სიტყვათა მცდარ განმარტებებს, მათ შორის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ზოგიერთ ახსნასაც, რაც მე მცდარად მეჩვენება. ამით სრულიადაც არ მინდა დავამცირო ის დიდი ერთობლივი შრომა, რაც გაწეულია ამ ლექსიკონის შემდგენ პარტივემულ მეცნიერთა მიერ, არც ის, რაც კარგია ამ ლექსიკონში. კარგი კი ბევრია და უანგარიშო. შედარების დროს შეცდომას თუ შევნიშნავდი, აღნიშნავდაც საჭიროდ ვთვლიდი, რადგან ყველაზე და ყველაფერზე მალე ქართული ენის ინტერესები უნდა დავაყენოთ.

გარდა „ცნობილი სიტყვებისა“, რომლებიც რაიმე კუთხით მაინტერესებდა, „თვალადური ქართულის ჭაშნიკში“ შევიტანე ის იშვიათი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც, ჩემი შემოწმებით, სხვა ლექსიკონებში არ არის შესული და განმარტებული, ან განსხვავებული მნიშვნელობით არის ახსნილი, ან ავსებს სიტყვის მნიშვნელობის დადგენას. შევიტანე ე. წ. არქაული სიტყვებიც, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ენაში აღარ ისმის, ქართულში კი ყოველდღიური სახმარია. ბევრჯერ მიგრძენია ნამდვილი სიხარული, როცა ბევრი ასე-

თი გარდაცვლილად, ან მხოლოდ ძველი ლექსიკონების მდგმურად ნაგულეები სიტყვა ჩემს თვალწინ იშვიათად სახმარი ნივთივით ამოშუქებულა.

სიტყვის გახსენებას საჭიროება იწვევს. შეიძლება წელიწადიც გავიდეს და კაცმა ესა თუ ის სიტყვა ერთხელაც არა თქვას, მაგრამ ისიც შეიძლება, იგივე სიტყვა დილიდან საღამომდე აუცილებლობის გამო ბევრჯერ გაიხსენოს. ასეთი არქაულად მიჩნეული სიტყვები და გამოთქმებიც შევიტანე ამ ლექსიკონში იმის დასტურად, რომ მათი სიცოცხლე დღევანდელ ქართულში უდავოა.

„ქაშნიკში“ განუმარტავად შევიტანე ჩემთვის გაუგებარი სიტყვები. ეს სიტყვები და გამოთქმები უმთავრესად ქართული ფოლკლორიდან არის ამოღებული. შევიტანე რამდენიმე ისეთი სიტყვაც, რაც ჩვენში ძირეულად არ ითვლება, მაგრამ საუბარში გაიშმის, როგორც უკვე შეთვისებული და ამ მხრივ დღევანდელ შეტყვევლებას ახასიათებს.

პატარა წერილებში წამოჭრილი ზოგი საკითხი გადაუჭრელად მაქვს დატოვებული. ალბათ აქაც სხვისი თვალთა საჭირო. თვით დიდი საბაე კი ამბობს: „ერთისა და ორის კლები-სათვის ნუ დამიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“.

სიტყვათა და იდიომურ გამოთქმათა დიდ ნაწილს ერთვის ხალხური, თქმის პროცესში ჩაწერილი ფრაზეოლოგია და ზოგჯერ მთქმელის განმარტებაც. გარდა ამისა, მოშველიებულია ლიტერატურული ტექსტი, ხალხური ლექსები, ნაწყვეტები ქართული ისტორიული დოკუმენტებიდან და სხვ.

გადატანითი მნიშვნელობის ახსნისას სიტყვათა ძირითად მნიშვნელობას არ აღვნიშნავ. ძირითადი მნიშვნელობების აღნუსხვა და ახსნა-განმარტებანი სხვაგვარ ხასიათს მისცემდა ამ ჩანაწერებს. უფრო ხშირად არც იმას მივუთითებ, რომ ესა თუ ის მნიშვნელობა გადატანითია.

იმის გამო, რომ ქართული ენის იშვიათი და უსამართლოდ მივიწყებული ფორმების პოპულარიზაციის განზრახვაც მქონდა, ვაწყვილებდი და განმარტებათა ტექსტების სათაურებად გამომქონდა მოპირისპირე ცნებები, კოლორიტული სინონი-



შები და საინტერესო „ტყუპის-ცალები“ (მაგ. გვართხელი და გვარგამრავლებული, გალილავება და გარიალება და სხვ.).

სხვა კუთხეების ლექსიკასთან თვალადურის შედარებამ წამოკრა მრავალი საკითხი, რომლის ცალკე დამუშავებას ვამჯობინე აქვე, განსამარტავი სიტყვის ქვეშ გამომეთქვა ჩემი ვარაუდი. საინტერესო სურათს იძლევა ქართლურის შედარება ქიზიყურთან, გურულთან, ხევსურულთან, ზემო იმერულთან; ქიზიყურისა და ქართლური ლექსიკის მრავალ სიტყვათა და იდიომურ თქმათა იგივეობამ მიიძღლა იდენტური ნაწილის საკმაო რაოდენობა შემეკვეცა და განზე გადამედო.

სიტყვათა მნიშვნელობის დაზუსტებისას დახმარება გამიწია ხევსურულმა ლექსიკამ, რაც თავმოყრილია ალ. ჭინჭარაულის წიგნში „ხევსურულის თავისებურებანი“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ენათმეცნიერებისათვის.

დასავლეთ საქართველოს კილოებიდან განსაკუთრებით საგულისხმო გამოდგა ვუკ. ბერიძის „სიტყვის-კონის“ რაჭული ნაწილის შედარება ქართლურ მეტყველებასთან. ამ შედარებამ გამოავლინა საგულისხმო თანხედრობანი (მაგ. თვალადური „მაჭახელა ფერი“ და რაჭული „მაჭახელება“). სხვა დიალექტებთან ქართლურის შედარების გაზოგადების ცდას მკითხველი ამ წიგნის ბევრ ადგილას წააწყდება.

„თვალადური ქართლის ქაშნიკის“ წინასწარ გამიზნულმა ხასიათმა უფლება მომცა გამეკეთებინა მოულოდნელი გადახვევებიც. ვგულისხმობთ კვლევითი ხასიათის გადახვევებს. შერყენილი ლიტერატურული თუ ფოლკლორული ტექსტების დადგენის რამდენიმე ცდას (მაგ. ალ. ჭავჭავაძის თარგმანში „მიმომგონარეს“ ნაცვლად „მიმომგონარეს“ დადგენის ცდა და სხვ.). მუშაობის დროს ასეთი „ლირიკული გადახვევები“ ხალისს მმატებდა, ანგარიშს აღარ ვუწევდი ლექსიკოგრაფიული ნაშრომისათვის მკაცრად შემოხაზულ ჩარჩოებს.

აქვე მინდა აღვნიშნო: ჩემს პატარა ლინგვისტურ შენიშვნებში, რომლებიც სიტყვათა შუა არის ჩართულნი, ბევრი მოსაზრება ვარაუდის სახით არის გამოთქმული. არა მაქვს პრეტენზია, რომელიმე საკითხის მსგავსი სპეციალურ ლიტე-

რატურაში გამოთქმული არ იყოს. ამ მხრივ ყოველ სამართლიან მითითებას ანგარიშს გავუწევ და „თვალადური ლექსიკონის“ მომზადების დროს გავითვალისწინებ.

ამ წიგნის იმ განყოფილებას, რომელიც უშუალოდ „თვალადური ქართულის ჰაზნიკს“ მოსდევს, „ძიება“ დავარქვი. აქ შეტანილია ნაწილი იმ წერილებისა, რომლებიც მუშაობის დროს ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისათვის დავწერე. ეს წერილები ისედაც ვრცელი განმარტებებით დატვირთულ ჰაზნიკს უფრო დაამძიმებდა, ამიტომ მათი გამოყოფა და ცალკე განყოფილებად შეტანა უმჯობესად ჩავთვალე. სათანადო ადგილას მითითებულია, თუ რომელი სიტყვის, ან რა საკითხის გამო დასჭირდება მკითხველს მათი გაცნობა.

გარდა მცირე გამონაკლისისა, საჭიროდ არ ჩავთვალე იმ იშვიათ სიტყვებსა და გამოთქმებზე მითითება, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არა გვხვდება და პირველად იწყებენ „ადრე დაპატიმრებულ“ სიტყვათა მწკრივებში ლექსიკონურ, მოსაწყენ ცხოვრებას.

ორიოდე სიტყვა ამ წიგნის მოხმარების წესზე: სადაც საბას ვახსენებ, იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ (1928 წ.), სადაც ვუკ. ბერიძეს — ნაგულისხმევია მისი „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, ასევე, ყველგან, სადაც წყაროზე მიუთითებლად ვახსენებ ქიზიყს ან ქიზიყურ მეტყველებას, მხედველობაში მაქვს მხოლოდ სტ. მენტეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“, აგრეთვე, როცა 'ქართლუ რთან დამოკიდებულებაში ხევსურულს ვეხები და წყაროს პირდაპირი დასახელების გარდა შემოკლებით მივუთითებ გვარებზე „ალ. ჰინჭარ.“, ნიშნავს: ალ. ჰინჭარაული — „ხევსურულის თავისებურებანი“. ასევე, „ს. ქეთელ.“ ნიშნავს ახალგაზრდა მწერლის სულხან ქეთელაურის პირად კონსულტაციას.

ამ ნაშრომის გამოქვეყნება უფრო შორეული მომავლისათვის მქონდა განზრახული. როცა ამ საქმეს მოგვიდებ ხელი, ახალგაზრდა ვიყავი და მომავალი მართლაც შორს, ძალიან შორს მეჩვენებოდა... მაგრამ დრო სწრაფად და შეუმჩნეველად

გავიდა, და ახლა, იესე ოსეს ძე ბარათაშვილის თქმისა არ იყოს: „ქალმისა აფრა თვით მაიძულებს წერად ამისად“.

მ ი ნ ა წ ე რ ი :

„თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ პირველად გამოქვეყნდა ჟურ. „მნათობში“ (1963 წ. № 8 და № 11). გაპოქვეყნდა შერჩევითა და შემოკლებით, ნაწილობრივ ჟურნალის თავისებურებით გამოწვეულ რედაქციით. გამეპარა რამდენიმე არსებითი თუ უნებური შეცდომა. შემდეგ ცხელი გულით ნაწერს ცივი თვლით გადავხედე და საგრძნობლად „დავამშვიდე“. გათვალისწინებულია შენიშვნები და ზოგი საყურადღებო რჩევა, რაც ამ ხნის მანძილზე მივიღე. ცხადია, ბევრი რამ შემდგომ დაკვირვებას მოითხოვს, მაგრამ ჩემს მიერვე საყოყმანოდ მიჩნეულ ზოგ საკითხს მაინც ვერ შეველიე, ვიმედოვნებ, საკითხის დასმა თუ საყურადღებო მასალის მიგნება სინამდვილის დადგენას სავსახურს გაუწევს.

მთელი რიგი საყურადღებო შენიშვნების გაზიარებისათვის მადლობას მოვანხსენებ ალ. ჭინჭარაულს, რომელიც გამომცემლობის თხოვნით გაეცნო ხელნაწერს, აგრეთვე ზ. ქუმბურიძეს, რომელმაც თავისი შენიშვნები ჟურ. „მნათობის“ № 8-ში დაბეჭდილი ნაწილის გამო წერილობით გამომიგზავნა.

მადლობას მოვანხსენებ ჩვენს მეცნიერებს — აკ. შანიძეს, ნ. კეცხოველს, ილ. აბულაძეს, ალ. ბარამიძეს, მიხ. ჩიქოვანს, შ. ძიძიგურს, ს. ცაიშვილს, ალ. გამყრელიძეს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ გრ. ქეშელაშვილს. აგრეთვე თ. ანდლულაძეს, გ. ხორგუაშვილს, ს. ქეთელაურს, ა. ხაჩაურს და სხვათ, ვინც ამ წიგნში აღძრული ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ გულთბილი რჩევითა თუ მკაცრი შენიშვნით დამავალა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ამ წიგნის დაკვირვებულნი და გულისხმიერი რედაქტორის ნათელა ჟღენტის მიერ გაწეული შრომა.

## ან-ზე თქმული

### აბანოურის ხე

აბანოურის ხე გვხვდება თედო რაზიკაშვილის მიერ  
კახეთში ჩაწერილ ხალხურ „ეთერიანში“. აბესალომის ავად-  
მყოფობით შეწუხებული მარეხი ეუბნება ეთერს:

... ძეთ სასახლეს აგიგებ,  
სულ მარმარილოს ქვისასა,  
შიგა-შიგ ფიცარს ჩაუყრი  
აბანოურის ხისასა,  
წინ საჩრდილობელს მოვიყვან  
მაღალსა ალვის ხისასა°.

გარდა ამ ვარიანტისა, ეს იშვიათი სიტყვა შეუნახავს პ. მი-  
რიანაშვილის გალექსილ „ეთერიანსაც“:

ისეთ სასახლეს აგიგებ,  
სულ პათიოსნის თელისასა,  
შიგა-შიგ ფიცარს ჩაუყრი  
აბანოურის ხისასა.

შესაძლოა, პ. მირიანაშვილის „ეთერიანში“ ბევრი რამ, და  
„აბანოურის ხე“-ც, თ. რაზიკაშვილის ვარიანტიდან მოდიოდეს,  
რომელიც ადრე გამოქვეყნდა (1909 წ.).

---

° იხ. „ხალხ. სიტყვიერ.“, ტ. 4, გვ. 101, მის. ჩიქოვანის რედაქციით.

„აბანოური“ გახალხურებული ფორმა უნდა იყოს „ა ბ ა -  
ნ ო ზ ი“-სა.

საბა ამბობს: „ა ბ ა ნ ო ზ ი სხვათა ენაა, ქართულად ეკალ-  
მუხა ჰქვიან“-ო. ეს უცხოობა თუ სხვაგნებურობა თითქოს  
ხალხსაც უგრძენია და ამიტომაც გაუქართულებია\*.

ალ. მაყაშვილს ეპვი შეაქვს საბას განმარტების სისწორეში,  
ეკალმუხა არ მიაჩნია აბანოზის სინონიმად. ეკალმუხას იგი სხვა  
შავმერქნიან მცენარედ სთვლის (იხ. ბოტანიკ. ლექსიკ. „აბანო-  
ზის“ სქოლიო).

ერთი კი ცხადია, ხალხური „აბანოურის ხე“ ძვირფასი ხე  
უნდა იყოს. ზემოთმოყვანილ ლექსებში იგი იხსენიება ზღაპრუ-  
ლი მარმარილოს სასახლის დამამშვენიებლად, რომლის აგებასაც  
მარეხი ეთერს ჰპირდება.

აბოლემა, ბოსტნეულის აბოლემა „წელს ბოსტნეული თამა-  
მად წამოვიდა, ა მ ი ბ ო ლ დ ა ო“, — იტყვიან... ბოსტნეულის  
აბოლემა გადაუღებელმა წვიმებმა, ხშირმა რწყვამ, მსუქანი  
ნიადგის ჰარბად დატენიანებამ იცის. აბოლებული ბოსტნეუ-  
ლი უვარგისია. მაგალითად: აბოლებული, უღროოდ აყვავებუ-  
ლი ბოლოკი ძირს არ იკეთებს. (იხ. აყვერება).

### ა გ ი შ რ ა და ა გ უ ნ და

ი ა გ უ ნ დ ი რ ა მ ა გ უ ნ და,

ა ნ გ ი შ ე რ ი რ ა მ ა გ ი შ რ ა...

ამ იშვიათად ელასტიურ და მუსიკალურ ხალხურ ლექსში  
თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თუ დავაკვირდებით სიტყ-  
ვა „აგუნდა“-ს, ცხადი გახდება, რომ ეს სიტყვა არაბუნებრივად  
არის წარმოებული, რაც არც თუ ისე ხშირი მოვლენაა ქარ-  
თულ ხალხურ პოეზიაში. „აგუნდა“ გამართლებული იქნებოდა  
მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ლექსში მის წინ იქნებოდა „გუნ-  
და“. მაშინ მივიღებდით ბუნებრივ ქართულს: გ უ ნ დ ა... რ.ა.მ  
ა გ უ ნ დ ა, იმგვარად, როგორც მეორე სტრიქონშია: გ ი შ ე -  
რ ი რ ა მ ა გ ი შ რ ა (აგიშრა: გ ი შ რ ა დ ა ქ ო ნ ი ა).

\* „განმარტ. ლექსიკონი“ განმარტავს: „ეკალმუხა იგივეა, რაც აბანოზი“.

„იაგუნდიდან“ ამგვარივე პოეტური სახის მიღება მოითხოვდა „აიაგუნდა“-ს. ორი ხმოვნის (აი) ზედმეტობამ, ალბათ, დიდხანს აწვალა პოეტი და ბოლოს დათმობაზე წავიდა, ბუნებრივი ქართულის: აიაგუნდა-ს ნაცვლად აგუნდა გამოთქვა. ისე რომ, ამ ლექსში, „აგუნდა“ ნიშნავს „აიაგუნდა“-ს (ი ა გ უ ნ დ ა დ ა ლ ა ქ ი ც ი ა).

### ა დ გ ი ლ ი

ა დ გ ი ლ ი თვალადურ მეტყველებაში იხმარება გადატანით ფონის, უმთავრესად შალის, ჩითის, ხალიჩის, ჯეჯიმის, ფარდაგის ძირითადი ფერის აღმნიშვნელ ტერმინად. მაგალითად, თუ ჩითის ძირითადი ფონი თეთრია და სხვა ფერით არის მოხატული, იტყვიან თ ე თ რ ა დ გ ი ლ ი ა ნ ი ჩითიაო. ზედხატულობას ს ა ხ ე ს უწოდებენ და ამბობენ: ეს სახეა, ეს ადგილიო. ადგილს ენაცვლება მ ი წ ა და ზოგჯერ „მიწარი“-ც. იტყვიან: ლ უ რ ჯ მ ი წ ი ა ნ ი ხალიჩა, წ ი თ ე ლ მ ი წ ა რ ი ა ნ ი ჯეჯიმი და სხვ.

„მიწარიანი“ უფრო ადრე ჩავიწერე, თანაც ისეთ პირობებში, რომ დაზუსტება ველარ მოვახერხე. მისი მნიშვნელობა ჩემთვის დიდხანს გაურკვეველი იყო. შემდეგ, როცა „ადგილის“ მნიშვნელობა გამოვარკვიე, „მიწა-მიწარი“-ს შინაარსიც ცხადი გახდა.

„მიწა“ და „სახე“ დ. ჩუბინაშვილის დამოწმებით თავის „სიტყვის-კონაში“ ახსნილი აქვს ვუკ. ბერიძეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვები აღნიშნული შინაარსით ქართული ენის დასავლურ კილოებშიც იხმარება. დ. ჩუბინაშვილის ცნობით „მიწა“ მხატვრულ ტერმინოლოგიაში „ჩ რ დ ი ლ ი ს“ აღმნიშვნელია.

ადგილის კურდღელი ადგილობრივი. „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო“.

### ავი სახლი და კარგი სახლი

ა ვ ი ს ა ხ ლ ი და კ ა რ გ ი ს ა ხ ლ ი, აგრეთვე ა ვ ი კ ა რ ი და კ ა რ გ ი კ ა რ ი გვხვდება ლექსად ნათქვამში. ამ ლექ-

სის მიხედვით ავი სახლი და ავი კარი ნიშნავს ავ, ცუდ ოჯახს, ხოლო კარგი სახლი და კარგი კარი — კარგ, კეთილ ოჯახს. ამ გამოთქმებში „სახლს“ და „კარს“ თავისი ნიუანსი აქვს და გადატანით ოჯახურ გარემოს გულისხმობს.

კარგმა სახლმა, კარგმა კარმა  
კარგათ გამომიყვანაო,  
ფემა სახლმა, ავმა კარმა  
ავათ გამომიყვანაო.

ავხელი, ქურდი, ავხელი კაცი (იმერული: ხელცივი).

#### აზნაური.

რამდენგვარ აზნაურს არ ჩამოთვლიან: ტახტის აზნაური, საეკლესიო აზნაური, მაძიებელი აზნაური, კუთხის აზნაური, კერძო აზნაური, ამათ გარდა თვალადელები „ნათოტის“, „ჭაობის“, „კუდა“ და „ცალქალამანა“ აზნაურსაც ამბობენ დაცინვით.

„კერძო აზნაური“ გვხვდება ი. ბარათაშვილის „ცხოვრება—ანდერძში“ (იხ. კერძო აზნაური), ხოლო „კუთხის აზნაური“ ერთ ლექსში:

ბეზირგნის შვილ ირა ვარ,  
ირე აზნაური კუთხისა,  
თევზის მჭირავი ვიყავი  
და მკეთებელი ზუთხისა.

ვუკ. ბერიძეს თავის „სიტყვის-კონაში“ შეტანილი აქვს „შემოდგომის და შემოდგომის აზნაური, ცალ-

მოგვი აზნაურნი“. ამგვარ „აზნაურთა“ საპირისპიროდ ზემოიშვრულ მეტყველებაში გვხვდება „შირის აზნაურ შვილი — შთამომავლობით, რამდენიმე თაობით აზნაურნი“. (იხ. ზ. წერეთლის ზემო იშვრული ლექსიკ.).

### აზნაური ყანა და ნაგზაური მიწა

ჩემი თვალადელი მეზობლები ხშირად იხსენებენ ერთ ხალხურ ნათქვამს:

მიწა შობან ნაგზაური,  
ყანა შოვა აზნაური.

ამ სხარტულ დარიგებაში ორი შესანიშნავი გამოთქმაა: აზნაურ ბ ყანა და ნაგზაური მიწა. აზნაურ ყანას თავანკარ, საუკეთესო ყანას უძახიან. ნაგზაური მიწა კი, თუ მოიხნა, კარგ მოსავალს იძლევა, იმის გამო, რომ წლების მანძილზე იხევენებს, ყამირდება, ინეხვება.

აკიბული-ჩაკიბული აკიბულ-ჩაკიბული.

აკიბული-ჩაკიბული,  
ქრისტე ლმერთის მოციქული.

### ა ლ ა ო

საბას განმარტებით ალაო არის ფჭვილი დანოტიო გ ბ უ ლ ი.

ეს ახსნა სწორია (თუმცა არასრული) და ამ სიტყვის შემდგომ განმარტებათა დედაწყარო... ამ სიტყვებით იწყება „განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნაც\*. ამ ლექსიკონის განმარტება: ვრცელია და ალაოს სხვა ნიშნებიც არის წარმოდგენილი:

„გალვივებული, გამხმარი და დაღერლილი ქერი, სიშინდი, ხორბალი და მისთანანი. ხმარობენ ლუდის, არყისა და ბურჯის გამოსახდელად.“

\* იხ. „ქართ. ენის განმ. ლექს“. I ტ. 266 გვ



ახსნილია „ალაო პურიც“ („დასველებული და ჩახურებუ-  
ლი ხორბლის პური, გული არ უცხვება“) \*.

ეს განმარტება ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ალაოს მნიშვნელობაზე, მაგრამ მას აკლია მნიშვნელოვანი რამ: არ არის ნათქვამი, რომ ალაო ორგვარია: ბუნებრივი და ხე-  
ლოვნური.

ბუნებრივ და ალაოებას იწვევს მარცვლეულის წვიმით დასველება-დანოტიობისაგან ჩახურება და დაყანდება, აგრეთვე მზისაგან ჩახურება. მინდორში, ხანგრძლივი წვიმე-  
ბის დროს დატოვებულ პურის ძნას ან ზვინს, ან კალღზე დიდხანს დატოვებულ ხორბლის ხეავს ნესტი მოედება (შეიძ-  
ლება მიწიდანაც აიღოს), ან მზე დაჰკრავს (იხ. მზედაკრუ-  
ლი).

ბუნებრივად „დაალაოებულ“ ხორბალს თავისი „სატკივა-  
რი“ არ ეტყობა. ხალხი ამბობს: „ალაო გაიგება ფქვილისაგან: სანამ ხორბალი არ დაიფქვის, არც ეტყობა“... ალაო ცომის გუნდა „თონეში იწვეს“, ცვივა, კუტდება, საჭმელად არ ვარგა.

ხელოვნური და ალაოება ხდება არყის (სხვაგან: ლუდისა და ბურახის) გამოსახდელად... მარცვლეულს ჩაყრიან ჭურჭელში და დაასხამენ წყალს. მარცვალი გაღვივდება, „გა-  
ღეჯეჯდება“. გაღვივებულ მარცვალს მზეზე გაფენენ ან ლუ-  
მელთან დაყრიან, გააშრობენ და დაფქვავენ. დაფქვილი —  
ალაო ფქვილია. ალაოს იყენებენ საფუარად, დედად: განსაზღ-  
ვრული დოზით უზამენ „საარაყეს“ (იხ. „ბოზა“), რომელიც ღუდილს საჭიროებს: „ალაო შემოუძახებს და ღუდილს და-  
წყებინებს“.

როგორც ვხედავთ, მარცვლეულის დაალაოებას იწვევს ორი მოვლენა: დანესტიანება და ჩახურება. ამ მიზეზით ალაო ორ სახელს ატარებს:

---

\* ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით: „ალაო, ფქვილი დაწვიმული, რომელიც კარგად არ მოიზილება, არც გაღვივდება“. ამასვე იმეორებს დავით ჩუბინაშვილიც.

წყლის ალაო ნესტის, ნოტიოს, წვიმის მიზეზით გამოწვეული ალაო.

მზის ალაო მზის მიზეზით გამოწვეული ალაო; „მზე-დაკრული“ ხორბლის ალაო.

### ა ლ ქ ა ტ ი

ა ლ ქ ა ტ ი ძველი ქართული ლიტერატურული ენის ლექსიკის მკვიდრია. გვხვდება რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“:

„მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ ალქატისა. (1465)

სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ლხინი ჩემი ვაა ლქატე“. (251).

საბა ორბელიანი ალქატს „გლახას“ მნიშვნელობით განმარტავს და იმოწმებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ (ალქატი, გლახა. „ვეფხისტყაოს.“).

ეს სიტყვა თვალაღურ მეტყველებაში დღესაც ცოცხლობს: ალქატი სახე აქვსო, გამხდარ, სახეგაღეულ ადამიანზე იტყვიან.

ა ლ ქ ა ტ ი მიწა მწირი, ღარიბი, მოუსავლიანი მიწაა.

ა ლ ქ ა ტ ი მ ა რ ც ვ ა ლ ი მსუბუქი, მოუსვლედი, ბეტი მარცვალი.

ხალხურ „ამირანში“ გვხვდება ალქატი ფერი: „ფერი ალქატი გქონია“.

„ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონში“ ალქატი ამგვარად არის ახსნილი: „ძვ. ღარიბი, გლახაკი, უქონელი“ და დამატებულია გურული „ა ლ ქ ა ტ ი ღ ო მ ი — თხელი ღომი“.

ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით ალქატი „მსუბუქი, მჩატე, დამშხალულია“. ამ განმარტებაშივე ნ. ჩუბინაშვილი იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ 249 და 1455 სტროფებს, რომლებიც ჩვენი დროის (საიუბილეო) გამოცემის 251 და 1465 სტროფებია.

საკვირველია, რომ „ალქატის“ ნ. ჩუბინაშვილისეული ახსნა „მსუბუქი, მჩატე, დამშხალული“ არაფრით არ ესადაგება

1465-ე სტროფის შინაარსს. ამ სტროფის „ალქატი“ საბას განმარტებით „გლახაა“ (გლახაკის, ღარიბის, უქონელის მნიშვნელობით).

ამგვარადვე განმარტავს ამ სტროფის „ალქატს“ თეიმურაზ ბაგრატიონი: „ალქატი — უქონელი ანუ გლახაკი“. თეიმურაზი შემდეგ ამბობს: „ალქატს სხვა მნიშვნელობაცა აქვს, მაგრამ აქა ესე კმარა“ (თ. ბაგრატიონი, განმარტებანი, გვ. 266, გ. იმედაშვილის გამოც.).

როცა თ. ბაგრატიონი ალქატის სხვა მნიშვნელობას ახსენებდა, ალბათ „მსუბუქს; მჩატეს და დამშხალულსაც“ გულისხმობდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული სტროფის განმარტებისას ეს სხვა მნიშვნელობანი მას არ გამოუყენებია, ვერც გამოიყენებდა, რადგან შოთა რუსთაველის პოემის სტროფში აღწერილი ფრიდონის მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ უდრის „მსუბუქს, მჩატეს და დამშხალულს“ („მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ ალქატისა“).

ამოწარბვა გარანდული ფიცრის წიბრს „წარბი“ ჰქვია. წარბის მოშლას ამოწარბვას ეძახიან.

ან წუთსა ან ცრუსა კვირადლის სიზმარი ან წუთსა, ან ცრუსა: ან სწრაფად ახდეს, ან გაცრუვდესო (იხ. კვირადლის სიზმარი).

### ან ა გ უ ლ ი

საუკეთესო, თავანჯარი, გულის გული, შუაგული, — ასე განმარტავენ თვალადელები „ანაგულს“.

ამ სიტყვას ზედსართავად ხმარობენ და ყველაფერს ურთქვენ, რაც კარგი და გამოსარჩევია (გარდა ცალკეული შემთხვევებისა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).

ან ა გ უ ლ ი კ ა ც ი „ქართული, ანაგული კაცია...“

ან ა გ უ ლ ი მ ი წ ა მიწის სიღრმე, შუა მიწა. „სადამდიცა არ ჩასულა არც ბარის, არც გუთნის პირი“. „მიწას თავიცა აქვს, გულიცა და ანაგულიცა“.

ანაგული მამული თავანჯარი, საუკეთესო მამული.  
„ფერდა მამული ფერდაა, ხრიოკი — ხრიოკია, ანაგული კი ვა-  
კე მამულია, თავანჯარი“.

ანაგული მთა შუა მთა. „ანაგული მთა — შუა მთაა.  
აქეთაც ბარია, იქითაც“.

ანაგული რქა ვაზის თამამი რქა. „ანაგული რქა იყო  
და კარგა დახარდა“.

ანაგულზე დგომა ვინც კარგ მამულზეა დასახლებუ-  
ლი ეტყვიან, „შენ რა გიშავს, ანაგულზე დგეხარო“.

- „ანაგული“ უდავოდ კარგის მნიშვნელობით გვხვდება  
ხალხურ „ეთერიანში“:

ეთერო, ანა ქალაქი, ანაგულით აგებული...  
არ მინდა ანა ქალაქი, ანაგულით აგებული.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ანაგული კარგსა და თავ-  
ანჯარს კი არა, უხეიროსა და უხარისხოს, ნიშნავს: ერთხელ  
ანაგული ნიორიც გავიგონე, ჩაეიწერე, გამოვიკითხე  
და გამოვარკვიე: ანაგული ნიორი ნივრის თავის შუაგულია,  
მაგრამ უეარგისია.

შუაგული, ანაგული და უვარგისი?

საქმე ის ყოფილა, რომ ნივრის შუაგული თურმე სათეს-  
ლედ არ ვარგავს: თუ დასთეს, აღმოცენდება უკბილო ნიო-  
რი („ობოლი თავი“\*)... ანაგული ყოველთვის კარგსა და საუ-  
კეთესოს არა ნიშნავს.

ამის გამორკვევამდე ჩემთვის გაუგებარი იყო საბას გან-  
მარტება: „ანაგული მატყლის ანაჩეჩია“-ო... ხალ-  
ხური „ანაგული“ კარგს, თავანჯარსა და საუკეთესოს ნიშნავს,  
მაშ რატომ ამბობს ქართული ენის გულ-ღვიძლის მცოდნე საბა  
მატყლის უვარგის ანაჩეჩზე — ანაგულიაო? ან რატომ განმარ-  
ტავენ სხვა ლექსიკოგრაფები ანაგულს ამგვარად:

ნ. ჩუბინაშვილი: „ანაგული გაჩეჩისაგან დანარჩენი რიოში  
მატყლისა, ანაჩეჩი, БИЧЕСКИ“.

\* გვალვაში კარგ თესზე ამოსული ნიორიც „ობოლი თავს“ იყვებენ.

დ. ჩუბინაშვილი: „ანაგული, ანაგვი, ნაგავი, მონაცოცხი, **cop**“.

ან რატომ განმარტავენ თანამედროვე ლექსიკოგრაფები ანაგულს ადრე შექმნილი ტრადიციის მიხედვით:

ალ. ნეიშანი: „ნაძენძი, ანაძენძი, ნაჩეჩი... ანაგული, ჩლა, ჩენჩო“.

ქ. ღათიკაშვილი: „ანაგული--ОУЇСКИ“ (ანაძენძი, ანაჩეჩი)\*.

როდესაც თვალადური ანაგულის მნიშვნელობას და ამ განმარტებებს ერთმანეთს ვადარებდი, კარგახანს ვფიქრობდი, რომ საბჭოს მატყლის ანაჩეჩი უხეირო მატყლის მნიშვნელობით კი არა, საჩეჩლის კბილებში გამოვლილი, გასუფთავებული და დაფთილავებული მატყლის შინაარსით ჰქონდა ნაგულისხმევი.

ჯერ თვალადური „ანაგული ნივრის“ და შემდეგ ხევსურულ დიალექტში დღესაც ცოცხალი „ნაგულას“ გამოჩენამ „ანაგულის“ მნიშვნელობის საკითხი ჩემთვის უფრო ცხადი გახადა.

ხევსურულში „მატყლის ნაგულას“ არსებობაზე პირველად მიმითითა ს. ქეთელაურმა. „მატყლის ნაგულას“ მნიშვნელობა და საერთოდ, მატყლის ჩეჩვის ზუსტი დახასიათება მთქმელების დამოწმებით მოცემული აქვს ალ. ჰინჭარაულს თავის წიგნში „ხევსურულის თავისებურებანი“ („პირველი ჩეჩვისაჲს საჩეჩლის კბილებში რჩება ხოლმე უხარისხო მატყლი, რომელსაც ანაგულას ეძახიან“)\*.

საბაჲს „ანაგულისა“ და ხევსურული „ნაგულას“ იგივეობამ ჩემი ეჭვები, იმის გამო, რომ საბა თავის განმარტებაში ანაგულს კარგის მნიშვნელობით გულისხმობდა, გაფანტა. ამ გარემოებამ საკითხი ამგვარად ჩამოაყალიბა:

„ანაგული“ ერთ შემთხვევაში ნიშნავს საუკეთესოს, კარგსა და თავანკარს (თვალადური „ანაგული კაცი“, „ანაგული მიწა“, „ანაგული რქა“, „ანაგულზე დგომა“, ეთერიანის „ანა

\* იმერული „ნაგულე“ ანაჩეჩს ნიშნავს, „ნაწვერე“ კი კარგ მატყლს (ნ. ფლენტის ცნობით).

ქალაქი... ანაგულით აგებული“, ხევსურული „გულის ყანა“).

„ანაგული“ მეორე შემთხვევაში, ძველი და ახალი ლექსი-კოგრაფების განმარტებით — უხარისხო, რიოშ მატყლს, სათესლედ უფარვის ნიორს, ნაგავსა და მონაცოცხსაც კი ნიშნავს\*.

რით უნდა აიხსნას ამგვარი დაპირისპირება — ერთ სიტყვაში კარგისა და ცუდი თვისების თავმოყრა?

ამ საკითხის გამოცნობა შესაძლებელი ხდება სიტყვა ანაგულის გენეზისის გარკვევით.

ანაგული „გული“-დან უნდა მომდინარეობდეს და საგნისა თუ მოვლენის შინაგან მხარეს, შინაგნობას, შინაარსს, გულს უნდა ნიშნავდეს.

მაგალითად, იმის გამო, რომ ღრმად მოხსნული მიწა კარგ მოსაველს იძლევა, ქართლელი გლეხი ამგვარ მიწას „ანაგულს“ მისი შინაგანი თვისების მიხედვით ეძახის. ვაზის ძლიერ რქასაც იმიტომ ეძახის „ანაგულ რქას“, რომ საერთოდ რქის ძლიერებაზეა დამყარებული მოსაველის სიჭარბე. ასევე ხევსურის თქმით კარგი დგილის ყანა „გული ყანაა“. ამგვარ ყანაზე თვალაღელი კაცი იტყვის, ანაგული ყანააო.

წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა საგნის შინაარსი, მისი შინაგული უარყოფითი თვისებისა თუ ხარისხის გამომხატველია — სიტყვა ანაგულიც უარყოფითობის გამომხატველი ტერმინია („ანაგული ნიორი“, ხევსურული „ნაგულა მატყლი“, ქიზიყური ნაგულა: ხარვეზი და სხვ.).

თვალაღური „ანაგულის“ და ქართული ენის სხვა კილოების „ნაგულა-ნაგულის“-ს შედარების შედეგად შესაძლებელი ხდება იმის გამოკვლევა, რომ სიტყვა „ანაგულს“ ვიწრო მნიშვნელობა არაა ჰქონია. ანაგული მხოლოდ „მატყლის ანა-

\* იმის გამო, რომ მატყლის „ანაგული“ და „ნაგული“ სხვადასხვა მეგონა, ყურადღება არ მიმიქცევია „განმარტ. ლექსიკონის“ ნაგული-სათვის, აგრეთვე ქიზიყური ნაგული-სათვის, რაც ხარვეზს ნიშნავს. მითითებულია აგრეთვე „ნაგულა, სიმინდის ნაქუჩი“.

ჩეჩი" არა ყოფილა. ანაგული საგნისა თუ მოვლენის გულის გული, მისი შინაგანი და ძირითადი თვისება, მისი შინაარსია.

### ქვეყნის გული

„ქვეყნის გული“ თითქმის ყველა ქართულ ლექსიკონშია ახსნილი. საბას განმარტებით: „სოკოა, წამალი“. „განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნით წვიმის სოკოების ერთი სახეობათაგანია. „თავდაპირველად მსხვილი კვერცხის მსგავსია და მიწაში ზის. მომწიფებისას 20 — 30 სანტიმეტრს აღწევს და მიწის ზეგით ამოდის“.

სტ. მენთეშაშვილის განმარტებითაც ეს მცენარე სოკოს მსგავსია და „გულის ტყვილის წამლად ითვლება“. ასე განმარტავენ ჩემი მეზობლებიც „ქვეყნის გულს“. მაგრამ მე უფრო ამ გამოთქმის ასავეალ-დასავეალი მაინტერესებს.

თვალადელების ახსნით ქვეყნის გული — მიწის გულია.

ქვეყანა მიწის მნიშვნელობით ქართულურ მეტყველებაში სხვა გამოთქმებშიც გვხვდება, იმგვარად, როგორც ეს სიტყვა ძველ ქართულში იხმარებოდა („...დაეცა ქუეყანასა ზედა“).

### გული ზღვისა და გული ქვეყნისა

საბა ორბელიანი გულის განმარტებაში ამბობს: „...გულად ითქმის საშუალო ქუეყნისა (12,40 მათე), გულად ითქმის პელაგონი ზღვისა (45, 3 ფსალმ.), გულად ითქმის ხეთა და ხილთა საშუალო (...მერქანი ხეთა, გინა საშუალო ხილთა)“.

სახარების მითითებულ მუხლში ვკითხულობთ:

„რამეთუ, ვითარცა იგი იყო — იონა მუტეღსა ვეშაბისასა სამ-დღე და სამ-ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისა გულსა ქუეყანისასა სამ-დღე და სამ-ღამე“.

ხოლო ფსალმუნის სათანადო ადგილას არის:

„...არა მეშინოდეს მე ძრწოლასა ქუეყანისასა, ცვალებასა მთათასა და გულსა ზღუათასა“.

როგორც ვხედავთ, სახარებიდან და ფსალმუნებიდან საბა-  
ორბელიანს ეს ორი ძვირფასი გამოთქმაც ამოუღია თავისი  
ლექსიკონისთვის:

გ უ ლ ი ქ ე ე ყ ნ ი ს ა, ქეეყნის შუაგული, დედამიწის—მი-  
წის შუაგული.

გ უ ლ ი ზ ლ ვ ი ს ა, ზღვის შუაგული, სიღრმე.

### „არვიცი“-ხ დედა და „ვიცი“-ხ დედა

ნათქვამია: ვიცის დედა ტირიდა, არვიცის დედა იცი-  
ნაო...

ვინც იცის, მაგრამ თავს იკავებს და ამბობს არ ვიციო,  
„არვიცი“-ა.

ვინც იცის, თავს ვერ იკავებს და ამბობს „ვიცი“-ა.

თავიანთი ხასიათის მიხედვით „ვიცი“ და „არვიცი“ შესა-  
ფერ მოსავალს იმკიან: თავშეკავებული „არვიცი“-ს დედა  
კმაყოფილია და იცინის, თავშეუკავებელი და დოღრიალა  
„ვიცი“-ს დედა კი თავისი შვილის მეტიჩრობით მუდამ უკმა-  
ყოფილოა და ტირის.

ამავე მნიშვნელობით ხევსურულში ყოფილა „არვიცა“  
და „ვიცა“. აკ. შანიძის „ხევსურულ პოეზიაში“ არის ასე-  
თი ლექსი:

არვიცაო და ვიცაი ფიცის კარს მიუღიანა,  
არვიცა, შინავ დაბრუნდა, ვიცას აფიცებღიანა.

არმინდა თავპატიქა, სუფრაზე ხვეწნის დიდად მოყვარუ-  
ლი, მაგრამ ხარბი და გაუმადლარი ადამიანი. ასეთზე იტყვიან:  
არმინდამ ცხრა ჯამი ლობიო მოტორაო.

არყის დადაღვა (იხ. ლენინის დადაღვა).

### აყვანილი

ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა: აყვანა, ხელში აყვანა,  
კიბეზე აყვანა და სხვანი, ყველასათვის ცხადია და ცნობილი.  
ასევე ცნობილია „შვილად აყვანა“. მაგრამ „აყვანას“ სხვა,



გადატანითი მნიშვნელობაც უკონია, ერთგვარ „სამეანო“ ტერ-  
მინადაც გადაქცეულა და ყოველდღიურ მეტყველებაში გავრ-  
ცელებულა.

„აყვანილი“ ახალდაბადებულ ბავშვს ნიშნავს, იტყვიან, ეს  
ბავშვი ამის და ამის აყვანილიაო. ვთქვათ, ქრისტინეს აყვანი-  
ლიაო. ეს ნიშნავს, რომ მელოგინე ქალი ქრისტინემ მოამშო-  
ბიარა და ბავშვი მან „აიყვანა“. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა  
ინმარება დასაველურ კილოებშიც.

### აყვერება

ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მსუქან, დანეხვილ ნიადაგზე  
ბოსტნეული, ბალახიც, თამამად ახვითქდება, უცებ ავარდება,  
ტანს აიყრის, — აყვერება.

აყვერებული ბოსტნეული თამამია, მაგრამ „ძალა ზრდაში  
აქვს დახარჯული, აბოლებულია“, არ ვარგა.

ზოგიერთ დიალექტში ამ მოვლენას „აყვირებას“ ეძა-  
ხიან.

„განმარტებით-ლექსიკონში“ ფიქსირებულია კახური და  
ფშაური („აყვირებული შამბნარი“—ვაჟა) მაგალითებიც. სა-  
ინტერესოა „აყვირება“-ს სინონიმი „აქუხება“. ამის მსგავსად  
თვალადელებიც ამბობენ: „ბალახმა დაიძახა... სინ-  
მინდმა დაიძახა“-ო. „ქიზიყური ლექსიკონიც“ „აყვი-  
რებას“ ადასტურებს („აყვირება, ალაღება“).

თვალადურ „აყვერებას“ ეხმიანება ვუკ. ბერიძის „იმერულ  
და რაჭულ თქმათა სიტყვის-კონა“ (ყვერება, აყვერება), მაგ-  
რამ არ ჩანს, იმერულია თუ რაჭული. იქნებ ორივეგან ასე  
ხმარობენ.

### აცრით რწყვა

ქართლში სარწყავი წყალი მცირეა, მიწა კი—გამოგვეგალული  
და დახეთქილი, ამიტომ სარწყავი წყალი რომ არ „გაიპაროს“:  
პირდაპირ, მიგდებით, რწყვას ერიდებიან, ნაკადელს  
გზას ბარის წვერით „უცრიან“, უკვლევინ. მიგდებით რწყვა  
26

ნაკადელის ერთბაშად, დ ა რ უ ე ბ ი თ მ ი შ ვ ე ბ ა ა, იგივე დატანით რ წ ყ ე ა. ამგვარად მხოლოდ მაშინ რწყავენ, როცა წყალი ბევრია: ნაკადელს პირდაპირ სანაკადლოდან მიუგდებენ ნაკვეთში, თავისთავად იდინოს და დაიტანოსო.

აწურული რძე ძროხის მიერ ინსტიქტურად ჯიქნიდან ზევით აწურული, „ხბოსთვის შენახული“ რძე, რომელსაც მწველავი საგანგებო ხერხით გამოსტყუებს ზოლმე (დაწვრილებით იხ. მოგერისება).

### ბან-ზე თქმული

#### ბადალოვანი ყანა

ეს გამოთქმა გვხვდება პ. უმიკაშვილის „ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ დაბეჭდილ ლექსში (907, უთარილო):

ყ ა ნ ა ს ა ბ ა დ ა ლ ო ვ ა ნ ს ა ა რ უ ნ და დახედულობა,  
თავში შამოკრა ულოსი, ბოლოში გახედულობა.

ჟურნალ „მნათობის“ (1963 წ. № 8) ფურცლებზე გამოქვეყნებულ „თვალადური ქართულის ქაშნიკში“ გამოთქმული მქონდა ვარაუდი: „ბადალოვანი სახელოვანის მსგავსად უნდა იყოს წარმოებული“. თუმცა იქვე ექვს გამოვთქვამდი: „კონტექსტის მიხედვით ძნელდება ზუსტი მნიშვნელობის დადგენა...“

ჩემი ვარაუდი შემეცდარი აღმოჩნდა. შეცდომაზე მიმითითა ალ. ჭინჭარაულმა, რომელიც ჩემს ჩანაწერებს ხელნაწურშივე გაეცნო და მრავალი საყურადღებო რჩევა მომცა... მაგრამ ამ შეცდომის გასწორება არ მოხერხდა. ჟურნალი უკვე დაბეჭდილი იყო.

ყოფილა ამ ლექსის ვარიანტები, სადაც ბადალოვანის ადგილას არის ფათალიანი:

ყ ა ნ ა ს ა ფ ა თ ა ლ ი ა ნ ს ა ა რ უ ნ და დახედულობა,  
გავლა უნდა და გამოვლა, ნამგლისა შოლესულობა.

... ყ ა ნ ა ო ფ ა თ ა ლ ი ა ნ ო , ბ ი ჯ ე ბ ი ე ა ქ ა რ ი ა ნ ო ...

ყოფილა ხევსურული ლექსი, სადაც ბადალოვანისა და ფათალიანის ნაცვლად ნათქვამია: „ყანასა დალეულასა...“

„ფათალა“ განმარტებითი ლექსიკონის ახსნით „იგზვეკ, რაც ხვართქლა (შდრ. ფ ა თ ა ლ ო)“. ამ განმარტებას ერთ-ვის ხალხური ლექსი:

გულს ჯაერქ გადამეხვია,  
როგორც ყანაზე ფათალა.

„ფათალა“-მ და „ფათალო“-მ ქიზიყურ „ბ ა დ ა ლ ო“-ს-თან მიგვიყვანა. სტ. მენთეშაშვილის ახსნით ბადალო ყანის მტერი ხვართქლაა. „ყანაში თუ მოვიდა, დაეხვევა, დააწვენს და დალუპავს“.

„ბადალოვანი“ ბადალო-დან ბუნებრივად მიღებული სიტყვა ჩანს, მაშასადამე, სალექსიკონოც.

### ბ ა რ უ ლ ა

ბარულა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება და ფიქსირებულიც არის ლექსიკონებში. საბას განმარტებით ბარულა სათხრელია. ამ ახსნას „განმარტებითი ლექსიკონი“ უმატებს: „ბოსტნეულის საოშავი ხის იარაღი (ალგეთის ხეობაში)“.

თვალადური მეტყველების საფუძველზე შესაძლებელია ამ სიტყვის მნიშვნელობის დაკონკრეტება და შევსება:

1. ბ ო ს ტ ნ ი ს ს ა ჩ ი ჩ ქ ნ ი, პატარა, წვეტიანი იარაღი. არის ხისაც და რკინისწვერიანიც.

2. პ ა ტ ა რ ა ბ ა რ ი. ამ შემთხვევაში „ბარულა“ ბარის კნინობითია, ისე, როგორც „თუნგულა“ თუნგისა.

გარდა ამისა, ბარულა იხმარება სხვა მნიშვნელობითაც: ნიშნავს ქორთა, აკვანში ჩაკრული ბავშვის შესახებ: „ბარულე ბირო შავხსენით, ბიჭმა პაპას ამააფსა და მაშინლა დაიჯერა, რო ბიჭი იყო“.

### ბედაური ქალი

ჯიშინი, ტანადი და მოხდენილი გარეგნობის ქალი. მართლა ქალი, „სულით, ხორციით, ჯანით“... „ქალი არი ბედაური, როგორც დედა-ინდაური“.

„განმარტებით ლექსიკონში“ არის ბ ე დ ა უ რ ი ც ხ ე ნ ი, ბ ე დ ა უ რ ი მ ს ხ ა ლ ი, ბ ე დ ა უ რ ი ტ ყ უ ი ლ ი („ბედ-აური ტყუილი“ თ. სახოკიასაც აქვს ი. ჭავჭავაძის ტექსტის დამოწმებით), მაგრამ, რაკი „ბედაური ქალიც“ გავიგონე, საჭიროდ ჩავთვალე აღნიშვნა. „ბედაურს“ თავისი ხასიათი აქვს და ყველა სიტყვას არ დაერთვის!

- ბედგონიო, ბედგონიო კედელი შენების დროს მრუდედ აყვანილი კედელი (შდრ. საბა ორბელიანის „ბ ე დ ი თ ი, ცუდივით. ბ ე დ ი თ ა დ შ ე ქ მ ნ ი ლ ი“).

### ბედის პური

ჩვეულებრივი მოყვანილობის თონის პურია. შიგ ჩასმულია ნიგვზის ლებნები — ერთი, ორი, სამი... შეიდი. საახალწლოდ უცხოზდნენ ოჯახის თითქმის ყველა წევრს, იმის საწინასწარმეტყველოდ, თუ როგორი წელიწადი დადგებოდა მათთვის. თუ რომელიმე პური ითათებდა, თონეში ჩავარდებოდა, უბედურების ნიშანი იყო იმისთვის, ვის სახელზეც იყო ჩაკრული. პურის კუთვნილებას არკვევდნენ ნიგვზის ლებნების რაოდენობის მიხედვით. „ჩემმა დედამთილმა იცოდა, არ ჩააკრათ, არ ჩააკრათ ბედის პური, ვაი თუ თონეში ჩავარდეს და წელიწადი გავვიშხამოსო“.

დ. ჩუბინაშვილი „ბედის პურს“ ასე განმარტავს: „საახალწლოდ გამომცხვარი პური, — ბედის გამოცდად“. (შდრ. „განმარტებ. ლექსიკონის“ ბ ე დ ი ს კ ვ ე რ ი).

ბენძლი უზომოდ გასუქებული, ლეშადქცეული; დაბენძლებული. იგივე „ბლენძი“.

„განმარტებით ლექსიკონში“ არის „დამუშავებული ლითონისა“ (საბა) და „ძალიან ძველი, დაძველებული — გადატ. ბებერი“-ს მნიშვნელობით.

## ბერბიჭა და ბერკვიცი

ბერბიჭას ეძახიან ხნიერ, მაგრამ უბერებელ კაცს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ქაბუკური იერი. და ძალღონე (შდრ. გვარი: ბერბიჭაშვილი).

ბერკვიცი-ც ასევე ხნიერი და უბერებელი ცხენია, რამელიც, მოუხედავად თავისი ხნოვანებისა, მაინც ამჟღავნებს მოზარდი ცხენის — კვიცის თვისებებს თავისი სიმარდით, სიმკვირცხლით და ღონით.

„განმარტებით ლექსიკონში“ ბერკვიცი ახსნილია, როგორც ბებერი ცხენი. ეს განმარტება, რა თქმა უნდა, ზუსტია არ არის. აკლია სწორედ ის ნიუანსი, რაც ხაზგასმული უნდა იყოს განმარტებაში: ბერის ახალგაზრდობა, ბერკვიცობა. განა ყველა ბებერ ცხენზე ითქმის, ბერკვიციაო?

თვით მაგალითი, რომელიც მოტანილია ლექსიკონში: „მოაყვანიან ბერკვიცი, შეჯდა, მიეშურება, სადაც ომია (აკაკი)“, ამ აზრს უნდა ადასტურებდეს. ბებერ ცხენზე თორნიკე ერისთავი არ შეჯდებოდა ბრძოლის ველზე წასასვლელად, შეჯდებოდა გამოცდილ, ნაომარ, ხნიერ, მაგრამ ახალგაზრდული თვისებებით აღჭურვილ ცხენზე.

## ბლარწი

ბლარწი დაბლარწული, უფორმო... უმთავრესად შალის მატერიაზე იტყვიან, ისეთ შალზე, რომელიც „თავს ვერ იჭერს, სემტკიცე არა აქვს“ და „შეკერვისას სასურველი ფორმა არ მიეცემა. უშნოდ ჩაცმულ ადამიანზეც იტყვიან, დაბლარწულიაო.

რაღაც ნათესაობა უნდა იყოს „ბლარწ“-ს და „ბრანძე“-ს შორის. ბრანძვის მნიშვნელობა ამჟამად სხვაა: დაბრანძული — უშნოდ ჩაცმულს.

ასევე ითქმის „ბლარწ“-სა და „ბლარდნა“-ზე. საბა-ორბელიანი „ბლარდნას“ ამგვარად განმარტავს: „შეხვევა, მობლარდნილი“. მობლარდნა ქართლურში უშნოდ, სას-

წრათოდ და უხეიროდ შეეკრვას ნიშნავს, მობლარდნილი — უშნოდ ჩაცმულს.

ეს სიტყვა სტ. მენტეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონშიც“ არის: „ბლარდნა ტანსამოსის უხეიროდ მიკვრა ტანზე. უშნო სამოსლის შესახებ იტყვიან: ტანსამოსი ზედ ებლარდნებაო“.

### ბოზა

სამი დღის მოზელილი და დამქავებული ცომისგან აცხობენ „საარაყე პურს“. შემდეგ დაამტვრევენ, ჩაყრიან ქვევარში, დაასხამენ წყალს, უზამენ წინასწარ გამზადებულ ალაოს და აურევენ. „ალაო რომ შემოუძახებს“, საარაყე აღულდება... დადუღებული „საარაყე“ უკვე „ბოზაა“. ბოზას გადაიღებენ ქვაბში, მკიდროდ დახურავენ ზარფუშს (თავს), სასულე ადგილებს შემოგოზავენ, რომ 'ჰაერი არ ჩაიპაროს და ქვეშ ცეცხლს შეუწებებენ. გამოხდილ ბოზას „ნახადი“ ჰქვია.

საბას ახსნით „ბოზა ფეტვის ბურახია“ („განმარტებითი ლექსიკონი“ საბას ამ განმარტებას უმატებს ინგილოურ მნიშვნელობასაც: „ტკბილისაგან მოდუღებული სასმელი“).

„მახსიმათი“-ს ახსნაში საბა ერთხელ კიდევ ახსენებს ბოზას: „მახსიმათი ბოზა სვიეთ და თაფლით ჰმნილი, ჩერ-ქეზნი ეწყობიან სასმელად“.

### ბოძანძარა

ქვაბის ჩამოსაკიდი სამფეხა.

სამი გრძელი ბოძის წვერს ერთმანეთს მიაკრავენ წნელით, მავთულით, თასმით. მერე ბოლოებს (ფეხებს) მიწაზე თანაბარი მანძილით გაუდგამენ და სწორედ იქიდან, სადაც ბოძების თავებია შეერთებული, ჩამოუშვებენ ჯაქვს, რომელზეც ყურიან ქვაბს ჩამოაბამენ საქმლის მოსახარშად. ქვეშ ცეცხლს დაუწებებენ.

ბოძი, ბოძი, ბოძანძარა,  
ზედ ქვაბი და ზედაღარა.

„ბოდანდარა“ კომპოზიტია (ბ ო ძ ა ნ - ჭ ძ ა რ ა). პირველ ნაწილში (ბოდან) არქაული ფუძე უნდა იყოს შემონახული მრავლობით რიცხვში „ძ მ ა ნ“ და „ღ ა ნ“ ფუძეების მსგავსად (იხ. და შდრ.: „ძ მ ა ნ ბ ი“).

„ბოდანდარა“-სთან შედარებისთვის საინტერესოა საბას „ო ჯ ი ნ ჯ ა რ ი“, რაც ქვების საკიდად არის განმარტებული. აგრეთვე ვუკ. ბერიძის ლექსიკონში ახსნილი რაჭული კაჩა, კაჩხა, — „ო ჯ ი ნ ჯ ა ლ ა, რომელზეც ნაქა (საქვაზე) ჰკილია“:

რომ ჰკილია ნაქა ოჯინჯალაზე,  
არ გაეცვალა მე ახლანდელ ზალაზე.

ბრეცელა თვალეზბრეცელა (შდრ. ღრეცელა).

ბუკაკა გამოშტერებული, გამოლენჩებული. მეტსახელია კაცისა.

ბუნჯუხა მსუქანი, მოკუნტული (შდრ. ბუნჩულა, ფუნჩულა).

ბურდოხი, ბურდოხი სახე მოღუშული, პირქუში.

შოთა ძიძიგურს თავის მთარაქულ ჩანაწერებში დამოწმებული აქვს „ბ ო რ დ ო ხ ი გულდამძიმებული რო დაიარება... ბ ო რ დ ო ხ ო ბ ს საწყალი დევი დაქრილი“. გურულში „ბ ო რ დ ო ხ ი უსიამოვნო ბოხი ხმით ლაპარაკი“-ა. იხმარება ზმნის სახითაც, როგორც მთარაქულში: ბორდოხოზს (იხ. გ. შარაშ. ლექსიკ.).

ბწყალი, ქვის ბწყალი წერილად წანამტერევი, ანატეხა. „ბწყალიც ვერ შეატეხეს ლოდსა.“ (შდრ. „განმარტ. ლექსიკ.“).

ბან-ზე თქმული:

გაავწინებთა გაკაპასება, ზნე-ხასიათის შეცვლა. უმთავრესად ბავშვებზე იტყვიან. ქიზიყურ მეტყველებაში უნიშნულია: გ ა ა ვ ზ ნ ე ვ ე ბ ა.

გაავზნისებული გააკაასებული, ზნეშეცვლილი. „განმარტ-  
ლექსიკონში“ არის: გაავზნებული და გაავზნიანებული.  
გაბუწურებული გაწვრილებული, გაწრიოკებული.

### გადაქართულება

გადაქართულება ნიშნავს გადავიწყებას, სათქმელის გუ-  
ლიდან გადავარდნას. როცა უცებ რამე სათქმელი ან სიტყვა  
დაავიწყდებათ, იტყვიან, ლაპარაკში გავერთე და გ უ ლ ი გ ა -  
დ ა მ ქ ა რ თ უ ლ დ ა ო .

ერთი შეხედვით უცნაური გამოთქმაა, მაგრამ თუ ჩაუყ-  
ვირდებით, სხვა ამის მსგავსი მოვლენაც მოინახება ქართულ-  
ში, რომლითაც შესაძლებელი გახდება ახსნა.

„გადაქართულებაში“ ქ ა რ თ უ ლ ი საერთოდ სიტყვის  
მნიშვნელობდთ უნდა იყოს ნახმარი. ქართულში ხშირად გაიგო-  
ნებთ ასეთ გამოთქმას: „არ მომწონს შენი ქართული“ ან „თუ  
ძმა ხარ, ერთი კარგი ქართული გამაგონეო“.

ამ გამონათქვამებში „ქართული“ ყველგან „სიტყვას“ ნიშ-  
ნავს. „არ მომწონს. შენი ქ ა რ თ უ ლ ი“ ნიშნავს: „არ მომ-  
წონს შენი ს ი ტ ყ ვ ა“.

გაეიხსენოთ რუსთაველის „არ შეამოკლოს ქართული, არა.  
ქნას სიტყვამცირობა“. აქაც „არ შეამოკლოს ქართული“ ნიშ-  
ნავს: არ შეამოკლოს სიტყვა. სიტყვა „ქართულის“ ამგვარი  
მნიშვნელობა სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია, ამიტომ  
დავუბრუნდეთ „გადაქართულებას“. აქ სიტყვის გადავიწყება  
უნდა იყოს ნაგულისხმევი. „გადაქართულება“, თუ შეიძლება  
ითქვას, — „გადასიტყვებას“ (სიტყვის გადავიწყებას — სათქ-  
მელის გადავიწყებას) უნდა უდრიდეს. ქართულში მრავალია  
მსგავსი გამოთქმები: „გადაკრუხება“, „გადაჯიშება“ და სხვ.

გადაქუხება 1. ავდრის სწრაფად გადავლა, გამოდარება.  
2. უღროოდ ამოწყვეტილებზე იტყვიან, გ ა დ ა ი ქ უ ხ ე ს ო .  
„ისე გ ა დ ა ი ქ უ ხ ე ს, ვეღარაფერს მოესწრნენ.“

გადაღერძილი სამტროდ გადაკიდებული. ამბობენ „გ ა დ ა -  
ღ ე რ ძ ი ლ ე ბ ი ა რ ი ა ნ“-ო.

გადაღმერთილი გადაზნექილი, უშნოდ გადაბრეცილი ხე,  
მარგილი, სარი, ღობე. ითქმის გ ა დ მ ო ღ მ ე რ თ ი ლ ი ც .



გადაძაფვა გადაბმა, წარმოებულია „გადაჯაჭვის“ მსგავსად.

გადაწირვა სიმშლით დასუსტება, გულის მილევა, ღონის დაკარგვა, უღონობა. „ხანდახან სიმშლით ისე გადაიწირება ხოლმე, რომ... გული გადაემეწირა“.

გადახენცვა და გადახვარცლვა დაკარგულსა და თვალს მიფარებულზე იტყვიან: „სად გადაიხვარცლა — და სად გადაიხენცა“-ო. საბას აქვს: „ჩამოხინცვა“ და ასე განმარტავს: „ჩამოსვლა მთიდან ბარში, მთისკაცნი ხმარობენ, ახლა: ჩამოვიხინცენითო“.

### გადილავება და გარიალება.

დილით, სანამ მოწველიან, ძროხას გააბალახებენ, რომ მეტი მოიწველოს, ამას გადილავება ჰქვია. იტყვიან: „ძროხა გავადილავე... ჯერ არ გამიდილავებია“ და სხვ. ამავე მიზნით მეწველი ცხვრის საბალახოზე დილით გარეკვას გარიალებას ეძახიან. „ცხვარი გავარიალე... გაურიალებია“. (გადილავებას ხევესურები გადილაურებას ეძახიან).

ხომ არ არის გადილავება და გარიალება „ბალახით მოგერიდება?“ (იხ. მოგერისება).

გაემინება გამოდარება, გაამინდება. „გუშინ ავდრობდა, დღეს გადაიყარა და გაემინდა“.

— გაკაჭაჭება გაზაფხულზე ნასიმინდარიდან სიმინდის კაჭაჭის ამოყრა, ნიადაგის გაწმენდა, ახალი თესვისთვის მომზადება.

გაკეთება, ღორის გაკეთება ღორის, ქათმის და სხვა დაკლულთა გაპუტვა, გასუფთავებას „გაკეთებან“ ეძახიან. არის აგრეთვე გამოთქმა: „თავფეხის გაკეთება“ (იხ. დალორება).

გაკივივება გათითოება.

გაკივივებულზე გათითოებული, გაფანტული, იშვიათი.

გამთაბარება განუვარდება, თავის აშეება. „ძალიან იმთაბარა...“ „რაც ქმარი ჯარში წაუვიდა, ძაან გაიმთაბარა“.

გარდა ამისა, „გამთაბარებას“-ს ეძახიან ძველებურ წესს: ბედნიერ დღეს მოქეიფენი „ოჯახის წასულთა“ (მიცვალეებულთა) საფლავებზე გავლენ, თან პურმარილსა და ლეინოს წაიღებენ და შესანდობარს ეტყვიან. „ჩავძახოთ, ოჯახის კირგი იმთაყ უნდა გაიგონო“.

გამოსაკლარტი პირის გასასველებელი, პირში გამოსავლები. უმთავრესად ზაფხულის ხილზე ითქმის. „პირის გამოსაკლარტი არაფერი გვაქვს წელსა“.

გამწოვილი, გამწოვილი კაცი წერილსახიანი, გამხდარი, გაწრიოკებულნაკვთიანი, ნისკარტა.

არის „გამწოვილი სახე“-ც. იტყვიან „მელსავეით გამწოვილი სახე ჰქონდა იმ კაცსა“-ო.

გამწლელი გალელი, გამხდარი. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით იხმარება გურულ დიალექტშიც.

გამწყო მორგებელი, სასურველი ზომის ტანისამოსი, ფესაემელი და სხვ. „ჩემი გამწყო შარვალი ვერ ვიშოვნე“.

გამკლელი მკლე, გამხდარი. იგივე „გამწლელი“.

განახმარება ნახმარობის დატყობა. განახმარებულნიშნავს ნახმარს. „თვისას ინახავს, უფროხილდება, არ უნდა განახმაროს და პეწი დაუკარგოს, სხვისას კი, იცოცხლე...“

განიადაგება გამუღმივება, გამუღმისება, გამუღამება.

### გაორყნება

გათამამება, გაურჩება, გარყვნა, თავის აწყვეტა. უმთავრესად განებივრებულ შინაურ პირუტყვზე იტყვიან: „რამ გააორყნა და გაათამამა ასე ეს კამეჩიო“. გადატანით აღამიანზეც ამბობენ: „გაორყნებული და გაყვინიყვებული ქალიაო“.

გაორყნება და რყვნა ძირითაც (რყ) უნდა ენათესაებოდნენ ერთმანეთს.

გაპირქული გამაგრებული, გაქევეებული, გაშეშებული.  
გარდილი გაზრდილი. „ე გოგო ჩემი გარდილია“.  
გარემრგვალად ირგვლივ, გარეშემო.

გაუარეს გარემრგვალათ  
ვერ იპოვეს კარი მისი. (ამირანი).

გარკოვება გამაგრება, გაუხეშება.

შენატრული ყურძნის მარცვალი მაგრდება და უხეშდება.  
ამბობენ: „ყურძენი გარკოვებულაო“.

### გარნახი, გარნახის წვერი

ეს იშვიათი სიტყვა გვხვდება ერთ ძველ ხალხურ ლექსში,  
რომელიც გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის „ხალხურ ზე-  
პირსიტყვიერებაში“. მისი მნიშვნელობა ჩემთვის გაურკვევე-  
ლია. აი ის ლექსიც:

წყლისა რღვნასა მოვესწარო,  
წვერი მქონდა გარნახისა.

### გარჯილა და გაურჯელა

გარჯილა -ს მშრომელ, მუყაით აღამიანს ეძახიან. მაგა-  
ლითად: გარჯილა ბებია. გარჯილა გარჯილის კნინობითია. გა-  
ურჯელს კი თავისი კნინობითი აქვს: გაურჯელა.

გაურჯელას სახელდახელოდ, „თათარიანხნად“ ჩაყა-  
ურმებულ თუ ჩახრაკულ საქონლის შიგნეულს ეძახიან. „დიდი  
ჯაფა არც გაკეთებას უნდა, არც ქამას“, ეს სახელი იმიტომ  
ჰქვიათ. ქიწნურა ვაზს შეწამლვა და ლოლიაობა არ სჭირდება,  
ამის გამო მასაც „გაურჯელა“ შერქმევიან.

„გაურჯელა“ კოჭობანას ტერმინდაც ქცეულა: მარჯვე  
მოთამაშე ერთი მორტყმით რომ მოიგებს და წამოხვეტავს.

გაფრანკება განრისხება, გულის მოცემა. გაგულისებულ  
კაცზე იტყვიან: „გაფრანკდა, გული მოიცაო“. ქიზიყურ მე-

ტყველებაში იხმარება „გ ა ფ რ ა ნ გ ე ბ ა, ფ რ ა ნ გ ვ ა“. მართალია, ხალხურ „ამირანში“ ქიზიყურის მსგავსად არის:

გაფრანგდა, კარი შელწა,  
ვითარც ვმირთა წესი არი,

მაგრამ „გაფრანკება“ უფრო ძველი უნდა იყოს.

„გაფრენილი ნაბიჯი ძალიან სწრაფად, თითქმის სირბილით სიარული. „გაფრენილი ნაბიჯით მიდიოდა“.

გაქილვა, ენის გაქილვა დაკლული პირუტყვის ენის მომზადება (გაფხეკა-გასუფთავება) მოსახარშად ან შესაწვავად. „ენა გაქვილე... გაქილულია“.

გაღვიჯიჯებული გაღვიებული ხორბალი. „მარცვალი უკვე გაღვიჯიჯდა“.

გაყოფება, იგივე გაყოფება. (საგნის მსხვრეველი, მტვრეველი თვისება). „ვაზის რქა აღრე გაზაფხულზე მორჩილია, მერე, წყალი რო ჩაუდგება და გაყოფდება, აღვილად იმტვრევა... გაზაფხულზე რქას წყლიანობა ემატება და ყოფდება... ყოფია“.

### გაშაპრება

ხელის კანის გაუხეშებას, დახეთქვას „გაშაპრებას“ ეძახიან. იტყვიან: „ხელები გაშიშაპრდაო.“ ნორჩი მცენარე რომ გაიზრდება და გახედდება, იმაზეც ამბობენ — გაშაპრდაო. „გაშაპრებული მამულა მხალღ და ვაზის რქა აღარ იჭმევა.“

საბას ერთი განმარტებით „შაპრი ბალახია“, მაგრამ ახსნილი არა აქვს, რა ბალახია, როგორი. შაპრი არც ალ. მაყაშვილის ლექსიკონშია. ეტყობა რომელიმე უხეში მცენარე უნდა იყოს.

## გაწლობილი

ძალიან გამხდარ, გალეულ, გაწვრილებულ ადამიანზე იტყვიან: გაწლობილიაო. „რამ გააწლო და გალია ეს გოგო ასე, ლამის წელში გადაიმტვრეს“.

ამ სიტყვას ხმარობს რუსთაველი თავის პოემის ერთ სტროფში:

დაჯე წერად ქირთა ჩემთა, მელნად მოცემ ცრემლთა ტბასა,  
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა თმასა\*.

იესე ბარათაშვილის „ანდერძში“ გვხვდება „სიწლო“: „რამეთუ ვარ სიმაღლითა ასაკისათა შვილისა ჩარეჱისა წყრთეული, სიწლოთა ფრიად წვლილ და მქლე, ხელნი და ფერხნი მსუბუჱ და წვლილ...“

სიწლო ქართლურ მეტყველებაში დღესაც იხმარება სიწვრილის გამომხატველად და სიმსხოს საპირისპირო შინაარს შეიცავს (შდრ. საბას: „მოწლო ცოტად წურილი“.)

ამ ორი სიტყვის დამოკიდებულების გარკვევისათვის საინტერესოა რუსთაველის ზემოთმოყვანილის მომდევნო სტროფის მეორე სტრიქონი:

მზე გამავებს, მზევე გამლევს,  
ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები.

სიწლო გარდა ქართლურისა, იხმარება ქიზიურ მეტყველებაშიც და სიწვრილე-სიგანეს ნიშნავს (იხ. ქიზიუ. ლექსიკ.).

სიწლოს (სიწვრილე) და სიმსხოს (სიმსხვილე) უკავშირდება სიღბშოს საკითხიც. სიღბშოს საბა ასე განმარტავს: „ესუ არს ღრუბელი თუ ნისლი და მისთანანი ზრქელად და ხშირად იყოს“.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, სიღბშო არის სიღბშირე და სისქელე. ამ განმარტებას აზოგადებს და

\* ჩემს შიერ იმის აღნიშვნა, რომ ესა თუ ის სიტყვა მავან და მავან ძეგლში გვხვდება, არ ნიშნავს, რომ ან უფრო ძველში, ან საერთოდ სხვაგან არ იყოს. სადაც შემხვდა, იქიდან ვიმოწმებ.

უფრო მარტივად ხსნის საბას მოწაფე ნიკო ჩუბინაშვილი:  
„ს ი ხ შო, სიხშირე ტევრთა, ანუ სისქელე ნისლთა და  
ღრუბელთა“.

სიხშო, როგორც ჩანს, საგნის შინაგან თვისებაზე მიგვი-  
თითებს (სისქე; სიხშირე), ხოლო სიწლო და სიმსხო საგნის  
თვალთ დასანახ გარეგნულ მხარეზე (სიწვრილე-სიმსხვი-  
ლეზე).

**გაუგუჯილება (ფიგურ.)** გათამამება. „ძან გაიჯეჯილა...  
ითმინა, ითმინა და მერე გაიჯეჯილა“.

**გეძახიან**, მაშა უარყოფის ირონიული წამოძახილია. და-  
ცინვით ეტყვიან იმას, ვისაც რალაცის იმედი აქვს, სჯერა და  
უნდათ გაუტრიზავონ.

### • გვართხელი და გვარგამრავლებული

**გ ვ ა რ თ ხ ე ლ ს**, **გ ვ ა რ თ ხ ე ლ ე ბ ს** ეძახიან იმათ, ვისი  
გვარიც შეთხელებულია და არა მრავლდება, ამოწყვეტაზეა  
მიმდგარი.

გვართხელი ლიტერატურულ თუ სასაუბრო ენაში გავრცე-  
ლებული **გ ვ ა რ გ ა მ რ ა ვ ლ ე ბ უ ლ ი** ს საპირისპირო სიტყ-  
ვაა და მან თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს ქართულში, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა პატარა ერის შვილის გულში  
უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

ს. ქეთელაურის ცნობით ხევსურეთში გვარგამრავლებუ-  
ლებს „კაცრიელნი“ ჰქვიათ, ხოლო გვართხელებს ანუ იმ  
გვარს, რომელიც ამოწყვეტაზეა მისული — „უკაცურნი“, ან  
„კუნწზე მისულნი“. ასეთი გვარის კაცებზე ხევსურები იტყ-  
ვიან: „ცას ბეწვით ღბიან“-ო.

**გველის შეწვა** გადამტერებულ კაცზე იტყვიან, რა. **გ ვ ე -  
ლი** შეუწვი, რა დაუშავე, რომ ასე გადაგეკიდაო.

### გუგულის თოვლი, ხაგუგულე თოვლი

აპრილში მოსულ გვიან თოვლს **გ უ გ უ ლ ი** ს **თ თ ვ ლ ს**  
ეძახიან, ალბათ იმიტომ, რომ გუგულის მოტრენის პერიოდს

ემთხვევა ეს უდღეური, უკანასკნელი გაბრძოლება ზამთრისა. გუგულის თოვლი მალე დნება. სხვანაირად საგუგულე თოვლი ჰქვია.

### გუდასისხლი და სისხლისგულა

„რა არის კაცი, — მითხრა ერთმა თვალადელმა, — გუდასისხლი და მეტი არაფერი... ერთს უფუქებენ და დაიცილება!“

თუ ქართლელი სისხლით სავსე გუდას ადარებს ადამიანს, სიტყვის ხატოვნებით არანაკლებ განთქმული ხევსური შეუდარებელი სარკაზმით უწოდებს კაცს „ქართ გასივარქინოს“ — ჰაერით გავსებულ ტიკს (ს. ქეთელ.).

კასპიდან გ. ხორგუაშვილმა მომწერა, რომ არის გამოთქმა სისხლისგულა-ც, სისხლისგუდას ეძახიან კაცს, რომელსაც კაცის კვლა არ ეზარება (შდრ. კაციკალია).

გულისა რაც გულს უნდა.

„გულისა ბრმა ამოთქვას“.

„ენამ გულისა უნდა თქვას და ფერუმარული რა საქირა“ (ი. ჭავჭავაძე).

გულის გადაფერვა გულის მისუსტება, მიღევა. „გული მეფერება“, „გული გადაეფერა“.

გულის გადაქართულება გადავიწყება სიტყვისა, სათქმელისა, (იხ. დაწვრილებით „გადაქართულება“).

— გულის დახენება გულის დაავადება, დასნეულება. „გული მისენდება, მომკლავს ამდენი დარდი და ბოღმა“.

გული ზამთარი შუა ზამთარი. ასევეა წარმოებული „გული შირაქი“, „გული ძილი“.

გულის განედლება გულის შეება, გახალისება, გაახალგაზრდაება კარგი სიტყვით, კეთილი მოქმედებით.

ეგრე მითხარ, მეზობელო,

სიტყვით გამინედლე გული.

გულის მოტკბობა მზელავი ცომის ზელვას რომ მოათავებს, ვარცლის ანაფხეკსა და ხელის ნაფშენეტ-ნასორსლებს ერთად მთაგროვებს, ხელახლა შეზელს, დიდ ცომს გულს

(სიღრმეს) გაუკეთებს, თბილ წყალს დაასხამს, მერე ამ შენა-  
ზელსა და დიდ ცომს ერთმანეთში გადაზელავს. ამას ჰქვია  
ცომის გულის მოტკბობა.

### გულმეცნიერი

ამ სიტყვას ყველაფრის მცოდნის, გულთამხილავის მნიშ-  
ვნელობით ხმარობენ. „რა ვქნა, გულმეცნიერი კი არა ვარ,  
რომ ყველაფერი ვიცოდე.“

არჩილ მეფეს თავის პოემაში „მეფეთა საქებელნი და სამ-  
ხილებელნი“ — ნახმარი აქვს „გულთ მეცნიერი“ ღმერთის  
მნიშვნელობით:

ღმერთო, ძლიერო, გულთ მეცნიერო,  
მომხედ წყალობით შენ მიერითა!

გურულ კილოში გ. შარაშიძეს შენიშნული აქვს „გულთ-  
მეცარა — გულთმისანი“.

გულჭიდილი გულის ავადობა, გულის ხუთვა, ჭიდილი.  
გულთაზრიანი მიხვედრილი, გულით გამგები, გულგონი-  
ერი.

გ. შარაშიძეს გურულში დადასტურებული აქვს „გულთ-  
აზრი, გრძნობით გაგება.“

### ღონ-ზე თქმული:

დაგემოვება გემოს გაგება, დაქაშნიკება. „ჯერ მეუგემუ-  
რა, მერე კარგა რო დავიგემოვე, მომეწონა.“

დაღანი შითქმა-მოთქმა, გაკილეა. „გინდა სოფლის სადა-  
დანოც გამხადო?“

დათავსება მოთავსება, თავისი ადგილის მიჩენა. ბევრზე  
იტყვიან: „რა ჰქენი, დაათავსე?..“

დათავჯრა წესიერად დალაგება, დაზვინვა.

დათართვა დაგრეხილი ძაფის მოშვება. „ძახვის ღროს  
მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალებს თითისტარი, დათარ-  
თვისას — მარცხნიდან მარჯვნივ“.



დაისლამე ჩემი მეზობლების განმარტებით ახლად შელამებას ნიშნავს.

დაისლამე იმ იშვიათ სიტყვათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც თვალადურ მეტყველებაში დღესაც იხმარება და ჩემი შემოწმებით არც ერთ ლექსიკონში არ უნდა იყოს.

„დაისი“ საბა ორბელიანის ლექსიკონში არ არის. ასევე, არც მის თხზულებათა უკანასკნელი გამოცემის ლექსიკონებშია. უნდა ვიფიქროთ, რომ საბა ამ სიტყვას არ ხმარობდა, ან მის დროს ეს სიტყვა არ იხმარებოდა.

დაისი დავით ჩუბინაშვილის განმარტებით „მწუხრის დასაბამია“.

ამ განმარტებით იმიტომ ვიწყებ, რომ მეტად ნათელი და კონკრეტულია, თორემ ნიკო ჩუბინაშვილი უფრო ადრე დაისსა და დაისით ლოცვას ამგვარად ხსნიდა:

„ლამისთევა, პირველ ღამით გარდახდა მწუხრისა და ცისკრისა ერთად, „Всенощное бдение“. როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ღამისთევა იწყება დაისის ლოცვით და მთავრდება ცისკრის ლოცვით. ისე, რომ დაისი (იგივე მწუხრი) და ცისკარი შელამებისა და გათენების საზღვრებია.

საბა ორბელიანი ღამეს ვრცლად განმარტავს, ამის გამო შოვიყვანთ ნაწილს, რომელიც შელამებას ეხება:

ღამე ეწოდების მწუხრიდან ვიდრე გათენებამდე, ხოლო მწუხრი დასლვასა მზისასა და

შერიჟუება მცირედლა მოლამებასა,

ბინდი ღამის მოწვენასა, გინა დილის განთიადობასა“.

სად უნდა ვეძებოთ თვალადური „დაისლამის“ ადგილი?

„დაისლამე“ კომპოზიტია (დაის-ღამე) და მისი შინაარსიც უთუოდ შეიცავს დაისისა და ღამის შერწყმას — ისევე უნდა იყოს წარმოებული, როგორც „დილაღამე“. როგორც „დილაღამიან“ სინათლისა და სიბნელის, დღისა და ღამის გაყრას ნიშნავს, „დაისლამე“ ღამისა და დღის, სიბნელისა და სინათლის შეყრის (შერწყმის) უამია, ამიტომაც ჩემი თვალი ჩერდე-

ბა საბას „შერიეუება“-ზე. შერიეუება კი „მცირედლა მოლამებია“.

აღნაგობით შერიეუება შერიერაეებას ჰგავს. ეს ორი სიტყვა ერთი ძირიდან („რიე“) უნდა მოდიოდეს (შე-რიე-უება — შე-რიე-რაე-ება), შინაარსითაც „მცირედ მოლამების“ პროცესი მსგავსია განთიადის რიერაეისა.

შესაძლებელია, ოდესღაც შელამებისა და განთიადის იმ ეამს, რომელზეც ლაპარაკია, ერთი სახელი რქმეოდა. ამას ადასტურებს საბასეული „ბინდის“ განმარტება: ბინდი საბას ერთდროულად ღამის მოახლოვებისა და განთიადის დაწყების ნიშნად აქვს ნაგულისხმევი: „ბინდი ღამის მოწვევნასა, გინა დილის განთიადობასა“.

შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ბინდი შელამებისა, ბინდი განთიადისა —

რიერაეი შელამებისა, რიერაეი განთიადისა.

ეს ჩემი ფიქრებია და ახლა ვნახოთ როგორ ახასიათებს შელამებისა და შერიერაეების მოვლენებს საბა ორბელიანი სხვა ადგილას:

„რიეურაეი ბინდ-ბანდი (შებინდება 1,35 მარკ)“.

„გაკისკრება არს უწინარესი განთიადისა (ნათლებისა),“

„ხოლო განთიადი არს მოწვევნა ნათლებისა, რაიმე ნაწილი“.

„ხოლო რიერაეი აღმოჩენა ნათლებისა, რაიმე ნაწილი“.

„ხოლო აღიონი რაღამე და დღე გაირჩეოდეს...“

„შერიეუება ბინდის პირი“.

„რიერაეი“, რასაც საბა ბინდ-ბანდსა და შებინდებას უწოდებს, დამოწმებულია სახარების მარკოზის თავის 1,35 მუხლით და განთიადის რიერაეს ნიშნავს:

„და განთიად რიერაეს-ოდენ, აღდგა და გამოვიდა შიერ, და განვიდა უდაბნოსა ადგილსა მუნ და ილოცვიდა“.

მაშასადამე, საბა ორბელიანს შელამებისა და „განთიადობის“ მსგავსი მოვლენები მსგავსივე და, შესაძლოა, ოდესღაც ერთი მნიშვნელობის სიტყვებით (რიერაეი, რიერაეი, შერიეუება) აქვს ახსნილი.

თვალადური „დაისლამე“ ღამის წინამორბედი შერიკუება; შებინდება, დაისიდან ღამეში გადასვლის ჟამია.

### დაისი და აისი

„დაისლამის“ საკითხმა აღმიძრა სურვილი გამომერკვია „აისისა“ და „დაისის“ ერთმანეთთან დამოკიდებულება და გენეზისი.

ეს საკითხი ასე მესახება:

ა ი ს ი, ასვლა მზისა (აის, ა/დ/ის).

და ი ს ი, დასვლა მზისა (დაის, და/დ/ის).

აწმყო დროის მოქმედების გამომხატველად ქართული ენის დასავლურ დიალექტებში იხმარება:

მიის, მოის (მი-დ-ის, მო-დ-ის).

ბრძან: წაი! მოი! (წა-დ-ი, მო-დ-ი).

არსებობს ხალხური გამოთქმაც „მოის გზა“, რაც აქეთობას ნიშნავს:

„გადავწყვიტეთ, მოის გზაზე ვნახოთ ეს ყორღანები“.

„საკუთრივ რუსთავის ციხის დაზვერვა მოის გზის-თვის გადავდეთ.“ (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. გეოგრ. კრებ. 1, 1960 წ.).

მიის, მოისა და წაი, მოის მსგავსად შესაძლებელია არსებულიყოს (ან იყოს) აის და დაის ზმნებიც.

აის-ა/დ/ის — ასვლა მზისა, ა ი ს ი.

დაის-და/დ/ის — დასვლა მზისა, და ი ს ი.

### შ ე მ დ ე გ მ ი ნ ა წ ე რ ი:

აღ. ჭინჭარაული სხვა საკითხებთან დაკავშირებით თავის ერთ წერილში („ორიოდე შენიშვნა“, „ლიტ. გაზ“. 1958 წ. 1. 8) ასახელებს დღესაც ცოცხალ ხეგსურულ ფორმებს („შეეს“-შესვლისას, „გეეს“-გასვლისას, „მიეს“-იქით წასვლისას, „შეეს“ „მასეეს“ — აქეთობისას, „აეს“ — ავლისას, „ჩაეს“ — ჩავლისას, ჩასვლისას, გადაეს, გადმაეს და მისთანებს) და ასევე ენის: „ასეთი ფორმები სუბსტანტივის სახით გვხვდება სალიტერატურო ქართულში: ა ი ს ი, „გათენება, გარიყრაყი“ —

მზის ამოსვლის დრო, და ის ი, „მზის ჩასვლის დრო, საღამო ხანი, მწუხარი“.

ალ. ჭინჭარაულის ვარაუდით აისი „ვედ“ — ძირს უკავშირდება და არა „დ-ის“ — ძირს.

დაკამარებული სირბილი ხტომით, კამარისკვრით სირბილი. „დაკამარებული გარბის“.

დალიებული მორწყვით ან წვიმის წყლით გაყვნილი მიწა, რომელიც ტალახობს. „დაყიებულსაც“ იტყვიან (შდრ. ლია, ლიანები).

„დალიება და დაბუბუბება უხდება მამულსა...“

დამასმასება საქმის ლაზათიანად, კარგად გაკეთებას: გულ-მოდგინედ დაგვას, გამარგვლას, გატვეთილის კარგად დაკერებას დამასმასებას ეძახიან... იტყვიან: „ისე არი ჩვენი ეზო დამასმასებული რო... დავამასმასე, დაუმასმასებია“.

ეს სიტყვა ლეჩხუმურ კილოშიც იხმარება. „მომასმასებული“ კარგად გაღესილ ნამგალს ნიშნავს, (მ. ალავიძის ლექსი.).

დამთქნარება დღე პატარა დღე, ზამთრისა. „ერთი დამთქნარება დღეა“.

დამუხლვა ვაზისა ვაზის ძირის მთლიანად გადაწვენა-გადაწინდნვას ვაზის; დამუხლვა ჰქვია.

დანქრეული გადატანით ნიშნავს შიმშილით დაღლილს.

„ახ, სად არი, ერთი დანქრეული მწყემსი, რომ კარგა გამოიძენდოს ამ ყაურითა“.

„დანქრეულის“ ძირითადი მნიშვნელობისათვის საინტერესოა „ვისრამიანის“ ერთი ადგილი.

„აღარ იგი ვარ, რომელ შენად მზედ გიჩნდი და ამა საწუთროსა შიგან შენად ლხინად, სიხარულად და იმედად მხედვიდი, და შენ აღარ იგი ხარ, საჩემოდ მკუდარი იყავ და ვითა დანქრეული ფურცელი დამქნარ იყავ“.

„დანქრეული“ აქ ჩამოცვენილს, ხიდან ჩამოყრილს, მიმოფანტულს ნიშნავს“. (იხ. დ. ჩუბ.).

დაორხელება ორივე ხელით რაიმე იარაღის (ცულის, თოხის, უროს...) მაღლა აწევა და მოქხევით დაკვრა.

„დავუორხელე ცული და დავცხე“.

დაორხელება შემხვდა „რუსუდანიანი“: „...შეველ, ვახსენე ღმერთი, უკანით მოუარე, დაუორხელე ლახტსა და რაც შემეძლო მოუქნიე... დავკარ თავსა და ყური შიგ ჩავატანინე“. („რუსუდანიანი“, ი. აბულაძის და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, 1957 წ.).

ქიზიყურ მეტყველებაში ყოფილა „საორხელო კვერი“: „მკედლის დიდი კვერი, ორივე ხელით საცემი კვერი... არის საცალხელოც“. (იხ. სტ. მენტ. „ქიზ. ლექსიკ“.).

დაპილთუმება, კურკლის, უმთავრესად ღვინის, ქვევრის პირთამდე ავსება. „რალათ დამიპილთუმე მარანში ქვევრები, თუ შენი ქელეხისთვის მოხდიდნენ“.

დაურუანტელება ურუანტელის დავლა. „დავურუანტელდი“...

დარღის მიცემა დადარღიანება. „დარღი მიცეცა... მოცეცა“. „დარღს მოგცემ, დარღს დაგავიწყებ“.

დარღის მოცემა იგივე. „დარღი მოცეცა“.

დარიალება, ამბის დარიალება, ხმის დაყრა-გავრცელება. „ხმა დარიალდა... თქვეს და დაარიალეს...“

## დარილი

„რას უდარილებზე“

ჩვეულებრივი გამოთქმაა, რომელიც ყოველდღიურ მეტყველებაში დღესაც იხმარება და თვალთვალს, ზევრავს, ყურისგდებას, დარაჯობას ნიშნავს.

ვინც უდარილებს — ვილაცას უთვალთვალებს, ზევრავს, ჩასაფრებულსავით არის და დროს ეძებს, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. ეს თვალთვალი თუ ზევრვა უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი არაა. დარილს გარკვეული მიზანი აქვს.

თვალადელები დარილს ამგვარად განმარტავენ:

„უდარილა — უდროვა, „მომენტი უპოვა“, დრო უშოვა.“

უდარილებს — დროს ეძებს, რომ თავისი ბოროტება მოასწროს.

უდარილებენ — უთვალთვალევენ, უდარაჯებენ, დროს უპოვნიან“.

მაგალითად, თუ დედა ეზოში მოთამაშე ბავშვს უთვალთვალეებს, ან თუ მეზვრე თავის ვენახს დარაჯობს, არ იტყვიან, „დედა ბავშვს უდარილებს“, ან „მეზვრე ვენახს დარილობს“.

„დარილი“ რაღაც ფარულად განზრახულს გულისხმობს, უფრო ხშირად ცუდს. ისიც უნდა ითქვას, თანამედროვე ქართლელი გლეხის მეტყველებაში ეს „ცუდი განზრახვა“ ზოგჯერ აღარ გამოსკვივის, „დროს წაუღია“, მაგრამ უფრო ხშირად იგრძნობა, რომ ოდესღაც ეს ყოფილა მთაყარი.

აი ხევსურული ლექსი, სადაც „დარილი“ ავი განზრახვის, მიპარვის მნიშვნელობით არის ნახმარი:

შინშო, მთას იქით დაშორდი, თორ გიპირობენ დარილსა,  
შენ ჩემ უკვალს კვავს უჯერე, თორ სად ხერეც ნიორ-მარილსა!

როგორც ჩანს, მხოლოდ უბრალო თვალთვალისა და დარაჯობის მნიშვნელობა აქვს შერჩენილი „დარილს“ ქიზიყურ მეტყველებაში. „ქიზიყურ ლექსიკონში“ შეტანილი „დარილობა“ \* დარაჯობად არის განმარტებული (თუმცა ამ განმარტებას კითხვის ნიშანი უზის).

დარილი საბას განმარტებით „უამთა ძიებაა“, ხოლო დ. ჩუბინაშვილის ახსნით „დროს შერჩევა“. ამ ორ ლაპიდარულ ახსნას „განმარტებითი ლექსიკონი“ უმატებს: „დარაჯობა, ზვერვა, თვალთვალი“ და სათანადო მაგალითების დართვით განმარტავს დარილის მნიშვნელობას.

ეს განმარტება ვერ ამოსწურავს დარილის მნიშვნელობას: აკლია ის, რითაც ეს სიტყვა განსხვავდება ჩვეულებრივი „და-

---

\* ზ. კუმბურიძე მწერს: „...საინტერესოა, რომ თ. ბაგრატიონი ბროსესადმი ვაგზავნილ ერთ წერილში ამ სიტყვით ცდილობდა აეხსნა გეოგრაფიული სახელი დარიალი (ცხადია, ეს ახსნა მდარაია, მაგრამ თვით ფაქტი კი საყურადღებოა)“.

რაჯობისა, ზვერვისა და თვალთვალისაგან“. გაუშიფრავი „ქამთა ძიება“ და „დროს შერჩევა“ ლექსიკონის მომხმარებელს არაფერს ეუბნება. ძველ ლექსიკონებში ჩახედვა და ბეჯითი ჩხრეკვა: თუ მიახვედრებს „დარილის“ კონკრეტულ მნიშვნელობას.

ეს ჩახედვა და ჩხრეკა ბევრ საინტერესო მასალას იძლევა „დარილის“ მნიშვნელობის ზუსტი დადგენისათვის.

იქ, სადაც საბა ორბელიანი დარილს „ქამთა ძიებას“ უწოდებს, იმასაც მიგვითითებს, „გულის-წყრომაში ნახეო“.

„გულის-წყრომა“ კი საბას განმარტებით სამგვარი ყოფილა: რისხვა, ბორგა და დარილი (მზერა).

„რისხვა არს გულის-წყრომა ჯეროვანი შემცოდეთათვის“.

„ბორგა არს მიუმყოვრებელი (მიმყოვნებული) ნავლელი და დაუტადებელი უწესო გულის-წყრომაი“.

„ხოლო დარილი არს რისხვა მეძიებელი ქამთა ტანჯვისათვის ვისამე, რომელ არს მზერა“.

როგორც ვხედავთ, საბას მახვილ თვალს შემჩნეული ჰქონია სამგვარი „გულის-წყრომა“.

1. რისხვა შემცოდეთა, დამნაშავეთა მოქმედებით გამოწვეული ნორმალური, ზომიერი („ჯეროვანი“) გულის-წყრომა ყოფილა.

2. ბორგა აჩქარებული („ხანდაუზმელი“) გულჯავრია-ნობა და მოუთმინარი („დაუტადებელი“) უწესო გულის-წყრომის გამომჟღავნება.

3. ხოლო ჩვენთვის ამჟამად საინტერესო „დარილი“ ყოფილა ვისიმე ტანჯვისათვის ქამის მაძიებელი რისხვა, ანუ მზერა.

მაგრამ რა არის „მზერა?“

საბა არც მზერას ტოვებს აუხსნელად. ის ამბობს: „მზერა არს გულის-წყრომისა დამარხვა, რომელ არს დარილი“.

„გულის-წყრომის დამარხვა“ ნიშნავს ამ გრძნობის გულში ჩადებას, ფარულად შენახვას, რისხვისა და გაჯავრების გასაიდუმლოებას, ისევე, როგორც ერთ ძველ წერილშია ნათქვამი:

\* იხ. შახნავაზის სამძიმრის წერილი საბა ორბელიანის ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო. „ე. თაყაიშვილის „საქ. სიძველენი“, ტ. II გვ. 220.

მი „...ყოვლის ზეაშიადისა ჩემისა დამშარხველი“ \* — საიდუმლოს, გულისნადების შემნახავს ნიშნავს.

ცხადია, „დარილი“ მხოლოდ უბრალო დარაჯობა, ზვერვა, თვალთვალი არ ყოფილა. დარილი გულში ფარულად შენახული რისხვა, გულის-წყრომა და განზრახვის შესრულებისათვის შესაფერჯამთა ძიებაა\*.

დატანით რწუვა როცა წყალი ბევრია, „ნაკადელს“ სანაკადლოდან პირდაპირ ბიუგდებენ სარწყავ ნაკვეთში, თავისთავად იდინოს, წყალი თვითონ დაიტანსო. ეს იგივე მიგდებით რწყვაა. ამათი საპირისპიროა აკრით რწყვა (იხ. აკრით რწყვა).

დაუარება უარზე დგომა, უარის თქმა. იტყვიან: „დაიუარა... დაეუარენ“.

დაქარება ქარის დაკვრა.

დაქარებული არაყი გამოხდის ღროს „ქარდაკრული“ არაყი.

დაღეროვება ვაზის რქის დამსხვილება, ღეროდ ქცევა.

დაღორება, ღორის დაღორება დაკლულ ღორს სანამ „გააკეთებენ“, პირქვე დააწვენენ, მერე მღულარეს დაასხამენ, გაფუფქავენ და შეუდგებიან გაკეთებას. ამას ეძახიან „დაღორებას“.

### დაცარვა და დათართვა

დაცარვა და დათართვა ეწოდება დაგრეხილი (დაძახული) ძაფის მოშვებას, გაცალცალებას. ეს ორი სიტყვა უპირისპირდება „დაძახვა“-ს: რამდენიმე წვერი ძაფის ერთმანეთზე შეგრეხას თითისტარით ან ჯარაზე. ამგვარად შეგრეხილ ძაფს „დაძახული“ ჰქვია. „ძახვის ღროს მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალებს თითისტარი, დათართვისას — მარცხნიდან მარჯვნივ“.

\* საბას თავის ლექსიკონში სხვა ასეთი განმარტებებიც აქვს: „უზირდა მოკლედ ეძიებდა“. „მზირი ყაზახი, გინა მსტოვარი“.



„დაცარვა“ ეწოდება აგრეთვე თოკის, ნართის დაძველება-დაშლას, თოკის გაწყვეტამდე მისვლას, ქსოვილის დაფხავებას და სხვ.

„დაცარვა“-სთან უნდა იყოს დაკავშირებული „ხელის მოცარვა“, საქმის უკუღმა წასვლა. დაცარვისას ძაფი უკუღმა „იცარება“.

დაძაბრვა ტიკის ყელში ძაბრის ჩადგმა ღვინის ჩასასხმე-ლად. იტყვიან, ტიკი დაეძაბრეო.

დაჯოშილი გაზრდილი, დავაუკაცებული. „დაიჯოშა...“

დედამკვდარი მაწონი თავისთავად, უღედოდ შედედებული მაწონი. თხელი და მდარეა, „დედამკვდარი მაწონი მაქამა და ყელში ამომივიდა“.

დედის კანის დაწვა მუქარა. ისეთ ღღეს დავაყრი, დედას გავუმწარებო. „ვეემ კი არა, სულ დედის კანს დაეუწვა მ!“ (მღრ. „მაგის ცოდვით კანი დამეწო“).

### დიდებიანი

ეს სიტყვა გვხვდება ერთ იშვიათი ლექსიკით მდიდარ ხალხურ ლექსში და ნიშნავს დიდებულს, მშვენიერს:

ალვის ხევო და ხელვარდო, ზამბახიანო,  
სათალალო და ბროლო და შუბლ სადაფიანო,  
მარად დიდებიანიო, ეშხით სრულო, ენატკბილო და შაქარო,  
ლომო გრიმო, მარგარიტო, მზე უღრუბლოდ აღმოსრულო.

გარდა „დიდებიანი“-სა საინტერესოა „სათალალო“ და „გრიმო“, თუ ეს უკანასკნელი სიტყვა დამახინჯებული „გმირო“ არ არის. თუმცა ლექსის შინაარსი უფრო ქალისადმი მიძღვნილ ეპითეტებს გულისხმობს: „ხელვარდო“, „ზამბახიანო“... „მარგალიტო“.

ეს ლექსი შეტანილია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“, მაგრამ ხალხური წარმოშობისა არ უნდა იყოს. ლექსის წყობა და ლექსიკა მწიგნობრულია.

შემდეგ მინაწერი:

უსაფუძვლო არ გამოდგა ჩემი ეჭვი იმის გამო, რომ ზემოთმოყვანილ ლექსში „ლომო გრიმო“-ს. მაგივრად „ლომო

გმირო“ უნდა ყოფილიყო. პ. უმიკაშვილის კრებულში არის მეორე, მცირე ვარიაცია ამ ლექსისა, სადაც აშკარად ჩანს, რომ ეს ქება მამაკაცისადმი მიძღვნილი:

ჩემო ძმაო, საყვარელო, ულაშკოკობამოსრულო,  
ლომო, გრიმო, მარგარიტო, მზე უღრუბლოთ აღმოსრულო,  
აფხანაყთა საყვარელო, ჯარშიდ ქებით გამოსულო,  
მიბრძანებდე სამსახურსა, რომ შევძლებდე, ჩემო ძმაო.

„გრიმო“ კორექტურული შეცდომა არ უნდა იყოს, რადგან ორივე ტექსტში ასე იკითხება. შესაძლოა, ჩამწერს უცვლელად დაეცვას მთქმელის ნათქვამი, ან ეს გაუგებარი სიტყვა სხვა რამეს ნიშნავდეს.

ორივე ლექსი ჩაწერილია დ. ბარნაბიშვილის მიერ 1871 წელს სენაკის მაზრაში და ახლავს რედაქტორის შენიშვნა: „ამ ლექსს მღეროდნენ იქ თოხნის დროს და დღესასწაულ დღეებში“.

სხვა ხალხურ ლექსში (უმიკაშე. 88), რომელიც ჩაწერილია კახეთში, გვხვდება ასეთი ადგილი:

„...ათი ათასი ოსმალი ათ კაცზედა წამოვიდა.  
გრიმი გოგია სარდალი არიგებდა თავისთავსა.  
სტყორცნა და წყალში ჩაყარა...“

მწერალ ნ. აგიაშვილის ცნობით იმერეთის სოფლებში მას გაუგონია გმირის ნაცვლად „გრინი“ („შენც დიდი გრინი ვინჟე ხარ!“).

დიდი დღე გრძელი, ხანგრძლივი სიცოცხლე.

დიდიან-ჯუჯუკიანად დიდიან-პატარიანად. „დიდიან-ჯუჯუკიანათ მინდორში არიან“.

დიდრაჯულა ამაყი, ზვიადი ადამიანი.

### დიღბანდი

გულში დაფარული ზნესაქციელი, ქვეცნობიერი ხასიათი, დაფარული აზრი. ხალხური მეტყველებების გარდა შემხვედა ახალგაზრდა მწერლის გ. გოგიაშვილის მოთხრობაში: „ვერ გა-მიგია ამ ბიჭის დიღბანდი“.

დიღბანდი აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება კახეთშიც (ყვარლის, საგარეჯოს რაიონში).

„განმარტებით ლექსიკონში“ დიღბანდი ახსნილია თუშურ კილოს მიხედვით, მ ო ე ნ ე დ.

თუშურ კილოს ახსნასთან დაკავშირებით საინტერესოა საბას ერთი განმარტება, სადაც „დიღბანდი“ თურქულ სიტყვად არის ნაგულისხმევი და გაიგივებულია „სადუნ“-თან. სადუნი კი საბას სხვა განმარტებით არის „სხუა-და-სხუას ენის მცოდინარე კაცი“.

### დიღის რძე და საღამოს რძე

დიღით მოწველილ რძეს „დიღის რძეს“ ეძახიან, საღამოთი მოწველილს „საღამოს რძეს“. ამავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე „დიღის ჯერი“ და „საღამოს ჯერი“.

დიღის წყალი ეს სიტყვა ჩემი ბავშვობის მოგონებაა... ქვემო სართულში, რომელსაც „ძირის სახლს“ ვეძახდით, მიწური იატაკზე დამწკრივებული იყო ცივი სასმელი წყლით სავსე სხვადასხვანაირი ჭურჭელი: უზარმაზარი თიხის კოცები, გრძელკისერა ლიტრები, ლამაზი ღვინის გოზაურები, ჩაფები... სოფელში წყალსადენი არ იყო და მთელი დღის მარაგი დიღითვე მოჰქონდათ. მიწური იატაკი ზაფხულის ცხელ დღეებშიც წყალს გრილად ინახავდა. გახურებული კალოობის დღეებში ხშირად გაიგონებდით: „ჩაირბინე, ბიჭო, დიღის წყალი ამოიტანე, ყელი გაშრა“.

დოვლათის მარცვალი როდესაც ბელლიდან სათესლე ხორბალს ამოიღებდნენ დასათესად, ერთ მუჭა ხორბალს უკანვე ჩააბრუნებდნენ, ძველი მოსავლის მარცვალი ახალს უნდა დახედეს და დოვლათი დაუბედოსო. ბელელში ჩატოვებულ ძველ ხორბალს „დოვლათის მარცვალს“ ეძახდნენ. (შდრ. „ჯამის დამხობა“).

დოინჯიანი ქილა წელმალაღი, ორყურტიანი ქილა.

დოღმა სხვადასხვა ჯიშის შეჯვარების ნაყოფი... გლენმა აზნაურის ქალი შეირთო. მათ შვილს ერთი ბერიკაცი „დოღ-

ნა“-ს ეძახდა. პირველად ეს სიტყვა მეტსახელი მეგონა, მაგრამ ასე არ გამოდგა. „დოლმა“ ნარევი ჯიშის ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვაა, მაგალითად, „ჯორ-ცხენა“ დოლმაა. ეს სიტყვა ერთი ცნობით კახურ მეტყველებაშიც უნდა იყოს გავრცელებული. ადამიანზე გადატანით ამბობენ.

დონი? „ძროხა ნახე და დონი ისე სთხოვეო“.

ჩემთვის გაურკვეველია ამ სიტყვის მნიშვნელობა. ანდაზა ახსოვთ, „დონი“ კი ვერავინ ამიხსნა. შესაძლოა „დო“-ს მრავლობითი იყოს. მაგრამ დო რძის პროდუქტია და, თუ თხოვნაა, ძროხას უფრო „რძენი“ მოეთხოვება. იქნებ ძველ ქართულში „დო“-ს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ან „დონი“ მრავლობითიც არ იყოს.

### მნ-ზე თქმული:

ეკონკება კონკებს იცვამს. ხალხური ნათქვამის მიხედვით ნიშნავს თბილად ჩაცმას. „ზამთარს ეკონკე და ზაფხულს ეკეკლუცეო“.

ემინი ამინდი კარგი ამინდი, დარი. „განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნით ემინი ქიზიყურად გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანს ნიშნავს.

ემინი დილა წყნარი, მშვიდი და კარგი დილა (იხ. „გაემინება“).

ენის ამცრელი ენის ამდგმელი, მასწავლებელი. „საქართველოს ენის ამცრელებს გაუმარჯოს, ჩვენს იაკობ გოგებაშვილსა და ილია ჭავჭავაძესა!“ (თამაღის ნათქვამი).

ხევსურეთში ყოფილა გამოთქმა „ენა აცრილი“ ყბედი, ბევრის მოლაპარაკე (ს. ქეთელაური).

ენის ბუდე პირის ის ადგილი, სადაც მოთაფსებულია ენა. „ენა ბუდიდან ამომივარდა ამდენი ქაქანითა“.

ენის საბრუნე სიტყვის საქციევი. იგივეა, რაც „სიტყვის საბრუნე“. „რამდენი საბრუნე აქვს ამ პატარა ენასა, ხან ასე მოუქცივს, ხან ისე“. (იხ. „სიტყვის საბრუნე“).

ერდო მაღალი ერდო მაღალი წინარეხული. ნაქებია ხალხურ ლექსში.

ერთბაშა მოუფიქრებლად, ერთბაშად მთქმელი თუ მკეთებელი.

ერთანამ, ორი... დაყოვნებით ითვლიან და თვლიან ამგვარად: ერთანამ, ორი... ორანამ, სამი... სამანამ, ოთხი...

ამ თვლას იყენებენ უმთავრესად ძნელად დასამახსოვრებელი თვლის დროს (მაგ. ქვევრიდან ღვინის ამორწყვისას, ან ბელელში მარცვლეულის ჩარწყვისას, ან გაფანტული წიწილების დათვლისას), რომ სათვალავი არ აერიოთ.

ერთობით მხოლოდობით. „მრავლობით სხევანიჩად ითქმის, ეს ერთობით არი!“

ერთ წყალზე გაზრდა ერთი წყლით გაზრდა, ერთი მიწა-წყლის შვილობა. „ერთ წყალზე არა ვართ დარდილები?“

ეწვიმება, წვიმა იქნება, იწვიმებს. „ხვალაც თუ ეწვიმება, ჭარხალში ვერ წავალთ“.

## ვინ-ზე თქმული

### ვაზის დაწვრილშვილება

როცა ვაზს რქით მეტის-მეტად დატვირთავენ, ე. ი. ზომაზე მეტ რქის დაუტოვებენ, ვაზი „რქად იქცევა“, მისი ძალა რქის ზრდაში იხარჯება. მართალია, ბევრსაც მოიხსამს, მაგრამ „ძალა დაადგება და ქვირითას გამოიტანს (იხ. „ყურძნის ქვირითა“).

ამგვარად დატვირთულ ვაზს „დაწვრილშვილებული ვაზი“ ჰქვია. „ვაზი დაწვრილშვილებია და ქვირითა იმიტომ მოუხსამსო“.

### ვარდფენობა

„ვარდფენობა“ მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი დღეა. ვაზაფხულობით იხდიან, საფლავზე მხოლოდ ყვავილები მიაქვთ.

აღსანიშნავია, რომ თვალადურ მეტყველებაში „ვარდი“ ყვავილის სინონიმად იხმარება, ზოგადი სახელია და ყველა ყვავილს ვარდს ეძახიან. მინდვრად დაკრეფილ ყვავილებზე

იტყვიან, „ვარდები დაეკრიფეო“. ალბათ ამიტომაც ჰქვია მიცვალეულთა დღეს „ვარდფენობა“ და არა „ყვავილთფენობა“.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა სიტყვები: „სავარდე“, „ვარდისწყალი“ და სხვ. ამ სახელებში მხოლოდ ვარდი არ უნდა იგულისხმებოდეს. „სავარდე“, ალბათ, ყვავილთა ბაღის — წალკოტის ზოგადი სახელწოდება იყო. „ვარდისწყალი“ მხოლოდ ვარდის ნაჟურს არ უნდა ნიშნავდეს.

ვეძა კაცი ცუდსიტყვა, უემური, ავსიტყვა ადამიანი.

ვეძა ამოსდის პირიდან-ო, იტყვიან ავსიტყვა, ხასიათმეავე კაცზე.

ვირთამამა ვირგლა, თავხედი. „მეჯავრება მაგისთანა ვირთამამობაი... დიდი ვირთამამა ირდება“.

სიტყვებში, რომლებსაც „ვირ“-ი ერთვის (ვირ-თამამა, ვირგლა, ვირ-თხა, ვირ-აბრამა) ტანის სიდიდეც იგულისხმება.

### ზინ-ზე თქმული:

ზამათი, არეული ამინდი. „ამ ზამათში გარეთ როგორ გამობედე!“

ზამაპო უშნო, ულაზათო, სქელი, „მოლოფორთხებული“ ქალი.

ზარალნაგებო ნაზარალეზი.

ზართამთავარი მთავარი ზარი, დედა ზარი.

ზეგარდა ბაგაზე საქონლის დასაბმელი რკალის გადასაქერი.

### ზეითური და ქვეითური

ზეითური — ვინც ზევით არის: ან ხეზე, ან აივანზე... „ზეითური“ გულისხმობს ქვევით ვიღაც „ქვეითურის“ ყოფნასაც, ისე როგორც ქვეითური — ზეითურისას. „ერთი შენ გარდას, ზეითურებს ასძახე, სათითე ჩამომიტანონ“.

არის გვარი: ზეითურიძე.

იმერულში „ზეითურს“ ხმარობენ ზემოდან ჩასაცემელი საშოსის მნიშვნელობით.

(მ)ზენაქცევა, ზენაქცევა წიწილა ნაგვიანეე — 21-22 ივნისის შემდეგ (როცა მზე მიიქცევა) გამოჩეკილ წიწილას ეძახიან ზენაქცევას. ზენაქცევა პატარა, მაგრამ ამტანი ქათამი დგება.

ზეპირი ნაბიჯი კაცი წინ რომ არ იყურებ, ან ბნელში გუმანით მიდის, იტყვიან, ნაბიჯს ზეპირად აღვამს, ზეპირი ნაბიჯით მიდისო. სხვანაირად ზეპირ ნაბიჯს ზეპირი სიარული ჰქვია. „წინ გაიხედე, ზეპირად ნუ დადიხარ“.

ზნის დედა, „რა ზნის დედა“ შეგინებულ-გალანძღული გამლანძღვე იტყვის: რა ზნის დედა არ გამხადა, რაღა არ დამარქვა, რაღა არ მიწოდაო. „რა ზნის“, რა საქციელის, რა ბოროტების, ცული ზნის მომქმედი არ გამომიყვანაო.

„გული მოსდიოდათ და ათასი ზნის დედად სვამდნენ, ისე არ ახსენებდნენ, ეგ ასეთ ისეთიო, რომ არ დაეტანებინათ“ (ოთარ ჩხეიძე).

„ქიზიყურ ლექსიკონში“ ახსნილია ცხრა ზნის დედა. „მრავალი ცული ზნის ადამიანი, ქურდი, უფრო კი მრუწზე იტყვიან“.

ზუზუნ-გუგუნი ამყოლ-დამყოლი, ამფსონი... „განა ცოტა ზუზუნ-გუგუნე ბიჰყავს“.

### თან-ზე თქმული:

თავის აუგით გინება სხვისი გინებიჲ თავისი აუგის მთქმელი. „ქა, ეა დაწყევლილი რა თავისი აუგით იგინება“.

თავის დართვა მიაზლება, მისვლა, თავის დაკვრა. „კვირა დილით მელოდა, მე კი შაბათ საღამოს დავურთე თავი“.

თავის პარსვა როცა ინდაურის ქუეკები მოიზრდებიან, აგრეთვე წიწილები, ერთმანეთს თავ-კისრის წიწკნას დაუწყებენ. ამას „თავის პარსვას“ ეძახიან. ამ „პარსვით“ რაღაც დაავადებას იშორებენ.

თავის უბედური ვინც თავს იჩაგრავს. ზედმეტად საწყალად და თავმდაბალი.

თავის შეკვრა ავის მოქმედზე, უხეირო ადამიანზე იტყვიან, არ შეტრეხება, მაგასაც მოხვდება, ეგეც შეჰკრავს თავსაო.

თავმჯდომარე უფრო დიდი, მთავარი მუგუზალი ბუნარში, რომლითაც ცეცხლი ძლიერდება და ინახება. გადატანით: სოფლის ან თევზის თავკაცი. „შენა ხარ ჩვენი გვარის თავმჯდომარე“.

თავმჯდომარე გავიგე?

თავმჯდომარე სათავე, წყლის ზემო წელი. „შენ რა გიშავ, თავმჯდომარე დგებარ... (სხვა მნიშვნ. არის „განმარტ. ლექსიკონში“).

თავმჯდომარე თავისუფლად, ხალვათად. საბა ამბობს: „თარხანი სხვათა ენაა, თავისუფალს ჰქვიან“-ო. „კაბა თავმჯდომარეა“. „განმარტ. ლექსიკონში“ არის თარხანი სხვა მნიშვნელობით (აბზინდა).

თავის იღლია „თავს ორი იღლია აქვს — მარცხენა და მარჯვენა“.

თავის თეთრი, თვალის ლიბრი, ბისტი.

თვალთ-კლება, მხედველობის, თვალის ჩინის კლება. „ჭიქის დაკლებამ თვალთკლება იცის, დალიე!“

თვალთდახუჭული მიცვალებული. „თვალთდახუჭული ადარავის ეშინიან“.

თვეში ჩადგომა ფეხმძიმეობის მეცხრე თვეში ჩადგომა „თვეში რო ჩადგება, მაშინ წაიყვანენ სამშობლოშია“.

### თილიყამყამი

ერთი ჩვენებური „ქვეყნის ნათლია“ (იხ. ქვეყნის ნათლია) ხმელ-ხმელი, წოწოლა და აყლანწული ბიჭების მეტსახელად ხმარობდა ამ უცხო სიტყვას. ჩემთვის გაუგებარი იყო ამ სიტყვის მნიშვნელობა და ვგონებ, თვითონაც არ იცოდა. ვუკბერიძის ახსნით „თილიყამყამი“ ოსმალური სიტყვაა და სიტყვარს ნიშნავს. ამის საბუთად დამოწმებული აქვს კოლორიტიული წარწერა ძველ სატევარზე:

თილიყამყამი ქებული,  
ნიყარაძის ვარ ხლებული.

თილიყამყამი (თილიყამყამი) გვხვდება „ყარამანიანი“ გურულ დიალექტში არის „ყამა კერძობით შემოსილ-ქარქაშიანი“. (გ. შარაშ.)

თმის ზრთმევა თმის გაკრეკვა.



## თოვლეთი

ქვეყანა, ადგილი, სადაც მუდამ თოვლია:

ჩემი ქმარი თოვლეთს არი,  
თეთრი თოვლის გულითვინა (პ. უმიკაშვილ.).

„განმარტებით ლექსიკონში“ არის „თოვლეთი“ გიორგი ლონიძის ლექსის დამოწმებით, როგორც პოეტური მეტყველების ნიმუში (განმარტებაში სწერია: „თოვლეთი, პოეტ. სადაც მუდამ თოვლი ძევს, თოვლის სამყარო“.)

თოვლეთში, ხორშაკიანში, ლოგინად ქვიშის მგებელი,  
გამოქნებულ ცხენებზე სიკვდილთან მომგებებელი.

რუბრიკაში: „პოეტური“ — ალბათ თანამედროვე პოეტის ლიტერატურულ-პოეტური და ნებისმიერი სიტყვათქმნადობა არ იგულისხმება.

თონეში დედის ძუძუს ჩავარდნა უქმელი ბავშვის დაშინება: „კენტი არ შაჭამო, თორემ დედას ცალი ძუძუ თონეში ჩაუვარდება“-ო.

თონის ამონთება ნახურები თონის ხელახლა ამონთება.

## თონის სპილენძი

მართლაც, რას არ იტყვიან ეს თვალადელები!

გაჩუმებული ზიზარ და უსმენ. მესხიერებას ძაბავ, რომ ნათქვამი არ დაგავიწყდეს. ფანქარს ყველასთან ვერ ამოიღებ. ფანქრიანი კაცი სოფელში არ უყვართ.

რამდენჯერმე გავიგონე, საუბარში უადგილო ადგილას სპილენძი ახსენეს:

„სპილენძი არ უვარგა შენ თონესა... წამტვრეული აქვს სპილენძი!.. აი ჩემი თონის სპილენძი უნდა ნახო“.

შევეციოთხე, რა სპილენძზე ლაპარაკობთ-მეთქი. ქალებმა გაიციინეს.

— თონის სპილენძზე... თონის სპილენძი არ იცი, აქ დაიბადე...

— აბა მაჩვენეთ, სად არი თონის სპილენძი.

თონესთან მიმიყვანეს და ამიხსნეს:

თონის სპილენძის თონის პირს ეძახიან, თონის შიგნითა მხარეს, რაც ცეცხლის ალზე ხურდება და გამოსაცხობად პურის გუნდას აკრავენ.

რატომ ჰქვია თიხის ჭურჭლის პირს სპილენძი?

აი ის ფიქრი, რომელიც ამ გამოთქმის გაგონებისთანავე დაებადება ადამიანს... მთქმელები ვერა ხსნიან, უკეთ რომ ვთქვათ, ამ გამოთქმის არაბუნებრივობას ვერ ამჩნევენ.

იქნებ ფერის მიხედვით შეერქვა ეს სახელი?

მართლაც, მოუკალავე სპილენძს თითქოს გამომწვარი თიხისფერი დაჰკრავს... ან იქნებ იმის გამო, რომ ძველად ქართული გლახის ოჯახში თითქმის ყველა ჭურჭელი სპილენძისა იყო. სპილენძისა იყო საარაყუე ქვაბი, ღვინის საწყაო დიდი და პატარა თუნგები, მრავალგვარი ჯამები და სინები და სხვანი, იქნებ ამიტომაც „სპილენძი“ ჭურჭლის ზოგად სახელად იქცა და თონეზეც გავრცელდა.

მაგრამ რატომ „ჭვევრის სპილენძს“ \* არ ამბობენ? იქნებ ამბობენ და მე არ შემინიშნავს?

! არა, არა... უფრო ფერთა მსგავსების გამო დაერქმეოდა: ნახშირი, გაპრიალებული თონის პირი მართლაც სპილენძისფერია.

თოქმა პატარა ტანისა. „გინდა ცხენი, გინდა ხბო, ადამიანზეც იტყვიან“.

თოხმახი სიმიინდის საცხეველი. „რა ღვინო უნდა დაუდგეს

---

\* საინტერესოა, რომ ამგვარი გამოთქმა „სპილენძ-პური“ ძველ ქართულში მართლაც არსებობს, მაგრამ სხვა მნიშვნელობით („სპილენძ-პური, დიდი ნალარა“. საბა). საბას სხვა განმარტებით სპილენძ-პური ქოსი და სპერმურია. „სპერმური სპილენძ-პური (ნალარასავით რამ არი)... ქოსი სხუათა ენაა, ქართულად სპილენძ-პური ჰქვია“.

ქოსი და სპერმური საბას დამოწმებული აქვს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტით: „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუეთა, ქოსთა და წინწილათა და იყო ზარი და ზაჰმე ქალაქსა შინა, სიხარული და შეება...“

როგორც ჩანს, სპერმური და ქოსი სამხედრო-საზღვიმო საკრავები ყოფილა და მათ ქართულად „სპილენძ-პური“ რქმევიათ.

შავ მამაცხონებულსა, მკვახე ყურძენს თოხმახითა ჩეჩქ-  
ვაეს“.

„თოხმახიდან“ უნდა მომდინარეობდეს „დათოხმახე-  
ბა“. დათოხმახება — ჯობნას ნიშნავს. დაციწვით იტყვიან.  
და ვ უ თ ო ხ მ ა ხ ე ო .

### ინ-ზე თქმული:

იანვრის წიწილა აღრეული, იანვარში გამოჩეკილი წიწილა.  
იბრეული ლაპარაკი გადარეულ-გადმორეული, უკულმართი  
ლაპარაკი. „ასეთი ი ბ რ ე უ ლ ი ლაპარაკი იცის ამ კაცმა“.

იმთავით ამთავამდე სულ, მუდამ, რაც თავი მახსოვს. „იმ-  
თავით ამთავამდე ასეთი უბედური იყავი“.

ინქარიანი იტყვიან ინქარიანი ბავშვიანო. უხასიათო, თავ-  
ნება.

ირმის დორბლი ზაფხულის დამლევეს და შემოდგომის  
მზიან ამინდში ჰაერში დაფრინავს და მზის სხივებზე ელავს  
რალაც აბლაბუდას მსგავსი გრძელი და წვრილი ძაფები. ხალხი  
„ირმის დორბლს“ ეძახის.

ქიწიყში „ირმის დორდლს“ ეძახიან, იმერულში  
„ირმის დუჟს“.

ისამსევა ძროხა რომ იმაკებს, იტყვიან, ისამსევაო.  
(შდრ. „განმარტ. ლექსიკ.“ ისავსევეებს).

ილორძინებს „ყინვა თუ მოშუშავს ლობიოსა, ველარ იხე-  
ირებს, კინწი მოსწყდება, სიმინდი კი ოხერია, გამძლეა. ღივიც  
რო მოეყინოს. და გაუხმეს, მერე სითბოზე მაინც ილორძი-  
ნებს“.

### კან-ზე თქმული:

კაბლოს გადატარება ხატოვანი თქმაა. ნიშნავს მტრის ნავ-  
ნებს, განადგურებას, აოხრებას, აკლებას. „ადგა და ჩემს ოჯახს  
კაბლო გადაატარა, ეგონა, დავიქცეოდი“.

კაი რამას კიდევ კარგი. „კაი რამას, აღრე წამოვედით, თო-  
რემ მატარებელს ველარ მივუსწრებდით“.

კალთის გადაბმა მხარის მიცემა, დახმარება, მოყვრობა-მოყვასობის გაწევა. „თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე, კ ა ლ თ ა გ ა დ მ ი ბ ი კ ა ლ თ ა ს ა.“

კატრიანი ფიქვნარი ფერდობი თვალადსა და ნოსტეს შორის. (კედროვანი?).

კაციკალია ვისაც კაცის მკვლელობა არაფრად მიაჩნია. რევილივისტი მკვლელი, „კაციკალია“.

### კაციკამია სერი

წინარებს გაღმა არის მოტიტვლებული სერი, რომელსაც ეს სახელი ჰქვია, ძველი ნასოფლარია. ხალხური ლეგენდარული გაღმომცემით ამ სერზე უხსოვარ დროში კაციკამიების სოფელი ყოფილა.

შემდეგ, როცა კაციკამიობა გადავარდნილა, და ალბათ, დავიწყებულიც ყოფილა, ერთი წინარეხელი ქალი გაუთხოვებიანთ ამსოფლელ კაცზე. დრო გაჰყულა, ქალს შეუმჩნევია, რომ ოჯახის წევრები რაღაცას უმაღავდნენ, მის ჩუმად რაღაცას ჰამდნენ. ერთხელ, როცა შინ არავინ ყოფილა, ამ წინარეხელ ქალს გულდაგულ დაუთვალიერებია მთელი სახლი და „ძირის სახლში“ მიუგნია ქილებში ჩამუყუყუებული ადამიანის ხორცისთვის. ქალს თავზარი დასცემია, ძუძუთა ბავშვისთვის სელი დაუტაცნია და ხევხევ წინარეხისკენ გაქცეულა. ბავშვს ტირილი აუტეხნია. შეშინებულ დედას ბავშვისთვის ძუძუ მიუცია და სწორედ ამ დროს კავთურაზე გაღებულ ხიდსაც მისდგომია. გაზაფხული ყოფილა და კავთურა აღიდებულ მიქუხნა თურმე საცალფეხო ხიდქვეშ.

ქალი რომ ხიდზე შემდგარა, ბავშვი უფრო გამწარებულა და დედისთვის ძუძუზე კბენა დაუწყია. ქალს წამოუძახნია:

„...მ ო ს წ ი გ ვ ა რ ი ს ა ო!“ — (ე. ი. შენი გვარისა მოგდგამსო), და აღიდებულ წყალში ჩაუგდია ძუძუთა ბავშვი.

„კაციკამია სერი“ უძველესი ნამოსახლარი უნდა იყოს და არქეოლოგიურადაც საინტერესოა.

## კერძო აზნაური

კერძო აზნაური გვხვდება იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება — ანდერძში“:

„და დედაჩემი იყო დაბისაგან მცირისა კერძო აზნაურთა შვილთა ასული, გარნა კეთილისა გოგინბედაშვილისა...“

დედის მხრივ „კერძო აზნაურთაგან“ ჩამომავლობა, როგორც ჩანს, ეთაკილებოდა ერეკლე მეფის მდივანბეგს. ამას ადასტურებს საბოლოო ფრაზა: „კერძო აზნაურთა... გარნა კეთილისა...“ იესე ბარათაშვილის წინაპრები იმერეთიდან გადმოსული შიქაძეები იყვნენ. ამ გვარმა თავისი გამჭრიახობით გზა გაიკაფა, გამდიდრდა, საბარათიანოს მფლობელი გახდა. ერეკლე მეორემ მათ ჩამომავალს ბარათაშვილობა დაუმტკიცა და წყალობის წიგნში ჩაუწერა: „...წყალობა გვიქმნია, გვიბოძებია, დაგვიმკვიდრებია და სისხლიც მათი გდიოდეს“-ო. ნამდვილ და „ნატყუარ“ ბარათაშვილთა დავა თითქმის რევოლუციამდე გრძელდებოდა.\*

ფეოდალური საქართველოს წოდებრივ იერარქიაში „კერძო აზნაური“ ალბათ ნახევარ აზნაურობას უდრიდა\*\*. მეორე წყაროთი ამ კერძო აზნაურ გოგინბედაანთ ისტორია ამგვარად არის მოთხრობილი: „ამათნი წინაპარნი იყვნენ ძველათ კლდეკარის საერისთოს ადგილით მდაბალნი მონათესავენი მიწობლის ძისანი და არიან ძველადვე სამეფო აზნაურნი და ესენი ჩნდნენ დროსა მეფისა ლუარსაბისასა 1612 წელს და არიან ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულნი“ („შემოკლებითი აღწერა... თავადთა და აზნაურთა გვარებისა...“)

\* იხ. „ცხოვრ. ანდერძი“, ავთ. იოსელიანის შესავალი წერილი.

\*\* შდრ. ამავე ძეგლის „კერძო ღამე“ და „კერძო ღღე“. აგრეთვე „კერძო ღიკონი“ (ივ. ჯაფარიშვილის „ქართ. დიპლომატიკის ისტ.“). აგრეთვე საბა ორბელიანის ლექსიკონის განმარტებანი „კერძო ღმერთი“ და „ჯღღომა“ („ჯღღომა კერძოდგომა და კერძოდება შეიქმს ჯღღომასა“).

„კერძო აზნაურის“ საკითხის განხილვის ცდა მოცემული ჰქონდა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტს ზ. შ-ს 1961 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

როგორც ჩანს, ერეკლეს დროს ეს გვარი „კერძო აზნაუ-  
რად“ ითვლებოდა.

კვირაძლის სიზმარი ან სწრაფად ახდება, ან გაცრუვდება.  
„კვირაძლისა სიზმარიო, ან წუთსა და ან ცრუსაო“. „კვირა-  
ძლისა სიზმარიო, ან შუადღემდე ახდეს ან გაცრუვდესო...“

კვირტის დაბრმავება გაზაფხულობით მოულოდნელი, უდ-  
როო ყინვა კვირტს რომ დააზრობს, იტყვიან კ ვ ი რ ტ ი დ ა-  
ბ რ მ ა ვ დ ა ო. დაბრმავებული კვირტი აღარ გაიშლება.  
კვირტს ხელოვნურადაც აბრმავებენ, რომ მცენარემ ზედმეტი  
ნაზარდი არ ამოიყაროს.

კივკივი ინდაურის ხმობა-ძახილი.

კილონაწვავი, კილონაწვავი თხილი აბლადშემოსული გაკ-  
როლილი თხილი, რომელსაც შემწვარის, ცეცხლისწვერის ფე-  
რი აქვს (იხ. ცეცხლისწვერი). ბ. წერეთლის ზემო იმერულ  
ლექსიკონში ფიქსირებულია „კილონაწვავი კაკალი“.

კილოხანი სხვათა მკილავი.

კირი კავთიხეური ნაქებია ხალხურ ლექსში (იხ. „სად რა  
იცი“).

კიტრის მასრა ქორთა კიტრი. ზ. ჭუმბურიძემ გამახსენა,  
არის „მასრა კიტრი“-ც: გრძელი და სწორი, ქორთა კიტრი.

კოთხუნჯი უსახური, მახინჯი ადამიანი.

### კორომ-და-კორომ

თვალადში ხშირად გაიგონებთ:

„კორომ-და-კორომ მორევია კლანჯა სიმინდსა“.

- „კორომ-და-კორომ ასხია ვენახსა“.

„კორომ-და-კორომ გამხმარა“.

ეს ნიშნავს ჯგუფ-ჯგუფად, ადგილ-ადგილ მორევია, ასხია,  
გამხმარა.

ქიზიყურ ხალხურ მეტყველებაშიაც „კორუმ-ხორუმ —  
ერთად დაწყობილს, ერთად დაყრილს“ ნიშნავს. ქიზიყური გა-  
მომთქმებია: „ლორდის კორუმ“, „ქვიშის კორუმ“. (იხ. „ქიზ.  
ლექს“.)

„ხ ე ნ ი ჯ გ უ ფ ა დ მ დ გ ა რ ნ ი“ — ასე განმარტავს კო-  
რომს საბა ორბელიანი. ამ განმარტებას იმეორებს „განმარტე-

შითი ლექსიკონი,“ სადაც დამოწმებულია ქართული კლასიკური მწერლობის და ახალი ყოფის ენობრივი მაგალითები („ნარგავი ტყე, — ტყე-ნერგი“) და დამატებულია კორომის კუთხური მნიშვნელობები.

„კორომის“ უფრო ზუსტი და მრავალმხრივი მნიშვნელობებია ახსნილი ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში:

ნიკო ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი სტროფის დამოწმებით „ტევრა“ მიიჩნევს „დიდ და ხშირ ტყედ“ და უმატებს: „ხოლო კორომი არს მცირე, საშუალ მინდურისა მდგომი მრგულად“.

კორომის ამ განმარტებაში ტევრის — როგორც „დიდის და ხშირის“ საპირისპიროდ ხაზგასმულია ის თავისებურება, რომ კორომი არის მინდვრით გარშემორტყმული მრგვლად მდგარი მცირე ტყე.

დავით ჩუბინაშვილიც ერთგან, სახელდობრ „ტევრის“ განმარტებაში ამბობს: „კორომი — მცირე ტყე საშუალ მინდურისა“, ხოლო მეორეგან: „კორომი — შუა მდინარეზედ ჯგუფად მდგარნი ხენი“.

ამ განმარტებაშიც კორომი „ჯგუფად მდგარნი ხენი“-ა, მცირე ტყეა, მაგრამ ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ეს მცირე ტყე მინდვრით ან მდინარით არის შემორტყმული. („საშუალ მინდურისა“ და „შუა მდინარეზედ“).

კორაბზუა უკადრისა, ცხვირაბზუებუელი, ამპარტავანი ადამიანი. მაგალითად: ქალი, რომელიც ყველას იწუნებს და ბოლოს შინაბერად რჩება.

კორკოტზე ჯდომა მოუთმენლობა, მოუსვენრობა, აჩქარება, დაშურება. სტუმარი რომ აჩქარდება და წასვლას დაპირებს, ეტყვიან: რა გეჩქარება, რა ნარ-ეკალი ამოგივიდაო... ასევე „კორკოტზე ჯდომასკც“ იტყვიან, „კორკოტზე ხომ არ იჯექი, რა მოგარბეინებდაო“.

„კორკოტს ქვაბიდან რო ამოიღებენ ცხელია და აბა ვინ შოითმენს მდულარეზე ჯდომას“.

კორკოტინა ბილბა ისხამს პატარა ნაყოფს, რომელსაც კორ-

კოტინას ეძახიან. „კორკოტინა ხინკალს ჰგავს, ოღონდ ხინკალს ჭიპი ზევით აქვს ამოწეული, კორკოტინას კი შიგნით აქვს ჩაბრუნებული“.

გაზაფხულობით, როცა ბალბა ჰყვავის, აუარებელი სხვადასხვა ფერის პეპელა ეხვევა. ალბათ ამიტომ უთქვამთ:

პეპელ, პეპელ, დაჯექი,  
კორკოტინას გაქმედი!

საბას აქვს ბალბას ასეთი განმარტება: „ბ ა ლ ბ ა მოლოქი, კორკოტინა (ბალ)“.

მოლოქისა და კორკოტინას შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის საქ. ეკონ. ისტ. 2 ტ., გვ. 158.

ეუქ. ბერიძის განმარტებით „კორკოტინაი ხის პატარა კვერია“.

შეგარცხინა ღმერთმა,  
სატეხმა და ხერხმა,  
ურატამ და კორკოტინამ  
თავი გაგიტეხა.

მისივე ახსნით „ურატა პატარა ურო“-ა.

ორივე ხალხურ ლექსში „კორკოტინა“ სიპატარავეზე მიგვითითებს.

### კოფრჩხილა

კოფრჩხილას გაზაფხულის მცენარეს უწოდებენ, რომელსაც მხალადაც ამზადებენ და ამწნილებენ კიდევ. „განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნით ეს მცენარე ორწლოვანია და „ქოლგოსანთა ოჯახისაა“.

„ფრჩხილი“ გვხვდება სხვა მცენარეთა სახელებშიც. მაგალითად, „ლო ბ ი ო ს ფ რ ჩ ხ ი ლ ი“.

დ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში ფიქსირებული აქვს კოფ-ფრჩხილოვანი (ხელი) ხუცურიას ასოებით ჩართული ხელი.“

„კო ბ რ ჩ ხ ი ლ ე ბ ი“ დაჯღაბნილი, გაურკვეველი ასოების მნიშვნელობით ნახმარი აქვს პოეტ გრიგოლ ორბელიანს ერთ წერტილში: „ჩვენი ბატონი ილია არ მოიწერება. ბოსტანში კითრები და ხახვი აჰყვავებია, არა სცალიან. და თუ მოიწერე-



ბა, ისიც ორ სიტყუას კობრჩხილებს დასვამს — და გამოგზავნის“. „ილიას არ ეცლება... თუ მოიწერება, ისიც დაბღარჯულს სისწრაფითა“.

კოწმაწი, თავის კოწმაწი თავის კანტური. „თავის კოწმაწით დალოცა მღვდელმა“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

კრუნჩხი მოუსვლელი, მახინჯი, დაკრუნჩხული, ანარჩევა ნაყოფი, მარცვლეული, ხილი... „კრუნჩხი ტარო ცალკე დაახვავე...“

„განმარტ. ლექსიკონში“ ეს სიტყვა ახსნილია კირიონის სალექსიკონო მასალების მიხედვით: „გაცხავების შემდეგ ერთად დახვავებული თავთავები“.

თვალადღელების ახსნით კრუნჩხი შეიძლება უფრო ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველად მივიჩნიოთ: კრუნჩხი შეიძლება ვუწოდოთ ანარჩევს ტაროს, თავთავებს, მახინჯ, დაღვლარკნილ ნაყოფს და სხვ. კირიონის განმარტებაზე კი უნდა ითქვას: გაცხავების შემდეგ ცხავეში დარჩენილ გაულეწავ თავთავებს მართლაც ერთად ახვავებენ და მას ჯეღლი, ჯოღლი ჰქვია. ჯელღში კარგ, მძიმე თავთავებთან ერთად ნესტით დამძიმებული, მოუსვლელი, უვარგისი კრუნჩხი თავთავებიც არის გარეული. ჯელღს ხელახლა გამოფხვნიტავდნენ ხოლმე საბურღულე ხორბლად („ჯელღი ქაღებისააო“, იტყოდნენ).

კუპრი-კოჭობა 1. ტიკის კუჭის ყელში დატანებული გამოჩარხული ხის საცობი. 2. (გადატ.) მოლეული, პატარა, კრუნჩხის-პალო ადამიანი.

კუფანა ნაყოფი ზრდადაუსრულებელი, კოჭრიანი, უსახური ნაყოფი.

### კ უ შ ტ ი

მკერივი, შეკრული, შენივთებული.

„ღვინოს ჰე ისე სუფთათ მოვხადე, რომ მარტო ერთი ორი კუშტი გამექცა ძირისკენ“.

„კუშტის“ ამ მნიშვნელობით ახსნას მხარს უჭერს გურული „კუშტული“, რაც გიდლის „ვიწრო ბოლოს“ ნიშნავს (გ. შარაშ.).

გადატანითი მნიშვნელობით უნდა ჰქონდეს ამ სიტყვის შინა-  
არსი ახსნილი საბა ორბელიანს: „კუ შ ტ ი მწყრალად მყოფი  
და არა მრისხანე“. (კუშტი: შუბლ-შეკრული).

## ლანგე თქმული:

### ლ ა ნ გ ი

ადიდებული ან მღვრიე წყლის ლამი, ლექი, ლამიანი ქაფი.

ადიდებულ მდინარეზე იტყვიან, **ლ ა ნ გ მ ო დ ე ბ ი თ** მო-  
ლისო. ასევე ტალახსა და ლაფში მოსვრილ ადამიანზეც ამბო-  
ბენ, **მ ო ლ ა ნ გ უ ლ ი ა ო** \*. ხშირად გაიგონებთ: „ახალ მორწ-  
ყულში ვთოხნიდით და თოხმა **ლ ა ნ გ ი ა ი კ რ ა... ა ი ლ ა ნ -**  
**გ ა ო**“.

თვალადურ „ლანგ“-თან შედარებისას როგორც შინაარ-  
სობლივ, ისე გარეგნულ ნათესაობას ამჟღავნებს „ლანქერი“-  
საყურადღებოა აგრეთვე „**ლ ი ა**“ და „**ლ ი ა ნ ი**“ (ლამი, ლაფი,  
საფლობი ტალახი).

ლანგს, ლანქერსა და ლია-ლიანებს ერთმანეთს უახლოვებს  
„**ლ ი ა ნ ქ ე რ ი**“, რაც დ. ჩუბინაშვილის განმარტებით დამდნა-  
რი თოვლის ღვარია. „ლიანქერი“ გურულ დიალექტშიც  
გვხვდება (იხ. „განმარტ. ლექსიკ“).

ლაფვერდის სიონი წავალ და შავებუწები ქალაქ **ლ ა ქ ე რ დ ის**  
ს ი ო ნ ს ა,

ჩემი ათი კოდი პური იქ შამე, საიქიოსა\*.

ლექსაცა სიზარმაცით, უმოქმედობითა და სიმსუქნით ლე-  
შადქცეული ადამიანი.

ოჯახის შემარცხვენელი ლაფში სერის თვის მოგვარეთა,  
ვერ ნახავთ მისებრ **ლ ე შ კ ა ც ა**ს, თუნდ ხმელი მოიარეთა.

ლიკანი საგანგებოდ გამომცხვარი თონის პური; ნახევარ-  
პურის მოყვანილობისა. ლიკანზე ლავაშს გადაახვევენ და ისე  
მიაქვთ სადღესასწაულო სუფრაზე. საბას განმარტებით „**ლ ი -**  
**კ ა ნ ი თ ო ნ ე შ ი ჩ ა ყ უ დ ე ბ უ ლ ი პ უ რ ი ა**“.

\* იმერულში გვხვდება ამოლანგულა, ამოლანგულა, დასერილის, ამო-  
განგლულის მნიშვნელობით (ზ. კუმბურ.).

ლიტრა გორული ნაქებია ხალხურ ლექსში (იხ. სად რა იცის).

### ლოგინის აკრეფა

მშობიარობიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ მელოგინის ლოგინის ალაგება, მელოგინე ქალის წამოდგომა. „ღმერთო, შენ ა ა კ რ ე ფ ი ნ ე მშვიდობის ლ ო გ ი ნ ი!“ —

„განმარტებით ლექსიკონს“ დამოწმებული აქვს „ლო გ ი ნ ის ა ლ ე ბ ა“.

ლოგინის ძღვენი მელოგინესთან მიტანილი ძღვენი.

### ლო ბ ი ო

„ლობიო მუცლის ბოძიაო“, — ამბობენ ქართლელები და ალბათ ამიტომ ბევრსაც სთესავენ და ბევრნაირსაც:

ჩიტისთვალა სარის ლობიო.

მინდვრის ლობიო ბრტყელი, წვრილი ლობიო, კავიანია, სიმინდზე აღის.

ნიკორა ლობიო სარის ლობიო.

ვენახის ლობიო კუტი, უკავო ლობიოა, ვენახში ითესება.

რუსული ლობიო ამ სახელს შეცდომით ეძახიან გურულ ლობიოს, სარისაა.

ჭოტა ლობიო ვენახში სთესავენ, უკავოა. გრძელი პარკი აქვს. წითელია.

თეთრი ლობიო კავიანი, იგივე გურული.

მუხრანულა ჭრელია, კუტი.

კუტი ლობიო უკავო.

მაშიდა ლობიო უკავოა, კუტი. ნედლად კარგია.

გომური ჭრელია, თეთრ-წითელი.

ცანავა ლობიო „ბაცი, ბაცი ვარდისფერია და მუქწითელი წინწკლები აქვს დაყრილი“.

გურული ლობიო იგივე ნიკორა ლობიო. „გულში წითელია“. ნედლად კარგია, სარისაა.

### ლობიოს ფრჩხილი

დაყვავილებული ლობიოს ახლადგამონასკეულ პარკს ლობიოს ფრჩხილი ჰქვია. წვრილი და მოგრძოა, ჯერ არც წულ ი აქვს, არც ბეწვი.

## ლობიოს ჩათვლა

ლობიოს მარცვალი რომ მოიხარშება და ქოთნის ფსკერზე დაიწვეს, იტყვიან, ლობიო ჩ ა ი თ ვ ა ლ ა ო .

„ჩ ა თ ვ ლ ა ა , მა რა? მოიხარშება თუ არა, სათითაოდ ჩაი-  
თვლებიან მარცვლები ძირზე“.

## მან-ზე თქმული:

მადაური ხელით დაკრული თხელი და მრგვალი პური. (შდრ.  
საბა: „პური ბრტყელი და მრგვალი“).

მადლობელს ვარ სამადლობლოდ ამბობენ. მადლობელი  
ვარ-ო, იშვიათად გამიგონია ყამირი გლეხისაგან.

მაკვირაობა ცრუ ამაყობა, ამპარტავენობა.

მაკვირია კაცი, ვისაც თავისი ყველაფერი — შენაძენი, მარ-  
ნაგარი — მოსწონს, ეამაყება, უკვირს და სხვაც უნდა გააკვირ-  
ვოს.

მალღიათი მალღიათი არაბული სიტყვა ყოფილა და ფულად  
გამოსაღებს ნიშნავს. ზოგიერთი კუთხის მეტყველებაში (იმე-  
რეთსა და ქიზიყში) ქონებას, სიმდიდრეს, შეძლებას ნიშნავს  
(იხ. „განმარტ. ლექსიკ“, აგრეთვე ვუკ. ბერიძის „სიტყვის  
კონა“).

დღევანდელ ქართლურშიც ამ ტერმინს დაკარგული აქვს  
პირველადი შინაარსი და სარგებლობის, შემოსავლის, ძალის  
მნიშვნელობით იხმარება.

„აბა ამ გამხმარი ვაშლის მალღიათი რა არი, უნდა მოსქრა!“  
პირველადი მნიშვნელობით ეს ტერმინი შემხვედა ნიკოლოზ  
აბაშიძისათვის მეფე თეიმურაზ მეორის მიერ ბოძებულ წყა-  
ლობის წიგნში:

„შენ ამათს. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ა ლ ი ა თ თ ა ნ ხ ე ლ ი ნ უ  
გაქვს, მ ა ლ ი ა თ ი ს ა ო მ ა ლ მ ა ი ც ი ს . გ ლ ე ხ ი ს კ ა ც ი ს მ ო ყ ვ ა ნ ა ს  
და ს ო ფ ლ ი ს ა შ ე ნ ე ბ ა ს ე ც ა დ ე და კ ა რ გ ა დ მ ო უ ა რ ე . რ ო მ ე ლ ი ც  
მ ო უ რ ა ვ ი ს რ ი გ ი ი ყ ო ს , ი ს ე ი ქ ე ო რ დ ე და უ ს ა მ ა რ თ ლ ო ს გ ლ ე ხ ი ს  
კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს ნ უ ა ქ ნ ე ვ ი ნ ე ბ“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, თეიმურაზ მეორე ნიკო-  
ლოზ აბაშიძეს მითითებას აძლევს სახელმწიფო გადასახადის  
(სახელმწიფო მალღიათის) აკრეფა შენ არ გვეალება, ეს ომალის  
საქმეაო.

მალიათს ამ მნიშვნელობით ხმარობს იესე ბარათაშვილიც: „რალა მოგახსენოთ, რაც ამ სოფლის მალიათისათვის ჩვენ სასაჯელი მოგვეცა“ („ცხოვრება-ანდერძი“).

მანანა ლურჯთვალა ყვავილი. ფურტკარი ესევა. „მანანა რო ამოკუტკუტდება, ლურჯი გული აქვს და თითონ ყვითელია“.

მარადღე მუდამღღე, ყოველღღე. „ღღეყოელ“ (საბა).

მარილეთი აღზევანი. „წაველ და წაველ, მარილეთს ჩაველ...“

მარცხი ხელი ვისაც მარცხიანი ხელი აქვს, გაუფრთხილებლობით ამტვრევს კურკულს, ან უნებურად ხელს ისე მოიქნევს, რომ ვინმეს ვნებას მიაყენებს, „მარცხი ხელი“, „ხელმარცხი“ ჰქვია (შღრ. „განმარტ. ლექსიკ“.) „ჩვენ პატარძალსა მარცხი ხელი ჰქონია“.

მარწებელი აკვნის მრწეველი. „ვარ მარწებელი აკვნისა“.

მახინჯარი სარძლოს გამხინჯავი.

მაცაცერა მოუსვენარი, ანცი ბავშვი.

მაჭახელა ფერი ჭყატანა, თვალში საცემი, მკვეთრი ფერი. „ერა მაჭახელა ფერის სკები დაგიდგამთ!“ ვუკ. ბერიძის ლექსიკონში გვხვდება „მაჭახელება, დამაჭახელება“, რაც ასეა ახსნილი: „ღარტყმევა, მაგ. ნიგვზის (კაკლის) დამაჭახელება, აღდგომის კვერცხის დამაჭახელება“.

ვუკ. ბერიძის მიერ დასავლურ კილოებში შენიშნული „კაკლის და კვერცხის დამაჭახელება“ და თვალადურ-ქართლური „მაჭახელა ფერი“ ორი სხვადასხვა მოვლენის — ხმისა და ფერის ერთნაირ თვისებაზე — სიმკვეთრეზე მიგვიითითებს.

მაჭრის ჭული მაჭარი ღულილის დროს თავზე ჰაჭას მოიდებს, შემდეგ ჰაჭა შეიკვრება და გამაგრდება. ამას ეძახიან „მაჭრის ჭულს“. სხვანაირად „ქვევრის ჭულს“. ქვევრის ჭული ქიზიყშიც სტოდნიათ (სტ. მენტ.).

მაჭრის ჭულის ჩატეხვა პირველ გადაღებამდე (როცა ქვევრს „ჰაჭის ჭული“ ჰხურავს) ხელადით მაჭარს თუ ამოიღებენ, იტყვიან ჭული ჩავტეხეო.

ღვინო თუ თავის დროზე არ გადაიღეს, „ჭულს“ ობი მოედება და ღვინოს აფუჭებს.

მახსოვარი ვისაც ახსოვს.

„აბა შეილო, ამ ომარხნობის დროინდელი ამბის მახსოვარი ვილა იპოვება“.

ეს სიტყვა ფიქსირებულია ამ მნიშვნელობით ძველ და ახალ ლექსიკონებში, მაგრამ რამდენადაც ვიცი, უგულვებელყოფილია დღევანდელ მხატვრულ თუ მეცნიერულ ლიტერატურაში, ჟურნალისტიკაში და სხვ.

სასურველი კი არის, რომ ამ ნათელ, ძალზე გამომსახველ ტერმინს, რომელიც ქართლურ (და ალბათ სხვა) დიალექტში დღესაც ცოცხლობს, დაუბრუნდეს თავისი ადგილი.

„მახსოვარი“ ხშირად გვხვდება ძველ სიგელ-გუჯრებსა და სოციალური ყოფის ამსახველ დოკუმენტებში:

„... ორი-სამი მახსოვარი და მცოდნე კაცი თორტიზი-დამ უნდა მოიყვანო, ორი სამი მახსოვარი კაცი რეხიდამ და... თუ ეს მახსოვარი კაცები ნიკოლოზის სიტყუას დაემოწმენ...“ (დოკ. საქ. სოც. ისტ. 2 ტ. ნ. ბერძენიშვილის რედ.).

მდორე ადგილი შევაკებული ადგილი.

მებაღის ყურის შებმა იტყვიან: მებაღის ყური შეიბაო, რაც ნიშნავს: არ გამიგონა, არ მომისმინა, თხოვნა არ შემისრულაო. ნაგულისხმევია მკაცრი მებაღე, რომელიც ხილის სათხოვნელად მისულებს ყურადღებას არ აქცევს.

### მებოლოვე, ტივის მებოლოვე

მეტივე და ყუდრო ქალა,  
ჩიბუხ დაატანა ძალა,  
თითონ ტივი წაახდინა,  
მებოლოვეს დააბრაღა.

ტივის ორი ორთაყვირი აქვს და ორი მეორთაყვირე ჰყავს. უკანას, ამ ლექსით, „მებოლოვე“ ჰქვია. წინას, ალბათ, „მეწინავე“. ტივის მიმართულებას მეწინავე აძლევს.

მეტივური ტერმინების დადგენისათვის საინტერესო უნდა იყოს „ხელის მკვრელი“, რაც გვხვდება თ. ოქროშიძის ზიერ გამოქვეყნებულ ერთ ხალხურ ლექსში:

ქარელში ტივი აუშვი,  
იქვე შოიღერა ყელი,  
საყორნის მივატანე,  
ფინათთ შემიცვალა ფერი,  
ორივე წყალში დამეხრჩო,  
მეზოლოე, ხელის მკვრელი.

მენაშლე ბედოვლათი, მფანტავი.

მერმისობით „ამ საქმეს მერმისობით უფრო მოვევლება“  
„მერმის ხომ იცი და მერმისობით, ალბათ, შორს ფიქ-  
რობს, უფრო მერმე“.

მზედაკრული მზეზე დიდხანს ნამყოფი, ნაყარი და, ამის  
გამო, ნაენები. (იხ. ალაო).

მუცქარა მზეკარა ამინდი: თან წვიმს, თან მზეა: მზე პირს  
იბანს.

მთვარის გამოახლება ახალი მთვარე რომ დადგება, იტყვი-  
ან, მთვარე გამოახლდაო. „მთვარე რომ გამოიახლებს...“

მთვარის დაბრუნება მთვარის კლება. „მთვარე გაივსო და  
ახლა დაბრუნდა“ (ე. ი. კლება იწყო).

მთვარის ვახშმოზა გვიან ამოსვლა, თითქოს დაივანშმო.

მთვარის შიძველება „მიძველებათუ არა მთვარე და  
კლებაში წავა...“ მეოთხე ფაზაში გადასვლა.

მთვარის შეშლა მთვარის დაბადება. „მთვარე შეიშალა  
და ამინდიც აირია“.

მთის კარი ხეობა.

შიაგებოსი — იტყვიან მიცვალეზულის სულის მოხსენიების  
დროს, — „სასმელი, საქმელი და აქ ნათქვამი კეთილი“.

„ლმერთმა მიაგებოსო იმის სულსაო, რაც ჩვენ გაგვი-  
საზღვრია და გვითქვამსო“.

შიგდებით რწყვა სარწყავი „ნაკადელის“ ერთბაშად, და-  
რუებით მიშვება (შდრ. ატრით რწყვა).

შიექონება ალბათ მიაქვს.

წავიდეთ, ვნახოთ ცხედარი,  
ნეტავ რა მიექონება.  
საში არშინი შიტკალი,  
ეს არი მისი ქონება (ხალხური).

მირაშხანი (?) შენ, მირაშხანო, მწვანילו,

წალკოტ მტილ მიწებიანო,  
გარეთ გამოვალ, შენ გიშვრ,  
შინ შევალ, მიწყრებიანო (ხალხური).

მირონის დაქცევა. ნათელ-მირონის ხელის აკვრას, უგულვებელყოფას „მირონის დაქცევას“ ეძახიან.

მაშინა სთქვა ორსენაშ:

მირონს როგორ დამიქცევსა.

მიმდევრობით მიბაძვით. „ყველაფერი მიმდევრობით არი“.

მისაკლავება ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა. გაჯავრებით, ან ხუმრობით იტყვიან: მი ვ ა ს ა კ ლ ა ვ ე ო. მოძულე-ბულ კაცზეც ამბობენ: როდის იქნება, მისაკლავონო.

მიქცეული ლაპარაკი უკუღმართი ლაპარაკი (იხ. იბრეული ლაპარაკი).

მიცვალეზულის დაწინდვა ყბადაღებულ მიცვალეზულზე იტყვიან, დაეწინდეთო.

მიცოტავება საქმის მინელება, მისუსტება. „საქმე მიაცოტავა“ (ცოტალა დარჩა).

მიწარი ადგილი. (იხ. ადგილი).

მკერდის მიცემა დახმარება, მხარში ამოდგომა. „მკერდი მამცა...“

მოადრევება იმაზე ადრე, რა დროც არის დანიშნული, დაწესებული, დათქმული. მაგალითად: ჩვეულებრივზე ადრე გამოსვლა შინიდან, რომ სამსახურში მისვლამდე ბაზარში გაიაროს. „ერთხელ მაინც მოიადრევე და ჩემთან გამოიარე“. იგივეა, რაც „მოადრებით“ (იხ. „განმარტ. ლექსიკონი“).

### მოგერიხება

წველის დაწყების წინ მწველავი მშიერ ხბოს მიუშვებს ძროხასთან, რომ ძროხამ „ხბოსთვის შენახული“ აწურული რძე ჩამოუშვას და ხბოს მოშორების შემდეგ მეტი მოიწვე-



ლოს. ზოგჯერ ძროხა წველის დროსაც აიწურავს რძეს. მაშინ იქვე დაბმულ ხბოს ხელახლა მიუშვებენ დედასთან (იხ. აწურული რძე).

ამ პროცესს ქართლურად მოგერისება ჰქვია.

ძროხის მოტყუების ამგვარი და განსხვავებული წესიც გავრცელებულია საქართველოს რამდენიმე კუთხეში. წესის შესაბამისად იხმარება მოგერისების მსგავსი გამოთქმებიც:

გ ე ნ ვ ა , მ ო გ ე ნ ვ ა — იმერულსა და გურულში.

და გ ე რ ე ბ ა — კახურში.

გ ე რ ე ბ ა — ხევსურულსა და ჯაეახურში.

გ ი რ ე ბ ა — პანკისური (ფშაურ კილოში).

ამ საკითხზე იხ. ვრცლად „ძიებაში“ (მოგერისება და გერი).

მოგონება „მიცვალებულს ტყუილი არ მოგონება“.

მოექონება ალბათ მოაქვს.

მოვარიავება წიწილის მოვარიავება, გაზრდა. გადატანით იტყვიან გოგონებზეც: „ეს გოგოები კარგა მოვარიავდნენ“.

მოვნებული, მოვნებული კვერცხი უღროოდ დაღებულ კვერცხი. „უცილოა, მარტოკინა გულია. ნაჭუჭი სარსლივით აქვს“.

მოხრიმება ისრიმის, მკვანის კრეფა.

მოკალოვება 1. ნიადაგის მრგვალად მოსწორება, მოსუფთაება ცემენტის ან კირის ხსნარის გასაკეთებლად... მოკალოვებულ ადგილზე: — კალოზე — დაყრიან ქვიშას, გულს გაულეღვენ, შიგ ჩაყრიან კირს ან ცემენტს, მერე წყალს დაასხამენ და აურევენ.

2. იხმარება საქმის მოგვარება-მოთავების მნიშვნელობითაც. „ერთგან რო მოაკალოვა მანქმე, ახლა მეორეგან გასწია“.

### მოკარკაცება

ავდრების შემდეგ ცა რომ. მოიწმინდება და გამოიდარებს, იტყვიან — ცამ მოიკარკაცაო... ცა მოკარკაცებულიაო და სხვ.

ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობისა უნდა იყოს: არის

სიტყვა კ ა რ კ ა ც ო ბ ა, რაც კაცურ კაცობას, კარგკაცობას ნიშნავს. „უუმური კაცი კარგ ხასიათზე რომ დადგება, თავის ხასიათს დასძლევს, მოიმხიარულებს, იტყვიან, მოიკარკაცაო“.

„კარკაცობა“ დამოწმებულია ფშაურ დიალექტში (იხ. „განმარტ. ლექსიკ“). „თავისი თავის კარგად გამოჩენა სხვის წინ“.

მოკლე ყანა დაბალი ყანა, დაგვალული, მომცდარი. „დილაღე, მე შენ გითხრა, მოკლე ყანასა მკიდი“.

მოღეული ქათამი კვერცხის დების მოთავეების მერე ქათამს „მოღეულს“ ეძახიან.

მოლოფორთხებული მოშვებული, უშნო, ულაზათო ადამიანი (იხ. ზამპაპო).

### მომძიმარი

მომძიმარი ნიშნავს საკუთარი ან მოყვასის უბედურებით გულდამძიმებულს, დამწუხარებულს, მწუხარეს.

ეს სიტყვა გვხვდება ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტის მიერ საბა ორბელიანის ძმის ერასტისადმი მიწერილ წერილში. წერილი გამოგზავნილია ქალაქ ყანდაარიდან საბას და ერასტის უმცროსი ძმის ვახუშტის გარდაცვალების შემდეგ ხანებში (1707 წ.). წერილი ასე იწყება:

„ქ: თქვენის ამგვარად მარცხისათვის დიდად მომძიმარი მეფე შაჰნავაზ ვიკადრებ...“

გიორგი მეფემ თავის ახლო ნათესაეებს საბას და ერასტის ყანდაარიდან ამაზე აღრე სამძიმარი სხვა წერილთ გამოუცხადა. ეს უფრო გვიან გამოგზავნილი წერილია. წერილთან ერთად მეფე გიორგი ერასტის საჩუქარს უგზავნის: „ვიცი მწუხარებით იქნებით და შავითა. შავის გამოსაცვალად ხალათი მიახლებიაო“. ისე, რომ ეს წერილი ნათესავის და ხელქვეითის უბედურებით გულდამძიმებულს, მომძიმარი მეფის წერილია და არა უშუალო სამძიმრის წერილი.

საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა მომძიმარი არა

გვხვდება. არც მოსამძიმრე. ეს ორი სიტყვა არც ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშია. დავით ჩუბინაშვილს კი აქვს მომძიმარი და „მოწყინებულის, скупыхъ“-ს მნიშვნელობით ხსნის. რაც შეეხება „სამძიმარს“, საბასაც აქვს („მძიმედ დასადები. მისაჩნევი“) და ნიკო ჩუბინაშვილიც უფრო ვრცლად და კონკრეტულად განმარტავს: „სამძიმარი, სამძიმოლი მწუხარების მოსახსენებელი სიტყვა ნათესავთაღმი მიცვალებულისათა...“

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შეტანილია სამძიმარიც და მოსამძიმრეც, მომძიმარი კი — არა.

საინტერესოა ერთი დეტალი: გიორგი მეფეს ვახუშტის დალუპვის გამო ორბელიანებისთვის სამი წერილი გამოუგზავნია. შეუძლებელია საბას ეს წერილები არ წაეკითხა, მით უმეტეს, რომ ორი მათგანი პირადად საბასადმია მოწერილი. ამ წერილებში, გარდა „მომძიმარისა“, გვხვდება სხვა სიტყვებიც, რომლებიც საბას ლექსიკონში არ არის (ყოფადობა, თამამოზარი, მანდეური, საუფროსო, სვიფონი...) მე ეს სიტყვები შევამოწმე. შესაძლოა სხვებიც იყოს.

მართალია, საბას ამ დროს (1707 წ.) ლექსიკონი უკვე დიდი ხნის დამთავრებული ჰქონდა, რაც სპეციალურ ლიტერატურაში გამორკვეულია და გიორგი მეფის წერილში ნათქვამიც ადასტურებს: „ქ: ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა“ (იგულისხმება: ნეტამც ცოცხალი ვახუშტისათვის მოესწრო!), მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ საბა თავის ლექსიკონს ავსებდა და აუმჯობესებდა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე... ამიტომ დიდი ლექსიკოგრაფისათვის გიორგი მეფის იშვიათი სიტყვებით მდიდარი წერილები ერთგვარ სალექსიკონო მასალადაც უნდა ქცეულიყო, მითუმეტეს, ამ წერილის დიდი ნაწილი საბას ლექსიკონს ეხება.

აი ის ადგილები:

„...ასრევ მიაშა და გაფეწყვე (ლექსიკონს. გ. შ.), რომე თათრულ წიგნზედ მიედგარვარ და კიდეც ვისწავლე. ლამის ის გამამოზონოს ამისმა კითხვამა. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდეც გეტყვი შენდობასა. დიად კარგი წიგნია და კარგადაც გა-

ვეწყევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის, ვერ შემიტყვია. თუ ამას გარკვევით, კაის ხელით დამიწერიანებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება. ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გარდამიწერინე. დიალ დაგიმადლებ“.

ალბათ გიორგი მეფე იმ სიტყვების სიასაც დაურთავდა თავის წერილს, რომლებიც ვერ „შეუტყვია“, თან თანაგრძნობათ ებოდიშება მგლოვიარე საბას, როგორ დაგავალო, „ან რა პირით დაგდვა საქმეო“.

არ შეიძლება ამ წერილს თავის საყვარელ „სიტყვების სამყაროში“ არ დაებრუნებინა საბა ორბელიანი, „კბილი არ გაესინჯა“ სპარსეთში მყოფი ქართლის მეფის ქართლისათვის. მაგრამ...

ალბათ არა ერთხელ დააშტერდებოდა მისი მახვილი, ამჟამად კი მდულარე ცრემლით დამწვარი თვალი იმ იშვიათ სიტყვებსაც, რომლებსაც ორბელიანების უბედურებით მომძიმარი მეფის წერილებში ვხვდებით, მაგრამ თავისი ლექსიკონის მწკრივებში მაინც არ შეუტანია.

### მოუქმიარება.

„აბა შენ იცი, როგორც მოუქმიარებ ამ საქმესა... მოუქმიარებელი საქმეა... მოუქმიარდება და კალაპოტში ჩადგება...“ — ხშირად გაიგონებ ამგვარ ფრაზებს თვალადეულებისაგან.

ასევე, ალბათ გადატანით, „მოუქმიარებელს“ მოურჯულებელ, გამოუსწორებელ ადამიანზეც იტყვიან. „მოუქმიარება“-ს ძირი „ჟამ“-ი უნდა იყოს და დროზე, ჟამეულად \* საქმის მოგვარებას უნდა ნიშნავდეს (შდრ. „განმარტ. ლექსიკონის“ მოუქმეიარებული: დროზე მომზადებული, გუთანი, ფარცხი“).

---

\* „და ესე. ირემნი წარვიდიან ველსა და ვითარ ჟამი მოვიდის, შინა მოვიდიან, წველის, ვითარ მწყემსნი მოვიდოდეს ჟამეულად, ხოლო ერთსა ოდენ ჟამსა მიიწივნეს უჟამოდ, დამფრთხალნი (ქართ. ცხოვ. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 214).“

ამავე მნიშვნელობით ხევსურულ დიალექტში არის „მ ო -  
ქ ა მ კ რ ე ბ ა“ (ს. ქეთელ.).

„ველარ მოვაჟამკრე... დროზე მოვაჟამკრე“-ო. იტყვიან  
ხევსურებიც (შდრ. „განმარტ. ლექსიკ.“ უჟამკარებს, უჟამ-  
კრებს. ფშ. ხევს.).

ქართლურ-თვალადურ მეტყველებაში ძირი „ჟამ“-ი შეკუ-  
შული სახით (ჟმ) არის წარმოდგენილი, მსგავსად უ-ჟმ-ურისა.

მორდილი მოზრდილი. დავით ჩუბინაშვილს თავის ლექსი-  
კონში „მორდილი“ აუხსნელად, კითხვის ნიშნით აქვს შეტა-  
ნილი („მორდილი, ს. ბუნ. კ. 215 ?“).

შემოკლება: „ბუნ. კ.“ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კა-  
რი“ უნდა იყოს. ალბათ ეს სიტყვა („მორდილი“) იქ ამოიკი-  
თხა, მაგრამ კითხვის ნიშანი რაღას ნიშნავს?

მორძვე მეწველი საქონელი.

მოსავლის მარცვალი „ახალწლის ღამეს სახლი კარგად უნ-  
და დააღაგო და დაასუფთაო, ღუმელის ქვეშ საგანგებოდ უნ-  
და გამოგავო. მერე ღუმელქვეშ ჯამი უნდა დაამხო. ეს ჯამი  
დილით უნდა აიღო, თუ ჯამქვეშ პურის მარცვალი დაგხვდა,  
დამდგარ წელიწადს კარგი მოსავალი იქნება“. (იხ. „ღოვლათის  
მარცვალი“, აგრეთვე „ჯამის ღამხობა“).

მოსალოკი წყველა. „აი, ეგ მ ო ს ა ლ ო კ ი და ამოსავარდ-  
ნი“, „თქვენ მოისპეთ და მ ო ი ლ ო კ ე თ, როგორც არა ერთი  
და ორი ამოწყვეტილა“.

მოუბილდება (?) მოენატრება, მოსწადდება. ბავშვობაში  
გამიგონია მამაჩემისაგან:

ბევრ თავის მ ო უ ბ ი ლ დ ე ბ ა  
ჩემებრივ აზნაურობა...

ამ ლექსის თქმა უყვარდა თურმე მამაჩემის გარეთა ბიძას,  
რომელიც შეძლებული და განათლებული კაცი ყოფილა.

კარგახანს დანამდვილებით არ ვიცოდი, ვისი იყო ეს სიტ-  
ყვები, სანამ არ ვნახე იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“:

კარგ კაცთა წყობა აღერსი,  
მდიდართა მე უშურობა,  
ექვე, ზოგს თავადსაც მოსწოდეს  
ჩემებრივ აზნაურობას!

ი. თბილელის პოემის ამ სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონისა და ჩემს მიერ დამახსოვრებული ფრაგმენტის აზრი ერთია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფრაგმენტი „დიდმოურავიანიდან“ მოდის, მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა: „მოუბილდება“, არის თუ არა ასეთი სიტყვა ქართულში?

იქნებ ეს ფრაგმენტი დიდგვარიან თავადთა მოქიშპე აზნაურთა წრეებში გავრცელებული თქმა იყო და ი. თბილელმა თავის პოემაში გამოიყენა. თუ გაუგებარი „მოუბილდება“-ს მნიშვნელობა გამოირკვევა, თუ იგი არქაული სიტყვა აღმოჩნდება, ეს ვარაუდი საექვოლ აღარ მოგვეჩვენება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ი. თბილელის პოემის სტროფი დამახინჯებული უნდა იყოს. ექვს იწვევს: „მდიდართა მე უშურობა“.

მოუკუპრავი მუცელი, სტომაქი. „მოუკუპრავში გადაუშეა“.

მოუკუპრავი ლაპარაკი უხამსი ლაპარაკი.

მოუფშიარებელი (იხ. „მოქმიარება“).

მოუცადი მოუცდენელი. „ხე, რომელიც ყოველწლივ სხამს, მოუცადია, რომელიც წელიწად-გამოშვებით — მეწლია“. „მოუცადს“ შინაურ პირუტყვზე და ფრინველზეც ამბობენ.

მოქედღურება ონავარი და ურჩი რქოსანი პირუტყვის მიერ ქედზე უღლის შებრუნება, რაც ძალიან აწუხებს პირუტყვს. ხევსურულში არის „მოცაქედღურება“ — უღლის გადაგდება, მოძრობა კისრიდან (ალ. ჭინჭარ.).

მოქედღურება გადატანით ამ სიტყვას ქედის მოხრისა და დადამორჩილების მნიშვნელობითაც ხმარობენ. „არ მოვიქედღურებ, არა და არა!“

მოქონიება შეძენა, შოვნა.

მოქონიება კვერცხის მოქონიება. ქათამი რომ ბუდარაობას იწყებს და კვერცხის დებად მოეწყობა, იტყვიან: „ქათამმა კვერცხი მოიქონიაო“.

მოქორხემა ადიდებული მდინარის, ან დიდი ნიაღვრების მოტანილი ქვალორლით, ნარიყით, ქვიშა-სილით მოფენილ ადგილს „მოქოროხეხულს“ ეძახიან (შდრ. ქერეხი და მოქერეხება).

მოხიჭვა წყლის ოდნავ წაყინვა. „წისქვილის წყალი მოხიჭულა“. (შდრ. საბას — „გაძგიფვა არს წყალთა მცირედ შეყინება“).

მოხუთშაბათება მოადრევება. „ნიშნობას შემოდგომით აპირებდნენ, მაგრამ სასიძომ მოუხუთშაბათა და ადრე მოუტანა ნიშანი“. მოხუთშაბათება ზერელობასაც ნიშნავს. „საქვე მიახუთშაბათა.“ (ზ. კუმბურ.).

მრავლობით ბევრობით (იხ. ერთობით).

მრეშობა ფერნაირობა. ფერში სხვა ფერის გამორევა. მაგ. პამიდორი მწითლობას რომ იწყებს, მწვანეში წითელი გამოერევა, შეიმრეშება. „არაგვი მრეშობდა და მტკვარი შავობდა (ირ. სონღულაშვილი).

გ. ხორგულაშვილის ცნობით მრეშობა გემოს შეცვლაზეც ითქმის („შემრეშილი ღვინო“).

მტევნის ხრიალი „მტევანი ხრიალშიაო“, იტყვიან, როცა ვაზი დაიყვავილებს. და მტევანს ყვავილის მტვერი სცვივა.

მტყუნისი დაგინება, წამოძახილი, სინამდვილის გამორკვევის მიზნით, უმთავრესად დაჯიბრებულ ბავშვთა შორის. იგივე: „მტყუნს!“ (იხ. „განმარტ. ლექსიკ.“).

მუგუზლების შატება დარდზე დარდის დამატება. „ნეტა იმანდ მუგუზლებს არ უმატებდე!“ (ანასტ. ერისთავ-ხომტარია).

მუცლის ბოძი „ლობიო მუცლის ბოძია“, ყუათიანიაო.

მუჭუჭი, ცხოვრების მუჭუჭი მოხერხებული, მარჯვე კაცი. „ეს კაცი ცხოვრების მუჭუჭია“.

მშვიდობის ლოგინი მშვიდობიანი მომშობიარება.

„ღმერთო, შენ ააკრეფინე მშვიდობის ლოგინი ჩემ რძალსა“.

მშრალი ხმელეთი. ეს სიტყვა ხმელეთის მნიშვნელობით გვხვდება ხალხურში:

ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ,  
მ შ რ ა ლ ზ ე ვინადირებ თევისა.

მშრალობა უწვიმრობა. მშრალი ამინდი, უთოვლო ზამთარ-  
ზეც იტყვიან. (შდრ. ჭანარი).

მჩოლალა, რჩოლალა რქოსანი საქონელი, რომელიც ირ-  
ჩოლებს.

მცრელი წვიმა სულ წვრილი, ძალზე წვრილი წვიმა. ასეთ  
წვიმაზე იტყვიან, სერისო. ბოჩჩალოელი თათრები „ქე ჩ ა  
და ლ ა ნ ს“ ეძახიან: ნაბადში ატანსო.

მცხეთურად გახედვა მცხეთელებს სიქუნწეს სწამებენ.  
„ბოთლს მცხეთურად გახედა“, ნიშნავს: შიგ ხომ არაფერი  
დარჩაო.

მძოვარა 1. თმის მძოვარა: თმის ავადმყოფობა: — თმის  
წვერს ორად ჰყოფს. 2. კანის მძოვარა: კანის ავადმყოფობა  
(შდრ. „განმარტებითი ლექსიკონი“).

მძოვრი ეზოს ძალი. „კარგი მძოვრი დადგება ეგ ლეკვი“.  
მჰადა ჰვა ფხვიერი ჰვა.

დ. ჩუბინაშვილს აქვს „სკონდიო, მჰადა ჰვა, ПЕМЗА“, ამ  
განმარტებაში კორექტურული შეცდომა უნდა იყოს: ს კ ო ნ-  
დ ი ო ს მაგივრად უნდა იყოს ს პ ო ნ დ ი ო. საბა: „ს პ ო ნ-  
დ ი ო არს: წყალთა მიერ ჰვაჰმნილი“.

### ნარ-ზე თქმული

ნაბდღვრიალი ბერტყვის ანადენი.

„იმათ ლოგინს სულ ნაბდღვრიალი ასდის“.

ნაგზაური მიწა ადგილი, სადაც ოდესღაც გზა ყოფილა.  
ნაგზაურ მიწაზე კარგი მოსავეალი მოდის. (იხ. აზნაური ყანა).

ნავლები უსუფთაო წყალი, რომელშიც რამეა გავლებული.  
მაგალითად, ჭურჭლის ნარეცხი. „ჭიქების ნ ა ვ ლ ე ბ ი არ გა-  
დაღვარო, მერე ჭუჭყიან თეფშებს გავავლებ“.

ნაკადელი სარწყავი წყლის ერთეული. იმდენი, რასაც ერ-  
თი მრწყველი დაიმორჩილებს ბარით რწყვის დროს. საბას  
განმარტებით ნაკადელი „მცირე რუია“.



ნამთვრალობა სიმთვრალის გამოყოლა.

ნანაძირი ნაძირალი. „ეს სიტყვა მთის ხალხმა იცისო“, გამოგონია ჩვენში. ამოვარდნილი ნამყენის ძირზე ამოსული მაკალის ნაყოფსაც „ნანაძირს“ ეძახიან. გურულ კილოში გვხვდება „ნაძირი“, რაც ნიშნავს აბრეშუმის ქიის, ჩელტზე დაგროვილ ნაგავსა და ნარჩენებს (გ. შარაშ.).

ნაორღალი ეს სიტყვა გვხვდება ხალხურ ლექსში:

ფიცარ-ფიცარ ნაორღალრ,  
ციბრუტო და ოქრო შყედო,  
ღმერთო, გაუმარჯვე ოცი!

ნარბილი (იხ. „ძიებაში“ — ნარბილი).

ნასმურკლი ცომის მზელავის ხელის მონაფშენეტი.

ნასწავლი პური ასე ეძახიან სოფლელები ქალაქურ თეთრ პურს. რა თქმვ უნდა, ხუმრობით.

ნადინტალა და ნადინცალა (იხ. ღინკილა და ღინცილა).

ნაყე-ნაყე კაცი ყოყმანა, ზოზინა კაცი.

ნაყოფის გამონახკვა ყვავეილობიდან ახლადგამოსულ, ნაყოფზე იტყვიან, ნაყოფი გამოინასკვაო.

ნახორმალი ძველი ქურქლისა და მისთანათა ნამტვრეც-ნამუსრევი.

ნება-ნებისად ნება-ნება, ნელა-ნელა, თავის ნებაზე.

ნეფისძველა დაძველებული ნეფე, ნეფე ქორწილის მეორე დღეს.

„ძველათ ნეფეს ჯვრისწერის მერე გვირგვინს რო მოხდიდნენ, უკვე ნეფისძველა არისო. იტყოდნენ“.

ნიაშეტად მიაშიტად? „მოლოდინი არა მქონდა და ნიაშეტად წავაწყდი“.

ნივრის გაპარვა ადრე გაზაფხულზე ნიორი ილქევა, „დნება-სავით“, იპარება. ხელს თუ მოუჭერ, მხოლოდ ჩენჩო შეგრჩება. ამიტომ ამბობენ, ნიორი გაპარულაო.

ნიორტაკი ნივრის შეკამანდი. მზადდება ნივრისა და ნიგვზის შეზავებით.

ნიფხვის დაკარგვა „დღისით რრ გითხრათ ზღაპარი, ნიფ-

ხავს დაჯვარგავ, სალამოს მოდით და გიამბობთ",-ო, ამ საბუთით იშორებენ ზღაპრის მოყვარულ ბალებს გაბეზრებული უფროსები.

ნიშნეულობა მნიშვნელობა. „ამის ნიშნეულობა სხვა არი“- ნიჩბურა ნიჩბისიდან გამოთხოვილი ქალი.

ნუშის დაბატვა „ნუში იბატებაო“, ამბობენ გაზაფხულობით, როცა ნუშის კვირტი სკდება და კვირტიდან სიმინდის დახალულ ბატილასავით მოთეთრო-მოვარდისფრო ყვავილის ნისკარტი გამოიხედავს.

### ონ-ზე თქმული:

ოდოძვირი ძალიან ძვირი. „ეგ დაჯდება ოდოძვირი“. (შდრ. თურქ. „ოთუსბირი“: ოცდათერთმეტი).

ომარხნობა ომარხნობის დროინდელი. ძალიან ძველი. სიძველის გამომხატველი თქმაა. „ეგ ომარხნობის დროინდელი საღვინე საიდან შეგჩენიათ“.

ოთხი ფიცარი კუბო. „ეგ ოთხი ფიცრის ღირსი, ეგა...“

ორგუნებობა ყოყმანი, გუნების ცვლა, გაორება.

„განმარტ. ლექსიკონში“ არის „ორგუნება, ვინც ხან ერთ რასმე ინდომებს, ხან მეორეს“.

ორენობა ორპირობა, თვალთმაქცობა, ენამრუდობა. „ორენობამ შეარცხვინა ეგ უბედური, ერთიც გადაუდგა და მეორეცა“.

ი. ბარათაშვილი ერთგან ამბობს: „სძულან სულსა ჩემსა, უფალნო ჩემნო, ყოვლისა უმეტეს ზაკვანი ესრეთ... ეგრეთვე ორენობა და ეგრეთვე უხამსი ჭამა-სმა“.

„განმარტებით ლექსიკონში“ ო რ ე ნ ა ო ბ ა არ არის. არის ო რ ე ნ ა ო რ ი მნიშვნელობით: 1. „ორპირი კაცი. საბა“, 2. ბევრი ლაპარაკის მოყვარული, ყბედი.

ოქროს საციქველი კარგი მეზობელი.

„ეს ქალი ნამდვილი ოქროს საციქველაა, დიმიტრანთ ქალებს კი არა ჰგავს, ცეცხლიც რომ საციქველი ჰგონიათ“:

უმეზობლოზეც იტყვიან დაცინვით, ნამდვილი ოქროს საციქველააო, (იხ. უმეზობლო).

## პარ-ზე თქმული:

პატარა დღე მოკლე სიცოცხლე.

პერანგულა

პილთუმი პირამდე სავსე ქურჭელი. მოპირთავებული.

პირის ნახევი ბაგე-პირის კრილობა, მოყვანილობა. „პირის, ნახევი არ უვარგა“.

პირის კრილობა იგივე.

პირსოლი ქვა ქვა, რომელსაც პირი სოლივით აქვს.

პირუბანელა პური უსაფანლოდ გამომცხვარი პური. „რა პირუბანელა პურს აკრავ, გოგო, საფანელი ველარ უყავ!“

პურის დება გამომცხვარი პურის ქონა.

„დღეს პური არ გვიღვეს... ან გვიღვეს“. ე. ი. გვაქვს, ან არ გვაქვს გამომცხვარიო.

პურის ნამგალი საახალწლოდ ოჯახის უფროსისათვის თონეში აცხოზდნენ ნამგლის მოყვანილობის პურს.

პურის ჯვარი სამკალში ყანის ნამჯისა და თავთავეებისაგან დაწნული ჯვარი. წნავენ საჩუქრად, ან შინ მისატანად. კედელზე ჩამოჰკიდებენ და ინახავენ.

## შან-ზე თქმული:

შვანი ნაყური, ნაყონი.

შლინთი მცირე გამონაყლენთი.

„ჩემ საღვინეში არ ყ ის ჟღინთი რომ გამოიღვევა, მეც დავეიღვეი ხოლმე“.

## რამ-ზე თქმული:

რბილი ეკალი ჩუმი ბორბოტი. „ეგა, ბიჭო, რბილი ეკალია, ოსე გიჩხვლეტს, ვერაფერს გაუგებ“.

რქის დაკავება შეყვლების დროს ვაზის რქის მოღუნვა-დაკავება, სარზე ასაკრავად. „გაზაფხულობით ვაზს გასხვლა არ უნდა დაუგვიანდეს, თორემ რქას დასაკავებლად რომ მოღუნავ, გასკდება, დაიქეჭებს და წყალიც გამოწვევა“.

რქის დაღეროვება ვაზის ნორჩი რქის დამსხვილება. „სამა-

მულედ შერჩეულ რქას მეტ თავისუფლებას მისცემენ და გაათამამებენ, რქას ღეროდ აქცევენ.

რქის დახარება სავენახედ ჩაყრილი ვაზის რქის გახარება. „სუ შარშანდელმა სასუქმა ქნა, რო ასე და ხ ა რ და რ ქ ა“.

რქის წყალი მსხვილფეხა შინაური რქოსანი პირუტყვის ავადმყოფობა: რქაში ხარს ჩაუდგება სითხე, რომელიც აწუხებს. მკურნალობენ რქის გადახერხვით. გადახერხილი რქიდან წყალი იწრიტება და პირუტყვი იკურნება.

რცხალი ნასვენი მიწა. საბას აქვს „კრცხალი“ (კრჩხალი) ორწელ უთესველი ნარბილი“. (იხ. „ძიებაში“ ნარბილი).

რცხლად გდება ნარბილის უხნავ-უთესველად „დაგდება“, დატოვება დასასვენებლად.

### სან-ზე თქმული:

საახლოდ გაესხება კირნახულის გაესხება სამერმისოდ, ახალი მოსავლით გადასახდელად.

ამგვარი სესხი დიდი შემწეობა და შეღავათი იყო მათთვის, ვისაც ცუდი მოსავალი მოუვიდოდა და შუა წელში პური ან სიმინდი შემოაკლდებოდა.

„ერთი, ჩანახი სიმინდი მასესხე, საახლოთ გადაგიხდი“.

„რამ გაფიქრებინა საახლოთ გაესხება, ქალო, არ გეშინია, რომ დაგაკლდეს?“

საბა ორბელიანი „საახლოდ გაესხებას“ უნდა გულისხმობდეს ამ განმარტებაში: „ს ა ა ხ ლ ო დ ა ხ ა ზ ე დ მ ის ა ც ე მ ე ლ ა დ“.

საბეგრო მოზვერი საბეგრო მოზვერს დაცივნით ეძახიან იმას, ვისაც წარამარა საქმებენ და მორბედივით იყენებენ. „რა საბეგრო მოზვერი მნახეთ, სუ მე რო მსაქმებთ?“

საგზაური გზადმიმავალთა სასიმღერო, ზურნა-დუღუკზე დასაკრავი ჰანგი დოლის თანხლებით. „საგზაურს“ უნებურად აყოლებენ ფეხს და ისე მიდიან.

„განმარტებით ლექსიკონში“ საგზაური საბას მიხედვით ამგვარად არის ახსნილი: „საგზაური (ძვ.) გზად სავალი“.

საგონებელი საფიქრებელი, სადარდებელი (იხ. წამოგონება).

## სად რა იცის?

ამ ხალხურ ლექსში, რომელსაც გამოქვეყნებული სათაურით \* „ქართლში შესანიშნავი სად რა იცის“ ჰქვია, შექმნილია განთქმული წინარეხული ერდო მალაღლი, კავთიხეური კირი, თვალადური სიმინდი, ხოვლური ჩანგური და სხვ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ მსუბუქი ქართლური ჰუმორით არის გაკენწლილი.

ბაზაზობა ქალაქური,  
ქარი დიღმური,  
მღვდელი ქვემო ავკალური,  
ქალი ზემო ავკალური,  
შოლტი ნაქულბაქიერი,  
ტურა ძეგვური,  
მელა სასხორული,  
ორკეცი ჩიბუხი ქვემო ნიჩბური,  
დიდი ძაღლები ზემო ნიჩბური,  
კრელი მამლები გომიჯვრული,  
ლობიო დავრული,  
არშიუობა თელათგორული,  
ერდო მალაღლი წინარეხული,  
სიმინდი თვალადური,  
ბუში. ჩოკანთუბნური,  
კირი კავთიხეური,  
კილობი იდღური,  
ფინია გომური,  
რთვილი კასპური,  
იხეი ბორტული,  
ფშატი ჩოჩური,  
კუდა-აზნაური მეტეხური,  
ყივანახველა სასირული,  
კონა ყარაღაჯული,  
კრელი ძაღლი გრაკლური,  
სადლობელი დოესური,  
მკითხავეი ქვახრელური,  
ციებცხელება უფლისციხური.

---

\* „ხალხ. ლექსები და ზღაპრ.“, შეკრებ. გ. ნათაძის მიერ, ს. ხუციშვილის რედ.

ქალი და რძალი ხიდისთაური,  
 წყლის ხერხი ატენური,  
 ლიტრა გორული,  
 ჩანგური ხოვლური,  
 სიმინდის ჯინი ზემო ხანდაყური,  
 დავიდარაბა ახალქალაქური,  
 სახრავე ატამი თემისხეური,  
 დიდრონი საბძლები ახალციხური,  
 ქიანი კვრინჩხა ნოსტური,  
 ქერი ქოტისური\*,  
 აედარი მოხისური,  
 პური თონეთური,  
 ჩხუბი დვანური,  
 პანტა დოლოვნური,  
 ყართოფილო რუისული,  
 ეირი წალკური,  
 ნახშირი წყნეთური,  
 მეველე შინდური.  
 შაღალი კაცი ლისური.

### სადა არაყი

სადა არაყს, უბრალო, წმინდა არაყს უწოდებენ, უტკბი-  
 ლოს. უსურნელოს, შეუზავებელს.

სიტყვა „სადა“ იხმარება ზოგი ისეთი სიტყვის მსაზღვრე-  
 ლადაც, რომელსაც მსგავსად „სადა არაყისა“, თითქოს არ  
 შეეფერება და მოულოდნელია. მაგალითად: **ს ა დ ა დ ლ ე**.  
 „ს ა დ ა დ ლ ე ე ბ შ ი მ უ შ ა კ ა ც ს შ ი ნ რ ა გ ა ა ჩ ე რ ე ბ ს ?“.

„ს ა დ ა დ ლ ე“ ნიშნავს ჩვეულებრივ სამუშაო დღეს. კვი-  
 რა და უქმე დღეები სადა დღეებში არ შედიან.

„ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონს“ შემჩნეული და ახს-  
 ნილი აქვს **ს ა დ ა დ ლ ე** და **ს ა დ ა ფ რ ი ნ ვ ე ლ ი** (ბელუ-  
 რა). ეს მაგალითები დამოწმებულია ლ. არდაზიანისა და ი. გო-  
 გებაშვილის ნაწერებით. სტ. მენტეშაშვილის ლექსიკონში არის  
**ს ა დ ა კ ე დ ე ლ ი ც**, კედელი, რომელსაც არაფერი აქვს  
 დატანებული (წალო, განჯინა, ბუხარი...).

\* ალბათ „ბოტისური“, (ბოტისი სოფელია კავთურის ხეობაში).

სავეხედ ვართ სავეხედ ვართო,—უარის მაგივრად ეტყოდნენ პურის სასენსებლად მისულ მეზობელს, თუ პური გამომცხვარი არ ჰქონდათ, თუ პური არ ედოთ. (იხ. „პურის დება“).

არა გვაქვსო, არ იტყოდნენ. ერთი ახსნით ეს ოჯახის თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდათ... მაგრამ შესაძლოა აქ ტაბუ იყოს.

საკავთიხეო მდინარე კავთურის ხეობა თავისი სოფლებით, მიწა-წყლით. „საკავთიხეოში გაგიმარჯოს!“.

საკაცე კაცობის ნიშანი: „საკაცეში ბიჭია!“ (იხ. „შენობა“).

### საკოცნელი და საწვეროსნო

„საკოცნელი“ ლოყაა. „საწვეროსნო“ წვერის ადგილი, ნიკაპი.

„საკოცნელი მეუბნება!“—იტყვიან, როცა ლოყა ექავებათ. როცა ნიკაპი ექავებათ, ამბობენ „საწვეროსნო მეუბნებაო“.

ხალხური ახსნით, როცა „საკოცნელი გეუბნება“, ახლობელი, სასურველი ქალი გესტუმრება, ხოლო, როცა „საწვეროსნო გეუბნება“, — ვაჟი. ამ თქმებს უმთავრესად შვილების მომლოდინე დედა ქალები ხმარობენ.

„ამ დილით საკოცნელიც მეუბნებოდა და საწვეროსნოც, დღეს ვინმე გაგახარებო და მართლაც ორივენი მომიხვედით!“

ამ ხალხურ თქმებთან დაკავშირებით საგულისხმოა შ. რუსთაველის პოემის ერთი ადგილი:

ვაზირმან ცნა, გაეგება: ჩემსა მზეა ამოსრული,  
ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული.

პოემის ამ ადგილის მიხედვით ვაზირი წინასწარ გრძნობდა, რომ ვიღაც სასურველი სტუმარი ეწვეოდა და ამას თურმე ახარებდა — ეუბნებოდა რაღაც „სახარული ნიშანი“, რაც, შესაძლოა, პოეტს მსგავსი ხალხური გაგებით ჰქონდეს ნაგული-ხმევი.

საბა ორბელიანის ლექსიკონში „საკოცნელი“ და „საწვე-  
როსნო“ არ არის. განმარტებით ლექსიკონში“ ახსნილია „სა-  
წვე რე სახეზე. ის ადგილი, სადაც წვერი ამოდის“, და  
იქვე მოყვანილია მაგალითი ხალხურიდან: „საწვერე რომ გეჭა-  
ვებოდეს, წვიმა მოვა“.

აქაც მსგავსი მოვლენაა შენდმნული.

### საკუთარი

„საკუთარი“ იხმარება წმინდას, გაურვეველის მნიშვნელო-  
ბით. მაგალითად, წმინდა პურს, რომელშიც სიმინდი ან ქერი  
არ ურევია, „საკუთარი პური“ ჰქვია. სიმინდგარეულ  
პურს „მქადაპურა“ ჰქვია, ქერგარეულს „ქებერელი“.

უკენჭო, მიწაგაურვეველ ქვიშას „საკუთარი ქვიშა“  
ეწოდება.

სამანის ბარტყი პატარა ქვა, რომელსაც სამანს ჩაუგდებენ  
გვერდით, სანამ სასამნე ორმოს მიწით ამოავსებენ და დატ-  
კეპნიან. სამანის ქვას მოზრდილსა და მოგრძოს არჩევენ, რომ  
მიწის ზემოთ კარგად ჩანდეს, სამანის ბარტყს კი თავი ოდნავ  
აქვს მიწიდან ამოჩრილი და ცოტათი მოჩანს. „ბარტყი“ სამა-  
ნის საყრდენიც არის და სანიშნოც. სხვა უბრალო ქვებისაგან  
გამოსარჩევად.

სამანის ნახშირი სანამ სამანს ორმოში ჩააგდებენ (ჩასვა-  
მენ), ორმოს ძირში „ხაკა ნახშირს“ (დაფშენილ ნახშირს) ჩაყ-  
რიან: თუ სამანს გინმე ადგილს შეუცვლის, ან ჯამთა ვითარე-  
ბაში ქვა ამოვარდება და სამანი დაიშლება — ნახშირის კვალი  
მაინც დარჩება. ნახშირი მიწაში დიდხანს სძლებს და თავის  
ირგვლივ ნიადაგსაც აშავებს. ამ კვალით ნასამნარის მიგნება  
ადვილია.

სამეტო ძმები რომ გაიყრებიან, ვისაც ნაკლები ან ცუდი  
წილი შეხვდება, რამეს დაუმატებენ. ამ დამატებულს „სამე-  
ტო“ ჰქვია.

სამომავლო სამერმისო, მომავლისა. დ. ჩუბინაშვილს აქვს  
„საწაღმართო, სამომავლო“. „სამომავლო და სამერმისო საქ-  
მეა, შვილო, ეგა“.



სამოჯამაგირო ზეარე ამჟამად ეს გამოთქმა იხმარება გადატანით „სასაუბრო-სალაყბოს“ მნიშვნელობით. ძველად ერქვა მოჯამაგირეთა თავშესაყარ, დასასვენებელ ადგილს, უმთავრესად მზიანსა და მზეარეს. „ესხედვართ ს ა მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ო ზ ე ა რ ე ზ ე და...“

სამხრო ადგილად მისადგომი, მოსახერხებელი. „მიწებს იმის მიხედვით მიეუზომავთ, ვისთვისაც სად იქნება სამხრო“.

სანაკადლო ადგილი, საიდანაც სარწყავი „ნაკადელი“ მიჰყავთ მოსარწყავ ნაკვეთში. „მთელი დღეა ს ა ნ ა კ ა დ ლ ო ზ ე ვ ზ ი ვ ა რ , წყალს ვის დავანებებ“.

სანარწყავი ადგილი ბოსლის ზღვესა და ზღვეს შუა, სადაც დაგებულია. ფილაქანი, ხოლო თუ ზღვე ერთია, სანარწყავი მაშინ ზღვეს ბოლო ადგილია. სანარწყავში ზღვეებიდან იწრიტება საქონლის შარდი, იხვეტება ნეხვი... „ხბო სანარწყავში იხრჩობა“. ხევსურულად სანარწყავს „სანერწყელი“ ჰქვია (ს. ქეთელ.).

სანარწყავის ქვა ბოსლის ზღვეს ბოლოში დაგებული ფილაქანი.

სანელი წყალი ცივი წყალი, რომელსაც ცხელში გაურევენ და გაანელებენ. სანელებელ წყალსაც ეძახიან.

საპრუწი ქიხის და მისთანების პირის მოსაყარავი. მოსაპრუწი ზონარი, თასმა. ხევსურულად ჰქვია „სახმუწი“. (ს. ქეთელ.).

საპრუწიანი ქიხა ქისა, რომელსაც საპრუწი აქვს. ალბათ უსაპრუწო ქისაც არის.

საპურისწყლე ქვაბი პურის გამოსაცხობი წყლის გასაცხელებელი დიდი ქვაბი. ქიზიყში სცოდნიათ „საპურისწყლეთ გათბობა წყლისა“.

ხარკის გიფი კეკლუცი, ვინც მუდამ ხარკის წინ ტრიალებს და თავს ილამაზებს (გიფი: ტრფიალი).

ხარსლი ხახვის ფურცელსა და ფურცელს შუა თხელი გარსი.

ხარფის ყრუ არის ასეთი ყრუც: თუ მისთვის სასარგებლო, ხარფიანი რამე თქვეს, გაიგებს, თუ არა და, ვითომც არ გაუგია.

ხარქე ადგილი, სადაც ხბოს რქა ამოსდის. „სარქე ამობურცული ხბო შუბლს ახლს მარგილზე“ (ო. ჩხეიძე).

სარჩული დედამიწისა<sup>ა</sup> მიწის მწვანე საბურველი. „ბალახი სარჩულია დედამიწისა, ნესტს ინახავს, იფარავს გამოშრობისაგან, ალამაზებს“...

ხასიძოდ დაღირება. სიძეობის განზრახვა, დაპირება. „სასიძოთ გვეღირებოდა... სიძეობას გვიპირებდა“.

ხატკბილობელი ტკბილეული, დესერტი.

ხატყეპელი ხის იარაღია, მოკლე ნიჩაბივით, ტარიანი, რეცხვის დროს იყენებენ, სარეცხსა ტყეპენ. „მოსარეცხემ ხატყეპელი ჩაყლაპა და მრწყველმა — ბარიო“.

„განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნით ს ა ტ ყ ე პ ე ლ ა ჰქვია ზორცის დასაბეგვე, დასარბილებელ ხელსაწყოს.

ხატხე გუთნის ნაწილი, საკვეთი.

საქრეთლით დახვრებილი ხარ, არ გირეგია ს ა ტ ხ ე.  
მუდამ ნარბილში დამხვრები, ერთხელ ყამირიო გატხე.

საუარო უარის სათქმელი. „საქმე ს ა უ ა რ ო დ არ გაიხადო“.

საფალავნო ქვა იგივე საჯილდაო ქვა (იხ. „ძიებაში“ — საფალავნო ქვა).

საქმის მინელება საქმის მიცოტავება.

საქუდელი წისქვილის კრიჭიდან საფქვავე ჩადის საქუდელში, რომელიც ზედაქვაზე, დოლაბზეა მოთავსებული.

საჩემკბილო „ჩვილი, ჩვილი ხორცია, სწორეთ საჩემკბილოა“.

ხაცვალი მაგიერი, შემცვლელი. კაცი ცოლს რომ გაეყრება და ახალი მეუღლის მოყვანას გადაწყვეტს, ეტყვიან: „აბა შენ იცი, კ ა რ გ ი ს ა ც ვ ა ლ ი უნდა გააყეთო“... ან ასე: „კ ა რ გ ი ს ა ც ვ ა ლ ი გ ა ა კ ე თ ა ო“.

დავით ბაგრატიონს ერთ ლექსში ასეთი ადგილი აქვს:

აღარ არის მელიქი და ნაცვალი,  
რადგან მათ არა ჰქმნეს კ ა რ გ ი ს ა ც უ ა ლ ო

ხაწვეროხნო წვერის ადგილი (იხ. საკოცნელი და საწვეროხნო).

საქიპური ტიკის ჭიპის ადგილი. საქიპურზე გაკეთებულია პ ო ლ ო რ ჭ ი კ ი.

სახაზე ქილა პურის ხაშის შესანახი ქილა. პირვიწრო. მუცელგანიერი.

სია კაცი მოსულელო, ყეყეჩი, გამოთაყვანებული. „რასილავით აგილია თავი და დადინარ?“

სილა, სილა ჭურჭელი მარცვლეულით, აგრეთვე ფქვილით ზუსტად პირამდე. სავსე ჭურჭელი. ამგვარად გავსებულზე იტყვიან: გასილავებულიაო.

საბა: „სილა რაიც საწყაო პილპილ თავშეუდგმელი (თავშეუდგმული)“.

საბას ამ განმარტების ფრჩხილებში მოქცეული ნაწილი („თავშეუდგმული“) გაუგებრობას იწვევს, თუ ეს განმარტების დაზუსტებისათვის არის ლექსიკონში სხვა ვარიანტიდან შეტანილი. „თავშეუდგმელი“ და „თავშეუდგმული“ ერთმანეთის საპირისპირო ცნებებია: თავშეუდგმელი საწყაოს პირის სწორად გავსებულ, გასილავებული, სილა ჭურჭელზეა, თავშეუდგმული კი უფრო მეტია — საწყაოს „პირს“ რაც ასცილდება და ზომას აეჭარბება, ის არის.

### სიმინდი

„სიმინდის ასავეალ-დასავეალი ასეთია: ავეყეთ ქვემოდან ზემოთ:

ჯერ ძირ ფესვია, მერე, ფესვის ზემოთ — კაჭაჭი. კაჭაჭს ზემოთ ასდევს მუხლები, მერე ხმლები, მერე ტარო, ტაროს წვერზე სლვაშია... სიმინდს თბავი ცა აქვს. თავზე ყვავილი — ქოჩოჩი, თუ გინდ ქოჩოჩი. სიმინდის აყვავებას ქოჩოჩის ამოღება ჰქვია“.

ზემო იმერეთში, პოეტ მუხრან მაჭავარიანის ცნობით სიმინდის ხმლებს „მკლავებს“ ეძახიან.

ზემო იმერეთში სკოდნიათ აგრეთვე „სიმინდის კუჭი“. ეს კუჭი არის მცენარის სათავე: „...სიმინდის კუჭი რო წამოვა და ნაყრფს წამოიღებს, მაშინ გეილოჯება თესლი“ (ბ. წერეთ.). —

სიმინდის კუჭს ლეჩხუმურად ეძახიან „კილოს“, სიმინდის მარცვლის იმ ნაწილს, სადაც მოთავსებულია ნასახი. ამას

თუ დავუმატებთ ვუკ. ბერიძის ლექსიკონიდან „ოქროს კბილს“, რაც სიმინდის უკანასკნელი ფესვებია (რომელიც მიწას არ სწვდება), სიმინდის აღწერილობა უფრო სრული გახდება, თუმცა ეს ჩამოთვლილი წვეთია იმ სიტყვა-გამოთქმებთან შედარებით, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იხმარება სიმინდის ირგვლივ (იხ. გ. შარაშიძის გურული ლექსიკონის: „საყვირი სიმინდისა“ და „სიმინდი საყვირში“).

სიმინდიანობა სიმინდის მიცოტავებისას იტყვიან, „სუ ეს არი ჩემი სიმინდიანობაო“. ასევე ამბობენ: პურიანობა, ქარხლიანობა და სხვ.

### სისხვა, დასისხვა

სისხვა, დასისხვა, მოსისხვა ფრინველთა სკორეთი იატაკის, აივნის, ეზოს მოთხერას, დანაგვიანებას, გაბინძურებას ჰქვია. ეს სიტყვა ცოცხალ საუბარში ამგვარად გაისმის: „მერცხლებს იატაკი დაუსისხვათ... სისხვენ“.

„აივნის მოაჯირი დასისხულია“.

„მოსისხული ეზო“...

„ნასისხი ფანჯარა“... და სხვ.

ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არა ჩანს ჩემს მიერ შემოწმებულ ლექსიკონებში. უპიძველესყოვლისა არ არის საბა ორბელიანის ლექსიკონის იმ ბუდეში, სადაც „სკორე“-ა განმარტებული და ჩამოთვლილია სკორეს ყველა სახეობა.

ჩუბინაშვილებს აქვთ „სისხი“ ხუსტურის, სიანჩხლის მნიშვნელობით. დავითს აქვს „სისხის ბალახიც“ — Завязный корень, აგრეთვე „სისხა, სისხლზედ ყვანა“. ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის კარაბადინში „სისხა“ მუცელას, დიზენტერიის მნიშვნელობით გვხვდება. ამ მნიშვნელობით „სისხა“ ნახმარი აქვს რ. თვარაძეს თარგმანში: „ორმოცდასამში... ისე იყო მოჯანდაგებული, სისხა გასდიოდა“... ეს მნიშვნელობები რაღაც მსგავსებას ამჟღავნებენ თვალაღურ მეტყველებაში შენიშნულთან, მაგრამ გადაქრით არაფერი ითქმის.

ამ სიტყვის ჩხრეკვის დროს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წავაწყდი „სკორეს“ საექვო განმარტებას: „სკორე ცხოველთა განავალი, — ექსკრემენტი“.

ეს განმარტება არ არის ზუსტი და ამის გამო ახსნაც სადავო ხდება. დავას იწვევს სიტყვა „ცხოველთა“-ს უადგილო ხმარება. საბა ორბელიანი „სკორე“-ს ამგვარად განმარტავს: „სკორე განავალი. სკორე ზოგადი სახელი არს ყოელთა განავალთა ცხოელი სათა“.

„განმარტ. ლექსიკონის“ ახსნით „სკორე“ ზოგად სახელად აღარ გამოდის, რადგან „ცხოველს“ დღევანდელ ქართულ მეტყველებასა და ლიტერატურულ ენაში დაკარგული აქვს ის ზოგადი მნიშვნელობა, რაც საბას დროს ჰქონდა.

საბა ჩამოთვლის ფრინველის, ძროხათა და კამბეჩთა; თევზთა, მძრომთა, ცხვართა, თხათა და გარეთხათა; კაცთა და სხვათა სკორეთა კერძო სახელებს (ერთგან საბას „კაცის სკორეც“ აქვს ახსნილი), ადამიანსაც ცხოველებში ასახელებს და საერთოდ მისი არაერთი განმარტებით „ცხოველი“ ნიშნავს ცოცხალ არსებას, სულდგმულს, სულიერს („ცხოველი — ცოცხალი“. „ცხოველობა — სიცოცხლე“).

„ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, ესე არს, არათუ კერბთა უსულოთა ვხადი, არამედ ცხოველსა ჩუენსა უფალსა და ცხოველსა სულსა შენსა არა დაგიტოვებ“. უფრო ნათლად გამოსჭევივის ამ სიტყვის საბასეული გაგება სხვა ადგილას: „...უფალსა და მონასაც, ყრმასა და ბერსაც, ცხოელსა და მკუდარსაც, სულიერსა და უსულოსაც“.

„ცხოელი“ აქ საბას ცოცხალის მნიშვნელობით აქვს ნახმარი („ცხოელსა და მკუდარსაც“), ამგვარადვე ფრინველის განმარტებაში საბა ამბობს: „ფრინველი არს ფრთოსანი ცხოელი“.

ახალ ქართულში „ადამიანი“ გამოცალკევდა, გამოეყო „ცხოელს“, ამას ერთი სიტყვის ახსნისას თვით „განმარტებითი ლექსიკონიც“ აღასტურებს: „მძოარი — მკედარი ცხოველის ან ადამიანის სახეულე“. (მე-5 ტ. 1216 გვ).

ნათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

სიტყვა სკორე „განმარტებით ლექსიკონში“ ახსნილია ეამ-  
თა ვითარებაში მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვით („ცხოველ-  
თა“) და თავისთავად ასახსნელი უცხო სიტყვით (ექსკრემენ-  
ტი), პირველი გაუგებრობას იწვევს, მეორე ახსნას ართულებს.

ხიტყვის აკრეფა მოსმენა და დამახსოვრება, რაიმე განზრახ-  
ვით.

„უნდა იჯდე, უსმინო და აკრიფო, ისეთებს ისვრის“.

სიტყვის წაქანება, სიტყვის წინ წასწრება, აჩქარებით, დაუ-  
ფიქრებლად. „ს ი ტ ყ ვ ა წ ი ნ ნ უ წ ა გ ი ქ ა ნ დ ე ბ ა , თ ო -  
რ ე მ ა...“

ხიტყვის საბრუნო სიტყვის მიმრქევა, სხვადასხვაობა, მრავ-  
ალი მნიშვნელობა.

„რამდენი საბრუნო აქვ სიტყვასა, ხან ამას ნიშნავს, ხან  
იმასა...“

სმაფიცოლა სვამს და ამბობს, არა ვსვამო.

ხოფლის ნათლია მეტსახელების მომგონი (იხ. ქვეყნის ნათ-  
ლია).

სულთაბრუნვამდი სანამკაცი ცოცხალია, სუნთქავს, სუ-  
ლიც ბრუნავს.

„სულთაბრუნვამდი შაგინახავ სიტყვასა“.

სულთაობა მიცვალებულთა სულის მოხსენების დღე. სულ-  
თაობა. დღეობა მიცვალებულთა. ძველი სტილით 14 ენკენი-  
თვეს. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით „დიდ-მარხვის აღების  
წინათ შაბათს“.

თვალადღეების თქმით ამ დღეს მიცვალებულის სული ზე-  
ვიდან გადმოიხედავს და თუ თავის საფლავზე ტაბლას დაინა-  
ხავს, მომხსენებელი მყოლიაო, იტყვის.

ჭირისუფალს საფლავზე მიაქვს ტაბლა. პატივსაცემად მი-  
სულნი სასმისს ასწევენ, ილოცებიან და ჭირისუფალს მიმარ-  
თავენ: „შენი ხელით გაცემული უკლებლივ მიაგებოსო“. სასა-  
ფლაოდან საჰმელ-სასმელის წამოღება არ შეიძლება, „ყველა-  
ფერი მიცვალებულს უნდა მიუვიდესო“.

სულიბრუნება სულიბრუნებით სუნთქავსო, იტყვიან მე-  
ზურნეზე, წყალში ხანგრძლივად ჩაუტრყუმელავებულზე, ან

იმაზე, ვინც სანაძლეოს დასდებს, უსუნთქველად დიდხანს გა-  
ეძლებო. „ძველი მეზურნეა, სულიბრუნება იცის.“

სუფრის ნაბერტყი სუფრის ნარჩენი, ნასუფრალი. „თქვენა  
სუფრის ნაბერტყი ნუ მომკლებოდეს“.

სხნილი ხსნილი, თავისუფალი. „შუაქაცის გული ს ხ ნ ი -  
ლ ი ა, ვისაც არა სტიკია-რა, რათ დაიკვნესებს“.

### ტარ-ზე თქმული:

ტანკლიანი ენა „...ენა ბოროტი, წარამარა, ავისმთქმელი“.

ტანსმოურგები ტანზე მოურგები. სხვა ზომის ტანსაცმელზე  
ითქმის: ვიწროზეც, განიერზეც.

ტიკის კისერი ისე, როგორც თხას, — ტიკს პირიც აქვს, კი-  
სერიც, მუცელიც, კიპიც... „ტიკმა კისერი ჩამოჰკიდა და წელ-  
ში მოიხარა“.

ტიკის მასრა ტიკის პირზე წამოცმული ხის მასრა, საიდანაც  
ღვინო გადმოდის.

ტიკის წელი ტიკის შუაწელი, მუცელი.

ტისვნა თავის გახილვა, მკბენარის — ტილის მოშორება.  
„ბუჩქებში მიმჯდარიყო და ი ტ ი ს ნ ე ბ ო ღ ა“. „რაც ამ გო-  
გოს თავის ტ ი ს ვ ნ ა ეჯავრება“.

საბას აქვს „ტ ი ზ ე ნ ა“ (ტიზნეა), რაც განმარტებულია.  
როგორც „გ ა ნ კ რ ე ბ ა ტ ი ლ თ ა“, მაგრამ, როგორც ჩანს,  
„ტისვნა“ თუ „ტიზნა“ მას უფრო სხვა, ზოგადი მნიშვნელო-  
ბითაც ესმოდა. სხვა ადგილას „გ ა ნ ტ ი ს ნ ა“ ასე აქვს ახსნი-  
ლი: „რ ა ც ჰ ქ ო ნ დ ე ს წ ა ა რ თ ვ ა ნ“.

„ტიზნას“ გვერდით არსებობს „წ ი ს ვ ნ ა ც“. წისვნაც თავის  
გახილვაა, ოღონდ „წილის“ — მკბენარის კვერცხის მო-  
შორებას ნიშნავს (იხ. „წისვნა“).

### უნ-ზე თქმული:

უამხალხოდ ამ ხალხის გარეშე. „უამხალხოდ ღმერთმა ნუ  
შაცოცხლოს“.

უბეჭდო კვერცხი უნიშნო, უმამლო, გაუნაყოფიერებელი  
კვერცხი.

უბრალო ზორბა, დიდი ტანის კაცი. „ერთი უბრალო ვინმე იყო.“

ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ქართულში (სადა, მარტივი, უდანაშაულო და სხ.) მაგრამ, ეგონებ. ეს მნიშვნელობა ფიქსირებული არ უნდა იყოს ლექსიკონებში.

უგზური უგზაო.

უგლაგარჯი უზრდელი, უხეში. საბა უგლაგარჯს „წურთა შეუსმინარს“ უწოდებს.

უჯანა პური მოკარბებული ცომისაგან განელებულ თონეზე გამომცხვარი პური.

უკრიფა უგროვა. „ყველაფერმა ერთად უკრიფა და გადაიტანა“.

უმაგიერო ვინც სამაგიეროს გადახდა არ იცის.

უმანკო თეთრი სპეტაკი, წმინდა, ძალიან თეთრი.

„უმანკო თეთრი“ იგივე „ცივათ თეთრი, მთლად თეთრი, უნიშნო თეთრი“-ა (იხ. ქიზიყ. ლექსიკ.).

უმეზობლო ცუდი მეზობელი, ვინც მეზობლობას გაუტბის.

„განმარტებით ლექსიკონში“ ეს სიტყვა მხოლოდ ერთმანეთისგან შორის-შორს დასახლებულის მნიშვნელობით უნდა იყოს.

უმზეურობა რელიგიური დღესასწაული: აღდგომის მეორე დღე. დღესასწაულობენ სოფელ ნიჩბისში.

უმკალი ნამკალი ცუდად მომკილი.

ყანა უმკალი ნამკალი,  
ძნა შეუკრავი რჩებაო.

უმძრახი წყალი დილით, სანამ ადამიანის ხმას გაიგონებს, წყალი (მდინარე, ღელე, წყარო), უმძრახია.

იანვარში, ნათლილებას (წყალკურთხევას) უმძრახი წყლით ქალები თავს იბანენ, კარგი თმა ამოგვივანო.

უნაჯიშო უჯიშო, უგვარო, ცუდი ჩამომავლობისა.

„ყველაფერზე ითქმის, განა მარტო ადამიანზე... ხარზე-დაც. ერთი უხეირო ხარი გვყავდა; იმაზე იტყოდა ცხონებული პაპაშენი, უნაჯიშოაო“.

უნაცილო ნაცილი გაუგონარი, წარმოუდგენელი ცილის-



წამება. „ეს რა უნაცილო ნაცილი გამოუვიარდა ჩემ ოჯახსა“.

უნდომარი, უნდომარი ადამიანი მოუწადინებელი, უხალისო, უნდო-მანდო.

უნძრევარი მტკიცე, შეურყეველი. „შენამც ყოფილიყავ უნძრევარი ქართველი, რომ რკინის კეტიც შემოეკრათ, არ შერყეულიყო“ (სუფრაზე გაგონილი).

ურწყნა ეკალას მსგავსი მცენარე.

უსაკლიხა კაცი, რომელიც არაფერს მოაკლდება, არც მოიკლებს.

უსადრიკო ვისაც ან რასაც სადრეკი არა აქვს. „უსადრიკო, უსანდომო“ (ხალხ.).

უსანდომო გულმიუსვლელი, არასანდომიანი.

უტკბო უტკბილო. „გოგრა რაც უნდა უტკბო იყოს, მაინც მარგებელია“.

უფთური უფთური მთა, მიუდგომელი, უგზო, უფრთო ციცაბო.

უფთურსა მთასა, უგზურსა,  
ლაშე უსანთლოდ დავალო.

უფლია, უფლისა სახეთეთრი, თმათეთრი და თვალთეთრი ადამიანი. ორი ასეთი კაცი იყო კავთისხევში, ორივეს ხან უფლიას, ხან უფლისას ეძახდნენ. „უფლია“ და „უფლისა“ მეტსახელები არ უნდა იყოს. იქნებ ალბინოსს ნიშნავდეს?

უყვედური დაუყვედრებელი.

უშანგა უყმური, პირქუში.

უჩემსიტყვოთ ჩემი სიტყვის გარეშე.

უჩხუბარი მშვიდი, წყნარი, ჩხუბის მოძულე.

უცხოობა უცხოდ მიჩნევა, ან უცხოთან ბავშვის მორცხვობა. ცხენზეც იტყვიან, „უცხოობა იცისო“.

უძაგებელი დაუძრახველი. „ეგრეთი უძაგებელი კაცი მეორე არ დადის სოფელში“.

ამ სიტყვის არქაული ფორმა გვხვდება ჰიმნოგრაფიულ ლექსში:

გუნდნი იგი ზეცისანი  
შენ, წმიდასა, განწყობითნი

გიგალობენ:  
მე უღირსი შევივრდები,  
რათა ვიყო მათთანავე  
შენგან უძაგ..."

უჯერ-მაჯერა მსუნავი, მსრიტი, უჯეროდ ქამა-სმის მო-  
ყვარული.

### შპრ-ზე თქმული:

ფაკის გავარდნა ძირამდე დასვლა. ოჯახში სურსათის გა-  
მომწოდებისას იტყვიან, ფაკი გავარდაო.

ფანჯრის დაბრმავება ფანჯრის დაუქმება, ამოშენება,  
ამოქოლება. „ფანჯარა დაუბრმავებია და სიბნელეში ზის“.

ფაციანკალი იგივე ფ ა ც ი ა კ ა ლ ო. ფაციფუცი, ალიაქო-  
თი, გამოწვეული მოულოდნელი სასიხარულო, ან საწყენი  
ცნობით, აგრეთვე საქმის მალე დამთავრების სურვილით. „რა  
ფაციანკალი შავიდგათ ამ დილაადრიაან?“

ფეიშანი ჩონჩორიკი. „არ იცი, რო ცხენის ფეიშანი საქო-  
ნლისაზე ნაკლები არ არი?“

ფერდის ამოღება ფერდის ამოვსება, გაძლომა. იტყვიან  
უმთავრესად პირუტყვზე. ითქმის ადამიანზეც, „ფერდი  
ამოიღგაო“. „განმარტებით ლექსიკონში“ არის მსგავსი  
შინაარსის გამოთქმა „ფერდს გამოიღებს“.

ფერის გადაყრა ფერის შეცვლა უკეთესი ფერით. „—ვაზი  
გაყვითლდა, უნდა ამოვკაფო და ახალი ჩავეყარო... — ფერს  
გადაიყრის, ხმა არ გასცე!“

ფესვის გაჯიღლება მოურწყავი, გამომშრალი ფესვის  
რწყვით განედლება.

ფეხად გაყიდვა საქონლის ცოცხლად გაყიდვა:

ფეხბრუნება ქორწილიდან გარკვეული დროის გასვლის  
შემდეგ სიძის მისვლა სიდედრ-სიმამრის ოჯახში.

ფიცართაფი ქერში ჩამობმულ თოკებზე გარდიგარდმო ჩა-  
მოკიდებული გრძელი და განიერი ფიცარი, გამომცხვარი  
თონის პურის დასაწყობად და შესანახად.

ფულის უნაფქვაობა უფულობა.

ფრატუნა შინსახმარი მსუბუქი ფენსაცემლი.

ფუტკრის გამომღერება გვიან შემოდგომით, ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე ფუტკარი სკაშია დაბუდებული, მაგრამ ზოგჯერ, მზიან და წყნარ დღეს ზუზუნით გამოვა კუჭის გასაწმენდად. ამას „ფუტკრის გამომღერებას“ ეძახიან.

ფუშრუკი ნიადაგი გამომშრალი ნიადაგი. „ნიადაგი როცა ფუშრუკია და მშრალი, დამუშავების დროს არ დაიზერგება“.

### ფქვილმარილა

ერთ სათითე პურის ფქვილს გაურევენ ორ სათითე მარილში, წყალში აზელენ, გამოაცხობენ გასათხოვარი ქალის ბელზე. ამ პაწაწინა პურსა და უმძრახ წყალს ერთად შეინახავენ, „კლიტეს დაადებენ“, დაძინების წინ „ფქვილმარილას“ შეაქმევენ იმას, ვის ბელზეც იყო გამომცხვარი. სიზმარში ვინც ქალიშვილს შენახულ წყალს სასმისით დაალევიებდა, მისი საბედლო ის იქნებოდა (მდრ. ბ ე დ ი ს პ უ რ ი).

ფშხალი წერილად ნაბზარი.

ფხოველი ჭკვიან, გამჭრიახ და ენამეტყველ კაცზე იტყვიან, ფ ხ ო ვ ე ლ ი კ ა ც ი ა ო.

### ძან-ზე თქმული:

ქათმისხორცული ცომი ზელვით შემაგრებული ხელდამდგმო ცომი. „ქათმისხორცული ცომი დაიჭირე, რომ არ გაგაწვალოს“.

### ქალაქია დღე და ქალაქ ღამე

ზაფხულის დიდ და გრძელ დღეს „ქალაქია დღეს“ ეძახიან. ამ გამოთქმაში „ქალაქი“ დიდს ნიშნავს. „განმარტებით ლექსიკონში“ დამოწმებულია ხალხური ლექსი, რომელშიც „ქალაქ ღამე-ც“ არის:

ქალო, ამ ქა ლ ა ქ ღ ა მ ე ს ა, შენთინა ვღვევარ ბანზედა.

ქართული წესის ჩატარება მიცვალებულის დაკრძალვის მერე დაზარალებული ოჯახისათვის შესაწევარის შეკრება სუფრაზე. „შავი სუფრის“ თამადა რამდენიმე აუცილებელი სადღეგრძელოს შემდეგ წამოდგება და იტყვის: აბა, ახლა ამ დაზარალებულ ოჯახს მხარში ამოვუდგეთ, ჩვენი ქართული წესი ჩავატაროთ.

სანამ შესაწევარის შეგროვება დაიწყება, სვამენ ქართული წესის სადღეგრძელოს.

### ქედიანი და უქედო კაცი

გამოთქმა „ქედიანი კაცი“ იხმარება ღონითა და გულით ძლიერი, უნარიანი, მარჯვე კაცის აღმნიშვნელად. ქედიანის საპირისპიროდ, უუნარო, უღონო კაცზე იტყვიან, „უქედო კაცი“-აო. „ძიან უქედო კაცი გამოდგა შენი სიძეი“.

ქესკუში, ქესკუში გოგო კობტა, მოხდენილი. გურულში „ქესკინი“ მარდს, ცქვიტს ნიშნავს (იხ. გ. შარაშ.).

ქეჩოიანი ძველ, დაბერებულ უხსენებელს „ქეჩოიანს“ ეძახიან. ქეჩოს ჩაყოლებზე ჯავარი „ლორსავეით აყრიან“.

„სადებაურებში, ფარებები რო იყო, ნანგრევში ერთი ქეჩოიანი ბუღობდა, მეცხვარეებს ცხვარს უწოდდა“.

ქვათსაქცევი წყევლაა. „ეგ ქვათსაქცევი რატომ არ მისვენებს?“

### ქვევრი

ქვევრის ყველა ნაწილს თავისი სახელი აქვს:

ქვევრის თავი ჰქვია ქვევრის პირს — ქვევრის იმ ნაწილს, რომელიც მიწის ზემოთ არის დატოვებული და რომელსაც თავისივე ზომის სარქველით დახურავენ ხოლმე. მაგრამ „ქვევრის თავი“ ითქმის უფრო ფართო მნიშვნელობითაც. იტყვიან, „ქვევრის თავზე ვისხედით, ღვინო ქვევრის თავზე დავლიეთ“. აქ უკვე ქვევრის ირგვლივი ადგილი იგულისხმება.

ქვევრის პირი უშუალოდ ქვევრის ზემონაწილი, პირი, რომელიც მიწის ზემოთაა, სანამ დაატალახებენ და დაიფარება.

ქვევრის ყელი ქვევრის ზემო, მოწვრილებული ნაწილი.

ქვევრის ბეჭი ქვევრის ყელის ქვემო ნაწილი.

ქვევრის მუცელი ქვევრის შუაწელი. შუასართყელსაც ეძახიან.

ქვევრის შუასართყელი „საუკეთესო ღვინო შუასართყელშია“.

ქვევრის შუაწელი იგივე შუასართყელი.

ქვევრის ფილი ქვევრის ძირი. ღვინო რომ მიცოტავდება, იტყვიან, „ღვინო ფილში-ლა დგაო“.

ქვევრის ძირი (გარედან) იგივე პოტოქიკი, იგივე „თეძოს თავი“.

ქვევრის ქული იგივე „მაჭრის ქული“. დუდილის დროს მაჭრის თავზე მოგდებული და გამაგრებული ჭაჭა და ჩენჩო.

### ქვევრში ჩაყვირება

როცა ვენახი გაუფუჭდებათ, იტყვიან, ისე ცოტა ღვინო მომივიდა, ქვევრში ჩაყვირებად არა ღირდაო. „დავწურე, მაგრამ გოზაურებით დავდგი, ქვევრში ჩაყვირებად არა ღირდა“.

ამ შემთხვევაში „ჩაყვირება“ იგივე უნდა იყოს, რაც „ჩაძახება“ („ორმოში ჩაუძახა“, „მუცელში გადაუძახა“).

ქვეყნის მასხარა საქვეყნოდ, სახალხოდ შერცხვენილი და ყბადაღებული ადამიანი.

ქვეყნის ნათლია ყველას ნათლია, მეტსახელების მომგონი და „დამნათლავი“.

ქვრივის ბიჭი მამით აღრე დაობლებულს „ქვრივის ბიჭს“ ეძახიან.

ქირშიში ირიბი. „ქირმიშად გახედა“.

ქირქა რქის რქა. ვაზის რქაზე ამოსული ნორჩი რქა. „ქირქას“ ახვევის დროს აცლიან, რომ მთავარი რქის ზრდას ხელი არ შეუშალოს.

## ჭიცი და ჭიცმაცური

როცა უნდათ თქვან, ყველაფერი ვიცი, ესეც ვიცი და სხვაცაო, იტყვიან, „ჭიციც ვიცი და ჭიცმაცურიცაო“.

ამ გაუგებარ სიტყვებთან ნათესაობა უნდა ჰქონდეს „ჭიცი-ჭიცმა“-ს. ჭიცმა-ჭიცმა კახური გამოთქმაა და ნიშნავს: ნაკუწ-ნაკუწად. ეს გამოთქმა დამოწმებულია „განმარტებით ლექსიკონში“.

„ჭიცი და ჭიცმაცური“ გენეტიკურად დაკავშირებული უნდა იყოს აგრეთვე „ჭუც-მაც“-თან (დაჭუცმაცება, დაწვრილება).

### ქონდრის ხე

„ქონდრის ხე“ გვხვდება ხალხურ იუმორისტულ ლექსში:

ნუ მოხკვდება ჩემო ქმარო,  
თორემ არ დავირჩენ თავსა,  
ხესაგავალ ქონდრისასა,  
მასზედ ჩამოვიხრჩობ თავსა.  
ნაგუბარსა ჩავეარდები,  
ნაქლიკავსა ხარისასა.

ქონდრის ხე გვხვდება აგრეთვე ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის „კარაბადინში“. წამლების სახელწოდებათა თარგმანში სწერია: „აფთომონი კარეატაულა უნდა იყოს, ქონდრის ხესა ჰგავს“.

ქონდარი, როცა გაიზრდება, მიუხედავად თავისი მინიატურული აღნაგობისა, მართლაც ძალიან ჰგავს მრავალწლოვან ხეს.

### ქოჩახი

„ქოჩახ“-ს, „ქოჩახეებ“-ს ეძახიან ღვინისა და წყლის ძველ, დამტვრეულ, პირმოტეხილ ჭურჭელს. „აი ნახორმალები რო ყრია, პირმოტეხილი თუნგულები და ჩაფურები, ქოჩახეებს იმას ვეტყვით“.

„განმარტებითი ლექსიკონის“ ცნობით ფშაურსა, მოხეურსა და მთიულურ დიალექტებში „ქოჩახი ძველი ქოთანია“.

ქართლურ მეტყველებაში „ქოჩახი“ უფრო ზოგადი სახელი ჩანს—ძველი, ნახმარი და დამტკრეული სხვადასხვა ქურკლისა.

ჭუჩი საქონლის კუჭის ზემო პარკუჭი, სადაც კუჭში მონელებამდე გროვდება, ქუჩდება ჩაყლაპული საკვები. „ამო-  
ცოხნამდე საქმელი ქუ ჩ შ ი ა“.

ჭურა დაბადებით პატარაყურებიანი თხა.

### ღან-ზე თქმული:

ღამის გაწონვა გაშუალამება. იტყვიან: ღამე გაიწონაო. რაც ნიშნავს თანაბრად გაყოფას, გაწონასწორებას.

ღამის თვალი „ღამის თვალი სხვა არი, ახლა დილით დავხე-  
დოთ“.

ღვთის უბე მყუდრო, ხელშეუხებელი ადგილი. ბედნიერზე იტყვიან, ღვთის უბეში ზისო.

ღვინის გამჭრიახობა ღვინის გაქრა, თრობის ძალა, ფხა. იტყვიან, „ამ ღვინოს გამჭრიახობა აქლია“, ან პირიქით: „გ ა მ ქ-  
რ ი ა ხ ი ღ ვ ი ნ ო ა“.

ღვინის კოკობი ერთმანეთს შეჯიბრებული ღვინის მსმელე-  
ბი გამოცლილ ყანწს მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე დაიბერტყავენ. სასმისიდან ერთი-ორი წვეთი მაინც გამოიფუ-  
რება და ფრჩხილზე დაჯდება. ამას ფ რ ჩ ხ ი ლ ზ ე ღ ვ ი ნ ი ს  
კ ო კ ო ბ ი ს დ ა ს მ ა ს ეძახიან.

ღვინის დადაღვა ღვინით სავსე ჯამში ნაკვერჩხალს ჩააგდე-  
ბენ, რომ ღვინოს ძალა დაეკარგოს და ადვილი სასმელი იყოს. ასეთ ღვინოს და და ღ ლ ლ ი ჰქვია.

დადაღულ ღვინოს ასმევენ გუნების გამოსაკეთებლად, ვი-  
საც წინა დღის ნამთვრალობა აქვს გამოყოლილი. აგრეთვე ავადმყოფს, ღონის მოსამატებლად.

ხევსურეთში სცოდნიათ „ა რ ა ყ ი ს დ ა დ ა.ღ.ვ ა“. არაყში ჩადებენ გახურებულ რკინის ნაჭერს და ამგვარად დაღავენ.

### ღინკილა და ღინცილა.

ამ ორ სიტყვას ერთმანეთს იშვიათად აცილებენ.

იტყვიან კინობით, დამცირება-დაცინვასავით, ჩანდახან

მოფერებიდაც. ტანმცირეს, დალეულსა და ნაბოლარას ეძახიან ერთსაც და მეორესაც.

„ერთი ინდოურის ქუჩი გამომიგზავნა, ანარჩევად, ღინკილად, ღინცილად, კარგათ გაასუქეო...“

„ღინკილას და ღინცილას“ ნაირსახეობაა: „ნ ა ღ ი ნ ც ა ლ ა და ნ ა ღ ი ნ ც ა ლ ა“.

ღონიერა (მცენ.?) „ბიჭო, ღონიერა ხომ არ გიჭამია?“

ღურღურა მზე მხურვალე ზაფხულის მზე. „კლანჯამა თქვა, ერთი თვე ღ უ რ ღ უ რ ა მ ზ ი ს ქ ე ვ შ ვ ე გ დ ე, ბარის პირით ღო-ბეზე გადამაგდეს და ისევ გავცოცხლდით“.

### ღრეცელა და ღრეჭელა

თვალადურ მეტყველებაში „ღ რ ე ც ე ლ ა“ სულიერზეც ითქმის და უსულო საგანზეც. მაგალითად, ვ ი ნ ც ბ ა ე შ ვ ო ბ ი დ ა ნ ც უ დ ს ი ა რ უ ლ ს ე რ ე ვ ე ა და ფეხსაცმელის ქუსლებს იღრეცს, ეტყვიან: „ჰაი, შე ღრეცელავ, შენა!“

ასევე, „ღრეცელას“ ეძახიან, რ ა ც ს ი ძ ვ ე ლ ი ს ა ნ უ ხ ე ი რ ო დ გ ა კ ე თ ე ბ ი ს გ ა მ ო ი ღ რ ი ც ე ბ ა ზ ო ლ მ ე :

„ე რ ა ღ რ ე ც ე ლ ა კ ი ბ ე გ ქ ო ნ ი ა თ“.

„ე რ ა ღ რ ე ც ე ლ ა ს კ ა მ ი შ ე მ ხ ვ დ ა“.

ასეთივე „ხოლმეობითი“ თვისებისაა ღ რ ე ჭ ე ლ ა და ბ რ ე ც ე ლ ა.

„განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნით ღრეცელა ის არის, „ვისაც კისერი აქვს მოღრეცილი. კისერმოქცეული. ღრეცელას იმას ვეტყვით, ვისაც კისერი გვერდზე აქვს გადაღრეცილი („დიალ“).“

ამ ახსნის და დამოწმებული ტექსტის მიხედვით „ღრეცელა“ მხოლოდ ის არის, ვისაც კისერი აქვს მოღრეცილი (კისერმოქცეული).

თვალადურ მეტყველებაში „ღრეცელა“ და მისთანანი უფრო ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, კისერმოქცეულ, კისერმოღრეცილ კაცზე „ღრეცელას“ არ იტყვიან, კისერმოქცეულისა და კისერმოღრეცილის მდგომარეობა გამოარკვეულია, სტატურია, არ იცვლება. „ღრეცელობა“ კი თვისება ან ჩვეულებ-



ბაა: მოღრეცის შემდეგ საგანი თავის პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება, მაგალითად, „ღრექელაზე“ არ იტყვიან — დაღრექილიაო. „ღრექელა“ ის არის, ვინც ხშირად იღრეკება და ღრეკა-სიცილი უნებურ ჩვეულებად აქვს გადაქცეული.

### ქარ-ზე თქმული:

#### ყამირი გლეხი და ყამირი კბილი

ქართულ მეტყველებაში სიტყვა „ყამირი“ შემოსულია არაბულიდან („ღამირ სახნავად უვარგისი“) და გაუტეხელ, დაუმუშავებელ მიწას ნიშნავს (საბას ახსნით ყამირი „კორდი“-ა. კორდი კი დაუმუშავებელი, გაუტეხელი ადგილია. ამას ერთი ხალხური თქმაც ამოწმებს: „კორდი ხარ გაუტეხელი“).

ყამირი სხვა სახელებსაც ერთვის. ქართლურ მეტყველებაში შემინიშნავს „ყამირი გლეხი“, გაუტეხელი, მტკიცე, მამაპაპური ადათის მიმდევარი კაცის მნიშვნელობით, ხოლო ზემო იმერულში: „ყამირი კბილი“, დაუზიანებელი კბილის მნიშვნელობით. არის „ყამირგზა“-ც („განმარტლექსიკ“).

ყორღნების დასხმა დაყორღენა, საზღვრის ქვების მიწაში ჩასმა.

### ყინულის ღულილი

გაყინულ რუში ყინულს ქვეშ მოქცეულ წყალს ძალა რომ დაადგება; წყალი ყინულს ამოხეთქავს, გადმოღინდება და ძველ ყინულს ზედვე დაეყინება. ამაზე იტყვიან, ყინული გადმოღულდაო. „წისქვილის რუში ყინული გადმოღულდება“.

ყურის ძოვება ჩუმი ყურისგდება, ყურიადი. ბოროტი მიზნით „სიტყვის კრეფა“.

ყურძნის სიცილი როცა მტევანი ფერს იცვლის, მარცვალს მტვერი ეცლება, იწმინდება და კრიალს იწყებს, ამბობენ ყურძენი იცინისო.

## ყურძნის ქვირითა

ყურძნის ზრდადაუსრულებელ მარცვალს ქვირითა ჰქვია. თევზის ქვირითის მსგავსად არის წვრილი მარცვალი მსხვილში გამორეული. ეს ემართება „დაწვრილ შვილებულ“ ვაზს (იხ. „ვაზის დაწვრილშვილება“).

„სათერაემა წელს მარცვალი ვერ დაისრულა და ქვირითა გამოვიდა“.

## ყუჭი, ბრყვილი და უბრყვილო

ყუჭი ძალიან შავია. იტყვიან: „ისეთია, როგორც შავი ყუჭიო“.

საბას განმარტებული აქვს ყურჭი („ძლიერ შავი“), აგრეთვე „ყვირჭი“ („ბრყვილი ანუ ლაქა რომ დააჩნდეს რასმე, აგრეთვე შავი ფერი“). რაჭულ დიალექტშიც „ყურჭი“ ძალიან მწიფე ხილს თურმე ნიშნავს (იხ. „განმარტ. ლექსიკ“), ალბათ ჩამუქების გამო.

საბას განმარტება: „ყვირჭი (ბრყვილი ანუ ლაქა რომ დააჩნდეს რასმე, აგრეთვე შავი ფერი), საინტერესო მასალას წარმოადგენს სიტყვა „გულ-უბრყვილოს“ ეტიმოლოგიისათვის. მართალია, საბა სხვაგან ამბობს „ბრყვილი მოსუსტებულაო“, მაგრამ „ყვირჭის“ განმარტებაში ბრყვილი, ლაქა და შავი ფერი აშკარად ერთმანეთის სინონიმებად აქვს წარმოდგენილი. „გულ-უბრყვილოც“ თავისი შინაარსით მიგვითითებს გულკეთილი ადამიანის გულზე, რომელსაც „ბრყვილი“, ლაქა, შავი ფერი არა აქვს (უ-ბრყვილ-ოა) და გულ-შავის, გულ-ბოროტის, „გულ-ბრყვილ-იანის“ საპირისპირო ტერმინად უნდა ვიგულისხმოთ.

ყუჭი ნიადაგი შავი, დამპალა ნიადაგი.

## შინ-ზე თქმული:

### შაბათის პური და ჯოხის პური

ჯოხის პური სოფლის მენახირის სეზონური სამუშაოს გასამრჯელოს ერქვა. მწყემსს გასამრჯელოს უნაზღაურებდნენ ნატურით: ხორბლით, სიმინდით.

მენახირე სოფლის ნახირს მწყემსავედა გაზაფხულიდან გვი-

ან შემოდგომამდე, განსაზღვრული ვადით და განსაზღვრული ანაზღაურებით, მაგრამ თუ გაზაფხული ადრე დადგებოდა და მენახირე მუშაობას დაწესებულ ვადაზე ადრე შეუდგებოდა, ყველა ოჯახი შაბათობით აძლევდა თითო გამომცხვარ პურს, რომ გადაკვეთილი სამწყემსურის მიღებამდე თავი გაეტანა.

„ჯოხის პურის“ ანაზღაურებამდე შაბათობით მიღებულ გამომცხვარ პურს შ ა ბ ა თ ი ს პ უ რ ი ე რ ქ ვ ა .

შალაყაია (?) „ერთი შ ა ლ ა ყ ა ი ე ბ ი და უბედურები იყვნენ“.

შეკვეთილი შეჩვეული, შეთვისებული (იხ. „ძიებაში“ — „შეკვეთილი“ და „ისევ შეკვეთილი“).

შეკიდული აღმართი „ძალიან აღმართი“. შეღმართი. კარწახი (გ. შარაშ.).

შენ ხიცოცხლე, მას ცხონება ამ სიტყვებს ეტყვიან, ვინც ცხვირს დააცემინებს მიცვალებულის ხსენების დროს, თან მხარზე ხელს დაჰკრავენ და ყურს აუწევენ.

შემოკოდვა, ხის შემოკოდვა ხის ძირთან ფესვების ჩაპრაიმ მიზნით, რომ ხე ზეზეურად გახმეს. სხვანაირად „შ ე მ ო ყ ვ ე რ ვ ა“-ც ჰქვია.

შემრეშილი მწვანე წითლად შემღვრეული. ახლად შემწიფებული პამიდორის ფერი (შდრ. მრეში).

შოლტი ნაქულბაქეური ნაქებია ხალხურ ლექსში „სად რა იცის“.

შუბლის იერი გამომეტყველება. „შუბლის იერზე ეტყობა, რა კაციც არი“.

შუბლის ხე აიენის ბოძისთავეებზე დაყრდნობილი მთავარი კოჭი (შდრ. შუბლის კედელი. ბ. წერეთლის ზემო იმერ: ლექსიკ.).

შუქის გავლა ყურძენი მწიფობას რომ იწყებს და მარცვალს ფერი დაეწმინდება, იტყვიან: „ყურძნის მარცვალში შუქმა გაიარა“.

### შ ე ნ ო ბ ა

„შ ე ნ ო ბ ა“ თვალადელების თქმით „მორიდებული“ სახელია და მამაკაცის „სარცხვინელ“ ორგანოებს ნიშნავს. ამ სიტყვას, როცა საჭიროება მოითხოვს, თავისუფლად ხმარობენ

საუბარში. ამის გამო, ვინც ამ სიტყვის ფარული მნიშვნელობა არ იცის, გაოცდება — ისეთ მიმართულებას იღებს ამ სიტყვის ჩართვით ნათქვამის შინაარსი.

„იმ უბედურ თებრას თავის ბიჭისთვის უნებურად მღულღარე გადაუსხამ და შენობა დაუწვია“:

„სოსანანათ ბიჭსა მღულღარე გადასხმია და შენობა დააწვია“.

„ძალი შენობაში წააწვდომია...“

„შენობაში ფეხი ამოუკრამ...“

აი როგორ განმარტავენ ჩემი მეზობლები ამ უცნაურ „შენობას“:

„შენობა გაუსხეპავი სახელი კი არ არი, მოთვინიერებული სიტყვაა, რო პატოსნათ ითქვას... მორიდებული სახელია“.

ჩემი თვალადელი ინფორმატორები სიტყვის ძირების მჩხრეკავი ლინგვისტები არ არიან, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ასავალ-დასავალი ამიხსნან, მაგრამ მცირე დაფიქრების შემდეგ „შენობა-ს“ უყოყმანოდ აკავშირებენ „ნაშენ“-თან, „ნაშენ“-ობასთან, ჩამომავლობასთან.

„შენობა“-ამავე მნიშვნელობით უნდა გვხვდებოდეს გარეკახურსა და კახურ (თელავის რაიონი) დიალექტებშიც, აგრეთვე ჯავახურშიც (სოფ. ბალანთის სამ. სკოლის მასწავლებლის გიორგი ზედგინიძის ცნობით).

ქართლშივე „შენობას“ სხვანაირად „ჩ ა ნ თ ა - ი ა რ ა ღ - ს ა ც“ ეძახიან, უმთავრესად ხუმრობით.

ამ „მორიდებული გამოთქმების“ მრავალი სახეობაა გავრცელებული საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. თვით საბაორბელიანის ლექსიკონში ფიქსირებული მამაკაცის „მორი“ და „ლ ა რ თ ი პირუტყვთ მორი“\*-ც. თვალადურად რომ ვთქვათ, „მოთვინიერებული და მორიდებული“ სახელები უნდა იყოს.

სულხან ქეთელაურის ცნობით, ხევსურულ დიალექტში ამავე მნიშვნელობით იხმარება „კ ი ს ა“ (ალბათ „ქისა“-დან... შდრ. „ჩანთა-იარაღი“.) ასეთი ხევსურული ლექსიც ყოფილა:

---

\* შდრ. ლართხი — „ურემზე დაგებული ფიცარი“, აგრეთვე ფშური „გრძელი ჯოხი“ („განმარტ. ლექსიც“).

შაბიხნეთ ისაკასა, ნაბლღებ ჰვავის ციცათასა.  
... წყალთ კი არ ეხეთქიების, ნებას აძლევს კისათასა.

ხევსურულშივე ყოფილა „მოთვინიერებული“ გამოთქმა „დედ-მამის ტანნი“, რაც თურმე შამაკაცის სარცხვინელს ნიშნავს.

ზემო-ქართლში ქალის სარცხვინელს „სახლ-კარი“ ჰქვია. სახელგატეხილ, ცუდი ყოფაქცევის ქალს „სახლკარი-მონგრეულს“ ეძახიან.

„ეგ კახპა, ეგ სახლკარმონგრეული, ეგა, ვეღარ დაცხრა, ვეღარ მოისვენა“.

პეტრე უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ არის ასეთი ლექსი:

ქალო, შენსა დერეფანსა,  
ბოძ მოუდგამ, არ დაუანგრევ,  
მე რო შენი ქმარი ვიცი,—  
შაუბერამ, გადაუქცევ.

ეს ლექსიც, რა თქმა უნდა, „მოთვინიერებული“, შეფარვით ნათქვამი პორნოგრაფიაა. (შდრ: საბას „მორი“, „ლართი“ და ამ ლექსის „ბოძი“. აგრეთვე — ამ ლექსის „დერეფანი“ და „სახლ-კარი“.).

ზემო-იმერეთში ამგვარი მოთვინიერებული სახელი ქალისათვის ყოფილა „ავეეჯი“.

ამ ტიპის სახელების არსებობა ამართლებს ჩემი თვალადეული მეზობლების ნათქვამს: „შენობა გაუსხეპავე სახელი კი არ არი, მოთვინიერებული სიტყვაა, რო პატროსნად ითქვას... მორიდებული სახელია“-ო. ეს განმარტება შეიძლება გავავრცელოთ ყველა ჩამოთვლილი „მოთვინიერებული“ სახელის მიმართ. ეს სახელები ზრდილობის ნორმებით აკრძალული სიტყვების შინაური სახელებია.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ შინაურ სახელებს ხალხი არჩევდა და არქმევდა შინაარსეული (შენობა, — ნაშენობა, ნა-

შენი) თუ გარეგნული (ჩანთა-იარაღი, ქისა, მორი) მსგავსების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის დიალექტებში სარცხვინელთა „მოთვინიერებული და გასხეპილი“ სახელების ხმარება ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, ეს მოვლენა ფიქსირებულია საბა ორბელიანის ლექსიკონშიც (მორი, ლართი), ამის შემდეგ ბუნებრივად შეჩვენება — დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის ერთ განმარტებას სხვა თვალით შევხედო და შევეცადო მის დაკავშირებას თვალაღურ „შენობა“-სთან.

საბას განმარტებით „შ ე ნ ო ბ ა კ ა ც რ ი ე ლ ო ბ ა ა“.

აღრე ეს განმარტება ჩემს ეჭვს არ იწვევდა და მესმოდა პირდაპირ, კაცრიელის და უკაცრიელის ანალოგიით — მოშენების, ადამიანთა დასახლების შინაარსით, ისევე, როგორც კაცრიელობას განმარტავს დავით ჩუბინაშვილი: „კ ა ც რ ი ე ლ ო ბ ა — ადამიანობა, მოშენებულება, ან დასახლებულება აღვიღთა“. ისე, როგორც ეს სიტყვა ნახმარი აქვს შოთა რუსთაველს:

„მაგრა დავეყარენ არენი მე კ ა ც რ ი ე ლ თ ა თ ე მ თ ა ნ ი“.

მაგრამ თვალაღურმა „შენობამ“ და ზემოთჩამოთვლილმა მრავალმა მაგალითმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ჩემი შეხედულება. ჩემი ეჭვი უფრო გააძლიერა „კაცრიელობის“ და „კ ა ც“ ფუძიდან მომდინარე სიტყვების შინაარსმა ქართლურ მეტყველებაში.

ქართლურ მეტყველებაში „ს ა კ ა ც ე“ იგივე „შენობაა“. ამავე მნიშვნელობით იხმარება „ს ი კ ა ც რ ი ე ლ ე“ და „კ ა ც ო ბ ა“. ხშირად გაიგონებთ ასეთ გამოთქმებს:

„ს ა კ ა ც ე გაუხმეა მაგ უნამუსოსა, ორლობეში ქალს არ გაატარებს“.

„ს ი კ ა ც რ ი ე ლ ე რო გაუქრეა, რაც ქვეყანაზე კაცია, მაგაა მინც არ...“

„ს ა კ ა ც ე შ ი ბ ი ქ ი ა...“

„კ ა ც ო ბ ა არა ჰქონია“.

ზომ არ არის საბას მიერ განმარტებული „შენობა“ თვალაღურ „შენობა“-სავით ფარული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა?

შესაძლოა, საბა ორბელიანის „შენობა“ მეტ დაკვირვებას მოითხოვდეს, ხალხური „შენობისა“ და მისი მსგავსი „მოთვინიერებული და გასხეპილი“ სახელების არსებობა კი ქართული ენის რამდენიმე დიალექტში უტყუარი ფაქტია.

შეშვილება გადატანით: მითვისება. „თოხი ვათხოვე და შ ე ი შ ვ ი ლ ა“.

### შეშინებული

„შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ს“ მხოლოდ ადამიანზე არ იტყვიან, ამბობენ უსულო საგნებზეც:

შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი კ ე დ ე ლ ი დაზიანებული, გაბზარული კედელი: „ეს კედელი შეშინებულია, თუ არ შევაკეთეთ, ჩამოინგრევა“.

შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი კ ვ ი რ ტ ი ყინვისაგან შემზრალი კვირტი. „კვირტი ყინვამ შეაშინა“.

შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი ბ ო ძ ი მორყეული ბოძი.

„განმარტ. ლექსიკონს“ აქვს „ყინვისგან შეშინებული არე-მარე“ (დ. კლდიაშვილი).

შეძლეული ქალი გასათხოვარი ქალი, რომელიც საცოლედ ეძლეოდა ვინმეს, მაგრამ გათხოვება აღარ მოუხერხდა.

შეწრთვნა ხის ტოტების შეწრთვნა, გადაკაფვა, გადაბეღვა. „ამ გაზაფხულზეც შ ე ს წ რ თ ვ ნ ა ტოტები ხესა...“

შეჯავახება ახირება, შეჯიბრება, შებმა სიტყვით ან ძალით. „რას ეჯავახები, რა შენი ტოლია!“

ეს სიტყვა რაჭულ დიალექტშიც ყოფილა. (მდრ. ვუკ. ბერიძის „ჯავახი“ და „განმარტ. ლექსიკონის“: „ეჯავახება“).

შიგანი შიგან სულ შიგნით. „შიგანის უშინაესად“ (საბა). გარდა იმისა, რომ საბას განმარტება „შიგანის უშინაესად“, საოცრად ლაპიდარული და სწორია, მიგვითითებს „შ ი ნ“-ას გენეტიკურ კავშირზე „შ ი გ ნ ი“-სა და „შ ი გ ა ნ“-თან.

შინაბერა 1. შინდაბერებული, გაუთხოვრად დარჩენილი ქალი. 2. დედოფლის პირადი მსახური ქართლის მეფეთა სასახლეში. (იხ. „ძიებაში“ — შინაბერა).

შლამა ქვა ხვიშირი, ფხვიერი ქვა.

## ჩინ-ზე თქმული:

ჩაბოკვერა ჩასუქებული, დაბალი.

ჩაგველა დაბალი, ჩაგვალული კაცი.

ჩაგი დაბალი, იგივე ჩაგველა.

ჩალხზე გასვლა პარკის გასაქეთებლად აბრეშუმის ჭია გადის საგანგებოდ დამზადებულ მცენარეულის კონებზე. კონებს აეთებენ ცოცხისას, სატაცურის ღერებოსას და სხვ. „სატაცური საჩალხე მასალად გამოდგება...“ სხვანაირად ჩალხს „ცახი“-ც ჰქვია.

საბას აქვს „ჩახი“ და „ცახი“, რასაც ასე განმარტავს: „საქიე კონა ბოჟთათვის“.

ჩამოთაღმა შემდეგ, მერმე, აქეთ. „იმ შენი უფროსი ძმის ჩამოთაღმა უნც დაიბადა...“

ჩართმეული ჩაქრილი, ჩახეული. „ჩხუბის მერმე ნაწიბურის მხარე სიგძლიე სულ ჩართმეული ჰქონდა“.

ჩაფურა ჩაფრუკა, ჩაფუნა. პატარა ჩაფი.

ჩახსილვა ხსილის გაჩენა. ხ ს ი ლ ი ბუზის კვერცხია. უჩნდება ბუზის ნაჯდომ ხორცს, პირუტყვის იარას და სხვ. საბას ფიქსირებული აქვს „მ ს ხ მ თ ლ ი“. ქიზიყურ მეტყველებაში ჩახსილვას „ჩამსხნილება“ ჰქვია, ხოლო ხსილს „მსხნილი“ ან „მხსნილი“. ხევსურულად არის „ნამწერავე“ (ს. ქეთელ.). ჩახსილვას კი „დ ა მ წ ე რ ვ ა“ ეწოდება. „ხორცს მ ე მ წ ე რ ე ბუზე დამწერავს“ (ალ. ჭინჭარ).

„ჩემი კაბით დაჯდეს“ წყევლაა. ჩემ დღეში ჩავარდეს. ჩამსავით გაუბედურდესო, იტყვიან გაბოროტებული მწუხარენი.

ჩითილის დაყვერვა ახლად ამოსულ ჩითილს გადარგავენ, შერე კიდევ ვადარგავენ. ასეთ ჩითილს დ ა ყ ვ ე რ ი ლ ი ჰქვია. დაყვერვა გაუმჯობესების მიზნით ხდება.

ჩიჩქვი რბილი, ჩვილი.

„მახობლის ცომი ჩ ი ჩ ქ ვ ა დ უნდა მოიზილოს, რომ თონეზე გაჩერდეს“.

ალ. ჭინჭარაულის ცნობით „ჩ ი ჩ ქ ი“ რბილის მნიშვნელობით იხმარება ხევსურულშიც.



ჩოქელა აღრეული სიმინდის ჯიში. ძალიან დაბალი იზრდება, პატარა ტარო აქვს.

ჩრდილის მზე მზე თხელ ღრუბლებში. „ასეთ მზეს ჩრდილის მზეს ვეძახით.“

ჩხარი კოქაობის, კოქობანას თამაშის დროს, როცა ყველა კოქი (ერთის გარდა) ერთნაირად დაჯდება, ჩ ხ ა რ ი ა ო, იტყვიან.

### ცან-ზე თქმული:

ცალგული ერთგული. ორგულის საპირისპიროდ ხმარობენ: უფრო ხშირად გამიგონია, როგორც ზედსართავი (ცალგული კაცი).

ხევსურულ დიალექტშიც იხმარება „ცალგული“ აღლის მნიშვნელობით. (ს. ქეთელ.).

ცალპირად ნაქსოვი კაცე უნდილი, უუნარო კაცი.

ცალპირი კედელი ცალპირად, ერთი პირი ქვით ან აგურით ნაშენი თხელი კედელი, ქიზიყურ მეტყველებბაში ცალპირ კედელს ჩ ა ლ ა ნ გ ა რ ი რქმევიან. (იხ. ქიზ. ლექსიკ.).

ცალპირი მანდილი სამკუთხიანი თავსაკრავი ხილაბანდი. ოთხკუთხიანს თ ა ვ შ ა ლ ი ჰქვია.

ცალხაშა ჩვეულებრივად, პურის გამრცხობის წინა საღამოს, ძველ ხაშს „წ ა ა დ ე დ ე ბ ე ნ“, გადაახალისებენ: ცოტა ფქვილსა და თბილ წყალს დაამატებენ, ჩაზელენ და მეორე დღისათვის შეინახავენ. ეს არის ჩვეულებრივი, ნორმალური ხაში... თუ დაავიწყდათ ხაშის წადელება და გადაახალისება, პურს ძველი, წ ა უ დ ე დ ე ბ ე ლ ი ხ ა შ ი თ აცხობენ. წაუდელებელი ხაშით მოზელოლ ცომს ც ა ლ ხ ა შ ა ც ო მ ი ჰქვია, ხოლო პურს — ც ა ლ ხ ა შ ა პ უ რ ი. ცალხაშა ცომი სწრაფად ფუვდება, თონზე არ ჩერდება, ცვივა. ამიტომ უთქვამს ქართველ კაცს ასე ხატოვნად: „ცალხაშა ცომი-ცხენიან კაცს გაასწრებსო“.

ცალხაშა პური მომკაეო და მდარეა.

ცალხაშა ცომი ცალხაშათი გაღვივებული ცომი.

ცალხაშა პური „ცალხაშა ცომის“ პური;

„ცამ არ დაინახოს“ როცა გამოცდილი დიასახლისი გამო-  
უცდელს ცომის გასალევივებელ ხაშს ათხოვებს, ასე დაარიგებს:  
„სახაშე ქილა გულზე მიიკარ, ცამ არ დაინახოს“. თვალადე-  
ლების ახსნით ხაში სიბნელეში უნდა იყოს, რომ ჰაერმა და  
მზემ არ დასცადოს და საფუარის თვისება არ დაუკარგოს... არა  
მარტო პურის ხაში, „ცამ თონეში ჩასაკრავად-ამოგუნდავებუ-  
ლი ცომიც არ უნდა დაინახოს.“ ორომზე ამოგუნდავებულ  
ცომს ტილოს აფარებენ და ისე მიაქვთ სათონეში.

ციცხლისწვირი ცეცხლის ენის წვერი. „ციცხლისწვერს“  
ხშირად იყენებენ ზედსართავად, ფერის მნიშვნელობით ხმარო-  
ბენ შედარების დროს: „ცი ც ხ ლ ი ს წ ვ ე რ ი ვ ი თ ხ ო რ -  
ბ ა ლ ი ა“.

ცილა ღლე ზამთრის პატარა, მოკლე ღლე.

ციხ დაწმენდა გამოდარება. „ღმერთმა ცა და ღრუბელი თუ  
დაგვიწმინდა...“

ციხ ცურცლი ღამით დანამულ კორდიან ადგილებში ჩნდე-  
ბა, მომწევანო, კაუჩუკივით რბილი ნივთიერება. მზე რომ და-  
ხედავს, დნება. „ღ ვ თ ი ს ც უ რ ც ლ ს ა ც“ ეძახიან.

ციციანთ სუფრა სუფრაზე თუ პურის მიტანა დაავიწყდათ,  
დიასახლისს ხუმრობით ეტყვიან, ციციანთ სუფრა ხომ არ  
არის, პური რომ არ მოგიტანიათო.

გადმოცემით, თავად ციციშვილს ქართლის მეფე სტუმრად  
დაუპატიენია და სანამ სუფრაზე მიიწვევდა, კარავში შეუყვანია.  
ამ კარავს ლავაშის ფარდები ჰქონია: უზარმაზარ მაგიდაზეც  
სუფრად ლავაში ყოფილა გაშლილიო, უმატებენ.

ცომის შეცოლქმარება პურის ცომი ზელვის დროს კარგად  
რომ შეიკვრება და შედგედდება, იწელება და ნაწილნაწილ არა  
წყდება, იტყვიან, ც ო მ ი შ ე ც ო ლ ქ მ ა რ დ ა თ .

აგრეთვე: ცომის ზელვის დროს თუ შეატყობენ, რომ ცომი  
ცოტა მოუვიდათ, იმავე ვარცლში მეორე პატარა ცომს კიდევ  
მოზელენ, მერე ორივე ცომს ერთმანეთში გადაზელენ — შ ე ა -  
ც ო ლ ქ მ ა რ ე ბ ე ნ .

ცოტაობა შემცირება, კლება. „ცოტაობა დაიწყო...“

ცოცხურად წოლა ერთ საწოლზე ორი ადამიანის თავშეკ-  
ცევით წოლა.

ცულის გავლა ტყეში მიუდგომელ, უსიერ ტყეზე იტყვიან, იმ ტყეში თავის დღეში ცულის არ გაუვლიათ.

ცხენის კენკრა ცხენის კვინიხი. „ცხვირი ცხენის კენკრას უგავს“.

ცხვირის შახიება „ცხვირი რო შაუსივდება გოგოსა და თანაც კვერცხივით შამწიფდება, მაშინ არი გასათხოვარი“.

ცხვირვა მოხერხებით შოვნა, „გამოთხრა“ და მოხვეჭა ქონებისა, ფულისა. „იმდენს არას მუშაობს, რასაც ცხვირავს და ისე შოულობს“.

### ძილ-ზე თქმული:

ძალთუმრავლესი ძალთოდენი, მრავალი, უამარი. გაკილვით იტყვიან ღარიბ და გამრავლებულ ნათესავზე, ან მეზობელზე: რომელ ერთს დაეხმარები, ძალთუმრავლესი არიანო.

ძაღლის ყბა, ძაღლის ყბის გამოზმა აყბედება, გაუთავებლად და მომაბეზრებლად. „ქარგი, გაჩუმდი, ძაღლის ყბა ნუ გამოიბი!“

ძგნარვა ხარბად ჭამა, თქვლეფა, ხეთქვა. გაკილვით და ძრახვით იტყვიან ხარბად მჭამელზე.

„ინდაურის ბარკალს ნადირივით ძგნარავდა, თქვლეფავდა, ხეთქავდა“.

დ. ჩუბინაშვილის ახსნით „ძგნარვა“ ღრღნაა. (შდრ. იმერული ონთქი, ონთქვა — ნთქმა).

ძეძვიფარა ძეძვის ნაყოფი. მრგვალია, პატარა, პერანგის ღილისოდენი; მართლაც საომარი ფარის მსგავსი. მოადუღებენ და გულის ხუთვის წამლად ხმარობენ.

ძილისგულა ტყაპუნა პეპელას ქუპრი. ტყაპუნა ღამის ზებელაა, შავი, ფართოფრთიანი. ფრთების ტყაპუნით დაფრინავს. მისი ქუპრი გამძლე და უხეშია, მოყვანილობით მართლაც გუდას ჰგავს. ამ გუდაში სიცოცხლეს სძინავს, სანამ დრო დაუდგება და გაიღვიძებს.

„ძილისგულა“ ქიზიყურ მეტყველებაშიც ყოფილა. სტ. მწნთეშაშვილი თავის ლექსიკონში ამბობს: „ერთგვარი მწე-

რი ტყეში ხის ტოტზე კვერცხს დადებს და გარშემო პარკ-სავით შემოაკრავს“. ტყაპუნა, ალბათ, ამ „ერთგვარი მწერის“ სახელია.

ძირის სახლი ქვედა სართული. მიწის იატაკიანი. ჩვენს დროში საცხოვრებლად აღარ იყენებენ, მაგრამ სახელწოდება მაინც დარჩენილია: „ჩაირბინე და ძირის სახლიდან ცოტა ხახვი ამომიტანე“.

### ძ მ ა ნ ე ბ ი.

„ძმანები“ ძმების მნიშვნელობით მეტყველებაშიც გაისმის და ხალხური ნათქვამიც არის: „გაზაფხულისა ნათესი ციცი-ხვით გაიყვეს ძ მ ა ნ ე ბ მ ა“-ო.

იმერულ მეტყველებაში, როგორც შ. ძიძიგური წერს: „გავრცელებულია ძმანები, დანები. როგორც ცნობილია, ამ ფორმებში არქაული ფუძეა ძმან, დან, მრავლობით რიცხვში შემონახული“ (შ. ძიძიგური, „ძიებანი...“).

„ძმან“ ფუძე შემონახულია გვარშიც: ძ მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.  
(არის ძამანაშვილიც).

### ძ ო ბ ა ნ ი

ძ ო ბ ა ნ ი შენახულ საზრდოსა ჰქვია. „ვილაცამ ძობანო სუმთლათ ჩამომიკაკრა“.

ფშაურად ძობანი ლასტია, რომელსაც საბოლოეში ცეცხლის თავზე ჰკიდებენ და ზედ ხაჭოს კვერებს აწყობენ (ალ. კინ-პარ.).

ძუძუხატი ქალის გულმკერდის მოყვანილობის ქანდაკი, — წარმართული ხატი. ინახებოდა ქვათახევის ტაძარში. გადა-მოცემით, „დედა-ღვთისადან“ ყოფილა ქვათახევის მონას-ტერში ამოტანილი. „ღ ე დ ა-ღ ვ თ ი ს ა“ ღვთიშობლის აწ ღანგ-რეული ნიშია ქვათახევის მახლობლად. ქრისტიანული დედა-ღვთისას ნიშის გაჩენამდე ამ ადგილას, ალბათ, წარმართული „ძუძუხატის“ საუფლო იყო. ძუძუხატი ნაყოფიერების ღვთა-

ების გამოსახულება უნდა ყოფილიყო, რადგან ქვათახევის ტაძარში გადმოტანის შემდეგაც ამ ქვის ქანდაკის ნაბანი წყლით „მკურნალობდნენ“ უშვილო ქალებსა და ბერწ პირუტყვს. ამჟამად „ძუძუხატი“ ქვათახევეში აღარა ჩანს.

### წილ-ზე თქმული:

წაგერისება (იხ. მოგერისება)

წადედება „ცალხაშას“ გადაზელავენ, თბილ წყალსა და ფქვილს გაურევენ და გაათხელებენ მეორე დღისათვის. (იხ. ცალხაშა) „ქალო, ხაში წაუდედე თუ ცალხაშაა?“

„წადედების“ პროცესს იმერეთში „საფუარის მონედლება“ ჰქვია (ნ. ულენტის ცნობა), ქიზიყში კი „ხაშის გაახლება“ („ქიზიყ. ლექსიკ.“).

წაკულაკი კურკოვანი ხილის ადრეული, მკვახე, მჟავე ნაყოფი. ბავშვები ეტანებიან. „წაკულაკის ქამით კბილი მაქვს მოკვეთილი“.

### წამება, გაწამება

„ველარა აწამა რა“-ო, იტყვიან, როცა კაცი რაიმე მიზეზით უცებ შეცბება, გაჩუმდება და სათქმელს ვერ დაასრულებს, ან სრულიად არაფერს იტყვის... თქმას ველარ მოახერხებს.

„წამება“ თქმაა.

„წამებას“ სხვა მნიშვნელობებიც აქვს და ეს მნიშვნელობები ახსნილია საბა ორბელიანის, ნიკო ჩუბინაშვილის, დავით ჩუბინაშვილის და სხვა ლექსიკოგრაფების ნაშრომებში.

მაგრამ ამ შემთხვევაში წამება ჩვენ თქმის, ან არ თქმის მნიშვნელობით გვაინტერესებს.

„წყალობა მოიღეს ჩემზედა, მარა ჯერ არს ქეშმარტიისა წამება, რაც ზაქარია მოძღვარმა ჩემზედ კეთილი ქმნა, სხვას არავის უყოფია“-ო, ამბობს ერთგან იესე ბარათაშვილი.

ამ ნათქვამში „ჯერ არს ქვემარიტისა წამება“ უნდა ნიშნავდეს: „ჯერ არს ქვემარიტისა თქმას“.

„რომელნი იგი დუმილით წამებენ და ხმამალა ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“ (გიორგი მთაწმიდელი).

აქაც „დუმილით წამებენ“ დუმილით ამბობენ, დუმილით მეტყველებენ უნდა იყოს, თუმცა, შესაძლოა, დუმილით: ემოციებიანი, დუმილით ადასტურებენ უფრო გამოდიოდეს.

ხევსურულ დიალექტში, ალ. კინჭარაულის მოწმობით (იხ. უერ. „ცისკარი“ № 8, 1962 წ. „ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის გაგებისათვის“), გაწამება „თქმას-გამხელას“ ნიშნავს. მისივე თქმით „ეს სიტყვა ქართულის მონათესავე ზანურში თავისი პირვანდელ მნიშვნელობით არის დაცული: „უწუმერს“ ნიშნავს „ეუბნება“. ეს ძირი სიტყვისა უკვე შირღება ქართული და ქართველური ენების ზოგ სხვა სიტყვისა“.

ალ. კინჭარაული ამ მოსაზრებით და სხვა საბუთების მოშველიებითაც ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 134-ე სტროფის მესამე სტრიქონში ნახმარი „გამიწამე“ — მითხარ, მიბრძანე, მიბოძეს უდრის თავისი შინაარსით.

„მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე...“

ქართლურ და საერთოდ ქართულ ზეპირ მეტყველებაზე და ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების ენაზე დაკვირვებამ მაფიქრებინა, რომ „გაწამება“ გაჩუმებასაც უნდა ნიშნავდეს.

ჩვენში იტყვიან: „გაწამდა, ველარაფერთ ქვაო.“ ეს „გაწამება“ გაჩუმების მნიშვნელობისა უნდა იყოს, ისევე, როგორც ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერებში ჩემს მიერ შენიშნული მაგალითები:

„ჩამოვარდა დუმილი, მაყურებლები გაწამდნ.“

„თვალეზი დახუჭა და გაწამდა.“

შეიძლება დავასკვნათ, რომ „გაწამება-წამება“ თქმას ნიშნავს, მაგრამ ზოგჯერ გაჩუმების მნიშვნელობითაც იხმარება.

წამოგონება უცებ, ანაზღად გახსენება, მოგონება (იხ. „ძიებაში“ ვრცლად).

წანკლიანი, წანკლიანი ენა ენაგარყენილი, უწმაწური.

„კოკლს უთხრეს, ნეტავ ენა გქონდეს კოკლი და შენ ფეხმართალი იყო, მაშინ ხომ მაგ წანკლიან სიტყვებს ველარ იტყოდით.“

წასულები მიცვალებულები. ამ ქვეყნიდან წასულები. „ჯერ წასულები ვადღეგრძელოთ... თქვენი წასულები ის დღე შეგემატოთ“.

წაფურა ხის ჯამი, ღვინის სასმისი.

წვერამდე მოხვლა ვაზის რქის წვერამდე მოხვლა, გაზრდა.

წელანგარა ზარმაცი, წელათრეული, წელმოწყვეტილი კაცი.

წელიწადის მოტრიალება ერთი წელიწადის გასვლა, წლის თავი. იტყვიან: წელიწადი მოტრიალდაო.

წესის ჩატარება იგივე „ქართული წესის ჩატარება“ (იხ. ქართული წესი).

წიალიანი პური მაწიერი, ყუათიანი პური.

წიალიანობა მაწიერობა, ყუათიანობა.

წილდებულის საქმეში მუდამ წილდადებული, ენერგიული კაცი. ასეთ კაცზე იტყვიან, ყველა საქმეში წილდებულისაო.

წინამასწარა ვარსკვლავი ვარსკვლავი, რომელიც ყველაზე ადრე ამოდის.

„წინამასწარა ვარსკვლავი ყველა ვარსკვლავზე დიდია.“

წინაპირველათ სულ წინათ.

წინაწვივი, წინაწვივით წაყვანა წინაწვივით წაიყვანესო, იტყვიან ფეხმძიმე ქალზე, როცა თვეში ჩადგება და მოსალოგინებლად მშობლებთან წაიყვანენ.

წინახა, წინწიბურახა...

ბავშვები ხილის საქმელად ან წყაროს დასალევად მიდიან, ყველა ცდილობს პირველი იყოს... მირბიან, მირბიან. უცებ წინწასულის დასაშინებლად ვინმე წამოიძახებს:

წინასა, წინწიბურახასა,

გველი აუღვა ყირასა!

და თითქოს მართლაც უხსენებელი შეეფეთათო, ყველა შეჩერდება და ცდილობს წინ არავის გაუსწროს.

ამ ლექსში გაუგებარია სიტყვა „წინწიბურა.“ თამაშის შინაარსისა და ლექსის კონტექსტის მიხედვით „წინწიბურა“ წინ წასულს, წინ გასწრებულს ნიშნავს. მაგრამ მსგავსი სიტყვა პ. უმჭიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ მოთავსებულ ლექსშიც გვხვდება და იქაც ბუნდოვანია მისი მნიშვნელობა:

თბილი ქათმის კისერი,  
ისიც მუხლზე დაკიდები,  
წიწიბურამ მამტაცაო.  
მაცა, მაცა, წიწიბურაჲ.  
შეც გადმოვალ სერზედაო!

პირველი ფრაგმენტის „წინწიბურა“ თვით ადამიანია, მეორე ლექსში კი „წიწიბურა“ ქათმის კისერს სტაცებს ადამიანს და სერზე ასვლაც შეუძლია. მათი დაკავშირება მნიშვნელობის მიხედვით შეუძლებელია.

„წინწიბური“ საბა ორბელიანს ასე აქვს განმარტებული: „წინწიბური, ბალანთ საგლეჯელი პატარა მშვილდი.“ ნიკო და დავით ჩუბინაშვილები არაფერს უმატებენ ამ ახსნას. არც „ბალანთ საგლეჯელი პატარა მშვილდი“ გვეხმარება ამ სიტყვების ასახსნელად.

გ. შარაშიძის „გურულ ლექსიკონში“ ახსნილია „წინწიბურო, წვერი, მწვერვალი ხისა“, მისივე ცნობით ზემო გურიაში „წინწიბური, წინწიბური“ კიდეს ნიშნავს. მაგრამ, ვგონებ, ვერც გურული კილო შველის ძველ ხალხურ ლექსებში ბუნდოვანი ადგილების გამოჩვენებას.

წინკალთა წინა კალთა.

### წინწანაქარი

წინწანაქარი ჩვენში მხოლოდ პირველად გამოხადენა არაყის მნიშვნელობით გამოიგონია, მაგრამ, როგორც ჩანს, საერთოდ პირველგამოხადენთა ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვაა. ძველ და ახალ ლექსიკონებში ეს მოე-



ლენა ამგვარად არის ახსნილი: საბას განმარტებით „წინწანა-ქარი პირველგადმონადენი ტყბილი“-ა. ნ. ჩუბინაშვილი აფართოებს ამ სიტყვის მნიშვნელობას: „წინწანა-ქარი პირველი გამონადენი დაწურვილი ღვინისა, ან გამოხდილი არაყისა“. იქვე. მომდევნო განმარტებაში ნ. ჩუბინაშვილი ღვინისა და არაყის წინწანაქარს „ერბო წინწანაქარსაც“ უმატებს, რაც მისი ახსნით გადაუმდნარებლოს, კარაქს ნიშნავს. (დ. ჩუბინაშვილი ახსენებს „ლუდის წინწანაქარსაც“.\*).

წინწანაქარის ხარისხზე და თვისებაზე არც საბა, არც ჩუბინაშვილები არაფერს ამბობენ. წინწანაქარის ხარისხს ქიზიყური მეტყველების საფუძველზე ხსნის სტ. მენთეშაშვილი თავის „ქიზიყურ ლექსიკონში“. მისი განმარტებით ყურძნის წურვისას „პირველად გავარდნილ წვეს“ ქიზიყში წინწანაქარს ეძახიან და თვისობრივად ეს წვენი „წყალწყალაა.“ ასევე „წყალწყალაა“ მისი თქმით „პირველად გამოსული არაყი“, ანუ წინწანაქარი.

ქართულ ლექსიკონებში ღვინის, არაყის, ლუდის და ერბოს წინწანაქარის დადასტურება საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ „წინწანაქარი“ მივიჩნიოთ „პირველგამონადენის“ აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად.

წინწანა „წინწანაქართან“ დაკავშირებით უნდა შევეხოთ „წინწანას“ ჰაკითხსაც. ვასილ ბარნოვის განმარტებით „წინწანა“ — პატარა ჯამია ხისა. ამავე მწერლის თხზულებათა სრული კრებულის ახალი გამოცემის პირველი ტომის „სიტყვების ახსნაში“ კი „წინწანა“ ამგვარად არის განმარტებული: „პირველად მიღებული არაყი (ერთ ლიტრამდე)“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უბრალო ლაფსუსია, რაც გა-

\* ხევსურულად „პირველად გამოსულ არაყს წვერის არაყი (წინწვერი, წინწვერის არაყი, წინწარაქალი, წინ წანაქარი ეწოდება, ნაბოლოვარს კი შამანი“. (ილ. კინკარ.). ზემო იმერულად „წინაქარი, წანაქარი“ (ბ. წერეთ.). ლეჩხუმურად „რახი“ (მ. ალავე.) ამათ გარდა, არის „ეპიტაური“ და სხვ.

მოწვეულია ამ ორი სიტყვის (წინწანაქარი და წიწანა) მსგავსებით, მაგრამ „წიწანას“ საკითხი ერთგვარ გარკვევას მოითხოვს, რომ „წიწანას“ მნიშვნელობაც დაზუსტდეს და ვასილ ბარნოვის განმარტების სისწორეც დადასტურდეს.

მიხ. ჩიქოვანის რედაქტორობით გამოცემულ „ფშაური ხალხური სიტყვიერების“ მესამე ტომში მოთავსებულია ლექსი „ყეინიანთ ქალი“, სადაც ასეთი ადგილია:

წითელ შოის კაბა ეცვა, შეიღიშის ნიფხავია,  
კარგუნელან ძუძუანი, როგორც ჩალის წიწანია,  
სამჯერ ისე შემაკრთუნა, ფეხქვეშ შეძრენ შიწანია.  
მაგასთანამც დამაწვინა, მამცა იმთვენ იღბალია.

ცნობილი მწერალი და ამ ლექსის ჩამწერი, შესანიშნავი ლექსიკოგრაფი თედო რაზიკაშვილი „წიწანას“ ამგვარად განმარტავს: „წიწანი — პატარა ხის ჯამი. ჩალისა, — ბაზარში რომ ჰქრელ ჯამებს ჰყიდიან“.

ცხადია, მართალი იყო სოლ. ხუციშვილი, როცა ვასილ ბარნოვის ოხზულებათა „სიტყვების ახსნის“ განმარტებას გამოეკამათა და აღნიშნა: „მგონია თვით ვ. ბარნოვის, განმარტება უფრო მართებულია“-ო. („ლიტ. გაზ.“ 1961, ივნისი).

ოღონდაც ვასილ ბარნოვი ამაში არ შეცდებოდა.

ფშაურ კილოს მხარს უჭერს ხევსურულიც. წიწანი ხევსურულადაც ხის პატარა ჯამია:

„უდგამ ფურს ხის პატარა ჯამით („წიწნით“) საგერებ-ს ალოკვინებენ“ \*.

ეს სიტყვები მოყვანილია ალ. ჭინჭარაულის წიგნიდან: „ხევსურულის თავისებურებანი“, ავტორს „წიწანის“ ხმარება დამოწმებული აქვს ხევსურული ლექსითაც:

„ხოდედა რასაღ მიუდგამს საგერებიან წიწანსა“.

(„ხევს. პოეზია“, აკ. შანიძის რედ. 271).

\* იხ. ამ ლექსიკონში: „მოგერისება“.

წიგნა, ტილის კვერცხის (წილის) მოშორება. (იხ. „ტის-  
გნა“).

### წკიპარტი და წკიპურტი

წკიპარტი ჰქვია ნამგლის ერთი გამოსმით. გამომკილ  
პატარა ხელეურს, რომელსაც პატივისცემის ნიშნად მხარ-  
მევედნენ ხოლმე სამკალში მისულ საპატიო კაცს, მებატონეს,  
ან ახლოს გამვლელ მგზავრს, რომელიც მკელებს თავის მხრივ  
ხვევიან მოსავალს, ბარაქას უსურვებდა და ფულით ასაჩუქ-  
რებდა.

დასაჩუქრებული გლეხი შემდეგ დაწნავდა პურის ჯვარს  
და, თუ ხელი მიუწვდებოდა, სამაგიერო საჩუქრად გაუგზავ-  
ნიდა დამჯილდოებელს.

სხვა მნიშვნელობით აქვს ახსნილი „წკიპარტი“ საბა-  
ბელიანს. მისი განმარტებით „წკიპარტი თითის კუ-  
რა“-ა. \* საბას მომდევნო ლექსიკოგრაფებიც ამ შინაარსით  
განმარტავენ წკიპარტს.

„წკიპარტი ერთი თითის მეორეხედ დასხლექით შე-  
მოკვრა“. (ნ. ჩუბ.).

„წკიპარტი თითით წაკვრა, шепшок“ \*\* (დ. ჩუბ.).

თუ თანამედროვე ქართულ მეტყველებასა და ლიტერატუ-  
რას დავაკვირდებით, დღეს თითის კვრას წკიპურტი  
ჰქვია და არა წკიპარტი. ასევე განმარტავს „წკიპურტს“  
1959 წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი:  
„шепшок წკიპურტი, წკიპურტის კვრა, ცხვირში წკიპურ-  
ტის კვრა... თითების ტკაცუნი“.

როგორც ვხედავთ, ახალმა ქართულმა მეტყველებამ ანგა-  
რიში არ გაუწია საბა ორბელიანისა და მისი საქმის გამგრძე-  
ლებლების განმარტებას და წკიპარტი „წკიპურტით“ შეც-  
ვალა.

\* ხეუსურულადაც ს. ქეთელაურის ცნობით „ისკიპარტი კვრა“  
ნიშნავს — წკიპარტი ჰკრა.

\*\* აჭარულ დიალექტში „წკიპარტი“ ნიშნავს თითის კვრას (ფრიდონ  
ხალვაშის ცნობით).

ქიზიყური „წკიპურტიც“ ყანის მკასთან არის დაკავშირებული და სტ. მენტეშაშვილის განმარტებით ნიშნავს „ხელეურის შესაკვრელ წველს“, რაც თავისი დანიშნულებით ქართულ ულღს მოგვაგონებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ულღოთი ძნას კრავენ, ქიზიყურ „წკიპურტს“ კი ხელეურებს „აგრეხენ“ („წკიპურტ-ნაგრეხი მუქეულუბი“).

ქართულ დიალექტებში, ლექსიკონებსა და ზეპირ თუ წერილობით მეტყველებაში წკიპარტისა და წკიპურტის მნიშვნელობათა არევა გასაკვირველი არ უნდა იყოს ამ ორი სიტყვის გარეგნული მსგავსების გამო. შესაძლოა, ამის მიზეზი სხვა უფრო არსებითი რამეც იყოს — სახელდობრ, მათი არქაული მნიშვნელობის იგივეობა.

### წყალგარდა ბავშვი

წყალგარდააო, იტყვიან უსაფქვაობით გაჩერებულ წისქვილზე.

„ქიზიყურ ლექსიკონში“ ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით არის ახსნილი.

თვალადურ მეტყველებაში „წყალგარდა“ გვხვდება გადატანითი მნიშვნელობითაც. იტყვიან უბედურ-უპატრონო, მართოდ დარჩენილ ადამიანზე:

„ღედა ადრე მოუკვდა, მამა ფრონტზე დაეკარგა და უბედური ბაღდი წყალგარდა დარჩა.“

### წყალძვირობა და წისქვილძვირობა

გვალეების დროს ქართლში სარწყავი და საწისქვილე წყლის დიდი ნაკლებობაა. ბალ-ვენახების რწყვა ფერხდება და წისქვილებს წყალი არა ჰყოფნის. ეს „წყალცოტობა“ ანუ წყალძვირობა თავის მხრივ იწვევს წისქვილების გაჩერებას და დაფქვის გაჭიანურებას, რასაც „წისქვილძვირობას“ ეძახიან.

წისქვილძვირობას ზამთრობით დიდი ყინვების გამო საწის-  
ქვილე წყლისა და წისქვილების გაყინვაც იწვევს.

აყინულა — ბაყინულა,  
წისქვილები გაყინულა.

„იმისთანა წისქვილძვირობა იყო, იმისთანა წყალძვირო-  
ბაი, რომა ქვეყანაი ცეცხლი ეკიდა.“

ტერმინი „წყალცოტაობა“ გვხვდება ვახუშტი ბაგრატიო-  
ნის „საქ. გეოგრაფიაში“. აგრეთვე დ. ჩუბინაშვილის ლექსი-  
კონში: წყალ-ცოტაობა, სითხელე მდინარისა“.

წიქარა კაცი, მწითური კაცი.

წიქარა ფერი, მწითური, მოწითალო. „მ წ ი თ უ რ ი, წითე-  
ლის ფერით შეხამებული“ (ნ. ჩუბ.).

წიწილ-კრუხი საახალწლო პური; აკეთებდნენ დიასახლისი-  
სათვის, ჩვეულებრივი ცომით, რითაც საახალწლო პურს აც-  
სობდნენ... ჯერ გააბრტყელებდნენ ცომს, მერე წინდის ჩხი-  
რით ჩხვლეტდნენ, თან ამბობდნენ: „ამდენი კვერცხი, ამდენი  
წიწილა, ამდენი ვარია, ამდენი კრუხი წლის ბოლომდისაო“,  
შემდეგ ამ დაჩხვლეტილ ცომზე დააკრავდნენ ცომის წიწილ-  
კრუხს და ასე გამოაცხობდნენ თონეში.

წობლაზაზო (?) „ეგ რა წობლაზაზო ქალი იყო“.

წრეულობით წრეულს, ამ წელს. („წ რ ე უ ლ ო ბ ი თ გამი-  
შვიხარ, სამერმისოდ დამიშინდი“).

წყვილი ჭიქა „წყვილი ჭიქა“ ნიშნავს ორი ჭიქით დალეულ  
სადღეგრძელოს. „კენტ ჭიქას“ არ იტყვიან. არც ოთხ და  
ნეტ წყვილზე იტყვიან წყვილ ჭიქას.

წყლის დაწინაურება სარწყავი ტერმინია, ნიშნავს რწყვის  
დროს მრწყველის მიერ სარწყავი „ნაკადელის“ წინ გაგდებას  
(იხ. „ნაკადელი“).

ზარ-ზე თქმული:

ჰამაფიცილა და სმაფიცილა

ჰამაფიცილა და სმაფიცილა ხასიათით ერთმანეთის ძმები  
არიან: ჰამაფიცილა ჰამს და ფიცავს; არ მიჰამიაო. სმაფიცილა  
სვამს და უარობს, არ მისვამსო. უფრო ხშირად ეს თვისებები

ერთ ადამიანში იყრის თავს. „ვინც სვამს, ჭამს და, არც მისვამს, არც მიჭამიაო.“

### ჭ ა ნ ა რ ი

ჭ ა ნ ა რ ი თვალადურად ნესტიანს, სველს, ნოტიოს ნიშნავს.

ჭ ა ნ ა რ ი ა მ ი ნ დ ი ა ო იტყვიან, როცა ნესტიანი დარიღგას, ან წვიმა ოდნავ სცრის.

ჭ ა ნ ა რ ი ს ი მ ი ნ დ ი მოუსვლელი, ჭყინტი სიმინდი.

ჭ ა ნ ა რ ი ყ ა ნ ა მოუსვლელი პურის ყანა.

ჭ ა ნ ა რ ი ხ ო რ ბ ა ლ ი დანოტიებული ხორბალი.

სტ. მენთეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონში“ ჭანარი განმარტებულია „ნახევრად ხმელის“ მნიშვნელობით.

„ხმელი“ და „მშრალი“ ქართული ენის სხვადასხვა კილოში ნიუანსურად განსხვავებულ მნიშვნელობას ამჟღავნებს. თვალადელები არ იტყვიან „ხმელი ამინდიაო,“ მაგრამ „მშრალი ამინდი“ ჩვეულებრივი გამოთქმაა. ასევე არ იტყვიან ზოგ კილოზე „ხმელ ზამთარს“ მშრალი ზამთრის შესატყვისად, გურულ კილოში კი გვხვდება „ზამთარ ხმელობა“ და „ხმელი ზამთარი“ (გ. შარაშ.), რაც უთოვლო, მშრალ ზამთარს ნიშნავს.

ერთ ცნობილ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ,  
მშრალზე ვენადირებ თვეზსა.

აქ „მშრალზე“ პირდაპირ სიმშრალის მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, უნდა ნიშნავდეს: ხმელზე, ხმელეთზე.

ასე მონაცვლეობენ „ხმელი“ და „მშრალი“ ქართულ კილოებში და ხშირად ისეთ სიტყვებს ერთვიან, რომელნიც ერთი შეხედვით მათ არ იგუებენ.

ჭანი დაკოდილი ხარი, რომელიც სქესობრივ მოთხოვნილებას მაინც ამჟღავნებს, ფურებს არ ასვენებს, უკან დასდევს; მაგრამ ამოდ.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქიზიყურ მეტყველებაში (ჭანი — ცვედანი) და ასევეა ახსნილი ვუკ. ბერიძის „სიტყვის კონაში.“

პარუშადათი (?) „შენა ხარ ჩემი ჭარუშადათი, ჩემი მაცხოვრებელი“.

ჭაჭარახება მზე ძლიერ მხურვალე, კაშკაშა, ზაფხულის მზე, პაპანაქება სიცხის დროს.

ვუკ. ბერიძის ლექსიკონით ამგვარ სიცხეს „გაგანი“ ჰქვია. ამ ლექსიკონში გაგანიას სინონიმებად დასახელებულია: პაპანაქება, ჭაჭარახება და თვალადური „ჭაჭარახებას“ მსგავსი ჭაჭარაქება.

ჭერის მოსარჩულება, ოთახის ჭერში ლამფის გაკვრას „ჭერის მოსარჩულებას“ ეძახიან.

ჭერის სარჩული ლამფა, ოთახის ჭერში ფაქრული თხლად ჯარანდული ფიცარი.

ჭიოტა კაცის მეტსახელი. ჭიოტა ბალახია.

### ჭიპის ჩავარდნა და ჭიპის ამობრუნება

ჭიპის ჩავარდნა ეწოდება შიგნეულის დაწვეას დიდი ჯაფის ან სიმძიმის აწევის შედეგად. „ჩავარდნილ ჭიპს“ საგანგებო საშუალებით (კოტოშის მსგავსი ქილით) ამოსწევდნენ, ამოუბრუნებდნენ ხოლმე. „ჭიპის ამობრუნება“ ხელითაც იცოდნენ.

### ჭირის ჭირო

თვალადელები ამბობენ: „ჭირსაც თავისი ჭირი აქვს, ჭირსაც თავისი ჭირი ჰკლავსო“. საბუთად ეს ლექსი მოაქვთ:

ჭინჭარი ჭირის ჭირო, სატაცური ბალაშია,  
სვინტრი მოდის, გაიძახის: მე ვარ ყველას წამალი!

ამ ლექსში ჭინჭრისა და სვინტრის თვისება გარკვევით არის თქმული: ჭინჭარი ჭირის ჭირი ყოფილა, ჭირის სატკივარი, და მომსპობი. სვინტრი, როგორც „თვითონ“ ამბობს: „ყველას (ყველა სატკივარის) წამალია“... ბუნდოვანია სატაცურის საკითხი. ვისთვის არის სატაცური ბალაში: ჭირისთვის თუ კაცისთვის? უნდა ვიფიქროთ, სატაცურსაც სამკურნალო მცენარედ თვლის ხალხი, ჯერ ერთი; იმის გამო, რომ სამკურნალო თვისებებით განთქმულ სვინტრთან და ჭინჭართან ერთად

ასახელებს. მეორეც: მისგან ამზადებს შესანიშნავ საკმელებს ერბოკვერცხით, წვნით და სხვა. ალბათ ამ ლექსში ს ა ტ ა ც უ რ ი „ჭირის ბალდამად“ არის თქმული.

ივ. ჯავახიშვილი თავის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე ტომის მეშვიდე თავში „სვინტრი და მისი რაობა“ აღნიშნავს, რომ სვინტრი შრომანყვავილიანთა ოჯახს ეკუთვნის და ერთი ცნობით „ხალხი ქართულად შრომანა-ს უწოდებს“. იქვე ვკითხულობთ „სვინტრის ისევე სჰამენ, როგორც სატაცურს: ორივე მხალია... ამას გარდა სვინტრის სამკურნალო მიზნითაც ხმარობენ“.

დიდი მეცნიერა ქართულ „სვინტრს“ თურქულ „ს ბ ნ დ რ ი ჯ“-თან აკავშირებს, ისევე როგორც რუსულ сывирок-სა და სომხურ „სინდრიკ“-ს, თან უმატებს: „თურქულად კი სინდრიჯი მონელების საშუალებას ჰნიშნავს“-ო. (გვ. 165—166).

### ჭირკოტიანი

ვინც ხშირად ავადმყოფობს, ჩივის, წუწუნებს თავის ჯანმრთელობაზე და „ხიზიმიზიანობს“, იტყვიან, ჭირკოტიანიო... საბას აქვს „ჭ ი რ კ ო დ ი ლ ა“. ჭირკოდილას საბას განმარტებით ეძახიან ბავშვს, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოკეთდება. ქიზიყური მეტყველებით ჭირკოდილა ის არის, „ვინც თითქმის სულ ავადმყოფობს, არც ავად არის და არც კარგად“.

„კოდილა“-ს მნიშვნელობის დაზუსტება ხერხდება დ. ჩუბინაშვილის „კ ო დ ი ლ ო ბ ა“-ს მეშვეობით: „კოდილობა, დაკოდილობა“.

ქართულში ამ სიტყვის არსებობა დ. ჩუბინაშვილს დამოწმებული აქვს „ქილილა და დამანას“ ტექსტის მითითებით (ქილ: 211).

„კოდილა“ კოდილობას კნინობითი უნდა იყოს. „ჭირ“-ის დართვით „კოდილა“ (ჭირკოდილა), ჭირით, ავადმყოფობით დაკოდილოს უნდა ნიშნავდეს გადატანით, რადგან ამ კომპოზიციის ორივე შემადგენელი ნაწილი — ჭირი-ც და კოდილა-ც შეცვლილი მნიშვნელობით არის ნახმარი: ჭირი ნიშნავს საერ-



თოდ ავადმყოფობას, ხოლო კოდლა დაავადებულს. ასევე უნდა ითქვას თვალადური ჭირკოტიანის გამოც, რაც ჭირკოდილას ნაირსახეობა ჩანს.

ჭიჭლებოდა ილეოდა (იხ. „ძიებაში“—ხაჭმაჭიჭა ჭიჭლებოდა).

ჭკუამდგარი გონებაშეზღუდული, გონება გაყინული, ჭკუა დამდგარი, „შე ჭკუამდგარო, ეგრე გაგიკეთებია?“

### ჭოროხი

ჭოროხი აღიდებული მდინარის ან ნიაღვრის მოტანილი ნარიყი, ღორღი, ქვიშა და ლამია. აღიდებული მდინარის ჩავლის შემდეგ ხეობა „მოჭოროხებულა“.

ეს სიტყვა აღრე მხოლოდ საბას და მის მომდევნო ლექსიკოგრაფების ნაშრომების მკვიდრი-ლა მეგონა, მაგრამ დღესაც ცოცხლობს ყოველდღიურ მეტყველებაში. საბას განმარტებას („ჭოროხი მდინარისაგან ქვიშა შეყრილი“) ნ. ჩუბინაშვილი უმატებს: „ასევე ჰქვიან საათაბაგო მდინარეს, რომელიც ერთვის შავს ზღვასა“ (მდრ. ქერები, ქერებივით ყრია).

### ჭოტო

„ჭოტი“ ზედსართავის მნიშვნელობით გვხვდება ბევრ გამოთქმაში და უფრო ხშირად წვეტის, წვერის, წაწვეტებისა და წაგრძელების მნიშვნელობით:

ჭოტს ჯდომა, ხის კენწეროზე მჯდომზე, სახლის თავზე, საერთოდ მაღლა დასკუბებულზე იტყვიან: ჭოტსა ზისო.

ჭოტა ხარი ხარი, რომელსაც წვეტიანი რქები აქვს (მდრ. „კობტად რქებაწეული ხარი“. სტ. მენთ.).

არის გამოთქმები „ჭოტა ლობიო“, „ჭოტა ბიჭი“ და სხვა მისთანანი.

საბას ლექსიკონში „ჭოტი“ ასეა განმარტებული: „ლობიოთა და ცერცვთა გრძელი ქერქი“. საბასვე აქვს წოტი-ც: „პატარა ბუი. ბუქნაწოტი-წოწოლა“.

„ჭოტი“, „წოტი“ და „წვეტი“ აღნაგობითაც ჰგვანან ერთმანეთს.

ჭოფი, ჭობი საძნე ურმის ქალის წვერი. აქედან უნდა იყოს სიტყვა **ორჭოფი**: **ორწვერი, ორპირი.**

**ხან-ზე თქმული:**

**ხაკა ნახშირი წამხდარი, დაფშენილი ნახშირი (იხ. სამანის ნახშირი).**

**ხამი**

ამ სიტყვას ზედსართავად ხმარობენ ახალის, უხმარის, წმინდას, გამოუტდელის და სხვა მნიშვნელობით:

**ხამი მიწა უნამუშაგრო, უხმარი, ყამირი მიწა.** „ყამირი გაუტეხიათ და ჩეტეზეს სულ ხამი მიწა ამოუპირქვევებია“.

**ხამი მოზვერი უღელში ახლადშებმული, გამოუტდელი მოზვერი.** ადამიანზეც იტყვიან: ხამი, გამოუტდელი კაციაო.

**ხამი წყალი წმინდა, აუღულარი წყალი.** „წიწაკის მწნილი აშმორებელიყო, კარგა გავრეცხე, მარილი დავაყარე და ხამი წყალი დავასხი“. (შდრ. ქიზიყური ლექსიკონის „სუფთა, ბუნებრივი წყალი“). ხევსურულ მეტყველებაში ხამი მწვანე ბალახსაც ნიშნავს (ალ. კინქარ.).

**ხარატული ხეზე ამოკვეთილი, ამოხარატებული, ამოჩუქურთმებული.** „კოდალავ, შენ სულ აგრე აკაკუნებო, მაგრამ შენი ხარატულები ვერა ვნახეო“.

**ხარდაკამეჩი ხარები და კამეჩები.** „ხარდაკამეჩის“ ნაცვლად ზოგნი და ზოგან, უფრო კი ლიტერატურულ ენაში, ხმარობს „ხარკამეჩს“, რაც წარმოებულია ქართული ენის ბუნების დაურღვევლად, მსგავსად „ლორ-ხბო“-სი, „ცხვარ-ძროხა“-სი და სხვათა, მაგრამ მათგან განსხვავებით. „ხარკამეჩს“ ერთი უხერხულობა აქვს: არსებობს სქესის გამასხვავებელი „ფურ-კამეჩი“ და „ხარ-კამეჩი“-ც, ამიტომ სჯობს დავეუჯეროთ ერთი ხალხური ლექსის მთქმელს:

შავები ხარდაკამეჩი, რქა-კულით შემკობილი;

ხარები: იყო მაღალი და კამეჩები სრულია.

**ხარვეფი ხნულში უხნავად დარჩენილი მცირე ადგილი, ხარვეზი.** „ცოტა სჯობია ნახნავი, ბევრსა და ხარვეფიანსა“.

**ხახიათმწავე და ხახიათჭრელი**

„**ხახიათმწავე**“ ადამიანის ბუნება გარკვეულია: უწყობრი და მძიმეა ასეთ კაცზე იტყვიან: პირიდან ვეძა ამოსდისო.

სულ სხვაა „ხ ა ს ი ა თ ჯ რ ე ლ ი“. ხასიათქრელი გაურკვეველი ბუნებისაა, მარტის ამინდივით მერყევია, „ხან მოიქურუხებს, თავპირჩამობნელებულია, ხან გამოიღარებს და მოიკარკაეებს... ხან კეთილია, ხან ავი“.

ხახვის დიაკვანი ხახვის შიგნის შიგან გულს „ხახვის დიაკვანს“ ეძახიან.

ხეკაკუნა კოდალაა, გადატანით კი სახეხმელ, გრძელცხვირა ქალზე იტყვიან.

ხელი „ერთი ხელი მკვდარსაც უნდაო“

„ქალსა ჩააცო, დახურო, იმაზე შეტი რა უნდა,  
ერთი ხელჯ საშინაოდ და საგარეო სხვა უნდა“.

ხელახაში ბუერის მსგავსი გელური ბალახი. ფართო, დატოტვილფოთლებიანი. იზრდება ნოტიო ადგილებში, რუსპირებზე, ქალაქებში. ხმარობენ სამკურნალოდ:

„ქვეშ გაუშლიან გაციებულ ადამიანს, თბილად დახურავენ, ოფლი მოუვა და მორჩება...“.

ხელდამდგმო ცოში ზეღვით შემაგრებული ცომი, რომელიც ხელში დაიჭირება. თავთუხის პურის ცომს ამგვარად ზეღენ.

ხელვარდი ხელვარდიანი. (იხ. დიდებნიანი).

ხელსატაცი იარაღი მსუბუქი, ხელით ადვილად სატარებელი სამუშაო იარაღი: წალდი, ხელეჩო, შალაშინი... „ხელწამოსაკრავი, ადვილად მოსანახავი რამ“ (სტ. მენთ.).

ხელუაყარი უმოქმედო, არაფრისგამკეთებელი, უქნარა.

ხელობა ერთი ხელობა, ერთი პირობა.

„ერთი ხელობა დავაპირე ახალქალაქ გადასვლა“.

ხელფეხი (გადატანით) იტყვიან დამხმარე, შემწე, მოამაგე ადამიანზე: „ის არის ჩემი ხელფეხი და გამტანიო“.

ხეჭეჭი კორძი.

ხეხელა, გამხდარი, ხმელხმელი ადამიანი.

ხვარასანი მკრელი იარაღი. „შენი ნამგალი ნამდვილი ხვარასანია“.

წარმოებულია, ალბათ, „ხო რას ნული ხმლის“ მსგავსად.

ხვიშირი ფხვიერი.

ხის დაანეულება ხეს მოჭრიან და იტყვიან, ეგდოს, და ანეულდესკო. იგულისხმება დროის განმავლობაში ხის გამოშრობა-გახშობა.

ხის დედანი ზის ძირი. „დე დან ზე ასხმულია ფესვი“.

ხის კული ხის დედანიდან პირდაპირ მიწის წიაღში გრძლად და ღრმად ჩასული ფესვი.

ხის კული პერპენდიკულარულად სკრის ნაშალ მიწას და ჩადის ან იად აგ ში, სადაც წვრილი ფესვები ვერ აღწევენ, ხეს ამაგრებს. „უკუდოთ ხე დაიჩაგრება, მალე ამოვარდებაო“, ამბობენ.

ხის წარბი გარანდული ფიცრის კუთხე.

ხიჭვის მიცემა ხიჭვს კალატოზები ხურდა ქვას ეძახიან. უსწოროდ დაყენებულ ქვას გასასწორებლად ქვემოდან „ხიჭვს“ მისცემენ“ ხოლმე.

ხიხრიკობა სასმელ-საქმელის ნაკლებობა გაზაფხულობით. „კარგ სუფრას ვერ გაგიშლით, ხომ იცი, გაზაფხულის ხიხრიკობააო“, იტყვიან ქართლები. ამ მნიშვნელობით იხმარება „ასკილის ყვავილობა“ (შდრ. თ. სახოკია: „ასკილის ყვავილობა“)

ხმაგავარდნილი ხმაგავარდნილი გვარია“.

ხოვლურა სოფელ ხოვლედან გამოთხოვილი.

### ხოვლე და ხოვლი

ხოვლე ქვეა კავთის მეზობელი ხეობის თემის-ხევის ერთ სოფელს.

რა არის ხოვლე?

შარახევის სკოლის მასწავლებლის ლევან ბოძაშვილის ცნობით ხოვლიანა ნასოფლარის სახელია ფშავში, შარახევის ხეობაში. მისივე თქმით ხოვლი ნიშნავს ნასოფლარს, ნასახლარებს, ძველ ნანგრევებს, სადაც მოსახლეობა აღარ არის, აყრილა, ან ამომწყდარა. ფშავურში ჩვეულებრივი გამოთქმებია: ნახოვლარი, ხოვლები, ჩახოვლებული (დანგრეული ნასახლარი ადგილი), იხმარება ზმნის სახითაც: „სახლ-კარი გაუოხრდა, ჩაუხოვლდაო“.

ნანგრევებს ხევსურულადაც ხოლი, ჩახოლი ქვეა (ს. ქეთელ.).

ალ. ჭინჭარაულის ცნობით „ხევსურულში კოლი გვაქვს, ფშაურში კოლი“.

ლეჩხუმურ მეტყველებებში შენიშნულია „ჩამოხოლვა“, რაც ჩამოყრას ნიშნავს (მ. ალაგ.).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართლის სოფელი ხოვლე განთქმულია უძველესი საცხოვრისებით, სადაც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი.

ხოვლი ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა ჩანს და, ეტყობა, ზოგადქართულიც (ქართლი, ფშავი, ხევსურეთი).

ზორბალა ხორბალაანთ ქალი. ხორბალაძიანთ ოჯახიდან გამოთხოვილი ქალი.

ხოტვრა, მოხოტვრა თმის მოხოტვრა, გადაკრეკა. თმაგაკრეკილს „ხოტორას“ ეძახიან.

ზემო იმერული მეტყველებით „ხოტრა“ ავადმყოფობაა, რაც იწვევს თმის ალაგ-ალაგ გაცვივნას (ბ. წერეთ. ზემო იმერ. ლექსიკ.).

ხსილი მწერის კვერცხი (იხ. ჩახსილვა).

ხუთო სამკურნალო ქვა. ზოგი ამ ქვას „ციდან ჩამოვარდნილს“ ეძახის, ზოგის თქმით კი მსხვილფეხა ავადმყოფი საქონლის ღვიძლის ქვაა (შირიში), ხელების დროს ამოვარდნილი. ამ ქვით მკურნალობენ „დასუნთქულს“.

დასუნთქულად ითვლება ქვეწარმავალთა, შხამიან მწერთა, ორმოცფეხას ნაკბენი თუ დასუსხული („დასუნთქული ხილი არ იქმევა“).

ხუთო მრგვალია, შუაზე გადაკვეთილი, გადაკვეთილი მხრიდან ლესავენ (ხეხავენ) ჯამში, რომელშიც წყალი ასხია. მერე წყალში ნალესი მხრით უსვამენ დასუნთქულ ადგილზე. ქვას რაღაც მარილები აქვს: კანს სწვავს და აშრობს.

ხუთო ქვა გახვრეტილია. ნახვრეტში კანაფია გაყრილი. ამ კანაფით ხუთოს ჰკიდებენ ლურსმანზე, რომელიც კედელშია ჩარქობილი. ალბათ იმიტომ ჰკიდებენ, რომ არ დაიკარგოს, მაგრამ ასე არა ხსნიან... კედელზე ჩამოკიდებას რაღაც ცრუ რწმენას უკავშირებენ.

საბა ამგვარ ქვას „გესლთ მკურნალ“ ქვას უწოდებს.

### ხუხალა მაჭარი

ახალი, ოთხი-ხუთი დღის მაჭარი. ენაპირს ხუხავს. ასეთ მაჭარს რომ დაღევენ, იტყვიან, ხუხალაა, პირსა ხუხავსო... ქიზიყში „ღვინის ხუხვა“ სცოდნიათ, „ხუხალა მაჭარი“ კი არა ჩანს. ხუხალა სულ სხვა მნიშვნელობით არის შეტანილი სტ. მენტეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონში“: „თმაგაცვივნილი, თმაწვერგატრუსული ადამიანი.“

„ხუხალას“ ამგვარი მნიშვნელობა მართლაც შეინიშნება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში:

ამირანი დაიბადა, გოქსა ჰგენდა ხუხალასა,  
თმა და წვერი გასცივენოდა, ჩაეყარა ტომარასა („ამირანი“).

### ჯან-ზე თქმული:-

#### ჯამის დამხობა

ცეცხლის, კერის, ბუხრის წინ... „ახალწლის ღამით მოკვიდნენ, მოასუფთაებდნენ და ჯამს დაამხობდნენ, დააპირქვაებდნენ. მერე, ახალი წელი რო გათენდებოდა, მეკვლე შემოვიდოდა, ბუხართან მივიდოდა, ფრთხილად, ნელ-ნელა ახდიდა ჯამსა და ნახავდა, ჯამ ქვეშ პურის მარცვალი იყო... აიღებდნენ დიდი სუფრთხილითა და ჩააგდებდნენ ამბარში, ამის დოვლათი დატრიალდეს „ოჯახში“ (იხ. დოვლათის მარცვალი).

ჯაფაობა მუდმივი შრომა.

ჯვრის პური ქორწილის პურისმცხოშელი სანაზუქე ცო-მით აცხობს მეჯვარისათვის ჯვრის მოყვანილობის პურს. მიართმევს მეჯვარე-ნათლიას, რომელიც ავალდებულია იქვე, სუფრაზე დააჯილდოს ჯვრის პურის მიმტანი.

ჯიხაობა რქით ქიდილი.

ჯიხა-ჯიხა რქით ქიდილის დროს ასე დასძახიან მოჯიხავე პირუტყვს: ჯიხა-ჯიხა!

ჯორმა ფეხი მოიტეხა ქარი რომ ჩადგება, იტყვიან, ჯორმა ფეხი მოიტეხაო.

ერთი მეგობრის რჩევით ეს გამოთქმა ტაბუა: ქარის სახელს არ ამბობენ, თავი არ გავახსენოთ, ისევ არ ამოქროლდესო.

ჯოხის მიუღდება დავალება, იძულება.

მწყემსები ერთ რომელიმე ამხანაგს დაჩაგრავდნენ, მორბელივით იყენებდნენ, სამწყემსო ჯოხს მიუგდებდნენ: „ჯოხს მიყუღებდნენ“.

ეს გამოთქმა გადატანით იხმარება სხვა ვითარებაშიც: „რახან ჯოხი მომაცუდეთ, რას ვიზამ, გავწეგ თამბაქოდბასა“.

ჯუჯუჯი წიწილები, წვრილფეხობა.

კრუხზე თქვეს: „სულ უკან იღვენებს თავის ჯუჯუჯსა... ჯუჯუჯიანათ და დისო“. გადატანით ხმარობენ წვრილფეხობაზე, ბავშვებზე: „სულ მინდორში არიან გაკრეფილი დიდიან-ჯუჯუჯიანათა“.

საბას განმარტებით „ჯუჯუჯუ ქათამთ მოწოდებაა“.

### მეტსახელები

მეტსახელებს ხასიათისა და გარეგნობის მიხედვით არკმევენ. ზოგჯერ ამას აუცილებლობაც იწვევს: სოფელში ბევრია ერთი გვარის, ერთმანეთის სეხნია და მოსახელე. მეტსახელები თაობიდან თაობაზე გადმოდის, არქაული სამყაროდან მოდის, ამიტომ მათში მრავალია ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელი. დაკვირვებით, ლექსიკონთა და სხვა კილოთა შემწეობით ხერხდება ზოგიერთის ახსნა. ეს ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ეს არქაული სიტყვები თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ხალხს მაინც ახსოვს. მეტსახელებში თავს იჩენს ძველი და ახალი ყოფის საგულისხმო ნიშნები, ამიტომ მათი გამომზექრება მნიშვნელობას არ არის მოკლებული. აი ნაწილი თვალადური მეტსახელებისა:

ანგლია პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. უცხო სიტყვებს ურევდა ლაბარაკში.

არსაითა ყოყმანა, არსაითა კაცი.

აქშა რამდენჯერმე ქმარგაცილებული ქალი.

ბადოლა

ბაკონა დაბალი. (საბა: „ბაკუა მომცრო ყარაქლსა ჰქვიან ანუ ყარბალთაღს“.)

ბელელა

ბოყვი „წაყულაკი დაგრძელებული“ (საბა) „ტყემლის ორლებნიანი ნაყოფი“ (მ. ალავიძე) ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა თვალაღურ მეტყველებაში.

ბუკაკა

ბუჭიტა ნამლევა. „ბუჭიტა, პატარა წისქვილი.“ (საბა).

ბრანძვი, ვიცნობ. სულ ჩამობრანძვეული შახსოვს. „ბრანძვი, ძონძის ფარატინი“ (საბა).

გაგა

გადაბმული ძალიან მაღალი, „გრძელი“.

გაჭინა

გოლა პაპაჩემს ეძახდნენ. ძლიერი, ჯანიანი კაცი იყო.

გულა ესეც ტანმაგარ, სრულ ჰაბუკს ერქვა.

გრძელი იგივე „გადაბმული“.

დიდშაქარა პატარა შაქარაც იყო.

დიდყურა დიდყურება.

დომბური გოლიათი. ცნობილ ბუმბერაზს სანდრო კანდე-ლაქს ერქვა. „კამეჩს ჰგავს.“ (საბა)

დოყა ესეც დიდ კაცს ერქვა, მაგრამ საბა ამბობს: „დოყი ირმის ჩხვილი რქა... დოყად, შცირე სამდურავად“.

ებლუა ბევრი ერბო ჰქონდა (?).

ვანჯვ ვანა, ვანო.

ვირაბრაშა „ვირა“ აქ სიდიდის მნიშვნელობით არის დართული. დიდი ტანის იყო.

თილინე „სხვათა უნაა, 48 თუხტის წონა“ (საბა).

თრითინა, თრითინა ბიჭი ჰგავს თავის სახელს.

თეგთუშანა თუმანთაგვააო. არის გვარი: თეგთუშანიძე.

თეთრი ხოსე ქერა, თეთრგვრემანი.

თილიყამყამა აყლაყულა, აყლანწული.



იაზე აღბათ იაბერ. (სახელია):

იფრო ლაპარაკში ხშირად ურევდა „იფროს“ (უფრო-ს).  
იყენებდა „იყვეს“ მაგივრად ამბობდა.

კანკორა-

კენიწი ნამლევა. ქალის სახელია.

კიტაია თვალის ქრილით ჩინელის მსგავსი გოგო.

კიტრიბულა გუჯა, მაგრამ ლონიერი.

კობრიტიტინა „საბა: „კიპორკი, წანწალა“. (?)

კობალა, კობალა (?)

კოსალა ქოსა. „კოსაკი, ქოსა“ (საბა).

კუპარაჟა, კუსპარა ნამლევა.

კაცნახევარი, იგივე გრძელი და გადაბმული.

კლიონკა თხელი.

ლექვერი „ნელი, ავი შეშა“ (საბა).

ლონდრე მოუხეშავი. „ლონდრე, ნელა“ (ლექსემური.)

მ. ალავე).

ლოქო

ლორთი ძალიან მსუქანი.

მამალხინე სიტყვით და ქცევით მომლხენი.

მაცაცერა, მაჭარა, მოკლე, მუხიგულა, ნაციხარი,

ნოლა ცხვირჩაჟყლეტილი.

ოხკა, ოჩორა, პაუალუსტა, პალაჩი, პაჭა, პახანა, პოწო-


ლიკი, პოხრო,

პრაჟინტო,

სვიხტა მეველე სვიხტა. სულ სასტვენით დადიოდა.

ხწორე, ტანგამართული კაცი.

სოსანა, ტილა, ტილურა (ორივე შავი), უნდა, ფან-  
დრე, ფილიქვა, ფოთოლა, ქვაწვია, ქვახარშია, ქორა, ქორი,  
ჭუთურა, ქუჭია, ღვარძლა, ყაჭია, ყვითელი, ყინტორა (ბალა-  
ხი), შავდათუა, შანტიკლორა, ჩიკლია, ჩიქილა, ჩენსაქო, ჩუ-  
კურე, ჩუჭურთი, ცუცუკვერა, ცხრაბიჭა, წარბა, წრუტნა,  
წიწაკა, წიწიკა, ჭაობა, ჭაპანა, ჭაჭია, ჭანჭურის კიბე („გადა-  
ბმული“ გოგო), ჭიოტა, ჭიკტოხანი, ჭუტალა, ჭუჭია, ჭრიან-  
ტელი, ჭყლინტი, ხაფუა, ხეკაკუნა, ხვანთქარი, ხოხონა (ქა-  
ლის მეტსახელია), გიგენა.







## წ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა

„წამოგონება“ ნიშნავს უცებ, ანაზღად გახსენებას, მოგონებას.

იტყვიან, „ხანდახან წამოშაგონდება ხოლმე... წელან წამოშაგონდა და ამ ალიაქოთში ისევ მიმავიწყდა“-ო.

„წამოგონება“ იმგვარადვეა წარმოებული, როგორც წამოწითლება, წამონთება, წამოჭარხლება, წამოძახება\*.

საბა ორბელიანს ეს სიტყვა არა აქვს თავის ლექსიკონში, მაგრამ „წამოგონების“ მნიშვნელობის დაზუსტება და გარკვევა ხერხდება მისივე „მიმოგონებისა“, „მიდმოგონებისა“ და „მიმოხსენების“ მეშვეობით.

პირველ ორ, მეტად თავისებურ სიტყვას საბა ამგვარად განმარტავს.

„მიმოგონება ესე არს მოგონებისა ნელიად-ნელად მოგონება, ხოლო მიდმოგონება მყის არა თანა მიდრეკა, არამედ ვითარცა ბიჯებით სლვითა მიწევნა საგონისთა“.

სანამ ამ განმარტებას ჩვენი მსჯელობის თემას დაუკავშირებდეთ, საჭიროა ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება, რითაც დიდი ლექსიკოგრაფი „მიმოგონებასა“

---

\* „წამოგონება“ გვხვდება ხევსურულ ხალხურ პოეზიაშიც: „წამოგონდა არხვატი, არხვატის მთა და ბარია“.

და „მიდმოგონებას“ გვიხსნის, ან ჩვენ გვკვირდება ამ სიტყვების ასახსნელად. ეს სიტყვებია:

1. „მიდრეკა“ -

საბას ლექსიკონში „დრეკა“ ფუძიდან მომდინარე რამდენიმე სიტყვაა განმარტებული („დადრეკა — მიდრეკა“. „მოდრეკა — დიდად მოხრა“, „მუხლთ-მოდრეკა — დაჩოქება“.

ამ განმარტებების გათვალისწინებით „მიდრეკა“ მიხრას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ზემოთ მოყვანილ საბასეულ ტექსტს თუ დავაკვირდებით, მიდრეკა შეცვლილი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ საბათავის განმარტებაში „მიდრეკას“ საპირისპირო ცნებად „მიწევნას“ ხმარობს.

(„მყის არა თანა მიდრეკა, არამედ ვითარცა ბიჯებით სლვითა მიწევნა საგონისთა“.)

საბა ამბობს — მიდმოგონება არის არა სწრაფად („...მყის არა“...) მიდრეკა, არამედ დინჯად, ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულსავით („...ვითარცა ბიჯებით სლვითა...“) - მიწევნა საგონისთაო. აქედან: „მყის არა თანა მიდრეკა“ აუჩქარებელ მისვლა-მიახლოებას უნდა ნიშნავდეს.

მაშასადამე, „მიდრეკას“ (მიხრას) საბას განმარტებაში შეცვლილი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

- მართლაც, ეს სიტყვა შეცვლილი, გადახრილი შინაარსით ხშირად გვხვდება ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში, მაგალითად:

„ხოლო იოდასაჲ მიდრკა ნებასა ქალისასა მიზეზითა, რაჲთა აცხოვნოს იგი“ (ბალაეარიანი), აქ „მიდრკა“ ნიშნავს: დაჰყვა, დაემორჩილა. „დაჰყვა ნებასა ქალისასა“.\*

„ხოლო საკუმეველი იგი აღემართა, ვითარცა სუეტი და მერე დადრკა დასავლეთით კერძო ქედისა მის“ (აქ „დადრკა დასავლეთით კერძო“ ნიშნავს: გადაიხარა დასავლეთის მხარეს).

\* მაგალითები ამოღებულია: ძველი ქართ. ლიტ. ქრესტ. 1, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ.

„მიდრეკილ არს დღე“ — ნიშნავს, მიწურულია დღე.

„მიიდრეკია თავი“ — მი ი ბ რ უ ნ ა თავი.

ასევე: მოიდრეკია მუხლი, ნიშნავს — მუხლი მოიყარა, დაიჩოქა.

2. „საგონისი“ („მიწვენა საგონისთა“)

ეს სიტყვა საფიქრალს უნდა ნიშნავდეს. „საგონისს“ დართული აქვს მრავლობითობის ნიშანი „თა“. საგონისთა „საფიქრალთა“ უნდა იყოს.

გონი ფიქრია. გონება — დაფიქრება. „გონ“—იდან წარმოქმნილი სიტყვების დალაგება ამგვარად მესახება:

გონი — საგონი — საგონისი — საგონებელი.

საბას აქვს ასეთი განმარტება: „ფ ი ქ რ ი არაბთა ენაა, ქართულად სა გ ო ნ ე ბ ე ლ ი, განზრახვა, გულისთქმა და წულილმგონება-ჰქვიან“.

საგონისი უფრო ძველი უნდა იყოს, სა გ ო ნ ე ბ ე ლ ი კი შემდეგდროინდელი გახალხურებული ფორმა. (სა-გონ-ებ-ელ-ი) ეს სიტყვა დღესაც იხმარება საფიქრალის მნიშვნელობით: „საგონებლო წლისაო, საკეთებლო დღისაო“.

3. მიმოხსენება

საბას განმარტებით „მიმოხსენება მცირედ-მცირედ ხსენება“-ა.

4. მიმო „აქათ-იქით“. (საბა)

5. მიდმოობა „აქათ-იქითობა“. (საბა)

6. მიდამო „აქათ-იქით“. (საბა)

„მიდამოს“ ხშირად ხმარობს რუსთაველი. „მიდამო“ იგივე „მიმო“-ა და საბას განმარტებით „მიდმოობას“, აქათ-იქითობას ნიშნავს:

„გული მი და მო კრთებოდა“ (ე. ი. მიმოკრთებოდა).

„მტერთა მი და მო მლეწელი“ (ე. ი. მიმომლეწელი).

„ფერთა მი და მო კრთოლასა“ (ე. ი. მიმოკრთოლასა).

„მიდრეკისა“ და „საგონისის“ კონტექსტისეულ მნიშვნელობათა დაზუსტებისა და საბას „მიმოხსენებისა“ და „მიდამო“-ზე დაკვირვების შემდეგ საბას განმარტება („მიმოგონებისა“ და „მიდმოგონებისა“) ამგვარად გვესმის:

მიმოგონება არის სხვადასხვა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ („მცი-

რედ-მცირედ“). საფიქრალთა და მოსაგონართა ნელ-ნელი, აუჩქარებელი, გონების თვალთ ხილვა თუ ჰკრეტა; იგივე „მიმოხსენება“ („მცირედ-მცირედ ხსენება“), ხოლო მიდმოგონება არა აჩქარებით და ერთბაშად, არამედ დინჯ სიარულსავით თანდათანობით მისვლა-მიახლოვება (მიწევნა) მთავარ საფიქრალთან. შესაძლოა, აქ „განსჯა“, „დასკვნა“ და „განსაზღვრაც“ იგულისხმებოდეს, როგორც კმას დავით ჩუბინაშვილი აღნიშნავს თავის განმარტებაში, თუმცა იგი ამ შემთხვევაში მიმოგონებასა და მიდმოგონებას ერთ სიბრტყეზე ათავსებს.

წამოგონება — უცებ, ანაზღად მოგონება, ანაზღად გახსენება.

მ ი ნ ა წ ე რ ი:

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ ფრანგულიდან თარგმნილ კორნელის „სინანს“ ერთ-ერთ სტროფში გვხვდება „მიმოძგონარედ“:

„...გონება სრულად წაერთო

არა თუ თქვენსა რისხვას ან სიკვდილის შიშს. განვეკრთო.  
თავს ვხედავ განცემულად, მისთვის ვარ მ ი მ ო ძ გ ო ნ ა რ ე დ,  
ძაზრით მიხეზსა ვეძიებ, და მშთარეარ მიუწოთმარედ“.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ წიგნის ბეჭდვისას დაშვებულ კორექტურულ შეცდომასთან ვვაქვს საქმე, მაგრამ ეს სიტყვა ამავე სახით წიგნს დართულ ლექსიკონშიც არის შეტანილი. წიგნის რედაქტორი და ლექსიკონის შემდგენი პოეტი-მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი „მიმოძგონარეს“ ამგვარად განმარტავს: „მიმოძგონარედ — გაოგნებულად, აღრენილად, დაბნეულად“. (ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, 1940, ი. გრიშაშვილის რედაქციით, იხ. ლექსიკონი).

შესაძლოა „მიმოძგონარედ“ ავტოგრაფის არასწორი ამოკითხვიდან მომდინარეობდეს, (ან პეტორს ან გადამწერს მოუვიდა შეცდომა, „მ-ანის“ ნაცვლად „ძ-ილი“ ჩაწერა, რაც ამ ასოების მსგავსებით უნდა აიხსნას)..

თუ ეს ასეა, მივიღებთ „მიმომგონარეს“ (ვინც „მიმოიგონებს“); რაც ზემოთგარჩეული სიტყვების შემდეგ არაბუნებრივად აღარ უნდა მოგვეჩვენოს. „მიმომგონარედ“ წარმოე-

ღულია „მიმომსვლელის“, „მიმომფანტველის“ მსგავსად. (შდრ: მიმომგზავრება, მიმოდადება, მიმოდაბნევა).

„მიმოგონება“ კორნელის ტრაგედიის გმირის სულიერ მდგომარეობას მართლაც შეეფერება: გმირი დაეძებს მიზეზს, იხსენებს და ვერ მიმწვთარა, საბას სიტყვით რომ ვთქვათ, ვერ მიწევნილა, ვერ მისულა თავის „საგონის-თან“. ტექსტი ამ ცვლილების შემდეგ, ჩემი აზრით, უფრო გასაგები ხდება:

თავს ვხედავ განცემულადა, მისთვის ვარ მიმომგონარად,  
პაზრით მიზეზსა ვეძებ, და ვმშთარვარ მიუწთომარად.

მაგრამ თუ ამ სიტყვაში „ძ-ილი“ შემთხვევით (გადამწერის ან ხელნაწერის მცდარი ამოკითხვის შედეგად) არ არის გაჩენილი, უნდა ვიფიქროთ, რომ „წამოგონებას“, „მიმოგონებას“ და „მიდმოგონებას“ ემატება ალ. ჭავჭავაძის „მიმოდგონება“... რაც ძალზე საეჭვოა. ეს ფორმა არაბუნებრივ შთაბეჭდილებას ახდენს.

„მიმოგონება“ ალ. ჭავჭავაძეს ნახმარი აქვს ალ. პუშკინის ლექსის თარგმანშიც:

ყვავილი მკვნარი, სუნმიღებული,  
წიგნს იღვას სრულად დაეიწყებული,  
მისმან დანახვამ მყისად აღმივსო  
მიმომგონებით გული ვნებული \*.

ამ შემთხვევაში ალ. ჭავჭავაძეს ეს სიტყვა ოცნების (საკვირველი ოცნების) შესატყვისად გამოუყენებია:

Цветок засохший, безуханный,  
Забывтый в книге вижу я;  
И вот уже мечтою странной  
Душа наполнилась моя.

\* \* \*

„წამოგონებამ“, როგორც ვხედავთ, ბევრი რამ გამახსენა, მაგრამ იქნებ მკვატიოს ეს „მიმოგონება“, რადგან თვით დიდი საბა ამბობს: „მოგონება ესე არს მიმოგანყოფილ გონების სხუა-და-სხუათა წინააღმდეგომთა მოგონებათა მიმართ“.

\* მიმითითა ს. სხირტლაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.



## კ ა ვ თ ა

ვახუშტი ბაგრატიონი ჩვეული ლაკონურობით ამგვარად აგვიწერს კავთას:

„...დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა ზედა შენი“.

„კავთა“ მდინარე კავთურის ხეობაში გაბატონებული სახელწოდებაა (კავთა, თავკავთა, კავთის-ხევი, კავთურა, კავთის ციხე, კავთის ეკლესია, გვარი კავთიაშვილი).

გაურკვეველი და ამოუშიფრავია „კავთა“-ს მნიშვნელობა, თუმცა ამ სიტყვის შინაარსის ახსნა სცადა სერგი მაკალათიამ, რომელმაც დაწვრილებით აღწერა კავთურის ხეობა\*.

დიდი ქართველი მეცნიერის ზემოთმოყვანილ მცირე აღწერილობაში ორი რამ არის საყურადღებო:

1. ვახუშტი არაფერს ამბობს კავთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ, რომელიც იმავე „მაღალს კლდესა ზედა“ არის ნაშენი და დღემდე მოღწეული. ეს ეკლესია სპეციალისტების მიერ შესწავლილი არ არის, მაგრამ ძველი უნდა იყოს, ალბათ გამორჩა.

2. ვახუშტი არ ახსენებს „თავკავთას“, რაც დღემდე ჰქვია „მაღალს კლდესა ზედა შენი“ კავთას. ეს გასაგებიც არის, „თავკავთა“ შემდეგდროინდელი შერქმეული უნდა იყოს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ კავთურის ხეობაში (სოფ. თვალაღში) არის მეორე კავთაც, კავთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ახალი ძეგლია.

ამ ეკლესიის შესახებ სერგი მაკალათია თავის „კავთურას ხეობაში“ ამბობს: „ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, ზოგან

\* ს. მაკალათია, „კავთურას ხეობა“, 1960 წ. „ნაკადული“.

აგურიც ურევია, ნაგებობის მიხედვით მიეკუთვნება მე-16-17 საუკ., გაღმორცემით, თავკავთაში ლეკებს მლოცველეზი დაუხოცავთ, ხალხი ლეკების შიშით თავკავთაში ვერ მიდიოდა. ამის გამო მის მოადგილედ ეს ეკლესია აქ აუშენებიათ“.

მას შემდეგ, რაც აშენდა „ქვემო კავთა“, ე. ი. კავთის წმ. გიორგის მეორე ეკლესია, ძველს, „მაღალს კლდესა ზელა შენ“ კავთას თავისი „მოადგილისაგან“ გასარჩევად „თავკავთა“ — ზემო კავთა უნდა დარქმეოდა... ისე, რომ, სახელწოდება „კავთა“ უძველესად მიგვაჩნია და ამ წერილში, სადაც კავთას ვახსენებთ, ვგულისხმობთ ძველ კავთას, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი აგვიწერს თავის ნაშრომში.

• • •

სახელწოდება „კავთას“ წარმოშობის საკითხს მოკლედ ეხება სეკიგი მაკალათია თავის „კავთურას ხეობაში“.

აქვე გვინდა შემთხვევით ვისარგებლოთ და აღვნიშნოთ, რომ ეს წიგნი \* ფრიალ სასარგებლო და საჭირო ცნობებს შეიცავს კავთურის ხეობის ყოველმხრივი შესწავლისათვის, დაწერილია სიყვარულით, სასურველია ამ ხასიათის გამოკვლევა დაიწეროს საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ხეობაზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას და არა მხოლოდ ახალგაზრდობას.

ს. მაკალათია თავისი წიგნის დასაწყისში განიხილავს ხალხში გავრცელებულ ლეგენდას კავიანი ჯოხის შესახებ: ერთ მეცხვარეს უძველეს დროში კავიანი ჯოხით კავთურის სათავის ნანგრევებიდან ხატი გამოუტანია. ეს ხატი იქვე დაუსვენებიათ და კავთის წმინდა გიორგის პატარა ეკლესია აუგიათ. „ამ ისტორიული კავის გამო ადგილსა და მდინარესაც კავთა დარქმევია“. მეცხვარის გვარიც (ლომიძე) კავთიაშივე ლად შეუცვლიათ.

---

\* აგრეთვე ამავე ავტორის წიგნები: „თემის ხეობა“, „ატენის ხეობა“, სახელგამი, 1957 წ. და „ფრონის ხეობა“, გამომც. „საბჭ. საქართველო“, 1963 წ.

ს. მაკალათია უარყოფს სახელწოდება „კავთას“ წარმოშობის ამ ხალხურ ვერსიას და ამბობს: „უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს სახელწოდება „კავთა“ დაკავშირებული იყოს „კვართასთან“ (ქრისტეს პერანგი), „კვართობასთან“. კვართი ქრისტესი, როგორც ამას გადმოგვცემს საეკლესიო ლეგენდა, დაფლულია მცხეთაში. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ სოფელ ხოვლეში არის „კვართის“ კოშკი და „კვართის“ ეკლესია, სადაც იციან ხატობა „კვართობა“. კავთისხევიც ემორჩილებოდა მცხეთის სვეტიცხოველს და ამის გამო, შესაძლებელია, ამ ორ სახელწოდებას შორის არსებობდეს გენეტიკური კავშირიც“.

ეს ვარაუდი შემცდარი უნდა იყოს.

1. ამ მოსაზრების წამოყენებისას ს. მაკალათიას ანგარიში არ გაუწევია იმ გარემოებისათვის, რომ ეს „მაღალს კლდესა შენი“ კავთის ეკლესია დღემდე წმ. გიორგის სახელს ატარებს, და როგორც თვითონვე აღნიშნავს: „თავკავთაში დიდი ხატობა იყოდნენ 23 აპრილსა და 10 ნოემბერს (ძვ. სტ.). გიორგობას, სალოცავად მოღწოდნენ ქართლკახეთის სხვადასხვა მხრიდან...“, ამიტომ (და არა მხოლოდ ამიტომ!) ძნელი წარმოსადგენი და გასაზიარებელი ხდება ამ ვარაუდის სინამდვილე.

იბადება კითხვა, როდის დაერქვა ან ერთი ან მეორე სახელი ამ ეკლესიას. თუ წმ. გიორგის სახელი უფრო ადრე ერქვა, რაც უფრო მოსალოდნელია ამ წმინდანის წარმართული სამყაროდან მომდინარეობისა გამო, შეიძლებოდა თუ არა ამ სახელის შემდგომი უგულვებელყოფა ეკლესიის მიერ და შეეცვლა ახალი სახელით „კვართით“? ან თუ შეეცვალეს და „კვართის“ სახელი მიანიჭეს, რატომ შერჩა აქამდე წმ. გიორგის სახელი?

თუ „კვართის“ სახელი ამ ეკლესიას ადრე ერქვა, რად მიანიჭეს წმ. გიორგის სახელი და რად უარყვეს ქრისტეს პერანგის „კვართის“ სახელობა? ისიც საკითხავია: შესაძლებელი იყო თუ არა ქრისტიანული კანონმდებლობით ამგვარი გადაარქმევა და წმინდანების „განაწყენება“?

...თუ დავიჯერებთ, რომ თვით ეკლესიამაც და მისმა

მრევლმაც უამთა ავბედობის გამოისობით დაივიწყა პირვანდელი სახელწოდება „კვართი“ და რაღაც გაუგებარი „კავთა“ გაბატონდა მთელს ხეობაში, რაღას აკეთებდა მცხეთის საეპისკოპოსო, რომელსაც „მაღალს კლდესა ზედა შენი“ ეკლესია ექვემდებარებოდა?

რით უნდა ავხსნათ ისიც, რომ იქვე მეზობლად, თემის ხეობაში ასე წმინდად დღემდე შეინახა ეკლესიამაც და კომკმაც „კვართის“ სახელი?

2. „კვართის“ და „კავთის“ დაკავშირება ერთი სხვა გარემოებითაც იწვევს ეჭვს: საქართველოში მრავალი პატარა ხეობაა ამ ხეობებს თავისი სახელი ჰქვია. ეს სახელები უძველესი დროიდან მომდინარეობენ და არ ექვემდებარებიან ამ ხეობაში გაბატონებული ქრისტიანული ეკლესიის სახელწოდებებს. პირიქით: ალბათ ერთნაირი სახელწოდებების გამოსარჩევად და ეკლესიათა თუ მონასტერთა წოდების დასაკონკრეტებლად პირველ რიგში ახსენებენ ხეობის ან გეოგრაფიული პუნქტის სახელს, შემდეგ კი ეკლესიის ან წმინდანის, ხატის სახელს. იტყვიან: თელეთის წმ. გიორგი, მეტეხის ღვთისმშობელი, ხახულის ღვთისმშობელი... ასევე: „კავთის წმინდა გიორგი“ და სხვ.

ერთ ხალხურ ლექსში, რომელსაც „თუშეთის წმინდანები“ ჰქვია, ასეთი ადგილი გვხვდება:

„...მემრინას ხახმატ გიორგი,  
ვაქირდეს მშველბელია,  
მემრინას მაგებ გიორგი,  
მთაზედა ყარაულია“.

„ხ ა ხ მ ა ტ გ ი ო რ გ ი“ ნიშნავს ხახმატის წმინდა გიორგის სალოცავს, „მ ა გ ე ხ გ ი ო რ გ ი“ — მაგების წმინდა გიორგის სალოცავს.

ქრისტიანული ეკლესიისა თუ ხატის სახელწოდებანი ფუძნდებოდა, ზედ ეშენებოდა ძველ, წარმართულ ყოფაში შექმნილ გეოგრაფიულ სახელებს და არა პირიქით, როგორც ს. მაკალათიას მოსაზრებიდან გამოდის, მის აზრს რომ ვერწმუნოთ, დღევანდელი კავთურის ხეობის ტოპონიმია ჩამოყალიბებულია ერთი ეკლესიის სახელის „კვართის“ გავ-

ლენის არაჩვეულებრივი გავრცელებით. „კვართის“ გახალხურების შედეგად შექმნილა სახელწოდებანი: კავთა, თავკავთა, კავთის-ხევი, კავთურა და გვარიც: კავთიაშვილი. რაღა მაინც და მაინც ამ ერთ ხეობაში უნდა მომხდარიყო ამგვარი უჩვეულო მეტამორფოზა, პირწმინდად გადავიწყება ძველი, ქრისტიანობის წინადროინდელი სახელებისა?

3. არც ამ ორი სიტყვის (კავთა, კვართი) გენეტიკური დაკავშირება იძლევა სასურველ შედეგს. მათი განმასხვავებელი თანხმოვანი რ-აე იმდენად ძლიერია, რომ გახალხურების გამო მისი ამოვარდნა (კვა-რ-თ) ძირიდან ძნელი დასაჯერებელია.

\* \* \*

„კავთა“ უძველესი სახელი უნდა იყოს და მისი ამ სახით ჩამოყალიბება სულ სხვაგვარად, და შესაძლოა, ქრისტიანულზე აღრეულ დროშიც მომხდარიყო...

...ვაყენებ ცალკეულ მოსაზრებებს, ვარაუდებს. ზოგჯერ საგულისხმო ფაქტებსაც, რომლებიც „კავთა“-ს ირგვლივ ტრიალებენ. ერთი და ორი დღის ნაფიქრი არ არის, მაგრამ რაღაც-რაღაცები მიშლის: მარტო „რაღაც-რაღაცები“ კი არა, იქნებ მნიშვნელოვანიც. ვგრძნობ, მარტო მე გამიჭირდება. ვიღაც თუ რაღაც მჭირდება ხერხემალის მიგნებისათვის. ნეკნები, მკლავები, სახე მოჩანს. ფეხზე რომ დავაყენო, ასხმა უნდა და რაც მთავარია, სულის ჩაბერვა. ეს სული კი მშრალი ფაქტებისა და გაურკვეველი სახელების კორიანტელში ისე ძლიერი არ ჩანს, რომ ჩემს წინ აღმართული „მაღალს მთასა ზედა შენი“ „კავთა“ გააცოცხლოს. მაინც ვცდი: ყველაფერი ცდაა. სხვამ სცადა, ჩემი აზრით, ვერ შესწვდა. ამან აღმიძრა სურვილი ახალი ცდისა. სხვას რომ არ ეცადა, იქნებ მეც არ გამოვეიდებოდი ლინგვისტურ ასოციაციებს თუ პოეტორ ლინგვისტიკას. ასე ვეძახი ჩემს აზრებულ სურვილს, ჩემს ცდებს. რაც უნდა დაერქვას, მაინც სიმართლის ძიებაა, სინამდვილის დადგენის ცდა. ამიტომ მიყვარს ეს „ძიება“. პატარა, სხვისთვის უმნიშვნელო სიმართლესთან თუ მიმიყვანს, მიხარია. დიდი სიმართლის პოვნა ძნელია.

მეცნიერებას არ უყვარს ლირიკული, გადახვევები...

თუმცა მე წამიკითხავს ერთი-ორი მეცნიერული მივლი-  
ნების ანგარიში, სადაც მშვენიერი გადახვევებია და გული  
ჩემი გახალვათებულა, თითქოს თავაზი მზეში დასიცხულის-  
თვის ცივი წყაროს წყლით სავსე ჭურჭელი მოუწოდებიათ.  
შემისვენია ღმრთობა გამიგრძელებია სიცხეშიც და წიგნშიც.

დავიწყებ, იქნებ მასალად, საყრდენად მაინც გამოადგეს  
ვინმეს.

• • •

როცა ამ საკითხს ვიხილავთ, ერთმანეთისაგან უნდა გა-  
ვარჩიოთ კავთის წმ. გიორგის ეკლესია და „ციხე კავთისა“,  
როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი სახელდება. კლდესაც  
კავთა ჰქვია. ამ კლდეზე არის ციხე-გალავანი და ეკლესია.  
ეს ეკლესია სილამაზისთვის არ აუგიათ, არც ციხე-გალავანი.  
ეკლესია ემსახურებოდა ახლომახლო მცხოვრებთ, ციხე-გა-  
ლავანი იცავდა ხალხსაც და ეკლესიასაც.

ეკლესია მთავარი არ იყო. მთავარი იყო დაცვა შიშია-  
ნობის დროს აქ შეხვეწილი ხალხისა. კავთა დიდი თავდაც-  
ვითი ნაგებობა იყო, „ღედა-ციხე“ იყო ირგვლივ მყოფ ცი-  
ხეთა და მოსახლეთა. მისი სახელწოდების ასავალ-დასავალი  
უარყოფილი ხალხური გადმოცემიდან მინდა ამოვზიდო, მაგ-  
რამ სხვანაირად... მჯერა, „ქ ა ვ თ ა“-ს ძირი „ქ ა ვ“-ია, მაგ-  
რამ არა ის კავი, რომლითაც ჩემი თვალადელი მეზობლების,  
კავთიაშვილების წინაპარმა მეცხვარემ ლეგენდარული ხატი  
აღმოაჩინა. მე ლეგენდის თესლი მომწონს, კი არ მომწონს,  
მჯერა. მინდა ამ მარცვალზე ავალორძინო დავიწყებული სი-  
ნამდვილე.

• • •

კავთის „ქ ა ვ“-ი ჩემს წარმოდგენაში ხევსურულ „ქ ა ვ“-ს  
უკავშირდება. ხევსურული კავი თავდაცვითი ნაგებობაა,  
გალავანია, შემოკავებული ადგილია მტრისაგან თავის დასა-  
ცავად. შეიძლება „კავი“ კავიდან მოდიოდეს, ან პირიქით.  
„ქ“-ანისა და „კ“-ანის მონაცვლეობა ქართულში ბუნებრივი  
უნდა იყოს. „თ ა“, რომელიც „კავთას“ ბოლოში აქვს მობ-

მული, ან მეცნიერულად რომ ვთქვათ — სუფიქსური ფორ-  
მანტია, არ მავიწყდება. ამ „თა“-ზე ქვემოთ ვილაპარაკებ.  
ახლა კი პირდაპირ მივადგეთ „მაღალს კლდესა ზედა შენ“  
კავთას.

აი როგორ აგვიწერს ს. მაკალათია თავის წიგნში კავთას:

„...მაღალ ქედზე აგებულია თავკავთას წმ. გიორგის ეკ-  
ლესია და დიდი ციხე-გალავანი... ტაძრის ჩრდილო-დასავ-  
ლეთით არის ძველი ციხე-გალავანი. იგი აგებულია კლდოვან  
ნიადაგზე ქვითკირით, მისი კედლის სიმაღლე რვა მეტრია...  
კავთის ციხე-გალავანი ნაგებია კლდის დიდი ლოდებით და  
ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი კედ-  
ლების სისქე 1,50 მეტრს უდრის... ციხე-გალავანს უჭირავს  
ერთი ჰექტარი ფართობი... კავთის ეკლესია თავისი გალავნით  
შეერთებულია ამ დიდ ციხე-გალავანთან. მათ შუა დატანე-  
ბულია გასასვლელი კარი. თუ მტერი ეკლესიის გალავანში  
შეიჭრებოდა, მაშინ ხალხი ციხე-გალავანში იხიზნებოდა და  
აქედან ებრძოდა მტერს“.

კავთის ციხე-გალავანი დიდი თავდაცვითი სიმაგრე ყოფი-  
ლა. იგი უკეტავდა გზას კავთურის ხეობაში შემოსულ  
მტერს, იცავდა და იფარებდა ახლო-მახლო სოფლებს და  
მტერს ქართლის შუაგულში შეჭრის საშუალებას არ აძლევ-  
და.

ამგვარ ციხე-გალავნებს ხევსურულად ქ ა ვ ი, ქ ა ვ ი ს-კ ა რ ი,  
ქ ა ვ-ც ი ხ ე ჰქვია. აი როგორ აგვიწერს ალ. ჭინჭარაუ-  
ლი თავის წიგნში („ხევსურულის თავისებურებანი“, გვ. 299.)  
ქავს:

„ქ ა ვ ი მცირე მონაკვეთზე გაკეთებული მაღალი კედე-  
ლია. თავდაცვის მიზნით აშენებდნენ. ქავი გალავანს ჰგავს,  
ოღონდ გალავანი მთელ სოფელს აქვს შემოვლებული, ხო-  
ლო ქავით შემოზღუდულია რამდენიმე ციხე ან ქვითკირი.  
ქავს აშენებდნენ ვიწრო გზაშიაც, ისეთ ადგილზე, სადაც შე-  
მოვლა შეუძლებელია. ქავს აქვს კარი, რომელსაც შიშიანო-  
ბის დროს ყარაული იცავდა... „ქ ა ვ ი ს კ ა რ ნ ა ს ხ ლ ო მ ა ხ ა ლ-  
თ ა მ უ ხ ლ ე ბ ს ქ ა რ შ ა უ ე ჯ დ ე ბ ი ს ა“.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, აგრეთვე ხევსურულ ხალხურ

ლექსებში ხშირად გვხვდება „ქავი,“ „ქავის-კარი,“ „ქავ-ციხე“.

„შიაკარ ქავის კარადა“. (ვაჟა)

„იქ რო ქავის-კარს ვეტყვიოა“.

„ქალაზე ქავი გამართეს,  
ქორცი ვერ გადახტებისა,  
შიგა სხავე მეთოფეები,  
ბერდენკეები ტყვერებისა“.

„თოფნ უყვარდიან ხირიშნი,  
ქავი და ქავის-კარია“.

„მე კი რაისა შეშინის,  
პატრონს უთურგათ ქავთასა,  
საკვმისას ვერ შამაშიელენ,  
თაო მაული კართასა“.

რა ძლიერ ჰგავს, არა მხოლოდ შინაარსით, აღნაგობითაც „კვეთას“ ხევსურული „ქავი“ და განსაკუთრებით ბოლო ლექსის „ქავთა!“ ქავის გალავნითა და ლოდებით შემოზღუდვაც ხომ შემო-ქავ-ებას ნიშნავს \*.

ერთგვარი პროცესის შედეგად ხომ არ არის წარმოქმნილი ეს ორი, ერთი შინაარსისა და მსგავსი ძირის სიტყვა?

შესაძლოა, ოდესღაც „ქავთა“ იყო იმ სიმაგრის სახელი, რომელიც შორეულ წარსულში საქართველოს გულისკენ მომავალ მტერს გზას უღობავდა და რომელსაც დღეს „ქავთას“ ვეძახით? \*\*

\* \* \*

რა მნიშვნელობისა უნდა იყოს „ქავთა“-ს ბოლო ნაწილაკი „თა“, რა ფუნქციას უნდა ასრულებდეს „ქავ“-თან დაკავშირებისას?

\* საფიქრებელია, „ქავი“, და „ქავი“ კავკასიონის, კავკასის „ქავ“-თანაც იყოს გენეტიკურად დაკავშირებული.

\*\* საყურადღებოა, რომ ქართული ბარის კილოებში დღეს გაუგებარი და მნიშვნელობადაკარგული ბევრი სიტყვა თავისი პირველადი მნიშვნელობითა და ელფერით მთის კილოებში დღესაც ცოცხლობს (იხ. და შეადარე „ხოვლე და ხოლი“).



„თა“ დართული ტოპონიმიკური სახელწოდებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მრავლად არის შემორჩენილი. მივმართოთ ისევ ვახუშტის:

იკორთა, მთა და ეკლესია („იკორთისა და კირბალის მთის ძირს...“)

გომართა, ეკლესია („ხტანს ზეით... მთასა შინა“).

გუფთა, („ამას ზეით... გუფთას არს ნაციხვარი“).

ვარენთა, („ციხე მანგარი... კლდესა ზედა შენი“).

- ჰიდროთა, („ამას ზეით... ციხე მცირე“).

ჭურთა, („ამ მთის სამხრით... ამავე მთას“).

ხორანთა, ციხეა, აგრეთვე: „ჰერეთი ან ხორანთა“ (კახეთის სოფლები).

ხეთა, ციხეა (იხ. ჰია ციხეთა).

ყორანთა, „არს ეკლესია, სასვენი ატოცის წმიდის გიორგის ჯვარისა“.

აკაურთა, „ხოლო აკაურთასა და ტანძიას შენებულებანი მრავალნი“.

გულოვანთა, დაბა, ახალდაბა.

პირველად ზოგიერთი ამ სახელის „თა“ დაბოლოება სახეცვლილი „მთა“ მეგონა. ამ მოსაზრებით ზოგი მათგანი ამგვარად მეჩვენებოდა: იკორ-მთა, ყორან-მთა, კაე-მთა და სხვ. ჩემს ვარაუდს აძლიერებდა ის ფაქტი, რომ ქართული ენის ზოგ დიალექტში თ-ანის წინ მ-ანის დაკარგვის ნიადაგზე „მთას“ მაგიერად ითქმის „თა“... ბ. წერეთლის „ზემო იმერულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: თა, (მ-თა), თა-ში (მთა-ში).“ შდრ: მთლად, (მ) თლად, თლა.“

შესაძლოა, ზემოთჩამოთვლილ სახელწოდებათაგან ზოგი მართლაც ამგვარად იყოს წარმოქმნილი, მაგრამ სხვა უფრო რეალურმა ვარაუდმა ამ მოსაზრებაზე ხელი ამალებინა. ზოგი მათგანის დაბოლოებაში თანდათან დავიინახე სინამდვილესთან მიახლოებული შინაარსი:

ყორანთა: ყორან-თა ადგილი, ყორან-ებ-ის ადგილი, ადგილი ყორანთა (შდრ. საყორნია).

გურიანთა: გურიან-თ ადგილი, ადგილი გურიან-თა (გურულთა?)

გულოვანთა: გულოვან-თ ადგილი, გულოვან-ებ-ის ადგილი, სამოსახლო, ადგილი გულოვანთა.

გომართა: გომარ-თ, გომარ-(ელ)-ებ-ის ადგილი, ადგილი გომარელებისა.

აკაურთა: აკაურ-თ ადგილი.

„კავთაც“ ამ სახელწოდებათა ანალოგიურად უნდა იყოს წარმოქმნილი:

კავთა: კავ-თ ადგილი, კავ-ებ-ის (ქავ-ებ-ის) ადგილი, ადგილი კავ-თა (ქავ-თა).

ამ ვარაუდს და გამოყენებულ მასალასაც ალბათ მეტი დაზუსტება ესაჭიროება, ის კი საგულისხმოა, რომ „კავთა“-ს ძირსაც და საყოყმანო „თა“-საც საგულისხმო ანალოგიები ეძებნება ქართულ გეოგრაფიულ სახელებში.

## კავთის-ხევი და ჭვათახევი

მრავალმხრივ არის საყურადღებო კავთურის ხეობა...

ამ მიდამოების ერთერთი შესანიშნავი ძეგლის ჭვათახევას მონასტრის მაღალ თაღებ ქვეშ „შეჰყარა ლანგ თემურ მოწესენი და შეასხა ეჟევანნი (რომელნი იტყოდნენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვექლარუნებიან!“), და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ხელნი, ფერხნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალს ფეხცმული, არამედ ფერხშიშველნი, სიწმიდისათვის...“ (ვახუშტი).

ამავე თაღებ ქვეშ მოხდა ტრალიკული ქორწინება ქართლის მეფის ლუარსაბისა და დიდი მოურავის უბედური დისა. ეს ქორწინება და გიორგი სააკაძის სამეფო სახლთან დანათესალება გადაიქცა ქართლის უბედურების სათავედ, დიდი მოურავის ტრადედიად და ლუარსაბის წამების მიზეზად.

ამ ხეობას რომანტიული შუქი მოჰფინა „ქართლის ცხოვრებამ“, ვახუშტი ბაგრატიონმა, იოსებ თბილელმა, ვასილ ბარნოვმა... ჭვათახევიდან გამოვიდა საკალმასოდ იოანე ბაგრატიონის შეუღარებელი „ხუმარ-სწავლის“ პერსონაჟი და ამ მონასტრის იპოლიაკონი მწიგნობარი იონა ხელაშვილი.

ჭვათახევი ყოველთვის იქცეოდა ქართველ მკვლევართა და მეცნიერთა ყურადღებას და საკმაო ლიტერატურაც არსებობს მის ირგვლივ. 1961 წელს ლ. მენაბდემ გამოაქვეყნა „ძველი ქართული მწერლობის კერების“ პირველი ტომი. ამ წიგნში თავისი ადგილი უჭირავს ჭვათახევის მონასტრის ისტორიასაც. მკვლევარს თავმოყრილი და მითითებული აქვს მრავალი საყურადღებო, მათ შორის ბევრი ახლად მოპოვებული ისტორიული დოკუმენტი, რომლებიც ნათლად წარ-

მოგვიდგენენ ამ „ცათა უმაღლესს“ და „დიდებულსა და დიდ უდაბნოს“, როგორც მას ერთ-ერთი საბუთის გადაშწერი ნ. ორბელიანი უწოდებს.

ქვათახევის მონასტრის გარდა კავთურის ხეობას ბევრი ისტორიული ძეგლი ამშვენებს: მაღალაანთ ეკლესია, კავთის ციხე და კავთის ეკლესია, იღლეთის ეკლესია და სხვ. ამ ხეობაში უმოგზაურია მრავალ ქართველ თუ უცხოელ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს, თავისი აზრი გამოუთქვამთ... უკანასკნელად მაღალაანთ ეკლესიას ორი ნაშრომი უძღვნა ვახტანგ ბერიძემ, ხოლო იღლეთის ძველი ეკლესია შეისწავლა ვახტანგ ცინცაძემ. ამ ორი-სამი წლის წინათ კავთურის ხეობის შესახებ მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი გამოაქვეყნა სერგი მაკალათიამ.

დასანანია, რომ ეს ძველი მხარე აქამდე არ გამხდარა ქართული არქეოლოგიის სარბიელი. სარბიელი კი ძალზე დიდია. შემთხვევით თუ იშვიათი დაზვერვის შედეგად ნაპოვნი მასალა ამის თქმის საბაბს იძლევა.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ მხარეს ასე აგვიწერს:

„ნიჩბისის დასავლით ხევი-კავთისა. გამოდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდან. ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათახევს არს მონასტერი ყოვლაწმიდისა, გუნბათიანი, მშვენიერნაშენი. ზის არქიმანდრიტი. და არის აღგილი შემკული, ზაფხულ გრილი, წყაროიანი: ზამთარ თბილი, გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი“.

ამ ამონაწერში არის ორი-სამი ფრაზა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

„ხევი-კავთისა“ „ქვათახევიამდე ვენახოვანი...“ და „ქვათახევს არს მონასტერი ყოვლაწმიდისა“.

„ხევი-კავთისა“ იმით არის საყურადღებო, რომ „ხევი“ (მდინარე) ისახელება „კავთ“-იდან; ამ მდინარის სახელწოდება ვახუშტის თქმით მოდის „კავთ“-იდან და არა პირუკუ, არა ისე, როგორც ეს დღეს გვესმის: თითქოს ეს ხეობა მდინარის სახელს ატარებდეს და „კავთურას ხეობა“ იყოს. ამ ხეობის სახელწოდების სწორი და ძველი გამოთქმა, როგორც ჩანს, დღემდე შერჩენილი აქვს მხოლოდ სოფელს (კავ-

თ ის-ხ ე ვ ი). ხეობის ზემო ნაწილს ამჟამად „კავთურის ხეობას“ ეძახიან და არა კავთის-ხევს, ვახუშტის დროს კი ამ ხეობას მთლიანად „კავთის-ხევი“ (ხევი-კავთისა) უნდა რქმეოდა.

ვახუშტის ნათქვამი: „ქვათახევამდე ვენახოვანი.“ და „ქვათახევს არს მონასტერი ყოვლაწმიდისა“, მიგვითითებს იმაზე, რომ „ქვათახევი“ სახელწოდებაა იმ ხეობისა, სადაც „არს მონასტერი ყოვლაწმიდისა“. მართლაც, ქვათახევის მონასტერი უშუალოდ მდინარე კავთურის ხეობაში კი არა, მისი მცირე შენაკადის ხეობაში მდებარეობს, რომლის ზუსტ სახელად დაკვირვებული მეცნიერი „ქვათახევს“ სდებს.

## მობერისება და გირი

სანამ მწველავი ძროხის წველას შეუდგება, ხბოს მცირე ხნით მიუშვებს დედასთან, ცოტას მოაწოვებქ, რომ ძროხამ „აწურული რძე“ ჩამოუშვას.

„განმარტებით ლექსიკონში“ მოგერისება ასეა ახსნილი: „ხბოსთვის მცირე ხნით ძუძუს მოწოვინება წველის დაწყების წინ“.

ამ განმარტებას აკლია სიზუსტე, არ არის თქმული, თუ რატომ აწოვებენ ხბოს წველის დაწყების წინ.

თვალადლების განმარტებით, სანამ „მოუგერისებენ“ (ე. ი. სანამ ხბოს მოსაგერისებლად მიუშვებენ დედასთან), ძროხას ნაგროვები რძე ჯიქნიდან „ზევით აქვს აწურულა, ხბოს უნახავს“, ხბოს მიშვებისას კი ჩამოუშვებს და, მერე, როცა ხბოს ძალით მოაშორებენ, რძეს ველარ იკავებს და თავისუფლად იწველება. ზოგჯერ ძროხა „მიხედება“ მწველავის ეშმაკობას და შუა წველაში ახერხებს დარჩენილი რძის კვლავ აწურვას. ასეთ შემთხვევაში ხბოს მეორედ მიუშვებენ ძროხასთან, მეორედ ატყუებენ ძროხას („წაუგერისებენ“).

ხევსურებს, როგორც ჩანს, უფრო მოხერხებული საშუალება ჰქონიათ მოგერისებისა, — ხბოს მიშვების მაგივრად საგანგებო ჯამით მარილს დაუდგამენ ძროხას და ისე „ატყუებენ“. ამ პროცესს ასე აგვიწერს თავის წიგნში ალ. ჭინჭარაული: „უდგამ ფურს ხის პატარა ჯამით (წიწნით) საგერებს ალოკვინებენ და ისე გამოსტყუებენ რძეს. საგერები ის შარილია, რომელსაც ამ დროს ძროხას აჰმევენ“.

მარილით მოგერისების წესი შემდეგდროინდელი უნდა

იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ძროხისათვის რძის გამოტყუების ახალმა წესმა ძველი ტერმინი ვერ განდევნა და მარილს სახელად „საგერები“ შერჩა (რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში).

თითქმის ამგვარადვე სცოდნიათ „მოგერისება“ გარე-კახეთსა (სოფ. კაკაბეთი, გ. პაპუაშვილის ცნობით) და პანკისის ხეობაში (სოფ. ყვარელ-წყალი, ვ. ჩეკურიშვილის ცნობით). ამ ხეობებშიც, ჩვეულებრივი მოგერისების გარდა, მარილწყარილ პურს იყენებენ ძროხის მოსატყუებლად, „ან წყლით აგერებენ“ (კაკაბეთში), ჯიქანს წყლით უსველებენ და მერე იწყებენ წველას. გარე-კახურად ამ პროცესს „დაგერება“ ჰქვია, პანკისურად „მოგირება“.

გ. ზედგინიძის ცნობით „მოგერისების“ ჯავახური ნაირსახეობაა „გერება“. იმერეთში სცოდნიათ „გენვა, გამოგენვა“, რაც ეუკ. ბერიძის „სიტყვის კონაში“ ანალოგიური მნიშვნელობით არის ახსნილი და დაკავშირებულია მეგრულ „გინ, გენ“ სიტყვებთან, რაც ხბოს ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, ქართულ კილოებში დადასტურებულია:

გენვა, გამოგენვა (იმერ.).

მოგერისება, (ქართლ.)

გერება, (ხევსურული და ჯავახური)

დაგერება, (გარე-კახ.)

მოგირება (პანკისური).

„მოგერისების“ საკითხზე დაკვირვებისას ჩემი მიზანი მხოლოდ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა იყო. შემდეგ სიტყვის ძირმაც დამაინტერესა.

არნ. ჩიქობავა ეხება კანური გენ-ის (ჯენ-ის, ნჯენ-ის), მეგრული გენის (გინ-ის) და სვანური ლუნ-ის (რაც სამივე ენაში ხბოს ნიშნავს) საკითხს და აღნიშნავს: „ქართულში შესატყვისი ძირი არ გაგვაჩნია ამჟამად (ხბო სულ სხვა ძირია)“. შემდეგ ასკვნის:

„იმერულში ხმარებული გ ე ნ ვ ა—„ხბოსგან ძროხის მოწოვა გამოწველამდის“ ზანიზმია იმერულში. მეგრ. მ ო -გ ა ნ -უ

„ხბომ მოწოვა მოწველამდის“ იმავე გენ-თან არის დაკავშირებული, როგორც ეს ი. ყიფშიძეს აქვს შენიშნული“.

მაგრამ როგორც პატივცემული მეცნიერი თავისი შრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, „არა ჩანს“ არ ნიშნავს „არ არის“, „ობიექტურად არ მოიპოვება“. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზევირამ, რაც ახლა ჟანურში და მეგრულში გვაქვს, მაგრამ ქართულში არა ჩანს, მასში დადასტურდება ქართული დიალექტების ლექსიკური საგანძურის შესწავლისა და სალიტერატურო ქართულის ისტორიული ლექსიკონის დამუშავების შედეგად“.\*

როგორ უნდა შევხედოთ ზანური „გენ“ „გინ“-ის საკითხს მას შემდეგ, რაც დადასტურებულია კიდევ რამდენიმე ქართული კილოს მოწმობა ამ კილოებში ზანური „მოგანუს“ მსგავსი ძირების არსებობისა?

საფიქრებელია, ან მართლა იმერული კილოს ანალოგიურად ეს ფორმები ამ კილოებში გავრცელებული ზანიზმია, რასაც მხარს უჭერს ის უტყუარი ფაქტი, რომ ზანურში „გენ“ „გინ“ ძირი ხბოს ნიშნავს, ქართული სიტყვა „ხბო“ კი არაფრით უკავშირდება ამ ძირებს.

მაგრამ არნ. ჩიქობავას ამ დასკვნის გამოტანისას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა აღმოსავლეთ საქართველოს ბარია და მთის კილოებში მსგავსი ძირების — „გერ“ „გირ“-ის არსებობა.

ქართლ. მო-გერ-ი-ს-ებ-ა,

კახური. და-გერ-ებ-ა,

ხევსურ. გერ-ებ-ა,

ფშაური. გირ-ებ-ა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება ზანური ძირების „გენ—გინ“-ის „გერ“ ძირთან ნათესაობისა და იგივეობის შესახებ:

\* არნ. ჩიქობავა, „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“.



აღ. ჰინჰარაული თავის წიგნში წერს:

„როცა მოზერის მოხმობა უნდათ. ხევსურები „გერი-გერი“-ს ეძახიან მას. დედა ძროხა რომ რძეს არ იძლევა, მას აძლევენ მარილს, რომელსაც საგერებს - უწოდებენ (სა-გერებ-ი), ეს იგივე ძირი ჩანს, რაც ჰანური გენი (ჯენი-ი), ნ-ჯენი-ი, ჰეგრ. გენი (გინი-ი) და სვანურად ლუნ (ხბო)“.

აღ. ჰინჰარაულის დაკვირვებით შესაძლებელია „გერ“ ძირის დაკავშირება ზანურ ძირებთან (ასევე ზანური ძირება უკავშირდება სვანურ „ლუნ“-ს, რაც ზანურის მსგავსად სვანურშიც ხბოს ნიშნავს).

აღ. ჰინჰარაულის დაკვირვებას განსაკუთრებულ სიმკვეთრეს აძლევს ის ფაქტი, რომ ხევსურები, როცა მოზერის მოხმობა უნდათ. „გერი-გერი“-ს ეძახიან. ამას შეიძლება დავუმატოთ. როცა ხევსურებს მოზერის გაგდება უნდათ, „წაგერო!“-ს ეძახიან. რატომ მიმართავენ ხევსურები მოზერს მგვარად, ხომ არ შეიძლება ეს შემთხვევითი იყოს? ქართლში. როცა უნდათ ხარს უკან დაახევინონ „ხი-მამ!“-ს ეძახიან, ასევე, როცა ძროხას უხმობენ „ფუ-დედ!“-ს ეძახიან.

„მამ“ იგივე მამაა — ხარია. „დედ“ დედა, ძროხაა. რა არის „გერ“-ი?

ქართლური „ხი-მამ“-ისა და „ფუ-დედ“-ას გვერდით ხევსურული „გერი გერი!“ და „წა-გერო!“ იმაზე უნდა მიგვითითებდეს. რომ „გერი“ ოდესღაც მოზარდს და. შესაძლოა, შეილსაც ნიშნავდა. ამ გუმანს აძლიერებს „ცოლ-ჰმარში ერთერთის შვილის“\* სახელს — „გერი“-ს არსებობა ქართულში. „გერი“ ერთერთი მშობლის შვილია, მაგრამ მაინც შვილი.

საგულისხმოა აგრეთვე ქართულ კილოებში გავრცელებული სიტყვა „ნაგერალი“, რაც წინა წელს მიწაში ჩარჩენილ თესლზე აღმოცენებულს ნიშნავს (შდრ. გ. შარაშიძის გურული ლექსიკონის „ნაგერაი“ და მეგრული „ნანგერე“).

ამ სიტყვებთან შეიძლება დაკავშირდეს „გერგე“, რაც

\* „განმარტებითი ლექსიკონის“ ახსნაა.

საბას განმარტებით „ასაკმცირე ცხენი და მისთანანი“-ა. ეს სახელი საბას განმარტებითვე ჰქვიათ „ასაკმცირე“ აქლემსა და სპილოსაც. „ასაკმცირესა ცხენსა (აქლემსა და პილოსა) გერგე“-ო.

რა კავშირი უნდა ჰქონდეს „გერგე“-ს, რომელიც ასაკმცირე ცხენსა და მისთანებს ნიშნავს, „გერ“-თან?

ასაკი (ჰასაკი) ძველ ქართულში დადასტურებულია ორი მნიშვნელობით: ადამიანის ცხოვრების „ჟამთა საზომი“ და „განზომა კაცთა“. ამ ორი მნიშვნელობიდან „გერგე“-ს, როგორც ნ. და დ. ჩუბინაშვილების განმარტებებიდან ჩანს, უდგება ტანის სიდიდის „განზომა“. დ. ჩუბინაშვილის ახსნით, „გერგე, ბაჩა ცხენი, ჰასაკმცირე ცხენი“-ა, იგივე მალმორბელი, პონი. ისე, რომ ეს სიტყვაც (გერგე) სიპატარავეზე მიგვითითებს.

შემადგენლობის მხრივაც „გერგე“ გაორმაგებული „გერ“-ი (გერ-გერ) უნდა იყოს, რომელმაც დროთა ვითარებაში დაკარგა მეორე ფუძის ბოლო თანხმოვანი.

„გერგე“ გვხვდება გვარებშიც: გერგიძე (ფალანხოსრო ბარათაშვილის ყმა ლომიტა გერგიძე. იხ. დოკ. საქ. სოც. ისტ. I ტ. გვ. 59. ნ. ბერძენიშვი. რედაქც.) აგრეთვე გერგედა. საგულისხმოა, რომ ის სიტყვები, რომელთაც „გერ“ ძირი აქვთ „ასაკმცირეობის“ ორსავე მნიშვნელობაზე (წლოვანებისა და ტანის სიმცირეზე) მიგვითითებენ:

„გერი“ („ცოლქმარში ერთ-ერთის შვილი“) — ბავშვია, ბალდი.

ხევსურული „გერი“ (მოზვერი-შვილი), თითქმის იგივეა, რაც ზანური „გენ-გინი“ (ხბო-შვილი).

„ნაგერალი“, „ანაგერაი“, „ნანგერე“ — დაბაღი, დანაკუთლი ამონაზარდია. არსებობს გამოთქმა „ნაგერალა“, რაც ღვგვალულს, მოცდენილს ნიშნავს.

ასევე ითქმის — „გერგე“-ზე, რომლის ასაკმცირეობა დადასტურებულია საბას და მის მომდევნო ლექსიკოგრაფების ნაშრომებში.

შესაძლოა, ოდესღაც, ქართული ენის განვითარების უცნობ საფეხურზე არსებობდა ტერმინი (გენ, გინ-ი? გერ,

გერ-ი? ლუნ-ი?), რაც პატარას, მოზარდს, ანდა ადამიანთა და ცხოველთა შვილის ზოგადი გამომხატველი ცნება იყო. დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა გაცვდა. გაიფანტა და ჩვენამდე მხოლოდ გადმონაშთების (გენ, გინ — ხბო, გერ — მოზვერი, გერი — ორში ერთის შვილი, გერ-გე (რ) — (ასაკმე-ჩე, ბაჩა ცხენი) სახით მოაღწია.

## ისამ „გერი“

(დამატებითი ცნობები და ვარაუდები)

1. ხევსურული გერის (მოზვერი) მნიშვნელობას აზუსტებს ალაზა ხაიურის ერთი საყურადღებო ცნობა: მოზვერს „გერი“ მანამდის ჰქვია, სანამ დაკოდავენ. დაკოდილ მოზვერს, როგორც ცნობილია, უღელში აბამენ, დაუკოდეელი — ბუღაა, სანაშენოდ სტოვებენ. იყ. რომ „გერი“-ს ცნება დაკავშირებული უნდა იყოს ნაყოფიერებასთან, მოდგმის გამრავლებასთან.

2. ქართლში ძროხის დაგრილების დროს ბუღას „გრ, გრ, გრ!“-ს დასძახიან. (შესაძლოა, ამ შემთხვევაში, „გრ“ შეეკუმშული „გერ“-ი იყოს).

3. ქართლში, სოფელ არბოში, დღემდე მოღწეულა რელიგიური დღეობა გერისთობა. ამ დღესასწაულის არსებობა ფიქსირებულიც არის დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „გერისთობა, დღესასწაული წმინდის გიორგის დღეობისა 22 მარიაშობის თვეს, არბოს სოფელში“.

თვით სალოცავ ადგილებს გერი და თავგერი ჰქვია.

გერი, თავგერი წარმართული დღეობა უნდა იყოს. რომლის ადგილას შემდეგ ქრისტიანული გიორგობა დაფუძნებულა. ივ. ჯაფახიშვილის ცნობით ამ დღესასწაულს თავი გერისთობა ჰქვია. გერისთობა ორ სწორზე სკოდნიათ და სოფ. არბოსა და მის ახლო-მანლო სალოცავ ადგილებში თითქმის მთელი ქართლი იკრიბებოდა.

ქართლში გავრცელებულია ერთი ასეთი ხალხური ლექსი:

ქალი რომ ავით გახდება,  
იქ წაიყვანენ არბოსა,  
ერთს მაიხც გაითამაშებს,  
სულ რომ არაფერს ირგოსა.

ამ ლექსის მიხედვით არბოს ღვთაება „გერი“ ნაყოფიერების ღვთაებად უნდა წარმოვიდგინოთ. ლექსში ლაპარაკია არა საერთოდ ადამიანის, კაცის ავად გახდომაზე და ამის გამო მის სამკურნალოდ გერისტობაში წაყვანაზე, არამედ, ქალის ავადმყოფობაზე, ალბათ „ქალურ“ დაავადებაზე — უშვილობაზე, რის გამოც ქალი სალოცავში მიჰყავთ. ლექსის მიხედვით ეს ისეთი დაავადებაა, რაც ქალს ხელს არ უშლის იცუკვოს და გაერთოს: სულაც რომ არ არგოს, გართობა მაინც შერჩებაო.

## შეკვეთილი

შეკვეთილი...

ეს სიტყვა დღევანდელ ლიტერატურულ ქართულში გარკვეულ შინაარსს ატარებს, მისი მნიშვნელობა ნათელია და განსაკუთრებულ ახსნას არ საჭიროებს, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძველ ქართულში სხვა მნიშვნელობა ჰქონია, რაც საქართველოს ზოგიერთი კუთხის მცხოვრებთა ნეტყველებაში დღესაც ცოცხლობს.

ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელ თვალადაში ყური მოვკარი, ამას და ამას „ბატკანი შეკვეთილი ჰყავს და სულ უკან დასდევს“-ო.

მაშინვე რაღაც მეუცნაურა... რას ნიშნავს „შეკვეთილი ჰყავს?“ ვინ ვის შეუკვეთა? იქნებ ხატისთვის ჰყავს შეთქმული, გაზარდა, შეიჩვია და ლაპარაკიც ამაზეა?

დავაკვირდი და კვლავ გავიგონე — ერთად მოთამაშე მეზობლის ბავშვებზე თქვეს: ძალიან შეკვეთილები არიანო.

შეკვეთილი შეჩვეულს ნიშნავს „ჩვენი ქართულითო“, ამიხსნეს და მართლაც შინაურებისა და მეზობლების გამოცხობითა და მრავალი მაგალითის შემოწმებით დავრწმუნდი, რომ თვალადური ქართულით „შეკვეთილი“ შეჩვეულს ნიშნავს.

- 1961 წლის ზაფხულს აკადემიკოს აკაკი შანიძეს გავაცანი ჩემი ლექსიკონის ჰაშნიკი. საჰაშნიკო - სიტყვათა შორის სახელოვანი მეცნიერის განსაკუთრებული ყურადღება „შეკვეთილის“ ახსნა-განმარტებამ მიიპყრო. მან გამოთქვა მოსაზრება, თუ ეს განმარტება მართალია და ხალხში „შეკვეთილი“ შეჩვეულის მნიშვნელობით ნამდვილად ცოცხლობს, შე-

საძლებელი. გახდება „ვეფხისტყაოსნის“ იმ ბუნდოვანი სტროფის დაზუსტება, სადაც ნათქვამია: „შევეკვეთე, გავესულე“-ო.

ჩემი ჩანაწერი მცირე საბუთად შეჩვენა და ძებნა განვაგრძე, ამ ხნის განმავლობაში ახალ მაგალითებს წავაწყდი. საკმაო მასალა დამიგროვდა და ჩემს თავს უფლება მივეცი ეს წერილი დამეწერა.

„შეკვეთა — შეკვეთება“ შოთა რუსთაველს ოთხგან აქვს ნახმარი:

1. ამა ყმამან შეეკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა (609).
2. გილიზლებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის (1081).
3. ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, შევეკვეთე, გავესულე (1138).
4. ხარაჯა დასდვეს, შეკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია (471).

შეოთხე, ბოლო მაგალითი („შეკვეთეს“) თავისი მნიშვნელობით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსხვავებულია და არ მიეკუთვნება ზემო სამი მაგალითის კატეგორიას. ამ სტროფში „შეკვეთეს“ ნიშნავს დაკისრებას, დავალდებულებას, შეწერას.

ინდოთ შეფე ტარიელისაგან დამარცხებულ და დატყვევებულ ხატაელთა მეფეს რამაზს ბრძანებით ავალდებულებს ხარაჯის გადახდას. რაც გამოიხატება ასჯერ ასი დრაჰკანის, მრავალი ხატაურისა. სტავრისა და ატლასის გადახდით.

ამ სტროფში ხმარებული სიტყვის — „შეკვეთეს“ თავისებური მნიშვნელობა თავის დროზე შეუნიშნავს ცნობილ ლექსიკოგრაფს ნიკო ჩუბინაშვილს და თავის ლექსიკონში შეუტანია „შეკვეთას“ განმარტებაში, რაც მას ახსნილი აქვს. როგორც შექრა, შეთლა, შეკაფვა, განმარტებული აქვს ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობაც „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებით. აი ეს განმარტება: „გადაჭრით ანუ ბრძანებით თხოვარისამე (ვეფხ. ტყ. 465 \*), *принюхать*“. ამ ჩვენთვის საგულის-

\* ახალი, 1951 წლის გამოცემის 471 სტროფი.

ხმო განმარტების შემდეგ ნ. ჩუბინაშვილი „შეკვეთას“ დღე-ვანდელი ქართულისათვის ჩვეულებრივი მნიშვნელობითაც ხსნის: „...ანუ პირობით მიცემა გასაკეთებელისა, **заказывать дело, работу**“.

„შეკვეთა-შეკვეთებას“ სხვა, ჩვენთვის საძიებელი მნიშვნელობა (შეჩვევის გაგებით!), როგორც ჩანს, საბა ორბელიანსა და მისი საქმის გამგრძელებელს ნ. ჩუბინაშვილს შეუმჩნეველი დარჩენიათ, მათს ლექსიკონებში ეს თავისებური მოვლენა ფიქსირებული არ არის. მაგრამ, დაფიქრებას მოითხოვს „შეკვეთას“ საბასეული ახსნა: „შეკვეთა — შეეჭრა, გინა შეესაკუთრა“, თუ ეს ახსნა შეჭრის შედეგად წართმევა-შესაკუთრებას, საკუთრებაში ძალადობით წილის დაღებას არ ნიშნავს (შდრ: შესაკუთრება — საკუთარყოფა, შეესაკუთრა — საკუთარ ეყო).

ახალი დროის ლექსიკოგრაფებიდან „ვეფხისტყაოსნის“ ამ ბუნდოვანი ადგილების ახსნა უცდიათ დ. კარიჭაშვილსა და იუსტ. აბულაძეს. პირველის ახსნით „შეკვეთა“ ნიშნავს მოწონებას, შეყვარებას, სიყვარულით გამსჭვალვას, ხოლო მეორე — „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის ლექსიკონში ამ სიტყვებს (609, 1081, 1138 სტრ.) მოხიბლვად, სულში ჩაძრომად და გულის მოგებად განმარტავს.

ორივე განმარტება (განსაკუთრებით პირველი) უზუსტოა და გააზრებულია კონტექსტით.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ბუნებრივად ისმება კითხვა: გვაქვს თუ არა ჩემი თვალადური ჩანაწერის გარდა რაიმე მნიშვნელოვანი დამატებითი საბუთი ან საქართველოს რომელიმე კუთხის მეტყველებაში, ან რომელიმე ლიტერატურულ ძეგლში, სადაც „შეკვეთილი“ შეჩვეულის მნიშვნელობით გვხვდებოდეს?

ქართული ლექსიკონების ხელახალი გადასინჯვისას აღმოჩნდა, რომ ქართლურ კილოს მხარს უჭერს კახური, კერძოდ, ქიზიყური მეტყველება. სტ. მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონის“ დამატებაში (ალბათ აქამდე იმის გამო არ

მქონდა შემჩნეული, რომ მაინცდამაინც დამატებაშია ეს სიტყვა მოქცეული) შეკვეთილი ახსნილია შეჩვეულის მნიშვნელობით. („შეკვეთილი, შაკვეთილი — შეჩვეული“, მაგალითად მოყვანილია: „ძალიან შეკვეთილი ძყავ ბაშვი ბებიაჲ“, შაკვეთა — შეჩვევა. მაგალითი: „ბაშვი ბებიაჲ შეეკვეთა და ველარ მოგვიშორებია“).

„ქიზიყური ლექსიკონის“ დამოწმებამ და მხარდაჭერამ დამარწმუნა, რომ ეს ენობრივი მოვლენა ვიწრო კუთხური არ ყოფილა, ფართო გეოგრაფიულ არეზე ყოფილა გავრცელებული და შესაძლოა საქართველოს სხვა კუთხეების ხალხურ მეტყველებაშიც აღმოჩნდეს ახალი ფაქტები.

ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან „შეკვეთილის“ ამგვარ ახსნას მხარს აძლევს იესე ოსეს-ძე ბარათაშვილის „ცხოვრება — ანდერძი“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს შემუშარული წიგნი გარდა თავისი ისტორიულ-ლიტერატურული ღირსებებისა, დაუფასებელი განძია ერეკლე მეორის დროინდელი ქართული მეტყველებისა. ჯერჯერობით შეუსწავლელია ამ მნიშვნელოვანი წიგნის ლიტერატურული მხარე, ავტორის მეტად თავისებური ენა.

„ცხოვრება — ანდერძში“ წავაწყდი ასეთ ადგილს:

„ჩემი სიხარული რაღა მოიხსენება, ბანგუა ვნახე. დღე აღარ მომიშორა და ღამე. დიად შეკვეთილი ვიყავ და შეჩვეული იმისი“. („ცხ. ანდერძი“, ავთ. იოსელიანის რედ. გვ. 8).

როგორც ვხედავთ, შემჩნეულია უწყვეტი ჯაჭვი ამ საინტერესო ლექსიკური ერთეულის არსებობისა ქართულ ენაში: რუსთაველი, იესე ბარათაშვილი, ქართლ-კახური ხალხური მეტყველება.

ამის შემდეგ ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილები, სადაც „შეკვეთა-შეკვეთება“ გვხვდება.

1138. მოიტირეს, ყმაშან უთხრა: „ნულარ გასწყვედ, გაასრულე“. ფატმან იტყვის: „მივეგებე, უული მისთვის ვაერთავლე, გარდუვკონე ყოელი ასო, თავი აშად მოვაძულე, ზედა დავსვი ტაბტა ჩემსა, შევეკვეთე, გავესულე“.



ნესტან-დარეჯანის პირველი ნახვისა და გაცნობისთანავე ფატმანი უბედური მიჯნურის თანაგრძნობით გაიმსჭვალა, უაღრესა, შეიჩვია, გაესულა („გული მისთვის ვაერთგულეს“ ანალოგიით რომ ვთქვათ, „გავესულე“ ნიშნავს: „სული მისთვის ვაერთსულე“).

1081. სჯობს სიშორე ღიაისა, ვისგან ვითა დაითმობის:

გილიზღებს და შეგიკვეთებს, მივიწოდებს და მოვენდობის,  
მართ ანაზღად გილაღატებს, — გააკვეთს, რაცა დაესობის, —  
მით ღიაცა სამალავი არასთანა არ ეთხრობის.

ამ სტროფში ქალის ცბიერი აღერსის, პირველი ლიზღება-შეჩვევის შემდეგ მოსალოდნელ ღალატზეა მსჯელობა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის ის უფრო საგულისხმოა, რომ აქ ლაპარაკია პირველ ლიზღებასა და მოფერებაზე, რასაც შეჩვევა-შეკვეთება მოსდევს (ამ სტროფში ბუნდოვან ადგილად რჩება: „გააკვეთს, რაცა დაესობის“. ამის შესახებ იხ. აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები — სიმფონია, გვ. 033).

609. ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა,

მოვახსენე: „აჩქარება შენი ყოლა არა უნდა,

მეცა თანა წამოგყვები, დაიხონენ იგი მუნ, და!

ჩვენ ორთავე მეომარი განალამცა შეგვიძრწუნდა!“

პირველი უკმები შეხვედრის შემდეგ ნურადინ-ფრიდონი თავის თავგადასავალს უამბობს ტარიელს. ტარიელი მიხვდება, რომ კეთილშობილ რაინდს შეჰყრია, ამიტომაც ამბობს: „ამა ყმამან შემიკვეთა (შემიჩვია, შემითვისა), გული მისკენ მიმიბრუნდაო“.

ფრიად საგულისხმოა, რომ სამივე სტროფში „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ან საერთოდ ადამიანთა (1081) პირველი გაცნობის შემდეგ შეჩვევა-დაახლოებაზეა მსჯელობა:

1138-ში: ფატმანისა და ნესტან-დარეჯანის გაცნობა, დაახლოება-შეჩვევაზე.

1081-ში; ზოგადი გაფრთხილება — შორს იყავი ღიაცი-

საგან, თორემ გილიზლებს, შეგეჩვევა, მიგინდობს და ანაზ-  
დად გიღალატებსო.

609-ში: ტარიელისა და ნურადინ-ფრიდონის პირველ გაც-  
ნობაზე, შეჩვევასა და დამეგობრებაზე.

• • •

წერილის დასასრულს მინდა გამოვთქვა ორი-სამი მოსაზ-  
რება იმის გამო, თუ რა დამოკიდებულებაშია ჩვენი საკე-  
ლვეი სიტყვა „კვეთ“ ძირით მონათესავე სიტყვებთან, რომ-  
ლებსაც რუსთაველი თავის პოემაში ხმარობს.

როგორც ჩანს, რუსთაველის ლექსიკაში „შეკვეთა“ „გაკ-  
ვეთის“ საპირისპირო შინაარსს ატარებს. თუ შეკვეთა შეჩვე-  
ვას, შეკავშირებას, შეთვისებას უდრის, „გაკვეთა“ მკრელი  
იარაღით გაჭრას, გაპობას, გაბასერას, გათლას, მოშორებას  
ნიშნავს. („ჩემი გაკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი. შუბი  
ახე“, „წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაკვეთს, ანუ გაამ-  
სივნებს“, „იქმს მასპინძლობა — კვეთასა“).

ასევე ესმით „გაკვეთა“ საბა ორბელიანსა და ნ. ჩუბინა-  
შვილს (საბა: „გაკვეთა — გაჭრა“, ნ. ჩუბინ: „განკვეთა —  
გაჭრა — გაპობა“). საბა ორბელიანი სიტყვა „გაწირვას“  
„მოყვარეთა გარდაკვეთად“ ხსნის. „განკვეთა“ — ნ. ჩუბინა-  
შვილის ახსნით მძიმე შეცოდებისათვის სამღვდლო ხარის-  
ხის ახლას და დამხობას ნიშნავს. ასევე საინტერესოა ხალხუ-  
რი: „ფეხი ამოკვეთა“, რაც კავშირის გაწყვეტას ნიშნავს.  
აგრეთვე მთის მეტყველებაში შენახული „მოკვეთილი“, „მოკ-  
ვეთა“ — ძალით მოშორება-განდევნა დამნაშავე პირისა.

მაშასადამე „შეკვეთა“, შეჩვევა-შეთავსება, შეკავში-  
რებაა.

„გაკვეთა“ — ერთმანეთს მოშორება, მოცილება და კავ-  
შირის დარღვევაა.

აქედან ბუნებრივად იბადება კითხვა: ნიშნავს თუ არა  
რუსთაველის ლექსიკონით „შეკვეთა“ ზუსტად შეჩვევას?  
ეს სიტყვები ნამდვილი სინონიმებია თუ არა?

ქართლ-კახური კილოები და რუსთაველის ტექსტი ამის  
უფლებას იძლევა, მაგრამ დამაფიქრებელია შესანიშნავი მო-

ქართულისა და მწიგნობრის, ძველი ქართულის მცოდნის იესე ოსეს-ძე ბარათაშვილის ნათქვამი: „დიად შეკვეთილი ვიყავ და შეჩვეული იმისიო“.

ამ ორი სიტყვის (შეკვეთილი, შეჩვეული) ერთმანეთის გვერდით, ალბათ ერთმანეთის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ხმარება, რა თქმა უნდა მათი შინაარსის ნათესაობაზეც მიგვითითებს და თითქოს რაღაც ნიუანსურ განსხვავებაზეც გვანიშნებს.

შესაძლოა იესე ოსეს-ძე „შეკვეთილს“ შეჩვევა-შეთვისება-დაახლოების მნიშვნელობით ხმარობდა. ბოლოსდაბოლოს ეს სიტყვები ხომ სინონიმებია?

მომავალში ამ საკითხზე დაკვირვება და შესაძლოა სხვა ისტორიულ თუ ლიტერატურულ ძეგლებში ახალი მაგალითების მიკვლევა უფრო გააშუქებს ამ კითხვებს.

#### იხამ ზაკვათილი

„ლიტერატურული გაზეთის“ 1962 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულმა ჩემმა პატარა შენიშვნამ „ქართლ-კახური შეკვეთილი რუსთაველის ლექსიკაში“ ჩემთვის მოულოდნელი გამოხმაურება ჰპოვა. წერილში დასმულ საკითხს გამოეხმაურნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები. ალბათ ამ გამოხმაურებას ჩემი წერილის ბოლო სტრიქონებმაც შეუწყო ხელი: „მომავალში ამ საკითხზე დაკვირვება და შესაძლოა სხვა ლიტერატურულ თუ ისტორიულ ძეგლებში ახალი მაგალითების მიკვლევა უფრო გააშუქებს ამ კითხვებს“.

მართალია, ეს გამოხმაურება პირად საუბარსა და აზრის გამოთქმას არ ვასცილებია, მაგრამ ამ აზრთა გაზიარებამ, მასალისა და რჩევის თავაზიანმა მოწოდებამ ჩემი წერილის ირგვლივ ახალი მასალა დააგროვა, მასალამ კი განმარტება და ეს წერილი მოითხოვა. ვგონებ, არც მკითხველისთვის იქნება უინტერესო საკითხის არსისა და ისტორიის უფრო მეტად გაშუქება და ერთად თავმოყრა.

გარდა ამისა, გამოირკვა, რომ ჩემი წერილის გამოქვეყნებინდე ამ საკითხზე მსგავსი მოსაზრება სპეციალურ ლიტერატურ-

რაში გამოთქმული და გამოქვეყნებული ყოფილა... მაგრამ  
ჯერ ახალ ცნობებს შევეხოთ.

აღ. ბარამიძის და ს. ცაიშვილის ცნობით „შეკვეთილი“  
გვხვდება თეიმურაზ პირველის ლექსიკაშიც. ეს სიტყვა პოეტს  
ნახმარი აქვს პოემა „ვარდბულბულიანში“. აი ეს ადგილიც:

ბულბულმან უთხრა: „საკედავად  
მე თავი გამიწირო,   
მე შენი შეკვეთილი ვარ,  
არ სხვა ფრინველი ირაო“<sup>6</sup>.

თეიმურაზ პირველის გამოცემის ლექსიკონში, რომელიც  
შედგენილია გ. ჯაკობიას მიერ „შეკვეთილი“ ახსნილია. რო-  
გორც „შეწირული.“

შ. ლლონტის ცნობით „შეკვეთა“ ნახმარია ფირდოუსის  
„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ერთერთ სტროფში:

ზაალ მერაბ მოიციტხა,  
თქვა გაგსაჯე ლეინის სმითა,  
მერაბ ერთობ შეეკვეთა,  
ეკვიანა, მოსწონს ზმითა. (I ტ. 1237,2)

იმის დამადასტურებელი საინტერესო ცნობა, რომ „შეკვე-  
თება“ შეჩვევის მნიშვნელობით მე-19 საუკუნის ქართულ  
წერლობაშიც იხმარებოდა, მომაწოდა მწერალმა გიორგი ნატ-  
როშვილმა. ეს სიტყვა მას შეხვედრია ანტონ ფურცელაძის  
მოთხრობაში „ჩვენებული საქმის ბოლო“. ავტორი თავისი  
მოთხრობის ერთერთი გმირის დახასიათებისას ამბობს: „...ლა-  
პარაკიც ისეთი ჰქონდა, რომ მაშინათვე შეეკვეთებოდა  
კაცი. თითქოს ამისთვის დაფარული არა არის რა. არაერთარი  
შენი გულის პასუხი და ამათი განკურნება მხოლოდ ამას შეუძ-  
ლიაო“.

---

<sup>6</sup> თეიმურაზ პირველი, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით,  
1934 წ.



ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხის ისტორიისათვის აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ „შეკვეთები — შეკვეთილის“ უძველესი, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე, არსებული ფორმები (შეკუთება, შეკუეთება, შეკუეთებელი) შემჩნეული და ახსნილი ჰქონია „ბალავარიანის ქართულ რედაქციებში“ პროფ. ილია აბულაძეს\*. ბალავარიანის უძველესი ქართული რედაქციების ჩამოყალიბება კი ილ. აბულაძის აზრით მე-9 მე-10 საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ამ სიტყვების არქაული ფორმით ხმარების მაგალითები:

„ანუ ვითარ გიკუიროს. მეფე, სურვილი ჩემი, კეთილთა მათთვის წარუვალთა და არა გიკუიროს შეკუთება და თავისა შენისა საშუებელთა ამის სოფლისა წარმავალთა“. (106, 1—4).

„ფრიად შეკუეთებელი იყო ყრმაჲ იგი ნუკრისა მას, ვითარმედ ვერსთმობდა თუინიერ მისა ეამ ერთცა“. (79, 27—29).

ეს მაგალითები ილ. აბულაძეს მოყვანილი და გარჩეული აქვს ბალავარიანის გამოცემის შესავალი წერილის იმ ნაწილში, სადაც განმარტავს ძველში ტერმინებად გამოყენებულ სიტყვებს. ილ. აბულაძე წერს: „შეკუეთებელი კონტექსტით შეჩვეულს, შეთვისებულს უნდა ნიშნავდეს. იგი წარმოქმნილი ჩანს კუეთა-საგან, რომლისაგან მომდინარეობს „შეკუთება-შეკუეთება“, რაც „შესაკუთრებას“ აღნიშნავს“.

ამ განმარტების შემდეგ ილია აბულაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა შეჩვეულის. შეთვისებულის მნიშვნელობით არის ნახმარი „ვეფხისტყაოსანში“ და არა იმით, რაც 1937 და 1951 წლების გამოცემების ლექსიკონშია წარმოდგენილი. ამავე დროს ასახელებს პოემის ორ სტროფს (1081, 609).



საკითხის უფრო საფუძვლიანად შესწავლამ ჩემთვის ცხადი გახადა, რომ ჩემს მიერ საძიებლად არჩეულ „შეკვეთილს“ თავისი კომენტატორები გაცილებით ადრეც, რუსთველოლოგიის. როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩასახვის გარიჟრაჟზეც,

\* ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. რედაქტორი აკ. შანიძე, 1957 წ.

ჰყოლია. ამ სიტყვის ახსნით დაინტერესებულა ჩვენი რუსთველოლოგების წინაპარი თეიმურაზ ბაგრატიონი: \*

„შ ე ვ ე კ ვ ე თ ე — შევესაკუთრე ესრეთ, რომელ ვერღა მოვსცილდებოდი. გული და გონება სრულის ერთგულებით ვუძღვენი და შევესაკუთრე. შევეკვეთე ამას ნიშნავს, რომელ ასე შეაჩვიოს გული თავის საყვარელსა, ერთიცა მინუტი არ შეეძლოს მისი მოშორება“ (1138 სტროფის განმარტება, გვ. 217).

სავსებით ზუსტი და სწორი განმარტებაა, მაგრამ თეიმურაზი თითქოს ამას არა კმარობს და რუსთაველის სხვა სტროფის (609) განმარტებისას სიტყვა „შემიკვეთას“ უფრო მოკლედ და ნათლად „უ მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ე ს ა დ შ ე ჩ ვ ე ვ ა ს“ უწოდებს:

„ამა ყმაჲან შემიკვეთა... შემიკვეთა — ჩემი გული მისკენ მიიზიდა, უ მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ე ს ა დ შ ე მ ი ჩ ვ ი ა“ (გვ. 69).

ეს განმარტება უნდა ამართლდებდეს ერთ ჩემს ექვს, რომელიც წინა წერილის ბოლოს გამოვთქვი: „...იბადება კითხვა: ნიშნავს თუ არა რუსთაველის ლექსიკონით „შეკვეთა“ ზუსტად შეჩვევას? ქართლ-კახური კილოები და რუსთაველის ტექსტი ამის უფლებას იძლევა, მაგრამ დამაფიქრებელია შესანიშნავი მოქართულისა და მწიგნობრის იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ნათქვამი: დ ი ა დ შ ე კ ვ ე თ ი ლ ი ვ ი ყ ა ვ დ ა შ ე ჩ ვ ე უ ლ ი ი მ ი ს ი ო. ამ ორი სიტყვის (შეკვეთილი, შეჩვეული) ერთმანეთის გვერდით, ალბათ ერთმანეთის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ხმარება, რა თქმა უნდა, მათი შინაარსის ნათესაობაზეც მიგვიითითებს და თითქოს რაღაც ნიუანსურ განსხვავებაზეც გვანიშნებს“.

აღამიანი შეიძლება ჰქირსაც შეჩვიოს... ამ მხრივ დამახასიათებელია ხალხური თქმა: „შ ე ჩ ვ ე უ ლ ი ჰ ი რ ი“, ანდა პოეტის ნათქვამი: „შ ე ე ჩ ვ ი ა გ უ ლ ი ტ ა ნ ჯ ვ ა - ვ ა ე ბ ა ს“. მაგრამ თეიმურაზი თითქოს გვაფრთხილებს, „შეკვეთება“ სხვა კატეგორიის შეჩვევააო:

„შევესაკუთრე, ესრეთ, რომელ ვერღა მოვსცილდებოდი“.

\* იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“. გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევიტა და საძიებლოთ. გვ. 217, 1960 წ.

„გული და გონება ს რ უ ლ ი ს ე რ თ გ უ ლ ე ბ ი თ ვ უ ძ-  
ღ ვ ე ნ და შევესაკუთრე“.

„შეაჩვიოს გული თავის საყვარელსა“.

„ერთიცა მინუტი ა რ შ ე ე ძ ლ ო ს მ ი ს ი მ . ო შ ო რ ე ბ ა“.  
მაშასადამე, „შეკვეთება“ სიყვარულით შეჩვევა-შეთვისე-  
ბაა.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს თეიმურაზ ბაგრატიონის გამოცემის რედაქტორი გაიოზ იმედაშვილი, რომ თეიმურაზის ნაშრომმა „დიდი როლი ითამაშა რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის განმარტებასა და ლექსიკონის შედგენისათვის წარმოებულ მუშაობაში, მაგრამ ის სპეციალისტების მიერაც ჯერ კიდევ ჯეროვნად არაა შესწავლილი და გამოყენებული, ისე რომ მისი ბევრი კარგი და მეტად სასარგებლო ჩვენება დღემდე ღირსებისამებრ არაა გაშუქებული და გამოყენებული“.

თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ „შეკვეთა-შეკვეთება“ ახსნილი ჰქონია დ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში. აი ის განმარტებაც: „...გილიზღებს და შეგიკვეთებს, ე. ი. პირმოთნეობით მოგატყუებს და შეგიჩვევს: и привлекает к себе и нахально обманет, ვეფხ. 1075; (შევეკვეთები-თე), ზ. თვ. შევთვისები, შევესაკუთრები;... ვეფხ. 1132“.

დასასრულს მინდა დავასკვნა:

1. „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი ჩემი წერილის მთავარი მიზანი იყო იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, ქართლსა (ჩემი მაგალითი) და კახეთში (სტ. მენტეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკა“) დღესაც ცოცხლობს სიტყვა „შეკვეთილი“ შეჩვეულის მნიშვნელობით. რომ ეს სიტყვა ამგვარი მნიშვნელობით გვხვდება იესე ბარათაშვილის „ცხოვრება — ანდერძში“ და ეს მოვლენა შეძლებისამებრ დაშეკავშირებინა რუსთაველის ლექსიკის საკითხებთან. ამ საკითხების რკვევის დროს გამოთქმული ჩემი „შენედულება, რო-

\* დ. ჩუბინაშვილს „შეკვეთა-შეკვეთების“ სხვა მნიშვნელობებაც აქვს ახსნილი დაწვრილებით და შესაბამისი დოკუმენტაციით — როგორც „ვეფხისტყაოსნის“, ისე ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებიდან.

გორც ზემოთ უკვე ვთქვი; დაემთხვა ცნობილი მკვლევარის პროფ. ილია აბულაძის ადრე გამოთქმულ მოსაზრებას „ბალავარიანში“ არქაული „შეკუთება—შეკუთებულის“ შეჩვევა—შეჩვეულის მნიშვნელობით ხმარების შესახებ.

2. ამ სიტყვის ამომწურავი განმარტება „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამისი ადგილების ახსნასთან დაკავშირებით ჰქონია თეიმურაზ ბაგრატიონს თავის „განმარტებაში“.

3. წინა წერილში ჩემს მიერ მითითებულ „საინტერესო ლექსიკური ერთეულის უწყვეტ ჯაჭვს“ (რუსთაველი, იესე ბარათაშვილი, ქართლ-კახურის მაგალითები) მიემატა თეიმურაზ პირველის, „შაჰ-ნამეს“, ა. ფურცელაძისა და „ბალავარიანის“ მაგალითები... უფრო სწორად რომ ვთქვათ, „ბალავარიანის“ ადრე შემჩნეულ მაგალითებს ემატება ზემოთ ჩამოთვლილი. ეს სიტყვის ჯაჭვი საკმაოდ ხანდაზმული ყოფილა, უძველესი ქართულიდან მომდინარეობს და დღესაც ცოცხლობს.

4. ვფიქრობ, ჩემმა წერილმა მაინც ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა. გაამახვილა დაინტერესებული მკითხველისა და მწერლების ყურადღება ამ სპეციალური საკითხისადმი, თავი მოუყარა საკმაო მასალას (რა თქმა უნდა, არა მთლიანად!) დააზუსტა და შეუქი მოპოვინა საკითხის ზოგიერთ მხარეს მაინც.

### მ ი ნ ა წ ე რ ი :

„ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციამ ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ მიიღო ყაზბეგის რაიონის გორისციხის რვაწლიანი სკოლის დირექტორის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ირაკლი ჩქარეულის გამოხმაურება. ამ საკითხისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „შეკვეთილი“ მოხვეურ დიალექტში დღესაც თურმე ცოცხლობს „შეჩვეულ-შეთვისებულის“ მნიშვნელობით. აი ამონაწერები ამ წერილიდან:

„შეკვეთილი ავტორს განმარტებული აქვს როგორც შეჩვეული, შეთვისებული. ამ გააზრებას მთლიანად მხარს უჭერს მოხვეური ხალხური მეტყველება. მოხვევისათვის ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით დღესაც ისევე ნიადაგ სახმარია,



როგორც, მაგალითად, ქალი, კაცი და სხვ. მოხვეურში „შეკვეთილი“ ჩვეულებრივად იხმარება ადამიანის მიმართ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეილზე, თავისიანზე, ახლობელზე“.

„მოხვეურ ხალხურ მეტყველებაში რომ შეკვეთილი შეჩვეულის, შეთვისებულის მნიშვნელობას ატარებს, ეს ფაქტია, მაგრამ მათ შორის რაღაც განსხვავება, რაღაც ნიუანსია. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში იესე ოსეს ძე ბარათაშვილს, როცა ამბობდა: „დიად შეკვეთილი ვიყავ და შეჩვეული იმისიო“. მაინც რა უნდა იყოს ეს განსხვავება, რაც „შეკვეთა—შეჩვევა“ შორის უნდა არსებობდეს მეტყველებაში. ხალხის გადმოცემით, რაც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, „შეჩვევა“ უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე „შეკვეთილი“. შეიძლება შეჩვეული იყო ვინმესთან, მაგრამ მისი შეკვეთილი არ იყო, შენ შეეჩვიო მას, მაგრამ მან არ „შეგაკვეთოს“, ე. ი. შეჩვევა გამორიცხავს „შეკვეთას“ მაშინ, როცა შეუძლებელია „შეკვეთილი“ იყო და შეჩვეული კი არა. შეჩვევა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასაწყისი საფეხურია მოხვეურ ხალხურ მეტყველებაში „შეკვეთილობისა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯერ უნდა შეეჩვიო, მერე კი „შეკვეთო“.

„აქვე შევნიშნავთ, რომ მოხვეულები მაინც და მაინც არ არიან მომხრე იმისა, „შეიკვეთონ“ ვინმე, ვინაიდან, მათი აზრით, „შეკვეთილის“ ჩამოშორება—სიკვდილი იმისათვის, ვისაც შეკვეთილი ჰყავდა, ძნელი გადასატანია“.

## შ ი ნ ა ბ ე რ ა

სიტყვა „შინაბერა“ ქართლურ ხალხურ მეტყველებაში დღესაც იხმარება შინ დაბერებულის, გაუთხოვარის მნიშვნელობით.

ჩვენი დროის ლიტერატურულ ენაში „შინაბერა“ შემოიტანა კონსტანტინე გამსახურდიამ. მისი განმარტებით შინაბერა არის „ხანგადასული, გაუთხოვარი ქალი, უქმროდ დაბერებული.“

ამ განმარტების შემდეგ კ. გამსახურდია აღნიშნავს: „ეს ქართლში განაგონი სიტყვა მომწოდა დოც. შ. ძიძიკურმაო.“ (კ. გამსახურდია, რჩ. თხზ. მე-3 ტ. ლექსიკონი) \*.

კონსტანტინე გამსახურდიამ ეს სიტყვა თავის რომანებში ფენიქსებრ გააცოცხლა და თანამედროვე ქართველის ყოველდღიურ სასაუბრო ენაში დაამკვიდრა. უნდა აღინიშნოს, რომ კ. გამსახურდიამ მხოლოდ ამ სიტყვას კბ არა, მრავალ მივიწყებულ, ფერდაკარგულ სიტყვას დაუბრუნა თავისი ადგილი სალიტერატურო ენაში, რაც მისი დიდი დამსახურებაა.

ამგვარ გაცოცხლებას და გამომზეურებას, და თუ შეიძლება ითქვას, რეაბილიტაციას ელოდება მრავალი თავანკარი სიტყვა და გამოთქმა, რომელიც ქართული ენის წმინდა წყლების სათავეებშია შეხვეწილი, როგორც ძვირფასი და იშვიათი კალმახი. ეს სათავეებია ძველი ქართული ენის ძეგლები და ხალხური მეტყველება.

ამ მხრივ საგულისხმო და სამაგალითოა „შინაბერას“ ბედიც. როგორც ირკვევა, ეს სიტყვა მხოლოდ საკუთარ ოჯახში დაბერებული უბედო ქალის მეტსახელი კი არა,

\* „ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონში“ შინაბერა, ამგვარად არის ახსნილი: „გაუთხოვრად დარჩენილი ქალი.“

ქველ საქართველოში სამსახურებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინიც ყოფილა. ამ მნიშვნელობით „შინაბერა“ გვხვდება იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში\*.

ამ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„დედოფალსა აქვნდეს ჯამაგირი ხუთასი თუმანი. ჰქონდეს სამი სოფელი: ერთი ქართლში პურისათვის, ერთი კახეთში ღვინისათვის, და ერთი თათრებში საკლავისათვის. ქალაქში აქვნდეს ბაღი. ამას ახლდენ: სამი თავადი შვილი მოსამსახურედ და აზნაურისა ოთხი ყულუხჩი, ოთხი ფარეში, ორი მზარეული, ორი ხაბაზი, აგრეთვე მეჯინიბე და მეჯორეცა... ორიც პატიოსანი კაცნი მოხელენი და გამგენი დედოფლის საქმისანი, მწერალი ერთი, ბოქაულთ უხუცესი და ესე კმარა. ხოლო მანდილოსანნი ორნი მოხუცნი, უფრო თავადის ცოლნი, გამდლებად, ექვსი თავადის ქალნი შინაბერებად, და აზნაურისა ოთხი მდაბალი მოახლეები პირის დასაბანად და ქვეშაგების დასაგებად, ექვსიც კიდე მათხედ დაბალი სარეცხისა და საკერავისათვის. და ამათ ყოველთა თავ-თავის შესაფერი ჯამაგირი ექმნებათ, მეფისა და დედოფლის მოსამსახურეთ“ (ი. ბაგრატიონი, „სჯულდება“, გვ. 29).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, დედოფალს მამაკაც მოსამსახურეთა გარდა (ყულუხჩი, ფარეში, ხაბაზი, მზარეული, მეჯინიბე, მეჯორე, მწერალი და სხვ.) უნდა მომსახურებოდნენ ქალებიც: გამდლები, შინაბერანი, პირის მბანელნი, ქვეშაგების დამგებნი, მესარეცხენი, მკერავნი... მათი ვალდებულება გარკვეულია, გარდა შინაბერასი, რომელიც ისეთივე მოსამსახურეა, როგორც სხვები და შესაფერი ჯამაგირიც აქვს დაწესებული. სახელდობრ, თუ რას აკეთებდა სასახლეში შინაბერა, „სჯულდების“ ამ ადგილიდან არ ჩანს. ის კი გარკვევით არის ნათქვამი, რომ შინაბერა უთუოდ თავადის

\* ი. ბაგრატიონი. „სჯულდება“, ივ. სურგულაძის შესავლით, ლექსიკონით, საძიებლებით. გვ. 29. 1957 წ.

ქალი უნდა ყოფილიყო და როგორც მისი სახელიც მიგვითითებს, გათხოვების უფლებაც აღკვეთილი უნდა ჰქონოდა. ხოლო იმის გამო, რომ შინაბერებს სასახლეში გასაგზავნად ქართველ თავადთა ოჯახებიდან არჩევდნენ, საფიქრებელაა, შინაბერა დედოფლის აშალის წევრის — შიმუნვარის მოვალეობის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს („შიმუნვარი, ქალი მხლებელი“. საბა).

იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება—ანდერძში“ არის ასეთი ადგილი:

„სადედოფლო, საქალო იარაღი, ყველა უნდა დედაკაცს მოლარეს ებაროს და სხვა, რაც ან დაუჭრელი ფარჩაა ან მძიმე იარაღი ცხენისა, ან თეთრი, ან ფლური, ან სხვა რამ შემოსაგალი, ყველა მოლარეთხუცესს ებარება. და შიგნით სალაროს კარის კლიტე, რომელიც მუახლე მოლარე არის, იმას ებარა, მაშინ იყო მოლარედ თვალსამოთხისა გამდელი“.

როგორც ეხედავთ, თვალსამოთხისას გამდლობის გარდა შეთავსებით სასახლის „შიგნით სალაროს“ კარის კლიტის მცველობაც ჰქონია დაკისრებული... შინაბერასაც უსაქმოდ სასახლეში არავინ გააჩერებდა.

## საფალავნო ქვა

იგივე საჯილდაო ლოდი, ვაქაცთა - ღონის საცდელი. უმთავრესად მრგვლად „გამოკვერცხილი“. ამ ლოდის აწევას აძნელებს არა მარტო მისი სიმძიმე, ლოდი მრგვალი და ლიპია, მოუხელთებელი: ხელი არ ეკიდება...

ბავშვობაში, სოფელ გუდალეთის ეკლესიის ეზოში, აღდგომის მეორე დღეს მინახავს როგორ ეკიდებოდნენ ჭაბუკები საფალავნო ქვას. ასეთი ლოდი ყოფილა სოფ. თვალადშიც, ძლევის ქედზე, წმინდა გიორგის ეკლესიასთან... ამას წინათ ასეთივე სავაჟუკაცო ქვა ვნახე სოფელ მეტეხში, ირაკლი გიგოს ძე მაღალაშვილის ეზოში.

ასეთი ლოდები ყოფილა რაჭასა (ბარაკონში) და სვანეთში. ლოდის აწევის სპორტი საქართველოს ყველა კუთხეში ყოფილა გავრცელებული და აქა-იქ ჩვენს დრომდე მოაღწია. დაწესებული იყო ქვის აწევის საფეხურები: ქარის გატარება, მუხლებამდე, მკერდამდე აწევა, თავზეით და ცხენზეით გადაადება. ამის მიხედვით ჯილდოც სხვადასხვა იქნებოდა. ამ ქართული სპორტის აღწერილობა მოცემული აქვს პოეტ ზ. შერაზადაშვილს (ეურ. „დროშა“ 1953, № 4)

სიმძიმის დაძლევისა და ქვის აწევის სპორტს, როგორც სავაჟუკაცო სანახაობას, ქართულ მითოლოგიაში აქვს ფესვები გადგმული. ამირან სულკალმანის ძე პირველთაგანი იყო, ვინც საფალავნო ლოდს შეეჭიდა და შთამომავლობას ვაჟუკატური შემართებისა და ფიზიკური ტანჯვის უდრტვინველად გადატანის მაგალითი მისცა. ხევსურული ფოლკლორის ტიტანები და „ლთის შვილები“ — „ხთის კარზე მდგარი“ იახსარი და კობალა ამირანის შთამომავლები არიან, რომლებიც „სამოც-

ლიტრიანი“ და „ასლიტრიანი“ რკინის აწვევით ცდილობენ სახელის მოპოვებას.

აი ადგილები ხევსურული პოეზიიდან, სადაც იახსარისა და სხვა „ხთის შვილთა“ ვაჟკაცობაა აღწერილი:

ხთის კარზე შაიყარენით ანგელოზები თაენია,  
გარმოდგეს საწონ-ჩარეჟი, კვირავე, დაუგო თვალია  
ეზიდებიან მშასა, ვინაც რო ძალიანია.  
ქვე-ქვე ბოლოსკე მე ვზოვარ, ყველას ჩემკე აქვ თვალია.  
ერთმანეთს ეუბნებიან: „აილებს იახსარია“.  
ავწიე საწონ-ჩარეჟსა, — ღმერთო, შენგანა ძალია.  
ხუთი მავსთხოვე კვირასა; გარმანიმეტა სამია.  
სამოც ლიტრასა რკინასა ძირს გაუყარენ ქარნია.

გერ რო გადმომცა ყმაზედა შიყვარდის უღვაშიანი.  
ფანდურ დამიკარ, ბერხუნდო, შიყვარდის სამ-ძალიანი.  
ნუ შამიდგები ძალზედა, თუ არ ხარ იმედიანი.  
შორიგემ შამამილოცა საგმირო ას-ლიტრიანი.  
ხუთ კიდე დავადებინე მკლავჩი ვარ იმედიანი.

ვაჟა ერთგან ამბობს: „გოგოთურად ვგუობდი თავს“-აო.

ეს გოგოთური, რომლის თარგზუც ვაჟამ თავისი პოემის გმირი გააცოცხლა, ნამდვილად თურმე ცხოვრობდა მეცხრა-შეტე საუკუნის პირველ ნახევარში და დიდი ძალღონის ვაჟკაცი ყოფილა. „ფრიად ახოვანი ტანისა, ლამაზის სახისა და დიდი ჯანის პატრონი, მაგრამ მშვიდი და ღმობიერი... იმის მოტანილი ბრტყელი, საფლავის ქვის მსგავსი ლოდი დღესაცა გდია კოპალის სალოცავთან და ისეთი მძიმეა, ორ კაცს გაუჭირდება მისი გადაბრუნება“.

ამირანულ სამყაროში „ღვთის შვილების“ ნახუნთქი ჰაერით გაზრდილ ჭაბუკ ვაჟას გადაუწყვეტია ამ ლოდთან შებმა:

„ჩემ ჯეელობაში მეც ბევრჯელ ვეჯაჯგურებოდი ამ გოგოთურის მოტანილ ქვას და ვცდილობდი გოგოთურზე მეტი ღონე გამომეჩინა. ეს ცდა, რასაკვირველია, ამაო იყო“.

„სათვალავნო ქვის“ გვერდით ქართულში შემორჩენილია ამავე მნიშვნელობის ძველი ტერმინი „საჯილდაო ქვა“. ეს ტერმინი უფრო კონკრეტულია, მიგვითითებს იმაზე, რომ ამ ქვის ამწევს აჯილდოებდნენ.

სიტყვა „საჯილდოო“, როგორც ტერმინი ძველ ოფიციალურ დოკუმენტებსა და სიგელ-გუჯრებშიც გვხვდება:

„...მას უამსა, ოდეს თქვენი უხუცესი ძმა სულხან-ყოფილი საბა, კურთხეულსა და ამალღებულს სახელოვანს ბიძა და მამა ჩვენზედ დიდად ნამსახური და მრავალ გარჯილი იყო და მათ მისთვის საჯილდოდ ჩაჩიკაშვილი გივის შვილები თავისის სოფლებითა და აგარაკებით ებოძა... რაც მისი სამართლიანი სამძღვარია, აგრევე საჯილდოდ დაგვიმტკიცებია“ (წყალობის წიგნი, ქაიხოსრო ბატონიშვილისა. „საქ. სიძველენი“, ტ. 2, დოკ. 183):

ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით, ოღონდ გახალსურებული ფორმით, (საჯილდაო) გამოყენებულია სხვა დოკუმენტებშიც:

„კიდემ გიბოძეთ საჯილდაოდ კარდენახს სამი კომლი კაცი ვაჟებდაშვილი“.

„ეს უამთა და ხანთა გასათავებული მტკიცე და მოუშლელი საჯილდაო წიგნი და სიგელი გიბოძეთ...“

„...ნუ მოუშლით ამ ჩვენს საჯილდაოდ ნაბოძებს სიგელსა... ირაკლი“.

სიტყვები: საჯილდოო, საჯილდაო, და საფალავნო არ არის შეტანილი „განმარტებით ლექსიკონში“.

სიტყვა „საფალავნო“ საბას არა აქვს. ახსნილი აქვს საჯილდოე (ჯილდოს ღირსი) და საჯილდოო (ჯილდოდ მიცემული მისაცემელი). ნ. და დ. ჩუბინაშვილებსაც ახსნილი აქვთ: საჯილდავო, საჯილდოვე.

## ნ ა რ ბ ი ლ ი

საოცარია სიტყვის ბიოგრაფია, სიტყვის ბედი. დრო თავისი საჭიროების მიხედვით ექცევა სიტყვას: ზოგს დაივიწყებს, ზოგსაც დავიწყებულს გაიხსენებს, მზის სინათლეზე გამოიტანს და ყველასათვის მისაწვდომს გახდის. ამის მაგალითი ბევრი იცის მხატვრულმა ლიტერატურამ, ენათმეცნიერებამ.

ჩვენ გვაქვს დაუმუშავებელი მიწის აღმნიშვნელი ცნება — ყამირი. სამაგიეროდ, ჩვენი დროის მხატვრულმა ლიტერატურამ, პრესამ დაივიწყა ყამირის საპირისპირო ცნების, დამუშავებული მიწის აღმნიშვნელი ტერმინი. ამ ცნებას დღეს ვხვდებით შემდეგ ფორმებში: ნახნავი, ხნული, დაბარული, დაფარცხული და სხვ. მაგრამ ეს ცნებები არ გამოხატავენ საზოგადოდ დამუშავებული მიწის არსს, მათი შინაარსი დამუშავებული მიწის უფრო კონკრეტულ მდგომარეობას გამოხატავს, ვიდრე ზოგადს. ხნული, ნახნავი, დაბარული, გათოხნილი, დაფარცხული და მისთანანი გამოხატავენ წარმოთქმის დროს არსებულ მდგომარეობას. ერთი წლის-დასვენებულ (ნასვენ) მიწაზე, თუნდაც ის ათეული წლობით სახნავად ყოფილიყოს გამოყენებული, ქართლელი გლეხი არავითარ შემთხვევაში არ იტყვის, ეს მიწა სახნავია, ხნულია... გორის, კასპისა და ქარელის რაიონებში გატეხილი, დამუშავებული მიწის აღმნიშვნელ ტერმინად დღესაც „ნ ა რ ბ ი ლ ი“ იხმარება.

ეს სიტყვა მართლაც ზუსტად გამოხატავს დამუშავებულს, გაფხვიერებულ-გარბილებულს მიწის შინაარსს.



სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის განმარტებით, ყამირი — ძველი კორდია, ხოლო ნარბილი — კორდი ნახნავი.

საინტერესოა, რომ ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფის დაკვირვებით, კორდი წარმოადგენს დაუმუშავებელ მიწას („კორდი—უნამუშავრო მიწა“), ხოლო ნაკორდალი — დამუშავებულ მიწას („ნაკორდალი — ნარბილი“). \*

ნარბილი, როგორც დამუშავებული მიწის აღმნიშვნელი ტერმინი, ხალხური ძირებიდან მოდის და, როგორც ჩანს, ხალხის მეტყველებაში მუდამ სახმარი სიტყვა ყოფილა. ამას ადასტურებს ერთი ხალხური ლექსი „ორხელა და გუთანი“. ამ ლექსში ორხელა და გუთანი ერთმანეთს ეკამათებიან. გუთანი დასციინის ორხელას იმის გამო, რომ მას არ შეუძლია ყამირის გატეხა და მუდამ ნარბილ-დამუშავებულ მიწაში დაძვრება.

აი ეს ლექსიცი:

#### ორხელა:

ორხელამ შემოვითვალა,  
გუთანო, პური მშიანო,  
თუ გქონდეს, შემომითვალე,  
გადახდა შემიძლიანო.

#### გუთანი:

საქრეთლით დახვრეტილი ხარ,  
არ გირევია სატეხე,  
მუდამ ნარბილში დაძვრები,  
ერთხელ ყამირი გატეხე.  
შაშინ სად იყავ, ორხელავ,  
მე რომ ძეძვნარი გავტეხე!

ამ ლექსში დაუმუშავებელი მიწის აღმნიშვნელ ტერმინს—ყამირს ისე აშკარად უპირისპირდება დამუშავებული მიწის აღმნიშვნელი ტერმინი — ნარბილი, რომ კომენტარები ზედმეტია.

\* ზევსურულში ყოფილა გამოთქმა „ყამირის ყამირი“, რაც ორი წლის მოუხნავ მიწას ნიშნავს (ილ. ჭინკარაული).

„ნარბილს“ უნდა ჩამოსცილდეს დავიწყების მტვერი, იგი უნდა დადგეს ყამირის პირისპირ. ამის სასარგებლოდ, როგორც ვნახეთ, ლაპარაკობს არა მარტო საბა ორბელიანის ლექსიკონი, არამედ ხალხური პოეზიაც.

„განმარტებით ლექსიკონში“ ნ ა რ ბ ი ლ ი ამგვარად არის ახსნილი: „კორდი ნახნავი“ (საბა) ეგრეთწოდებულ ნარბილებზედაც თესვის დროს (ფეტვისთვის)..., როგორც წესი, იმეტებენ ყველაზე დაბალი ხარისხის... და მეტად დასარევლიანებულ ნაკვეთებს (ი. ლომ.)“

## საზმავიჭა ზიზღეგოდა

დედის ეზოში მეზობლის გოგონა დარბოდა, ბალახებში რალაცას ეძებდა, თან წყრიალა ხმით უცნაურ ლექსს მღეროდა:

„ხაჰმაჰიჰა ჰიჰღებოო... და, ხაჰმაჰიჰა ჰიჰღებოო... დააა!“  
ყური დავუგდე, გამოვკითხე და ეს ლექსი ჩავიწერე:

ხაჰმაჰიჰა ჰიჰღებოდა,  
ქალსა გული უკვღებოდა,  
ქალო, გული ნუ გიკვდება,  
შაბათს ქმარი მოგიკვდება,  
კვირას წირვა დაკვირდება!

ამ მართლაც უცნაური ლექსის შინაარსი ხუთი-ექვსი წლის გოგონამ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, „ხაჰმაჰიჰას“ მნიშვნელობა კი ამიხსნა: ბალახიაო... ბალახიც მომიძებნა და მითხრა, ეს ბალახი იჰმევაო, თან ამის დასამტკიცებლად მცენარეს ფოთლები, უხეში ძირი და წვეროკინა შეაეცალა, ქორჟა ღერი გემრიელად შეახრამუნა.

გოგონა კისკისით გაიქცა. მე ჩავფიქრდი.

ბუნდოვანი, გაუგებარი ლექსია.

რა არის „ხაჰმაჰიჰა?“

რას ნიშნავს „ჰიჰღებოდა?“

ქარგი, თუ ხაჰმაჰიჰა ჰიჰღებოდა, ქალს გული რაღად უკვღებოდა?

ან რა შეღავათია „გულმომკვდარი“ ქალის ქმრის სიკვდილით დაიმედება და კვირის წირვის ხსენება?

ამ კითხვებით თავი დიდხანს ვიწვალე, მერე, როცა არაფერი გამომივიდა, სიტყვის დედას მივმართე. „სიტყვის დე-

და“ დედაჩემია, ჩემი თვალაღური ლექსიკონის სათავეც და პირველწყაროც.

— შვილო, — ღიმილით მითხრა სიტყვის დედამ, — იმ ახტაჯანას ლექსის თქმის დროს ერთი შეცდომა მოსვლია. „კვირას წ ი რ ვ ა დაგჭირდება“ კი არა, „კვირას ტ ა ბ ლ ა დაგჭირდება“ უნდა იყოს.

— მერე, ეგ ერთი სიტყვა რას გვიშველის, ლექსი მაინც გაუგებარია.

— ჯერ ლექსს თავი ვანებოთ... მშვიერ ქალს კი მართლაც სულზე მიუსწრებს ის ტაბლა, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ აუცილებლად უნდა გაიშალოს!

— კი მაგრამ ლექსში არ ჩანს, რომ ქალი მშვიერია.. — განცვიფრებით წამოვიძახე მე.

— ხაჰმაჰიკა ხომ იცი რაც არის?

— ვიცი, იმ ახტაჯანა გოგონამ მაჩვენა. ბალახია, რომელსაც სკამენ...

— ჰოდა, თუ სკამენ, ცხადია, როცა მოიღვეა, ვინმეს ეწყინება. საჰმელი რომ მოაქვდება, გულიც მოუკვდება.

მაინც ვერაფერს მივხვდი, მცირე ხნის ფიქრის შემდგომ შევეკითხე:

— ლექსში ხაჰმაჰიკას შოლევაზე რომ არაფერია ნათქვამი?

— როგორ არ არი: ხ ა ჰ მ ა ჰ ი კ ა კ ი ჯ დ ე ბ ო ღ ა, აბა რას ნიშნავს?

— მაშ შენი აზრით ჰიჰდებოდა — ილეოდას ნიშნავს?

— ჩემი აზრით კი არა, ასე ვიცი, ასე გამიგია... ისე რომ, თუ ვიტყვით: „ხაჰმაჰიკა ჰიჰდებოდა“ — „ხ ა ჰ მ ა ჰ ი კ ა ი ლ ე ო დ ა ს“ ეგულისხმობთ.

მე ჩაფიქრებული ვიდექი, სიტყვის დედა იღიმებოდა.

„ჰიჰდებოდა... ჰიჰდებოდა... ჰიჰ... დებოდა...“ — ვჩურჩულებდი ჩემთვის. მერე რალაცას მივწვდი, მივაგენ და წამოვიძახე:

— „ჰიჰე“ მეგრულად პატარას ნიშნავს, მაშასადამე, „ჰიჰდებოდა“ ნიშნავს: პატარავდებოდა, ი ლ ე ო დ ა... ამ სიტყვის ახსნაში მეგრული გამოგვადგა!

სიტყვის დედამ ისევ გაიღიმა.

— შორს კი არსად მილიხარ, მაგრამ ჩვენი **ჭიჭინა** ან **ჭიჭლა** რად გავიწყდება?.. აბა სიტყვის პაპას შეეკითხე, თუ ასე არ არი.

„სიტყვის პაპა“ პაპა სულხანია — ორბელიანი.

მე და სიტყვის დედამ ერთად მივაკითხეთ სიტყვის პაპას და ამოვიკითხეთ:

**ჭიჭინა** — (მწერი).

**ჭიჭინი** — ჭიჭინას ხშიანობა.

**ჭიჭლა** — მცირე საღვინე.

**ჭიჭმატა** — მეტად წვრილი მძივი.

**ჭიჭყინა** — წურილი თევზი.

**ჭიჭყინი** — გოჭთ ხშიანობა\*.

— ამათ შეიძლება ჩვენებური „**ჟიჟმატიც**“ დაემატოს... **ჟიჟმატიც** ხომ წვრილს ნიშნავს: ჟიჟმატი ნაყოფი, ჟიჟმატი ხორბალი, ჟიჟმატი სიმინდი.

— ისე რომ „**ჭიჭლებოდას**“ ჩამომავლობა თითქმის გამორკვეულია, მთელი მისი ნათესაობა ხელისგულზეა, — თქვა სიტყვის დედამ.

— ჰო, დავიხსომოთ: ჭიჭე პატარას ნიშნავს და ჩამოთვლილი სიტყვებიც ასე თუ ისე სიპატარავე-სიმცირეს გამოხატავენ.

— წიწმატზე რაღას იტყვი? — შემეკითხა უცებ სიტყვის დედა.

— ჭიჭმატი, ჟიჟმატი და წიწმატი გარეთა ბიძაშვილები უნდა იყვნენ ჭიჭესი, მაგრამ ჯერ „**ხაჭმაჭიჭა**“ გადმოვთარგმნოთ, თორემ ძაან გარე-გარე ეუფლით საქმესა. ლექსის ბოლოში ხომ უნდა გავიღეთ როგორმე?!

— ჰო, ხაჭმაჭიჭას სხვანაირად „**წიწმატურასაც**“ ეძახიან... ხომ ნახე, ჰგავს კიდევ წიწმატსა.

— ეს ხაჭმაჭიჭაც ნახევრად ჭიჭეა...

\* საგულისხმოა, რომ მდინარე ჩარგლურას (სოფ. ჩარგალში) პატარა შენაკადს **ჭიჭა-ხევა** ჰქვია... ოკრიბაში კი პატარა კუჭრუტანას **ჭიჭიპალის** ეძახიან (ფუტ. ბერიძის „სიტყვის-კონა“).

— დიდაც... ხაჭმა და ჭიჭა

— ჰოდა, რა თქმა უნდა, ჭიჭა იგივე ჭიჭეა, — პატარა, მცირე... მაგრამ ეს „ხაჭმა“ რაღა უბედურებაა?

მეც გაეჩუმდი და სიტყვის დედაც. ორივეს გაგვიჭირდა. ვერანაირად ვერ ავხსენით.

— მოდი ისევ სიტყვის პაპას დავეკითხოთ, — სიცილით თქვა სიტყვის დედამ.

სიტყვის პაპას ასეთი სიტყვა არ სცოდნია, მაგრამ მისმა დავთარმა ახალ დარღში ჩაგვაგდო: იქ, სადაც „ხაჭმაჭიჭას“ ვეძებდით, — „ხაჭიჭორას“ წავაწყდით.

— ხაჭიჭორა ბალახია, — გვითხრა სიტყვის პაპამ.

— ხაჭმაჭიჭაც ხომ ბალახია — წამოიძახა სიტყვის დედამ.

„რახან ორივე ბალახია, იქნებ ოდესღაც ერთნი იყვნენ?“  
— გავიფიქრე მე, მცირე ხნის შემდგომ კი ჩემი ნაფიქრი ასე გამოვთქვი:

— იქნებ... ჰგვანან კიდეც. აქ „ხაჭ“-იც შეიძლება ამოვიკითხოთ და „ჭიჭ“-იც.

— ისევ შორს წავედით. ამ სიტყვების ჩამომავლობის რკვევამ მთავარი დაგვაფიწყა. ლექსის შინაარსი ხომ უნდა გავიგოთ?

— ჰოდა, გავიგოთ...

— სად შევდექით?

— ხაჭმაჭიჭა ილეოდა, ქალს გული უკვდებოდა. გული უკვდებოდა, რა თქმა უნდა, იმის შიშით, ამას იქით რაღა უნდა ეჭამო... მერე ქალს ეუბნებიან: ქალო, გული ნუ გიკვდება, ცოტაც მოითმინე, შაბათს ქმარი მოგიკვდება, საკვირაოდ კი ტაბლა (სუფრა) დაგჭირდება და... გაძლებიო. სახლი გეწოდეს, ხელი მოითბეო! აი, სულ ეს არი ამ გაუგებარი და ბუნდოვანი ლექსის შინაარსი!

— ჰო, მარტივი, სალალბო, სახუმარო ამბავია, ჩვენ კი რას არ მივედმოვედეთ.

— რამდენ სიტყვას არ მოვუჩხრიკეთ ძირ-ფესვი... ეს ჭიჭეო, ეს ხაჭმაჭიჭაო, ეს ხაჭიჭორაო!

— ჰო, სიტყვები ავაფორიაქეთ.

— სიტყვებს ვინ ჩივის, სიტყვის პაპაც კი შევაწუხეთ.

— ქართული სიტყვის სიყვარულით შეცდომაც გვეპატიება. გვაპატიოს პაპა სულხანმა, თუ ამოდ დავშვებით.

## ხ ა რ ე ბ ა

### წარმართული ხარება

ორი-სამი წლის წინათ, ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ასეთი რამ ამოვიკითხე:

მოაღთ და ცოლსაც ვახარებთ სიკვდილსა თვეის ქმრისასა.\*

ეს ლექსი ალბათ მანამდეც მქონდა წაკითხული, მაგრამ, როგორც ჩანს, თვალს უყურადღებოდ გადავრბინა ამ სტრიქონზე...

გამოთქმა „ვახარებთ“ მეუცნაურა.

რატომ უნდა ახარონ ცოლს ქმრის სიკვდილი?

იქნებ უეარგისი, უღირსი, ცოლისგან მოძულეებული ქმრის სიკვდილზეა ამ ლექსში ლაპარაკი? სხვა ხალხურ ლექსში აკი სამახარობლოსაც აძლევს ცოლი ქმრის სიკვდილის მაცნეს: „სამახარობლო მივეცი სამოცი სული ცხვარია...“ კიდევ სხვა ლექსში „ჭირვა ხოშაძეთ ქალი“ სულ იმას ნატრობს: „ღმერთო, მომიკალ ქმარიო...“ ასეთ ქალებს, ცხადია, ქმრის სიკვდილი გაახარებდათ, მაგრამ ჩვენს ხალხურ ლექსში სხვა ამბავია მოთხრობილი: თათრებთან მეტრძოლი ფშაველი მწყემსი გმირულად იღუპება, რაც ფშაველთა საერთო გლოვას იწვევს. თვით მრკლული მწყემსი პაპია თათარიშვილი ასეა ლექსში დახასიათებული:

პაპია თათარიშვილი შავარდენსა ჰგავს მთიხასა,  
შეარდა შუა ჯარშია, ვადას მოსწია ხმლისასა,  
არ დაცალეს თათრებმა ხმარებას ფრანგულისასა,  
ღაღრიჯეს თოფი, დაგვიკრეს გულსა მთიხ არწივისასა.

\* „ხალხური სიტყვიერება“, III. მიხ. ჩიქოვანის რედაქციით. ლექსი „მწყემსის სიკვდილი“, გვ. 96.



ადე და წადი, ყორანო, სავალსა ერთი თვისასა,  
ფშავს შიიტანე ამბაეი, იარე არაგვისასა.  
მინხულ, უამბობ ფშაელებსა სიკვდილსა კარგის ემისახა.  
პაპი გყავ ხახელიანი სამარხს ეცადნენ მკედრისასა.  
ტირილით მოგვაქვ, ცრემლის ხმა ჩქერახა ჰგავის წყლისახა...

გმირი მწყემსის ცხედარი ამგვარი გლოვით მოაქვთ და  
შტებ:

მოალთ და ცოლსაც ვახარებთ სიკვდილსა თაის<sup>1</sup> ქმრისასა...

ამ თითქოს უცნაური სტრიქონის შემდეგ ლექსი იმავე.  
ტრაგიკულ სამგლოვიარო კილოთი გრძელდება:

გვაპრევიანებთ სამადა თითოს ნაჯანსა თმისახა  
კარგის ვაჟაკის სიკვდილი გულსაც დაადნობს ემისახა.  
დღეს სძინაე ბნელსა საფლავსა, კუბოს ასეენაე ხისასა,  
გულზე მტრის ნატყვიაეარი იქ აღნობინებს მიწისა,  
დავტირით მოკეთებეი ნაპირსა სამარისასა.  
ჩემი არ იყო, მაგრამა ამბავს გაამბობთ სხვისასა.  
ნაცნობს ძმად ეშველებოდა, დაჩაგრულს მძლავრის მტრისასა,  
მაშ, ძმებო, ღმერთმა აცხონოს წიაღსა აბრაიმისასა,  
მას დააყენოს ნათელი, ძალს შავავედრებ ღვთისახა.

როგორც ვხედავთ, თათრის ტყვიით განგმირული ფშაველი  
მწყემსი შესაფერისად არის დახასიათებულიც და დატირებუ-  
ლიც. იგი სახელოვანი ვაჟაკი, მთის შევარდნისა და არწი-  
ვის დარი კარგი ყმა ყოფილა და ასეთი ჯაცის სიკვდილს „სა-  
ხარებლად“ არ გაიხდიდნენ შეწუხებული ფშაველები.

იქნებ მთქმელის ან ჩამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე  
და აქ სხვა სიტყვა უნდა იყოს?

საქმე ის არის. რომ ეს ლექსი ჩაწერილია ცნობილი მწერ-  
ლისა და ფოლკლორისტის თედო რაზიკაშვილის მიერ, მას  
კი შეცდომა აგრე აღვილად არ გაეპარებოდა. აქვე უნდა  
ითქვას, რომ თედო რაზიკაშვილის ხელით ჩაწერილ თითქმის  
ყველა ლექსს თან ერთვის გაუგებარ სიტყვათა და ზოგჯერ  
ბუნდოვან გამოთქმა-აზრთა ახსნაც კი. ამ ლექსიდანაც სამი  
სიტყვაა განმარტებული (კრაველისასა, შემოუდგებით, და-

ღრიჯეს), ჩვენ მიერ შენიშნულ გამოთქმას („ვახარებთ სიკვდილსა“) კი განმარტება არ ახლავს. რა შეიძლება ვიფიქროთ იმის გამო, რომ თედო რაზიკაშვილი ამ გამოთქმას უყურადღებოდ სტოვებს? უფრო ის, რომ მისთვის ამ გამოთქმაში გაუგებარი არაფერი იყო... „ვახარებთ“ აქ თავის ადგილზეა, მაგრამ სხვას ნიშნავს, მაგრამ რას? ამბის თქმას, თხრობას, ცნობის მიტანას ხომ არ ნიშნავს ეს „ვახარებთ“?

იქნებ „ხარებას“ გარდა ჩვეულებრივი გაგებისა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა (ან სრულიად სხვასაც ნიშნავდა) ძველ ქართულში და ამ შემთხვევაში მის გადმონაშთთან გვაქვს საქმე.

საბას განმარტებით ხარება სასიხარულოს თქმას ნიშნავს.

ასეთივე გაგება და მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას დღესაც: ხარება — სასიხარულოს, კეთილის, კარგის თქმას ნიშნავს. საბას ლექსიკონში „ხარ“ ძირიდან წარმოებული სიტყვები

ამგვარი განმარტებებით გვხვდება:

ხარება — სასიხარულოს თქმა.

ახარა — ხარება მიართვა.

ახარებდა — ხარებას მიართმიდა.

გაახარა — სიხარული მისცა.

გიხაროდენ — სიტყვა სახარელი.

დაახარე — ხარება მიეც.

ეგიხაროდენა — ხარება მიიღო.

ეხარებინა — ხარება მიერთმია.

ვიხარებ — სიხარულს ვარ.

იხარა — ხარება ქნა.

მახარა — ხარება მითხრა.

მახარებელი — ხარების აღმწერი (სახარების აღმწერელი).

მახარობელი — კეთილ მოამბე.

ნახარები — ხარება მიღებული.

სახარო — სახარულევანი.

სიხარული — ესე არს ყოვლის ჳმუნვისაგან თავისუფლება.

სახარება — სახარებელი (სახარება არს სიბრძნე, სიმართლე და ძლიერება. სამივე სწორე და ერთ).

როგორც ამ განმარტებებიდან ჩანს, „ხარებას“ ქართულ-

ში სხვა მნიშვნელობა გარდა სასიხარულოს თქმისა არ ჰქონია. განა შეიძლებოდა, თუკი ქართულში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობითაც ხმარობდნენ, საბას გამჟვრიახ თვალს არ შეენიშნა?

ასე ვფიქრობდი, მაგრამ ექვი თუ გუჟმანი, ჯერჯერობით დაუსაბუთებელი ვარაუდი თავს მაინც არ მანებებდა... ყველაფერს ამ ექვიანი თვალით გკითხულობდი, ვეძებდი... ვეკითხებოდი ენის მცოდნეებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, მწერლებს, მაგრამ მხოლოდ ამ ერთი უცნაური გამოთქმის საფუძველზე რაიმე გარკვეულის დასკვნა არ ხერხდებოდა. სამახსოვრო ფურცელზე ჩაწერილი ვარაუდიც თითქმის მივივიწყე, მაგრამ აი მხსნელიც გამოჩნდა.

მხსნელად ერეკლე მეფე მომეგლინა. უკეთ რომ ვთქვათ, ერეკლე მეორის ოქმი, რომელიც წაწერილი აქვს პაატა ციციშვილის საჩივარს\*. დიდმა მეფემ და მხედართმთავარმა ყველა ლინგვისტზე უკეთესი სამსახური გამიწია.

არზაში, რომელიც პაატა ციციშვილს ერეკლე მეორისთვის მიუერთმევიდა, არზის დამწერი უჩივის თავის ბიძაშვილს ივანე ციციშვილს იმის გამო, რომ ბიძაშვილი უსამართლოდ ედავება ერთ-ერთი ყმა გლეხის მფლობელობას, მოწმედ დავით მოურავს და სვიმონ მაყაშვილს ასახელებს და თავის საჩივარს ასე ამთავრებს:

„გვედრები, თქვენ წინაშე სამართალში გვალაპარაკოთ, რომ ჩემი სიმართლე და სიმტყუენე გამოცხადდეს და ამგვარი შფოთისაგან დამიხსნათ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის კვ, ქქს უოა“.

აი რა მიუწერია ამ საჩივრის ზემო აშიაზე ერეკლე მეორეს:

„ქ. ჩვენი ბრძანება არის, პაატა ციციშვილო და ივანე ციციშვილო, თქვენ ჩვენს სამართალში დადგეთ და ილაპარაკოთ. წინათვე გვიხსნა, რომელიც გამტყუნდებით, გარდაგანდევინებთ, იცოდეთ. მარტის კვ, ქქს უოა.“


ერეკლე“.

\* „დოკუმენტები საქართ. სოციალური ისტორიიდან“. ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 123.

ამ ოქმშიც, ისე როგორც ზემოთ გარჩეულ ხალხურ ლექსში, სიტყვა „გვიხარებია“ ერთი შეხედვით უცნაურად და უადგილოდ ყდურს — საქმიანი დოკუმენტით ერეკლე მეფე აფრთხილებს მოდავე ციციშვილებს: რომელიც სამართალში გამტყუნდებით, ჯარიმას, სასამართლოს მიერ გაწეულ ხარჯებს გარდაგახდევინებთო, თან ეუბნება, ეს ამბავი წინასწარ „გვიხარებიაო“.

კარგი სახარებელია, მე და ჩემმა ღმერთმა! ეს ხომ მუქარას უფრო ჰგავს, ვიდრე ხარებას!

ამ ოქმმა, რომელსაც ერეკლე მეორის უტყუარი ხელმოწერა ამშვენებს და წერილობით დოკუმენტს წარმოადგენს, ხალხურ ლექსში შემთხვევით აღმოჩენილი სიტყვა, აღწერილი მდგომარეობისათვის შეუსაბამო სიტყვა „ვახარებთ“ საოცრად გააშუქა, დაადასტურა ჩემი ექვი. ამ სიტყვის სხვა, მეორე (ან იქნებ პირველადი) მნიშვნელობის არსებობის შესახებ ქართულ ენაში. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ორივე შემთხვევაში („ვახარებთ“, „გვიხარებია“) მართლაც ნიშნავს თქმას, თხრობას; შეტყობინებას, გამოცხადებას.



ღროთა განმავლობაში სიტყვათა შინაარსის ამგვარი ცვლა უცხო და იშვიათი არ არის. ცნობილია, თუ როგორ დიამეტრულად შეიცვალა შინაარსი სიტყვა „პატივისა“, „ცხედრისა“, „კადრებისა“ და სხვათა.

„და აწ პატივისა ვხედავ და პ ა ტ ი ვ ი ს ა მ ე შ ი ნ ი ს“.  
„პ ა ტ ი ვ ე უ ლ ჰ ყ ო ს... მეორედ მოსვლას...“

„პატივის“ მნიშვნელობა აქ, ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან მოყვანილ მაგალითებში სხვა არის და შემდეგდროინდელ ძეგლებში, მაგალითად „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ სულ სხვა:

შაჰ-აბაზმა ლუარსაბი „რა მიიყუანა აშრაფს, მაშინ დაჰპატიჟა სჯულნი, ხოლო მან არა უსმინა და არცა უარყო სჯული თუისი“.

ასე თანდათან იცვლიდა მნიშვნელობას ეს სიტყვა, სანამ არ მიიღებდა შინაარსს დღევანდელი დაპატიჟება-პატივისა.

ასევე შეიცვალა „კადრებას“ მნიშვნელობა.

ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ძველი ქართულით კადრება გაბედვას ნიშნავდა. ქართული ენის უძველეს ძეგლში „შუშანიის წამებაში“ ვკითხულობთ:

„ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღა იკადრა სიტყუად“.

შემდეგი დროის ლიტერატურული (მაგ. რუსთაველი) და ისტორიული ძეგლებიც ამ გაგებას იცავენ. ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„...საყდართა და მონასტერთა დაღეწასა ვერვინ იკადრებდა... ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“.

„კადრებას“ ამგვარი გაგება ძველი ქართულის გავლენით თუ ინერციით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებშიც კი გვხვდება:

„ხოლო ტიხანოვცკიცა განვიდა შილდით მხედრობითა თვისითა, მივიდა და დადგა ყვარელში, ვინაითგან კახნი იქმნენ ფრიად განძინებულ. დაწვისათვის შილდისა, და ვერღარა იკადრა ტიხანოვცკიმ ბრძოლაი, რამეთუ უვიდოდა მცირე მხედრობაი“\*.

ასევე სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა მიიღო სიტყვამ „უმსგავსო“, რაც დღეს უსახურს, უშნოს, ულაზათოს ნიშნავს, ძველი ქართულით შეუდარებელს, უბადლოს ნიშნავდა.

„ქართლის ცხოვრება“ ასე ახასიათებს დავით აღმაშენებელს:

„და საშუალ მათსა თუით იგი უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროსათუის მოთხრობილთა, წინა უძლოდა, და იწყო რბევად სპაოსეთისა...“

იმ სიტყვათა რიგს, რომელთაც დროთა განმავლობაში მნიშვნელობა იცვალეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ემატება „ხარება“.

\* დავით ბატონიშვილი — „მასალები საქართ. ისტორიისათვის“.

საგულისხმოა, რომ სწორედ ხალხურ ლექსსა და სამეფო ოქმშია დაცული „ხარებას“ სხვა მნიშვნელობა. ამ ორი ძვირფასი არქეოლოგიური განძის გადარჩენა და ჩვენამდე მოტანა ალბათ მთის ლექსის ტრადიციულობამ და ოქმის ენის კონსერვატიულობამ განაპირობა.

როგორც ცნობილია, მთის კილოებში, მთის ფოლკლორში მრავლად არის შემონახული წარმართული ყოფის გამომხატველი ელემენტები და ენობრივი არქაიზმები... ხომ ფაქტია, რომ ნაწილობრივ ამგვარი გადმონაშთების საფუძველზე მოახდინა ივანე ჯავახიშვილმა ქართული წარმართული პანთეონის აღდგენა.

ვინც ქართულ ისტორიულ სიგელ-გუჯრებსა და განჩინებ-ოქმების ენობრივ სამყაროს დააკვირდება, დარწმუნდება, რომ ამ დოკუმენტებში სტანდარტული გამოთქმების ტრადიციას დიდი, ძალა ჰქონდა. სამდივნო და საოქმო ტერმინოლოგია ძალზე კონსერვატიულია, საუკუნეების მანძილზე უცვლელად მეორდება დაკანონებული გამოთქმები თუ ფრაზები და თაობიდან თაობაზე გადმოდის.

აი, ერთი მაგალითი:

მოგვყავს მე-13 საუკუნის დოკუმენტი — სიგელი მეფისა დავით მეოთხისა, რუსუდანის ძისა, ნარინად წოდებულისა... „...აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ერისთავთ ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა... ტყის მცველთ უზუცესთა... საქმის მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა და სიგელსა ამას ჩუენსა, და ნურცარას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუნიერ შეწევნისა და თანადგომისა...“

შევადაროთ ეს მე-13 საუკუნის სიგელი მე-17 საუკუნის დოკუმენტს — სიგელს მეფის სვიმონ მეორისა:

„... აწუ უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუდესთა გიბძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყუნეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ... და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე...“

- ოთხი საუკუნე აშორებს ამ ორ სიგელს ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ენობრივი ფაქტურა თითქმის ერთნაირია. უფრო მეტსაც ვიტყვით: მეორე, შემდეგდროინდელი დოკუმენტი ამ მხრივ უფრო არქაულად გამოიყურება. („აწე უზეშთაესთა... უქუდესთა... თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე...“)

თითქოს ოთხასი წლის განმავლობაში ქართულ ენას ცვლილება არ განეცადოს... არა, ცხადია, ენა იცვლებოდა, მაგრამ ეს ცვლილება, როგორც ჩანს, ოფიციალური დოკუმენტების ენაზე დიდ გავლენას არ ახდენდა: კანცელარიის ენა ძირითადად უცვლელი რჩებოდა, ძველი ფორმები თუ გამოთქმები მდივან-მწიგნობართა პირით თუ კალმით შეურყეველად ინახებოდა.

ეს კანცელარიული ფორმულა-განკარგულებები სულ რამდენიმე სხარტი გამოთქმისაგან შესდგებოდა. ამ სიმოკლეს იწვევდა საჩივრების სიმრავლე. დაქსაქსულ, მოძალადე ფეოდალების ხელში ჩავარდნილი ხალხისათვის ერთადერთი მსახური, რომელსაც „უთუო და უთუმცაო“-განაჩენის მიცემა შეეძლო, მეფე იყო... საჩივრით ყველა მეფეს მიმართავდა და ამ ზღვა არზების პასუხად გრძელი განაჩენების წერისთვის ვის ეცალა. მეფე თითქოს ცხენზე ზეგდომი წერდა განჩინებულებებს. ამ მხრივ, თავისი მოუცლელობის დინამიკის გადმოცემით, საინტერესოა ერეკლე მეორის ოქმი რევაზ ამილახორისადმი:

„ქ. ბატონო რევაზ ამილახორო, წიგნი მოგვიწერია და მორიგეში ჩამოდი. მდევრულად წამოდი, ნულარ აყოენებ, წამოდი, და დეგ, განწესებულ აღგილს და დეგ, საჩქაროდ, ხელზე მოგწერეთ ეს წიგნი“.

ამ ოქმებისა და განკარგულებების ტიპური გამოთქმებია:

„ჩვენი ბრძანება არის“, „ჩვენს სამართალში დადგეთ და ილაპარაკოთ“, „თუ ტყუილად ილაპარაკებს ვინმე, იცოდეს, დიდად გარდახდება“, „უამბეთ“, „მოგვიხსენებია“, „გვიტყვამს“ და სხვ.

აი მეფე გიორგი მეთერთმეტეს წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი:

„ქ. ჩემაგიერ ნიკოლოზს, ყაფლანს, ზურაბს, ტეტიას მრავალი მოკითხვა უამბეთ“.

ბრძანებანი ერეკლე მეორისა:

„ქ. ჩვენ მაგიერად ფიცხელაურს არგუევანს ასე უამბეთ...“

„ქ. ჩვენ მაგიერად ხიზიყის მოურავს პაპუას ასე მოეხსენოს. მერე ეს გუუწყოს...“

„ქ. ჩვენ მაგიერად თუმანის-შვილს პაპუას ასე უანბეთ...“

„ქ. ჩვენ მაგიერად გიორგი ერისთავს და ერისთავის ძმანს იასეს ასე უამბეთ...“

„ქ. ჩვენ მაგიერად თეიმურაზ ჯავახის-შვილს ასე უამბეთ...“



ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის მიგნებამ ბუნებრივად წარმოშვა ასეთი კითხვა: ხალხური ლექსის „ვახარებთ“ და ერეკლეს ოქმის „გვიხარებია“ გვიანდელი ენობრივი წარმონაქმნია თუ აქამდე შეუნიშნავი კვალი, გადმონაშთი წარმართული ხარებისა?

ამის გამორკვევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ძველი ენობრივი ძეგლების შესწავლით. თუ ამ ძეგლებშიც აღმოჩნდებოდა მაგალითები ხარების სხვა გაგებისა (მხოლოდ და მხოლოდ თქმის, თხრობის მნიშვნელობით), მაშინ, ცხადია, საფუძველი გვექნებოდა იმის მტკიცებისათვის, რომ ძველ ქართულში ხარებას სხვა მნიშვნელობა ჰქონია და მიგნებული ფაქტების მერმინდელობის ვარაუდი თავისთავად მოიხსნებოდა.



ეხება რა ძველი ქართული ლიტერატურის მთარგმნელობით მეთოდს, კორნელი კეკელიძე მრავალ საგულისხმო დაკვირვებას და მოსაზრებას გვიზიარებს \*.

\* იხ. კ. კეკელიძე — „იტიულები“, I, 1956, გვ.: 186-187.



მისი აზრით: „ქართველებმა ახალი რელიგიური სისტემა ძველ წარმართულ სარწმუნოებაზე დაამყენეს... ბიბლიური წიგნების მთარგმნელნი იძულებულნი ხდებოდნენ შეეგუებიათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო, და გამოეყენებიათ მარაგი წარმართული საკრალური ენისა“.

ამის გამო:

„ახალი იდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და მორალური შეხედულებანი ხშირად გადმოიციემიან ამ თარგმანში ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროდან მოდიან...“

შემდგომი დროის რედაქციების შექმნის მიზანი იყო ძველი თარგმანები განეტვირთათ წარმართული აზროვნებისა და გამოთქმების გადმონაშთისაგან:

„პროცესი ბიბლიური წიგნების სწორებისა, რომელსაც ადგილი აქვს საუკუნეთა განმავლობაში, მიზნად ისახავდა ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას, პირველყოვლისა იმ მიზნით, რათა ქართული თარგმანიდან განდევნილი ყოფილიყო წარმართული ელემენტები...“

მაგრამ ეს გიორგი მთაწმინდელსა და ეფრემ მცირესაც კი ვერ მოუხერხებიათ. ეფრემ მცირეს უთქვამს: ზეპირად ვიცოდრი ძველი თარგმანები და ძალაუნებურად მეპარებოდა ჩემს თარგმანში ძველი სიტყვები და წინადადებებიო.

საგულისხმო ფაქტს ამგვარი შემთხვევებისას ააშკარავენს ივანე ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ ნაშრომში\*, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ადიშის სახარებაში გადმოსულია ხანმეტობის კვალი. მისი დაკვირვებით, გადამწერს ხანმეტ სახარებაში ამოკითხული „გ ა ნ ხ ე ც ხ ა დ ა“ გულმავიწყობის გამო უცვლელად გადმოუტანია, დავიწყებია, რომ ხ-ანი უნდა გამოეტოვებინა და ისევე დაუწერია, როგორც მეხსიერებაში ჩარჩენილი ჰქონია. მაგრამ შემდეგ, ალბათ გადანაწერის გადაკითხვის დროს, თავისი გულმავიწყობის შეცდომა შეუმჩნევია

\* იხ. ივ. ჯავახიშვილი — ქართული პალეოგრაფია“, გვ. 302-303.

და ხ-ანი წაუშლია, რის კვალაც (ამონაფხეკი) აღიშის, სახარებაში დღემდე დარჩენილა.

სად, ქართული ენის რა ძეგლებში უნდა დარჩენილიყო კვალი წარმართული ხარებისა, თუკი ის მართლაც არსებობდა?

ცხადია, ქართული სახარების უძველეს ძეგლებში.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ძეგლებად მიჩნეულია სახარების შატბერდული რედაქციები.

აქ. შანიძე აღნიშნავს, რომ შატბერდული ოთხთავების ტექსტები, მართალია, გადაწერილია მეცხრესა და მეათე საუკუნეებში, მაგრამ „ძირეულად ისინი მაინც მე-4—5 საუკუნეთა ენას ასახავენ. სტილისტური რედაქცია უმთავრესად ხანმეტობასა და ჰემეტობას შეჰხებია“.

თუ „ხარებას“ პირველადი გაგება და მნიშვნელობა მართლაც თხრობა, თქმა იყო (კარგის, კეთილის, სასიხარულოს გამოორიცხვით), ხომ შესაძლოა ამის კვალი უძველეს ტექსტებში დარჩენილიყო.

ჩვენც ჩვენი მუშაობა და დაკვირვება შატბერდული სახარების ტექსტების შესწავლის გზით წარემართეთ. („ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოცემა აკ. შანიძისა, თბ., 1945).

### „ხარების“ ფენები ძველ ქართულში

დაკვირვებამ გვაფიქრებინა, რომ სახარების უძველეს ენობრივ სამყაროში არსებობს „ხარების“ სამი ფენა.

ეს დებულება ასე უნდა გავიგოთ:

ტერმინ „ხარებას“ ქართული ოთხთავის ენაში აქვს სწამი სხვადასხვა მნიშვნელობა, ე. ი. ერთი და იმავე ტერმინით გამოხატულია სამი სხვადასხვა მნიშვნელობის მდგომარეობა.

ეს დებულება შეიძლება გავრცელდეს ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებზეც:

ჰავიოგრაფიული, საერო და ისტორიული ლიტერატურის ენაზეც.

პ ი რ ვ ე ლ ი ფ ე ნ ა : „ხარება“—ბერძნული „εὐαγγέλιον“, ან „εὐαγγελιον“ -ს ან რუსული „Благовествование“-ს,

მნიშვნელობით. კარგის, კეთილის, სასიხარულოს თქმა — რაშიც კარგის, კეთილის, სასიხარულოს თქმა გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას, ღვთაებრივი სულით აღტკინებას, სულიერ ნეტარებას და ამ აღლებას თქმით, თხრობით, ქადაგებით. ამგვარ მაგალითს სახარების მკითხველი უთუოდ განასხვავებს ჩვეულებრივი ხარების, ჩვეულებრივი სასიხარულო მდგომარეობისგან\*.

ამგვარი „ხარების“ მაგალითია:

„...სხუათაცა ქალაქათაცა ჯერ არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაი, რამეთუ ამისთვის მოვივლინე“.

მეორე ფენა: ხარება ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ჩვეულებრივი სასიხარულო მდგომარეობის, გახარების ან ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის გაგებით გამოწვეული განცდის მნიშვნელობით.

მაგალითი:

„განიხუენე, ქამე, სუ და იხარებდ“.

მესამე ფენა: ხარება თქმის, თხრობის, ამბობის მნიშვნელობით. სასიხარულოს გამორიცხვით. ეს ფენა უძველესი, წარმართული მნიშვნელობის გადმონაშთი უნდა იყოს.

მაგალითი:

„მოვალს მარიამ მაგდალენელი და ახარებს მოწაფეთა მათ...“

რომ აშკარა გახდეს ამ სამი ფენის შემცველი ენობრივი მასალის შინაარსობრივი განსხვავება, განვიხილოთ მათი მაგალითები თანამიმდევრულად.

ბირველი ფენის მაგალითები:

„და იყო მათ ღღეთა ოდენ ასწავებდა ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას შინა“ (ლუკა, 20,1. DE).

ეს „ახარებდა“ მე წავიკითხე, როგორც: ეტყოდა, ქადაგებდა, ეუბნებოდა.

\* უღრმეს მადლობას მოვახსენებ დოც. აღ. გამყრელიძეს, რომელმაც დაუხარებელი მეგობრული დახმარება გამიწია ბერძნულ, ინგლისურ და გერმანულ სახარებათა საკირო ადგილების წავითხვა-აახსნითა და მათი შედარებით ქართულ ტექსტთან.

არსებითად ეს ასეც არის, აქ ხარება თქმას, ქადაგებას ნიშნავს, მაგრამ როგორც შემდეგ სხვა ენებზე თარგმნილ სახარებათა შესატყვის ადგილებთან შედარებით გამოიკვეა, ამ თქმას თუ ქადაგებას სახარების დედანში გააჩნდა კარგის, კეთილის, სასიხარულოს თქმის ნიუანსი (ბერძნულად: „ეევანგელიძო“), რაც აღბეჭდილია თარგმანებში.

ბერძნულ სახარებაში ზემოთმოყვანილი „ახარებლა“ იკითხება: „ეევანგელიძო“, ინგლისურში: „preachin the gospel (good tidings)“. რუსულში: „благовествовал“, რაც სამივე შემთხვევაში კარგის თქმას, კარგი ამბების ქადაგებას ნიშნავს.

ასეთივე შედეგი გამოიღო ლუკას სახარების 4,43-ის შედარებამ ბერძნული სახარების სათანადო-ადგილთან:

„ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაი, რამეთუ ამისთვის მოვივლინე“.

ბერძნულ სახარებაში ამ ადგილას ქრისტეს მიერ სასიხარულოს, კარგის თქმა-გამოცხადება (იგულისხმება ქრისტეს მოძღვრების ქადაგება) ინგლისურ სახარებაში ამ ადგილას ასეთივე წაკითხვა გვაქვს:

„must preach the good tidings“, რაც ნიშნავს: შე უნდა კარგი ამბები ვუქადაგო. რუსულ სახარებაში ვკითხულობთ: «... и другим городам б: аговествовать я должен царствие Божие».

აი ქართულ-რუსული სახარების შესატყვისი ადგილები:

მათეს სახარება: 11,5:

„...მკუდარნი აღდგებიან და ჭირვეულთა ეხარების“.  
C.

«Мертвые воскресают и нищим благовестуется».

ლუკას სახარება 1,19

„...და მოვივლინე სიტყვად შენდა და ხარებად ამას“.  
DE.

«...и послан говорить с тобою и благовестить тебе сие».

„და ფრიად სხუასაცა მრავალსა ჰლოცვიდა, და ახარებდა ერსა მას“.

DE, 3,18.

«...Многое и другое» благовествовал он народу, поучая его». (3, 18).

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითებში ქართული ტერმინის „ხარებას“ შესატყვისად სხვა ენებზე არსებულ სახარებებში იხმარება საღმთო წერილის მიერ მტკიცედ დაცული ტერმინები: „ევანგელიძო“, „благовествование“ და სხვანი, რომლებიც კეთილის, კარგის თქმას, ქადაგებას ნიშნავს.

მაგრამ ქართული „ხარება“ როგორც ზემოთაც ვთქვით, ყოველთვის ბერძნულ „ევანგელიძოს“ კი არ უდრის (ან რუსული სახარების „благовест...“-ეს) და ეს შემთხვევითი კი არ არის, — ეს არის, ჩემი დაკვირვებით, სხვადასხვა ენებზე არსებულ სახარებების ტერმინოლოგიაში მტკიცედ დაცული პრინციპი. ამას ადასტურებს მეორე ფენის მაგალითების შედარება:

### მეორე ფენის მაგალითები:

„...განისუენე, ჰამე, სუ და იხარებდ“. (ლუკა, 12,19. DE,C).

ბერძნულ სახარებაში ეს ადგილი ასეა: „φάρει, πει, ἔσφραϊναι“-ს, რაც უდრის რუსული სახარების: „...покойся, ешь, пей, веселись“.

„და ესმა გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობაი თუისი მისთანა, და იხარებდეს“. (ლუკა, 1,58, DE).

ბერძნულ სახარებაში, შესატყვის ადგილას ვკითხულობთ: „συχῆχα:ρῶα αὐτῷ“ — რაც ნიშნავს: მასთან ერთად იხარებდეს, გაიხარებდეს, ასევე, ჩვეულებრივი სინხარულის მნიშვნელობის გამომხატველი ტერმინითაა თარგმნილი ეს ადგილი რუსულ სახარებაში. „...я радовались с нею“.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ დებულება: სახარების ქართულ თარგმანში „ხარების“ სამი მნიშვნელობის არსებობის შესახებ შეიძლება გავავრცელოთ ჰაგიოგრაფიულ, საერო

და ისტორიული ლიტერატურის ენაზეც. ამ მოსაზრების სი-  
აშკარავისათვის მოვიყვანოთ ერთი ნაწყვეტი „ჰაბოს წამები-  
დან“, სადაც ამის დადასტურებას ვხედავთ:

„მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნე-  
ტარისა ჰაბოისთუის, რამეთუ ახალ ნათელ-ღებულ არს, გა-  
ნიხარა ფრიად ყოვლით ერთ მისითურთ, და მოუწოდეს  
მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღდელთა და აკურ-  
თხევდეს და ნუგეშინის სცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუ-  
ათა ცხოვრებისათა და ახარებდეს ქრისტესათუის და სა-  
უკუნოისა მის ცხოვრებისათუის“.

აქ „განიხარა“ ჩვეულებრივი სიხარულის, ჩვეულებრივი  
გახარების მნიშვნელობისაა: აფხაზეთის მთავარს ესიამოვნა,  
რომ არაბი ჰაბო ქრისტეს რჯულზე მოქცეულა და „ახალ  
ნათელ-ღებულ არს“ და გაიხარა ამ ამბით. ხოლო მის მომ-  
ღევნო წინადადებაში სიტყვა „ახარებდეს“ ამავე, ჩვეულებ-  
რივი სიხარულის და გახარების შინაარსის შემცველი არ  
არის. ამ წინადადების შინაარსი ასეთია: ახლად მოქცეულ  
ჰაბოს აფხაზეთის მთავარი, ეპისკოპოსი და მღვდელნი აცნობ-  
დნენ, მოუთხრობდნენ ქრისტეს ცხოვრების ამბებს და „ახა-  
რებდეს“ — ე. ი. უქადაგებდნენ, აცნობდნენ და ასწავლიდნენ  
ქრისტეს მოძღვრებას.

უფრო მეტი სიცხადისათვის „ჰაბოს წამების“ ამ ნაწყვეტ-  
ში ნახმარი „ახარებდეს“ შევადაროთ „ვეფხისტყაოსანში“  
ნახმარ „ახარებდეს“:

ნახეს, იცნეს, რაგვიარაღცა ჰმართებს აგრე გაეხარნეს.  
შერმანდინსცა ახარებდეს, ფიცხლად თაეი მისკენ არნეს.  
მოვიღაო, აქანამდის ვისთვის ლხინი გაგვემწარნეს!

მგონი ცხადი უნდა იყოს ამ ორი „ახარებდეს“ სხვადა-  
სხვა მნიშვნელობა: რუსთაველით იგი ჩვეულებრივი სასიხა-  
რულო ამბის მიტანას ნიშნავს, „ჰაბოს წამების“ ტექსტით კი  
ქრისტეს მოძღვრების ქადაგება-სწავლებას და შეგონებას ნიშ-  
ნავს, მსგავსად სახარების ერთი ადგილისა:

„და გამოვიდეს და მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახა-

რეზდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა“.  
(ლუკა. 9,6 C):

„ხარების“ განსხვავებული მნიშვნელობით ხმარება გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეულ რედაქციაში. მართალია ეს ადგილი „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ჩვენი მოსაზრების დამადასტურებულ ფაქტად მაინც გამოდგება:

„რქუა მარამ მაგდანელსა იესო: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა.““

ამის ზემოთ მოთხრობილია, თუ როგორ გამოეცხადება ფარვანის ტბასთან ჩაძინებულ ნინოს მოჩვენება, რომელიც მისცემს რომაულად დაწერილ „ათ სიტყვას“ ანუ მცნებას მცხეთის წარმართი მეფისათვის მისართმევად. ეს ერთგვარი დარიგებაა, რაც ნინომ უნდა გამოიყენოს თავის მოღვაწეობაში.

ცხადია, მარამ მაგდალინელის მაგალითით ქართველთა განმანათლებელ ნინოს „დათა და ძმათათვის“ უბრალო სასიხარულო ამბის მიტანა კი არ ევალება, არამედ წარმართ ქართველთათვის ქრისტეს მოძღვრებას ქადაგება-ხარება. უნდა ვცდიქროთ, რომ ასე ესმოდათ ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრების“ მკითხველებსაც.

ზემო მაგალითისაგან განსხვავებული მნიშვნელობით, ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის შეტყობინების შინაარსით არის ნახმარი „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ რედაქციაში ხარება:

„ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცივალა ჰყონდიდელი... რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თუით მეფემან, ვითა მამა, შეიმოსა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლის ხარებდითა დაიხსნა გლოვა“.

ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარობს შოთა რუსთაველი ამ სიტყვას:

ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმითა და ხარითა.

\*„ქართლის ცხოვრება“. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, სახელგამი, 1955 წ., გვ. 87.

უდავოა, რომ ეს „ხარებად“ სხვა არის და სახარების „ხარებად“ — სხვა: „და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხ ა რ ე ბ ა დ ამას“.

ზემოთ განხილული მაგალითები ადასტურებენ იმ დებულებას, რომ ძველ ქართულში არსებობს „ხარების“ გაგების სხვადასხვა ფენები. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩემ მიერ მოტანილ მაგალითთა შინაარსობლივი განსხვავება აშკარა უნდა იყოს.

ახლა განვიხილოთ მესამე ფენის ანუ მნიშვნელობის, წარმართული ხარების საკითხი, რაც გადმონაშთის სახით დაცულია ქართული უძველესი სახარების ენობრივ სამყაროში.

### წარმართული ხარება

შატბერდული სახარების ჯრუჟ-პარხლის რედაქციის იოვანეს თავის დასასრულს, იქ, სადაც აღწერილია ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა და ამ სასიხარულო ცნობის მოწაფეთათვის შეტყობინების ამბავი, გკითხულობთ:

„მოვიდა მარიამ მაგდალენელი თ ხ რ ო ბ ა დ მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას“. (DE, 20,18) \*.

ამავე გამოცემაში, იქვე, მის პარალელურად დაბეჭდილია აღიშური რედაქციის შესატყვისი ადგილი:

„მოვალს მარიამ მაგდალენელი და ა ხ ა რ ე ბ ს მოწაფეთა მათ, ვითარმედ იხილა მან უფალი და ესე ჰრქუა მას“. (C, 20,18).

როგორც ვხედავთ, ჯრუჟ-პარხლის რედაქცია იცავს გამოთქმას: „თხრობად მოწაფეთა მისთა“, ხოლო აღიშისა: „ახარებს მოწაფეთა მათ“.

ჩემი აზრით, სწორედ ეს აღიშური „ახარებს“ არის ის წარმართული ხარება, რომელსაც სახარების ტექსტში ვეძებთ.

ამის უპირველეს ვარაუდს აღძრავს ის ფაქტი, რომ ეს აღიშური „ახარებს“ ზის ამ მუხლის იმ ადგილას, რომელიც ჯრუჟ-პარხლის რედაქციაში „თხრობას“ უჭირავს.

როგორც ხალხური ლექსისა და ერეკლეს ოქმის მაგალი-

\* ამის შესავსად არის ეს ადგილი „ხანმეტ ლექციონარში“ — „თხრობად მოწაფეთა მისთა“ — აკ. შანიძის გამოცემა. გვ. 061.



თებით დავრწმუნდით, ხარება თხრობას, თქმას, შეტყობინებას ნიშნავს. აქაც, ტექსტის შინაარსის მიხედვით, მომხდარი ამბის (ქრისტეს აღდგომა) თხრობა-შეტყობინებაზეა ლაპარაკი და ამის გამოსახატად სახარების სხვადასხვა რედაქციაში ორგვარი გამოთქმაა: „თხრობად“ და „ახარებს“.

პირველ შემთხვევაში აშკარად თხრობაზეა ლაპარაკი და ეს დასაბუთებას არ საჭიროებს. საჭიროა იმის დასაბუთება, რომ მეორე ადგილიც თხრობაზე მიგვივითხებებს... მაგრამ სანამ დასაბუთებაზე გადავიდოდეთ, შესაძლოა ვინმე შემოგვედავოს და გვითხრას, რომ სახარების ამ ადგილას სასიხარულო ამბის შეტყობინებაზეა ლაპარაკი და სახარებაშიც შესაფერისი სიტყვა „ახარებს“ სწერიაო.

ეს გარემოება მართლაც დამაფიქრებელია, მაგრამ ის უდავოა, რომ ეს „ახარებს“ ბერძნული „ეევანგელიძოს“ და რუსული „ბლაგოვესტოვანიეს“ მნიშვნელობისა არ არის. მაშასადამე, უნდა იყოს ან ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის შიტანის აღმნიშვნელი „ახარებს“ — ისე, როგორც დღეს ეს სიტყვა გვესმის, ან ჩვენს მიერ საძიებელი წარმართული „ახარებს“ — მოუთხრობს.

ნუ ღავივიწყებთ, რომ სახარება თარგმანს წარმოადგენს. და გავუწიოთ ანგარიში იმასაც, თუ როგორ იკითხება ეს ან ამის შესატყვისი ადგილები სახარების სხვა ქართულ რედაქციებში და სახარების სხვა თავებში.

თუ სახარების დედანში ამ ადგილას იქნებოდა სასიხარულო ამბის შეტყობინების აღმნიშვნელი სიტყვა და არა თხრობისა, ეს ხომ აღიბეჭდებოდა ქართული სახარების ან სხვა ენაზე არსებული სახარებების სათანადო ადგილებზე?

განვიხილოთ ამ მხრივ ჯერ ქართული სახარება.

აღიშური სახარების ლუკას თავის დაბოლოებაში ქრისტეს აღდგომის ამბავი ამგვარად არის მოთხრობილი: ქრისტეს საფლავთან მარიამ მაგდალინელს და სხვა ქალებს გამოეცხადება ორი კაცი „სამოსლითა ელვარითა“ და ამცნობს, რომ ქრისტე აღსდგა, მაგრამ ეს სამი ქალი ქრისტეს მოწაფეებს ამ სასიხარულო ამბავს კი არ ახარებს, არამედ:

„და მიიქცეს და მიუთხრეს ესე ყოველი ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა“. (ლუკა, 24,9 C).

ჯრუქ-პარხლის სახარების ლუკას თავის 24,10, წერია:

„ხოლო იყვნეს მაგდალენელი მარიამ და იოჰანა და მარიამ იაკობისი და სხუანი ვინმე მათ თანა, უთხრობდეს, მოციქულთა ამას“.

ამავე სახარების მარკოზის თავის მიხედვით ქრისტე იმავე მარიამ მაგდალინელს ეცხადება და:

„...იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მოყუასთა მათ, რომელნი ეგლოდეს და ტიროდეს“. (მარკოზი, 16,10 DE).

იმავე სახარების მათეს თავის მიხედვით ანგელოზმა „ქრქულ დედათა მათ... აღღგა და აჰა წინა გიძღვის...“

„ხოლო იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა. (მათე, 28,8, DE ...ასევეა C-შიც).

წარვიდეს... სიხარულითა დიდითა, მაგრამ შინც „თხრობად“ და არა „ხარებად“.

ყველა ეს ადგილი მოტანილია შატბერდული სახარებიდან, რომელიც როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ქართულ ვულგატას. მას არ გაუვლია გიორგი მთაწმინდელის მსგავსი მკაცრი და მკოდნე რედაქტორის ხელში, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დედანი აქ შედარებით არასწორად იყოს გადმოტანილი. ამიტომ მიემართოთ გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნულ სახარებასთან შედარებულ და შესწორებულ სახარებას:

მათე, 28,8. „ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა; მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა“:

მარკოზ, 16,10 „...იგი წარვიდა და უთხრა...“

ლუკა, 24,9. „...და მიიქცეს საფლავით, და უთხრეს ესე ყოველი ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა“.

იოვანე, 20,18. „მოვიდა მარიამ მაგდალინელი თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი...“

აქაც, როგორც ვხედავთ, ყველგან გვაქვს „თხრობად“ და არა „ახარებას“.

შეუძლებელია ამდენ ფაქტებს არ დაუუჯეროთ. ეს ფაქტები ხომ იმას მიგვიჩვენებს, რომ სახარების დედანში „თხრობად“ იქნებოდა... მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის მივმართეთ ბერძნულ და რუსულ სახარებებსაც.

აღმოჩნდა, რომ არც ბერძნული სახარების წაკითხვა ადასტურებს იმის შესაძლებლობას, რომ სახარების დედანში ამ ადგილას სასიხარულო ამბის შეტყობინების გამომხატველი სიტყვა ყოფილიყოს. ბერძნული ტექსტის სიტყვა: „εὐαγγελισσα“ — ნიშნავს: შემტყობინებელი, მთქმელი, მთხრობელი და არა: მახარობელი ან ამის მსგავსი რამ.

ამგვარ წაკითხვას ადასტურებს რუსული სახარებაც:

მათე. 28,8. „...побежали возвестить ученикам Его“.

მარკოზ. 16,10. „...она пошла, и возвестила“...

ლუკა. 24,9 „...возвестили все сіе одинадцати и всем прочим“.

იოვანე. 20,18. „...Мария Магдалина... возвещает ученикам“.

აღსანიშნავია, რომ სომხურ სახარებაშიც ამ ადგილას არის „თხრობად“<sup>6</sup>.

აქ დამოწმებული ბერძნული, რუსული და სომხური სახარებები, ცხადია, სხვადასხვა დროს შექმნილი ტექსტების შემცველნი არიან. იგივე ითქმის ქართულ სახარებაზე, რომელიც, ალბათ, სხვადასხვა პირთა მიერაა თარგმნილი და შემდეგ რედაქტირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა, ერთის გამოკლებით, გამოკლებით შატბერდული სახარების აღიშური რედაქციის იოვანეს თავისა, იცავს „თხრობას“... რატომ?

ბუნებრივთ ვიფიქროთ, რომ სახარების დედანში იყო „თხრობა“ და ეს აღიბეჭდა კიდევ თარგმანებში.

რა შეიძლება დავასკვნათ აღიშურ სახარებაში ამ განმარტოვებით მდგარი „ხარების“ შესახებ?

<sup>6</sup> \* ამ ცნობის მოწოდებისათვის და კიდევ სხვა საგულისხმო რჩევისათვის პროფ. ალია აბულაძეს მადლობას მოვასხენებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ახარებს“ მთარგმნელმა პირ-  
ვანდელი წარმართული გაგების ინერციით, უნებურად იხმარა  
თხრობის, თქმის, შეტყობინების მნიშვნელობით, რადგან მის  
შეგნებაში თუ ქვეშეცნეულ ლექსიკონში „ახარებს“ ნიშნავდა  
თხრობასა და ამბის თქმას... ალბათ ეს მან ვერც კი შეამჩნია.  
ცხადია, მთარგმნელი უფლებას ვერ მისცემდა თავს, შეგნე-  
ბულად უგულვებელყო დედანში მჯდარი „თხრობა“ და იგი  
სხვა მნიშვნელობის სიტყვით შეეცვალა.

საგულისხმოა, რომ ივანე ჯავახიშვილმა ამოფხეკილი ხან-  
შეტის კვალი სწორედ ამ „ყველა თარიღიან ხელნაწერ სახა-  
რებათა შორის უძველეს“ ადიშური სახარების ფერგადასულ  
ფურცლებზე აღმოაჩინა... ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვე-  
ჩვენება, რომ ჩვენი წარმართული ხარებაც ამ რედაქციის  
ტექსტმა შეინახა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მხოლოდ ერთი დასკე-  
ნის გამოტანა შეიძლება: ადიშური სახარების სადაო გამოთქმა  
„ახარებს“ იგივეა, რაც ამ წერილის თავში განხილული ფშა-  
ური ლექსის „ვახარებთ“ და ერეკლე მეფის ოქმის „გვიხარე-  
ბია“, რაც პირველ შემთხვევაში (სახარებით) ნიშნავს: მარიამ  
მაგდალინელი მოუთხრობს, ამცნობს ამბავს, ახარებს, მეორე  
შემთხვევაში (ხალხური ლექსით) მოკუთხრობთ, ვუამბობთ,  
შევატყობოვნებთ: ვახარებთ, ხოლო მესამე შემთხვევაში (ერეკ-  
ლეს ოქმით) გვითქვამს, გვითხრობია, გამოგვიცხადებია: გვი-  
ხარებია! ეს სამივე მაგალითი ნიშნავს თხრობას, თქმას.

• • •

არის თუ არა შემორჩენილი ქართულ სახარებაში სხვა მაგალითი წარმართული ხარების ნაშთისა?

სხვა მაგალითებით ჩვენი მოსაზრების დასაბუთებას, ცხა-  
დია, დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ თუკი ეს საბუთი  
დამაჯერებელია, სხვა მაგალითის პოვნას მაინც დამატებითი  
საბუთის მნიშვნელობა ექნება, მსგავსად არქეოლოგიური გა-  
თხრის შედეგად აღმოჩენილი ერთადერთი მონეტისა, რომ-  
ლის ცალი ალბათ ერთ დროს ათასობით იჭრებოდა, მაგრამ

დრომ და მიწის ქანგმა სამუდამოდ გაანადგურა ან ჯერჯერობით ჩვენი თვალისთვის არ ჩანს...

ძიება გრძელდება.

### ხარება და თხრობა

მას შემდეგ, რაც შევეცადეთ იმის გამორკვევას, რომ წარმართული „ხარება“ თავისი შინაარსით გამოხატავს თხრობას, დაგვებადა კითხვა:

• ხარება და თხრობა მხოლოდ სინონიმებია, თუ მათ შორის სისხლხორცეული (ე. ი. ძირეული) ნათესაობაც არსებობს? ამ ორი სიტყვის შესწავლა, ვგონებ, ამ კითხვის დაყენების უფლებას იძლევა.

თავს უფლება მივეცი ამ საკითხსაც შევხმოდ.

დავაკვირდეთ ამ ორი სიტყვის აღნაგობას, მათ ძირს: „ხარებას“ ძირია: „ხარ“, „თხრობისა“ — „თხრ“... ეს „თხრ“ შეკუმშული, ხმოვანდაკარგული ნაირსახეობაა ხმოვანძირიანი „ხარ“-ისა... წინამდევალი „თ“ ძირეული არ არის.

### შ ე ა ლ ა რ ი

1. ხარება:                      2. თხრობა:

ვ-ა-ხარ-ე                      ვ-უ-თ-ხარ

ა-ხარ-ე                        უ-თ-ხარ

ა-ხარ-ა                        უ-თ-ხრ-ა

ჩვენი საკითხისათვის ასევე საგულისხმო სურათს გვიჩვენებს ხარება — თხრობიდან წარმოებულ სიტყვების მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი ს და მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი ს შესწავლა. შინაარსობლივად ორივე მთქმელს, მოამბეს, მაცნეს ნიშნავს. მათს მნიშვნელობას განასხვავებს. „მახარობლის“ მერმინდელი ნიუანსი, საბას განმარტებით მახარობელი — კეთილ მოამბეა, ხოლო მთხრობელი — მთქმელი.

მაშინ კი, როცა ხარება მხოლოდ და მხოლოდ თხრობას, თქმას ნიშნავდა, უნდა ვიფიქროთ, მახარობელიც მხოლოდ და მხოლოდ მთხრობელს ნიშნავდა.

იქნებ ამაზე მიგვითითებდეს ის ფაქტიც, რომ სახარების ტერმინოლოგიაში იხმარება „მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი“ მქადაგებლის თუ ქრისტეს ცხოვრების აღმწერის მნიშვნელობით და არა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი:

„მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ა დ გ ლ ა ხ ა კ თ ა მომავლინა მე“. (ლ. 4,18),

ამ ორი სიტყვის (მახარობელი, მთხრობელი) შესავსებაზე აღარაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ ისინი ერთი ძირიდან მომდინარედ მიმაჩნია.

### ქართული სახარების მარკოზისა და იოვანეს თავის თავისებურებანი

ძირითადი საკითხების რკვევის დროს შევამჩნიე, რომ ტერმინი „ხარება“ შატბერდული ოთხთავის ყველა თავში თანაბარი რაოდენობით არ გვხვდება. ამ საკითხის უფრო ახლოს გაცნობამ დამარწმუნა, რომ არამცთუ თანაბარი რაოდენობით, არამედ მარკოზის თავში „ხარება“ (ბერძნული „ევანგელიძოს“ და რუსული „ბლაგოვესტოვანიეს“ მნიშვნელობით) არც ერთხელ არ არის ნახმარი. აქ მხედველობაში არ ვიღებთ ტერმინ „სახარებას“, რაც საღმთო წერილის ახალი აღთქმის „ევანგელიონის“ მნიშვნელობით გვხვდება.

სახარების მარკოზის თავში, ყველგან, სადაც კი მოსალოდნელია „ხარება“ — გვხვდება „ქადაგება“, მსგავსად ამ მაგალითისა:

ლ უ კ ა, 4,43, C — ხოლო თვადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაჲცა ქალაქთა ჯერ არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაი, რამეთუ ამისთვის მოვივლინე“.

მ ა რ კ ო ზ, 1,38 DE. — ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელად დაბნებსა და ქალაქებსა; რაითა ნუნცა უ ქ ა დ ა გ ო, რამეთუ ამისათვის მოვივლინე“.

რა სურათს იძლევა სახარების სხვა თავების წაკითხვა?

ლუკას თავში „ხარება“ ზემოთმოყვანილი მაგალითის მსგავსად რამდენჯერმე გვხვდება. უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება მათეს თავში (3-ჯერ) და იოვანეს თავში (4-ჯერ).

მაშასადამე, ამ ტერმინის ხარების მხრივ შატბერდული

სახარების მარკოზის თავი სხვა თავებისგან განსხვავებულია, ცალკე დგას. აქ არ გვხვდება სახარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტერმინი. ამ უჩვეულო ფაქტის მიგნებამ ძალზე გამოაცა, ჩამაფიქრა და მრავალი ექვი აღმიძრა...

აღმოჩნდა, რომ თვით სიტყვა სიხარულიც კი ერთხელ გვხვდება (4,16), ასევე ერთხელ გვხვდება „განიხარეს“ (14,11), ესეც ჩვეულებრივი მნიშვნელობით (იუდას შეპირებით „განიხარეს“).

როგორც წმინდა მისაღმების ფორმულა „გიხაროდენი!“, გვხვდება ორჯერ (14,45. DE \*, 15,18. DE) \*\*.

საგულისხმოა, რომ სიხარულის გამომხატველი სიტყვები (მიხარის, უხარიან, უხაროდის და სხვ.) სახარების სხვა თავებში უხვად არის გაბნეული (მათე 6-ჯერ, ლუკა 8-ჯერ, იოვანე 10-ჯერ). როგორც ვხედავთ, საგრძნობი განსხვავებაა აქაც.

დაუფრუდლეთ ჩვენს ექვებს და ვარაუდებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

რატომ არ გვხვდება ტერმინი „ხარება“ ბერძნული „ევანგელიძოს“ მნიშვნელობით მარკოზის სახარებაში?

ხომ არ უნდა მიგვითითებდეს ეს ფაქტი, — ვფიქრობდი მე, — იმას, რომ სახარების სხვადასხვა თავები, სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა დროს არის თარგმნილი... ხომ არ უნდა მიგვითითებდეს თარგმანთა შედარებით სიძველე-სიახლეზე?

ახალი ტერმინის სახარება-ხარებას შემოღება და მისი დამკვიდრება მცირე დროს არ მოითხოვდა. არც აზრთა სხვადასხვაობისა და წინააღმდეგობის გარეშე დამკვიდრდებოდა.

შესაძლოა ამ ტერმინის დადგენამდე ან საბოლოო გაბატონებამდე თარგმნილი შატბერდული სახარების მარკოზისეული თავი და ამის გამო არ ხმარობს მთარგმნელი ტერმინ ხარებაშ?

შესაძლოა მთარგმნელი არ იზიარებდა ახალი ტერმინის („ხარება“ — კეთილის, სასიხარულოს და არა წარმართული

\* აღიშნის სახარების შესაბამის ადგილას ეს „გიხაროდენი“ არ არის (პრქუა: მოძღუარი 14, 45, C).

\*\* C-ს შესაბამისი ადგილი ნაკლებია.

თხრობის მნიშვნელობით) შემოღებას და ამის გამო გვხვდება „ხარების“ ნაცვლად „ქადაგება“?

აბა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ მარკოზის სახარებაში ერთხელაც არ გვხვდება „ხარება“, რითაც ქართული სახარების სხვა თავების მთარგმნელნი გამოხატავდნენ კარგის, კეთილის თხრობას და ქადაგებას?

როგორც შემდეგ დავრწმუნდნი, ეს ექვები თუ ვარაუდები უსაფუძვლო იყო... ამაში დამარწმუნა იოვანეს სახარების შესწავლამ.

აღმოჩნდა, რომ მარკოზის სახარების მსგავსად იოვანეს თავსაც ჰქონია მეტად საგულისხმო თავისებურება: იოვანეს თავში არც ერთხელ არ იხმარება მეორე მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტერმინი... ეს ტერმინია ქადაგება.

„ქადაგება“ მათეს თავის ტექსტში გვხვდება 14-ჯერ, მარკოზის თავში — 16-ჯერ, ლუკას თავში — 10-ჯერ, იოვანეს თავში — სულ არა!

სათანადო ადგილების სახარების რუსულ თარგმანთან შედარებამ მაფიქრებინა, რომ ზემოთ გამოთქმული ვარაუდები შემცდარი იყო და ამ შემთხვევაში სახარების დედნიდან მომდინარე მოვლენებთან უნდა გვექონდეს საქმე... ამ საკითხის გამორკვევა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვიყავი: მართალია, კვლევის ამ მხარემ ჩემი ძირითადი საძიებლის დამატებითი საბუთები არ მომცა, მაგრამ ის ხომ გამოირკვა, რომ ამ ორი ტერმინის (ხარებისა და ქადაგების) ხმარების მხრივ მარკოზისა და იოვანეს სახარების ქართულ ტექსტებს აქვთ მეტად საინტერესო თავისებურებანი:

1. ქართული სახარების მარკოზის თავში არ გვხვდება ტერმინი „ხარება“.

2. ქართული სახარების იოვანეს თავში არ გვხვდება ტერმინი „ქადაგება“.

ეს თავისებურებანი ფაქტია და დაფიქრებასა და გარკვევას მოითხოვს.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ იქნებ სახარების ამ ორი თავის თავისებურებათა მიგნებამ ხელი შეუწყოს ქართული სახარების თარგმანის წარმომავლობის გამორკვევას.



## მ ი ნ ა წ ე რ ი :

ამ მცირე ნაშრომის დამთავრების შემდეგაც გულიდან არ ამომიგდია წარმართული ხარების სხვა მაგალითების მოძებნა და ჩემი მოსაზრების უფრო სარწმუნოდ დასაბუთება... შესწავლილი მასალის ხელახლა გადასინჯვის შემდეგ რამდენიმე მნგალითი, რომლებსაც მუშაობის პროცესში ეპყვით შევყურებდი, საიმედოდ მეჩვენა. ამათ დაემატა ახლად შესწავლილი მასალიდან ამოკრეფილი მაგალითები.

ამ მასალას მცირე განმარტებებით ვურთავ ჩემს წერილს.

უპირველეს ყოვლისა ჩემი თვალი შეჩერდა ჯრუჭის ოთხთავის გამოთქმაზე „ახარებდა სახარებასა“, რომლის პარალელურ აღიშურ ტექსტში სწერია: „ქადაგებდა სახარებასა“.

„და მოჰვლიდა იესუ ყოველსა მას გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა და ახარებდა სახარებასა სასუფევლისასა...“

ჯრუჭის, მათე, 4,23.

„და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილეასა, ასწავლიდა შესაკრებელთა შინა მათთა, ქადაგებდა სახარებასა სასუფევლისასა...“

აღიშის, მათე, 4,23.

შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ჯრუჭის „ახარებდა“ აღიშურის „ქადაგებას“ (უთხრობდას) ნიშნავს. ეს თითქოს ექვს არ იწევს.

ბერძნული სახარების სათანადო ადგილას (მათე, 4,23) ეს სიტყვა („ახარებდა“) იკითხება: „Κηρύσσω („Κήρυξ“), რაც ნიშნავს — „речь глашатаем, возвещать слово Божие, проповедывать, учить“.

ლათინურ სახარებაში ამ „ახარებდას“ ესატყვიება: „praedicans“, „praedico“, რაც ნიშნავს: მთხრობელი, მტკმელი, მქადაგებელი, ან: აცნობებდა, უქადაგებდა — (ახარებდა).

ჯრუჭის „ახარებდა“ ინგლისურ სახარებაში გამოითქმის: „preachins“, რაც ქართულად ნიშნავს: „ქადაგებდა“.

რუსული სახარებაც ამ წაკითხვას უჭერს მხარს:

„И ходил Иисус по всей Галилее, уча, в синагогах их, и проповедуя Евангелие царствия...“ (М. 4,23).

როგორც ვხედავთ, ქართული-აღმშური, ბერძნული, ლათინური, ინგლისური და რუსული სახარებები ამ ადგილას (მ. 4,23) იტავენ ტერმინს „ქადაგება“, ხოლო ჯრუჭის სახარება ამ შემთხვევაში განკერძოებით დგას.

შესაძლოა, ჯრუჭის მაგალითშიც ჩვენი წერილის ძირითად ნაწილში განხილული აღმშურის მსგავსს შემთხვევასთან გვეკონდეს საქმე.

უფრო ნათელ და სარწმუნო მაგალითებს მივაგენი ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „ცხოვრებაი და წამებაი წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაი, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ“ \*.

„ხოლო შემდგომად მოსლვისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა აღწერნეს ოთხნი ესე ევანგელენი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსლვაი იგი უფლისაი და განგებულებაი მისი ხორცითა მით, რომელ იგი მიიხუნა ქალწულისა მარიამისგან წყალობისათჳს ჩუენისა. და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი, ვითარ-იგი მოჰვლიდეს ყოველსა სოფელსა და ახარებდეს სიტყუასა მას ცხობისასა და მრავალთა ჰრწმენა მათი და ნათელ იღებდეს-სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა“.

ამ ვრცელ ამონაწერში, რომელიც ძეგლის შესავლის ნაწილს წარმოადგენს, ტერმინი „ხარება“ ორჯერ გვხვდება. განსაკუთრებით საგულისხმოა წინადადება „... აღწერნეს ოთხნი ესე ევანგელენი რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსლვაი იგი უფლისაი...“, რაც თანამედროვე ქართულით ნიშნავს: ქრისტეს მოსვლის შემდეგ დაიწერა ოთხი სახარება, რითაც შთამომავლობას („ნათესავთა მომავალთა“) მოეთხრობა (გადაეცემა, ეუწყება) ქრისტეს მოსვლა.

სხვა მაგალითების გვერდით, შესაძლოა, თავისი მნიშვნე-

\* იხ. ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოც. „ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია“, I, გვ. 74.

ლობა ჰქონდეს ერთ გამოთქმასაც, რომელიც გიორგი მთა-  
წმინდელის ცხოვრების წინასიტყვაში გვხვდება:

„ლუთივ სანატრელსუ სათნოებათა შინა განთქმულსა,  
მოძღვარსა მოძღვართასა და სულიერსა წინამძღვარსა ჩუენსა  
გიორგის შეყენებულსა უფლისაი მიერ გიკითხაენ, მითთ  
წმიდით მთასა საკვრველსა ქრისტეს მიერ ლუთისაჲ ჩუენისაჲ  
გ ა ხ ა რ ე ბ“.

ხომ არ ნიშნავს ეს „გახარებ“ — „მოგახსენებ?“

ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ქვემოთ მოყვანილი  
ნაწყვეტები საინტერესოა იმით, რომ ისინი, ამჟღავნებენ რა  
სახარებასთან სისხლხორცეულ ნათესაობას, წარმოადგენენ  
სახარების ტექსტის პერიფრაზებს.

შე-რამ-ხუედ, ქრისტე, ჯოჯოხეთისა ბჟეთა,  
აღმოიყვანე ხატად შენდა შექმნული  
ხრწნილებისაგან; ხოლო აღდგომაჲ შენი  
გამოუცხადე წმიდათა მათ ღედათა  
და მსწრაფლ წარვიდეს ხარებად მოციქულთა.  
მჯდომარე ლოდსა ანგელოზი ნათლისაჲ  
ღღეს განეცხადა მტრალთა მათ ღედათა  
და ახარებდა: „ნუ ეძებთ მას აქა,  
არამედ უთხარით მოწაფეთა და პეტრეს,  
ვითარმედ აღდგა, იხილეთ გალილუას“.  
გრიგოლ ხანძთელი, — „გალობანი აღესებისანი“.

ელვისა მსგავსი ანგელოზი  
რაჟამს იხილეს მცველთა მათ;  
მცხინვარებისაგან  
დაცივივს ქუეყანასა  
ზარ-განხდილნი შიშითა,  
ხოლო ღედათა,  
გლოვის წილ, ხიხარულით აუწყა,  
ღაღადებით ეტყოდა მათ:  
„გიხაროდენ, ქრისტე აღდგა, ვითარცა თქუა,  
ღირსნო! არამედ წარვედით  
და ახარეთ  
მოწაფეთა მისთა აღდგომაჲ ღმრთისაჲ“.

\* ხანძთელისა და მოდრეკილის მაგალითები („გალობანი“) მოჰყანი-  
ლია პ. ინგოროყვას წიგნიდან „გიორგი მერჩულე“, გვ. 075, 077, 087. 093.

ერნი ნათლისანი გარემოს ღვეს  
 ნათლითა შემოსილსა მას საფლავსა,  
 რომლისაგან აღმოგვიბრწყინდა  
 ქრისტე, დაუსაბამოი იგი ნათელი  
 მენელსაცხებლეთა მოუსპეს მწუხარებაი  
 და განუქარევს მგლოვარებაი,  
 რაჟამს აუწყენს ქრისტეს აღდგომისა ხახარებაჲ  
 მიქაელ მოღრეკილი — „გალობანი აღესებისანი“

ამ ნაწყვეტების დაკვირვებულნი წაკითხვა იძლევა იმის საბუთს, რომ იქ, სადაც სწერია: „გამოუცხადე“. „უთხარით“, „აუწყეს“ — შეგვიძლია ვიგულისხმოთ: „ახარე“, „ახარეთ“, „ახარეს“, ხოლო იქ, სადაც იკითხება: „ხარებად“, „ახარებად“, „ახარეს“ — თამამად შეგვიძლია „უთხრობად“, „უთხრებს“ ვიგულისხმოთ.

### ძეგ ხარება

„თვალადურ ლექსიკონზე“ მუშაობისას ძველ ჩანაწერს წავაწყდი:

„ერთი მალე გვახარე თუ ხათრი გაქვს, ნუ დაგვხოცე ლოდინითა!“

ამ ჩანაწერისათვის მიმიწერია: „გასახარებელი არაფერი იყო და მინც გვახარეო, თქვა“.

კარგა ხნის შემდეგ „წარმართული ხარება“ დავწერე, მაგრამ ეს ჩანაწერი არ გამხსენებია.

...დავაკვირდი ზემო-ქართლის მეტყველებასაც და ასეთი რამ იქაც შევნიშნე. საერთოდ, „ხარებაზე“ გამოქვეყნების შემდეგაც ვფიქრობდი და ახალ ფაქტებს ვაგროვებდი.

აკაკი შანიძის გამოცემულ „ხევსურულ პოეზიაში“ ორმა ლექსმა მომტაცა თვალი. ერთ მათგანს „სადარა“ ჰქვია (221). ამ ლექსში აღწერილია უსამართლობასთან ბრძოლაში ვაჟაკურად დაღუპული ხევსური სადარას ამბავი. სადარა მეფის მთავრობას ჩაბარდა შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ. უამისოდ მის მშობლიურ კუთხეს აკლება და რეპრესიები ელოდა. ხევსურმა მელექსემ დაუფასა თავის მოძმეს ასეთი თავდადება და ლექსში დიდი გულისტიკივილი გამოხატა:

შეო სად მიხვალ წერილო, პირ-შელმ რად მიზღვე წყალთაო?  
შაუვა მახარობელი დედა-შამასა, ძმათაო:  
„სადარა აღარ შავიეთ, გწერდათ სამუდმოდ ჯვარსაო“.  
იწყინეს შავის სწორებმა, ტანზე ჩაიკმენ შავსაო,  
ქალ-ზალს დაუდგა წკმუტუნნი, თავზე იგლეჯენ თმასაო.

ამ ლექსში „მახარობელი“, ცხადია, სხვა მნიშვნელობით, უბედურების მაცნეს, მთხრობელის შინაარსით არის ნახმარი.

მეორე ლექსში („გუროველები სამეკობროდ“) აღწერილია ხევსური ვაჟკაცებისა და ქისტების შეტაკების დრამატული ამბავი. ქისტების წინააღმდეგ იბრძვიან ძმები ილუა და მინდია „ულაკაურის შვილნი“ და „შავარდნის მართვე“ აპარეკაი. ქისტები ტყვიას პირველად მინდიას მოახვედრებენ. ილუა ძმის ცხედარს საფრად გაიხდის და თავგანწირვით იბრძვის:

მადეთ! ქისტებს ეძახდა, ძმასზეით ისროდისაო,  
ვგ უფრო საკვირველია, ძმას საფარ ჰქონდეს ძმისაო...

მეორე ილუასაც სასიკვდილოდ დასჭრიან. ილუა-სიკვდილის წინ აპარეკას შინ წასვლასა და მათი ამბის მიტანას ავალებს:

შინ წეედ, აპარეკაო, წასვლა წესია მთლისაო,  
დედას უამბო ამბავი ჩვენის-ქისტების ცდისაო!

ლექსი ამგვარად მთავრდება:

დედასა ვინ ახარებდა? ბებერ ხყავ, იქამს ლხინსაო.  
დათ თუ ვინ გააგებიებს, ნაჰაპნ დაიქრენ თმისაო.

ამ ლექსშიც ორი ვაჟის დამკარგავ დედას უნდა ახარონ თავისი უბედურება. ესეც თქმა და შეტყობინებაა... მაგრამ „ბებერ ხყავ, იქამს ლხინსაო“ რაღაა? მომღვეწო სტრიქონში ნათქვამია: თუ დებს ვინმე გააგებიანებს, ნაწნავეებს დაიჭრიანო და, დედა „ლხინს“ როგორღა „იქამს?“ რაღაც სხვა ამბავია. დიდი მწუხარების სიმბოლო ხომ არ არის ეს „უბედური დედის ლხინი?“. იქნებ ხევსურული „მახარობელიც“ სხვა კატეგორიის ცნებაა და ერეკლე მეფის ოქმსა და სახარების ფურ-

ცელზე ნაპოვნი მაგალითების პარალელად არ გამოდგება?  
მახსენდება რუსთაველის:

კაცი წაიღეს. დაბრუნდა ვმა გზასა თავის წინასა,  
ვისი ჰგავს ტანი საროსა. და ვისი გული რკინასა,  
შიაცორებს და მიუბნობს, მოხუქვამს მისხავე ლხინასა,  
ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა.

თეიმურაზ ბაგრატიონი თავის „განმარტებაში“ ამ სტროფის „ლხინას“ ამგვარად ხსნის: „...მოსთქვამს — გოდებს. მისსაველებინასა — მისი ლხინი მათ ეამთა შინა მწუხარება და ტირილი იყო. ამიტომ ლხინს კი არ უწოდებს მას, არამედ ლხინას. ესე იგი თვისება ქართულისა ენისა არს: ოდეს ესე ვითარი ლექსი თვისის მდგომარეობიდან გარდაიყვანო, ანზედ რომ დააბოლოვებ, მაგალ., ლხინი, — მხიარულებას ნიშნავს, მაგრამ როდისაც იტყვი ლხინა, ესე გარდავალს ცვლილებასა შინა დამაკნინებელსა და შემცვალებელსა მისი მნიშვნელობისასა. (გვ. 175).

ჯერჯერობით კირს ხევსურული ლექსის „ლხინისა“ და რუსთაველის „ლხინას“ ერთმანეთთან დკავშირება და მათ მიხედვით ჩემთვის საინტერესო საკითხის გადაჭრა.

სანამ ეს საკითხი მოგვარდებოდეს, განვაგრძოთ. რაც უფრო მეტი საბუთი და მასალა მოიყრის თავს, საკითხი მით უფრო გაირკვევა.

გამოთქმა „სიკუდილის მახარობლობდა“ ნახმარი აქვს სოლომონ ლიონიძეს თავის „მოთქმით ტირილში“: „ვაითუ უძლეველი ქელები, რომლისაც კმლის ვადაზე დაღება სიკუდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულზე დაკრეფილ იყოს!“

ვგონებ, ეს სიკუდილის მახარობლობა ჩვენს მიერ აღძრული საკითხისათვის საგულისხმო და დამაფიქრებელი ფაქტი უნდა იყოს.

საქოკმანო „მახარობელი“ გვხვდება მე-19 საუკ. ქართულ მწერლობაშიც. კერძოდ ანტ. ფურცელაძის ნაწერებში:

„დაიძრა ეს აუარებელი ჯარი ქართლისაკენ უზომო სამზადისით, თოფებით, მრავალი ზარბაზნებით და ზამბურაკებით, რომელნიც მაშინდელს დროს სულ ახალი შემოდებულნი იყვ-

ნენ თვით ევროპაშიაც. მახარობელად იმ ჯარებისა გა-  
უგზავნა შაჰმა სააკაძეს თავისი სანატრელი და სიკვდილამდო-  
სინ დაუვიწყარი შვილის პაატას თავი, გახვეული უბრალო  
ტომარაში“. (ანტ. ფურცელაძე „სააკაძე...“ 2 გამ., გვ. 278).

მახარობელად, მაცნედ, შემტყობინებლად — შვილის  
თავი...

## კვირია — ცისკარი

ხალხური პოეზიის, თქმულებების. ზღაპრების თუ ანდაზა-გამოცანების დაკვირვებული შესწავლა შუქს ჰფენს ამა თუ იმ ერის ისტორიის, ეთნოგრაფიის. რელიგიის იმ საკითხებს, რომელთაც დაეიწყების მტვერი მიჰყრიათ, დროთა განმავლობაში გაუგებარნი და აუხსნელნი დარჩენილან.

❖ ძველი ხალხური ლექსის მცირე ფრაგმენტიც კი, თუ მას საჭირო ცნობა შემოუნახავს, დაკვირვებული მკვლევარის ხელში იმ ჩუქურთმად იქცევა ზოლმე, რომელიც აწ დაზგრეული და შერყვნილი ძეგლის სახის აღდგენას ემსახურება.

ამ მხრივ ფასდაუდებელია ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, რომელმაც ძველი ხალხური თქმულებების, ლექსების თუ სხვა ზეპირი ჩამოცემების საფუძველზე გონებამახვილურად აღადგინა ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, წარმართული პანთეონი \*.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქართულ წარმართულ ღვთაებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი კვირიას (იგივე კვირიაე, კვირაე, კვირეე) ეკირა. იგი ითვლებოდა იმ ღვთაებად, „რომელსაც სამართალი ეკითხებოდა და ებარა“.

ხახმატის ჯვარის ხუცის დამწყალობებაში ნათქვამია: „დიდება და გამარჯვება ძალ-ღთისასა, სამართალს კვირიასას. ძალი ღთისა გწყალობდეთაე და სამართალი კვირიაესა“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ბედისა და წულის გამოთხოვა და მიცემნც მორიგე ღმერთზე და კვირიაზე იყო უმთავრესად დამოკიდებული“.

\* იხ. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, წ. I, გვ. 201-203.



აი, როგორ ამწყალობნებს იგივე ხახმატის ხუცი:

„წული ვის ყავდეს, გაუზარდეთ, — არ ყავდეს — და, თუ ვინმე გეხვეწებოდეს, ღმერთსა და კვირიას გამოუთხოვეთ“.

როგორც ერთი ხევსურული დამწყალობნების შესწავლიდან ირკვევა, კვირია, მორიგე ღმერთთან ერთად წარმართული რწმენით დარ-ამინდის, ტაროსის გამგებელადაც ითვლებოდა:

„მორიგეს ღმერთსა და დიდ კვირაეს გახვეწებთ, თქვენ უშველეთ თქვენს მეხვეწეთ... ეს ზაფხული მშვიდობით დამდგარ მშვიდობით გადააყენეთ“ (ვ. ბარდაველიძე. „აღმ. საქ. ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები“).

როგორც ვხედავთ, კვირია ქართულ წარმართულ პანთეონში გავლენიანი ღვთაება ყოფილა. მას უმაღლესი („მორიგე“) ღვთაების კარზე თავისუფალი შესვლა-გამოსვლის და მოქმედების უფლება ჰქონია და ხალხის რწმენით, „ღვთის კარზე მოარულ“ ღვთაებად ყოფილა მიჩნეული.

თუში მთქმელებისაგან ვ. ბარდაველიძის მიერ ჩაწერილ ლექსებშიც კვირია ღმერთის შემდეგ იხსენიება:

პირველად ღმერთი, ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,  
მემრე ვადილოთ კვირაე, კვირაე კარაღეთისია,  
მემრე ვადილოთ ფიწალე, ლაშქრისა წინამძღვარია,  
მემრე ვადილოთ კობალე, კობალე კარატისია...

ჯერელა ღმერთი ვადილოთ, შით უფრო დიდებულია,  
მემრე ვახსენოთ კვირაე, კვირაე კარაღეთისია,  
მემრედ ვადილოთ გიორგი, გიორგი სახეოსია,  
მემრედ ვადილოთ ფიწალე, ფიწალე ღოქურთისია...

კვირია, როგორც ღვთაება, სვანურადმოცემებშიც იხსენიება.

ივ. ჯავახიშვილი, განიხილავს რა არსენ ონიანის ცნობებს სვანთა ძველი საგალობლის, „კვირია ღმერთსა“ შესახებ, აღნიშნავს:

„კვირიაძის თქმის დროს ყველანი პირს აღმოსავლეთისაკენ იზამენ და საგალობელს ისე ამბობენ ხოლმე. ეს საგალობელი ღვთის დიდი სავედრებელია და მისი წარმოთქმის დროს ყველა ქუდმოხდილია და პირჯვარს იწერს“.

მკვლევარი სინანულით აღნიშნავს, რომ არსენ ონიანის ცნობა კვირიაძის შესახებ „ამით თავდება“ და ონიანს არაფერი აქვს იმის გამო ნათქვამი, თუ კვირია რა ღვთაებად ეხატებათ სვანებს და რას შესთხოვენ ხოლმე მას“.

თუ ჩაუფიქრდებით არსენ ონიანის ცნობას, რომ კვირიაზე მლოცველი წარმართები „პირს აღმოსავლეთისაკენ იზამენ და საგალობელს ისე ამბობენ ხოლმე“, სავარაუდებელი ხდება, რომ კვირია, რომელიმე მნათობს უნდა წარმოადგენდეს.

შეიძლება ექვემოტანლად ითქვას, რომ ძველ ქართველებს კვირია მზის სახით არ უნდა წარმოედგინათ. ხალხის წარმოდგენით, მზე მუდამ პირველ მნათობად და, აქედან, პირველ ღვთაებად იყო მიჩნეული.

კვირია, ხალხის რწმენით, მართალია, ძლიერი ღვთაება იყო, მაგრამ პირველი („მორიგე“) ღვთაება არ იყო, ამიტომ ხალხი მას მზის სახით ვერ წარმოიდგენდა.

თავისი მნიშვნელობით და სიდიდით მზის მომდევნო მნათობი მთვარეა, მაგრამ მთვარე კვირიად ვერ ჩაითვლება, რადგან, ხალხის რწმენით, კვირია ღვთის (ე. ი. მზის) „კარზე მოარული“ ღვთაებაა.

„ღვთის კარზე მოარულ“ ღვთაებად (კვირიად) უფრო შესაძლებელია ცისკარი მივიჩნიოთ, რომელიც უშუალოდ უსწრებს მზის ამოსვლას, მოუძღვის მას და თითქოს მზის მობრძანების მაცნე და მახარობელია.

ამის დასადასტურებლად შეიძლება გამოდგეს ივ. ბუქუჩაულის მიერ თუშეთში ჩაწერილი ერთი ძველი ხალხური ლექსი „თუშეთის წმინდანები“. აი ამ ლექსის დასაწყისი სტრიქონები, სადაც კვირიას ცისკრობაა დადასტურებული.

პირველად ღმერთი ვახსენოთ,  
ის უფრო დიდებულია,  
მეგრე ნასისკარ კვირაჲ,  
ღვთის კარზე მდგომიარაჲ;

მემრინას ბერი სამება,  
 წოვათას მბრძანებელია,  
 მემრინას ლაშას გიორგი,  
 ლაშქალთა წინამძღოლია,  
 მემრინას გმირი კობალა,  
 დევ-ქაჯთა პირის მშლელია;  
 მემრინას ხახმატ გიორგი,  
 გაქირდეს მშველებელია,  
 მემრინას მაგებ გიორგი,  
 მთაზედა ყარაულია;  
 მემრინას წმინდა თევდორე,  
 და სხვა...

ამ თუშურ ლექსშიც, რომელიც ზემოთ მოყვანილ ლექსებზე გაცილებით ადრეა ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ, როგორც ვხედავთ, კვირია „ღვთის კარზე მოარულ, (ღვთის კარზე მდგომიარე)“ ლეთაებად არის წარმოდგენილი... მაგრამ რას ნიშნავს „კვირიას“ წინ ნახსენები გაუგებარი გამოთქმა „მემრე ნასისკარ“?..

აქ მთქმელის, ჩამწერის ან მბეჭდავის შეცდომასთან უნდა გვეკონდეს საქმე. ეს გაუგებარი „ნასისკარ-“ ი ორი ნაწილისაგან შესდგება („ნა“-„სისკარ“) „ნა“ ეკუთვნის მის წინ მდგ ამ „მემრეს“ და მათი ბუნებრივი დაკავშირებით (მემრე+ნა) ვლუბულობთ „მემრენას“ ანუ „მემრინას“, რაც ამ ლექსში ამის შემდეგ კიდევ ხუთჯერ არის გამეორებული:

„მემრინას ბერ სამება“  
 „მემრინას ლაშას გიორგი“  
 „მემრინას გმირი კობალა“, და სხვ.

ე. ი. ჯერ მთავარი ლეთაება „ღმერთი ვახსენოთ და მემრე („მემრინას“) მისი მომღვეწო ლეთაებები კვირია, ბერი სამება და სხვაო.

ამგვარად, მთავარი ლეთაების შემდეგ ნახსენები ლეთაების (კვირიას) ეპითეტად ამ „მემრინას“ შემდეგ ნახმარია „სისკარ“-ი.

„სისკარი“ კი იგივე ცისკარია.

შთის კილოებში ბგერათა ასიმილაციის შედეგად ცისკარი „სისკარად“ გამოითქმის.

ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში ასეთ ადგილს ვხვდებით:

„ტირილით ამამხდარიყვა სისკარი თენებისაო“ (ა. შანიძე, ხევს. პოეზია, გვ. 88, ლექსი 209).

ასევე გამოითქმის ცისკარი კარატის ხუცის იმ დამწყალობებაში, რომელიც ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობის რკვევის დროს:

„თუ რა შეგცოდონ ან ბნელსა (ე. ი. ღამე), ან სისკარსა, ან... ნალითა, ან პირისქარითა (ე. ი. სიტყვით), იამან-მახვილითა, საბელ-სამხრითა, გზა-შარად ლახვითა (ე. ი. მგზავრობაში). შანაწყენ-შანაცოდარ შაუნდევით“, (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. შესავალი, გვ. 181).

ამრიგად, პირვანდელი სახით აღდგენის შემდეგ ივ. ბუქურაულისეული „თუშეთის წმინდანების“ პირველი სტროფი ასე უნდა წავიკითხოთ:

პირველად ღმერთი ვახსენით,  
ის უფრო დიდებულია,  
შემრინახ ხისკარ კვირად,  
ღვთის კარზე მდგომიარა.

როგორც ვხედავთ, ამ ძველი ხალხური ლექსით ცისკრისა და კვირიას მნიშვნელობა გაიგივებულია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველ ხალხს ერთ-ერთი თავისი მთავარი წარმართული ღვთაება „კვირია“ ცისკრის სახით ჰყავდა წარმოდგენილი.

## სათრეველი თუ სართეველი?

(„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის)

თავის წერილში: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის“ პროფესორი ვუკოლ ბერიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ პოემის შესავლის მე-17 სტროფში ნახშიარი გამოთქმა „ამხანაგთა სათრეველად“ არ შეესაბამება თავისი შინაარსით სტროფის დედააზრს და, მისი აზრით, ამიერიდან ამ სტროფში მის ნაცვლად უნდა იხმარებოდეს „ამხანაგთა სართეველად“. ეს გამოთქმა (სართეველად) მას უფრო შესაფერისად მიაჩნია რუსთაველის მიერ ამ სტროფში წამოყენებული აზრის თანამიმდევრული განვითარებისათვის.

გავიხსენოთ ხსენებული სტროფი. ამ სტროფში შოთა ამბობს:

მესამე არს კარგი ლექსი სანადიმოდ, სამღერელად,  
სააშოკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად,  
ჩვენ შათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.  
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

პოეტი, როგორც ვუკ. ბერიძე ამბობს, ამ სტროფშიც, ისე როგორც ზემო ორ სტროფში, ეხება სხვადასხვა კატეგორიის მოშიირეებს და თითოეულს სათანადოდ ახასიათებს... „შელექსეთა თითოეული კატეგორიისათვის პოეტს განკუთვნილი აქვს თითოეული სტროფი. სხვაგვარად: ერთ სტროფში მხოლოდ ერთი კატეგორიის შესახებაა ლაპარაკი; არ არის ისეთი ვითარება, რომ ერთსა და იმავე სტროფში ორი ამბავი იყოს მოცემული, არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ პოეტი

ერთსა და იმავე სტროფში ორ საკითხს იხილავდეს, ორ რას-  
მე ეხებოდეს“.

გამოჰყავს რა ეს ნამდვილი დებულება ზემო ორი სტრო-  
ფიდან, რომლებშიც რუსთაველი ორ სხვადასხვა კატეგორიის  
მოშიარეებს ახასიათებს, მკვლევარი გადადის მომდევნო  
სტროფზე, არჩევს მას. ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ამ  
სტროფის ბოლოს აზრთა თანამიმდევრობის ხაზი ტყდება და  
დანახაათების უკანასკნელი წევრი: „ამხანაგთა სათრეველად“  
სხვა რიგისაა, იგი არ შეეფერება სიამოვნებისათვის განკუთვნი-  
ლი ლექსების კატეგორიას.

ამ დებულებას ვუკ. ბერიძე ასაბუთებს იმით, რომ სიტყვა  
ს ა თ რ ე ვ ე ლ ი სალანძღავი, საგინებელი რამაა. ამის საი-  
ლუსტრაციოდ მას მოჰყავს რამდენიმე ამონაწერი „ვისრამია-  
ნიდან“ („არა გახსოვს, ოდეს წიგნი მოგეწერა და ათასი სა-  
გინებელი და სათრეველი ეწერა“) და ერთიც „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ძირითადი ტექსტიდან („გამკიცხე, ბოზო, დიაცო, და  
დამდეგ გასათრეველად“).

ამ ამონაწერებზე დაყრდნობით ვუკ. ბერიძე ასკვნის: „სა-  
თრეველი ლექსია. ვისიმე გასალანძღავი ლექსი, სხვაგვარად —  
პამფლეტი, ამხანაგთა სათრეველი ლექსი და გასართობი ლექ-  
სების კატეგორიაში მისი შეტანა არ შეიძლება“.

განიხილავს რა ამის შემდეგ პ. ინგოროყვას მოსაზრებას,  
„ამხანაგთა სათრეველად“-ის ნაცვლად „ამხანაგთა სათნევე-  
ლად“-ის მიღების გამო, ვუკ. ბერიძე უარყოფს ამ დებულე-  
ბას და ასკვნის, რომ გამოთქმა „სართეველად“ სრულუფლე-  
ბიანი პრეტენდენტია ამ სტროფში თავისი ადგილის დასა-  
კავებლად.

ვუკ. ბერიძე აღნიშნავს, რომ სართეველი ნიშნავს გასარ-  
თობს, რაც, მისი აზრით, სრულიად შეეფერება სტროფში  
ჩამოთვლილი სიამოვნო, სალანძღო ლექსების კატეგორიას  
და მას აშკარა უპირატესობა აქვს სათრეველი (ე. ი. სალან-  
ძღავი) და სათნეველი (ე. ი. საპირფერო) ლექსების წინაშე.

ამ დებულებას ვუკ. ბერიძე ამაგრებს ნ. ბარათაშვილის  
ცნობილი სიტყვებით:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართეველად.

ერთი შეხედვით, ეს დებულებები მკითხველს ჰეშმარიტებად მოეჩვენება. მართლაც, რა უნდა სანადიმო, სააშიკო, სალალობო ლექსების გვერდით სალანძღავ ლექსებს? ამ კატეგორიის ლექსებთან რუსთაველი უფრო გასართობ ლექსებს დაასახელებდა. მით უმეტეს, რომ ამ კატეგორიის ლექსებს იგი კარგს უწოდებს და ამბობს: „ჩვენ მათიცა გვეამებისო“.

მაგრამ უფრო ღრმად ჩაუუკვირდეთ სტროფის შინაარსს და შევეცადოთ, სამართლიანი დასკვნა გამოვიტანოთ.

სალალობო, სააშიკო და სანადიმო ლექსების გვერდით შოთა რუსთაველი სალანძღავ ლექსს კი არ ასახელებს, არამედ ამ ხ ა ნ ა გ თ ა . ს ა თ რ ე ვ ე ლ ს , ამხანაგთა ზუმრობით, ლაზღანდარობით სალანძღავ შაირებს და ზმებს, რომლებსაც ყოველთვის ჰქონდათ თავისი ადგილი გასართობ პოეზიაში.

ცნობილია, თუ რა დიდი ტრადიცია არსებობდა საოხუნჯო, სახუმარო პოეზიისა ქართველი მეფეებისა და მათ გარშემო შემოკრებილი მაღალი წრის საზოგადოებაში. მეფის მფარველობის ქვეშ მყოფი მასხარა-ხუმარები და ოხუნჯი პოეტები არათუ თავის ამხანაგებს. არანედ დიდებულებსაც, და თვით მეფესაც კი, შემართავდნენ ხოლმე სიმართლით აღსავსე დამცინავ შაირებს. ამის აშკარა კვალი დაცულია ქართულ მწერლობაში, ძველშიც და ახალშიც.

ჯერ კიდევ არჩილ მეფე თავის „საქართველოს ზნეობან“-ში, ჩამთვლიდა რა ყოველგვარ გართობას, რაც მისდროინდელ საქართველოში არსებობდა, თავისი პოემის დასაწყისშივე ასე ახასიათებდა გასართობ პოეზიას:

ზმა და ხუმრობა, სიცილი, სხვის ზმისად მალ გატინება,  
კარგის აზნაურშვილისა სიტყვისა არ გამგუნება,  
დროიან გაჯაერებულმან კარგია, მოიგუნება,  
მუნასიბისა ლექსისა უკეთ რა გაიგონება?

ეს ზმები, ხუმრობა-შაირები და მუნასიბები ფეოდალური საზოგადოებებს მაღალი წრეების ნადიმებში, როგორც ჩანს, დიდკაცობის გართობისა და მათი „მოგუნებებისათვის“ საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული.

„გათრეულ“ მოშაირეს მეტოქისაგან მიყენებული წყენა

გულში არ უნდა ჩაედო... ამას გულისხმობს არჩილ მეფე ზემომოყვანილი სტროფის იმ სტრიქონში, სადაც ნათქვამია:

„ქარგის აზნაურშვილისა სიტყვისა არ გამგუნება“.  
„გამგუნება“ საბას ახსნით ჩუმ წყრომას ნიშნავს. მაგრამ აი, უკეთესი საბუთიც შეიძლება მოვიტანოთ. ამ სტროფის ცოტა ქვემოთ არჩილი უფრო ნათლად ამბობს:

ლექსთ მთარგმნელობა, გარდმოვლით ხუმრობის ადვილ შეტყობა,  
კარგად ჩამოართმა სიტყვისა, წყენისა არას დატყობა.

„ლექსთ მთარგმნელობა“ დღევანდელი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ამ ლექსში შეფარული ხუმრობის ახსნაა ნაგულისხმევი. ამას ადასტურებს მომდევნო სიტყვის (გარდმოვლით) განმარტება: გარდმოვლით — აქ კილოკავად, გადაკერით (HAMĚK) გარდმოვლით, ე. ი. შემოვლით ნათქვამს უნდა ნიშნავდეს.

საგულისხმოა აგრევე თეიმურაზ მეორის „ქება სრისა“, სადაც მეტად კოლორიტულად არის განმარტებული „ქართული სუფრის კოდექსი“.

პოეტი-მეფე ქართულ სუფრას საბავს ზრდილობიანი შექცევა-გართობის ასპარეზად. იგი ამგვარად აფრთხილებს ლხინის მოყვარულთ:

ბევრსა ღვინოსა ნუ დაღევთ, ცოტასა სმიდეთ გზიანად,  
მართებულს ლხინსა ნახევდეთ წყნარად და ნამუსიანად,  
აქ გაგიჩნდებათ ზნეობა, თქმა ხუმრობისა ზმანად,  
გალობა დასდებელისა, ვინც იტყვას ტკბილის ზმანად.  
ლხინს ნახევდეთ უცოდველსა, თქვენ განმინათლეთ აზრო,  
ზნეობა, საქციელები კარგ-გვარად მოიხმარეო...

როგორც ვხედავთ, წყნარი და ნამუსიანი დროსტარების ქაშს ქართულ სუფრაზე უნდა გაისმოდეს ზმიანი ხუმრობა და „გალობა დასდებელისა“.

საბას განმარტებით ზმა „იგავით გასალიმელია“, ხოლო დასდებელი (დაზდებელი) „არს სიტყვა შეწყობილი საქმისა მისთუის თქმული“.



ნამუსიანი ლხინის ქირვეულ დამრღვევთ ქართული სუფ-  
რის კოდექსი სასტიკად სჯიდა:

ქირვეულობას ვინცა იქნ — და თავი მოიჩქარეო,  
მეფევ, უბრძანე პანლუროთ, ცემით გააგდონ გარეო.

ხოლო ვინც სუფრაზე წესიერად მოილხენს, არ მოიწყენს  
და თანამოსუფრეს ხუმრობას კარგად ჩამოართმევს, ვინც სი-  
ტყვიით თუ ზმით სუფრის გამხიარულებას მოახერხებს, ის  
ჯილდოსაც დაიმსახურებს:

ვინცა ისხდეთ მართებულად ლხინშია, არ მოწყენითა,  
ხუმრობას ჩამოართმევდეთ ერთი ერთს კარგ მოსმენითა,  
ვისა შეუძლია ხუმრობა სიტყვიითა, თუმცა ზმენითა,  
მეფევ გიბოძებთ წყალობას, საბოძვრით აივსენითა.

შემდგომი დროის პოეტების შემოქმედებაშიც ჩანს, რომ  
ფეოდალური საზოგადოების მაღალ წრეებში ლხინისა და  
გართობის დროს სახუმარო ზმა-შაირებით გაპაექრება იშვი-  
ათი არ ყოფილა.

ქართველი დიდებული ამ ჩვეულებას არ ღალატობდა და  
სადაც მიდიოდა, თან მიჰქონდა.

აი, რას წერს ასტრახანიდან მოსკოვს მეფე ვახტანგის  
კარზე მისული გურამიშვილი:

კარგი იყვის აღდგომასა,  
მეფეთაგან მეგლიშობა,  
ზმა, შაირი, ვალობანი  
ჩანვთ კვრან, მღერა, თამაშობა,  
ჯაეახიშვილს გამალექსეს,  
მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,  
პირად მქლესა, ტანად ხმელსა,  
ვით ნუერიანს ხესა მრუდსა;  
რაც მე ვუთხარი, მას მიაჩნდის  
ვით ნარცეცხლა უკან კუდსა,  
ბევრჯერ ასე იმწვიტინის,  
კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა.

ამ მშვენიერად აღწერილი სურათიდან ნათლად ჩანს, თუ სადამდე მიდიოდა ქართველი თავადების და მაღალი საზოგადოების სააღდგომო ღზინშიც კი ეს ამხანაგთა ამხანაგური თრევა-გაშაირება. მოშაირე ჯაფახიშვილის პორტრეტი (პირად მკლე, ტანად ხმელი, მრუდე ხესავით ნუჭრიანი) ამ სათრეველ ლექსში საოცარი სიმკვირცხლითა და სიცხადით არის დახატული.

ეს კიდევ არაფერი. პოეტი იმისათვის, რომ ამ „თრევას“ მართლაც ამხანაგური კილო მისცეს, თავის თავსაც არ ზოგავს და ამბობს:

ჯაფახიშვილს გამაჯიბრეს,  
მოშაირეს ჩემებრ ცუღხა.

მშვენიერად ესმოდა ამგვარი გაშაირების და ორღესული ზმების მნიშვნელობა აკაკი წერეთელს. თავის „თორნიკე ერისთავში“ აკაკი ასე აგვიწერს სამეფო ზეიმის დასასრულს:

ყველას მეფის ხუმარა სჯობს,  
არვინ არის იმისთანა,  
მაგრამ ბოლოს ორბელიძე  
მოსწრებულად, გალექსულად,  
ცალღებ ზმების საპასუხოდ  
ეუბნება ორღესულად:  
„მაღლით წვიმა მოდიოდა,  
ნაბადმა ვერ დამფარაო,  
დამსველა მან, თავიდან  
ფეხებამდე მასხა რაო“.  
ხუმარამ თქვა: „გიჯობნია,  
თითს შოკაკევე მორჩილადო,  
მაგრამ ერთს კი მოგახსენებ,  
მოწიწებით და ფრთხილადო:  
„ხუმარადაც ვარგებულხარ,  
ვაუკაცობით პირველიო,  
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,  
თუმც მის ადგილს სულ ელიო!“

როგორც ვხედავთ, ამგვარი გასართობი, სიამოვნებისათვის განკუთვნილი შაირით მეფის მასხარა სარდალ, ორბელიძეს სულელსაც კი უწოდებს.

სათრეველი ლექსის ერთგვარი თავისუფლება, როგორც ჩანს, მოსათმენი და ასატანი ყოფილა, არათუ ამხანაგთა და მეგობართა წრეში, არამედ არათანასწორთა შორისაც. ეს აღშფოთებას და წყენას არ იწვევდა, და თუ იწვევდა, იმაზე შორს არ მიდიოდა, რომ დამარცხებული, როგორც გურამი-შვილი ამბობს:

ბევრჯერ მსე იმწიტინის,  
კოტვიტ ძირს დასცემდის ქულსა.

როცა რუსთაველის სადავო სტროფის, სადავო სიტყვას სათრეველს იხილავს, ვუკ. ბერიძე კითხულობს:

„როგორაა სტროფი შეფასებული? (ე. ი. როგორ აფასებს ამ სტროფს თვით რუსთაველი. — გ. შ.) ჩვენ მათიცა გვიამების, ე. ი. ამგვარი ლექსი სასიამოვნოა და რა სასიამოვნო უნდა იყოს ამხანაგთა, მეგობართა გათრევა?“

თუ დავაკვირდებით ამ სტროფს, აქაც რუსთაველი თავისებურ ზომიერებას და სიფრთხილეს იჩენს. იგი გასართობ ლექსებს კომპრომისით აკუთვნებს ნამდვილ პოეზიას და გასართობი ლექსების კატეგორიაში ამხანაგთა სათრეველ ლექსს, აი, რა პირობით უთმობს ადგილს:

ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნაიოლაღ...

ეს ნიშნავს იმას, რომ გასართობი ლექსი არ უნდა იყოს გადასული წრეს, არ უნდა არღვევდეს ადამიანთა დამოკიდებულების არსებულ ნორმებს, უნდა იყოს თავდაპირილი და ნათლად თქმულიო.

მე ვფიქრობ, სტროფის შინაარსის ამგვარი ანალიზით სათრეველ ლექსს თავისი ადგილი უნდა დარჩეს სალადობო, სააშიკო და სამღერელი ლექსების გვერდით.

მაგრამ ამ დებულების დამტკიცება შეიძლება სხვა გზითაც. პოემის შესავალში ხმარებული ხუთივე სიტყვა: სააშიკო, სალადობო, სანადიმო, სამღერელი და სათრეველი „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტის ლექსიკური მარაგის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

პირველი ოთხი სიტყვა პოემაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება; მეტსაც ვიტყვი: იმდენად ხშირად ხმარობს ამ სიტყვებს შოთა რუსთაველი თავის პოემაში, რომ ამის დასაბუთება მაგალითებით საჭიროდაც არ მიგვაჩნია.

რაც შეეხება მეხუთე სიტყვას — „სართეველად“ უფრო იშვიათად გვხვდება, მაგრამ აქა-იქ მაინც მოიძებნება.

მაგალითად:

ახომ რომე გაგათრევე „შენ, ვაზირი, გულის გული...“

...გამეციხე, ბოზო დინკო და დამდეე გახათრეველად.

ეს ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პ რ ო ლ ო გ ი ს ა მ ს ტ რ ო ფ ი ს ე ს ხ უ თ ი ს ი ტ ყ ვ ა პ ო ე მ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ტ ე ქ ს ტ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი შედის და თუნდაც სხვის მიერ სხვა დროს იყოს დაწერილი ეს სტროფები, ეს სხვა, ამ სტროფის გამლექსავი პირი კარგად იცნობდა რუსთაველის სიტყვების მარაგს, მას მისდევდა და იცავდა იმ ენობრივ წრეს, რომელშიც პოემის ავტორი ტრიალებდა.

ახლა შევეცადოთ და მოვნახოთ „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა სართეველად, სართეველი, ან რთევა.

ვუკ. ბერიძის წერილის წაკითხვის შემდეგ გულდასმით გადავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“ \* და დავრწმუნდი, რომ ასეთ სიტყვას შოთა რუსთაველი არ იცნობს, არათუ შოთა რუსთაველი, ამ სიტყვას არ უნდა იცნობდნენ არც „ვისრამიანის“ ავტორი და არც სულხან-საბა ორბელიანი (თუ მათი აკადემიური გამოცემების ლექსიკონებს ვერწმუნებით!). ასევე, ამ სიტყვას არ უნდა იცნობდეს დავით გურამიშვილი.

უფრო მეტიც:

არათუ ეს ნელოენურად ნაწარმოები ფორმა (სართეველად), არამედ თვით სიტყვა გ ა რ თ ო ბ ა და მისგან წარმოებული სხვა სახეობანიც კი არ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანში“.

მე რუსთველოლოგი არ გახლავართ, ამ საკითხებს როგორც მოყვარული მკითხველი, ისე ვეხები. ამიტომ არ შე-

\* მაშინ აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია გამოცემული არ იყო.

მიძლია დაბეჯითებით ვთქვა, მიუქცევია თუ არა რუსთაველის რომელიმე მკვლევარს ამ საკითხისათვის ყურადღება.

ერთი შეხედვით საოცარია. შოთა რუსთაველი თავისი ვრცელი პოემის მანძილზე, მართალია, თავისი გმირების ხანგრძლივ ტანჯვასა, ცრემლთა ღვრასა და ჭირის გადახდის ამბებს აგვიწერს, მაგრამ პოემაში მრავლად არის დახატული აუარებელი ნადიმობისა, გართობისა, ნადირობისა და ქორწინების სურათები, ბუნებრივია, პოეტი სიტყვა „გართობას“ ან „გართევას“ უთუოდ მოიხმარებდა, თუკი ეს სიტყვა მის დროს არსებობდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ, როგორც დავრწმუნდი, შოთას ლექსიკონში ამ სიტყვას სხვა სიტყვებიცვლის. ეს სიტყვებია „თამაში“, „მღერა“, „სამღერელი“ და სხვ.

გავიხსენოთ შემდეგი სტროფები „ვეფხისტყაოსნიდან“:

რას მაქნეულით, რად გინდოლით, ერთმანერთსა რითა ეგვანდით,  
თქვენ მორკმულნი თამაშობდით, ჩვენ მტრილანი ღაწესა ვბანდით.

ყმამან დაყენა დღენი რამე, თუცა ყოვნას ვერა სთმობდა,  
ფრიდონს თანა ნადირობას გავიდეს და თამაშობდა.

რას ვაგრძელებდე, გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი,  
თამაშობდიან, არ რყენეს ყოლა გაყრისა სმისანი.

ერთგან სამთავე ძმობითა დაყვეს ცოტაი დღენია,  
თამაშობდიან, უსახო მოუდიოდეს ძღვენია.

თუ დავაკვირდებით, ამ ოთხ მაგალითში სიტყვა „თამაში“ გართობის მნიშვნელობითაა ნახმარი. განსაკუთრებით ეს ითქმის მესამე მაგალითზე, სადაც ნათქვამი „თამაშობდიან“ გართობის რომელიმე ნაირსახეობას (მაგალითად, ნადირობას) კი არ გამოხატავს, არამედ საერთოდ გართობას, დროსტარებას.

რომ მღერა-სამღერელი, გარდა პირდაპირ სიმღერის (გალობის) მნიშვნელობისა, გართობის შინაარსითაც გვხვდება შოთა რუსთაველის პოემაში, ამას ნათლად ადასტურებს ასეთი ადგილი:

ასმათ და ორნი მონანი, ჰყვიან, ამღერდის ნარლიოა.

ცხადია, აქ ნარლით მღერა, ნარლით გართობა-თამაშს ნიშნავს \*.

გვახსენდება სადავო სტროფის სიტყვა სამღერელად:

შესაშე არს ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად,-  
სააშეოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად.

შესაძლოა, აქაც სიტყვა სამღერელად ზოგადად გართობის მნიშვნელობით აქვს რუსთაველს ნახმარი და არა სიმღერა-გალობისა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ არც პროლოგში, არც ძირითად ტექსტში არ გვხვდება სიტყვა „სართეველი“, „რთევა“, „გართობა“; მაშასადამე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რუსთაველი არ იცნობდა (ან მის დროს არ იყო ეს ფორმა) ამ სიტყვას. ამ სიტყვას „ვეფხისტყაოსანში“ სცვლის სიტყვა „თამაში“, „მღერა“, რაც მრავალი მაგალითით მტკიცდება.

2. ამის გამო, ცხადია, შოთა რუსთაველი ვერ იტყოდა „ამხანაგთა სართეველად“. მით უმეტეს, რომ ეს ფორმა ძალზე ხელოვნურია და ქართული ენის ბუნებას არ ექვემდებარება.

3. „გართობა“ და „გასართეველად“ (და არა ხელოვნური „სართეველად“) შემდეგ, უფრო გვიან დროში შექმნილი ფორმა უნდა იყოს, რაც შემდგომი დაკვირვებისა და კვლევა-ძიების საგნად უნდა გადაიქცეს ქართული ენის, განსაკუთრებით რუსთაველის ენის მკვლევართათვის.

4. „ამხანაგთა სათრეველი“ ლექსი მიეკუთვნება სიამოვნებისათვის განკუთვნილი, გასართობი ლექსების კატეგორიას და მას თავისი ადგილი უნდა დარჩეს სადავო სტროფში.

1951 წ.

\* საგულისხმოა „ასოთ სამღერლის“ ეტიმოლოგიაც, რაც, ჩემი აზრით ამასვე ადასტურებს: „ასოთ თამაში“. „თუ მარცხენა თვალი ეთამაშოს“ და სხვ.

## გიორგი მეფის სამძივარი

„ვაამე და კვალად ვიტყვი: ვაამე.. ვაამე, რა ვყო მე ცოდვილმან, მომიხდა სვიფონი, ლომი და ვეშაპი, მეწივა ღელვა გვემული და მომისამქედურა მხედარი ჩემი ვახუშტი, და დამეკარგნეს მსწრათლ თვალთა წინა და ვარონინებ განციფრებული თვალსა და ვერსად მპოენელი ვარ...“

„ლექსიკონი გამოგვეზავნა და ნეტამც იზას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგვეზავნა!“

ზემოთმოყვანილი სიტყვები ამოღებულია ქართლის მეფის გიორგი XI წერილებიდან\*... მეფე სამძივარს უცხადებთ თავის ნათესავს, მეფეთა შორის აღზრდილსა და მათი შვილების აღმზრდელს სულხან-საბა ორბელიანს მისი ძმის ვახუშტი ორბელიანის გარდაცვალების გამო.

მკვლევარი ექვთიმე თაყაიშვილი ვახუშტი ორბელიანის სააღაპო გამოსაღების სიის კომენტარში აღნიშნავს, რომ საბას უმცროსი ძმა ვახუშტი თავის მამიდაშვილს ქართლის მეფე გიორგი XI სპარსეთში გაჰყოლია და იქ გარდაცვლილა 1707 წელს, ქალაქ ყანდაარს.

ქართლის ცხოვრების ამ ბედუქუღმართ დროს, როგორც ჩანს, ვახუშტი ორბელიანი სპარსეთის შაჰის კარზე მყოფ ქართლის მეფეს ჰხლებია, როგორც საპატიო კარისკაცი და მხედარი.

\* წერილში გამოყენებული მასალა ამოღებულია „საქართველო“, ტ. II, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. გვ. 209—224, დოკუმენტები: 174, 175, 177, 178, 179, 180.

სამძიმრის წერილები და სხვა ისტორიული დოკუმენტები ადასტურებს, რომ ვახუშტის სიკვდილი მოულოდნელი და თავზარდამცემი ყოფილა სპარსეთს გადახვეწილი ქართველებისთვის.

ამ მძიმე სიკვდილის განცდა ბეჭდად აზის ჟამთა სიივეს გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებისა. და სამძიმრის წერილების თვითეულ სტრიქონს თუ სიტყვას.

ქართლის მეფეს და სპარსეთში მყოფ ქართველებს უდროოდ დაღუპული მოძმის ცხედარი მღუღარე ცრემლით დაუტირიათ და ღირსეულად გადმოუსვენებიათ ქართლში, მშობლიურ მიწაში სამუდამოდ დასამკვიდრებლად.

აი რას სწერს გიორგი მდივანბეგი საბა და ერასტი ორბელიანებს მათი ძმის ვახუშტის სიკვდილის თაობაზე:

„ბატონს \* ასე ეწყინა, რომე თავისი ბაგრატ დღეს მოკლდომოდეს. რომ მოვახსენეთ, არ დაგვიჯერა: ჩემი ვახუშტი ახლა ვნახეო, ეს რა დაგემართაო, ეგებ გაცხელებსო და ცხელებით მეუბნებოდეო. მერმე მოვახსენე: საყუარელი რომ კაცს არ ემეტებოდეს-მეთქი, მისას არას დაიჯერებს-მეთქი. მერმე წაიშინა თავსა, და მრავალი იცა. ღონ იცის, არც შეილზედ, არც ძმაზედ ეს არ უქნია, რაც ბატონმა ვახუშტიზე ქნა. მწარედ იტირა, გარდაბურა, ოცდა ათი თუმანი შემოგაწივათ, თორმეტს დღეს კარში არ გამოსულა, დიად დაიტირა და გამოისტუმრა საბატიურად“.

დატირებული მხედარი ქართლში გადმოუსვენებიათ და, როგორც ლუარსაბ სარდლის მიერ შედგენილ სააღაპო გამოსაღების ვრცელი სიიდან ჩანს, დიდი ხარჯი გაუწევიათ და მართლაც „საბატიურად“ დაუკრძალათ.

ლუარსაბ სარდლის განკარგულებით:

„უნდა გამოიღონ ვახუშტის სააღაპო: წარაუთს ძროხა ერთი, გუგუთს ძადუჩაშვილთ ძროხა ერთი. იფნობს ძროხა ერთი, კარცხილას და ბალხაურს ძროხა ერთი... ტანძიას ძროხა ერთი...“ და ასე შემდეგ. დოკუმენტში ჩამოთვლილია ორმოცამდე სოფელი, რომელთაც თითო-ორი ძროხა უნდა

\* იგულისხმება მეფე გიორგი XI.



გამოეღოთ ვახუშტის აღაპისთვის. („ძროხა: მთ, ცხვარი: იბ. იქს ძროხას მიბ“).

სპარსეთში მყოფ მეფე გიორგი XI\* ვახუშტის სიკვდილის თაობაზე სამი წერილი გამოუგზავნია. ერთი, უფრო ადრე გამოგზავნილი, სამძიმრის წერილია. ამ წერილის კომენტარში ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს: „სამძიმრის წიგნი მიწერილი მეფის შაჰნავაზის მიერ ყანდაარდთან საბა-სულხან ორბელიანისადმი საბას ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო“... მაგრამ წერილის შინაარსის და ერთი ადგილის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შაჰნავაზს ეს წერილი გამოუგზავნია ვახუშტის ორივე უფროსი ძმისათვის: საბასთვის და ერასტისთვის („მოგიწერ მე, მეფე შაჰნავაზ, ძმებო, ბატონო საბავ და მდივანბეგო ბატონო ერასტი! მოგახსენებ ძმათა თქვენთა ქარტაა უსაწყლესა მწუხარებათა თქვენთა“).

ამ ვრცელ წერილში დიდი მწუხარებზე გამოსტკვივის, თუმცა შესავალი მაღალფარდოვანია და დატვირთულია რიტორიკული ფრაზებით, მსგავსად ამისა: „თმანიცა თავისა ჩემისანი აღმაშფოთებდეს“, ანდა: „...მოიწია ხმა ზარისა, მომიკუდა კეთილი ყოფადობისა მქნელი, ჩემი დამტირებელი, დამმარხველად-გამოსალოდნელი, აღმომეფხვრა ხე იგი კეთილი, ნერგად აღორძინებული, წარმტყვევნა ვაზი ტევან-ოქროვანი, სიტკბოება და ვითარი სიტკბოება ჩემი! თაფლისა გოლეულისა უტკბოსი, ოქრო ბრძმედსა შინა გამოქანდაკებული, მშვიდი და მდაბალი, ყოვლის ქველისა საქმისა მოქმედი, ბატრონთა მოსურნე, კაცთა მოყვარე, ჯართა და დარბაისელთა განმაგულოვანებელი, ლხინთა და მეჯლისთა ჩემთა განმანათლებელი, ყოვლის ხვაშიადისა ჩემისა დამმარხველი, ბრძანებისა ჩემისა მორჩილი, ყოველთა ბრძოლათა და მტერთა მომსრველი, ვაამე! და კვალად ვიტყვი: ვაამე! ნათესავთა თქვენთა და სახლეულთა უმეტესად ქებით წარმოშობილი და აღორძინებული ვახუშტი, ძმად, შვილად ჩემდა ქმნილი“.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ორბელიანი ყოველგვარი სიკეთით შემკული ვაჟკაცი ყოფილა: მდაბალი, ქველი, კაცთმოყვარე, უებრო მხედარი და მეფეთა მეჯლისებში მომლხენი,

\* იმავე შაჰნავაზ მეორეს.

შაჰნავაზის ხვაშიადის დამმარხველი და მესაიდუმლე... მიცვა-  
ლებულზე, ისიც სამძიმრის წიგნში ავს' არ იტყვიან, მაგრამ  
ისიც უნდა გავიხსენოთ, რა ოჯახიშვილი იყო გარდაცვლი-  
ლი და ვისი ძმა... სპარსეთის შაჰის სამფლობელოში ქართლის  
მეფენი უდიდესს არ იახლებდნენ!

„თვალის სინათლე თქვენი და დიდად ზურგად იმედი ჩე-  
მი, სასურველი და სიქადული ძმა თქვენი, წინაშე ჩემსა წარ-  
მოგზავნილი, ამანათი და შემოვედრებული“.

მეფის ცდასა და მოვლას არ გაუჭრია და ამ მამობრივი  
ზრუნვის ასანაცვლოდ ვახუშტიმ „აღლესა მახვილთ ორპირი  
და შთამგმირა გულსა ჩემსა და მცხო ბაგესა ჩემსა სამსალა  
ნაღვლითურთ აღრეული...“

ამიტომ ამბობს მეფე სინანულით:

„...და აწ სუდართა, ხელითა და ფერხითა შეკრული  
წარმომივლენია, ვამე, რა ვყო მე ცოდვილმან?“

სამძიმრის წერილი ასე მთავრდება:

„...მრავალი თავს ცემით მწუხარება მამიხსენებია. დასტურ  
ძმა თქვენი იყო, მაგრამ ღმერთმან იცის, ჩემიც შეილსა და  
ძმასავით საყვარელი იყო. ჩემთვის ეს დღე იყო, რომ თავი  
მამკდომოდა, ჩემი თვალის სინათლე ძმანი და შეილნი დღეს  
დამხოცოდეს. მოვლა და ხელის შეწყობა არ დაგვიკლია, მაგ-  
რამ ეს ბეგარა ყოვლის კაცის თავს გარდუალია... შაჰნავაზ“.

მეორე წერილი სულხან-საბას ძმის მდივანბეგ ერასტი  
ორბელიანისადმი უფრო გვიან უნდა იყოს მოწერილი. თუმცა  
ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის „სამძიმრისა  
და საჩუქრის წიგნი“. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ამას  
ადასტურებს წერილის შინაარსი. შეუძლებელია სამძიმრის  
წიგნში მეფეს თავისი მგლოვიარე ნათესავისა და ხელქვეითი-  
სათვის „შავის გამოცვლა“ და გლოვისაგან გაყრა ებრძანე-  
ბინოს:

„ვიცი მწუხარებით იქნებით და შავითა. შავის გამოსაცვა-  
ლად ხალათი მიახლებია. კაბა დიბისა, თელაი ხევანარიანი,  
ერთი ქამარ-ბანდი სარტყელი ზარბაბისა, ყოშიზი, ერთი  
დოღბანდი თამამოზარი, ნოდრაი მწვანე... ერთი თუ ჩვენი  
თავი გინდა, ეს ჩაიცივით. რა ვქნათ, თქვენ გტკივის და ჩვენ-

თვისაც მწველ სატივიარია მისი ამგვარი საქმე. ლ<sup>ა</sup>თნ ნულარა სამძიმარი მოგცეს“.

ამ წერილის შინაარსი უფრო მეტად ამტკიცებს იმ აზრს, რომ ზემოთმოყვანილი სამძიმრის პირველი წიგნი მოწერილია: ორივე ძმისადმი, უმალვე, ვახუშტის გარდაცვალებისთანავე, ეს მეორე წიგნი კი „შავის გამოცვლისა“ და ხალათის ბოძების წიგნია, შავის გამოცვლის სათანადო დროის გასვლის შემდეგ მოწერილი.

მეფე გიორგი XI მესამე წერილი: სულხან-საბა ორბელიანისადმი სამძიმრის წიგნი არ არის. იწყება ჩვეულებრივი მოკითხვის ან საქმიანი ბარათის მსგავსად: „ქ. ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხანი მრავალი მოკითხვა მომიხსენებია“.

ამ წერილის მიზეზი გამხდარა ვინმე „ჰმად-ბეგის წიგნი“ მიწერილი სულხანისადმი და „პაპუნას საუფროსოს“ სადაო საქმე. ამ საქმეებში, როგორც ჩანს, სულხანიც ყოფილა გარეული („ბატონო სულხან, რაღას მალავთ, რატომ საჯაროდ და საბატონოდ არ იტყვიან, როგორც გარიგებულია? ასრე უნდა იქნას, თვარემ დაგიყინიათ, ერთი წიგნი მოგვეცო. იმ ერთის წიგნით რას გააკეთებთ?“)

საყურადღებოა ერთი ცნობაც: სულხანს სპარსეთში მყოფ ვახუშტისთან სისტემატური მიმოწერა ჰქონია („რაც კურთხეულის ვახუშტისათვის წიგნები მოგეწერა, ყველა შევიტყვე“). პაპუნას „საუფროსოს“ თაობაზე. ამ საქმეზე გიორგი მეფეს მდივანბეგ ერასტი ორბელიანისთვის თავისი სათქმელი თავის დროზე მოუწერია („რაც ქართული მქონდა, ყველა მდივანბეგ ერასტისთვის მომიწერია და როგორც მომეწეროს, ისრე ქენით“).

ამ წერილში დაცულ ცნობებს არა მარტო სულხან-საბას და მისი ოჯახის ბიოგრაფია-ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა... საქართველოს ისტორიის მკვლევარი ამ დოკუმენტებში მრავალ საყურადღებო ცნობას წააწყდება. (დაკრძალვისა და აღაპის წესი; შავის გამოცვლისა და ამოწყვეტილი ოჯახის მემკვიდრეობის წესი და სხვა.)

გიორგი მეფე „პაპუნას საუფროსოს“ სადაო: საკითხის

განხილვის დროს ადარებს ქართლსა და იმერეთში მამა-პაპი-დან არსებულ წესებს გაყრილობისა და უშვილო ოჯახის მამულის მფლობელობის შესახებ:

„იმერეთს რომე უშვილო კაცი მოკუდეს, ის მამული ბატონის არის. ქართლში თუ უშვილო კაცი მოკუდების და მალ გაყრა მოხდა, ეგებ ამით იქნას და მიეცეს იმ სახლის კაცსა, თვარემ თუ დრო დაგვიანდა და ეს სახლისკაცობა გვიან გაიყარა, ბატონის მზემა, ბატონის არის უშვილოს კაცის მამული... რა ხნის გარიგებული საქმე არის, ვინ იცის! ვინ მოშლის ამ საქმესა, განა ახლანდელი საქმე არის, ძველი წესია“.

• • •

სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის მეტად საყურადღებო ცნობას შეიცავს გიორგი მეფის წერილის ბოლო ნაწილი, უკეთ — შინაწერი, რომელიც ასე იწყება: „ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა“

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, გულისხმიერ სულხანს თავისი „სიტყვის კონის“ ერთი ნუსხა სპარსეთში მყოფი უმცროსი ძმისთვის გაუგზავნია... ძვირფას ამანათს ვერ მიუსწრია მოულოდნელად დაღუპული ვახუშტისთვის და გიორგი მეფის ხელში მოხვედრილა. მოხვედრილა იმ კაცის ხელში, ვისი ბრძანებითაც, ადრე სიკვამლეში სულხანმა ამ ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო.

ლექსიკონს დიდად უსიამოვნებია ყანდაარს მყოფი ქართლის მეფე და სულხანის მამიდაშვილი. ამ დროს უკვე გამაჰმადიანებული ქართლის მეფე სპარსულის შესწავლით ყოფილა გატაცებული, მაგრამ მშობლიური ენის საუნჯეს მისთვის გუნება შეუცვლია:

„...თათრულს წიგნზედ მიმდგარვარ და კიდევ ვისწავლე-ლაშის ის გამაშობინოს ამისმა კითხვამა“.

ლექსიკონით კმაყოფილი მეფე, რომელსაც როგორც წერილიდან ჩანს, ადრეც მრავალი „შენდობა უთქვამს“ საბასთვის, ახლაც მრავალ შენდობას უთვლის მეცნიერ ბიძაშვილს

(„ღიად კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყვე“.) და სთხოვს, ის სიტყვები, რომლებიც ლექსიკონში ვერ ამოუკითხავს, „კარგის ხელით დაუწერინოს“ და გაუგზავნოს: „ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გარდამომიწერინეო“.

ამის წერის დროს გიორგი მეფეს გახსენებია, რომ დავალებას ძვირფასი ძმის სიკვდილით დამგლოვიარებულ კაცს აძლევს და უხერხულობა უგრძენია:

„ან რა პირით დაგდვა საქმე? ამისთანა საქმე იქნა, მაგრა ბრძანება მღთისას რა გავწყობის! ჩემო ძმავ საბავ, ვახუშტის დამკარგავ ნუ მომიძულებ“.

უცნაური სევდის აღმძვრელია ეს სიტყვები... საუკუნეთა მიღმა ჩვენ თვალწინ ნათლად იხატება უცხოობაში იძულებით მყოფი ქართლის მეფის მკმუნვარე სახე, თავისი ნაოესავისა და მეგობრის, სამშობლოს მოჭირნახულე ბრძენი ვაჟკაცის უბედობაზე ჩაფაქრებული და აღელვებული.

ვახუშტის დამკარგავი ნუ მომიძულებო!

რა იცოდა ამ სიტყვების დამწერმა, თუ ორი წლის შემდეგ თვითონაც ვახუშტის ბედს გაიზიარებდა და სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული აელანელების ხელით მოკვდებოდა უცხოეთში!

შემდეგ, უფრო გვიან, გიორგი მეფის წერილის ადრესატმაც გაიზიარა მეფე მამიდაშვილისა და მხედარი ძმის ბედი და უცხო ცის ქვეშ დახუჭა ქართლის ბედის მაძიებელი თვალი.

უბედობასაც აქვს თავისი ხარისხი:

ყანდაარს დაღუპულ უმცროს ძმას მშობლიურ ტანძიაში მანინც ეღირსა დაკრძალვა, უფროსს კი ბედმა ესეც არ არგუნა და, ვგონებ, საფლავიც დაუკარგა.

## დიდი პოეტის ხუმრობა და... კავთისხევი

~ ჰმ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა მიმი-  
თითა იმ ფაქტზე, რომ აკაკი წერეთელი ერთ თავის ლექსში  
ავღებით იხსენიებს სოფელ კავთისხევსო, თანაც ამ ლექსის  
ერთი სტროფი ზეპირად მითხრა:

ვინღა გაარჩევს პედაგოგს,  
უგვაროსა და გვარიანს,  
როდესაც ერთი ფასი აქვს  
კავთისხევსა და ვარიანს!

მაშინ აკაკის თხზულებათა ის ტომი, რომელშიც ეს ლექ-  
სია დაბეჭდილი, ხელთ არა მქონდა; ამის გამო ძნელი იყო  
წინასწარ გათვალისწინება იმ საინტერესო ქვეტექსტისა, რო-  
მელიც ამ სტროფს ჰქონია.

ჩემი სოფელი ლამაზ სოფლად მიმაჩნდა. გაგონილი მქონ-  
და ხალხური სიმღერა:

კავთიხეო, შეშკობილო,  
წინ, მინდორო, უკან ტყეო.  
ბიჭებისა სათამაშო,  
ქალებისა სამოთხეო.

სოფელი ვარიანი არ მენახა, მაგრამ იმ ხალხურ ლექსებ-  
ში, სადაც ქართლის სოფლებია დაზნასიათებული, წაკითხული  
მქონდა:

ვარიანი — ვალიანი,  
უტყეო და ქარიანი...

აი რას ვკითხულობთ პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სი-

ტყვიერების“ შენიშვნებში ამ ლექსის გამო: „სხვა სოფლე-  
ლებს უთქვამთ, ხოლო თვითონ ვარიანელებს ასე უთქვამთ:

ვარიანი — გვარიანი,  
უმტერო და ქარიანი...

ამავე შენიშვნებიდან ვიგებთ, რომ სოფ. ვარიანის რეაბი-  
ლიტაციის ცდა თუ პირველი ვარიანტის მთქმელთან გაბაეჭ-  
რება „იაკობ გოგებაშვილის — ვ ა რ ი ა ნ ე ლ ი ს თქმით ჩაწე-  
რილი“ ყოფილა.

მეომართე ვახუშტის. წავიკითხე:

„ნიჩბისის დასავლით ხ ე ვ ი კ ა ვ თ ი ს ა, გამოდის დიდ-  
გორს, დის ჩრდილოთ... ქვათახევამდე, ვენახოვანი, ხილიანი...  
ქვათახევს არს მონასტერი მშვენიერიანაშენი. და ა რ ს ა ლ გ ი-  
ლ ი შ ე მ კ უ ლ ი, ზაფხულ გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბი-  
ლი; გარემოს მთა ტყიანი...“

რამდენიმე გვერდის შემდეგ ნახსენებია ვარიანი:

„ვარიანს ზეით ერთვის ლიახეს აღმოსავლეთიდან პატარა  
ლიახვი. ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული. ვანათამდე  
არს ვენახიანი, ხილიანი“...

ვახუშტის მიერ, როგორც ვხედავთ, არც ვარიანია აუგად  
მოხსენებული, მით უმეტეს, არც კავთისხევი, რომელიც ქართ-  
ლის მეფეთა სააგარაკო ადგილებს (ერთაწმინდა, ცხირეთი,  
ნოსტე, თვალადი, წინარეხი, ქვათახევი) შორის მდებარეობს...

ამ ფიქრისა და ვახუშტის კითხვის დროს გამახსენდა არ-  
ტურ ლაისტის ნათქვამი იმის გამო, რომ, ვისაც უნდა მოწ-  
მენდილ ამინდში კავკასიონის მთების სიდიადით დატკბეს,  
კავთისხევის მხრიდან უნდა გახედოს მის მშვენიერებასო.

მაშ, როგორ უნდა გამეგო აკაკის ნათქვამი: „როდესაც ერ-  
თი ფასი აქვს კავთისხევისა და ვარიანს?“

იქნებ პირიქით გულისწმობდა აკაკი, იქნებ უპირატესობას  
კავთისხევის ანიჭებდა ვარიანის წინაშე? მაგრამ რა ვუყოთ  
ასეთ დალაგებას ცუდისა და კარგისას:

უგვარობა და ვარიანს...  
კავთისხევისა და ვარიანს...

იქნებ აქ კავთისხევი და ვარიანი არაფერ შუაშია და დიდი პოეტი. თავისი ენის საოცარი მოქნილობით, გონება-მახვილობით და ჰუმორის დიდი გრძობით სულ სხვა რამეს გულისხმობს?

ჩემი ეჭვი გამართლდა, როცა ლექსი წავეკითხე: ამ ვრცელ ლექსს „პანორამა“ ეწოდება. ლექსი შედგება სამი თავისაგან. პირველი და მეორე თავი წარმოადგენს აკაკის თანამედროვე პუბლიცისტებისა და პოეტებისადმი მიმართულ სატირას, ხოლო მესამე თავში აკაკისათვის ჩვეული ენამახვილობით გა-კენწლილია პედაგოგები:

მეზრე — ტეტია შიხაჯი  
და ლეიტკელა გოგია,  
ვინც ქართულს დაამახინჯებს,  
სუყველა პედაგოგია.

აკაკის ამ ლექსის მიხედვით, იმ დროს არსებობდა სამი ტიპის პედაგოგი; პირველი ტიპის პედაგოგს ასე ახასიათებს პოეტი:

მას თურმე პედაგოგობა  
დაქონდა გასაყიდადა,  
და ჩენი ახალგაზრდობა  
დაიდვა გზად და ბიდადა,  
და რაც უნდოდა იშოვნა...  
აუხდა გულის წადილი!

აი, მეორე ტიპის პედაგოგს როგორ ამასხარავენს პოეტი:

მაგრამ ხომ გაგიგონიათ:  
— ქვეყანას უმოახლოს,  
ვირს ვარდისაზარს ეძახდნენ,  
რომ ხელი არეინ ახლოსა?!

მესამე რიგის პედაგოგთა დასახასიათებლად აკაკი სხარ-ტულად წერს:

მესამე, მაგრამ მესამე,  
შეათე, გინდა შეასე!..



სულ ერთი გვარის არიან,  
 შემისწავლია მე ასე.  
 და როცა ჩამოერევა  
 იმათში თითო-ორიოლა,  
 როგორც უვადებში ბულბული,  
 ანუ ჩხივებში ტორილა,  
 აჩხელდებიან დიდები,  
 აღარც აძლევენ შეელასა/  
 ანდა თვის კერძად გახდიან,  
 ან შეაქმევენ მელასა.  
 ვინლა გაარჩევს პედაგოგს  
 უჯვაროხა და გვარიანს,  
 როდესაც ერთი ფასი აქვს  
 კავთახხვეხა და ვარიანს?!

1940 წ. გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა მეორე ტომის ბოლოს დართულ პავლე ინგოროყვას მიერ შედგენილ კომენტარებში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ ეს ლექსი პირველად დაბეჭდილია 1895 წლის ეურნალ „კვალში“.

როგორ უნდა აიხსნას აკაკის ამ ლექსის ბოლო სტროფი?

როგორც ცნობილია, აკაკი ხშირად მიმართაედა, როგორც პირდაპირ, ისე შენიღბულ სატირას.

პატივცემულ მკვლევარს პავლე ინგოროყვას თავის კომენტარებში აღნიშნული აქვს, რომ აკაკის სატირის მსხვერპლნი არა ერთხელ გამხდარან, როგორც მაშინდელი ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, ისე ქართული საზოგადოების აშკარა მტრები.

ასე, მაგალითად, ლექსში „პამპულა“ (1894 წ.) აკაკი ამათრაახებს ცნობილ მწერალს ანტონ ფურცელაძეს, ლექსი „არაკი“ მიმართულია მკაცრი ცენზორის ლუკა ისარლოვის წინააღმდეგ, ხოლო ლექსი „ყიზილბაშური“ ამჟღავნებს ცნობილ შავრაზმელ პოეტს ვ. ველიჩკოს.

უფრო მეტსაც ვიტყვით. აკაკი გამკილავი ლექსით თვით ილია ჭავჭავაძესაც კი გაეპაექრა და, უნდა ითქვას, არცთუ მაინცდამაინც სამართლიანად. ამ შემთხვევაში მისი მახვილი ხუმრობის ობიექტი გახდა ილიას მშვენიერი ლექსი „გაზაფხული“, მხოლოდ იმის გამო, რომ „მერცხლის ჭყვილი“ მასაც სხვებსავეთ ეუცნაურა. აი, ის ლექსიც, რომელიც აკაკის 1895 წელს დაუწერია:

## სახუმარო ვასართობი

(ჩენი პოეტების მიბაძვა)

ზამთარი რო წავიდა,  
მოვიდა გაზაფხული.  
სახლში ქვივის მერცხალი,  
ბაღში კივის ბუბუღი,  
აყვავებულა ვარდი,  
ნესვიც დამწიფებულა,  
ლობეში — კი მსუნავი  
ღორი გაკვებებულა  
მებაღე დიდი ჯოხით  
ღორზე ამხედრებულა...  
გაუმარჯოს სამშობლოს,  
მტერიც დამარცხებულა!

თავის „პანორამაში“ აკაკი წერეთელი მახვილი კალმით კილავს ქართველ პედაგოგთა შორის გამეფებულ მანკიერებას და გულისტკივილით ამბობს, რომ, თუკი გამოჩნდა ღირსეული პედაგოგი

როგორც ყვავებში ბუბუღი,  
ანუ ჩხიკვებში ტოროლა,

მაშინვე მას დევნას დაუწყებენ და ჩაქოლავენო...

ვის უნდა გულისხმობდეს აკაკი იმდროინდელ პედაგოგ ყვავებსა და ჩხიკვებში გარეულ ტყბილხმოვან ბუბუღად და ტოროლად?..

ცხადია, იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც თავს ესხმოდნენ ცარიზმის აშკარა დამცველები („აჩხავლდებიან ღდიდები!“) პროგრესული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგებისათვის.

ამის უტყუარ საბუთს, სხვა რომ არა იყოს რა, თვით ლექსში ვპოულობთ.

იმ ორი სოფლიდან (კავთისხევი და ვარიანი), რომელიც ლექსშია მოხსენებული, ერთი (ვარიანი) იაკობის სამშობლო სოფელს წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ აძლევს აკაკი უპირატესობას ვარიანს კავთისხევის წინაშე.

მაგრამ რად გასწირა აკაკიმ კავთისხევი და რად მიაკუთვნა იგი „უგვარო“ სოფლების რიგს? უმიზეზოდ ხომ არ დაუპირისპირა იგი ვარიანს. აკაკიმ უმისამართო ხუმრობა არ იცოდა. ცხადია, „კავთისხევეშიც“ ვინმე იმდროინდელი პედაგოგი უნდა იგულისხმებოდეს.

ჩვენი აზრით, „კავთისხევეში“ აკაკი უნდა გულისხმობდეს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და პედაგოგს ნიკო ცხვედაძეს, რომელიც წარმოშობით კავთისხეველი იყო.

პოეტის მიერ ნ. ცხვედაძესთან ამგვარ შეფარვით შეხუმრებას თავისი მიზეზები ჰქონდა.

იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე ქართველი ერის საქმისათვის თავდადებული მოღვაწეები იყვნენ და ორივე უანგაროდ ეწეოდა მამულიშვილურ ჭაბანს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათი ძალა და უნარი თანაბარი არ იყო. მაშინდელი საზოგადოების ერთ ნაწილში კი, როგორც ირკვევა, იგრძნობოდა ამ ორი მოღვაწის დამსახურების გათანაბრების ტენდენცია. სწორედ ამ ტენდენციის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული აკაკის ხუმრობა.

აკაკის დროს ეს გადაკრულად ნათქვამი; ცხადია, ლიტერატორთა და პედაგოგთა წრეებისათვის უკომენტაროდაც გასაგები და ნათელი იყო. დრომ თავისი გაიტანა და პოეტის სხარტულად ნათქვამი შემდგომი თაობებისათვის გაუგებარი გახადა.

როგორც ვხედავთ დიდ პოეტს სოფელი კავთისხევი სრულიადაც არ უხსენებია აუგად. ფრთიანმა, შეფარვით ნათქვამმა სიტყვამ დაბადა ბუნდოვანება, რომელიც, ჩემი აზრით, ამას-იქით გაფანტულად უნდა ჩაითვალოს.

## ბალადა ქართული მოყმისა და ყივჩაღისა

თავიდან, სანამ ამ წერილის წერას დავიწყებდით, ჩვენ მიზანი იყო დაგვემტკიცებინა ქართული ხალხური ბალადის — „შემომეყარა ყივჩაღის“ იმ ვარიანტის არახალხურობა, რომელიც ამგვარად მთავრდება:

აქეთ შე ვკვდები, იქით ის,  
ქალი წავიდა სხვისხა.

ამ ტექსტში, განსაკუთრებით დაბოლოებაში, ჩვენ ვხედავთ ბალადის ძირითადი იდეისაგან დიამეტრალურ გადახვევას, მისი აზრის დამახინჯებას.

ვარიანტების გაცნობამ და იმ ლიტერატურის შესწავლამ, რაც ამ ბალადის ირგვლივ დღემდე შექმნილა, დაგვანახა, რომ მრავალი საკითხი, რომელსაც ეს ბალადა აღძრავს, შეუსწავლელია, ზოგიც მცდარად არის გაშუქებული; ამის გამო ჩვენი ყურადღება სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, საკითხებსაც მიექცა.

ეს საკითხებია: ბალადის წარმოშობის ადგილი და მისი ქართველი პერსონაჟების სადაურობა, ბალადის შთისა და ბარის ვარიანტების ურთიერთობა, ბალადის წარმოშობის დრო, ბალადის სასხორული ვარიანტის სიყალბე.

ამ ბალადის ტექსტის დადგენას აძნელებს ის გარემოება, რომ არსებობს მრავალ ვარიანტთა შორის მკვეთრად ჩამოყალიბებული, ლექსის ძირითად ნაწილში სტრუქტურულად თითქმის ერთნაირი, მაგრამ დაბოლოების სხვადასხვაობით დაპირისპირებული სამი ვარიანტი; საჭიროა გაირკვეს, რომელია მათ შორის პირველთქმული.

ხალხის მეხსიერება ზღვასავით ღრმად, მაგრამ თვით ზღვაც ხომ არ არის ყველგან თანაბარი სიღრმისა... ხალხსაც ამა თუ იმ მხარეში, დროში თუ ვითარებაში ზოგჯერ ღალატობს ეს ადამიანური მადლი (ხსოვნა) და სხვა მიმართულებას აძლევს პირველთქმულს. ხალხის მეხსიერებაც უნდა შემოწმდეს. საჭიროა ვარიანტების შედარება, უვარგისი ნალექის მოშორება, შერჩევა, თავანჯარის მიღება...<sup>1</sup>

ამ მხრივ ჩვენში ყველაფერი რიგზე არ არის. ქართული ფოლკლორისტიკა ჯერჯერობით (ბედნიერ გამოწვევასთან გარდა) ვერ წარმართავს ხალხის მეხსიერებას პირველთქმულისკენ.

აქ შეიძლებოდა მრავალი მაგალითის დასახელება, მაგრამ თავს შევიკავებთ, რადგან თვით ჩვენი წერილის ობიექტი — ქართული ხალხური პოეზიის შესანიშნავი ძეგლი „შემომეყარა ყივჩაღი,“ თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი ფოლკლორისტიკის უყურადღებობის მსხვერპლია.

დაგროვილი აუარებელი მასალის მეცნიერული შესწავლის მხრივ ჯერ ისევ ძალაში რჩება აკაკი შანიძის ნათქვამი:

„...მაგრამ ყველა ეს შეკრებილი ლექსები მხოლოდ შავი მასალაა, რომელსაც შემოწმება, შედარება და მეცნიერული დამუშავება ეჭირება, რომ შესაძლო გახდეს მათი სათანადოდ მოხმარება და გამოყენება“<sup>2</sup>.

ამის თქმის შემდეგ კი მეოთხედი საუკუნე გავიდა.

პირველად ამ ხალხურ სიმღერას ჩემს ბავშვობაში გავეცანი. სიმღერას-მეტყი, იმიტომ ვამბობ, რომ ეს ლექსი პირველად სიმღერად მოვისმინე. ყივჩაღის სიმღერას ხშირად ღიღინებდნენ ჩვენი მეზობლები, თვალადელი, გლეხები და ჩვენ, სოფლის ბავშვები, სულგანაბულნი ვუსმენდით.

ჩვენ გვხიბლავდა არა იმდენად სიმღერის მელოდია, რამდენადაც ლექსის შინაარსი, სევდიანი დაბოლოება. თვალ-

\* აკაკი შანიძე, ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული, 1931 წ.

ნათლივ ვხედავდით მუხრანის საზღვართან მჯდომ ცოლ-ქმარს და მოძალადე ყივიჩალს, რომელიც პურსა სთხოვდა და აქმევდნენ, ურჩევდნენ თავთუხისასა, ღვინოსა სთხოვდა, ასმევდნენ, ურჩევდნენ თბკვერისასა (ან ბადაგისასა), ხორცსა სთხოვდა და აქმევდნენ, ურჩევდნენ ხობობისასა...

მაგრამ აი, მომღერლები უცებ თითქოს ხმას ჩაიკმენდდნენ, წუთით დააყოვნებდნენ და ოხვრით ამოთქვამდნენ:

...ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...  
ან კი ცოლს როგორ მივემღი,  
ცოლსა ჯვარნაწერისასა...

შეზარხოშებული, ვნებააშლილი მოძალადე სარგებლობდა ქართველი მოყმის თავშეკავეებით, გადასწედებოდა და „ცხრანაწნავე გიშრის“ თმაში ჰკოცნიდა ქალს. ქალი ტირილით ამოსთქვამდა: „ვაჰმე, უღონო ქმრისასა“... ეს დაძახილი ვაჟკაცურ სულს დაუბრუნებდა წუთით შემკრთალ მოყმეს, მისი გული ზღვის მორევს დაემსგავსებოდა, ხმალს იშინებდა. ბრძოლა სამკვედრო-სასიცოცხლო იყო, დაუზოგავი. ორივე ვაჟკაცი სასიკვდილოდ დაქრილი ეცემოდა. ერთი აქეთ კვდებოდა, მეორე — იქით... სიმღერა სევდიანი მოთქმით თავდებოდა: „იმდენი კიდევ დამცალდა, ქალი გავგზანე ძმისასა, აქეთ მე მოვკვდი, იქით ის, სამზღვარსა მუხრანისასა“.

სიმღერა თავდებოდა, მაგრამ ორი გულადმა მწოლარე მომაკვდავი ვაჟკაცი ჩვენს თვალს არ შორდებოდა. ჩვენს თვალს არ შორდებოდა „ძმისას“ მიმავალი თმაგაშლილი ქალის მწუხარე სახე. მან ხომ არ მოინდომა პატროსანი მანდილის შერცხვენა და ქმარი მოძალადის წინააღმდეგ ალაფრთოვანა, ალაფრთოვანა სასოწარკვეთილი, მწარე წამოძახილით: „ვაჰმე, უღონო ქმრისასაო“. ამ სასოწარკვეთილმა წამოძახილმა დააქვრივა იგი, იმსხვერპლა მისი ქმარი... მაგრამ შეუბღალავი დარჩა ქალის მანდილი.

ჩვენს ხსოვნაში იგი დარჩა, როგორც ნამუსიანი ქალი, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ ქმარი სიმხდალეს გამოიჩენდა და მოძალადეს შებმას ვერ გაუბედავდა, ხმალს წაგლეჯდა და თავს შეაკლავდა მუხრანის გზაზე მოთარეშე თავხედს.

„ვაჰმე, უღონო ქმრისასაო“... რამდენი საყვედური და სასოწარკვეთილება ჩანდა ამ ამოძახილში ჩვენ ღარწმუნებულ ვიყავით, რომ შემკრთალი ქმრის მიმართ ეს გამანადგურებელი სიტყვა („უღონო“) ამ ქალს საკუთარი ნამუსის ღონემ ათქმევინა.



შემდეგ, გაცილებით უფრო გვიან, როდესაც ამ ბალადის დაბოლოების ორ სხვა ვარიანტსაც გავეცანი, გაოცებული დავრჩი. განსაკუთრებით მოცუბდა ის ვარიანტი, სადაც ყივჩაღის ხმლით მოკლული ქართველი მოყმე თავის ამბავს ამგვარად აბოლოებდა:

აქეთ მე ვკვდები, იქით ის, —  
ქალი წავიდა ხხვიცასა.

როგორც ვხედავთ, დროთა ვითარებაში ამ ხალხური ლექსის რამდენიმე ვარიანტი ჩნდება. ხშირად ეს ვარიანტები მხოლოდ ცალკეული გამოთქმებით, სიტყვებით და ლექსის სხვა შეორეხარისხოვანი ელემენტებით განსხვავდებიან. მაგალითად, ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი, ვურჩევდი ბადაგისასა.

მეორეგან იგივე ადგილი ასე გამოიყურება:

ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი, ვურჩევდი შაფანკისასა.

აშკარაა, მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს შემდეგი დროის დანამატთან, ცვლილებასთან, რაც ადვილი შესამჩნევია არის და ბალადის ძირითად იდეასაც ვერ ცვლის, მაგრამ თუ შევადარებთ ამ ლექსის დაბოლოების მრავალი ვარიანტიდან შერჩეულ სამ ძირითად ნიმუშს, სულ სხვა სურათი დაგვიდგება თვალწინ:

1. მე აქეთ მოვკვდი, იქით ის,  
ქალი წავიდა ძმისასა.

2. ქალი სიღედრსა მიეგვარე.  
ის კი იქა სკამს კვიშისა.

3. მე აქეთ მოვეკვი, იქით ის,  
ქალი წაიდა სხვისასა...

ცხადია, აქ საქმე გვაქვს სამი, თითქმის ერთნაირი სტრუქტურის, მაგრამ სხვადასხვა იდეის ბალადასთან.

სამივე შემთხვევაში ყივჩაღის თავხედობით აღშფოთებულ ქართველი ქალი აიძულებს, ამხნევებს და ვაჟკაცურ სულს უდგამს ქმარს, ახსენებს თავის მოვალეობას. ქართველი მხედარი იმსკვალება გმირული სულით: „ისეთი გული გამიხდა. მორევსა ჰგვანდა ზღვისასაო“.

მოყმე და ყივჩაღი ეკვეთებიან, შეიბმიან და თავს აკლავენ ერთმანეთს.

დაქვრივებული ქალი ერთი ვარიანტით ქმრის სიკვდილის შემდეგ მიდის ძმისას, სადაც იგი ყივჩაღთან შეხვედრამდე მიდიოდა თავის ქმართან ერთად („მიმყავდა ცოლის ძმისასა“). მეორე ვარიანტი, პირველისაგან განსხვავებით, ქართველი მოყმის გამარჯვებით მთავრდება, ყივჩაღი კვდება, ქართველი ცოლ-ქმარი კი თავის გზას აგრძელებს („ცოლი სიღედრსა მიეგვარე“); მესამე ვარიანტი პირველსავით მოყმისა და ყივჩაღის სიკვდილით მთავრდება, მაგრამ აქ სრულიად მოულოდნელად ქმრის გამამხნევებელი, მაღალი ზნეობის ქალი მიდის „სხვისას“. ცხადია, ეს „სხვა“ არის ქართულ ხალხურ პოეზიაში და საერთოდ ცნობილ „სხვა“ — სატრფო, საყვარელი. სხვა კაცი.

ამ სამივე დაბოლოების შესახებ ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსახზობა, რასაც ქვემოთ გამოვთქვამთ.

მანამდე კი უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს ამ ლექსის მხოლოდ მცირედ განსხვავებული ვარიანტები არსებობდეს.

შალვა რადიანი თავის წერილში „ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი“ (იხ. „ლიტ. გაზეთი“, № 30, 1953 წ.), ეხება რა გიორგი ლეონიძის ლექსს — „ყივჩაღის პაემანი“, წერს: „არსებობს ამ ხალხური სიმღერის („შემომეყარა ყივჩაღი“)



რამდენიმე ვარიანტი (მცირედ განსხვავებული ერთიმეორისაგან)“.

თუ რამდენად „მცირედ განსხვავებულნი“ არიან დღემდე გამოქვეყნებული ვარიანტები, ამის შესახებ, როგორც ზემოთ ვნახეთ და შემდგომაც ვნახავთ, ლაპარაკიც კი არ შეიძლება. განა ის მცირე განსხვავებაა, როცა ვარიანტული სხვაობა (თუნდაც ერთი გამოთქმა) ნაწარმოების იდეურ ხერხემალს ცვლის?!

მიხვილ ჩიქოვანი თავის ნაშრომში („ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, 1952 წ.), ადარებს რა „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტებს, დაბოლოების საკითხში უპირატესობას აძლევს ი. სონლულაშვილის მიერ ჩაწერილ „დიღმურ“ ვარიანტს, რომელიც ყივჩაღისა და ქართველი მოყმის სიკვდილით და ქალის ძმისაჲ წასვლით მთავრდება.

ეს დებულება ჩვენ მიერ გასაზიარებელია, მაგრამ საქმე ის არის, რომ მკვლევარი არ ასაბუთებს თავის დებულებას და ზოგადი მოსაზრებიდან გამოდის, ამ ვარიანტს ბალადისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დასასრული აქვსო.

ამ ბალადის ტექსტის დადგენისა და დაბოლოების საკითხის გადაწყვეტისათვის კი, ჩვენი აზრით, უფრო სხვა პრინციპული საკითხების გარკვევას აქვს გადაამჭრელი მნიშვნელობა.

რით უნდა აიხსნას ამ ლექსის დაბოლოების ერთმანეთისაგან ამრიგად განსხვავებული ვარიანტების წარმოშობა და რომელია მათგან პირველადი, პირველთქმული? ხომ არ შეიძლება, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილიყო სტრუქტურულად თითქმის ერთი, მაგრამ იდეურად ამრიგად განსხვავებული სამი ხალხური ლექსი? საქართველოს რომელ მხარეში, სად უნდა წარმოშობილიყო ეს ბალადა და რომელი კუთხის შვილები არიან მისი ქართველი პერსონაჟები?

ბალადის ვარიანტები ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის მრავალ სოფელში. როგორც მიხ. ჩიქოვანი აღნიშნავს, ყოფილა იმერული დეფორმირებული გადმოცემაც, ივ. გომელაურის მიერ ჩაწერილი.

ვარიანტები ჩაწერის ადგილის მიხედვით ინარჩუნებენ მთქმელის კილოს და გამოთქმას. ენობრივ-სტრუქტურის

მიხედვით არსებობს მთის კილოთი ნათქვამიც და ქართლური ან კახური. ხშირია ისეთი ვარიანტებიც, სადაც ერთსა და იმავე ჩანაწერებში კილო აღრეულია, ფშაური გამოთქმის გვერდით გვხვდება ქართლური.

ამის გამო მხოლოდ ენობრივი ანალიზის შედეგად ამ ბალადის წარმოშობის საკითხის ხელაღებით გადაჭრა შეუძლებელი ჩანს. მოქმედების ადგილის მიხედვით საკითხის გადაჭრა საეჭვოა. მართალია, ქართველი მოქმედების ლექსების ძირითად გეოგრაფიულ გარემოს ის ადგილი წარმოადგენდა, სადაც მათ (მოქმედებს) უხდებოდათ ცხოვრება, მაგრამ არა იშვიათია შემთხვევაც, როცა ბარის მოქმედს თავისი სათქმელი მთაში გადააქვს, ანდა მთიელი მელექსე თავისი ფანდურით სხვა კუთხის შვილებს უმღერის.

პროფ. მიხ. ჩიქოვანის აზრით „შემომეყარა ყივჩაღი“ ფშავ-ხევსურული \* წარმოშობისაა და მისი უსახელო პერსონაჟებიც ამ კუთხის შვილები არიან\*.

ეს მოსაზრება, ჩემი აზრით, მცდარია და დამყარებულია მოჩვენებით საბუთზე.

მკვლევარის ეს დებულება გამომდინარეობს იქიდან, რომ „ყივჩაღთან მეზობლი მადლს ენდობა ლაშარის ჯვრისასა. ლაშარის ხატი კი ფშავ-ხევსურთა სალოცავია... აქ მოხსენებული ქართველი ლაშარის ჯვრის მლოცავია. მაშასადამე, ფშაველი ან ხევსური არის“.

მართლაც, ერთი შეხედვით, ეს საბუთი ურყევად მოგვეჩვენება, უფრო მეტად იმის გამო, რომ ბალადის ის ვარიანტი, სადაც ლაშარია ნახსენები, ჩაწერილია შუაგულ ქართლში (სოფ. სასხორი), მაგრამ ამ თითქოს უტყუარ საბუთს მოეპოვება მომავდინებელი მხარეც: გარდა ამ ერთადერთი ვარიანტისა, „ლაშარის ჯვარს“ არ ახსენებს არც ერთი ბარში გაგონილი და ჩაწერილი ვარიანტი! მაგრამ ეს კიდევ არაფე-

---

\* გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ უზუსტობის გამო, რასაც აქ ვამჩნევთ: ფშავ-ხევსურეთის ერთ კუთხედ ჩათვლა არ არის სწორი. ამ ორ კუთხეს თავ-თავისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და დამახასიათებელი ყოფა, შეტყველება და აქედან გამომდინარე თავისებური ფოლოკორული სამყარო მოეპოვება.

რი, „ლაშარის ჯვარი“ ნახსენები არ არის მთაში ჩაწერილ არც ერთ ვარიანტში, არც ფშაურში, არც ხევსურულში, არც თუშურში, მით უმეტეს, რომ ამ კუთხეებში ეს ვარიანტები ჩაწერილია ცნობილი ფოლკლორისტების დ. ხიზანიშვილის, თ. რაზიკაშვილის, ივ. ბუქუაულისა და მიხ. შამანაურის მიერ ქართული ფოლკლორისტიკის გარიყრაჟზე, ე. წ. სასხორული ვარიანტი კი გამოქვეყნებულია 1934 წელს!\*

რით უნდა აეხსნათ, რომ მთაში გასული საუკუნის დასასრულს ჩაწერილ ვარიანტებში „ლაშარის ჯვარი“ ნახსენები არ არის, მაშინ როცა, ახალს, ქართლურ-სასხორულ ვარიანტს შეუნახავს და დაუცავს ამ ბალადის სადაურობის დადგენისათვის ეს მართლაც საგულისხმო დეტალი?

ამ კითხვაზე ლოგიკური პასუხი იქნებოდა იმის თქმა, რომ ფაქტი გიუტია: რა ვქნათ, მთის ვარიანტებში დროთა ვითარებაში გაქრა მთისთვის დამახასიათებელი გამოთქმა. სასხორულ მთქმელთა ხსოვნამ კი რაღაც მანქანებით წმინდად შეინახა მთიელ მთქმელთა პირვანდელი ნათქვამი...

ეს ასე იქნებოდა, რომ არ არსებობდეს, ორი მოსაზრება, რომლებიც უქვისქვეშ აყენებს საერთოდ „ლაშარის ჯვარის“ ხსენების შესაძლებლობას ამ ლექსში: 1. ბალადა „შემომეყარა ყვიჩალი“ ბარის წარმოშობისა; 2. სასხორული ვარიანტი, სადაც „ლაშარის ჯვარია“ ნახსენები, ხელოვნურია, ყალბია. იგი შესწორებულ-შეკეთებულია ჩამწერის თუ რედაქტორის მიერ.

• • •

„შემომეყარა ყვიჩალის“ წარმოშობის სადაურობის გამოკვებისათვის აღწერილი ამბის გეოგრაფიულ გარემოს გადაშწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, სხვა უფრო დამაჯერებელი საბუთების გვერდით, იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ის ადგილი, სადაც ქართველი მგზავრები ყვიჩალს შეყარნენ, მუხრანის საზღვარია.

მართლაც, საქართველოს რომელი კუთხისათვის უნდა

\* ვახტანგ კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“, გვ. 74.

ყოფილიყო უფრო ტიპური ფეოდალური საქართველოს სამხედრო ძალის როლში გამოსული, გათავხედებული ყვიჩალი მხედრების იმგვარი მოქმედება, რაც ჩვენს ბალადაშია აღწერილი?

საგულისხმოა, რომ ყვიჩალებმა ქართველ მეფეთაგან სამოსახლოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სხვა რაიონების გარდა, მიიღეს ქსნის ხეობა, სადაც 40 000 ყვიჩალი დასახლდა.

ჩამორჩენილი და თავით ფეხამდე შეიარაღებული უცხო ტომის ეს დიდი მასა, ცხადია, ღვთის რისხვად მოველინებოდა ახლომახლო მოსახლე ქართველობას: ნიშანდობლივია, რომ ქსნის ხეობა სწორედ მუხრანის ველს აკრავს და ბალადაში აღწერილი ამბავი იშვიათ შემთხვევად არ ჩაითვლება; არც ისეთ შემთხვევად, რომელიც საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით უფრო ტიპური არ იყოს ამ ადგილისათვის.

საიდან მოდიან ჩვენი გმირები, მთისა თუ ბარის სოფლიდან? სადაურია ქართველი მოყმე? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ის ძღვენი და მოსაკითხი, რაც მათ თან მიაქვთ, რითაც ისინი იძულებით უმასპინძლებიან მოძალადე ყვიჩალს.

აღსანიშნავია, რომ ყველაფერი, რაც კი ამ საბედისწერო სუფრას ამშვენებს, ბარის კუთვნილებსაა: პური — თავთუხისა, ხორცი — ხონობისა, ღვინო — ბადაგისა...

თუ მოყვრებში სტუმრად მიმავალი სიძე ფშაველი ან ხევისური იქნებოდა, ცხადია, იგი ხელს მთის კუთვნილების მოსაკითხით დაიმშვენებდა... მუხრანის ველზე გაშლილ სუფრას მაშინ ხონბის კი არა, ჯიხვის, ირმის ან არჩვის ხორცი და ამშვენებდა... ასევე საეჭვოა, რომ თავთუხის გამტკიცული პური ან ბადაგით სავსე ტიკპორა აღმორჩენილიყო ხევისურეთიდან ან ფშაველიდან წამოღებულ ხურჯინში\*.

---

\* აღსანიშნავია, რომ ამ ბალადის ყველა ვარიანტში ქართველი ცოლქმარი ბარის კუთვნილების ხორავით უმასპინძლდება ყვიჩალს. არსებობს ერთი ვარიანტი (ქართლის სოფ. თვალადში ჩემ მიერ ჩაწერილი 1954 წ., გაბინაშვილის თქმით), სადაც ყვიჩალს ხონბის ხორცის მაგივრად ბატკნის ხორცით უმასპინძლებიან. მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის, ისევე, როგორც ის, რომ ერთ-ერთ ვარიანტში ყვიჩალების ღროინდელი ქართველები „დამპატიყე“ სტუმარს ღვინოს ასმევენ „შაფანციისასა“

მაშასადამე, ყივჩაღთა დასახლებისა და ცალკეული ყივჩაღი მხედრების მოძალადეობის გეოგრაფიული გარემოს (ქსნის ხეობა), ბალადაში ნახსენები ადგილის (მუხრანის საზღვარი) და მოყვრებში წასაღები მოსაკითხის (პური — თავთუხის, ღვინო — ბადაგის, ხორცი — ხოხბის) ხასიათის მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბალადის ქართველი პერსონაჟები ქართლელები ან საერთოდ ბარის მცხოვრებნი არიან.

მაშ საიდან გაჩნდა ბალადის სასხორულ ვარიანტში „ლაშარის ჯვარი“?

როგორ აუუაროთ გვერდი „ლაშარის ჯვარს“, რაზეც დამყარებულია მოსაზრება ბალადის „ფშავ-ხევსურული“ წარმოშობის შესახებ?



„ლაშარის ჯვრისათვის“ გვერდის ავლა არ დაგვკირდება. პირიქით, ეს ფშაური ხატი ამ შემთხვევაში იმის საბუთად გამოდგება, რომ ეს ბალადა მთის წარმოშობისა არ არის და სასხორულ ტექსტში „ლაშარის ჯვარი“ შეტანილია ბალადის ამ ვარიანტის შემქმნელისა თუ გამლამაზებლის მიერ.

უნდა ითქვას, რომ ბალადის სასხორული ვარიანტი, გარდა იმისა, რომ ყველა ჩანაწერზე ვრცელია, თხრობის განვითარების და ლექსალობის მხრივაც უსხვა ვარიანტებზე მეტად „დახვეწილი“ და დამთავრებულია... იგრძნობა რედაქტორის, არცთუ უგემოვნო რედაქტორის ხელი.

იბადება ეჭვი, რომ ლექსი გაშალაშინებულია ჩამწერის თუ რედაქტორ-გამომცემლის მიერ, ამ ლექსისათვის შეუფერებელი სახეების და არახალხური გამოთქმების შეკოწიწებით.

ცნობილია, რომ ზოგი ჩამწერი არ იცავს სავალდებულო წესებს, ცვლის, ალამაზებს ან გამოუცდელიობისა და მოუშვადებლობის გამო ჩაწერის დროს უნებურად ამახინჯებს ხალხური ლექსის ბუნებრივ სახეს.

ისიც ფაქტია, რომ ზოგჯერ რედაქტორ-გამომცემლნიც თავიანთი რომელიმე მოსაზრების დასამტკიცებლად, ძალას ატანენ ჩაწერილ-გამოუქვეყნებელ მასალას, სანამ მზის სინათ-

ლეზე გამოიტანდნენ. საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება \*.

მსგავს მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე ბალადის სასხორულ ვარიანტშიც. საფიქრელია, რომ პირველმა ჩამწერმა თუ რედაქტორმა ძალა დაატანა ლექსს და „შეალამაზა“.

აი, სადავო ადგილიც:

ახლა მე შემოვუქნივე,  
ვენდევ მადლს ლაშარის ჯვარისა.

რომ ეს მუხლი ყალბია, ამას ამტკიცებს ფორმა „ლაშარის“ არაბუნებრივ მდგომარეობაში დაყენება. ნათქვამია არა „ლაშარის“, არამედ „ლაშარის“.

ლაშარი თავისი გრამატიკული ფორმით ეკუთვნის ისეთ საკუთარ სახელთა კატეგორიას, რომელნიც ნათესაობით ბრუნვაში არ იკუმშვიან; აი, მაგალითებიც:

ღელეს ატირდა ლაშარი,  
ლაშარს — ლაშარის ჯვარი;

ლაშარის ჯვარის ლურჯასა  
ფაფარ ასხავის გიშრისა;

ცხენს შეჯდა ლაშარის ჯვარი და ა. შ.

---

\* არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა მოსაზრებით ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშსაც კი აცხადებენ ხალხურად.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ცნობილი ფოლკლორისტის და საზოგადო მოღვაწის ია. კარგარეთელის შემთხვევა.

თავის წიგნში მიხილ ჩიქოვანი საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ ია კარგარეთლის მიერ 1928 წელს გამოცემული ხალხური დრამა-ლეგენდა „თავფარავნელი კაბუკი“ ხალხური შემოქმედების ნაყოფი კი არ არის, არამედ თვით გამომცემლის ფანტაზიის და სხვადასხვა ხალხური ლექსების კომპილაციის შედეგია.

მის. ჩიქოვანის ამ მოსაზრებაში ეკვის შეტანა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ია კარგარეთლის ფოლკლორისტულ მუშაობაში ამის რეციდივი წინათაც ყოფილა. მას ჯერ კიდევ 1909 წელს გამოუქვეყნებია ფსევდო-ხალხური პოემა „ქრული ბერას ომი ქისტებთან“, რომლის ინდივიდუალური ხასიათი თ. რაზიკაშვილს მაშინვე გამოუმტკიცებია.

როგორც ჩანს, ამ ვარიანტში „ლაშარის“ ჩამწერს ვერ გაუთვალისწინებია ფშაველ-ხევსურთა ღვთაების საკუთარი სახელის თავისებურება ამა თუ იმ ფორმაში დაყენების დროს.

მთიელი მთქმელი არავითარ შემთხვევაში არ იტყვოდა „ლაშარის“, ასევე არ იტყვოდა „თამარის“, „ყამარის“, „ნუგზარის“ და სხვ.

ჩვენ გადავათვალიერეთ და გავჩხრიკეთ თითქმის ყველა ხალხური ლექსი, სადაც ლაშარია ნახსენები და „ლაშარის“ ფორმას ვერსად წაეაწყდით.

ქართული ენის ბუნება მკაცრია: მან თვით ღმერთსაც კი გაუბედა „შეკუმშვა“ და ნათესაობით ბრუნვაში მის ზოგად სახელს ფუძისეული „ე“ წაართვა (ღმერთის — ღმრთის, ღვთის), რადგან „ღმერთი“ უმაღლესი ღვთაების საკუთარი სახელი არ არის.

საწინააღმდეგო შემთხვევაშიაც ენა თავის ბუნებას მკაცრად იცავს და, როგორც ზემოთ ვთქვით, ნათესაობით ბრუნვაში საკუთარ სახელებს ფუძისეულ ხმოვანს უნარჩუნებს (ლაშარის, თამარის, ყამარის, ნუგზარის).

საინტერესოა, რომ ქართლის მთიან სოფლებში (კასპის რაიონში) დიდი ხნის წინათ გადმოსახლებული ფშაველები ამ ბაზადას დღესაც „ჯიმშერის ლექსს“ უწოდებენ, ისევე როგორც ეს ფშაურთ, რაზიკაშვილისეულ ვარიანტშია („თუ მკითხავ, კიდევ გიამბობ ჩემსა და ჯიმშელისასა“). მიუხედავად სულ სხვა გარემოცვისა, ხალხის მეხსიერება არ ცვლის, უკეთ რომ ვთქვათ, არ თმობს გმირის სახელწოდებას. მოსალოდნელი იყო რომ „ლაშარის ჯვარის“ ხსენებასაც არ დათმობდნენ ქართლში მცხოვრები, მაგრამ თავისი ყოფით მაინც იზოლირებული, თავის დედაკუთხეს მოშორებული ფშაველები, მაგრამ ეს ასე არ არის.

რაკი ჩემი ექვი სასხორულ ვარიანტში ნახმარი გამოთქმის „ლაშარის ჯვარის“ სიყალბის შესახებ საფუძვლიანი გამოდგა.

ჩემდა უნებურად ასეთივე დაკვირვებული თვალთ შევხედე ამ ვარიანტში გამოყენებულ (ჩემი აზრით, საეკვო) სტრიქონებს და ცალკეულ გამოთქმებს:

1. სამზღვარს მუხრანის გზისასა.
2. ხელი მოჰხვია, აკოცა, მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
3. მოვიდნე ვადას ხმლისასა.
4. არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნათელის შვისასა.
5. ვენდე მადლს.

გავარჩიოთ ეს ნაწყვეტები ცალ-ცალკე:

1. სამზღვარს მუხრანის გზისასა.

არც ერთ სხვა ვარიანტში არ გვხვდება. ყველგან გარკვევითაა ნათქვამი, რომ ყივჩაღი ჩვენს მგზავრებს შემოეყარა მუხრანის საზღვარზე. („სამზღვარსა მუხრანისასა“ ან „ბოლოსა მუხრანისასა“).

თავისთავად „საზღვარს მუხრანის გზისასა“ საეკვოა უფრო იმით, რომ ძნელია კაცმა წარმოიდგინოს გზის საზღვარი, მით უმეტეს იმ გზის, რომელიც არ თავდება ან სოფელში შესვლით, ან ჩიხით... ასეთ შემთხვევაშიც კი ითქმის გზის ბოლო, დასასრული და არა საზღვარი... ამ შემთხვევაში კი გზის ბოლო ნაგულისხმევი არაა: ბალადის მიხედვით, მგზავრებს გზა უნდა გაეგრძელებინათ.

2. ხელი მოჰხვია, აკოცა; მოზიდნა ნაწნავს თმისასა.

სხვა ვარიანტებში ეს „მოზიდნა ნაწნავს თმისასა“ არა გვხვდება და შესატყვისი ადგილი ამგვარად იკითხება:

გადაეხვია, აკოცა  
ნაწნავსა გიშრის თმისასა.

არ დაიშალა, აკოცა  
ნაწნავსა გიშრის თმისასა.

ხელი გადაეყავ, ვაკოცე  
ნაწნავსა გიშრის თმისასა.



არ ღაიშალეს, აკოცეს  
ცხრანაწნავ გიშრის თმისასა.

არ ღაიჯერა, აკოცა  
ნაწნავსა გიშრის თმისასა.

როგორც ამ ამონაწერებიდან ჩანს, ვარიანტების უმრავლესობა იცავს ქართლურ-ხალხურისათვის დამახასიათებელ, ბუნებრივად გამართულ ფორმას: „ნაწნავსა გიშრის თმისასა“, ან „ცხრანაწნავ გიშრის თმისასა“... არსად გვხვდება ფორმა „მოზიდნა“, რაც აშკარაა ლექსის გამშალაშინებელს რატომღაც ჩაუწერია ქალის თმის ეპითეტის „გიშრის“ ადგილას.

აქვე საჭიროა გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ პარალელური გამოთქმების („ვენაცვლე მადლსა ღეთისასა“ და „ვენდე მადლს ლაშრის ჯერისასა“) შემდეგ მეორდება „მოზიდნა ნაწნავს თმისასას“ მსგავსი გამოთქმა: „მოვზიდნე ვადას ხმლისასა“; გამოთქმათა ასეთ პარალელიზმს აგრე ადვილად არ დაუშვებდნენ ნამდვილი ხალხური მთქმელები

3. გამოთქმაც — „მოვზიდნე ვადას ხმლისასა“ ბალადის იმ ადგილას, სადაც ქართველი მოყმე ხმალს იშიშვლებს, არც მთის და არც ბარის სხვა ვარიანტებში არ გვხვდება. მსგავსი, თითქმის ასეთი გამოთქმა შეგვხვდა თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ფშაურ ვარიანტში, მაგრამ ძირითად ტექსტში კი არა, ამბის თხრობის წინ წამძღვარებულ წინათქმაში, რომელსაც პირობითად ბალადის თავსართს ვუწოდებთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი თავსართი ამ ბალადის ზოგიერთ სხვა ვარიანტსაც აქვს.

თედო რაზიკაშვილისეულ ფშაურ ვარიანტში ეს თავსართი ამგვარად იკითხება:

ცოლსა ნუ გეხუმრები, თავს უკეთესს ყმისასა,  
გაგიგებს, გაგიჯავრდება, ვადას მაჰზიდნებს ხმლისასა.

როგორც ჩანს, სასხორული ვარიანტის შემქმნელს სხვადასხვა ვარიანტის შედარებისა და შერჩევის დროს მოსწონებია ეს ფშაური გამოთქმა („ვადას მაჰზიდნებს ხმლისასა“),

მდგომარეობის მიხედვით შეუცვლია („მოეზიდნე ვადას ხმლისა“) და თავისი გადაკეთებული ვარიანტის ძირითად ტექსტში შეუტანია (ისე როგორც „ლაშრის ჯვარი“) — ბალადისათვის ვითომც უფრო მეტი გმირული ელერადობის მისაცემად.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასხორული ვარიანტის ავტორს თავისი ვარიანტის ჩონჩხად, როგორც ჩანს, გამოუყენებია ფშაური ვარიანტები (დ. ხიზანიშვილის და თ. რაზიკაშვილის), უფრო კი უკანასკნელისა, რომელიც სასხორულის მსგავსად ასე მთავრდება:

დავაგლეჯინენ ცხენ-კაცი,  
წვერი უწვდინე ქვიშასა,  
მე აქვე მოველ ცოცხალი,  
ის იქავა სკამს მიწასა.

4. ხელოვნურად, უკეთ რომ ვთქვათ, სასხორული ვარიანტის შემკეთებლის ჩამატებულად გვეჩვენება:

არ იყო ღირსი, მოშორდა  
ცქერას ნათელის მზისასა.

ეს „მოშორდა ცქერას“ ძალზე ბუნდოვანი ენობრივი და პოეტური აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს და არაერთარ შემთხვევაში ხალხურ ნათქვამად არ ჩაითვლება.

შეიძლება მზის ცქერას მოაკლდეს კაცი, ვთქვათ, ასე: „არ იყო ღირსი, მოაკლდა ცქერას ნათელის მზისასა“. მაგრამ „ცქერას მოშორდეს“ — წარმოუდგენელია.

5. ექვს იწვევს გამოთქმაც „ვენდვე მადლს“...

ჩვენი აზრით, ამ ლექსის გადამკეთებლის მიერ გათვალისწინებული არ არის ის გარემოება, რომ მორწმუნე მთიელი თავისი საყვარელი ღვთაების მადლისა და სიკეთისადმი ნდობის საკითხის დასმას ვერ გაბედავდა.

სხვა ამბავია, თუ აქ იგულისხმება „მინდობა“. მაშინ უნდა ყოფილიყო „მივენდე“ და არა ვენდე (ნდობა გამოვუცხადე), რადგან ამ სიტყვისათვის ლექსში ორმარცვლოვანი ადგილია, ლექსის შემლამაზებელს, სამმარცვლიანი „მივენდეს“ ნაცვ-

ლად, „ვენდე“ ჩაუწერია, რაც დიამეტრალურად ცვლის ფრაზის შინაარსს და ერთხელ აღძრულ ექვეს ამ სტრიქონის ხელოვნურობის შესახებ უფრო აძლიერებს.

• • •

სასხორულ-ქართლური ვარიანტი იმითაც აღძრავს ექვეს, რომ იგი იცავს მთის კილოს: „ვაკშიე, ვასმეის“.

ვინც ქართლში ჩაწერილ ვარიანტებს გადაიკითხავს, მათში ამგვარ გამოთქმებს ვერ შეხვდება. ყველგან იკითხება: „ვაკშევედი, ვასშევედი“, როგორც ეს ამ ბალადის პირველწყაროში უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ საინტერესოა „შემომეყარა ყიფჩაღის“ ხანდაზმული ხეცსურული და თუშური ვარიანტების დასაწყისი, რომლებსაც ბარის გამოთქმა შეუენახავთ. განსაკუთრებით თუშური:

პური მთხოვ, პური ვაკაშე,  
ირჩევედა სიშინდისაო,  
ხორცი მთხოვდ, ხორცი ვაკაშე,  
ირჩევედა ხობობისაო...  
ღვინო მთხოვ, ღვინო ვასვი მე,  
არჩია ბადავისაო.

ხეცსურული ვარიანტის (ჩაწერილია მ. შამანაურის მიერ) დასაწყისსაც ნაწილობრივ შეუენახავს ბარის გამოთქმა:

შემომეყარა ყიფჩაგი  
ბოლოსა მუხრანისასა,  
პური მთხოვა და ვაკაშე,  
ეურჩევედი თავთუხისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმეი,  
ეურჩევედი ბადავისასა...

• • •

მოსაზრება სასხორული ვარიანტის სიყალბის შესახებ დაადასტურა ამ სტრიქონების ავტორის სოფ. სასხორში მისვლამ და ადგილზე ჩატარებულმა გამოკითხვამ.

სოფელი სასხორი მდებარეობს შუაგულ ქართლში, მცხეთის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, კასპის რაიონის საზღვარზე.

ჩვენი მიზანი იყო გვენახა სასხორული ვარიანტის მთქმელი ვ. კავთიაშვილი და შეგვემოწმებინა ჩვენი ბალადის საღავო ვარიანტის სინამდვილე.

ვ. კავთიაშვილი ამ სამი წლის წინ გარდაცვლილა 80 წლის ასაკში, მაგრამ სასხორში მცხოვრებ მის ბიძაშვილებში და მის ოჯახში (თბილისში) მოპოვებული ცნობებით, ჩვენი ექვი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ვ. კავთიაშვილის ბიძაშვილების — ლადო და კოლა კავთიაშვილების ცნობით, მათ არასოდეს გაუგონიათ, რომ ვანო კავთიაშვილს ოდესმე ხალხური ლექსი ეთქვას ან ემღეროს. 80 წლის მეწისქვილემ კოლა კავთიაშვილმა მითხრა: „მან როდის იცოდა მღერა, არც ლექსი იცოდა. საღდათში იყო, მოვიდა, მერე რკინიგზაში მუშაობდა. ჩვენ კი „მუხრანის ლექსი“ გუთანზეც გვიმღერიაო“.

ჩვენ ვთხოვეთ „გუთანზე ნამღერი“, „მუხრანის ლექსის“ თქმა და ჩაეწერეთ კიდევ:

ჩვენ სამნი შავიყარნით,  
მუხრანსა, ბატონისასა,  
ლენოსა ვსომღით, გვასმევდნენ,  
გვირჩევდნენ ბდაგისასა.  
ქალსა ვთხოვდით და გვაძლევდნენ,  
გვირჩევდნენ ლამაზისასა.

როცა მოხუც მეწისქვილეს ამ ფრაგმენტის ჩაწერის შემდეგ ე. წ. „სასხორული“ ვარიანტი წაუუკითხე, განაცხადა: „აქ ასეთი არაფერი გაგვიგონია, ვანო ქალაქის კაცი იყო, იქნებ იქ ისწავლაო!“

არც თვით ვ. კავთიაშვილის ოჯახის წევრების გამოკითხვამ დაადსტურა ვ. კავთიაშვილის მთქმელობა.

სასხორული ვარიანტის ტექსტის ანალიზის და ადგილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ იგი ყალბია. მასში შეტანილი მნიშვნელოვანი შესწორებანი რედაქტორ-გამომცემლის ან ჩამწერის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს და მასზე დაყრდნობა ამ ლექსის მეცნიერული შესწავლისათვის არ შეიძლება.

„ქალი წავიდა ს ს ვ ი ს ა ს ა“... ბალადის ამგვარად დაბოლოებული ვარიანტი დაბეჭდილია „საბჭოთა მწერალის“ მიერ 1950 წელს გამოცემულ კრებულში: „ხალხური პოეზია“ (ალ. გომიაშვილისა და რაფ. გვეტაძის რედაქტორობით). ეს წიგნი ფართო მასებისათვის საკითხავად განკუთვნილ რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, ამიტომ მას დართული არა აქვს სათანადო აპარატურა.

მუხრანული ბალადის ამ ვარიანტის ასეთ კრებულში გამოქვეყნება ჩვენ თავიდანვე მიზანშეუწონლად მოგვეჩვენა იმის გამო, რომ ბალადის მანამდე უცნობი, დაუბეჭდავი და სადავო ტექსტის მიწოდება მკითხველისათვის წარმოადგენდა ტრადიციული ვარიანტების დაუსაბუთებელ უარყოფას და გვერდის ავლას. უკეთესი იქნებოდა, ბალადის ეს ვარიანტი კრებულში შეტანამდე ცალკე გამოქვეყნებულიყო სათანადო კომენტარით და იმის აღნიშვნით, თუ სად და როდის, ვისგან და ვის მიერ არის ჩაწერილი; არსებობის რა უფლება და უპირატესობა აქვს მას მანამდე გამოქვეყნებულ ვარიანტთა წინაშე.

ჩვენი დაკვირვებით, მუხრანული ბალადის „საბჭოთა მწერალისეული“ ტექსტი ხალხური საწყისებიდან მომდინარე ვარიანტს არ წარმოადგენს და ამ წერილის ზემო ნაწილში და ქვემოთაც ჩვენ მას პირობითად ვუწოდებთ ვარიანტს.

რომ ეს ასეა, ამას ტექსტის ანალიზი დაგვანახებს.

ყივჩაღის ბალადის ეს ვარიანტი ყურადღებას იქცევს თავისი მოულოდნელი დასასრულით. ბალადა მთავრდება ყივჩაღისა და ქართველი მოყმის სიკვდილით და ქალის „სხვისას“ წასვლით.

საოცარია ამგვარი განაჩენი... იქნება ეს ზვედრი ქართველმა მოყმემ იმით დაიმსახურა, რომ მაშინვე არ იშიშვლა ხმალი, ცოლის საყვედურს დაელოდა. („ვაჰმე, უღონო ქმრისასა“).

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ის ქალი, რომელმაც ამ საბედისწერო წუთებში სინიდისით ნაკარნახევი მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინა და თავისი ამოძახილით ქმარი მოძალადის

წინააღმდეგ ამხედრა, ლექსის იდეისა და სტრუქტურის მიხედვით ასეთ განაჩენს არ გამოუტანდა მოკლულ ქმარს.

შეიძლება მითხრან: ამ ვარიანტის დასასრულს ლაპარაკია არა ქმრის სიკვდილისთანავე „სხვისას“ წაწვლაზე, არამედ ცხოვრების ცხოველმყოფელ ძალაზე, რომლის მიხედვითაც გულმოკლული პატიოსანი ქალიც კი საკმაოდ როის გასვლის შემდეგ იშვიათად თუ გაუწევს წინააღმდეგობას ადამიანურ ვნებას, ახალ სიყვარულს.

მაგრამ ეს ხომ სულ სხვა, საგანგებოდ ამ საკითხზე შექმნილი ნაწარმოების თემაა.

ჩვენს ხალხურ პოეზიაში ქალის მრავალი საინტერესო სახეა დახატული. ხალხი ქებითა და დიდებით იხსენიებს ვაჟკაციური სულის მათა წყნეთელს, თინა წავეციელს და თამარ ვაშლოვანელს, შეუდარებელი სიღრმით ხატავს ქართველი დედის უკვდავ სახეს ბალადაში „ვეფხი და მოყმე“... ამავდროს, არ იფიწყებს, მსუბუქი ჰკუისა და ზნის გაუტანელ ვერაგ ქალებსაც, რომელნიც ამგვარ ლოცვებს წარმოთქვამდნენ:

ყოვლად წმინდა ღმთისმშობელო,  
ქმარი ავად გამიხადე,  
ნურც მოჰკლავ და ნურც დაარჩენ,  
დამიწვი და დამიდავე!

ან:

იჯდა, უკრავდა ფანდურსა ქირვა ხოშაძეთ ქალო,  
ღმერთს იმას ეხვეწებოდა: მალე მომიკალ ქმარიო!

ზოგი ნატვრასაც არ სჯერდება და სურვილის შესრულებას ზეიმობს:

ქალმა თქვა: ჩემთან მოხვიდი, სახლში არა მყავს ქმარი,  
ციხის საგებლად გავგზავნე, თავს დასცემია ქვანია,  
სამახარობლო გავიღე სამოცი სული ცხვირია...

საინტერესო, თბილი და დიდი გულის მქონე ქალია დახატული ერთ პატარა ხალხურ ლექსში... მტრისგან მოკლული ვაჟკაცით მოხიბლული ქალი ამგვარად მოთქვამს თავისთვის:

ღამო, შე ღამის მოკლულო,  
 ბუსნი ქალის პირსაო,  
 ვინ შეგიღება წითლადა  
 ბეჭები პერანგისაო;  
 ვინ გაგიმეტა სათოფრად.  
 პატრონი ბევრის ცხერისაო,  
 ჯავრისგან დაგიღრუჯია  
 კბილები ბროლებისაო,  
 ღამაზად დაგიტირებდი,  
 ხათრი არ მქონდეს ქმრისაო.

ვერავინ, ალბათ, თვით ქმარიც კი ვერ დასძრახავდა ასეთი  
 საოცარი გრძნობის ქალს. მას ხომ ქმრის შეურაცხყოფელი  
 ფიქრი არ აღძვრია მოკლული ვაჟკაცის დანახვაზე... იგი ხომ  
 ამ შემადრწუნებელი და თან ღამაში სურათის ელდით გაქვა-  
 ვებული ჩურჩულებს.. ეტირება და ვერ ტირის.

ძნელია შეედავო შესანიშნავი ხალხური ლექსის „ლექსო,  
 ამოვთქომ, ოხეროს“ მთქმელს, სადაც სიკვდილის გარდუვა-  
 ლობით გულგატეხილი მოყმე გულისტკივილით ამბობს: „დე-  
 დის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა“.

ხოლო ცოლის შესახებ ასე დაასკვნის:

ცოლიც ძალიან შიტირებს,  
 ქვეყანას გააკვირვებსა,  
 ცოტა ხნის შემდეგ ისიცა.  
 სხვისა კირს გააღბინებსა.

ძნელია შეედავო, იმის გამო, რომ ამ ლექსის იდეური  
 კომპოზიცია — სქესობრივი და მშობლიური სიყვარულის და-  
 პირისპირებისა, მოითხოვს ცხოვრების თანამგზავრის ამგვარ  
 გაწირვას. მაგრამ ამ ლექსის მთქმელი მაინც ხელაღებით არ  
 სწირავს დაქვრივებული ქალის მორალს. პატარა რაღაცას მა-  
 ინც უტოვებს, „ცოტა ხანს“ მაინც აძლევს საგლოვად.  
 სანამ ცხოვრების ცხოველყოფელი ძალა „სხვისი“ გულის  
 დაღბინებას მოსთხოვდეს. ამ ლექსში თვითნებურად „ცოტა  
 ხნის“ მაგივრად „მაშინვე“ რომ ჩაეწეროთ, ხომ დაირღვევა  
 ზომიერება, ის სისათუთე, რაც ამ ლექსს გააჩნია?

აი, მაგალითად, ძალიანაც საეჭვო და უკუღმართი მორალის ლექსია ხალხური „სიკვდილ მითხოვს“.

მომაკვდავ მოყმეს სიკვდილი ითხოვს. მისი დაძმა, დედა ამ ლექსში გულქვა ადამიანებად არიან გამოყვანილი, ისინი ერთმანეთზე უთითებენ და მოყმეს გულცივად ეუბნებიან: „დაი გყავს და, ინაცვალე“... „დედა გყავს და, ინაცვალე“... „საყოფელ გყავს, ინაცვალე“...

მართლაც, მოყმისათვის ყველაზე თავდადებული საყვარელი ქალი აღმოჩნდება. იგი გულმხურვალედ ეუბნება მომაკვდავს: „გენაცვლები, საით არის სიკვდილის გზა, მასწავლეო!“

მთქმელმა ასე იფიქრა, ასე განიცადა და ასე ააგო თავისი სათქმელი, იღეა ავია თუ კარგი, ლექსის კომპოზიცია მკერივი და ნათელია. ხომ არ შეიძლება ამ ლექსის იდეური მანკირების გამო გადაეხსნაფეროთ ეს არასასურველი სიტყვები, მაშინ ხომ მოკვდება ლექსი და იმ საოცარ თავისებურებასაც დაკარგავს, რისთვისაც იგი ხალხური პოეზიის კრებულებში შეაქვთ, ახსოვთ?!

საქმე ის არის, რისთვის, რა მიზნით დაიწერა ესა თუ ის ხალხური ლექსი, რა იღეა ამოძრავებდა მთქმელს?

განა მუხრანული ბალადის მთქმელის იღეა იქამდე უნდა დავიყვანოთ, რომ ოჯახის ნამუსის დაცვისათვის შარაგზაზე გულგანგმიური მოყმე მიატოვოს ცოლმა და უმაღვე „სხვისას“ წავიდეს?

ქართველი ქალის. სახე ბალადის ამ ვარიანტის მიხედვით. როგორც ვთქვით, სრულიად მოულოდნელად, მთქმელის თუ გადამთქმელის სურვილით ეწირება ზოგადფილოსოფიურ კითხვას: თუ რას იზამდა ეს ქალი ქმრის სიკვდილის შემდეგ, დარჩებოდა თუ არა მისი ერთგული, წმინდად დაიცავდა თუ არა დაღუპული ქმრის ხსოვნას?

რომ ეს ასეა, ამას დავამტკიცებთ ამ ბალადის ერთი ან რე ჩაწერილი ვარიანტის გარჩევით, აქ პრიმიტიული ფორმით, ტლანქად და აშკარად ჩატარებულია ამ ლექსის მთავარი იდეის დეფორმაცია.



3. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ დაბეჭდილი ეს ვარიანტი საინტერესოა იმით, რომ შეიცავს ორ ფინალს:

ერთი იმანაც გადმოშკრა, ლახვარსა ჰგვანდა ღვთისასა,  
ორნივ იქ დავიხოცენით, ქალი წავიდა ძმისასა,  
რო ვკვდებოდი, ვინანოდი: რისთვის დავდექი შარზედა,  
ორივე ქალმა გვინაცვლა, ხელი გადადო სხვაზედა,  
ის კაცი ცუდი იქნება, ვინც დადგეს ქალის ჰკვაზედა.

ცხადია, ბალადის ბუნებრივ და ტრადიციულ ფინალზე („ქალი წავიდა ძმისასა“) გამობმული ეს სამი სტრიქონი არც იდებით, არც ლექსის მხატვრული ღირსებით არ გამომდინარეობს ამავე ვარიანტის ზემო სტრიქონებიდან, სადაც მოყმე გაქცა ცურად ამბობს:

ისეთი გული გამიხდა შორევსა ჰგვანდა ზღვისასა,  
ხელი გავიკარ ფრანგულ ხმალს, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა,  
დაკარ, შუაზე გავწყვიტე, ხმალმა გაუსო კვიშასა.

ამ სიტყვების პირველმთქმელი თავის გმირს არ ათქმევინებდა პატიოსანი ცოლის შეურაცხყოფელ სიტყვებს, არც სინანულის გრძნობას აღუძრავდა. მომაკვდავ მოყმეს იმის გამო, რომ „ქალის ჰკუაზე დადგა“ და ცოლის ნამუსის დაცვას შეეწირა...

ამ ხორცმეტის შემოქმედს, ეტყობა, ბალადის ტექსტის აზრიც კი ვერ გაუგია. უბრალოდ, ისიც კი არ იცის, რომ „შარზე“ ქართველი მოყმე კი არ დამდგარა, არამედ ვნებააშლილი მოძალადე, რომელიც პურის თხოვნიდან ქალის თხოვნამდე მივიდა ამ ვარიანტისათვის დამახასიათებელი არამხატვრული, გაჭიანურებული ჩანამატები (ქალის გრძელი მონოლოგი), აგრეთვე, ბადაგის ნაცვლად, „შაფანცკის“ ხმარება და სხვ.

„შემომეყარა ყივჩაღის“ სხვადასხვა ვარიანტების შესწავლით დავრწმუნდით, რომ, გარდა ზემოთ გარჩეული ორდაბოლოებიანი დეფორმირებული ვარიანტისა, არ არსებობს

არც ერთი ვარიანტი ამ ლექსისა, სადაც ქმარმოკლული ქართველი ქალი ავად იყოს ნახსენები.

ჩვენი ლიტერატურული საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულია მოსაზრება (არაწერილობითი), თითქოს ამგვარი დაბოლოება („ქალი წავიდა სხვისასა“) უფრო რომანტიკული და „ზოგადკაცობრიული“ კი იყოს.

ვფიქრობ, ეს მოარული შეხედულება დამყარებული არ არის ამ ლექსის მხატვრული სტრუქტურისა და იდეის საფუძვლიან გათვალისწინებაზე.

• • •

არსებობს სხვა საშუალებაც „საბჭოთა მწერლისეული“ ვარიანტის არახალხურობის დასამტკიცებლად.

ეს არის ტექსტის ანალიზი. ჩვენი ბალადის რომელ ვარიანტთან დგას ტექსტუალურად ახლოს ეს ახლახან გამოქვეყნებული ვარიანტი?

ჩვენი დაკვირვებით, „საბჭოთა მწერლისეული“ ვარიანტის ძირითადი ტექსტი მომდინარეობს ამ წერილის მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი „სასხორული“ ვარიანტიდან.

ამ დასკვნამდე მიგვიყვანა შემდეგმა ფაქტებმა:

1. არც ერთ ვარიანტში, გარდა სასხორულისა, არ არის ნახმარი: „შვილსა გაზრდილსა სხვისასა“. ბუქურაულის მიერ თუშეთში ჩაწერილ ვარიანტში არის „გაზარდულს სხვისა“ შვილსაო“, რის ლექსალურად გალამაზებულ ვარიანტსაც წარმოადგენს სასხორულში გადატანილი: „შვილსა გაზრდილსა სხვისასა“; ამ გამართულ ფრაზას სიტყვასიტყვით იმეორებს „საბჭოთა მწერლისეული“ ვარიანტი.

2. სასხორულის გარდა, არც ერთი ვარიანტი არ იცნობს გამოთქმას: „მოზიდნა ნაწნავს თმისასა“... ამას „საბჭოთა მწერლისეული“ ასე იმეორებს: „მოზიდა ნაწნავს თმისასა“.

3. ასევე, სასხორულს გარდა, არსად გვხვდება „მოზიდა“

ნე ვადას ხმლისასა... ასევეა „საბჭოთა მწერლისეულ ვარიანტში.

4. „საბჭოთა მწერლისეულ“ ვარიანტში სიტყვასიტყვით გამეორებულია: „ვენდვე მადლს ლაშარის ჯვრისასა“.

სასხორულში ამის თქმა, აზრის განვითარების მიხედვით, ლოგიკურია: ქართველი მოყმე მიენდო ყოველისშემძლე ლაშარის მადლს და ამ მინდობამ გაამარჯვებინა კიდეც ამიტომაც ამბობს ამ ვარიანტში ამაყად მოყმე: „ცოლი სიდედრსა მიეგვარე, ის კი იქა სკამს ქვიშასაო“.

„საბჭოთა მწერლისეულ“ ვარიანტში კი ლაშარის ჯვარისადმი ამ მინდობის შემდეგ მოყმეს იმედი უცრუვდება, იგი იღუპება და ამას გარდა... ცოლი „სხვისას“ მიდის... საოცარია, განა ამიტომ „მიენდო“ გაქირებებაში მყოფი მოყმე ლაშარის ჯვრის მადლს, რომ დაღუპულიყო და ცოლიც სხვისას წასვლოდა?..

ამგვარ ულოგიკობას მთქმელი არ დაუშვებდა. ლაშარს ან არ ახსენებდა და თუ ახსენებდა, შედეგსაც სასურველს მიიღებდა.

5. ასევე, სასხორულს გარდა, არც ერთ ვარიანტში არ არის:

არ იყო ღირსი, მოშორდა  
ცქერას ნათელი მზისა. .

„საბჭოთა მწერლისეულ“ ვარიანტში ამ სიტყვების გამეორება კვლავ ზემოთქმული მაგალითით ულოგიკობას წარმოადგენს.

ამ სიტყვების ქვეტექსტი დაბოლოების ჩაუკითხავადაც აფიქრებინებს მკითხველს, რომ ამის მთქმელი მოყმე ცოცხალი უნდა დარჩეს და „მზის ცქერას“ მხოლოდ უღირსი ყივჩაღი უნდა „მოშორდეს“, რაც ამ ვარიანტში არ ხდება.

როგორც ვხედავთ, „საბჭოთა მწერლისეული“ ვარიანტის ორმხრივმა (შინაარსობლივმა და ტექსტუალურმა) ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იგი ხელოვნურია, ისევე რო-

გორც სასხორული ვარიანტი, და არ წარმოადგენს ხალხური პოეზიის წიაღიდან მომდინარე ქმნილებას.

/

• • •

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მკითხველს ბუნებრივად დაებადება სურვილი თვალი გადაავლოს მუხრანული ბალადის იმ ტექსტს, რომელიც ჩვენ პირველთქმულთან მიახლოებულად მიგვაჩნია.

ამ სურვილის დაკმაყოფილება ადვილი არ არის. ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემულ და გამოუცემელ ვარიანტებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ მთქმელთა საცხოვრისის, გემოვნების, მეხსიერების და ზოგჯერ მორალის მიხედვითაც ეს ხალხური ლექსი ცვლილებას განიცდიდა, ხან გაბრწყინდებოდა, ხან ფერმკრთალდებოდა.

ამ ლექსის პირვანდელი ძეგლის ნანგრევებიდან ნამდვილის აღდგენის ცდა, როგორც ზემოთ დაუინახეთ, მარცხს არ გამოირიცხავს.

ძეგლის აღდგენა შეიძლება, მაგრამ ისე, რომ ამ შენებისას ჩვენი იყოს მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისი, გამჭრიახობა და ინტუიცია, რომელიც დულაბივით შეაქაფშირებს ამ დაზიანებული ძეგლის ირგვლივ მიმოფანტულ ჩუქურთმებს.

რასაკვირველია, ამგვარი მიდგომით აღდგენილი ძეგლი მაინც არ იქნება ამ ბალადის ხალხური ვარიანტი, თუნდაც ყოველი სიტყვა, ყოველი გამოთქმა, ხალხური ვარიანტებიდან იყოს ამოკრეფილი.

აი, ტექსტი, რომელიც ნამდვილ ბალადასთან მიახლოებულად მიგვაჩნია:

შემომეყარა ყივჩაღი  
სამზღვარსა მუხრანისასა,  
პურსა მთხოვდი და ვაქმევი,  
ვურჩევდი თაეთუხისასა,  
ღვინოსა მთხოვდა, ვასმევი,  
ვურჩევდი ბადავისასა,  
ხორსა მთხოვდა და ვაქმევი,  
ვურჩევდი ხოხობისასა,

ცოლი მთხოვა და არ მივეცე,  
 მიმყვანდა თავის ძმისასა,  
 ანკი ცოლს როგორ მივეცემდი,  
 ცოლსა ჯვარანაწერისასა?!  
 არ დაიშალა, აკოცა  
 ნაწნავსა გიშრის თმისასა,  
 ქალმა ტირილით ამოთქვა:  
 „ვაჰმე, ულონო ქმრისასა“,  
 ისეთი გული გამიხდა,  
 მორევესა ჰგვანდა ზღვისასა.  
 ხელი გავიკარ ფრანგულსა,  
 ნაბოძებ ცოლისძმისასა,  
 ერთი ისეთი გადავკარ,  
 რისხეასა ჰგვანდა ლეთისასა,  
 ერთი იმანაც გადმოშკრა,  
 ელვასა ჰგვანდა ცისასა,  
 იმდენი კიდევ დამცალდა,  
 ცოლი გავგზავნე ძმისასა,  
 აქეთ ნე მოვკედი, იქით ის  
 საშზღვარსა მუხრანისასა.

შეიძლებოდა, ბალადის ამ დაბოლოების ბოლო ორი სტრი-  
 ქონის მაგიერად, უპირატესობა მიგვეცა ი. სონლულაშვი-  
 ლის მიერ დილომში ჩაწერილი ვარიანტის დაბოლოები-  
 სათვის:

აქეთ შე ვკვდები, იქით ის,  
 ქალი წავიდა ძმისასა,  
 შენდობას მაინც იტყვიან,  
 შე და იმ ყიფჩაღისასა“...

მაგრამ ეს საკითხი პრობლემატურია. შეიძლება შემოგვე-  
 დავონ, რა შენდობაზე შეიძლება ლაპარაკიო?

შევეცდებით, გავარკვიოთ ეს საინტერესო კითხვა.

ქართულ ხალხურ პოეზიაში არაიშვიათად ვხვდებით ერთ-  
 საინტერესო მოვლენას: ლექსებში, სადაც აღწერილია ხალ-  
 ხისთვის საყვარელი გმირის სიკვდილი, სადაც შექებულია

\* ჯიჯიბისასა.

მისი ვაჟკაცობა, დავიწყებული არ არის მისი მძლეველის ვაჟკაცური ღირსებაც. ამის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოთ გარჩეული ლეჟსი, სადაც ბუსნის ქალის პირას მოკლულ ლომკაცს ამგვარად მიმართავს მოკლულის ვაჟკაცური შესახედაობით განცვიფრებული ქალი: „ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნი ქალაის პირსაო“.

ამგვარივე სულისკვეთებით არის გამსჭვალული შესანიშნავი ბალადა „მოყმე და ვეფხი“, სადაც მოყმის დედა ვაჟკაცურად დახოცილი შვილისა და ვეფხის ნახვის შემდეგ საოცარ, თუ შეიძლება ითქვას, არაადამიანურ გულთბილობას იჩენს მოკლული ვეფხისადმი:

არც ვეფხი იყო ჯაბანი,  
არც ჩემ შვილ შახედა კეკიანი,  
მათ დაუხოცავთ ერთურთი,  
არ დარჩნენ სირცხვილიანი...

დედას არა სჯერა ვეფხთან მეომარი გმირის სიკვდილი და ამაყად ამბობს:

შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ,  
დაქანტული ხარ ჯაფითა,  
ეს შენი ჯაჭვის პერანგი  
ოხერმა როგორ დაფლითა,  
შენც იმის საფერ პუოფილხარ,  
ხმალი ქნევაში გაგიცედა.

საოცარია, მაგრამ შვილის სიკვდილით გულმოკლული დედა ვეფხის დედასთან სამძიმრის სათქმელად წასვლასაც კი აპირებს:

იქნება ვეფხის დედაი  
ჩემებრ დღედაღამ სტირისა,  
წავიღე, მეც იქ მივიღე,  
სამძიმარ ვუთხრა კირისა,  
ისიცი მიამბობს ამბავსა,  
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,  
იმასაც ბრალი ექნების  
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიდმური ვარიანტის მთქმელსაც ისეთივე გრძნობა ათქმევიანებდა ამ სიტყვებს: „შანდობას მაინც იტყვიან მე და იმ ყივჩაღისასა“, რამაც „ბუსნი ჭალაის“ მთქმელს ათქმევიანა: „ლომო, შე ლომის მოკლულო“... და რამაც შვილმოკლული დედის გამწარებული გული ვეფხისა და მისი დედის პატივისცემით გამსჭვალა.

ხომ შეიძლება ყივჩაღის ლექსის ამ დაბოლოებაში იყოს კვალი ბალადის ნამდვილი და ძველი ფინალისა?

\* \* \*

ახლა შევეხებით ბალადის წარმოშობის დათარიღების საკითხს.

მიხ. ჩიქოვანი თავის შრომაში, ემყარება რა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა ჩამოსახლების შესახებ საქართველოში, მუხრანული ბალადის წარმოშობის დათარიღებისათვის ამბობს:

„ქართული ბალადა (ე. ი. „ყივჩაღის ბალადა“ — გ. შ.) შექმნილია ყივჩაღების ჩამოსახლების პირველ პერიოდში, დავითის სიცოცხლეში, როცა ახლადმოსულებმა კარგად არ იცოდნენ ქართველთა ზნე-ჩვეულებები და ადგილობრივ მკვიდრთ აღმატერად უყურებდნენ“.

ჩემი აზრით, მტკიცება ძალზე კატეგორიულია.

რატომ უსათუოდ „ყივჩაღთა ჩამოსახლების პირველ პერიოდში“, და ისიც უსათუოდ „დავითის სიცოცხლეში“?

ყივჩაღთა მოთვინიერების და ასმილაციის პროცესი არც ისე სწრაფად მოხდებოდა. ის ფაქტი, რომ მე-13 საუკუნიდან „ქართლის ცხოვრება“ ყივჩაღებს აღარ ახსენებს, ამ უფლებამოსილი და მრავალრიცხოვანი ტომის სწრაფ ასმილაციას არ უნდა გვიდასტურებდეს.

დავითის და თამარის ძლიერი სამეფოს დაშლის და ყივჩაღთა, როგორც სამხედრო ძალის მოსპობის შემდეგ, ცხადია, „ქართლის ცხოვრებაც“, როგორც ოფიციალური ისტორია, გვერდს აუვლიდა ყივჩაღთა ხსენებას, რადგანაც მათ სამხედრო-სახელმწიფოებრივი ფუნქცია აღარ ჰქონდათ.

ჩვენი აზრით, მუხრანული ბალადის წარმოშობის დათარიღებისათვის მიხ. ჩიქოვანი ძალზე მცირე დროის მონაკვეთის სდებს („დავითის სიცოცხლეში“). რატომ დავითის მომღევენო მეფეების დროს არ შეიძლებოდა შექმნილიყო ეს ბალადა?

უფრო დამაჯერებელია ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმული აზრი ამ ბალადის წარმოშობის დროის შესახებ: „ხსენებული ლექსი XIII—XIV საუკუნეებზე გვიანი წარმოშობისა არ უნდა იყოს“.

ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ (გვ. 241) ვხვდებით ერთ საინტერესო ცნობას იმის გამო, რომ „თამარის დროს მთიულმა და ოვსმან, ყივჩაღმან და სუანმან ვერა იკადრიან პარვა“.

როგორც ამ ძუნწი ცნობიდან ჩანს, თამარის მეფობამდე ეს მოვლენა (პარვა, ტაცება) იმდენად საკვირბოროტო და მასობრივი მოვლენა ყოფილა, რომ მისი მოსპობა საქართველოს ძღვევამოსილ მეფეს ისტორიულ დამსახურებად ეთვლება ოფიციალური ისტორიის მიერ... ცხადია, თამარის გამეფებამდე არსებული სოციალური მოვლენა „პარვა“, (რაშიც ყივჩაღთა შეიარაღებული გათავებდებული ლაშქარი, ცხადია, პირველი იქნებოდა!) თამარის მიერ სამეფო ტახტზე ფეხის შედგმისთანავე სასწაულებრივად არ გაქრებოდა, ეს პროცესი უთუოდ თამარის მეფობის პირველ ხანებშიც გრძელდებოდა; ისე, ცხადია, „ქართლის ცხოვრება“ მას დამსახურებად ვერ ჩაუთვლიდა „პარვის“ მოსპობას.

ეს საინტერესო ცნობა და ზოგადი მოსაზრება იმის გამო, რომ ყივჩაღთა მოთვინიერების და გაქართველების პროცესი უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, საფუძველს გვაძლევს იმისას, რომ „მუხრანული ბალადის“ წარმოშობის დროის მონაკვეთი უფრო ფართოდ წარმოვიდგინოთ.



ძირითადი საკითხების გარკვევისას ვერ შევეხეთ ბევრ წერილმან საკითხს, რასაც ბალადის ვარიანტული სხვაობანი ან საგულისხმო დეტალები აღძრავდნენ. ეს გამოიწვევდა ხშირ გადახვევას და უფრო მეტად დატვირთავდა წერილს. ამიტომ ამ საკითხით დაინტერესებულთ ამ შენიშვნებით გავესაუბრებთ\*.

არ შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილი გვექონდეს ამ წერილამდე დაბეჭდილი თუ ხელნაწერების სახით დაცული ყველა ვარიანტი. ზოგიერთ გამოუქვეყნებელ ვარიანტზე მიგვითითა პროფ. მინ. ჩიქოვანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ზოგი ვარიანტი დასათაურებელია გამომქვეყნებელთა ან ჩამწერთა მიერ. მართლწერა და პუნქტუაცია დაცულია.

1. შემოშეყარა ყიფჩაგი ბოლოსა მუხრანისასა,  
პური მთხოვა და ვაჟამე, ვურჩევდო თავთუხისასა,  
ღვინო მთხოვა და ვახშიე, ვურჩევდი ბადაგისასა,  
ხორცი მთხოვა და ვაჟმიე, ვურჩევდი ხოზობისასა,  
ცოლი მთხოვა და არ შიეე. მიმკავდა მაშა-ძმისასა,  
წამოდგა, ხელი წაელო ნაჰაანსა ქალის თმისასა,  
ქალმა შასტირნა; შაკიელა: „იმედს ვარ ცულის ქრმისასა!“  
დამრცხვენდა, ხელი დავიდე ვადას ფრანგულის ზღმისასა.  
ჯერ ყიფჩაგმ ჩამოიქნია, რისხეასა ჰგვანდა ცისასა,  
მერე მე გადაუქნეი, წერი უწვდინე ქეიშასა,  
ყიფჩაგის თავი გაგორდა, ვაი, დედას ყიფჩაგისასა!  
ქალ, ავდეგ, წამოვიყვანე, შინ მივიყვანე ძმისასა.

ეს ვარიანტი ჩაწერილია ხეცსურეთში მ. ი. ხ. შ. ა. მ. ა. ნ. ა. უ. რ. ის მიერ. დაბეჭდილია ექვთ. თაყაიშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“. საინტერესო ვარიანტია, განსაკუთრებით იმით, რომ რევოლუციამდე ჩაწერილ-გამომქვეყნებულთა შორის ერ-

\* მოგვეყვს მხოლოდ შთავარი ვარიანტები. ბალადის ჩვენს ხელთ არსებული ყველა ვარიანტი გამოქვეყნებული გვაქვს წიგნში: „ნაფიქარი“, 1959 წ., გამომც. „საბჭ. მწერალი“.

თადერთია, სადაც გვხვდება ყივჩაღის ხსენება (ყ ი ფ ჩ ა გ ი ს სახით.) სხვა აღწერილობით ვარიანტებში „ყივჩაღი“ დავიწყებულია (ოღნავ. უახლოვდება თუშური ყ ი ბ რ ა გ ი, თუ ის ა ბ რ ე კ - ა ბ რ ა გ თ ა ნ უფრო ახლო არა დგას).

ხევსურული ვარიანტი რომ არ გადარჩენილიყო, შესაძლოა, ისიც დავიწყებას მოსცემოდა, რომ ამ ბალადაში ყივჩაღია გამოყვანილი. რომ ეს მოსალოდნელი იყო, ამას ამტკიცებს ფშაური გ ი მ შ ე ლ ი და ხ ი რ ჩ ლ ა, ქართლური ჯ ი ჯ ი ბ ი, შ ა ვ ნ ა ბ ა დ ე ლ ი, ქ ი ნ ც რ ა ძ ე, ჩ რ დ ი ლ ო ყ მ ა და სხვანი.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება განვსაზღვროთ ბალადაში ლაშარის ჯვრის ხსენების საკითხი: თუ კი ეს ბალადა მთის ფოლკლორის სამყაროს ეკუთვნის, ეს უძველესი და თანაც ხევსურული ვარიანტი ხომ შეინახავდა ხევსურული ლექსების აახელს, ისევე, როგორც მან ერთადერთმა დაიცვა ყივჩაღის ხსენება.

სხვა საკითხია ის, თუ რატომ არის ნახსენები უფრო გვიანდელ, ჩვენს დროში ჩაწერილ ვარიანტებში „ყივჩაღი“. აქ, როგორც გამოიჩევა, ზოგჯერ რედაქტორის ხელი ურევია, ზოგჯერ გამოქვეყნებული ტექსტის გავლენა. შესაძლოა იყოს გამონაკლისიც და რომელსაღმე ვარიანტში ეს სახელი ძველი ფესვიდან მოდიოდეს, მაგალითად: ყ ი ნ ჩ ა ი და სხვ.

## 2. დაჯექ, ძმობილო, მიაშვე ცდა შენი დ ყიბრაგისაო.

დაჯადებ, ძმობილო, გაამბობ:

პური მთხოვ, პური ვაჭაშე, ირჩეედა სიმინდისაო,

ხორცი მთხოვდ, ხორცი ვაჭაშე, ირჩეედა ხობობისაო...

ღვინო მთხოვ, ღვინო ვასვი მე, არჩია ბადავისაო...

ახლა ცოლს მომკიდებია, გაზარდულს სხვისა შეიღისაო...

ყიბრაგმა ხელი ჩაავლო, ვეფხვი ჩაავა ბჭალსაო.

ქალმა დაძრაბა ბენაშე: იშედო ჩემო მხრისაო!

ყიბრაგმა გადმოშინია, ელვას დაამგზავს ცისაო,

ერთი მეც გადაუქნია, ელვას დაამგზავს ცისაო.

ცხენ-მხედარ გაეწყვეტინე, წვერი მიწასა სწვდისაო!

მე ცოლსა ვერას გავატანდ, ხათრი მქონდა სიდღერისაო,

წელს მერტყა ქამარ-ხანჯალი, ნაჩუქარ ცოლის ძმისაო...

ჩაწერილია თუშეთში, ი. ვ. ბუქურაულის მიერ. დაბეჭდილია ექვთ. თაყაიშვილის „ხალხური სიტყვიერების“ 1 ტომში. საინტერესოა იმით, რომ ეს თუშური ვარიანტი იცავს ბარის კილოს: „ვაქამე, ვასვი“ და არა: „ვაქმიე, ვასმიე“-ს.

3. ამბავსა მკითხამ, გიამბობ, ნეტავ იმ ჯიჯიბისასა ჩვენ სამნი შავიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა. ამბავსა მკითხამ, გიამბობ, ნეტავ იმ ჯიჯიბისასა პურსა მთხოვდა და ვაქმეველი, ურჩეველი ქაბაბისასა, ღვინოსა მთხოვდა ვასმეველი, ურჩეველი ბადაგისასა. ხორცსა მთხოვდა და ვაქმეველი, ურჩეველი კაკაბისასა, ცოლი მთხოვდა და ვერ მივეცი, მიმყვანდა სიმამრისასა. ხელი გადასდო, აყოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა. ფრანგულსა ხელი გავიყარ, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა, ერთი ისეთი შემოვყარ, წვერმა უწია ქვიშასა, ერთი იმანაც შამამყარა, ელვასა ჰგვანდა ცისასა. აქეთ მე გვკლები, იქით ის, ქალი წავიდა ძმისასა. შანდობას მაინც იტყვიან მე და იმ ჯიჯიბისასა

ჩაწერილია სოფ. დიღომში, ირ. სონღულაშვილის მიერ. დაბეჭდილია იმავე კრებულში. ამ ვარიანტზე საკმაოდ ითქვამუნდა დაემატოს ის, რომ ამ ვარიანტში ორჯერ ნათქვამი „ნეტავ იმ ჯიჯიბისასა“ ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომა უნდა იყოს. ამას ამტკიცებს ბალადის ბოლო სტრიქონი: „მე და იმ ჯიჯიბისასა“.

#### 4. ცოლსა ნუ გეხუშრებნი

ცოლსა ნუ გეხუშრებნი, თავს უკეთესის ყმისასა, !  
გაგიგებს, გაგიჯაერდება, ვადას შაპზიდნებს ხმლისასა, თუ მკითხავ, კიდევ გიამბობ, ჩემსა და გიმშელისასა, ცუდს ალავს შავიყარენით, სამზღვარსა ხაშუხისასა. პური მთხოვა და ვაქმიე, ურჩეველი თათუხისასა, ღვინო მთხოვა და ვასმიე, ურჩეველი ბადაგისასა. ხორცი მთხოვა და ვაქმიე, ურჩეველი ხოხობისასა. ცოლი მთხოვა და ვერ მივეცი, მიმყვანდა ცოლის ძმისასა, მართომდა, არ იჯერებდა, ნაჯაბნს სწვდა ქალისასა. ქალმა იძახა წინწინა: „ვაჰ, ცოლსა ცუდის ყმისასა!“ მაშინვე ხელი გავიყარ ნაჩუქებ ცოლის ძმისასა, წინწინ იმანვე დამასწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა, ახლა მე გადაუქნიე, რისხვასა ჰგვანდა ხთისასა,

დავაღუჯინენ ცხენ-კაცნი, წვერი უწვდინე ქვიშასა,  
მე აქავ მოველ ცოცხალი, ის იქავ სკამს მიწასა

ჩაწერილია ფშავში, სოფ. ინოში თ ე ღ ო რ ა ზ ი კ ა შ ე ი -  
ლ ი ს მიერ, ბეწინა წოწკურაულის თქმით. დაბეჭდილია მიხ.  
ჩიქოვანის „ხალხ. სიტყ.“ 3 ტ.

ეს ვარიანტი საყურადღებოა იმითაც, რომ როგორც წე-  
რილშია გარკვეული, „სასხორულის“ შემდგენს აქედან უსარ-  
გებლია, როგორც ძირითადის (დაბოლოება), ისე დეტალების  
(„ვ ა და ს მ ა ჰ ზ ი დ ნ ე ბ ს ხ მ ლ ი ს ა ს ა“, „ვ ა ჰ შ ი ე,  
ვ ა ს მ ი ე“) გადატანით. ტრანსფორმაციის თვალსაზრისით სა-  
ინტერესოა ს ა მ უ ხ ი (მუხრანი) და ნაჯაპნი (ნაწნავე).

#### გ. შემოთქმარა შიშხალი

შემომეყარა ყიეჩალი სამზღვარს მუხრანის ვზისასა,  
პური მთხოვა და ვაჰმეი, ვურჩევედი თავთუხისასა,  
ხორცი მთხოვა და ვაჰმეი, ვურჩევედი ხობობისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმეი, ვურჩევედი ბადაგისასა.  
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, მიმყვანდა სიდედრისასა,  
ან კი ცოლს როგორ მივეცემდი, შვილსა გარდილსა ხხვისასა.  
ხელი მოჰხეია, აცოცა მოზიდნა ნაწნავს თმისასა,  
შესტირა საბრალო ქალმა: „ვთი ცოლს ცუდის ყმისასა!“  
მეც გულმა ველარ გამიძლო მოვზიდნე ვადას ხმლისასა,  
უმალვე იმან დამისწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა.  
მაგრამ დაუცდა მუხნათს, ვინაცლევ მაღლსა ზეთისასა,  
ახლა მე შემოეუქნეი, ვინდევ მაღლს ღაშრის ჯვრისასა.  
გაეჭერი ცხენი და კაცი, წვერიც მომიხედა ქვიშასა,  
არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნაფელის მზისასა,  
ცოლი სიდედრსა მივევარე, ის კი იქა სკამს ქვიშასა.

დაბეჭდილია ვ ა ხ ტ. კ ო ტ ე ტ ი შ ე ი ლ ი ს „ხალხურ პოე-  
ზიაში“. 1934 წ., ქ. ქუთაისი. ჩაწერილია ქართლში, სოფ. სას-  
ხორში, მთქმელი ვ. კავთიაშვილი (ჩამწერი დასახელებული არ  
არის)

#### დ. შემოთქმარა შიშხალი

შემომეყარა ყიეჩალი, სამზღვარსა მუხრანისასა,  
პური მთხოვა და ვაჰმეი, ვურჩევედი თავთუხისასა.

ბორცი მთხოვა და ვაკშიე, ვურჩევდი ბობობისასა.  
ღვინო მთხოვა და ვასშიე, ვურჩევდი ბადაგისასა.  
ცოლი მთხოვა და ვერ მივეცი, მიმუაედა სიღედრისასა,  
ან კი ცოლს როგორ მიეცემდი, შეილსა გავრდილხა სხვისასა.  
ბელი მოჰკიდა, აკოცა, მოზიდა ნაწნავს თმისასა.  
შესტირა საბრალო ქალმა: „ვამ ცოლს ცუდი ყმისასა“.  
მეც გულმა ველარ გამიძლო, მოვნიდნე ვადას ხმლისასა,  
უმაღეე იმან დამასწრო, ელესაა ჰგვანდა ცისასა, —  
ახლა მე შემოუქნიე, ვინდვე მაღლს ლაშრის ჯვრისასა.  
გაკვერა ცხენი და კიკი, წვერიც უწვდინე ქვიშასა —  
არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნათელის მზისასა.  
აქეთ მე ვკვდები, იქით ის, ქალი წაეიდა სხვისასა.

დაბეჭდილია კრებულში „ხალხური პოეზია“, რჩეული-  
შედგენილი ალ. გომიაშვილისა და რაქ. გვეტაძი-  
სა, „საბჭოთა მწერალი“, 1950 წ.

ამ ვარნიანტის მთქმელი და ჩამწერი დასახელებული არ  
არის.

## მესხური სუფრული

სწორედ ოცი წლის წინათ ვარძია დავათვალეირე.

ამ განსაცვიფრებელი კლდექალაქის დათვალეირების შემდეგ ახლომახლო სოფლები — ზედათმოგვი და გოგაშენიც მოვიინახულე. ორივე სოფლის ოჯახში, ეზოში თუ ორლობეში მშვენიერი ქართული გაისმის.

სამხრეთ საქართველოს ეს ძველი კუთხე მრავალმხრივ ღრის საყურადღებო, ამიტომ არც აქ მილალატნია ბავშვობიდან აკვიატებული ჩვეულებისათვის, ხელში ფანქარი და უბის წიგნაკი მეჭირა, გაგონილს თუ ნახულს ვიწერდი...

გოგაშენისკენ მიმავალს თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი შემხვდა.

შევეკითხე, რა გქვია-მეთქი.

გორგა მქვიაო, მკვირცხლად მიპასუხა... გვარად, მგონი. ნათენაძე იყო.

ამ იშვიათმა სახელმა მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება, ვკითხე, ეს რა სახელია, გორგა რას ნიშნავს-მეთქი.

— არ იციო... — გაიკვირვა გორგა ბიჭმა, — ქართველთ მეფე გორგასალი არ გაგიგონიაო... ჰოდა, მეც მისი სეხნია ვარო.

მას შემდეგ მესხეთში აღარ ვყოფილვარ, გორგა ბიჭიც დავკარგე თვალიდან...

ამ მოგზაურობის დროს გავიცანი აგრეთვე ძალზე საინტერესო მესხები — ზედათმოგველი გიორგი გრიგოლის ძე მაისურაძე და სერაპიონ ივანეს ძე ნათენაძე.

გ. მაისურაძემ და ს. ნათენაძემ მრავალი დასამახსოვრებელი რამ მითხრეს და ჩამაწერინეს, ჩამაწერინეს დიდი ხალისით... ხალისით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სხევან მო-

გზაურის შეკითხვებს და, მით უმეტეს ფანქარს, ცოტა არ იყოს, ეპვიით უცქეროან...

საუბრის დაწყებისთანავე გიორგი მაისურაძემ მითხრა: — მესხეთი პირველთქმულიაო...

ეს ნათქვამი მომეწონა. უმაღლვე ვენდე ამ სიტყვების მთქმელის გულს, ენას, პოეტურ გემოვნებას და ვთხოვე, თუ რამ ლექსი ან ლეგენდა იცოდა; ეთქვა.

გიორგიმ მაშინვე ორი ლეგენდა მიამბო. პირველი თმოგვისა, მეორე „ხერთვისელი ოსტატისა და შეგირდისა“.

თმოგვის ციხის ლეგენდა ლიტერატურაში ცნობილია და ქართველთა მეფის ლეონისა და მისი ლამაზი მეუღლის ამბავს ეხება. ეს ლეგენდა სპარსთა მეფის მიერ ღირსეული ქმრის მოღალატე დედოფლის ცხენის ძუაზე გამობმით მთავრდება.

ვარძიის ახლომდებარე სოფლების დანკალისა და აფნიას სახელწოდებანი ჩემმა მოსაუბრემ ამგვარად ახსნა ლეგენდის დახმარებით:

იმ ადგილს, სადაც დედოფალმა იტირა და კრემლი აპნია, ახლა აფნია ჰქვია, ხოლო სადაც ცხენის ძუაზე გამოაბეს და თრევით მოკლეს, დანკალი ჰქვია, რადგან გამწარებული დედოფალი გაჰკიოდა: დამკალით, დამკალითო!

მეორე ლეგენდა მესხური ვარიანტია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ამშენებელი ოსტატის დასჯის ამბავისა, თუმცა მრავალმხრივ განსხვავდება მისგან. მესხურ ლეგენდაში შუარიანი ოსტატის ნიჭიერი შეგირდი მკლავის მოჭრით არ ისჯება. იგი იღუპება თავის მიერ ამშენებული ხერთვისის ციხის მაღალი ქონგურიდან გადმოფრენის დროს.

მაშინ მე უფრო ხალხური ლექსები მაინტერესებდა...

გ. მაისურაძემ ორი ლექსი\* ჩამაწერინა, ს. ნათუნაძემ — საში. არ შეიძლება მეტი და უკეთესი არ სცოდნოდნათ ამ კეთილად მოქართულე გლეხებს, ამიტომ ახლა ძალიან ვნანობ, რომ მეტ ხანს არ დავრჩი მათთან.

\* ქვემოთ გამოქვეყნებული პირველი ორი ლექსი

ამ ლექსებს ისინი „სუფრულს“ უწოდებდნენ, ალბათ იმიტომ; რომ მხოლოდ სუფრასლა შერჩენიან. ლექსები რელიგიური ხასიათისაა და საღვთო წერილის გავლენით არის შექმნილი. როგორც ვიცი, ეს ლექსები ცნობილი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო უნდა იყოს ის ამბავი, რომ ეს უთუოდ უძველესი ლექსები ჩვენს დროში ხალხის ხსოვნაში კოცხლობს და სუფრაზე იმღერება.

ვაქვეყნებ ისე, როგორც მითხრეს.

### სუფრული

მისი მადლით ზარი ზეცას აიწია,  
დასამანის\* კედარი ადგა,  
ყველი\*\* ყური მოიწია...  
ქრისტე დაჯდა გამკითხველად,  
შვილი მამას ვერ ეწია,  
ჯანო,\*\*\* დარბაისელნო!

• • •

მტრედმა თავისა ჰალითა  
ერუსალიმს კოშკი დადგა,  
ზედ საყდარი ააშენა,  
ქვეშ მირონის გუბე დადგა,  
იქ რომ წირვა-ლოცვა იდგა,  
მისი მადლი შეგვეწიოს!

### სუფრული

დღეს ამისთვის ეწუხვარ, ვგლოვობ,  
რათა ეამნი მოიწიოს,  
ჯეარნი ადგეს ამ სოფლისა,  
ზარნი ზეცას იიწიოს,  
ქრისტე დაჯდეს გამკითხველად,  
შვილი მამას ვერ ეწიოს,  
გვედარები. ღვთაშობელო,  
მადლი შენი შეგვეწიოს!

---

\* უნდა იყოს: დასამანის.

\*\* ნიშნავს: ყოველი.

\*\*\* უნდა იყოს: ჯანო. შესაძლოა, ასეც ითქვა და მე სწორად არ შემოგვსმა.





სოფლად ვიყავ, ბევრი ვცოდე,  
ტვირთი მძიშე მოვიციდე,  
სამუელის გუნდმა გთხვიოს,  
შენებურად მოეკიდე.  
სასუფიველს რო მოხვიდე,  
ხელი მაგრა ჩვენ მოგვიდე,  
გევედრები, ღვთიშობელო,  
მადლი შენი შეგვეწიოს!



გარდამოხდა სიტყვა ხეთისა,  
სამებას რო შეეხო,  
გაბრიელის ხარებითა  
მზე ქალწულმა მუცლად იღო,  
გამოეცხადა ივანე,  
ნათლილებას ხელი მიჰყო,  
გევედრები, ღვთიშობელო,  
მადლი შენი შეგვეწიოს!

## პოეტური შემდგომი

ეს მოხდა 1948 წლის გაზაფხულზე...

რუსთაველის თეატრის ახალი დადგმა, ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი“ ვნახე, გარეთ გამოვდიოდი. ჩემ წინ ორი ჩემი მეგობარი ახალგაზრდა მწერალი შევნიშნე. ისინი აღგზნებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს. სიტყვას არ აცლიდნენ, ღელავდნენ, ეტყობოდათ, ახალ სპექტაკლს ნოყიერი საზრდო მიეცა მათთვის. ერთი, მეტად სულსწრაფი, ჩქარობდა დასკვნების გამოტანის დროს, მხოლოდ ნაკლს აღნიშნავდა და რატომღაც დადებითზე ღუმდა. მეორე, უფრო დინჯი და აუჩქარებელი, როგორც ყოველთვის, ახლაც დაფიქრებულად მსჯელობდა. მე მათ წამოვეწიე, ჩემმა მისვლამ კამათი უფრო ზომიერი გახადა: ბოლოს და ბოლოს მოკამათენი შეთანხმდნენ. მათ დაასკვნეს, რომ, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, თეატრმა დადებითი სპექტაკლი შექმნა, რეჟისორმა გზა მიცა ახალგაზრდა ნიჟერ აქტიორებს, მხატვარს... წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდა მსახიობის ვ. დოლიძის თამაში. მან ორიგინალური სახე შექმნა სამშობლოს ღალატით სინდისის ქენჯნისაგან შეძრწუნებული კონსტანტინე ბატონიშვილისა. ეპოქის სტილი და კოლორიტი კარგად აღუდგენია ნიჟერ მხატვარს ფ. ლაპიაშვილს... თეატრის არჩევანი — ალ. ყაზბეგის იუბილეს „ქეთევან დედოფალით“ შეხვედროდა, — მისასალმებელ მოვლენად მიიჩნიეს.

ამის შემდეგ საუბარი ალ. ყაზბეგის დრამის ირგვლივ დატრიალდა და წმინდა ლიტერატურული ხასიათი მიიღო. მე საინტერესოდ მეჩვენა ეს საუბარი და შინ დაბრუნებისთანავე აღვადგინე.

აი მათი პაექრობის თითქმის სიტყვასიტყვითი ჩანაწერი:

პირველი: მე კარგა ხანია აღექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიული ნაწერებისათვის აღარ გადამიხედავს და უნდა ვთქვა, რომ დიდი სიამოვნება განმაცდევინა დღევანდელმა წარმოდგენამ... ყაზბეგს რომ ადრევე არ დაენებებინა ამ ქანრისათვის თავი, ჩვენი დრამატურგიის ფესვები უფრო ღრმა იქნებოდა, უფრო ძარღვიანი. ჩემი აზრით, „ქეთევან დედოფალი“ მოკლებული არაა დიდი მწერლის ხელს.

მეორე: მაინც მისი პროზა უფრო მდიდარია, მაღალი, სრულქმნილი.

პირველი: ცხადია, მაგრამ განა ამ დრამაში ცოტაა ბრწყინვალე გაელვებანი? ჯერ მარტო კახელი გლეხის შეპყრობის სცენა რად ღირს!.. სპარსელები გლეხს ხარს წაართმევენ... როდესაც ის აღშფოთდება და წინააღმდეგობას უწევს, ხეზე მიაკრავენ, სიკვდილით ემუქრებიან... სიკვდილი არ აშინებს ქართველ გლეხს, მისი სული უტღბია, დაუმორჩილებელი. მაშინ სპარსელები მას წამებისთვის ამზადებენ.

„რეგვენო, გულ-მკერდს გაგიფატრავთ. გაწამებთ...“ — ემუქრებიან სპარსელები.

„ბოლოს ხომ მოვკვდები“... — უპასუხებს გლეხი.

„გულს ამოგართმევთ, სისხლს გამოვწურავთ!“ — თავს დაჰკივიან ჯალათები.

„ბოლოს ხომ მოვკვდები“... — ისევ დინჯად უპასუხებს ხელ-ფეხგაკრული გლეხი.

„მოკვდები, მა რა მოგივა!..“

„მოვკვდები და მოვიხევენებ, მოვკვდები და სასუფეველს მივიღებ!“ — არა ტყდება სამშობლოს ერთგული გლეხი.

ამ ადგილმა ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ გამახსენა.

მეორე: მაინც რატომ?

პირველი: აბა გაიხსენებ ზვიადაურის წამების აღწერას: ქისტები ხევსურ ზვიადაურს გარს შემორტყმიან, უნდათ თავიანთ მკვდარს დააკლან, რომ საიქიოს მის მსა-

ხურად და „ჯღანის მბანდველად“ აქციონ ურჩი სტუმარი...

„ჩვენს მკვდარსაც შეეწირები!“ — ჩასძახიან ქისტები ზვიადაურს.

„ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა“ — გაჰკივის ხანჯალდაბჯენილი ხევსური. მან კარგად იცის, რასაც ნიშნავს „სხვის მკვდრისად“ სულის შეწირვა, ამიტომ არ ტყდება და ქისტების ყოველ დამახილზე, რომ მათ მკვდარს შეეწიროს, თვალის დაუხამხამებლად იმეორებს: „ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა, ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა“

**მეორე:** მსგავსება არის, მაგრამ ეს მსგავსება გარეგნულია: ორივე შემთხვევაში აწამებენ კაცს, ქართულ კაცს აწამებენ უცხო მოძალადენი...

**პირველი:** არა, აქ მე უფრო შინაგან, სულიერ მსგავსებას ვხედავ... აბა კარგად ჩაეუღრმავდეთ საკითხს. ორივე შემთხვევაში მოძალადეთა მიზანი წამება ან დასჯა კი არ არის, არამედ „სულის გატეხა“, სულის დამორჩილება: ერთის, ქიტი მიცვალებულის მონა-მორჩილად ქცევა, მეორის — სამშობლოს მოღალატედ გახდომა დასჯა იწყება მხოლოდ მაშინ, როცა სული არ ტყდება და მოძალადეთა მიზანი მიუღწეველი რჩება. ზვიადაურს და კახელ გლეხს „სულის დაკარგვისა“ უფრო ეშინიათ, ვიდრე ფიზიკური წამებისა და სიკვდილისა, ამიტომ ამბობს ზვიადაური სიკვდილის წინ: ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა... ე. ი. მე მოვკვდები, მაგრამ ჩემი სული ცოცხალი დარჩება, თქვენს მკვდარს არ შეეწირება!

**მეორე:** მერე, განა კახელი გლეხიც მაგას ამბობს?

**პირველი:** დიახ, სწორედ ამას ამბობს სხვა სიტყვებით: მაწამეთ, გული ამომართვით, მაგრამ იცოდეთ, არ გავტყდები, ბოლოს ხომ მოვკვდები, მეც დავისვენებ და ჩემი სულიც სასუფეველს დაიმკვიდრებსო.

**მეორე:** ახლა უფრო ნათელი გახდა შენი დაკვირება და ვაჟის „ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა“ მართლაც დაემსგავსა ყაზბეგის „ბოლოს ხომ მოვკვდები“-ს, მაგრამ

ახლა მე მათხოვე ყური, რაღაც საინტერესო და ამ მოვლენის მსგავსი მეც შევნიშნე ყაზბეგის პიესაში. აქ უკვე ყაზბეგი ენათესავენბა, უკეთ რომ ვთქვათ, ეხმიანება წინა დროების ერთ პოეტს... გაიხსენე კონსტანტინე ბატონიშვილისა და ქეთევან დედოფლის შეხვედრა. სიყვარულისგან გამშაგებული ბატონიშვილი დედოფალს მუხლმოდრეკილი ეუბნება: გამხეცებულ სიყვარული გულს მიხოკავსო...

პირველი: ეს ხომ ალექსანდრე ჭავჭავაძეა!

განმხეცებია, ვაჰ, სიყვარული,  
და გულსა მიხოკს, ვითა ღომია!

მეორე: ალბათ ალექსანდრე ყაზბეგი თავისი სეხნიის ამ შესანიშნავ ლექსს ხშირად ღიღინებდა გულში და ხედავ, სად გამოუეონავს!

პირველი: ხდება შემთხვევითი შეხვედრებიც... ამ რამდენიმე ხნის წინათ. გამოვაქვეყნე ერთი პატარა ლექსი, რომლის გამოც ერთმა საკმაოდ ცნობილმა მწერალმა ხუთიოდე უცხოელი პოეტის გვარი დამისახელა, როგორც ჩემი უმნიშვნელო ლექსის პირველწყარო. რას იტყვი ამაზე?

მეორე: ჰო, მახსოვს, კარგად ვიცნობ იმ პატივცემული გვამის შემოქმედების პირველწყაროებსაც! მას ალბათ საკუთარი გამოცდილება ალაპარაკებდა. ჩვენ ახლა მათ მსგავსებაზე არა ვმსჯელობთ, მიმბაზველობა და მონური ეპიგონობა სხვა არის და სულთა ნათესაობა, ან ცალკეულ განწყობილებათა ერთგვარი შემღერება სხვა. ერთგან სისტემაა, მეორეგან გამონაკლისი... ჩვენი მწერლობის ბუმბერაზები თავისი ხმით მღეროდნენ, და თუ ხანდახან სხვისი კილო გაერეოდათ ან წამოსცდებოდათ, ეს იმ მაგნიტური ძალის ბრალია, რითაც ისინი ერთმანეთს ხიბლავდნენ, იზიდავდნენ... ხშირად ტრადიციული ლექსის ეშხი ნოვატორის ხმასაც კი ასხვავებდნენ.

პირველი: ჰო, ორბელიანი გამახსენდა. მის ომახიან, წმინ-

და ქართულ ხმაში ზოგჯერ საიათნოვას ყარაჩოლული წკრიალა კილო იელვებდა ხოლმე. აკაკიც წერდა მუხამბაზებს, ხოლო ვახტანგ ორბელიანი მუხამბაზით ცდილობდა მუხამბაზის განდევნას:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა!

მეორე: რამდენი ასეთი, ერთი შეხედვით, წერილმანია შეუსწავლელი... ნეტავ რას აკეთებენ ჩვენი ლიტერატურის მკვლევარები?

პირველი: ისინი უფრო სერიოზული საქმეებით არიან ჯერჯერობით გართულნი... მაგრამ დავეხსნათ მათ. მე ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვი. ამაზე ბევრი მიფიქრია და, რახან სიტყვამ მოიტანა, არ დაგიმაღავე. მე შევნიშნე საგულისხმო შემღერებათა ქსოვილი, რომელიც ლავრენტი არდაზიანსა და ილია ჭავჭავაძეს, დანიელ ჭონჭაძესა და ილია ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმავე გრიგოლსა და ილიას ერთმანეთთან საოცრად ანათესავებს. ეს შემღერებანი შეუიარაღებელი ყურისათვის შეუმჩნეველნი არიან... მათი მოსმენისა და შედარების შემდეგ ეს გოლიათები ჩვენთვის უფრო საყვარელნი ხდებიან, რადგან მათ ერთმანეთის სიტყვები გულით უტარებიათ, უღიღინიათ, მერე ოდესმე ბაგეს უნებურად წამოსცდენია, როგორც თავისი

მეორე: ამას, ალბათ, საერთო მიზანი, მიმართულება იწვევდა?!

პირველი: არა, მე საერთო იდეიდან გამომდინარე სულიერ ნათესაობაზე არ ვლაპარაკობ... ამაზე ისედაც ბევრს წერენ, წერენ და საჭიროც არის. ჩემი კვლევის საგანი თუ სარბიელი უფრო ვიწროა.

მეორე: მაინც?

პირველი: უნდა გამოვტყდე, ჯერ საგულდაგულოდ არ შემომოწმებია, აქამდე სხვასაც აქვს თუ არა შენიშნული ეს მოვლენა, ამიტომ პირველობას არ ვიჩემებ, თუმცა...

- მეორე: რაც აქამდე დაასახელე, ჩემთვის პირველი გაგონებაა.
- პირველი: თუმცა, შესაძლოა, რომელიმე მაგალითი ვინმეს ჩემზე ადრე შენიშნულიც კქონდეს, მაგრამ, როგორც მახსოვს, ეს საკითხი ცალკე არავის დაუყენებია.
- მეორე: კარგი, ეს ვრცელი შესავალი შენი წიგნისთვის შეინახე.
- პირველი: პო, ვიწყებ... აბა გავიხსენოთ არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.
- მეორე: გავიხსენე... ველოდები სასწაულს!
- პირველი: როგორ შერთეს ცოლი მეჯღანუაშვილს?
- მეორე: შეუცვალეს... ლამაზი გაასინჯეს და მახინჯი ჩაუგორეს ლოგინში.
- პირველი: ასეა... ახლა ეს მითხარი, როგორ შერთეს ცოლი ლუარსაბ თათქარიძეს?
- მეორე: ლუარსაბსაც ასევე... თუმცა არა, ლუარსაბის ძმას დავითს აჩვენეს ლამაზი ქალი და საცოდავ ლუარსაბს ეკლესიაში გვერდით მახინჯი დარეჯანი დაუყენეს... აქ განსხვავებაა.
- პირველი: მთავარია ლამაზის მაგიერ მახინჯის შეტყუება! თუ დავუმატებთ იმასაც, რომ სახელები ლუარსაბ და დარეჯან იმავე რომანშიც გვხვდება, ჩემი დაკვირვება უფრო საფუძვლიანად მოგეჩვენება... გაიხსენე დარეჯან და ლუარსაბ რაინდაძეები! ეს სახელები რეალისტურ პროზაში პირველად არდაზიანმა იხმარა...
- მეორე: კარგი, ვთქვათ, ასეა...! კონკრეტულად და ილია რაღად ახსენე ერთად?
- პირველი: დიახ... გავიხსენოთ „სურამის ციხიდან“ ოსმან-ალას თავგადასავალი: ოსმან-ალას და ნატოს სიყვარული. მრისხანე ბატონი... ოსმან-ალას დაპატიმრება. ნატოს გაუპატიურება... ბატონის სიკვდილი... ოსმან-ალას გაყაჩაღება. ახლა „გლანის ნაამბობი“ გავიხსენოთ, გაბრიელის და...
- მეორე: გაბრიელის და თამროს უბედური სიყვარული!

ოღონდაც, ოღონდაც, აქაც აპატიმრებენ ვაჟს... ჭალს აუპატიურებენ. სწორედ ასეა. შენ...

**პირველი:** მოიცა... ახლა გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე შეეახვედროთ ერთმანეთს!

თუმცა ისინი ლიტერატურული რაყიფები იყვნენ, მაგრამ ცნობილია, როგორ უყვარდათ ერთმანეთის პოეზია. განსაკუთრებით ილია აღმერთებდა გრიგოლს... გარდა იმისა, რომ მათი პოემები „საღლეგრძელო“ და „აჩრდილი“ პოეტური აღნაგობით ერთმანეთს ძალზე უახლოვდება, აი, რა ტექსტუალურ მსგავსებას ვხედავთ მათ შორის:

ნეტა იმ ვაჟაცხ, ნეტა იმ გმირსა, ის თავის ხალხში აღარ მოკედება,  
მას განაცოცხლებს ხიმღერა ხალხთა, შორს საუკუნეთ ცტყვის მის სახელს.  
და არა ერთხელ ჭაბუჯთა ურშათა ხმლის ტარზე ძლიერს აუთრთოლებს ხელს,  
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი, ხიბერის უაშხა კელავ შოიფონებს...

ეს სიტყვები ილიას მადლიან კალამს ეკუთვნის. ახლა გრიგოლს მოვუსმინოთ:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩენი დიდება,  
თქვენთა სახელთა ამაჟად წარშოსთქვამს შთამოშავლობა,  
თქვენთა საქმეთა შოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,  
მხნეობით აღტაცებული ჭაბუჯი ხმაღსა მისწვდება!

**მეორე:** კი მაგრამ, თარიღები... პირველთქმა ვისია?

**პირველი:** ილიამ პირვანდელი ვარიანტი თავისი პოემისა 1859 წელს დაამთავრა, საბოლოო რედაქცია კი 1872 წელს. ორბელიანმა, თუ არ ვცდები, 1827—1870 წლებში დაწერა „საღლეგრძელო“... მაგრამ მე ამჟამად მონათესავე პოეტურ სულთა შემღერების საკითხი უფრო მიზიდავს, ვიდრე თარიღები... ამ მხრივ მართლაც საგულისხმოა ვახტანგ ორბელიანის მშვენიერი პოემა „იმედი“, რომელიც ორივე პოემას ენათესავება.

**მეორე:** საინტერესოა, ვინ უფრო ადრე გამოაქვეყნა პოემა. ილიამ თუ გრიგოლმა?

**პირველი:** არც გამოქვეყნებას აქვს მნიშვნელობა ამ სა-



კითხის გადაწყვეტისათვის... ხშირად პოეტი გვიან აქვეყნებს, მაგრამ იგი მეგობრებს უკითხავს, ან ხელნაწერად ავრცელებს... ერთის გულში დანთებული ნაპერწკალი მეორის გულს ედება და...

მეორე: ბარათაშვილზე რაღას იტყვი?


პირველი: ბარათაშვილი ბოლოსთვის შემოვიწინახე... გახსოვს, ცნობილი:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.

ახლა გრიგოლ ორბელიანის თითქმის მივიწყებული სიტყვები გაიხსენე:

ვთუ ჩემმან, უღროდ შავბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული,  
ვთუ მოკვდევ მეც ობოლ შწირად, გულს არ დაეცეს სატრფომის ცრემლი?  
არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკვდილის ეამის დამატკობელი...

რას იტყვი, მეგობარო? თუ ისევ თარიღებს შემეკითხები?  
მაგრამ მეგობარი მას აღარ უსმენდა, დაცარიელებულ  
რუსთაველის პროსპექტს გაჰყურებდა დაფიქრებულნი.







### ვახსენოთ, ვუთხრათ ძეგა...

ვალღერძელებდეთ ცოცხლებსა,  
მკედრისა ვთქვათ შესანდობარი

ვ ა შ ა - ფ შ ა ე ქ ლ -

შვილის აღზევებისა და დიდების დღეებში ვახსენოთ მამაც, ვინც შვა ძე შესადარი რჩეულთა... ვახსენოთ მღვდელი პავლე რაზიკაშვილი, ჩამომავალი წარმართ ფშაველთა: რაზიკასი, ქუმისისა, იმედასი, ბეროსი, გივისა; — ვისაც ჰყავდა ძმები ნადირა და ბოიგარი, ვინც გაამრავლა რაზიკაანთ გვარი და შვა ერთი ასული მართა და ხუთი ძე — გიორგი, ლუკა, ნიკო, თედო, სანდრო.

ვახსენოთ იგი, ვინც ბალლობიდანვე უღელში შეაბეს, ჯერ ხბორებში გააგდეს, მერე ძროხაში, მერე ცხვარში... მერე გუთნისდედობა დააწყებინეს. რომ გაიბრძოლა და სწავლით გლეხობის მძიმე უღლის გადაგდება მოინდომა, ფშავის ხევისბერებმა და მკითხავ-ქადაგებმა დევნა დაუწყეს, სწავლა მამაპაპით არ მოგვდგამსო, „ჩვენი სალოცავი ხატები არა ყაბულობენ სწავლასო“. „წიგნის მიმდევარი კაცი ჩვენს ჩვეულებაზედ ხელს იღებსო და არც ჩვენს ხატებს იწამებსო...“ რომ არ დაემორჩილა, ხან მოიკვეთეს, ხან მამამ თოფით მოკვლა დაუპირა, სოფელი აუყაყანდა, სცემდნენ, ლანძღავდნენ, სწყევლიდნენ.

ვახსენოთ იგი, ვინც არ დაემორჩილა შეჩვენებას, დევნას, უკვე კარგად დავაუკაცებულმა გააკეთა ლილის მელანი, გააკეთა ორბის ფრთის კალამი და დაჯდა წერად. ქალაღდი არ ჰქონდა. წერდა ხარის ბეჭზე და სიპებზე.

„და ვიყავი ტანჯვაში და არსად წიგნები საკითხავი“<sup>\*</sup>  
არ ჰქონდა საკითხავი წიგნები.

არ ჰქონდა ქალაღდი.

არ ჰქონდა მელანი და კალამი.

გაკეთა ლილის მელანი და ორბის ფრთის კალამი.

ორბის ფრთის კალამი, — რაზიკაანთ ღერბი

რაზიკაანთ საგვარეულო ღერბი პავლე რაზიკაშვილმა შექმნა. ამ ღერბზე ამაყი ორბის ფრთა შრიალებს. ამ ღერბზე სწყურია: „არ ვარგა ისეთი კაცი, რომლის არც ვინ გაჩენა გაიგო და არც ვინ სიკვდილი!“

ვახსენოთ ნებისყოფა ქაბუცისა, ვინც ორბის ფრთის კალამს აწობდა ლილის მელანში და ამ სიტყვებს წერდა... წერდა ხარის ბეჭზე და სიპებზე.

მერე და, როგორ ისწავლა წერა-კითხვა!

„მახლობლად ერთი განაყოფი მამის ბიძის შვილი მყვანდა, ხშირად იმასთან დავდიოდი, იმასაც საქმე რომ აღარაფერი ექნებოდა, თავის კოლოფებს გადმოიღებდა, რომელშიც შანახული ჰქონდა ხელთნაწერი წვრილმანი ბარათები და დაუწყებდა კითხვასა“.

ამ კაცს წერა-კითხვა ესწავლა მღვდლისაგან, რომელიც მათთან ბინად მდგარიყო... ის რომ კითხვას დაიწყებდა, და „ასოებს რალაცას ალაპარაკებდა“; უწიგნური ქაბუკი გაოცებული უსმენდა და გულში ფიქრობდა: „ეს რო არ ვისწავლო, არ შეიძლება“; ეხვეწებოდა „მასწავლე, როგორ გიამბობს ეს უბრალო ქალაღდი“-ო.

მერე, თავი რომ მოაბეზრა, იმ კაცმა „მოძებნა და იპოვნა ანბანი და უფალო ძველებური“, დააწყებინა ანბანი.

---

\* აქაც და შემდეგაც პავლე რაზიკაშვილის სიტყვენი მოყვანილია მისი ავტობიოგრაფიიდან. სოლ. ყუბანეიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“ 1937 წ.

ვუთხრათ ქება იმ უსახელო რაზიკაშვილსაც, ვინც იყო პირველი მასწავლებელი სახელოვანი ვაჟას მამისა, ვინც პირველმა გაუხსნა ცა ცნობისმოყვარე ჰაბუქს.

მასწავლებლის ამავი წყალში არ გადაუყრიათ. მადლიერ მოწაფეს შესანიშნავი ჰონორარი მიუძღვნია დედა-ენის მასწავლებლისთვის:

„ავიღე და ერთი ნანეთარი ტყავის ქუდი მქონდა, ის ვაჩუქე“.

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ეს უცნაური მოსწავლე უკვე დაოჯახებული ყოფილა, როცა ანბანის შესწავლისათვის ხელი მოუკიდია და თავისი საქორწილო „ნანეთარი“ ქუდიც კი გაუმეტებია საჩუქრად.

ამის შემდეგ „ასოებმა“ პავლესაც დაუწყეს „ლაპარაკი“ და „ანობა“. მან სწრაფად გაიკაფა სწავლის ბარდიანი გზა და შესანიშნავი მწიგნობარი დადგა. აი რას წერდა მის შესახებ უკვე სახელოვანი ვაჟა:

„...ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერჯია იყო. ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი, გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შეეძინა, არ წაეკითხა. დღე და ღამეს, რომ იტყვიან, ასწორებდა, არ იცოდა, ძილი რა იყო“.

თავის მოგონებებში მამის შესახებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ხალხური ლექსების შემკრები და შესანიშნავი კომენტატორი თედო რაზიკაშვილი წერდა:

„მამაჩემი... ახირებული მოყვარული იყო სამშობლო ქვეყნისა და მისი მწიგნობრობისა... აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზე უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა“.

ამასვე უნერგავდა შვილებს. აღტაცებით ესაუბრებოდა პატარებს საქართველოს წარსულზე, ისტორიულ გმირებზე: განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი ჰყვარებია.

„იციო, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა: ნადირობის დროსაც კი, არ ვიტყვი ლაშქრობაში, როცა სადმე მოსარეკში გეშზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში მშვილდისარიო“.

ვაჟას ცნობით, უცხოელთაგან ნაპოლეონი, გამბეტა და ვიქტორ ჰიუგო იწვევდა ჩარგლის მცირე ეკლესიის მღვდლის ალტაცებას: აი, რა შესანიშნავი რამ უთქვამს დიდი ადამიანების ცხოვრებით გატაცებულ მამას შვილებისთვის:

„ნაპოლეონო, სადღაც ჟურნალში წამიკითხავს, როცა თქვამდა, თითქოს გახურებული ღუმელი ყოფილიყოს, ისე ალმური ასდიოდა სახეზეო. აი, სად იხატება ძალა ნიჭისა და ადამიანისაო...“

ბუნებით მტკიცეს და მართალ კაცს დიდ ადამიანშიც სწორედ ეს თვისებები მოსწონდა თურმე.

„ერთხელ პარლამენტში ვიქტორ ჰიუგო სიტყვას ამბობდა და მთელმა პარლამენტმა დაუყვირა: „გაჩუმდიო!“ — თქვენ გაჩუმდით. — მიუგო ჰიუგომ და განაგრძო თავის სიტყვა. — არა გაქვთ ნება ბოლომდის არ მოისმინოთ ჩემი სიტყვაო... მართალიც არის, არ შეიძლება მთელი პარლამენტის ჭკვას ერთი კაცის ჭკვა სჯობდეს? სოფელი ვინ? ერთი კაციო, ნათქვამია“.

ამის შემდეგ ეშხში შესულ მამას ასეთი სიტყვები გაუგონებია შვილებისთვის:

„ა, ბეჩავ, კაცო! აი ამისთანა ბოღრა უნდა გაზარდოს დედამა!“

ეს გულიდან ამოვარდნილი ალალი ნატვრა რაღაც ათითხუთმეტი წლის შემდეგ შეუსრულდა პავლე რაზიკაშვილს. მისი შვილის სამწერლო სარბიელზე გამოჩენამ პოეზიის სამართლიან მსაჯულთა გული შესძრა და გაახარა.

პირველი მათ შორის ილია ჭავჭავაძე იყო.

მან მაშინვე იგრძნო ამ ბოღრა ფშაველის ძალა და მისი ძლიერი არწივული ფრთების შრიალი გაიგონა..

ვახსენოთ დიდი ილია ჭავჭავაძეც, ვინც პირველმა გაუღიმა ფშავის მთებიდან თბილისში ჩამოსულ ლომს, ვინც პირველმა დასდო ფასი ფშაველი ვაჟის ჩამოტანილ ხურჯინს, პირი გაუხსნა და ოქროს მძიმე ზოდები ამოალაგა... დააქაშნიკა ვაჟას ლექსი და გაოცდა... თავისას ეჭვით შეხედა.



რაზიკას, ქუმსის, იმედას, ბეროს და გივის ნაშეიერებს მამა-  
პაპასავით თხის ტყავი ეცვათ. ვისაც არ ჰქონდა, პატარა პავ-  
ლესავით იმას შენატროდა, „ვისაც თხის ტყავი ეცვა“. თხის-  
ტყავიან რაზიკაშვილებს ბავშვობიდანვე ესმოდათ უფროსების  
ღარიგება: „ვაჯაკობას ორის ხელით ჰერა უნდაო“. ამის დას-  
ტურად ხელში კაჟიანი თოფი ეჭირათ, ნადირის კვალზე დადი-  
ოდნენ და თავათაც მგლის ლეკვებივით იზრდებოდნენ.

პავლე რაზიკაშვილს შესანიშნავად აქვს აღწერილი თავისი  
ბავშვობა.

საოცარია, მაგრამ უნდა ითქვას:

გარსევან ჭავჭავაძეს, დიმიტრი ორბელიანს, მელიტონ ბა-  
რათაშვილს, მიხეილ ყაზბეგს, როსტომ წერეთელს, გრიგორ  
ჭავჭავაძეს, რამდენადაც ვიცი, მემუარები და მოგონებები  
არ დაუტოვებიათ ამ მხრივ ფშავის მიყრუებული სოფლის  
მღვდელს პავლე რაზიკაშვილს ზემოთ ჩამოთვლილი ფრიად  
განათლებული, დიდგვაროვანი მშობლები მხარს ვერ დაუმშ-  
ვენებენ. პავლე რაზიკაშვილის კალამს ეკუთვნის ფართო გეგ-  
მით დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი „მოკლე მოთხრობა  
ჩემი წინაპართ ჩამომავლობაზედ, მათ ზნეჩვეულებაზედ“.  
ეს მოთხრობა ძვირფასი განძია ვაჟას სამყაროს შესასწავლად.  
პატარა, მაგრამ ტევადი და მრავალისმთქმელი.



დედა „ზაკუშკად“ პურებს მისცემდა და ეტყოდა: სადი-  
ლობამდის ეს იკმავეთო.

უფროსები ნანადირევს თუ შინ დაკლულ საკლავს „მბილს“  
გამოსჭრიდნენ, ჩაამარილებდნენ და გაზაფხულამდე ხმარობ-  
დნენ სახინკლედ და საქადედ. სახინკლე და საქადე „მბილი“  
ხორცი გაზაფხულამდე არ იკმავებდა, ამიტომ საქონლის  
ძვლებს ახმობდნენ და ინახავდნენ, რომ შერე მოეხარშათ და  
მისი წვენი ეხვრიათ.

ხევებში შემწყვდეული ფშაველების საკმელების ასორტი-  
მენტი მრავალფეროვანი ყოფილა. მათთვის ალბათ მოსაწყე-  
ნი და მოყირკებული საკმელები დღევანდელი კაცისთვის ეკ-



ზოტიკური და მადისაღმძვრელია. მათი სახელების მხოლოდ ჩამოთვლაც კი გვაგრძნობინებს უცნაურ, ველურ არომატს.

ერბოს ქადა, რძის შექამადი, წყალ-კვერცხი, კანაფის ქუმელი, ნივრისა, ნიგვზისა და ხახვის ხინკალი. ღოღოს შექამადი, შექამადი გარეული პიტნისა და ქონდრისა. ბავლისა, ზარდა ცერცვისა... მახონხი: („დამჟაულს პურის დედას წყალში გახსნიან და ადუღებენ, ნიორს უზმენ“).

ვახსენოთ ფშაველი ქალები, პავლეს დედა-და მეუღლე. ვაჟას დიდება და დედა... ისინი უცხოებდნენ რაზიკაანთ ვაჟებს ნაცრიან ხმიადს, დილით მისცემდნენ და ეტყოდნენ, სადილო-ბამდის „იკმავეთო“, ისინი უცხოებდნენ ხორციან ქადას, უხარშავდნენ ხინკალს. ხარის გამხმარ ძვლებს, უყვებოდნენ უცნაურ სიზმრებს რაზიკაანთ ბიჭებს, გმირულ ლექსებს ასწავლიდნენ.

ვუთხრათ ქება ვაჟას დედას — ფხიკლიაანთ ქალს!

მისი კეთილი გული გამოჰყვა ვაჟას ქართულს, მისი გვარის ნიჭი ამდერდა ვაჟას ლექსებში. ვაჟა ზომ ამბობს, ლეიძლი ბიძა დედა-ჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავეში. დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე ლექსობსო.

ვახსენოთ სსლოვენელი პარასკევა, ღარიბი, მაგრამ სიტყვა-მდიდარი, მზიარული ფშაველი. იქნებ მისი ნიჭის ძალაც დაემატა რაზიკაანთ ვაჟაკურ ხმას და მერე ვაჟას სიტყვაში გახშირდა.

ვინ იცის, გული რამდენჯერ გაუგრილებია პარასკევას მზიარული ლექსებით ვაჟას. ვინ იცის, რამდენჯერ დაუმღერებია ფანდურზე პარასკევას მშვენიერი ლექსი:

ყვინიანთი არა ვარ, გავიხედო სარკეშია,  
ხუმბეტ თუმიან ცხენში მივცე, თორმეტ თუმიან სარტყელშია,  
რვა თუმიანი სარტყელშია, წელზე შემოსარტყმელშია,  
სამ მანათი ბეჭედშია, თითზე შამოსაცმელშია,  
უკვენ რაღა მივიფარო, ამ ვალებით სავესშია

• • •

გაზაფხულობით, ზაფხულობით და შემოდგომით ველური ბუნება ეშველებოდა ფშაველ ქალებს: ჩნდებოდა ტყემალი, მარწყვი, ყოლო...

ტყის ხილი: მაქალო, შვინდი, თამელი, ზღმარტლი (თრთვილი რო დაპკრავს, მერე!) ლოდნოშო, ცირცელი.

პირქუშ, ერთფეროვან ცხოვრებას დღეობები ახალისებდა. ქრისტიანულ დღეობებს წარმართულიც ერია: „მგელთ-უქმი“. ამ უქმის წინაღამეს: „მგელთ კვერებს დააცხოვენ, მეორეს დღეს უნდა ისრებით დაკოდონ პატარა ბიჭებმა“.

„მგელთ კვერებს“ სანიშნოდ დაამწკრივებდნენ და ესროდნენ.

ამ წარმართულ სპორტს მოხუცი ფშაველი ხელმძღვანელობდა. მას გამახარე ერქვა.

გამახარე „პატარა ბიჭებს“ ლეკვებივით წრთვნიდა, თავისებური ოსტატი და მასწავლებელი ყოფილა მათი. გონებას უხსნიდა და ჯანს უმაგრებდა თხილებს ათვლევინებდა და „არფმეტიკას“ თავისებურად ასწავლიდა ტყაპუქებში გამოხვეულ ვაჟებს. აჭიდავებდა, ქუდს ატაცებინებდა, ერთმანეთს უსევდა, აჩხუბებდა... აჩხუბებდა ხის ხმლებით და ქუდებს აფარებინებდა ფარის მაგივრად. მერე ყოჩალებს აჯილდოვებდა.

თუ ვინმე უბირი ფშაველი დასძრახავდა და ეტყოდა, გამახარე, რას ჩამგდარხარ ამ ყმაწვილებშიო, ეტყოდა:

„მე მიყვარან ყმაწვილები იმისთვის; რომ ჩემი სიცოცხლის გაგრძელებას იმათში ვხედავ, ჩვენ მოვკვდებით და ეგენი დარჩებიან... ეგენი არიან ჩვენი გადახალისებული სისხლხორციე, სხეას ყალიბში ჩამოსხმულნი, მაგათში გადადის ჩვენი გრძობა, ჩვენი ხედვა და სმენა. ჩვენა ვართ ძირნი და ეგენი რტონი“.

ვახსუნოთ, ვუთხრათ ქება ამ სიტყვების მთქმელს, ფშაველი ვაჟების მწვრთნელსა და ოსტატს გამახარეს, მისმა სიყვარულმა გამოყოფა ვაჟას ძარღვებში. გამახარე მართლაც ძირი იყო და ვაჟა — რტო.

ვუთხრათ ქება პავლე რაზიკაშვილს, ვინც გულით ატარა ეს სიტყვები, შემდეგ ასე ლამაზად ჩაწერა თავის მოგონებაში და შთამომავლობას აწ დაუკარგა.

იქნებ ამგვარად არც უთქვამს გამახარეს ეს სიტყვები. ჰო, რა თქმა უნდა, ალბათ, სხვანაირად იტყოდა, ამგვარად პავლემ თქვა. საქმეც ის არის, რომ თქვა და ჩვენამდის მოვიდა თავისი სინათლით და სიღრმით.

ვაჟამ მოიტანა.

ვაჟას გამოჰყვა გამახარეს გრძნობა, ხედვა, სმენა-

ვაჟამ იგრძნო გამახარეს საგრძნობი, მისი გულისტკივილი, დაინახა მისი დასანახი და გაიგონა გასაგონარი.

ვაჟას თვალებიდან გამახარე იყურება, ვაჟას ხმაში გამახარეს ხმა ისმის, ამიტომ აქვს ძალა, წარმართი ვაჟკაცის ძალა მის ნათქვამს.

რამდენი სურათია გაცოცხლებული ამ პატარა მოგონებაში კვიმატი თვალის დანახული მახვილ ხსოვნას შეუნახავს, ნათელ სიტყვას დაუხატავს:

„ბულების ჭიდაობა მიყვარდა, მათ ვაჭიდებდი. ერთი შესანიშნავი ხასიათის კურატი მყვანდა... რომელიც თითქოს კაცის გონს იჩენდა, ისეთი თავმოყვარე იყო, თუ ხარი გაიმტკრევედა (აჯობებდა), ითაკილებდა და სუ დაადგებდა იმ არემარესა, თითქმის ერთს თვემდინ ველარ მოვიყვანდი. მაგრამ მაინც მტრის ჯავრს არ შესჭამდა, მანამდე ებრძოდა, მანამ არ გატეხდა“.

ამ „თავმოყვარე“ კურატს, მთის ზვიადი ბუნების ჯიუტ შვილს „უყვარდა ისა, რომ ხარებს მისი ხატრი ქონიყო. მწოლელა ხარებთან მივიდოდა, ვინც თავისთავად აღდგებოდა, ხო კარგი, თუ არა და, ანიშნებდა, თუ არ აღდგები, ძალით აგაყენებო. იმათ ნაწოლში თვითონ დაწებოდა.“

კურატი მარტო ხარებს კი არა, პატრონსაც უნებიერდებოდა და თურმე და დაფასებას სთხოვდა: „ხარებში ჩადგებოდა, რალაკით ანიშნებდა და ყველანი მოეხეოდნენ. ზოგი კისერზე ლოკდა, ზოგი ფერდებში და ზოგი თავ-ყურში. მერე ახლა ჩემთან მოვიდოდა, მეც რქებს მიჩვენებდა. დამფხანეო და დავფხანდი, შავაქებდი, კარგი ბიჭი ხარ, ყველას ეჩრევიო“.

მთები, ვაჟას მთები, როგორ აქვს დანახული ვაჟას მამას!

ახუნის მაღალ მწვერვალიდან დასტკერის მის წინ გაშლილ საქართველოს, ლეკისა და თუშეთის მთებს, ყაზბეგსა და გერგეტს. ხევსურეთისა და ქისტეთის მთებს.

„მართლაც და დიდი სასიამოვნო და მასთან გასაოცარი სურათია მათი ცქერა. ერთმანეთზედ მიყრილი ხერგითა; ზოგი ცისაკე აღმართულია, იტყვის კაცი, თითქოს ცას ხელს

აწვდისო, ზოგი წვერმონგრეულს ციხეს წარმოგიდგენს, ზოგი ერთმანეთს მიყუდებია, ზოგი გვარედინად გადახლართულა მშვენიერს ლელეში ნავარდობენ ცხენის ჯოგები და გაუდის საშინელი კიხვინი აჯილღებსა, ხარები ზმუიან, კურატები კივიან“...

ფრინველები, გაყას ფრინველები, აი როგორ დაუნახავს გაყას მამას:

„შავარდენი და ქორი ჩაეშვება ხევებში საშინელის მხრების შხუილით, ქარიშხალივითა. არწივები ნავარდობენ ჰაერშია. ცასწავალა დაულალავალ აღის და ჩამოდის მშვენიერის მღერით... მოისმის მონადირის თოფის ხმა... ყაფირები და ორბები ირევიან და დაეძებენ ლეშსა. ყორანი გადივლის მხრების ტულაშუნით და ყრანტალით“.

გაზაფხული, მთის გაზაფხული...

„...განახევრდებოდა აპრილი. ჩირთი შემოჩნდებოდა. ყველა ხეხილები აყვავდებოდა ტყეებში. ია ბუჩქის ძირებში აჩნდებოდა... გუგულის კაბა, პირიმზე, ბალახი წითელი, ლაქლაში, კენკეშა, და აი დუცრც მოვიდოდა, მშვენიერი გვირილა, ყოვილი, რომლისასაც გვირგვინებსა ვწნავდით“.

ამ პოეტური სტრიქონების ავტორმა სიჭაბუკე ცხვარსა და მწყემსობაში გაატარა. ღია ცის ქვეშ, თავსხმაში, ღამით ღვიძილში, ღღისით ძილ-ღვიძილში, თავი საკუთარ მკლავებზე ედო, რადგან „მეცხვარეს უფრო ხშირად პირქვე წოლა უყვარს, მკლავებზედ, და უფრო ღღისით. რომ მზე არ დაადგეს“.

ამ პოეტური სტრიქონების ავტორმა ერთხელ თავის უფროს ძმას ბეროს, რომელსაც „საკაცო კაცს“ ეძახდა და ღიღი პატივს სცემდა, გაჯავრებულმა შეუღრინა და საცემრად მიიწია, საცემრად მიიწია ჯანიან გოლიათზე, რომელსაც აზარი სამჯერ ჰქონია „ათავებული“ და თოფიც სამჯერ ჰქონია მიწაში დამარხული. აზარის ათავება კი ასი ნადირის მოკვლას ნიშნავს. „ვინც ას ნადირს მოჰკლავდა, თოფი მიწაში უნდა დამარხა ჯამი ღღის განმვალობაში, ვითომც ცოდვების გასაწმენდად“.

„სამი აზარის ათავებელ“ ბეროს, რომელსაც მეორე წარმართული სახელიც ერქვა — ბოიგარი, კირვეული ძმის მორ-

ჯულება ვერ მოუხერხებია, მისი რიდი მუდამ ჰქონია. მას პავლეს მომჩივნებისთვის ასე უთქვამს: „ჩემთანაც ეგეთი არის, შიშით ხმა ვერ ამომიღიავო. იმ დღესაც ერთს პატარა საქმეზედ, ბატონის წოვებაში, ბატონს ფეხები დასტაცა და იმითი მცემავო“.

ჩარგლის მცირე ეკლესიის ამ უცნაურ მღვდელს, ვინც ფშავლებსა და ხევსურებს თავის დარიგებაში სათნოებასა და სიმშვიდეს უქადაგებდა, სიკბაბუკეში ხელზე „ზალტის საიერული“ ეკეთა და თავს არავის აჩაგვრინებდა. ეჯიბრებოდა არა მარტო ტოლებს, გარდასულ გმირთა ტოლობაზეც ოცნებობდა.

„ჩემი თავი წარმოდგენილი მყვანდა ძველებურ გმირად“. ეს მისი მისაბაძი ძველებური გმირი ბეკი ბეკურაული ყოფილა. ამ გმირს ფშავისა და ხევსურეთის წყლების შესაყარში, ორწყალში, თავისი ფარხმალი ხეზე შეუკიდია და უთქვამს: ვინც ბიჭია, ამას ჩამაიღებსო. თვითონ თვალს მიჰფარებია. ბეკის ფარხმალს შიშით ვერაფერს გაჰკარებია.

ძველი გმირის სახელით გატაცებულ კბაბუკ პავლეს ერთხელ ახალი ტყავი და ნაბადი ერთ ბუჩქზე შეუკიდია, და ბეკი ბეკურაულის სიტყვებიც უთქვამს, მაგრამ დახეთ ბედის უკულმართობას — „ბეკის ფარხმალი უარეს ბეკს ჩამეელო და დაერჩი მარტო ჩოხის ამარა“.

იმ დღეს, როგორც თვითონ ამბობს, საშინელი ხოშკაკალა წამოსულა.



ოჯახში ზოგი ერისათვის იზადება, ზოგი თავისთვის. როცა პავლეს ოჯახს გონების თვალრით გავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ამ დიდ ოჯახში ერისათვის, სახალხო საქმისთვის დაბადებულნი სკარბობდნენ.

რაზიკაანთ დიდ ოჯახში ყველა მღეროდა, ყველა ლექსობდა, ყველა წერდა. ზოგი თავისას მღეროდა, ზოგი ვაჟას ლექსს ამღერებდა, ზოგი ხალხის ნათქვამს იწერდა და ხალხსვე უბრუნებდა.

ლექსი იყო რაზიკაანთ ფუძის ანგელოსი და ოჯახის უფალი. ლექსი და შრომა დაპატრონებოდა ამ ოჯახს.

პოეტი ფუტკარს ვამსგავსე,  
შრომა არ მოეწყინება-ო,

ამბობდა ოჯახის უფროსი და შვილებს მაგალითს აძლევდა. ვაჟას დას — მართასაც უყვარდა ლექსი და ფანდურზე ამღერებდა:

• იმ მთასა, თოვლიანსა, ზედა მენამც გადაჰკიდა,  
ზედამც მთოვლა, ზედამც მწვიმლა, ზედაც ნაქარს მამაყრიდა,  
ხელში მამცა კრელი ველო, შავი ყელსამც ჩამაჰკიდა, —  
ყველა ამას გაუძლებდი, — აესა ქმარსამც არ აჰკიდა.

იქვე, შის წინ, სამფეხაზე თედო იჯდა, დის ნათქვამს იმეორებდა და იწერდა, ბაჩანაც იქვე იჯდა, კუნძზე, და ფანდურის ხმას თავის ლექსს აყოლებდა. ვაჟა მოშორებული იდგა, როგორც რტოებგაშლილი მუხა თავზე, ადგა დაძმებს, მათ სიმღერას უსმენდა და იღიმებოდა.

ვუთხრათ ქება ვაჟას. დედმამიშვილებსაც, ვახსენოთ ისინიც ძმათა შორის რჩეულის აღზევებისა და აღიდების დღეებში, ისინი ხომ ვაჟას დიდმა ჩრდილმა დაფარა... დაფარა და გამოაჩინა კიდევც.

კარგად უთქვამთ: ძმათა ერთია სახელიო...

მაგრამ ვაჟას სახელი მაინც სხვა არის. არა მარტო ძმათა შორის, ბევრ სხვათა შორისაც. მხოლოდ ვაჟას შეუძლია თქვას:

„მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარ არს...“

მღვიძარ არს საუკუნოდ...

## ღვარძლის მთიგაპი

ქურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველ ტომს, რომელიც 1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა, წამძღვარებული ჰქონდა სახარების სიტყვები:

„ხოლო ლელვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს რტონი მისნი დაჩჩვიან, და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული“.

უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება, რომ „ფურცელთა გამოსვლა“ ზაფხულის მომასწავებელია, შეფარვით გამოხატავდა ახალი თაობის იმედებს, რწმენას... ქროლოვას იწყებდა ეროვნული თავისუფლების მახარობელი ქარი, ქარაგმულად ნათქვამი წინასწარმეტყველის ხარებასავით გაისმოდა. საგზა ზაფხულო ზარი შემოკრული იყო:

„უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული“

თავისუფლების პირველი მეზარე ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლნი გრძნობდნენ გაზაფხულის მოახლოებას. მაგრამ ჟამი იყო მძიმე და ახლად შეფოთლილ რტოებს მსუსხავი ქარი დააზრობდა, თუ ყველა ქართველი ხელს არ გამოიღებდა, თუ ყველა ქართველი ხმას არ ამოიღებდა, თუ ყველა ქართველი ხმალს არ ამოიღებდა. თავისუფლების ნავთსაყუდელი, არც ისე ახლოს იყო. სანატრელი კი იყო ეს საოცნებო შორეული ზღვის პირი, სადაც საუკუნეთა დელვისაგან მოქანცული ხომალდი ოდესმე დაისვენებდა.

თავისუფლებავე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,  
შენ ხარ ჩავრულის, წეალებულის წმინდა საფარი.  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.

მტარვალთა ტქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,  
• ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო,  
მაგრამ სამოთხეც, ყოველიფრით აღსავსე, სრული,  
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო...

„მტარვალთა ნებით ოდითვე აკრძალული“ თავისუფლები  
ბის ძებნაში უნდა დაეღია დღენი იმ შესანიშნავ თაობას,  
რომლის მსგავსი საქართველოს მიწაზე არც მანამდე და, შე-  
იძლება ითქვას, არც მას შემდეგ დაბადებულა.

ამ თაობის დროშაზე გაბედული სიტყვები ეწერა — ჩვენი  
თავი ჩვენვე უნდა გვეყუთვნოდესო.

ზარი შემოკრული იყო, ბრძოლა გამოცხადებული, თქმუ-  
ლი იყო:

უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული!

„ახლო არს ზაფხული“ — საქართველოს ეროვნულ თავი-  
სუფლებას მოასწავებდა. უნდა დამსხვრეულიყო მძიმე უღე-  
ლო, შეხსნილიყო. შემბორკავი აბეურები, შვებით ამოეხვნეშა  
მხენელს, მთესველს, პოეტს, მოქალაქეს. ბორკილი უნდა შეხ-  
სნოდა აზრსა და სიტყვას. ქართულ სიტყვაჲ, ოდესაც მდი-  
დარსა და მაღალს, აწ კი წამხდარსა და ღვარძლმოდებულს.  
დედა-ენა უნდა განთავისუფლებულიყო, გამოცოცხლებუ-  
ლიყო.

ჯერ კიდევ ყურში უტრიალებდა ყველას პოეტის ნათ-  
ქვამი:

რა ენა წახდეს,

ერიც დაეცეს.

მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას..

ერიც და მისი ენაც უმეშველოდ იყო მიტოვებული. აქა-  
იქ თუ გააღლებდა ზემოთქმულის მსგავსი სიტყვები, გულ-  
ამოსკვნით ნათქვამი, სევდიანი, მაგრამ მაინც მხოლოდ სიტყ-  
ვები. საქმე კი, ნამდვილი ბრძოლა წინ იყო... ამ საქმეს, ნამ-  
დვილ საქმეს და ბრძოლას ხელი მოჰკიდეს მათ. ვინც თერ-  
გის წყალი დალია, ვის დროშაზეც ეწერა: ჩვენი თავი ჩვენად-  
ვე უნდა გვეყუდნესო!



ბარდმორეულ ქართულს შველა სჭირდებოდა. მშველელი გამოჩნდა და სარეველას ნამგალი გამოუჩნდა. სათიბი ბევრი იყო, ღვარძლის სათიბი. მაგრამ ძნელი იყო ღვარძლის თიბვა და კლანჯას ამოძირკვა. ღვარძლს სიკეთე ხომ არა სთესავს, რომ სიკეთესავით მეჩხერად ამოვიდეს, ღვარძლის თესლს ბოროტება ხელუკუდმა აპნევს კეთილ ხნულში, ამიტომაც მრავლდება საოცრად, ფესვსაც მაგარს იღვამს, მოსპობაც ძნელია.

ეს ღვარძლი იყო ყოველგვარი უცხო, რაც ხელს უშლიდა სამამულე რქის გაზრდას და გაფურჩქვნას... ეს უცხო, თავის ადგილას ალბათ კეთილი, აქ, ქართულ მიწაზე ნარ-ეკალსავით ამოსულიყო, ქართულისათვის შეუგუებელი და ხელშემშლელი.

ეს ღვარძლი იყო ყოველგვარი შინაური მანკიც, რაც აბრკოლებდა კეთილი თესლის გაღვიძებას და აღმოცენებას.

არა ერთი და ორი კეთილი თაობა შეეწირა ამ ღვარძლის ამოძირკვას. ეს ბრძოლა დღესაც არ არი დამთავრებული, ღვარძლის ფესვი აქა-იქ ახლაც ძალუბად დაიძახებს ხოლმე და სიკეთის თავთუხს გადაუვლის. ღვარძლი ადვილად როდი ისპობა. ღვარძლის თიბვა ჯერ დამთავრებული არ არის...

ჰოდა, ღვარძლს ნამგალი გამოუჩნდა. ეს ნამგალი საიმედო მარჯვენას, არა ერთ საიმედო მარჯვენას ებყრა. მთიბაენი, იყენენ ილია, აკაკი, ვაჟა, მაჩაბელი...

ისინი სთიბავდნენ ღვარძლსა და შალაფას, ძირკვავდნენ. კლანჯას, ახარებდნენ თავთუხსა და დოლის პურს. თავთუხითა და დოლისპურით თავისუფალი ქართველი ბავშვები უნდა დაზრდილიყვნენ.

ღვარძლის მთიბავთა შორის საქართველოს ანაგული კუთხის — ქართლის შვილი იაკობ გოგებაშვილიც გამოჩნდა. იგი ვეფხვივით ტრიალებდა და თავის მადლიან ნამგალს აზამბარელი ვაჟაკივით იქნევდა. შეიძლება ითქვას, რომ მას თავის უფროს მეგობრებზე არა ნაკლებ ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი ღვარძლის სიძულვილი. აკვანში ჩანამღერი, ქართლის მიწიდან ამოსული, კრიალა ციდან დაფრქვეული, ზენაქარისა თუ ქვენაქარისგან მოტანილი მადლი მშობლიური

ენისა მოსდევდა და წმინდა ქართულის შემრყენელ ღვარძლს ღვარძლიანად ებრძოდა, ჰკაფავდა, გაცოფებით თიბავდა. იცოდა, უცხო თესლი წალეკვას უქაღდა აკვანში გაგონილს და სატრფიალოს.

მან მშობლიურ ქართულს — დედა-ენას, ეროვნების ბურჯი და ციხე-სიმაგრე უწოდა, ყოველ ნაბიჯზე, ყველგან, ყველასთან ამტკიცებდა, ქადაგებდა, ენა ცხოვრების ბურჯია, თუ ქართული დავივიწყეთ, გადავგვარდებითო.

ამიტომ დააწერა მან თავის წიგნს: „მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან პროგრესის გზაზე იაროს, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს თავისს დედა-ენაზეო“ (ფიხტე უფროსის სიტყვები).

1 ამიტომ შეუქმნა მან თავის ხალხს უბადლო „დედა-ენა“, ამიტომ გაუღო მან თავის ხალხს ბუნების კარი, გაუღო, გადაახედა, დაანახვა საქართველო და უთხრა: შენ ხარ მფლობელი ამ უბადლო საუნჯისა, მოუარე და იბედნიერეო.

გოგებაშვილმა ჩააგონა თავის თანამედროვეებს, რომ ქართული ენა ისეთივე მდიდარია, როგორიც ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის მწვერვალები დასცქერიან ბროწეულს, ლელვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალსა და სხვა ტროპიკულ მცენარეულობას, და სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ახალ-ახალს წარმტაც სურათს შეხვდები...

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელ საუნჯეს?

გვესმის მისი უმადლესი ღირსება და მნიშვნელობა?

ეკითხებოდა თავის თავსაც და ქართველობასაც იაკობ გოგებაშვილი და პასუხს თვითონვე იძლეოდა:

„ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადს სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს, კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ჟანგს აკმევინებს“.

ასეა მართო სასწავლებელში კი არა, ოჯახშიც, ქართულ ოჯახშიც, სადაც ეს ენა ბატონ-პატრონი უნდა იყოს, სადაც ფრთები უნდა ჰქონდეს გაშლილი და უფლობდეს.

ასეა არა მართო გადაგვარებულ მოხელეთა და ფუქსაეატ

არისტოკრატთა ოჯახებში, ეს სენი მოწინავე, განათლებულ დასსაც კი გადასდებია.

„არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა კი ჭაჭანებაც არ ისმის“.

ასეა მათ ოჯახებში, ვინც „ლიტერატურაში ცხარე-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულის შვილობაზედ და საქმე კი იმით გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნებას და თავიანთი სახლებიდანაც გამოაძევეს ქართული ენა“.

აი, აქ იყო სათიბი ღვარძლისა და კლანჯა ბალახისა, რომელსაც თუ თავის დროზე არ მოხვდებოდა აღესილი თოხის პირი, ფესვს მოიმაგრებდა, ამოყელყელავდებოდა და კეთილყანას თავზე გადაუვლიდა. ფითრი და ავი ბალახი ოჯახსაც მოსდებოდა. ამიტომ აღრჩობდა ღვარძლის მთიბველსა და კეთილი თესლის ქომავს მრისხანება, ყელში ებჯინებოდა და მკაცრ, შავგრამ სამართლიან განაჩენს სწერდა:

„...ის მშობელნი, რომელნიც თავისს შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-ენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავენ თავისს ქვეყანასა მამული-შვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქართველებიანს, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას... ეს მშობელნი დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე“.

მცდარ, მრუდე გზაზე დამღვარი ოჯახი დამნაშავეა, შემცოდება სამშობლოს წინაშე, ის იმ მამულიშვილს უკარგავს ქვეყანას, რომელიც სამშობლოს მომავალს უნდა ემსახუროს, მისი მხსნელი რაინდი უნდა იყოს, მისთვის თავი უნდა გასწიროს. შენ კი დედა-ენას ართმევ ბავშვს და უმცირებ სამშობლოს სიყვარულს. ეს ხომ ღალატია...

ამაში დიდად არიან დამნაშავე ქართველი. „ნასწავლი ქალები“. და არც მათ ასცდენიათ საკადრისი მსჯავრი:

„გულწრფელად რომ გამოეტყუდეთ, ათიოდე მანდილოხანს გარდა, მთელი ჩვენი ნასწავლი ქალობა წარმოადგენს თავსუბუქა არსებათა გროვას, რომელნიც მოკლებულნი არიან საღს, დამიანურს აზროვნებასა, მაღალს მისწრაფებას“:..

მათ დავიწყებით დედის მოვალეობა, დავიწყებით ილიას  
თქმული:

დედავი ისმინე ქართლოს ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ქენშარიტება,  
უკან პრჩეს კვალი განათებულო.

ქართველი ქალების "განათლებული საზოგადოება" აპყო-  
ლია მოდას, ფუქსავატ დროსტარებას.

"...ბევრად უკან ჩამორჩება ახლანდელს უბრალო წოდე-  
ბის ქართველ ქალებსაც, რომელიც თავისს სფეროში ძალაა  
და არა უძღურება, როგორც პირველი".

კიდევ კარგი, რომ ღვარძლი და ფითრი მთლიანად არ  
მოსდებია საქართველოს სხეულს, ერთიანად არ წაუღეკავს  
კეთილი ჯეჯილი. ამ ჯეჯილს მოვლა-პატრონობა და გამო-  
მარგვლა უნდა... და გოგებაშვილი გულმოდგინედ უხსნის და  
ასწავლის მარგვლისა და გასხვლის წესს. ამხნევებს მათ, ეი-  
საც გული გასტეხია და ჰგონია, ქართული ენა საბოლოოდ  
იღუპებაო. არა, არც ასე სუსტია სიკეთის თესლი და ფესვი,  
არც სიკეთის თესლისა და ფესვის მოსპობა და ამოძირკვაა  
ასე ადვილი. ბუნება ადამიანისა საბოლოოდ ვერ უარყოფს  
მშობლიური სისხლისა და მიწის ძახილს, დაბადებიდანვე  
უნებურად გაღვიძებულ ბგერებს, აკვანზე ნამღერ იაენანას.

"ყოველს ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიღრეკილება  
და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა; სწო-  
რედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებიდანვე  
ბულბულის გალობის ნიჭი".

ბულბული მხოლოდ თავისი ხმის დედა-ენით გვიმღერებს  
ტკბილად. მას არ შეუძლია ყვავის ან არწივის, თუნდაც მო-  
ლაღურის ხმით გამოხატოს თავისი სულის მოძრაობა.

"სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამ-  
ღვლით და სისრულით".

დედა-ენა არის ენა გულისა,

დედა-ენა არის ენა გრძნობისა, ენა პოეზიისა და ლოცვისა.

"მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა

ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა-ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულ-მხურვალედ“.

სხვა ენა, რაც უნდა კარგად შეისწავლოს ადამიანმა, არის ენა მეხსიერებისა. მეხსიერების ენა ვერ შეცვლის გულის ენას, მეხსიერების ენა უძლურია. იგი ვერ გამოხატავს ადამიანის ღრმა გულის ყოველ მიმოქცევას, მღელვარე ფიქრის მდინარებას, მეხსიერების ენა გარედან შედის ადამიანის არსებაში, გულის ენა კი თვით არსებიდან გამოდის. მისი ნაქურია, მისი სისხლია და ცრემლია.

„არც ერთ მწერალს, რომელსაც კი უცხო ენაზე უწყია წერა, არ შეუქმნია თავისებური სტილი და მეტ-ნაკლებობით ყოფილა უფხო და ღარიბი ენის პატრონი“.

მაგრამ იძლევა თუ არა დედა-ენის უპირატესობის ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები იმის საფუძველს, რომ უარყვოთ უცხო ენების შესწავლა, დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მშობლიურის საფუძვლიანი შესწავლით, შემოვავლოთ მშობლიურ ქართულს ჩინური კვლები, შევიზღუდოთ, არ ვასწავლოთ ბავშვებს უცხო ენები... არა. იაკობ გოგებაშვილი ამას არ ასწავლიდა ქართველ ხალხს. მისი აზრით კაცი, რომელიც სხვა ენას შეისწავლის, მეორე ადამიანად იქცევა, თითქოს სხვა თვალი ეხილება, სამყაროს უფრო ფართოდ ხედავს, პორიზონტი უფართოვდება. მაგრამ ეს უნდა მოხდეს მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ.

„თუ ჩვენში იპოვებოდნენ და იპოვებიან უცხო ენების მშვენიერად მცოდნენი, ეს იყვნენ და არიან ის პირნი, რომელთაც პატარაობიდანვე ქართული ენა ზედმიწევნით შეუსწავლიათ და ამ ცოდნაზე აუშენებიათ რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის და ნემეცურის ენების სწავლა. მაგალითად საქმარისია დავასახელოთ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ივანე მაჩაბელი, ნიკო დადიანი და სხვანი“.

„ეტლი ქართული ეროვნებისა“ ტაატი მდიოდა, ვი-ვაგლახით მიიკვლევდა გზას. ამის წამლად და მალამოდ იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევდა მომავალ თაობის ზემოთ ჩამოთვლილ მწერალთა და მოღვაწეთა მაგალითით აღზრდას.

„რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნების ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევებათ ძირში ქართული ენა და ყვერად მოვუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვანის სისწრაფით ივლის...“

იაკობ გოგებაშვილის აზრით სხვა ენათაგან უპირატესობა რუსული ენის შესწავლას უნდა მინიჭებოდა, რადგან:

რუსული — სახელმწიფო ენაა,

რუსული — ენაა ხალხისა, რომელთანაც ისტორიულმა ბედმა დაგვაკავშირა.

რუსული — კულტურული ენაა, რომლის შემწეობით ვითვისებთ ევროპულ კულტურას.

იაკობ გოგებაშვილის თქმით რუსულს „მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა“.

მაგრამ, როგორც ითქვა ამ „მსოფლიო ენებს“ მხოლოდ მშობლიური დედა-ენის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ უნდა შეეღოთ ქართველი ბავშვის ცნობიერების კარი, სარეველასავე არ უნდა გადაეღოთ ბავშვის ნორჩ მენსიერებაში აღმოცენებულ მშობლიურ ყლორტზე, არ უნდა დაეჩაგრათ მთავარი და ძირეული.

ეს კი, სავალალოდ, ასე იყო და რომ ასე არ ყოფილიყო, ამისთვის ყველა ქართველს უნდა ამოეღო ხმა, გამოეღო ხელი და თუ საჭირო იქნებოდა ხმალიც ამოეღო.

„ანთეოზისავეით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედა სდგას ეროვნულს ნიადაგზედ; ხოლო მასავეით სუსტდება და ილუპება, როდესაც იგი შორდება ამ ნიადაგსა, ძწყვეტავს მასთან განმაცხოველებელ კავშირსა“.

ეროვნული ნიადაგის გაპოხიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იაკობ გოგებაშვილს გმირ მამა-პაპათა აჩრდილების გამოხმობა, მათი მოშველიება, მათი მაგალითით თანამედროვეთა აღზრდა მიაჩნდა. ამით იგი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გზას მისდევდა, იმ განსხვავებით, რომ ის თავის ისტორიულ მოთხოვნებს ბავშვებისთვის წერდა.

„ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც

არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუარულებელ ღრმას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის“.

ერთ-ერთი ისტორიული მოთხრობის-სქოლიოში მწერალი ასე მიმართავდა მკითხველს:

„აჰა, მკითხველო, ერთი მეათასედი, ასე ვთქვათ, მოქმედება ამ საოცარი ღრამისა, რომლის შინაარსი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“. გოგებაშვილმა იცოდა, თავის ისტორიას მოწყვეტილი ხალხი ანთეოსივით დასუსტდებოდა და დაიღუპებოდა, მას მუდამ ახსოვდა თერგდალეულთა დიდი მესვეურის ნათქვამი: ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნაო.“

თავის წინამორბედთა კალმით გაცოცხლებული დიმიტრი თავდადებულისა და თორნიკე ერისთავის მსგავსად იაკობ გოგებაშვილს მომავალი თაობის თვალწინ ქართლის ბედუკუღმართი ცხოვრების ფერფლიდან ამოჰყავდა სამშობლო-სათვის თავდადებული რაინდები, ტკბილი ქართულით, ქალდაუტანებელი, დამაინტერესებელი თხრობით უამბობდა მათ თავგადასავალს... აქვე უნდა ითქვას, რომ მწერალი მუდამ გრძნობდა ისტორიის მამოძრავებელი ძალის — ქართველი მშრომელი ხალხის მნიშვნელობას, მის როლს საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი ისტორიული მოთხრობების გმირები უმთავრესად გლეხები არიან. ვინც გოგებაშვილის მოთხრობებს წაიკითხავს, არასოდეს დაავიწყდება ქართველი მთიელები — სამასი არაგველის სახელით ცნობილი, რომელთაც თავი გასწირეს ალა-მაჰმად ხანის ურდოებთან უთანასწორო-ბრძოლაში („სამასი თავდადებული გლეხი“), არ დაავიწყდება, ქიზიყელი გლეხი ბოსტაშვილი, რომელმაც ფიცხელ ბრძოლაში უცხენოდ დარჩენილ ერეკლეს თავისი ცხენი დაუთმო და ამით ნიშნი მოუგო თავად ანდრონიკაშვილს. რომელმაც მეფეს დასცინა: მობრძანდი, უკან შემომიჯექი, ჩემი ცხენი ორივეს კარგად გვატარებსო, არ დაავიწყდება ხეზე მჯდარი პატარა ინგილო ქალი, რომელ-

მაც მეფე ერეკლეს თავზე ქლიავი გადააყარა, თათრული ქუ-  
დი რად დაგიხურავსო. ასევე დაუვიწყარია კავთისხეველ  
ქვლივიძიანთა გააზნაურების ამბავი, ცხრა ძმა ხერხეული-  
ძეთა თავდადება მამულისათვის.

იაკობ გოგებაშვილი ერის მოძღვარი იყო და სხენაირად  
ვერ დაწერდა, ერის უმრავლესობას, მის რეალურ ძალას და  
ისტორიულ დამსახურებას თავის მკითხველს ვერ დაუმალა-  
და, იგი მუდამ სასოებით იხსენიებდა იმ გმირებს, რომელ-  
თაც, გრიგოლ ორბელიანის თქმით:

და გატლიწერეს პირჯვარი... ვაჟაკებრ ხმალი იშიშვლეს...  
და შავარდნებრ შივარდნენ სპარსთა ურიცხესა სიმრავლეს,  
შესძრეს... გაჟანტეს... მაგრამა... ზედ თავი თვისიც დააყლეს.  
ფიცი ვაჟაკთა წმიდა ირს... მათთა სიკვდილით შემოწმეს!

განა ქართველი ოდესმე დაივიწყებტ მშვენიერ მოთხრო-  
ბას „იავნანამ რა ჰქმნა“, რომელშიც საქართველოს წარსუ-  
ლის ერთი ბნელი ფურცელია გადაშლილი, ფურცელი, სადაც  
მოთხრობილია ოდესღაც კეთილმეზობლურად მცხოვრებ  
ქართველთა და ლეკთა შეჯახების ამბავი. გარდა მთავარი  
იდეისა, მოთხრობა უაღრესად საინტერესოა იმითაც, რომ  
ავტორი სულგრძელობას იჩენს ამ მოთარეშე ტომის მიმართ,  
მისი წარმომადგენლები ნამდვილ ადამიანებად გამოჰყავს და  
მოთხრობის დასასრულს ხატავს ამ ორი, ერთ ბედში მყოფი  
დაჩაგრული ტომის მეგობრობის იდეალურ სურათს.

უძლეველია ძალა აკვანზე დამღერებული იავნანისა. იავ-  
ნანა დასაბამია ჩვილის გულში ქვეშეცნეულად ჩასახული  
მშობლიური გრძნობისა. იავნანა დედაა დედა-ენისა.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მრავალფეროვანი შე-  
მოქმედება დადასტურებაა იმისა, რომ შვილს მხოლოდ დედა  
არ უმღერის მშობლიურ იავნანას. მამაც უმღერის შვილს,  
უმღერის ვაჟაკური გულისტკივილით და ჩუმი გამოუთქმე-  
ლი სიყვარულით — აკვანშივე უნერგავს დედა-ენისა და სამ-  
შობლოს სიყვარულს და კეთილშობილ ადამიანად, მომავლის  
ადამიანად ზრდის.



## ჩემი პირველი მსახური

ჩემს წინ ცალხაზიანი საწერი ქალაქის ერთი ფურცელი დევს. ფურცელი გახუნებულია... გახუნებულია ფურცელზე მსხვილი ასოებით მიწერილი ჩემი სახელი და გვარიც. ვანგარიშობ...

დიდი დრო, ოცდათექვსმეტი წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც ამ ფურცელზე ჩემი სახელი და გვარი დაიწერა.

დაიწერაო, იმიტომ ვამბობ, თვითონ არ დამიწერია; ჩემი ხელი არ მომწონდა. ჩემს უფროს დეიდაშვილს გიორგი ლომიძეს შევეხვეწე და გადავაწერინე ჩემი ბალღური ლექსები. მან ლამაზი მოწაფური ხელით გადამიწერა „პირველი წიგნი“ და მისი თავფურცელი ამგვარად შეამკო: „გოგია შატბერაშვილი, ლექსები, 1925 წელი“.

მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი. შინ და სკოლაში უკვე „ცნობილი პოეტის“ სახელი მქონდა. ჩემი პირველი ლექსი „აკაკის საფლავს“ სწორედ იმ წელს დაიბეჭდა გაზეთ „მოწაფის ხმაში“.

აკაკის გარდაცვალების ათი წლისთავი სრულდებოდა, დიდი პოეტის საფლავი კი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მწერალთა პანთეონის თავზე გადმომდგარი კლდე ინგრეოდა და აკაკის საფლავს წალეკვით ემუქრებოდა. პრესაში დიდი აურზაური იყო ამის გამო ატეხილი. ჩემი ლექსიც ამ ხმაურის გამომთხილი იყო და ამგვარად მთავრდებოდა: „ამხანაგებო, ავუგოთ ძეგლი აკაკის საფლავსა, თორემ ის დაგვეკარგება, კლდის ღორღი წალეკს, დაფლავსა!“

ლექსის დაბეჭდვაზე ფიქრს როგორ გავბედავდი, მაგრამ უფროსი კლასის მოსწავლემ, ამჟამად ცნობილმა ენათმეცნიერმა და მწერალმა შოთა ძიძიგურმა შემავლთანა, ლექსი

თავისი ხელით წაიღო „მოწათის ხმის“ რედაქციაში და ნინო ნაკაშიძეს გადასცა. მეც და ჩემი მეგობარ-აღმომჩენიც მოუთმენლად ველოდით გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლას. ლექსი დაიბეჭდა.

პირველმა ადვილმა წარმატებამ გამაბედვინა მთელი ჩემი „პოეტური შემოქმედების“ ერთ რვეულში თავმოყრა.

საკმაოდ მოზრდილი რვეული მალე ჩემი ნათლის — ცნობილი გენერლის გიორგი მახზიაშვილის ხელში მოხვდა. ამგვარად, ჩემი პირველი ლექსების ქაშნიკის გასინჯვა-შატბერაანთ საოჯახო საბჭომ სამხედრო პირს მიანდო... მე ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი უმწიფარი ლექსების პირველი მსაჯული ეს მრავალმგადახდილი გენერალი კი არა, ქართული პროზის ერთი გამომჩენილი გენერალი იქნებოდა. მოუთმენლად ველოდი განაჩენს.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა დამიბარა... აღფრთოვანებულ და მხვდა, იმდენად გახარებული, რომ გადაამეხვია და შუბლზე შაკოცა.

გაბრუებული ვიდექი. ეს კოცნა ჩემთვის დიდი ჯილდო და პირველი უანგარო ჰონორარი იყო, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, რთგორ გადამეხადა მადლობა, რა მეთქვა. უნებურად ხელი დავავლე ჩემს რვეულს და კარისკენ გავიხედე.

— მოიცა, — ლომილით შემაჩერა გენერალმა, — ლექსები დამშტოვე... მე ამ საქმის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ შენი ლექსების კითხვის დროს რაღაც კარგი ვიგრძენი, ამიტომ საჭიროა ვინმე მწერალს წავაკითხოთ.

გენერალი ჩაფიქრდა, მერე მკითხა:

-- კვაჭი კვაჭანტირაძე წავგიკითხავს? ჯაყო წავგიკითხავს? გამელიმა, მივხვდი, თავი დავუქნიე.

— ჰოდა, ამ რომანების დამწერი ჩემი მეგობარია. მოდი, იმას წავაკითხოთ. თუ მიშას მოეწონა, საქმე გათავებულება, წიგნს დაგიბეჭდავენ!

სული შემიგუბდა. სუნთქვა მიჭირდა. ჩემთვის ამ ცნობილი კაცის აზრიც საკმარისი იყო. მისი აღფრთოვანება ალბათ დიდხანს გამყვებოდა საგზლად. მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო. რვეული ისევ მაგიდაზე დავდე.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი რვეულის თავფურცელზე კონტად გამოყვანილი ასოების გვერდით შავი ფანქრით, გაჩურჩული ხელით ნაწერი გაჩნდა. წარწერა მხოლოდ თავფურცელზე კი არა, თითქმის ყველა ლექსის ბოლოში იყო გაკეთებული. ახლა, როცა ამ მოგონებას ვწერ, თვალწინ მიდგება თვალთ უნახავი, მაგრამ ადვილად წარმოსადგენი ერთი საღამო ათას ცხრაას ოცდახუთი წლისა.

...გენერალმა ვერის ხიდზე გადმოიარა, აღმართს აუყვავა, იგი ძველ ცირკს გამოსცდა, ქუჩა გადასჭრა... იქვე, ვერის დაღმართზე, მაღალი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობს მიხეილი. საღამოს 7—8 საათია, მიხეილი სამუშაო მაგიდას უზის და ფანქრებს წვერს უთღობს. მოკუტრული, ჭკვიანი თვალები საფიქრალს ულიმის, საწერად ემზადება.

ისმის ზარის ხმა და პატარა ქეთინოს ძახილი.

მიხეილი ჯიბის დანას მაგიდაზე დებს. შუბლს შეიკრავს, აღარ იღიმება. სიტყვასთან შეუურიგებელი ჭიდილისა და ფიქრის ერთი საღამო ეკარგება.

ოთახში შედის დაბალი ჯგბუხი გენერალი. ღიმილით, ამყად მიაბიჯებს მეგობრისკენ. ჯიბეში უღევს... ჩემი ლექსები. მიხეილიც იღიმება...

— მობრძანდით, გიორგი ივანოვიჩ, მობრძანდით! დაბრძანდით, აი, აქა... აქა სჯობს, გეთაყვა!

მიხეილი იღიმება, იციანის, მასპინძლობს, მაგრამ ეს სხვა ღიმილია, წელანდელი მარტოობის ღიმილი თვალებს უკან მიიმალა, გულში ჩაბრუნდა, ჩუმაღ ფათურობს სადღაც. ფიქრის ხვეულებში, თავის საოცნებოს დასტრიალებს. ამიტომაც უშტერდება თვალი. ხანდახან ავიწყდება კიდევ, რომ მის წინ სახელგანთქმული მხედარი ზის.

გენერალი ჯიბიდან ჩემს რვეულს იღებს...

...

ნეტავ რა თქვა, რა ჰკითხა მიხეილმა იმ საღამოს გენერალს?

— ეს ჩემი ნათლულის ლექსებია... პატარა ბიჭია... აი იმის შეიღობი, არ იცნობ?...

...

ასე იყო?

ალბათ, სულ ასე არა, მაგრამ რაღაც მსგავსი იქნებოდა. ეს კი ცხადია. მიხეილის ერთი საღამო, საღამოს დიდი ნაწილი მაინც შეეწირა ჩემი რვეულის კითხვას...

შემდეგ გაჩნდა წარწერები ჩემს ლექსებზე. ცალკეული შენიშვნები, წამოძახილები, ხანდახან უკმაყოფილო წამოძახილებიც:

„ასე არ ვარგა!“

„ეს მეტისმეტია!“

„ამას არა უშავსრა!“

„ან ერთს უმღერე, ან მეორეს!“

ბოლოს კი დასკვნა...

დასკვნა რვეულის ბოლოში კი არა, იმ თავფურცელზეა, წელან რომ ვახსენე: ჩემი სახელისა და გვარის გვერდით. გაკრული, ნაჩქარევი ხელით, შავი უბრალო ფანქრით...

არა, ეს საწყენი არ უნდა იყოს. ის ხომ თავის რომანებსაც ფანქრით წერდა. ფანქრით კარგია წერა. ფანქარი რბილად მიცურავს ქალაღზე, საჭირო არ არის ხშირხშირად სამელნეში კალმის ჩაწობა. ზედმეტი მოძრაობა, თვალის ერთი მიმოვლებაც კი სხვაგან გაიტყუებს ფიქრს, ან კალენდრის დღეევანდელ ფურცელზე წაწერილს მოჰკრავს თვალს: „ხედავ ხელოვანთა სასახლეში...“ ან...

ფანქარი რბილად მიცურავს ქალაღზე.

მაშინ მუდმივი კალმები არ იყო... მუდმივი კალმები არ იყო, მაგრამ სამუდამო, წარუშლელი რამ იწერებოდა. იმ ფანქრებით... ათობით, ოცობით, ფაქიზად წვერწათლილი ფერადფერადი ფანქრებით.

ჰოდა, ნაჩქარევი ხელით არის ნაწერი დასკვნა... ეს დასკვნა გენერალმა გადმომცა.

• • •

გენერალი მოწყენილი დამხვდა. რვეული დამიბრუნა და მირჩია ყურადღებით წამეკითხა შენიშვნები.

მივხვდი.

რა კარგი დღე იყო ჩემთვის, როცა მან შუბლზე მაკოცა. ალბათ მისთვისაც კარგი იყო ის დღე. ის მაშინ ნამდვილად იყო გახარებული და კარგი ხომ იმ დღეს ჰქვია, რომელიც კაცს გაახარებს.

ვიგონებ. გამხდარი ბიჭი დგას ჩემს წინ... იმ ბიჭს დიდხანს ეგონა, რომ მისმა ლექსებმა გაუთენა ერთი კარგი დღე მისი ლექსების პირველ შემფასებელს. ისიც დიდხანს ეგონა, რომ გენერალი მოწყენილი იყო თავისი ნათლულის იმედების გაცრუებით. დიად, მეტი სასიხარულო და მეტი საწყენი აღარაფერი ჰქონდა!

— გული არ გაიტეხო, — მითხრა გენერალმა და კარებამდე მიმაცილა.

მუხლები მითრთოდა.

რად უნდა გამტეხოდა გული? რა მოხდა? რა ამბავია ჩემს თავს?

გზადაგზა ვკითხულობდი შენიშვნებს. ჯერ შენიშვნებს, მერე ლექსებს, მერე საერთო დასკვნას. ნელნელა ვმშვილდებოდი და თვალწინ შეწუხებული გენერლის სახე მეღგა.

არა, ამ შენიშვნებში ისეთი რამ არ სწერია, რომ ის ასე შეწუხებულიყო.

იქნებ მას ეგონა, მხოლოდ ამ პატარა რვეულზე იყო დამოკიდებული ჩემი ბედი და მომავალი... არ შესრულდა მისი დანაპირი: არ გამოვიდოდა ჩემი ლექსების წიგნი. ეგონა და სწუხდა თავისი ნათლულის ბედით, ფერმკრთალი და სუსტი ბიჭის ბედით, რომელიც დაღონებული შიაბიჯებდა თბილისის ჩაბნელებულ ქუჩებში.

• • •

ვკითხულობდი დასკვნას, ვწუხდი და მიხაროდა.

„ნიჭი მოსჩანს...“ ასე იწყება დასკვნა.

მაგრამ?

ჰო, დასკვნაში ამ ორი სიტყვის შემდეგ მართლაც „მაგრამ“-ია.

მერე რა, რომ „მაგრამია“ ჩაჩხირულნი ჩემს აწმყოსა და

მომავალს შორის, ვფიქრობდი მე. ნამდვილად ასე ვფიქრობდი. უნდა გადავლახო ეს ზღუდე. შევძლებ?

მაგრამ, აი დასკვნაც:

„ნიჭი მოსჩანს, მაგრამ ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევნი. ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას და ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები. ეს ლექსები ძველი ტექნიკით არის დაწერილი, ეხლა ასე აღარავინ სწერს. თუ იბეჯითა, გაიმარჯვებს. ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს. გულს ნუ გაიტეხს: ჯერ შრომა, შრომა და ისევ შრომა“. შემდეგ ინიციალები: მ. ჯ.

• • •

„ნიჭი მოსჩანს“... ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მიხეილმა ჩემს უმწიფარ ლექსებში რაღაც დაინახა, იგრძნო... დაინახა, მაგრამ ძალიან შორს, შორს... თორემ უფრო გაბედულად იტყვოდა, დასწერდა: ავტორი ნიჭიერიაო.

„დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევნი“.

ვკითხულობდი ამ სიტყვებს, მივაბიჯებდი და ოცნების თვალთ გავეყურებდი ჩემს წინ გადაშლილ დიდ, გრძელ, ძნელად დასაძლევ გზას, გავყურებდი და რატომღაც არ მაშინებდა ეს გზა, რადგან დასკვნაში გარკვევით ეწერა — ნიჭი მოჩანსო...

მაგრამ ეს რაღას ნიშნავს:

„ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას“.

კარგით, მესმის, ვისაც უნდა მწერალი გამოვიდეს, უნდა „ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები“... მაგრამ წერას რაღა უნდა დაანებოს თავი? გახა ვარჯიში და პრაქტიკა საჭირო არ არის? იქნებ ეს კილოკავად თქმული ფრთხილი რჩევაა, წერას მოეშვი, მწერლობა შენი საქმე არ არისო! მითუმეტეს, თურმე „ეხლა ასე აღარავინ სწერს.“ ყოფილა რაღაც „ახალი ტექნიკა“. სად, სად სწერია ახალი პოეზიის კანონები?

არა, არაფერი გამოვა ჩემგან... „ნიჭი მოსჩანსო“, ალბათ,

გენერლის საამებლად ჩაწერა თავის განაჩენში კეთილმა მწერალმა!

ეს რაღაა?

„ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს“.

მე ხომ მოთხრობებიც მაქვს. რატომ ლექსებთან ერთად არ მივუტანე ჩემი „დიდი“ (თოთხმეტგვერდიანი!) ისტორიული რომანი „ქართველი გმირი ბეჟანი“, რომელიც შინ და გარეთ ყველამ მოშიწონა?

ხომ შეიძლება ახლა მივუტანო?

• • •

მაგრამ ჩემი „რომანი“ მიხეილ ჯავახიშვილს თვალითაც არ უნახავს, ჩემი პროზის ჭაშნიკი არ უგემნია და საღამო აღარ დაუკარგავს.

ძველი ლექსები დავხიე, წერას ვუკელი და კითხვას შევუდექი.

ამ დასკვნის დახვევა კი არ შეიძლებოდა. ვგრძნობდი და ვინახავდი. არ დავხიე, ვუფრთხილდებოდი როგორც ძვირფას საწვავს, მაშინაც კი, როცა ამ გახუნებულ ფურცელზე მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი არაერთი ქაღალდი იხეოდა საქართველოში.

• • •

მიხეილ ჯავახიშვილი პირველად უკვე დაქაბუკებულმა და ახლად უღვაშამომდინარმა ვნახე.

ხშირად ვხედავდი მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის ბაღში, სადაც (როგორც ახლა) დამწეები „ბედის მაძიებლები“ ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით და ვკამათობდით. „ახალი ლექსი“ და მისი დაუწერელი კანონები იყო ჩვენი გაუთავებელი პაექრობის საგანი... შემოვიდოდა, გვერდით ჩაგვივლიდა, შუბლქვეშ გამოგვხედავდა და უცნობებსაც კი უსათუოდ მოგვესალმებოდა.

ჩვენ ერთმანეთს დიდხანს არ ვიცნობდით, მანამდე, სანამ ის „ძნელად დასაძლევნი გზა“ ნაწილობრივ არ დაეძლიე. მე არასოდეს მივსულვარ მასთან და არ მითქვამს, რომ ჩემმა

ლექსებმა მას ერთი საღამო წაართვა, არ მითქვამს, რამდენი საფიქრალი გამიჩინა მისმა დასკვნამ. არც მას უთქვამს არაფერი ჩემთვის. ალბათ აღარც ახსოვდა. ვინ იცის, რამდენი რვეული წაუკითხავს, რამდენი დასკვნა დაუწერია, რამდენი საღამო დაუქარგავს?

დაუქარგავს?

არა, დაქარგულად არ ჩაითვლება ის საღამოები, ალბათ არც თვითონ თვლიდა დაქარგულად. ის თავის დიდ რომანებს მათთვის სწერდა, ვინც მისი სახლის კართან გულისცემით მიდიოდა და აკანკალებულ ხელში თავისი ლექსებისა და მოთხრობების პირველი რვეულები ეჭირა.

• • •

1933 წლის დეკემბერი იწურებოდა.

რუსთაველის თეატრი ჩემ პიესას „ღუშმანს“ ამზადებდა დასადგმელად.

პრემიერა ახალი წლის ღამეს იყო დანიშნული. არც ერთი რეპეტიცია არ მენახა. არ ვიცოდი, რა ხდებოდა სცენაზე, რას ვნახავდი, გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა ჩემი პირველი ცლა.

სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციაზე მეც მიმიწვიეს. უკვე ოცდასამი წლის ქაბუკი ვიყავი, გული იმედებით და სიყვარულით მიჩქროლავდა, ღონე მერჩოდა, მაგრამ ფეხები ძლივს შევიტანე თეატრში, ვლელავდი. მრცხვენოდა: ფეხზე წითელი სპორტული ფეხსაცმელი მეცვა, დამსწრე საზოგადოებას მოვერიდე და უკან, პარტერის ბოლო რიგში მივიკუნტე.

წინა რიგებში მხარბეჭიანი და ხუჭუქთმიანი სანდრო ახმეტელის გვერდით პატარა, მხრებში მოხრილი კაცი იჯდა... მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ჩემი. გულისთვის ამ საღამოსაც კარგავდა.

სპექტაკლი დამთავრდა...

მე გაბრუებული ვუსმენდი სპექტაკლსაც და მის მსაჯულებსაც. იმდღევანდელი აღარაფერი მახსოვს. აღელვებამ და



გულისცემამ შთანთქა ყველაფერი. მახსოვს მხოლოდ ერთი: მიხეილმა სიტყვა მოითხოვა. ხელში უბის წიგნაკი ეჭირა, მაღლიმალ ჩახედავდა, თან ლაპარაკობდა. როგორც მახსოვს, ცუდი არაფერი უთქვამს. უმთავრესად ქართულზე ილაპარაკა. მისთვის ხომ ქართული იყო წყალი, პაერი, მზე და სიცოცხლე. ქართულით სუნთქავდა და ქართულისთვის იბრძოდა ხმაღამოღებული.

„სცენიდან კარგი ქართული გავიგონე, მაგრამ შენიშვნებიც მაქვსო“, — თქვა და უბის წიგნაკში ცერად ჩაიხედა... სხვა შენიშვნები აღარ მახსოვს, ერთი კი ასეთი იყო: ჩემი პიესის გმირი ამბობდა: „ის ბიჭები ძალიან მიყვარან“... ეს არ შეიძლებაო, უნდა ვთქვათ: ბიჭები მიყვარს, მშობლები მიყვარს... „მიყვარან“ კუთხურიაო.

სანდრო ახმეტელმა უკან მოიხედა, თითი დამიქნია და დამიძახა: ეი, ქართლელო, კარგად დაიხსომეო!.. მე თავი ჩავლუნე...

„ახლა ავტორი გაგვაცანითო“, — თქვა მიხეილმა.

ახმეტელმა მანიშნა. მე ჩემს წითელ სპორტულებს დავხედე...

მიხეილმა ხელი გამომიწოდა. გამხდარი, ძლიერი ხელი. დაკვირვებით, უღმილოდ შემომხედა. მერე, სათვალის მიწინს იქით დავინახე, როგორ მოხუჭა ცალი თვალი. ოღნავ, შეუმჩნევლად... მზერა უკან, სადღაც ხსოვნის ხვეულებში გააბრუნა. ჩაფიქრდა, მერე კეთილად გაიღიმა.

იქნებ ლექსების პატარა რვეული გაახსენდა. თავისი დასკვნა, დაკარგული საღამო. არ ვიცი, არაფერი უთქვამს, არც მე მითქვამს რამე. არასოდეს გამიხსენებია, რომ ჩემი ლექსების პირველი მსაჯული იგი იყო.

## სამი ძმის ქორწილი და კონსტანტინეს შეგონებანი

სამი ძმა ვართ. ისე დავცოლშვილდით, ქორწილი არ გადაგვიხდია. დაფანტულნი ვიყავით, მე ვმასწავლებლობდი კასპის რაიონის სოფლებში, ჩემი და-ძმები თბილისში ცხოვრობდნენ, დედ-მამა—ჩემს მშობლიურ სოფელ თვალადში. ვერ შევიკრიბეთ და ვერა, ვერ მოვგროვდით, რომ ჩვენი ოჯახის დათავთავება აღგვენიშნა და ჭიქა ღვინო ერთად დაგველია, გამოვთხოვებოდით ძველი სახლის ქერს, ახალი დაგველოცა.

ოსევე მამამ მოიპრიანა, შეგვაგულიანა, ატყდა: სამივე ძმას ქორწილი ერთად უნდა გადაგინადოთ, ცალ-ცალკე, თუ გუნებაში რამე გაქვთ, თქვენვე მოახერხეთო. მე ოცდაცხრის ვიყავი, ლეო — ოცდაშვიდის, შოთა — ოცდახუთის. მე უკვე ბიჭი მყავდა, ახლად დაბადებული ბედი. ჩემი უფროსი და ნატო უკვე კარგახნის დაქორწინებული იყო და დიდი ბიჭი ჰყავდა.

პოდა, თვალადში დიდი სამზადისი იყო.

შემატყობინეს. კასპიდან თბილისში ჩავედი მოპატიჟედ. მე ჩემი მეგობარი, მწერლები უნდა დამეპატიჟა. ლეოს — მსახიობები, შოთას — ინჟინრები.

ჩემი სია საკმაოდ გრძელი იყო. ყველას ჩამოვუარე. ვისაც ვერ მივწვდი, სხვებს დავავალე დაპატიჟება. ქორწილი 12 წოებრისთვის იყო დანიშნული.

კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიჟება გულით მინდოდა, მაგრამ ვერიდებოდი, არ მინდოდა შემეწუხებინა. ჩვენსკენ ცუდი გზებია, თანაც გრძელი — სანდგურ კავთისხევიდან თვალადამდე ცხრა გილომეტრი მაინც არის. მაშინ საკუთარი

მანქანები არავის ჰქონდა, თვითონ კონსტანტინესაც კი. ეს იყო თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ, 1939 წელს.

სულ გზებს ვინ ჩივის. ნოემბერი წვიმიანი თვეა და ავღრიანი დღეები იდგა. ასეთ დღეებში ორლობებში ისეთი ლაფი დგებოდა, ურემსაც კი გაუჭირდებოდა გავლა.

კონსტანტინეს დაპატიება კი გულით მინდოდა.

მინდოდა იმიტომ, რომ პატივს ვცემდი, მიყვარდა და ჩემს ქერქვეშ მინდოდა მისი ხმის გაგონება. მაშინ კონსტანტინე 49—50 წლის იქნებოდა. ჩვენს შორის ოცი წელიწადი იდგა. ეს ოცი წელიწადი ჩვენ შორის ახლაც დგას, მაგრამ კონსტანტინე მაშინ უფრო ხნეირად მეჩვენებოდა, ალბათ მისი მაშინდელი მწერლური წარმატებებიც ჩემს წარმოდგენაში იმ წლებს ემატებოდა.

ასაკი უსააკობთან მეგობრობაში ხელს არ უშლიდა. ყოველთვის, როცა სოფლიდან ჩასულს სადმე შემხვდებოდა, გულთბილად მომიკითხავდა, ამბავს გამომკითხავდა, დამარიგებდა... ერთხელ დახმარებაც კი შემომთავაზა. მაშინ არსად ვმუშაობდი. ვიგრძენი, გულით უნდოდა დამხმარებოდა, მაგრამ მაინც უარი ვუთხარი.

ერთხელ, შაბათ საღამოს, თბილისში რომ ჩამოვედი, მაშინვე კონსტანტინეს დავურეკე. მისი ტელეფონის ნომერი არასოდეს დამვიწყებია, არც დამავიწყდება. მახსოვს, ასე მითხრა:

— სამი, ნოლი, რვა, თერთმეტი!

ქართულად მითხრა და თავში ჩამეჭედა.

ვუთხარი თუ არა, ვინც ვიყავი, მაშინვე წინადადება მომცა, სრულ ცხრა საათზე ჩემთან მოდიო. ცხრა საათამდე დიდი დრო იყო.

რუსთაველზე გრიგოლ აბაშიძე და ლადო ასათიანი შემხვდნენ. გრიგოლმა რესტორან „კავკაზში“ დაგვპატიჟა. კარგად რომ შევქეიფიანდით, ისევ რუსთაველზე ჩავიარეთ, ლადო ატყდა, ახლა მე უნდა დაგვპატიჟოთო და ახალი სუფრა გაგვიშალა „თბილისში“. ახალგაზრდები ვიყავით და ბევრი შეგვეძლო — ბევრი სმა, ბევრი მხიარულება, ყველაფერი ბევრი. გრიშა და ლადო ხუმრობდნენ, მე კი შუბლი მქონდა

შეკრული. ისინი ჩემს უგუნებობას სხვა რამით ხსნიდნენ, სანამ არ ვუთხარი, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა მიეცე-  
ცი, ცხრა საათზე უნდა მივსულიყავი, ახლა კი უკვე თერთ-  
მეტის ნახევარია-მეთქი.

— მერე, რა გაწუხებს, ბიჭო. დაურეკე და ჰკითხე, დაგ-  
ვიანებულ სტუმრებს არ მიიღებ-თქო, — სიცილით მითხრა  
ლალომ.

მეტი გზა არ იყო, ავკრიფე სამი, ნოლი, რვა, თერთმეტი  
და კონსტანტინეს ხმაც გავიგონე.

— სად დაიკარგე, შე ქართლელო ტეტიავე, ასე რად მა-  
ლოდინებ?

ბოდიში მოვუხადე.

ჩამაცივდა, ახლავე მოდი, ისეთ კალმასს გაკმევე, თვალით  
არ გენახოსო.

მე უხერხულად ვდუმდი. — მერე ვუთხარი, ამხანაგებთან  
ვარ-მეთქი. ვინ არიანო, მკითხა; რომ ვუთხარი, ჩემთან გრიშა  
და ლალო არიან-მეთქი, უსათუოდ ახლავე დასტოვეთ ეგ  
ბინძური რესტორანი და სამივე აქ გაჩნდითო—

კალმახები მართლაც შესანიშნავი იყო. ღვინოც კარგი და  
მასპინძელიც მხიარული. ჩვენ მთვრალეები ვიყავით და ლექ-  
სებს ვამბობდით. ღვინო რომ დალია, კონსტანტინემაც დაი-  
წყო ლექსების თქმა.

მახსოვს, ერთი ლექსი. — „მე მყვანდა დედა“ ხუთჯერ-  
ექვსჯერ ვათქმევინეთ. გრძნობით კითხულობდა და გულაჩუ-  
ყებული შეჯიბრებაში გვიწვევდა. მერე სხვა ლექსი თქვა:

ისლის სახლი, ისლის სახლი,  
ქარი, ქარი, ქარი,  
ველარ ვნახე შენი სახე,  
ველარ მოგისწარი.

ამ ლექსს სათითაოდ, მორიგეობით, ხანაც ვერთად, ჩვენც  
ვამბობდით.

მაგრამ ამ პატარა მოგონების მიზანი სხვა არის და სხვამ  
კი გამიტაცა... მინდოდა აღმენიშნა, რომ კონსტანტინესთან  
უკვე საკმაოდ დაახლოებული ვიყავი, ამიტომაც, ბოლოსდა-

ბოლოს, დავივიწყე კავთისხევის ორლობების ტალახი, დავ-  
ძლოე მორიდებას და კონსტანტინეც დავპატიე. მითხრა,  
უსათუოდ ამოვალო.



მაგრამ ტყუილი სცოდნია კონსტანტინეს...

ტყუილი ეთქმის, აბა რა...

აი, მე და ჩემი მეგობრები უკვე ჩემი ძველი სახლის ჭერ-  
ქვეშ გრძლად გაშლილ სუფრას ვუსხედვართ, სუფრა კი მარ-  
თლაც გრძელია. ქართლში ასეთ სუფრაზე იტყვიან — ისეთი  
გრძელი სუფრა იყო, სუფრის თავიდან ბოლოზე კაცის თვალი  
ღვინის ფერს ვერ გაარჩევდაო.

აქ არიან კარლო კალაძე, ალექსი გომიაშვილი, გრიშა  
აბაშიძე, გივი გაჩეჩილაძე.

კონსტანტინე კი არსად ჩანს.

მე თვალი გზისკენ მიჭირავს, ახალ სტუმრებს ველოდე-  
ბით: ჯერ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები არ გამოჩე-  
ნილან, მე უფრო მეტად კონსტანტინეს ველოდები. რა ვიცი,  
კაცნი ვართ, იქნებ გამოჩნდეს. ბიჭებმა მითხრეს, თბილისში  
ჩვენი წამოსვლისას წვიმდა და კონსტანტინემ წამოსვლა ვერ  
გაბედაო.

წვიმა კი თანდათან მატულობდა და ჩემს უკანასკნელ  
იმედსაც აღნობდა.

აგერ, ორლობეში ზურნის ხმა გაისმა, საგზაურს უკრავენ  
და მოდიან, ნეტავ ვინ არიან?

— ესენი ჩემი სტუმრები იქნებიან, ზუბიაშვილების დას-  
ტის ამოყვანას ვასო გომიაშვილი შემპირდაო, — წამოიძახა  
ლეომ. აივანზე გავედით და ორლობეს გავხედეთ. მართლაც  
კარგი სანახავი იყო: წინ მეზურნეები მოდიოდნენ, საგზაურს  
აჭყვიტივებდნენ და ორლობეში გამდგარ ტალახს მოარღვევ-  
დნენ. მეზურნეებს მოსდევდნენ ვასო გომიაშვილი, შაშო გო-  
მელაური, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ალექსი კალაძე, გიორგი ჩა-  
ხავა, ირაკლი ქოქრაშვილი... მათ შოთას მეგობრებიც შეერ-  
თებოდნენ.

ბევრი იყვნენ. მოიმღეროდნენ და იციონოდნენ. კონსტანტინე მაინც არსად ჩანდა. ამ დიდმა ჯგუფმა კიბეზე და აივანზე დიდძალი ტალახი დასტოვა და დიდი მხიარულება შემოიტანა სუფრაზე.

უკვე კარგად იყო შეღამებული. თბილისიდან წამოსული ყველა მატარებელი ავლილი იყო. აღარავის მოლოდინი აღარ უნდა გვექონოდა, ამიტომ საფუძვლიანად მოვესხვებით სუფრას.

თამადა ბიძაჩემი სიკო გოგიბედაშვილი იყო. ხუმარა და გულქართლი კაცი. კარლო კალაძე, ალექსი გომიაშვილი და ვასო გომიაშვილი თამადის თანაშემწეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. კარგად რომ შეთერნენ, მგონი, თამადის ჩამოგდებაც მოინდომეს, მაგრამ თამადა თავის ადგილს აკრე ადვილად არა თმობდა, ყველაფერს ხუმრობაში ატარებდა.

თამადის სიტყვას ზუბიაშვილების ტუში მოსდევდა, კალაძის და აბაშიძის ხუმრობას — ტაში...

ჰო, კარლო და გრიშა მაშინაც ხუმარები და ენამაკვილები იყვნენ. მაშინ კი არა, მაშინ იყვნენ, რაც იყვნენ. ხუმრობა; როგორც ერთი ანდაზა ამბობს, თავს ვერ იჭერდა და არც იყო საჭირო თავის დაჭერა: დრო მხიარულად მიდიოდა, მაგრამ წინ გრძელი შემოდგომის დამე გველო და თურქე მეტი მხიარულება გველოდა.

მახსოვს, გომიაშვილი და გომიაშვილი თამადის პირველ მოადგილეობაზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მერე კამათი იმაზე გადაიტანეს — არა ჩემი გვარი სჯობს, არა ჩემიო, მათ გვარს ზომ მანი და ძილი ასხვავებს. ბევრი ფრთიანი სიტყვა ითქვა ამ ბეგრების გამო. ბოლოს ალექსიმ უთხრა, წინააშენს გომიაშვილი იქნებოდი, მაგრამ შენს მანს მერე თავი წამტვრევიაო.

შესაძლოა ამ ხუმრობამ ამ მოგონების მკითხველს ღიძილიც კი არ მოჰგვაროს, იქ კი, გრძელად გაშლილ სუფრაზე, ღვინით შეხუმრებულ, ხუმრობის ეშხში შესულ სტუმრებს მეტი არ უნდოდათ; ხუმრობის ბედი ასეთია, სად ითქმის, როგორ, ან ვინ იტყვის, ის არის მთავარი.

ბევრი საღლეგრძელ ითქვა, ბევრიც სათქმელი იყო, გა-

რეთ კი წვიმა ხმაურობდა, ჩემი ძველი სახლის კრამიტს შხაპუნით სცემდა. ეს ხმაური ჩვენს ქრიამულს უერთდებოდა.

ასეთ ღამეში უნდა იჯდე და...

ჰოდა, ჩვენც ვისხედით...

მაგრამ, როგორც ყველა გრძელ ქეიფს სჩვევია, ჩვენს სუფრასაც, მიუხედავად ზუბიაშვილების ოსტატობისა, ვასო გოძიაშვილის, შაშო გომელაურის და ალე ომიადის შესანიშნავი გალობისა, ჩემი ძმების და რძლების ცეკვა-თამაშისა, პოეტების კალამბურებისა — მაინც ერთფეროვნება და მოწყენა შეეპარა. წვიმდა, გარეთ გასვლა და გავლა-გაშოვლა არ შეიძლებოდა, ჰაერი შეიხუთა. არ ვიცი, შეიძლება მე მეჩვენებოდა ასე.

რალაც გადახალისება და განახლება იყო საჭირო.

კარლო კალაძე ღვინის უზარმაზარ კასრთან გულადმა წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო, კასრს მიეყრდნო და წამოიძახა, რაღა ყანწებით ვსვა, ღვინო პირდაპირ კასრიდან გამოდის თავშიო.

არც ეს შეელოდა საქმეს, ალბათ ყველა ნამგზავრი და დაქანცული რომ იყო, იმიტომ.

უცებ ამ ხმაურში, ჩემმა სიძემ, შალვამ მითხრა, ეზოში ვილაც იძახისო.

რამდენიმე კაცი გარეთ გამოვედით და ეზოში ჩავიბრუნეთ. ვხედავ, სიბნელეში ორი კაცი დგას. ერთი მეუბნება, სტუმარი მოგიყვანეთ. ეტყობა, თითონ სტუმრად არა სთვლის თავს. თვალმა სიბნელე გატეხა, კონსტანტინე ვიცანი. მეორე ჩემი მეზობელი ჭაბუკი სიკა შეშაბერიძე იყო.

თვალს არ ვუჯერებდი. ამ შუაღამისას, ამ თავსხმაში, უცნობ, ბნელ ორღობეებში, ცხრა კილომეტრის გამოვლა რამ გააბედღვინა?

ჩუმად შევუძეხი კიბეზე და კარი მოულოდნელად შევაღე. მისმა გამოჩენამ სუფრაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. რამდენიმე წუთს ისმოდა ტაშის ცემა, ყველამ სათითაოდ დალია მისი სადღეგრძელო... რაღა არ უთხრეს, სულ დაივიწყეს, რომ მათ წინ სახელოვანი მწერალი იდგა, ყველა მის დღევანდელ საქციელს აქებდა, გმირობად უთვლიდა.

მართლაც გმირობა იყო. ჩემმა ბევრმა ახალგაზრდა მეგობარმა დღისითაც კი ვერ გაბედა წამოსვლა, უამინდობამ შეაშინა, თუ დაეზარა... ამ ხნიანმა კაცმა კი...

თვითონ კონსტანტინე ძალიან კმაყოფილი იყო, სევდა, მხიარულობდა და მღეროდა, ახარებდა, ოჯახი რომ გაახარა.

გზაში ძალიან გაწვალებულიყო. ქუთაისის მატარებელს გამოჰყოლოდა, ეს მატარებელი კი კავთისხევის სადგურზე გაჩერებას დღემდე არ კადრულობს. კასპში ჩამომხტარა, ზემოდან მომავალ მატარებელს დიდხანს ულოდინებია, მერე, კავთისხევის სადგურში რომ ჩამოსულა, უკვე დაღამებულიყოფილა.

რამდენიმე კილომეტრი უცხო გზაში კითხვა-კითხვით უვლია, ბოლოს თვალადში რომ ამოსულა, ერთ ჭიშკართან შეუსვენია. ეს ჭაბუკი რომ არ შემხვედროდა, გზას ამ ორლობებში ველარ გამოვადგენდიო, მითხრა და შესაბერძის ბიჭს ღიმილით გაჰხედა.

ალექსი გომიაშვილმა კონსტანტინეს ნათქვამს ყური მოჰკრა და ღიმილით ჰკითხა:

— ბატონო კონსტანტინე, ვიცი, თბილისში ბევრი გაბატონობს, ახლო არსად დადიხარ, ამ სიშორეზე რამ წამოგიყვანა?

— ჭაბუკო, — უპასუხა კონსტანტინემ, — კონსტანტინე გამსახურდიამ იცის, ვისთან არ უნდა მივიდეს ახლოს და ვისთან უნდა წავიდეს შორს!

გრძელი, შემოდგომის ღამე კი ღინჯად იბერტყავდა მხრებს, არ ჩქარობდა, არ ჩქარობდა გათენებას, ფანჯრებში ისევ წყვილიადი იღვა. დილის საარი იგვიანებდა, კონსტანტინეს გმირული ამოსვლის ამბავიც გავიშინაურეთ და გულს კიდევ რაღაც უნდოდა. რაღაც სხვა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ გადაეხალისებინეთ.

რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ კონსტანტინეს გმირობა დაეჩრდილა?

თქვენ წარმოიდგინეთ, მოხდა!

უცებ ეზოდან ძახილი გავიგონეთ.

ვინ უნდა იყოს?

შუალამე გადასულია, აღარავის მოლოდინი აღარა გვაქვს.



ამ საათნახევრის წინ კონსტანტინეს მოსვლაც სასწაული იყო ამ თავსხმაში. ალბათ ვინმე დაგვიანებული მეზობელი თუ მოვიდა.

არა. კარები იღება, ოთახში თამარ ჰაეჰავაძე შემოდის. უკან ორი ვაჟკაცი მოსდევს, თამარი ომახიანად იძახის:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ყველა გაჩუმებული შეჰყურებს. ჩვენს წინ „ცხვრის წყაროს“ გმირი, თვალეზბრიალა, დაღლილი, მაგრამ მხნე ქალი დგას.

წელან კონსტანტინეს შემოსვლას ყველა ტაშით და აღტაცებით შეხვდა, თამარის შემოსვლას კი ღიმილით და გაოცებით ხვდება.

ეს გაოცება, ეტყობა, უფრო მეტს ნიშნავს. გრიშა და კარლო ხითხითებენ და კონსტანტინეს შეჰყურებენ. კონსტანტინე ადელეგებულია. ენაკვიმატები ამას სხვანაირად ხსნიან, თამარმა გმირობის გვირგვინი წაართვა და ნაწყენიაო. მაგრამ ეს ასე არ არის. სტუმართაგან მხოლოდ კონსტანტინემ იცის, ადვილია თუ არა შეღამისას ამ გზებზე სიარული, ისიც ქალისთვის.

ის ორი კაცი, თამარს რომ შემოჰყვა, ჩემი შორეული მეზობლები არიან, ერთი ვალმა თვალადელი — ვანო ზოკერაშვილი, მეორე შუაუბნელი მოქიდავე ნიკოლოზ პაპიაშვილი — საქართველოს ფალავანი — პოხრო.

ეს პოხრო დიდებული, განუმეორებელი მოქიდავე იყო, ვახტანგ კოტეტიშვილის ფალავანი... „პოხრო მგელი, პოხრო ვეფხვი“, წერდა სწორედ იმ დღეებში ქართული ჰიდობის ტრფიალი, მწერალი სოსო იორამაშვილი.

ამ ორ ვაჟკაცს თამარ ჰაეჰავაძისათვის ისეთივე სამსახური გაუწევია; რაც სიკა შეშაბერიძემ კონსტანტინეს გაუწია. გზაში შეხვედრიან მარტოხელა ქალს და მისი მეგზურობა უკისრიათ.

შემოსწრებულებს დიდი ყანწები, დიდი ჰიქები და მათ გვერდით ჩამწკრივებული წვრილი ჰიქები — კვიცები შევთავაზე. ეს „კვიცები“ ჩვენი თამადის ტერმინი იყო. ხშირად იძახდა — ეგ კვიცებიც გამიხედნეთ, გემო მაგაში არისო.

თამარის სადღეგრძელო პირველად კონსტანტინემ აიღო. ყველა გაჩუმდა. კარლოს და გრიშას ქირქილიც კი შესწყდა, აბა რას იტყვისო, ერთმანეთს შესცინიან სახეში, თან თვალს კონსტანტინესკენ აპარებენ.

კონსტანტინემ ქართველი ქალის სადღეგრძელო თქვა. დაახასიათა ქალის როლი საქართველოს ცხოვრებაში... მერე უცებ მიუბრუნდა თამარს და ხუმრობით მიამახა:

— იცოდე, თამარ, ღიაცი რომ არ იყო, ჩემი დაჯგაბნისათვის ღლესვე, აი ამ დარბაზში ხმალში გამოგიწვევდიო...

• • •

გარეთ უკვე აღარ წვიმდა და ცას იისფერი ეპარებოდა, სუფრა თხელდებოდა. კონსტანტინე ჩემი სახლისკაცის ოჯახში გადავიყვანე და შოვასვენე. მე ორი ღამის უძილო ვიყავ, მაგრამ ძილს ვინ მადირსებდა. დილით ჯერ აივანზე გაეშალეთ სუფრა, მერე გავიმთაბარეთ... გამთაბარება ჰქვია ძველებურ წესს: ოჯახის ბედნიერება მიცვალებულთაც უნდა გაიგონ, იმ ქვეყანასაც უნდა მისწვდეს შთამომავალთა ბედნიერი ხმა. ღვინო, ხორაგი პატარა საგვარეულო ეკლესიის ეზოში წავიდეთ..

სუფრა ახლა საფლავებზე გაეშალეთ და პაპებს ჩაეძახეთ.

• • •

ორშაბათი დილა იყო.

კონსტანტინეს თბილისში აუცილებელი საქმე ჰქონდა. მეც კასპში უნდა გავსულიყავი, გაკვეთილებს ვერ გავაცდენდი. თითო ჰიქა ჰადა არაყი დავლიეთ. კონსტანტინემ ოდნავ წაიხემსა, მგონი, ხაში გვქონდა. დედას და ცოლშვილს გამოვეთხოვე. მამაჩემმა სოფელს გამოგვაცილა. გამოვეთხოვეთ და წამოვედით. კავთურის ხეობას დავყევით ორნი. აღარ წვიმდა. ჭალა-ჭალა, კავთურ-კავთურ მივდიოდით, როგორც აქ იტყვიან. არც ტალახი იყო. ქვიშიანი ბილიკი ტალახს არ იკარებს. ცა მოწმენდილიყო. კონსტანტინეს მოსწონდა ეს ხეობა, მაღლი-მაღლ შებრუნდებოდა ჩვენი სოფლისკენ, თრიალეთის ქედის მშვენიერ მწვერვალს ქსილისს გახედავდა და უკვე მერამდენედ მეუბნებოდა:

— არ მოშალო ეს მამა-პაპური ბუდე, არ მოშალო... შვი-

ლები ბევრი იყოლიე... ქართლი ძალიან მიყვარს... გულის-  
ტკივილს ვგრძნობ, როცა ქართლში დავდივარ, უნდა გავმ-  
რავლდე.

ორი დღელამის უძილო ძლივს ვუსწორებდი მხარს. მხნედ  
მიდიოდა, სუფთად ეცვა. წაბლისფერი კოსტუმი, მარცხენა  
გულისჯიბეში პატარა ფერადი ცხვირსახოცი.

მე ფეხსაცმელის ძირი ამძვრა და საცოდავად მივაფრატუ-  
ნებდი მარცხენა ფეხს. მისი დარიგება და შეგონება ბუნდოვ-  
ნად დამამახსოვრდა.

გული არ გაიტეხნო, მეუბნებოდა, მალე შენი გზაც გამო-  
ჩნდება... ვაჟკაცობა ის არის, ჭირი არ შეიმჩნიო, და გაუტე-  
ხელი იყო. მრავალგზისი ჭირი მინახავს და იმ ჭირს ვლო-  
ცავ, რომ გამომაწრთო და გამაჟკაუო.

ამ სიტყვებმა რუსთაველი გამახსენა. უფრო კი ერთი ხალ-  
ხური ლექსი:

გატეხილისა ვაჟისა  
ყორანმა ლეში არ ჰამა,  
გაუტეხელი ვაჟისა  
წინწინ მკლავები დაჰამა.

შივილიოდით კავთურ-კავთურ, ვუსმენდი კონსტანტინეს  
შეგონებას. და ვბუტბუტებდი: გაუტეხელის ვაჟისა წინწინ  
მკლავები დაჰამა.

ჰო, გატეხილის, ხელჩაქნეულის ლეშს ყორანიც კი არ  
კადრულობს, ზედაც არ გაეკარება. გაუტეხელის და მტკიცე  
ვაჟკაცის მკლავები კი საპატიო და ნუგბარი საძიძვნია.

აი, ხელავ, რა არის საჭირო... გაუტეხლობა, გაუტეხლობა.

• • •

კავთისხევის სადგურზე ლოდინი დიდხანს არ დაგვკვირვე-  
ბია. თბილისისკენ მიმავალი მატარებელი მალე ჩამოდგა. გა-  
მოვეთხოვე კონსტანტინეს და მართო დავრჩი. მე კასპში უნ-  
და ავსულიყავი და ორი დღელამის უძილოს ექვსი გაკვეთილი  
ჩამეტარებინა. თბილისიდან მატარებელი ორი საათის შემ-  
დეგ ამოვივლიდა, მე კი ნახევარ საათში გაკვეთილები მეწყე-  
ბოდა. ისევ ფეხით დავადექი გზას და რვა კილომეტრის გავ-  
ლაც მივუმატე ჩემს გაუტეხლობას.

## მუსიკა ჩვენი სულია

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პოეტმა გიორგი ლეონიძემ წყნეთში დამპატიყა: აგარაკის შენება დავიწყე და საძირკველი დამილოცეო... მანქანაში ჩავსხედით, - ბაზარში გავიარეთ და რამდენიმე წუთის შემდეგ აგვისტოს ბულში გახვეული თბილისი სადღაც ქვევით დარჩა.

სანამ ჩემი მასპინძლის მომავალ კარ-მიღამოზე მივიდოდით, გიორგიმ მანქანა ერთი აგარაკის ქიშკართან გააჩერებინა შოფერს. აქ გალაკტიონ ტაბიძე ცხოვრობსო, მითხრა და მანქანიდან გადმოვიდა. ვიფიქრე, ალბათ გალაკტიონის დაპატიყება უნდა-მეთქი. მესიამოვნა, გალაკტიონის სტუმრობა ჩვენს მცირე და სახელდახელო სერობას მეტ ეშხს მისცემდა...

გალაკტიონი შინაურულად გამოწყობილი გამოგვეგება. თეთრი პერანგი ეცვა, საკინძე გადალელოდა და მაღალი, ძლიერი მკერდი მოუჩანდა. ძალზე დასვენებული და ჯანმრთელი იერი ჰქონდა. ჩვენი დანახვა ძლიერ გაუხარდა, თავაზიანად მოგვიკითხა, ეზოში სასაუბროდ შეგვიწვია, თან შორცხვად დაუმატა, შინ მარტო ვარო... ჩემი მასპინძელი არ შეპყლია. მალე გამოგეთხოვეთ და ისევ მანქანაში ჩავსხედით.

ახლად გაჭრილ საძირკველთან სახელდახელო სუფრა გაიშალა. პატარა მაგიდაზე ღვინის ბოთლები და საუზმე გაჩნდა. იქვე მახლობლად ცეცხლი ენთო და:

ავთანდილის მწვადი ცეცხლზე უხიოდა...

მალე ყველაფერი მზად იყო, მაგრამ გიორგის ის ხალისი აღარ ეტყობოდა, რამაც თბილისიდან აქ ამოგვიყვანა. დაფიქრებული დადიოდა.

„რად მივედით გალაკტიონთან, — ვფიქრობდი მე, — რად მივედით, თუ არ წამოვიყვანდით?“

ჩვენს სუფრას ნამდვილად რაღაც აკლდა, რაღაც კი არა, ვიღაც... გალაკტიონთან რომ არ გამოგვევლო, ამას ცხადია, არ ვიფიქრებდი. არც ჩემი მასპინძელი შეიცვლიდა გუნებას...

უცებ გიორგიმ გაიღიმა, ეტყობა, გულში რაღაც გადაწყვიტა, შოფერს დაუძახა და უთხრა: წადი, გალაკტიონ ტაბიძეს სთხოვე, გვეწვიოსო.

ამის შემდეგ გიორგი საოცრად გამხიარულდა, თავისებურად, ქაბუჯურად აცელქდა და იხუმრა: თუმცე გალაკტიონმა თავისი ჭიშკარი არ დაგვალოცინა, სამაგიეროს ნუ გადავუხდითო.

ლოდინი დიდხანს არ დაგვკვირებია. მანქანა მალე დაბრუნდა.

გალაკტიონი ჩვენს სუფრას თავისებური ხელების ფშვნიცით, თვალების ბრწყინვით და ბუბუნით მოუახლოვდა. ეტყობოდა, გულწრფელად იყო გახარებული. თეთრ პერანგზე მშინვე გადაეცვა საშინაო პიჯაკი და სასწრაფოდ წამოსულიყო.

გიორგი სუფრის თავში იჯდა, თავისსა თუ სხვის სუფრაზე თავისთვის ჩვეულ სათამადო ადგილას. მე თამადასა და გალაკტიონს შუა ვიჯექი.

გიორგი სიტყვისა და ღვინის ეშხში თანდათან შედიოდა, ლამაზ სადღეგრძელოებს ამბობდა და ღვინოს მოწყურებული სვამდა... მახსოვს, წინა დღეებში არა სვამდა, ხაზგასმით, ასე ამბობდა: „აღარა ვსომო...“ აქ კი თავის სუფრაზე, გალაკტიონის გვერდით დიდად შოილხინა და ბევრი კარგი რამ თქვა.

გალაკტიონი ღვინოს არა სვამდა, მაგრამ ეტყობოდა, უღვინოდაც ითრობოდა, ეშხში შედიოდა, ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ჭიქას პირთან მიიტანდა, ოდნავ მოსვამდა და მაინც ხელში ეჭირა ჭიქა. როგორც მახსოვს, იმ ერთი ჭიქის მეტი არც დაუტლია, მაგრამ მაგიდაზე არ დაუდგამს, სანამ არ დავამთავრეთ ვახშობა.

პო, ვახშობა, რადგან, როცა გალაკტიონი შემოგვიერთდა, უკვე ბინდი ეფინებოდა წყნეთის ქვემოთ მაყრილ გორაკებს და შორეულ მთაგრეხილებს... დაის-ღამის უცნაური

ბუნდი შუქი ნაირად აფერადებდა ამ უხეო და უბუჩქნარო, ღღისით უფერულ გორაკებს. რაღაც მუქლურჯი თუ მოიის-ფრო ხავერდი წყნარად, შეუმჩნევლად ეკვროდა წყნეთის შემოგარეს.

თანდათან ხშირბინდმა შეცვალა დაისის ფერები და თითქმის ჩამობნელდა. ქედებს იისფერი ხავერდი მოსცილდა. ამ ქედების სილუეტები ახლა შავი სვეტებივით აღიმართნენ... მერე მთვარეც ამოიწვერა და ყველა ფერი, გარდა ახლადგალეწილი ბზის ფერისა, წაიშალა.

ფიქრმა წამილო. ჩემი ადრეული სიჭაბუკე გამახსენდა. გამახსენდა ის დრო, როცა გალაკტიონის ლექსების წიგნი პირველად წაფიქრებდა და რამდენიმე დღე მთვრალივით გაბრუებული დავდიოდით... გამახსენდა:

მიეწყებულ სიხლის კარბაზე  
ხავსი, ყავარი და წვიმის წვეთი,  
გაქრა ათასი თეთრი დარბაზი,  
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი

კუბო კი ღამით საცხეა იით  
და წაქცეული სვეტები ღგება,  
ამოდის მთვარე და საშაით  
ფერმკრთალ ქალების მიმოდის წყება.

ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში  
და ხელსაზოცთა ქრიან ზღაპრები  
და მეძახიან მშვიდ სამეფოში  
მთები, სიზმრები და წინაპრები...

სალამო მართლაც სავესე იყო პოეზიით. მე ქართული პოეზიის ორი დიდოსტატის გვერდით ვიჯექი და ვტკბებოდი გიორგი ლეონიძის ანაგული ქართულით და გალაკტიონ ტაბიძის მეფური დუმილით. ამ სიჩუმეში თითქოს მესმოდა გალაკტიონის იღუმალი ჩურჩული:

მღინარის პირას ხეივანში ყოველ საღამოს  
ორი ქალწული შემორევე ჩრდილად ვახლება,

ისინი ჩემად გადიხდიან ლეჩაქთა სამოსს,  
- თითონ მდინარეც და ღუმელიც გალეჩაქდება.  
ტყის პირას სხედან ნაზნი, წარბებგადახატული  
და თავს ადგანან თავადები ნაზდიანები.  
ეცემა ჩრდილი ლურჯ სარკეებს, ვით ნაკადული,  
ჩანს, სასიკვდილოდ ამ სიყვარულს არ ვენანები!

სიწყნარით მოცული წყნეთის მიდამოები, ეს არაჩვეულებ-  
რივად მშვიდი საღამო, მახსენებდა გალაკტიონის უნაზეს  
ლექსს:

მოშინდა თქვენი სპეტაკი ბინა,  
აქ სოფელია, წვიმა რუტინა.  
შემოდგომაა, წვიმამ მოლია  
ტყეთა მსუბუქი მელანქოლია.

ზაფხულის დღეთა ის ქაფი ქრება,  
არის ცეცხლის ხმა და ჩაფიქრება:  
იშლება თვალწინ ფერადი ნოზი,  
თქვენთა მშვენიერ წამწამთა ქოხი.

არ გებრალებით? მე მქონდა გული,  
ახლა ის არის, როგორც ყინული.  
თქვენ კი ჯერ ისევ მაისს ეღრებით,  
მომწერეთ რამე, რა, გვეღრებით.

ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული -  
ღრმა მწუხარებათ შემორკინული.

მთვარემ თანდათან აიწია და თითქოს იმ ხეებს მიუახ-  
ლოვდა, რომელთა ქვეშაც ჩვენ ვისხედით... ახლა ალბათ გა-  
ლაკტიონს თავისი „მთაწმინდის მთვარე“ ახსენდება.

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი,  
მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი,  
ქროლვით არხვეს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს,  
ასე ნაზი, ასე მშვიდი მთვარე მე არ მახსოვს...

არ შეიძლებოდა, ამ მშვენიერ მთვარიან საღამოს, ეს

ლექსი არ გახსენებოდა მას... მაგრამ ჩემდა გასაოცრად, უკვე  
კი არ მომეჩვენა, გარკვევით გავიგონე გალაკტიონის ჩურ-  
ჩული:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული...

მე მაშინვე შევხედე გალაკტიონს... ის თავის ირგვლივ  
ველარაფერს გრძნობდა, დიდრონი, ამღვრეული თვალები  
ცისთვის მიეშტერებინა.

...აწუა რა თვალნი ლაქვარდს ვიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,  
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰერშივე განიბნევიან!

მას, ამ უზადო ლაქვარდის მკვრეტელს, თითქოს მართლაც  
დავიწყებოდა საწუთროება. გულისთქმა მისი ამ ცის იქით  
ეძებდა სადგურს...

ისე მეჩვენა, თითქოს ეს ჩურჩული მხოლოდ მე გავიგო-  
ნე... ახლაც ასე შგონია. ეს იყო ერთი კაცის გასაგონად  
ამოქროლილი ნიავის ხმა, და თითქოს ამ ნიავესავით წყნარი  
ჩურჩულის საპასუხოდ ჩვენმა მასპინძელმა დაფიქრებით  
თქვა:

— გაუმარჯოს ჩვენი ენისა და გულის ამცრელებს!..

\* \* \*

მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი გავიდა...

გალაკტიონის სიკვდილამდეც ხშირად მახსენდებოდა  
წყნეთში გატარებული საღამო და მისი ჩურჩული:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი...

მაშინ ეს საოცრად მეჩვენა. იმ წუთებში გალაკტიონის  
„მთაწმინდის მთვარეზე“ ფიქრობდი, მის გვერდით ეს უფ-  
რო ბუნებრივად და ახლობლად მეჩვენებოდა. გალაკტიონი კი,  
როგორც ჩანს, სულ სხვა სამყაროში დაჰქროდა, აღარც თა-  
ვისი თავი ახსოვდა. წყნეთის მთებს იქით, მთაწმინდის დიდა



ხნის მკვიდრის ხატება და სიმღერა არ ასვენებდა, მთვარე-  
ულივით აბოდებდა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა მთაწმინდაზე გალაკტიონის  
კუბოსთან გიორგი ლეონიძემ მდულარე გულით თქვა: გალაკ-  
ტიონის პოეზია ჯერ ხსოვნა იყო ჩვენი სიჭაბუკისა და მერე  
მუსიკა ჩვენი სულისაო, მე უცებ გამახსენდა ის საღამო,  
გალაკტიონის ჩურჩული და მივხვდი, მუსიკა გალაკტიონის  
სულისა — ბარათაშვილის პოეზია იყო.

1959 წ.

## ბარნოვის თჳმით...

ვასილ ბარნოვს ვაჟა-ფშაველასავით ფანდური არ ეჭირა ხელში, თავის სათქმელს და გულის ხვაშიადს ფანდურის ლარებზე არ აწყობდა, მაგრამ შემოქმედების წუთებში ალბათ ისიც მღეროდა, ჩემი ხმით დუდუნებდა და ისე თხზავდა. ამას ამტკიცებს არა მარტო მისი ამღერებული გულისთქმით ნაწერი პროზა, არამედ სხვა უანრის ერთი ნაწარმოებიც, რომლის გამოც ჩემი აზრი მინდა გამოვთქვა.

1927 წლის ეურნალ „ქართული მწერლობის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულია ვასილ ბარნოვის მონოგრაფია პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაზე.

იშვიდით და ფრიად თავისებური კრიტიკულ-პოეტური დოკუმენტია ეს დიდის გზნებით დაწერილი განხილვა ქართველი პოეტის შემოქმედებისა.

სანამ ლექსების მიმოხილვაზე გადავიდოდეს, ვასილ ბარნოვი ორი-სამი თავისებური შტრიხით გვიხატავს ამ შესანიშნავი პოეტის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზას. ამ მცირე მონახაზში გარკვევით მოჩანს ცხოვრების, უკეთ რომ ითქვას, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების საბედისწერო გზაჯვარედინზე დაფიქრებით მდგარი პოეტი, რომელმაც:

„1804 წელს მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში“.

„მონაწილეობა მიიღო 1812 წლის ომებში და პოლკოვნიკობა უბოძეს. შემდეგ ღენერლობაც დაიმსახურა“.

„არ მიიღო მონაწილეობა 1832 წლის აჯანყებაში: არ კი გასცა ეს საიდუმლო. ურჩევდა, თავი დაენებებინათ წინააღმდეგობისათვის: საქართველოს ძალა არ შესწევსო განდევნოს

რუსნი... ისევ დააპატონრეს და ტაშბოვში გაგზავნეს. იმაზე  
თუ უწყებოდნენ, მთხრობლად არ გამოხვედით“.

პოეტის ცხოვრების საგზაჯვარედინო თარიღების მოხაზ-  
ვის შემდეგ ვასილ ბარნოვი გამოთქვამს მეტად საგულისხმო  
მოსაზრებას:

„... მასში იბრძვიან: მამისაგან ნაანდერძევი დადებითი  
შეხედულობა ქართველთა ცხოვრების ახალი სადინელის შე-  
სახებ და საქართველოს სულისაგან ზიზლით უარყოფა მონო-  
ბისა ამ ახალ სავალზედ. პირველ ხანებში თავის სიცოცხლი-  
სა უარყოფს მონობას და მის წინააღმდეგ მებრძოლად გამო-  
დის ცხოვრებაში. შემდეგ ნელ-ნელა ემორჩილება გარემოე-  
ბებს, მიიღებს ახალ მიმართულებას და წარმატებით იღწვის  
ამ სადინელზედ“.

ეს წინააღმდეგობანი და მერყევი სულის დრამატიზმი  
მიაჩნია ვასილ ბარნოვს ალ. ჭავჭავაძის პოეზიის სათავედ.

\* \* \*

ვასილ ბარნოვი ამ მონოგრაფიით თითქოს ბანს ეუბნება  
გარდასული პანგების „მუხამბაზისა“ და „მუსტაზადის“,  
„თეჯლისისა“ და „სათარას ხმაზე“ უბადლოდ მომღერალ პო-  
ეტს და მისი ლექსების ბრწყინვალე ნატეხებიდან — საკუთა-  
რი შემღერების მოშველიებით და ჩართვით ქმნის თავისებურ  
პოეტურ კომბინაციებს ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტის  
შესაქმნელად.

მონოგრაფია შესდგება შვიდი პატარა თემატიური რკა-  
ლისა თუ მონახაზისაგან.

იი ისინი:

მ ი მ ა რ თ ე ა,

ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ს ა ხ ე,

შ ე ს ტ რ ფ ი ს ს ა ტ უ რ ფ ა ლ ს,

კ ა რ ნ ი გ ა ნ ხ მ უ ლ ნ ი,

ე დ ე მ ი ხ შ უ ლ ი,

ისევ და ისევ დვინითა.

დ ა რ დ ი ს ლ ა ნ დ ე ბ ი...

თვითველ რკალს ვ. ბარნოვი თხზავს და ჰკინძავს ალ. ჭავჭავაძის რჩეული, საგულისხმო და დამახასიათებელი გამოხატულებით. ერთი ლექსიდან რომ ერთ ამოძახილს შრიტანს, უცებ თითქოს მეორე მისი მსგავსი თუ ტოლი ახსენდება, ხიდად თუ ძეწკვად ერთს თვითონაც ამოიძახებს, გადააბამს, ერთმანეთს შეუტოლებს, რომ მთლიანი პოეტური განწყობილება შექმნას.

ადგილი რკალიდან:

„ღარდის ლანდები...“

წარვიდნენ, გაქრნენ ნაქებნი ღრონი, მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას. ბედისგან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას ვუწოდებ ფარად, იგიცა მელტვის. ბედს ვჩივი ჩემსას კეთილთაგან იავარქმნილი...“

ჰე, ამ სახლსა, სადგურსა ბნელსა! არ გებრალემათ მას შინა მყოფნი?! თუ გაქვთ პატიმართ სიბრალული, მპოვეთ აქა მე. გახსოვდეთ მწარედ მომჩივარი საწუთროს რებით... წყეულ არს ის ღრო, როს დაეკარგეთ ჩვენი სამკვიდრო!“

ვასილ ბარნოვი წიგნში არ იხედება, ისე, ოცნებაში წასული და თითქოს თვალმოხუჭული იხსენებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს და როგორც ჩანს, არც შემდეგ ამოწმებს, სწორად, უშეცდომოდ გაიხსენა თუ არა პოეტის ნათქვამი.

აჰ, ნაქევი, შენობათა საგლონი ნაშთი,

პოეტს კი ასე აქვს ეს ადგილი:

აჰ, პალატა დიდებულთა ნგრეული ნაშთი.

აი კიდევ:

„ესე კამარა ძლივსაცნობი ყოფილა ტაძრად. ეს გროვა ქვათა სახეშლილი, ეს ვრცელი ვაკე ქვაყრილი ბნელად...“

ლექსში, ამის შესატყვის ადგილას ვკითხულობთ:

ეს გროვა ქვათა სახეშლილის ოთხუთხედისა...

მიხედუ ამა ვრცელსა ვაკეს ქვაყრისა ბნელად.

ახლა, მართლაც ძნელი მისაბეღარია, როცა ასე თავის-

გუნებისად ალაგებდა მონოგრაფიის ავტორი ამ სტრიქონებს, ზემოთ ნათქვამისა არ იყოს, ზეპირად, წიგნში ჩაუხედავად იხსენებდა ჭავჭავაძის ლექსებს, თუ ექსტაზში შესული შეგებრს უმართავდა საყვარელ პოეტს.

აი ერთი მაგალითიც ამ თავისებური შეგებრებისა:

აქაცა მგღარა ერთგზის ძალა ტახტსა ამაყად (ვ. ბარნოვი)

აქაცა მგღარა ძალი შალას ტახტსა ამაყად (ალ. ჭავჭავაძე)

თვითეულ რკალს ვასილ ბარნოვი პოეტის გამონათქვამთაგან ამოკრებილი, რკალის განწყობილებისათვის შესაფერი ამონაქვენისით ასრულებს:

ეჰ, ამაოა მასთან ბრძოლა: ჰმონებდეს ყველა!  
მომკლა ძებნაჲ, სადღა არს პოენა?!  
ისევ და ისევ ღვინ...

• • •

ამ შვიდ რკალში გაერთიანებული ლექსების ილუსტრირებისა თუ-გაზიარების შემდეგ ვასილ ბარნოვი ამბობს:

„ესე დალაგდა მგოსნისავე თქმით შინაარსი მისი ლექსების...“ და მონოგრაფიის ზოგად ნაწილში მრავალ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვა ქართველი პოეტების შემოქმედების ირგვლივ. მისი აზრით, იქ სადაც „ჰვედრის ზეარსთ... სად ჰხატავს რაინდს მოტრფიალეს, ან აზროვნებს სიყვარულის ძლიერებაზედ“ — ალ. ჭავჭავაძე იმდენად მაღლდება, რომ „გვაგრძობინებს რუსთველის სხივებს“. მისი თქმით: „ძნელი არის ქართველმა მელექსემ შემოქმედების ეამს შორეულად მაინც არ იხილოს შოთას აჩრდილი“.

შთაგონების წუთებში:

დარდი დაჰბურავს ალექსანდრეს გულს,  
ქუფრ ბურუსად შემოაწეება,  
როდესაც წარვლენ კეთილნი დრონი,  
და საკანში ზის —  
ცრემლით მგონე გარდასრულ შევების...

მართალია, მონოგრაფიის ავტორი აღტაცებულია მგოსნის ფაქიზი ხმით, მისი სატრფიალო ლირიკით, სადაც სიყვარული „ღღეს აღიმებს ადამიანს, ზვალ აღონებს, სამუდამოდ კი ვერც აწამებს, ვერც აღიტაცებს“ — მაგრამ იგი მეტად კრიტიკულად უცქერის პოეტის სოციალურ მრწამსს:

„ვერსად ჰპოვებდა მგოსანი ნუგეშს: მის პიროვნებაში საბრძოლველი ძალა უკვე ამოშრეტილი იყო, მის გარშემო მყოფნი გვაძნი მასვე ჰგვანდნენ განაზებულნი. ვერ ჰხედავდა იმ ერთადერთ საიმედო ბუმბერაზს, რომლის შემშუშვნა ძრწოლასა ჰგვრიდა ბნელეთის ძალას: სრულიადაც ვერა გრძნობდა მგოსანი ხალხსა“.

ამ თავისებურ მონოგრაფიაში ვ. ბარნოვი შოთა რუსთაველის გარდა კიდევ ორ ქართველ პოეტს ახსენებს: ბესიკს და ბარათაშვილს.

ნლ. ჭავჭავაძის ლექსების განხილვისას ვ. ბარნოვი თითქოს ვილაცას ეკამათებო, ისე ამბობს:

„არა, ბესიკის მოწაფე არ არის აქ ალექსანდრე, თუმცა მასავით სასიმღერო პანგი გამოაქვს, საგალობლებს აწყობს სატრფიალო სიმშვენიერეზედ. ალექსანდრე ამ ლექსებში ეთვისება უფრო ქეშიშ დარდიმანდს: მის სიმღერების ნაღწეგბი ჰმოწმობენ ამას. განვითარდება ეს თქმა, როცა შეკრებენ დაეიწყებულ პოეტის ლექსებს“.

უფრო დიდ ზღვარსა სდებს ვ. ბარნოვი ალ. ჭავჭავაძესა და ნიკ. ბარათაშვილს შორის:

არა, არა ჰგავს ალექსანდრე ბარათაშვილსა,  
რომლის მძლე ნიკმა არ მიიღო ძნელი მონობა,  
გადალახა ბედის სამზღვარი  
და წარესწრაფა უვალ გზებით იმ ნათელისკენ,  
შორს ტატნობზე რომ მოჩანდა, მოციავობდა.  
მის აღტაცებამ გასწირა ყველა,  
სიყვარულიც კი,  
რომ გაეკაფა გზა დახშული კეთილისაკენ.

მონოგრაფიის დასასრულს მეტად ორიგინალური სურვილია გამოთქმული:

„ქარგი იქნებრდა, რომ შეიძლებოდეს მისი (ალ. ჭავჭავა-

ვადის. გ. შ.), ბესიკისაც, გამოცემა საგალობელი ნიშნებით“.

ამ სტრიქონების ავტორი ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ბესიკის ლექსებს ალბათ თავისი ტკბილი ხმით ხშირად დუდუნებდა ხოლმე, ოცნებით წარმოდგენილი ჰქონდა ის საგალობლები, რომლის ნიშნებსაც აქ ახსენებს.

ვასილ ბარნოვისათვის სიმღერა უცხო არ იყო...

ამიტომაც მივეცით ჩვენს თავს ნება, მისი მონოგრაფიის ორი ადგილი ისე დაგველაგებინა, როგორც იგი მის ბაგეთაგან ითქვა: თეთრ ლექსად.

ასე დალაგდა ვასილ ბარნოვისავე თქმით შინაარსი ამ მეტად თავისებური მონოგრაფიისა.

1958 წ.

## გერონტი ქიქოძე

ჩვენი დაახლოება უსიამოვნებით დაიწყო... ამ ოცი წლის წინათ იძულებითი ლიტერატურული შესვენების შემდეგ ახალი პიესა დავწერე. ამ პიესას „ბახტრიონი“ ერქვა და სათაურის ქვეშ მიწერილი იყო: „ვაჟას შთავგონებით“.

პიესა ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ გასცენიურების ცდა იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ვაჟას სიტყვიერი მასალა არ გამოიყენებია. დაწერილი იყო ლექსად. პიესა მოეწონა რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილს და განიზრახა მისი დადგმა მარჯვანიშვილის სახელობის თეატრში.

იმ პიესისადმი ამჟამად ჩემი დამოკიდებულება სხვანაირია, მაშინ კი დიდ იმედებს ვამყარებდი. მისი დადგმით ხელახლა უნდა გაღებულყო ჩემთვის თეატრისა და მწერალთა კავშირის მძიმე რკინის კარი, რომელსაც მე თითქმის ათი წლის განმავლობაში შორიდან ვუთვალთვალებდი.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულმა სარეპერტუარო საბჭომ, რომელშიც მწერლებიც შედიოდნენ, არ გაიზიარა რეჟისორისა და თეატრის არჩევანი, ჩემი პიესის წინააღმდეგ გამოვიდნენ გერონტი ქიქოძე და აკაკი ვასაძე. მე მაშინ სოფელში ვცხოვრობდი და იქ მაცნობეს ეს ამბავი. ჩემი იმედები იმსხვრეოდა. აღეღებულნი და შეწუხებულნი ჩამოვედი თბილისში. არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა. ვისთვის შემეჩივლა. გადავწყვიტე, გერონტი ქიქოძე მენახა და მეკითხა მაინც... მხოლოდ მეკითხა.

გერონტის ბავშვობიდან დიდ პატივს ვცემდი და შორიდან მიყვარდა. ვიცოდი, თავის აზრს უკან არ წაიღებდა, მაგრამ მასთან შეხვედრა და ლაპარაკი მაინც მინდოდა. გრიგოლ აბაშიძემ შემახვედრა. ისიც დალონებული იყო ჩემი მდგომარეო-



ბით და გერონტის წინასწარ, ჩვენ შეხვედრამდე რამდენიმე სიტყვა უთხრა.

კარგა მახსოვს, მზიანი დღე იყო, რუსთაველის პრეს-პექტზე, საქართველოს მუზეუმის წინ მივდიოდით და ვსაუბრობდით. გერონტი გულწრფელად იყო შეწუხებული, მან არ იცოდა, თუ პიესის დადგმას ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი შემდგომი ბედისათვის... ამიტომ იყო შეწუხებული. თავის პრინციპულ მოსაზრებას კი ამგვარი გასცენიურებების შესახებ მტკიცედ იცავდა და მარიგებდა: დაწერე შენი და შენი გზით იარეო.

მას შემდეგ, როგორც ვთქვი, ოცი წელიწადი გავიდა, მაგრამ არ ყოფილა ორი წუთიც, რომელიც გერონტის მიმართ ჩემს მეხსიერებაში სამდურავად ან წყენად აღბეჭდილიყო. ამ შემთხვევამ ვერ წაშალა ის დიდი სიმპატია, რომელსაც იგი თავისი აღამიანური და მწერლური თვისებებით ბავშვობიდან მინერგავდა.

პირიქით.

მას აქვთ ჩვენი დამოკიდებულება უფრო გაღრმავდა. გერონტი საოცრად დაინტერესდა ჩემი ბედით და ჩვენი ყოველი შეხვედრა გულთბილი, შინაარსიანი და მეგობრული იყო.

გერონტი ქართლის, მისი ისტორიის ძველი ტრფიალი იყო და სოფლიდან ჩამოსულს თუ შემხვდებოდა, ყოველთვის მეკითხებოდა, როგორ ცხოვრობს შენი სოფელი, ქართლელი გლეხი, როგორი ქართული ისმის, ენა ხომ არ წახდაო. მე ვუმტკიცებდი, ქართლში ისევე კარგი ქართული ისმის-მეთქი. ეს ახარებდა და ამბობდა: ქართულის პირველი შემნახავი და დამცველი გლეხაკობაა, მისი ენა არის ფუძე და ხერხემალი ლიტერატურული ენისაო.

ბევრჯერ უთქვამს, შენს სოფელში ვყოფილვარ სტუმრად, მწერალ არჩილ ჯაჯანაშვილთან, კარგი დრო მიტარებია, ძღვევის ქედიდან თვალადისათვის გადამიხედავსო.

ეს სიტყვები უბრალო, ზრდილობისათვის ნათქვამი ქათინაური როლი იყო. გერონტი ხომ საქართველოს დაუძინებელი მოყვარე იყო, თითქმის მის ყველა კუთხეში ნამყოფი.

მახსოვს, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში როგო-

რი ქაბუკური ხალისით ჩაჯდებოდა ხოლმე უბრალო ტურისტულ ავტობუსში, სადაც მხოლოდ ახალგაზრდები ისხდნენ და გაეშურებოდა ხან კახეთისკენ — მშვენიერი გრემის სანახავად, ხან ქართლისკენ — რკონის დასათვალიერებლად... უფრო ადრე დაუზარებლად ჩაჯდა მანქანაში და გრძელი გზა — თბილისიდან სამეგრელოს შორეულ სოფლამდე, თავისი მეგობრის ლეო ქიაჩელის მშობლიურ ობუჩამდე და იქიდან უკან, დაუღალავად იმოგზაურა.

გერონტი ქიქოძე თავის აზრებს მოკლედ, სხარტად და შთამბეჭდავად გამოთქვამდა და მის ნაწერში ყოველთვის იგრძნობოდა მშობლიური ენის პატივისცემა. მისი ენა და განსაკუთრებით ენის გამოყენების თავისებური სტილი დიდ გავლენას ახდენდა თანამედროვე პროზისა და საერთოდ ქართული ენის განვითარებაზე. საინტერესოა მისი აზრი ქართული ენის მნიშვნელობისა და დაცვის გამო: „ქართული ენა უძველესი და უმდიდრესი ენაა და მან წარსულში სტიქიონური ძალების შემოტევას და ქართველებს გაუძლო. მას ძალიან მაგარი ჩონჩხი აქვს. მისი შემწეობით ენერგიულად და ლაკონურად შეიძლება აზრის გადმოცემა. ამ ენის სახით ჩვენმა წინაპრებმა ეროვნული ვინაობის თავდაცვის იარაღი გვიანდერძეს, შეუდარებელი თავისი გამძლეობის თვალსაზრისით. მათ ამ ენაზე გამოთქვეს უღრმესი რელიგიური და ფილოსოფიური იდეები და უძლიერესი სიყვარულის გრძნობები. ამ იარაღის შეუბღალავად შენახვა, მისი დაცვა ყოველი უანგისაგან ჩვენი თაობის უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს“.

ეს მშვენიერი, ღრმა და შთამბეჭდავი სიტყვები, გამოთქმული აზრის სინათლე და მკაფიოება თავისთავად ბრწყინვალე დადასტურებაა ზემოთქმულისა.

• • •

გერონტი ქიქოძე მწერლებს იშვიათად ეუბნებოდა ქათინაურებს, მით უფრო იშვიათად უწერდა. მკაცრი ფვალსაზრისი და გემოვნება გულუხვობას და ხელგაშლილობას უკრ-

ძალაგდა. თუ რომელიმე ახალგაზრდა მწერალს ქართული ენის სიყვარულს შეამჩნევდა, უსათუოდ დაინტერესდებოდა და აქეზებდა. მეგობარ მწერალსაც კი თავის აზრს ახალ ნაწარმოებზე, რომელიც მოსწონდა, პირდაპირ არ ეტყოდა, საიდანაც, შორიდან მოუვლიდა და სათქმელს ისე იტყოდა, ვერ მიუხვდებოდი, თავის აზრს ამბობდა თუ სხვისას.

ერთხელ მითხრა, შენი ახალი ლექსები ერთ ჩემს განათლებულ ნათესავ ქალიშვილს წავუკითხე და ძალიან მოეწონაო.

მე ვერ მიუხვდი და იმის გამოკითხვა დაუწყე, ვინ არის ის ქალიშვილი, დაეჯერება თუ არა მის გემოვნებას-მეთქი.

გერონტი იღვა, თავს თავისებურად მიქნევდა და ილიებოდა.

• • •

ყველა ადამიანი არ იმსახურებს თავის ირგვლივ მყოფთა პატივისცემას. ამის მიღწევა შეუძლებელია ხელოვნური საშუალებებით და ძალდატანებით. გერონტის არც ერთი სკირდებოდა და არც მეორე. ის არამც თუ პატივისცემას, მოკრძალებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, უნებურ კეთილშობილ შიშსაც კი იმსახურებდა.

სიკეთისა და პრინციპულობის მაგალითის მიმცემი საზოგადოებაში ერთგვარ ხატად იქცევა, იგი სიმღერის დამწყებსა ჰგავს, წამქეზებელს ჰგავს და მთელი გუნდი მიჰყვება მის ომახიან ხმას თუ საქციელს, ეშინია, არ ჩამორჩეს, არ გადაუხვიოს, არ შეცდეს... ასეთი იყო გერონტი ქიქოძე. მისი ნათელი პიროვნება სხვასაც ამაღლებდა, პირდაპირობის სურვილს უღვივებდა. იგი სულით წმინდა და გარეგნობით ფაქიზი პიროვნება იყო და ამით, ცოტა არ იყოს, ამაყოფდა კიდევ. მაგრამ განა საკუთარი სიკეთის შეგნებით გამოწვეული სიამაყე დასაძრახისია?

ხომ არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ სიბინძურეს და ნაქლს ისე ეჩვევიან, რომ ამით ამაყოფენ და ვერც ამჩნევენ, რომ ამაყოფენ.

ადამიანის ყველაზე დიდი სიბრძნე წარსულთან და მომავალთან გონივრული კავშირის დამყარებაში მდგომარეობს წარსულის ახსნა და მომავლის გათვალისწინება არის ის გზა-

ჯვარედინი, სადაც ბევრი ადამიანი იბნევა და გაურკვეველობის უღრანში მიაბიჯებს, ცდება და იტანჯება.

გერონტი ქიქოძე იყო თანამედროვე კაცი, რომელსაც უყვარდა საქართველოს წარსული და სწამდა მისი მომავალი. პატივს სცემდა წინაპარ მწერლებს და იმედი ჰქონდა მომდევნო თაობებისა. ამიტომაც უყვარდათ იგი მომდევნოებს და პატივს სცემენ მის საფლავს.

კონსტანტინე ქიქინაძეს უყვარდა ერთი ხუმრობა: როცა მომდევნო თაობის მწერლებს შორის ჩადგებოდა, ღიმილით იტყოდა:

— ჩვენ რა გვიშავს, კარგი დამმარხველები გვყავხართ, თქვენი იკითხეთ, ჯერჯერობით, საიმედო არაფერი გაქვთო!

კონსტანტინეს ეს ხუმრობა გერონტისაც მოუსმენია.

იღვა, თავს თავისებურად აკანტურებდა და მოკუტუელი თვალებით იღიმებოდა.

ისინი არ ცდებოდნენ მომდევნო თაობის სიყვარულის შეფასებაში, მაგრამ მათი იმედის მთავარი საფუძველი უფრო მათ ადამიანურ ღირსებაში უნდა ვეძიოთ. მათ ეს სიყვარული თავისი უანგარო მოღვაწეობით დაიმსახურეს.

ბედნიერია ის, ვინც თავისი ცხოვრების დასასრულს უკან მოიხედავს და არ შეეკითხება თავის თავს — ვინ ვიყავი, რა ვიყავი და რას ვემსახურეო.

გერონტი ქიქოძე ასეთ რამეს არ შეეკითხებოდა თავის თავს: მან იცოდა, ვინც იყო და რა საქმესაც ემსახურა.

## გალაკტიონის წლისთავზე

ამბობენ, სიკვდილი ადამიანის ყურთ უკან დგასო...

ჩვენ დანდობილა ვღგავართ, ვიციინთ, ხვალინდელზე ვფიქრობთ, ჩვენს ზურგს უკან ატუზული შავი კაცი კი ფეხაკრეფით დააბიჯებს, თვალებს ბოროტად აბრიალებს. არავინ უწყის, ვის უფრო ადრე მოჰკიდებს ხელს, ვის უფრო ადრე წაიყვანს მოუსავლეთში — ჯერ სიცოცხლით დაუმტკბარ ჰაბუკს თუ სიცოცხლეგამწარებულ ბერიკაცს.

ასე უღროოდ წაიყვანა სიკვდილმა ჰაბუკი ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია და ვახტანგ ნადარეიშვილი. მოხუცი ვერ შეამჩნია, იქნებ განგებაც აარიდა თვალი და გვერდით უხმოდ ჩაუარა.

არა, აქ რაღაც სხვა ამბავია სიკვდილის შვილთათვის გაუგებარი და აუხსნელი. შალვა დადიანი ხომ დაზოგა და დიდხანს, ლამაზად სიცოცხლე აცალა იმავე სიკვდილმა, რომელმაც ის ჰაბუკები ამოარჩია და დაგვიხოცა.

ასე ამოარჩია სიკვდილმა ლამაზთა შორის ნატო ვაჩნაძე და გიორგი შავგულიძე, ასე ამოარჩია ვანო სარაჯიშვილი, უშანგი ჩხეიძე და შალვა ღამბაშიძე. როცა ცოფი მოერიდა, კაენად ქტეულმა ვერაგულად გაიმეტა განუმეორებელი მიხეილ ჯავახიშვილი, სიცოცხლის მომღერალი ტიციან ტაბიძე და უბადლო ვახტანგ კოტეტიშვილი. მანვე გამოჰკრა სისხლიანი სალოკი თითი პაოლო იაშვილის სანაღირო თოფის ჩახმახს...

ამ სიკვდილის რჩეულთაგან რომელს დაედება წუნი, რომელი არ იყო მოსაწონი და სიცოცხლის აღირსი, რომელი ერთი მათგანის სიკვდილმა არ დაგვწყვიტა გული?

გალაკტიონი სიკვდილს არ აურჩევია.

სიკვდილის ცელის წკრიალი შორს ისმოდა, ჯერ სხვაგან ჰქონდა სამკალი, გალაკტიონის დაუდევარი და ბუმბერაზული სულის აწრიალებას თვალს არიდებდა.

პოეტი თვალეზამღვრეული, გაოგნებული დააბიჯებდა თავისი თბილისის ქუჩებში, ირგვლივ ვერავის ამჩნევდა, ცას შესცქეროდა და იმ ლექსებს ბუტბუტებდა, რომლებმაც უკვდავებას აზიარეს.

შთაგონებული ჩურჩულებდა იმ ლექსებს, იმ ლექსებთან უნდოდა დარჩენილი სიცოცხლეს და სამუდამო სიკვდილიც. სხვანაირი და თავისებური უნდოდა, ლექსების სამყაროში, სინარულითა თუ ცრემლებით შექმნილი ლექსების სამკვიდროში.

როცა თავის ლექსებს ჩურჩულებდა და მათ ჯადოსნურ მუსიკას იღუმალი ყურით უსმენდა, ყვავილების სიმღერა და იღუმალი ძახილიც ესმოდა და თვალწინ თავისი დიდი წინამორბედის ვაჟა-ფშაველას მინდიას აჩრდილი ედგა. მინდიას ბილიკი და საბედისწერო ნაბიჯი აცდუნებდა. ამიტომ არ დაელოდა გალაკტიონი ავბედითი ცელის შემოქნევას და სიბრძნე-დაკარგულ ხევსურივით გზაში მიეგება სიკვდილს.

გალაკტიონი არწივივით გაფრინდა და მისი უკანასკნელი ყვილი ალბათ იმათაც შემოესმათ, ვის გვერდითაც ახლა განისვენებს.

ერთი წელიწადი გავიდა გალაკტიონის სიკვდილის შემდეგ.

წლის თავზე საქართველოში შავის გამოცვლა და გლოვის მოშლა იციან. ჭამად და სმად დასხდებიან და შიცივლებულის სადღეგრძელოს იტყვიან. წლისთავზე ოჯახის ჰერმა გლოვა უნდა იქმაროს და მოლხენის უფლება უნდა დაიბრუნოს. ამას ჰერის ახსნა ჰქვია.

მე მიყურებია, როგორ ახსნეს ჰერი ჩემმა მგლოვიარე მეზობლებმა წლის თავზე.

სინარული სიცოცხლის სათავეა, ამიტომ მგლოვიარე დედის გულმაც უნდა მოისვენოს, ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ, ნურათფერი გაგვიკვირდება, გულს დარდი ვაკმაროთო, ასე ამბობდნენ ჩემი მეზობლები და ანუგეშებდნენ დედას.

ჰოდა, მე ვუყურე, როგორ აიძულებდნენ ჩემი მეზობლები

ადრე დაღუპული შვილის წლისთავზე დედას — ემხიარულა, ემღერა, გაეცინა...

„ცოცხლებსაც მოგვხედე, გაგვიცინე, სხვებიცა გყვეართო“ — ეუბნეოდნენ.

დედას ცრემლი აღრჩობდა, ნაძალადევად ღიღინებდა. მოსთქვამდა ისეთივე მოთქმით, როგორც მაშინ, როცა საყვარელი შვილის კუბოს უკან მისდევდა.

მერე საცეკვაო დაუკრეს და როცა დედა გაძალიანდა და შვილი დატუქსა, შემთვრალმა ჭაბუკმა ხელი. სტაცა დედას, ხელში ბავშვივით აიყვანა, თვითონაც ცრემლი სდიოდა, გამხდარ ლოყებზე ჰკოცნიდა დედას და მასთან ერთად სიმღერით უვლიდა გაშლილ სუფრას.

გალაკტიონმა თქვა:

შეხედეთ, რა ცაა,  
ესაა რაცაა!

მართლაც საოცარია საქართველოს ცა. გამკვირვალე, წმინდა მაღალი ჰერი. ამ ჰერმა უნდა იგრძნოს, რომ გალაკტიონის წლისთავზე უნდა გაშუქდეს, იკმაროს. და თუ ნამიცი ჩამოცვივდა ამ გამკვირვალე ციდან, ეს იმ დედის ცრემლივით იქნება, რომელიც შვილის წლისთავზე ძალით აცეკვებს გლოვის მოშლად.

## გურამ რჩეულიშვილი

ქაბუჯი ქვის კიბეზე აღიოდა, აქეთ-იქიდან გახურებული კლდის ხრიოკი კედლები აცხუნებდა, უფლისციხის კედლები. ნება-ნება აღიოდა. იმიტომ კი არა, რომ დაღლილი იყო და სულის მოთქმა უნდოდა. არა, მახვილი თვალი აყოვნებდა და წინ არ უშვებდა. აქ თვითეული ლოდი თავისკენ ეძახდა და უხმობდა. ზევით, კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში, ყრუ სენაკებსა და ფართო დარბაზებში საუკუნეობით დაგუბებული დუნილი ხმაურობდა. უცნაური ხმაური იზიდავდა, მაგრამ სანამ იქ ავიდოდა, ქვის ბილიკებს, კიბეებს, იღუმალ ხვრელებს აკვირდებოდა. იმ იღუმალ ხმაურზე ჯერ არ ფიქრობდა.

ქაბუჯს შავი სატინის ხალათი ეცვა. საყელო გულისფიტრამდე ჩახსნილი ჰქონდა. ვაჟკაცური, ძლიერი მკერდი მზეს გაერუჯა. ეს აქაური მზის ოინი არ იყო... ახლა, ახალი მზე, უფლისციხის მხურვალე მზე დასცემოდა და ძველი ნარუჯა წითლად შეემღვრია. ახლად გასწითლებოდა სახე, განიერი ქედი, დაძარღვული გულმკერდი და ღონიერი მაჯები.

ამ დილით თბილისიდან მარტო წამოვიდა. ეს მისი კარგა თვისება იყო. ფიქრს სიმატოვე უყვარს, სხვა ხელს შეუშლიდა. უნდოდა ენახა და ეფიქრა, განეცადა და ეწერა. ესმინა და ეწერა აქვე, მარტოს, რასაც ეს ყრუ, შორეული, სხვისა ყურისთვის მიუწვდომელი გუგუნი უკარნახებდა.

ამ დღეს მის ბედად უფლისციხე უკაცრიელი იყო. არქეოლოგთა მცირე ჯგუფიც კი, რომელიც აქ გათხრებს აწარმოებდა, სწორედ დღეს ისვენებდა, მათ ნიჩბები, წერაქვები და მიწის საზიდი რკინის ორთვალა გამოქვაბულის შესასვლელთან მიეყარათ.



წამოსვლამდე რამდენიმე დღეს უჯდა „ქართლის ცხოვრებას“, ხმადაბლა კითხულობდა და მის ფურცლებშიც ეს უცნაური ღუმილი ხმაურობდა. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებიდანაც ხრიოკი მიდამოების ცხელი ქარი სცემდა, მისი ფურცლებიც უფლისციხის გახურებული კედლებივით აცხუნებდა, თავის დაუფალ შზეს უკიდებდა ჭაბუკს სახეზე, ტანზე.

ფაქტები მშრალი იყო, მციარე. შემდეგ „სადაც აესხა მძივი“. კონსპექტი შეადგინა, „უფრო კარგად იგარძნო“ უფლისციხე და ოთახში ველარ გაჩერდა. გამგზავრების წინა დღით „უისკრის“ რედაქციაში შეიბრინა. ორი-სამი საათი ისაუბრა მეგობრებთან. საუბრობდა, მაგრამ თვალწინ უფლისციხის დათხრილი თვალები ებლანდებოდა. გახურებული კედლები ეძახდნენ, უფლისციხის კედლები, რომლებიც ქართლის ცხოვრების ფურცლებივით შრიალებდნენ და საიდუმლოს ახსნას ჰპირდებოდნენ.

გზას დილაადრიან დაადგა და უფლისციხემდე რაც კი დაინახა, ყველაფერს ახალი თვალთ შეხედა, ყველაფერი სხვანაირად დაინახა. უფრო ღრმად და გულიანად.

„ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში! ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის დიდი ისტორიისა. ვცდილობ, აღარ ვიფიქრო. კიანჭველასავით მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ჩემი ხალხი“.

ახლა კი უკვე უფლისციხეში იყო და ერთი ქვაბულიდან მეორეში ადიოდა. მეორედან მესამეში გადადიოდა, იმ იდუმალი ხმაურის უფრო ახლოდან მოსმენა ეწადა. ერთ გამოქვაბულში რომ შევიდოდა, ის ხმაური ახლა სხვა დარბაზებიდან მოისმოდა ყრუდ და ისევ თავისკენ იზიდავდა. იმ ზღაპრული ჭაბუკივით ემართებოდა, ვარსკვლავები დაბლა რომ მოეჩვენა და მთაზე აირბინა, ეგებ ხელით შევწვდეთ. აირბინა, მაგრამ ვარსკვლავებმა ზევით ააწიეს და სხვა მაღალი მთის თავზე აენთნენ. არბოდა ჭაბუკი მთიდან მთაზე, ვარსკვლავები

კი მაღლა იწევდნენ, უფრო მაღალი მთის მწვერვალზე კაშ-  
კაშებდნენ.

ამ უჩვეულო ხმაურმა უფლისციხის ყველა ქვაბული,  
ღარბაზი და საიდუმლო ხერელი შემოატარა. ვერ მიაგნო,  
ვერ დაიჭირა, ვერ მისწვდა. მოიქანცა. პირი გაუშრა.

„საშინელ წყურვილს ვგრძნობ; მათარა თანა მაქვს. მა-  
ინც არა ვსვამ. რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს. შევ-  
დივარ დიდ ტალანში, აქ ქვის სკამებია და ქვის მაგიდები.  
იჯდები ქვის სკამზე. ვინ იცის, ვინ იჯდა?!. შეიძლება დიდი  
მთავარი ვამეხიცი. ვფიქრობ. ვიწყებ წერას. არ შემიძლია ამ-  
დენი ვნახო და არაფერი დავწერო“.

• • •

„რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს“...

მათარა თანა ჰქონდა, მაგრამ მაინც არა სვამდა.

ეს დაუწყურებელი წყურვილია სათავე შემოქმედებისა.  
ვისაც საწუთროს მათარა მუდამ პირზე. აქვს მოყულებული  
და ყოველ მოწყურებაზე იკლავს ჟინს, ვინც არ განიცდის  
მეუღაბნოეს სულიერ სიმშოლსა და სასიამოვნო წყურვილს,  
ვერც ბაგეს აღძრავს კარგის სათქმელად.

ეს დაუკმაყოფილებელი წყურვილი იმ სიჩუმის ყრუ ხმა-  
ურსა ჰკავდა, რომელიც მუდამ, საიდანღაც, შორიდან ესმო-  
და.

იმ სურვილს ჰკავდა, რომელმაც ზღაპრული ქაბუკი მაღა-  
ლი მწვერვალების თავზე ანთებული ვარსკვლავებისკენ აას-  
წრაფა.

• • •

„არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო“.

სიღრმე ამ უბრალოდ გამოთქმული აზრისა ბევრ მწერალს  
შეგნებული არა. აქვს: მოუბრუნებელ მდინარესავით ჩაივლას  
მის წინ მღელვარე ცხოვრება, განუმეორებელი ისტორიული  
მოვლენები, ის კი ტრიალებს ამ უჩვეულო ამბების შუაგულში  
და ვერა გრძნობს, ვერა ხედავს, გამბედაობას ვერ იჩენს —

დახატოს თვალთნახული და განცდილი... მისთვის არ არსებობს: „არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დაწერო“... საკუთარ ფიქრს, აზრებს, თავგადასავალს, სულის არქივში ინახავს, უფრთხილდება, სამომავლოდ სდებს მათ გამომზეურებას. შენახულს ფერფლი ეყრება, დავიწყებას ეძლევა, ცვდება. დრო მიდის, გვიან დაწერილს ფასი და მნიშვნელობა ეკარგება.

ხალხს იმ მწერალი აინტერესებს, ის მწერალი იზიდავს, ვინც თავის დროზე უპასუხებს მის გულისთქმას, ფიქრსა და ოცნებას, დააყენებს ან გადაწყვეტს მისთვის გაურკვეველ საკითხებს. მკითხველს აინტერესებს თავისი მღელვარე სულის ყოველდღიური რეპორტაჟი.

• • •

ასე შეიქმნა ლეგენდა უსახელო უფლისციხელზე, რო-პელმაც მტრის ჯარებით გარემოცული მშობლიური ქართლი იხსნა.

გურამ რჩეულიშვილს არ შეეძლო უფლისციხე ენახა და მშრალი ნარკვევი დაეწერა. მას არ შეეძლო ენახა უფლისციხის დარბაზები, ქვის მაგიდები, ქვის სკამები და ის ხალხი არ წარმოედგინა, ვინც ამ დარბაზებს იცავდა, ამ სკამზე იჯდა, ამ მაგიდაზე ედგა ღვინით სავსე ჯამი. არ შეეძლო... მწერალი ის არი, ვისაც მშრალის და სუსტის დაწერა არ შეუძლია.

მან ჩაბნელებულ მღვიმეებსა და საუკუნეთა წინათ გამოკვეთილ გამოქვაბულებში დაინახა ის კაცი, ვინც ამ საოცარ ქვის ქალაქს კვეთდა საკუთარ სახლად და ციხედ, ამ ციხით იცავდა თავს, ამ ციხეს იცავდა. მან აშკარად დაინახა ის კაცი.

„უფსკრულში კაცი მიოცოცავს. ის ფეხშიშველაა. ქალამნიანი ფეხის მოკიდება აქ არ შეიძლება. კაცის თვალები არა ჩანს, არც ტანი ჩანს, არც თავი, არც სისხლიანი ხელები. ის მიოცოცავს, ყინვა იჭრება მის სხეულში, თითები უხევდება. ცერი ყველაზე ადრე კვდება. მერე კვდება ნეკი“.

ამ ნახევრად დამზრალმა და გაყინულმა უენო კაცმა იხსნა

ქართლი... ალყაშემორტყმული უფლისციხელები გაოცებულნი არიან ამ გაწამებული კაცის გმირობით, თხოვენ:

თქვას თავისი ვინაობა.

ის კი უენოა.

თხოვენ:

დაწეროს თავისი გვარი ან სახელი. მან კი წერა არ იცის“.

უფლისციხე გადაჩენილია. ხალხი ზეიმობს. მემართიანე დიდი ასოებით სწერს... „დიდმა მთავარმა ვამეხმა... მტერი უკუაქცია... კედლებიდან უფლისციხისა“. იმ კედლებიდან, რომელიც დაფხაჭნილია უენო, უსახელო კაცის დამზრალი ფრჩხილებით, მოთხვრილია მისი სისხლით. მისი სახელი დაიკარგა: არავინ იცის. იცის მხოლოდ აქ, ამ ჩაბნელებულ დარბაზში მჯდარმა ჰაბუკმა. იგი ფხიზლდება. ფეხზე დგება.

„მეჩვენება; რომ მე ვიცი იმ კაცის სახელი. ალბათ ვაჟა ერქვა, ან უბრალოდ წყალობა. ან მახარე, ან ქიტცესა; ქართველებს უმეტესად ეს სახელები ჰქვიათ. იმასაც ეს ერქმეოდა“.

გმირი ნაპოვნი, ეს მისი იღუმალი ჩურჩულია, საიდანღაც. შორეული ქვაბულიდან, რომ ისმის. საჭიროა ამ ჩურჩულის მოსმენა და წერა. წერა აქვე... აგერ ქვის მაგიდა, იქვე ქვის სკამი: ჰაბუკი ცდილობს ჩამყუდროებას, ქვის მაგიდას მიუჯდება, მაგრამ წერას ვერ ახერხებს. ისევ აწრიალდება. არქეოლოგების დატოვებულ ორთვალას წააწყდება. უნებურად ჩამოჯდება.

„ჩემს გარშემო ტალანია დიდი, ცარიელი, საშიში... აქ მხოლოდ ქვის მაგიდები და სკამები დგას, ძველი, ძალიან ძველი. მე ვზივარ ერთი თვის წინათ გაკეთებულ რკინის ორთვალაზე და ვწერ. ეს ორთვალა უფრო მოხერხებულია ჩემთვის. ალბათ, ერთი დროის რომ ვართ ორივე, იმიტომ“.



ასე იყო ყველგან. სადაც იყო ან სადაც მიდიოდა, შინაგანი პოეტური ხმა, შინაგანი დაუდევარი რიტმი შორეულ იღუმალ ძახილად იქცეოდა და თავისკენ ეძახდა.

სიარულით კი ბევრს დადიოდა. მოგზაურობის წყურვილი

მამამ გაუღვიძა. იყო სპორტსმენი, მთავლედი და მოუქანცავი მოგზაური. ბევრს დადიოდა საქართველოს მთებში, ველებზე, ზღვის ნაპირებზე... თანაბარი სიძლიერით გრძნობდა საქართველოს მთებისა და ველების მშვენიერებას. ზღვის ბუნებას, მის თავისებურებას და სილამაზეს. ამიტომაც იგრძნობა მის ბევრ მოთხრობაში ზღვის სილამაზის, სივრცე-სიგანის, ძალის, ძრისხანების დიდი გაცნაობა, იღუმალის შიში... იქნებ წინაგრძნობაც...

ფეხით ჰქონდა მოვლილი ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი, აფხაზეთი, ჯავახეთი და საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. ზოგიერთ კუთხეში, რომელიც განსაკუთრებით იზიდავდა, რამდენჯერმეა ნამყოფი. კავკასიონის მაღალი მწვერვალები კი მუდამ იზიდავდა. როგორც ალპინისტი, და ზოგჯერ ჯგუფის ხელმძღვანელიც, ასულა მთავარი კავკასიონის თვრამეტ მწვერვალზე. გადალახული ჰქონდა შვიდი უღელტეხილი და ათი მწვერვალის ტრავერსი. მოვლილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მთაბარი: კასპიისპირეთი, დაღესტანი. ქისტეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ქლუხორი. ეძახდა ტიანშანის მწვერვალი... წასვლა აღარ დასცალდა.

მოგზაურობის, ქვეყნების მოვლის, სხვა ხალხების ცხოვრების შესწავლის ენის კავკასიის გარეთაც ეწეოდა. თბილამურებით გადაიარა დასავლეთ უკრაინის კარპატები, თვეობით ცხოვრობდა რუსეთის ქალაქებში, ეცნობოდა მკვიდრთა ზნეჩვეულებას, ფსიქოლოგიას. რომ დაიღუპა, ოცდაექვსი წლისა იყო... როდის დაიწყო მოგზაურის ცხოვრება, როდისლა მოასწრო ყველაფერი ეს?

მოსკოვის განიერ ქუჩებში, ფართო მოედნებზე, რუსულ ყინვაში ისევე თავშიშველი და მკერდგაღებული დადიოდა, როგორც აგვისტოს სიცხით გახურებულ თბილისის ქუჩებსა და უფლისციხის მღვიმეებში, აკვირდებოდა ხალხს, იმახსოვრებდა, იწერდა; წერდა, როგორც ჩანს, სიჭაბუკიდანვე. როცა პირველად კალამი ხელში აიღო, მისი ფართოდ გახელილი ცნობისმოყვარე თვალებისთვის უცნობი ქვეყანა თავისი დიდი თუ წვრილი ამბებით, სიხარულითა თუ ტკივილებით სა-

ნახაობას წარმოადგენდა, სანახაობას, რაც ხსოვნაში უნდა აღბეჭდილიყო, ქალაღზე უნდა გადასულიყო.

ასე იწერებოდა უშუალო შთაბეჭდილებებით შთაგონებული დღიურები. დღიურები და ჩანახატები ხევსურეთისა („სიკვდილი მთებში“, „თვირთვილა“, „ბათარეკა ჭინქარაული“) დღიურები შავი ზღვისა („ზღვა არც თუ ისე ღელავდა“, „ნელი ტანგო“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „ირინა“) დღიურები სვანეთისა და კახეთისა („დევების ცეკვა“, „ასვლა“, „ალავერდობა“) ასე დაიწერა ერთსა და იმავე წელს (1956) ორი პატარა შესანიშნავი მოთხრობა „სიყვარული მარტის თვეში“ და „სიყვარული შემოდგომაზე“. ორივე მოთხრობა ჩემი ადამიანური გულიწკვივლითაა სავსე... ერთში გაზაფხულის ჰაერის ამაჰკრება და სიკბაბუკის უდროო სევდაა, მეორეში — სევდა გვიანი შემოდგომისა. ერთში მოისმის ადრევე, სიკბაბუკეში, უბედური შემთხვევის გამო გაცრუებული იმედების ძახილი, მეორეში სიბერის დამპყნარი ყვავილის სურნელი დაჰქრის.

ასე იწერებოდა მისი დღიურები, პატარა მოთხრობები. იწერებოდა ყოველდღიურად: ლექციებზე წასვლის წინ, ლექციებიდან დაბრუნების შემდეგ, წარმოიდგინეთ, ლექციებზეც... მის არა ერთ მოთხრობას, დღიურსა თუ უბრალო ჩანახატს მიწერილი აქვს დაწერის თარიღი, საათი, ადგილი, უნივერსიტეტის იმ აუდიტორიის ნომერიც კი, სადაც ეს დიდი, თვალეზიარება ბიჭი მონოტონურ ლექციას ცალი ყურით უსმენდა, ფიქრით კი თავის თავთან იყო. თავის თავთან იყო, აკვირდებოდა მეგობრების საქციელს, სწავლობდა და ოქმივით აღწერდა მომხდარს; ამ მომხდარში ყოველთვის რაღაც აზრს სდებდა. საქართველოდან შორს წასული, წერიალების მაგიერ მოთხრობებს უგზავნიდა მშობლებს. ამ მოთხრობებს მხოლოდ ორ სიტყვას აწერდა „წერილის მაგიერ“... ამ მოთხრობებს გზაში, მატარებლის კუბეში წერდა. პირველ მსჯავრს ახლობლებს ხთხოვდა („მატარებელი სტეკში“), აგროვებდა ამ ჩანაწერებს და მომავლისთვის ემზადებოდა.

სამწუხაროდ, ის, რაც მომავალში უნდა გაზრდილიყო, ამდღელებულიყო, ახლა ლიტერატურულ მემკვიდრეობად არის

ქვეული და შესწავლა-შეფასებას მოითხოვს. ამ წერილს ამგვარი პრეტენზია არა აქვს \*.

• • •

გურამ რჩეულიშვილის გამოჩენამ, მისმა პირველმა მოთხრობებმა ყველა დაგვაფიქრა. იყო რაღაც ახალი ამ ჭაბუკის პატარა მოთხრობებში. ორი-სამი კვირაც არ იყო გასული მისი გამოჩენიდან, რომ იგი როგორც ახალგაზრდა ნიქიერი მწერალი აზრთა გაცვლა-გამოცვლის, დისკუსიების ცენტრში იდგა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ეს მოთხრობები გამოქვეყნდა ახლად დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“.

ზოგის აზრით უჩვეულო იყო გ. რჩეულიშვილის მოთხრობების ფორმა, მცდარი იყო მისი ზოგი მოთხრობის კონცეფცია. ზოგი მას ახალი დასავლეთური პროზის მიმბაძველად სთვლიდა.

ამ საკითხს საგანგებო განხილვა სჭირდება. ორიოდე სიტყვით კი შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხედულება დამყარებული არ იყო გ. რჩეულიშვილის მოთხრობების სწორ შესწავლაზე. მისი ლაკონიზმი, გმირთა მოქმედების ფონის მოჩვენებითი სიმშრალე და ფსიქოლოგიური ძიებანი მოდიოდა ქართული კლასიკური და საბჭოთა პროზის საუკეთესო ტრადიციებიდან. „უჩვეულო“ ამ ჭაბუკის მოთხრობებში იყო ის საძყარო, რომელიც მან გაბედულად შემოიტანა უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობაში. თანამედროვე ინტელიგენტი ჭაბუკის მღელვარე განცდები, მისი სიყვარული თუ გულისტკივილი, სიკვდილისა და სიცოცხლის ჭიდილი... ძველი, მაგრამ მუდამ ახალი და შემაწუხებელი საკითხები. ეს ყველაფერი მკაცრ რეალისტურ ჩარჩოებში იყო მოქცეული. დამშვენებული იყო სისადავით და ოსტატური უბრალოებით, არ იყო შტამპით დაღდასმული. ყველაფერი, რაც მის შემოქმედებას ასაზრდოებდა, ბუნებრივად იყო გარდაქმნილი და სულის ქურაში გატარებული:

\* გ. რჩეულიშვილს გამოუქვეყნებელი დარჩა რამდენიმე მოთხრობა, პიესა, სცენარი და ლექსები.

გერმანელი მწერლის ალფრედ კურელას და მისი ოჯახის წევრების მოქმედებისა და თქმულის ფსიქოლოგიური ანალიზი გვაოცებს თავისი სიღრმით, ამ სიღრმეში ჰკვრებით, საოცარი სიმართლით და კონკრეტულობით.

ხევსურეთის ხრიოკ მიწაზე წევს ოჯახის დედა. სულ ათიოდე წუთის წინ ის მხიარული, ჯანმრთელი და ბედნიერი იყო, ქმართან და უმცროს შვილთან ერთად ტკბებოდა ამ ველური მთების სილამაზით. ახლა კი გულალმა წევს და თვალები დახუჭული აქვს. დაბნეული მამა-შვილი თვალს არიდებს მათთვის თავდადებული დედაკაცის ცხედარს. გარეგნული სიმშვიდე ვერ ფარავს იმ გულგამგმირავ ტრაემას, რაც მათ განიცადეს; ცოტაც და ეს დაგუბებული გრძნობა თავს დააღწევს ეგროპული ზრდილობისა და სიმტკიცის ჩარჩოს. ისინი საუბრობენ ცხენზე, ყვავილებზე, მაგრამ ამ სიმშვიდეში იგრძნობა დიდი ტკივილი.

„— ცხენს ფეხი მოტეხილი აქვს, — თქვა სტეფანემ.

— დაცემის დროს მოიტეხა — თავი გაიქნია კურელამ. — ალბათ ჩქარა მოვლენ სოფლიდან. გიგლა უკვე ოცი წუთია წავიდა:

შვილმა ყვავილი მოწყვიტა და ცხედარს შუბლიდან ბუზი გაუქშია.

— რა კარგია მინდვრის ყვავილები... ნახე ის ყვითელი? — მოწყვიტა რამდენიმე ყვავილი კურელამ და ხელში დაიჭირა. ბიჭმაც მოწყვიტა, მერე ლოდთანზე დააწყო. ორნივე გაურბოდა ცხედარზე ლაპარაკს. რაღაც იყო მათთვის სიკვდილში საოცარი და უკვე მომხდარი, რომელსაც არაფერი ეშველებოდა. გარშემო კი ყველაფერი უცნობი იყო, საშიში. ღრუბლის ჩრდილები ლოდთანებზე გადადიოდნენ, ხეობის თავზე ნისლებში ძერა დაბოინობდა და წყალი ქაფივით ეშვებოდა კლდეზე“.

მოულოდნელი უბედურება ადამიანის გულში პირველად გაოცებას და სახტად დარჩენას იწვევს; მერე თანდათან მოდის უბედურების შეგრძნება. ამ შეგრძნებას მოსდევს სევდა და დანანება იმისა, რაც დაიკარგა და არასოდეს დაბრუნდება.



„— მაინც ძალიან ცოტას დარდობენ, არა? — თქვა გურამმა.

— აგრე უნდა, მა რა! აბა რა ქნან, მეც აგრე ვიზამდი, — ვაჟამ კურელას ახედა, რომელიც ახლა შავ ცხენს უღებდა სურათს.

— შენ შეიძლება არ გეტირა, ეგრე კა ვერ გაერთობოდი.

— ეგ შეიძლება.

— ჰოდა, ეგ არის ნამდვილი დარდი.

— მე მგონი, სისუსტეა.

— დარდმა სისუსტე იცის.

— მაგათმა დარდმა არ იცის; ძლიერი კაცია.

— მაინც დარდის უნარიც სიძლიერეა.

ვაჟამ თავი გააქნია.

— ვინც დარდი არ იცის, მან არც მხიარულება იცის, არც რაიმე ძლიერის გრძნობა. მან მხოლოდ გონებით იცის, რომ არის ძლიერი და სუსტი განცდები.

ვაჟამ ისევ გაიქნია თავი, მერე თქვა:

— ეგენი დარდობენ, ოღონდ ცოტას, მე მაინც მგონია, ჯერ გონს ვერ მოსულან.

— არც ეგეთი ბავშვია კურელა, — თქვა გურამმა. მერე იფიქრა, რომ შეიძლება, მართლაც მათთვის ამ ამბავში საკვირველი უფრო მეტია, ვიდრე საზარელი; მერე კიდევ იფიქრა, რომ კურელამ მშვენივრად იცის, რომ სიკვდილი არის სიკვდილი; მერე ფიქრს თავი დაანება და ხევსურებისაკენ წავიდა.

არის ერთი ადგილი ამ მოთხრობებში, რომელიც მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სიმართლით. უეცარი ელდით გაოგნებული კურელა მოხიბლულია ხევსურების თანაგრძნობით, ერთი წუთით თითქოს ავიწყდება კიდევ თავისი მდგომარეობა და თავისი შეუღლის ცხედრის ირგვლივ შეგროვილ ხევსურებს მიმართავს პათეტიკური სიტყვით:

— თუ შეიძლება, გადაუთარგმნეთ, მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა... ოცი წელია, რაც ელბიდე კურელა ჩემი მეუღლეა, ის ხუთი შვილის დედაა, მწერლის ცოლია, აღფრედ

ქურელასი. ის თავისთავად ძალიან საინტერესო ადამიანი იყო, ექიმი. ბევრის სიცოცხლე უხსნია. ელბიდეს ძალიან უყვარდა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი, და განსაკუთრებით კავკასია, საქართველო. ის აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა და მუშაობდა ექიმად სამი წელი. ის ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი იყო.

ბოხხშიანი თარგმნიდა თავჩაქინდრული, მერე ხმაში ცრემლები შეერია.

— ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, — გაიმეორა კურელამ.

ბოხხშიანს თვალბზეც ცრემლი მოადგა, მერე ხელი მალა ასწია, ჩაიქნია, განზე გავიდა, იქვე დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგო.

თარგმნა ქალმა განაგრძო.

— მე უღრმესად მადლობელი ვარ, ხევესურებო, თქვენი უღრმესად. არც მე და არც ჩემი ხალხი არ დავივიწყებთ თქვენს ამავს. კიდევ ერთხელ გმადლობთ ჩემი და ჩემი განსვენებული მეუღლის სახელით; მოვრჩი, — თქვა მან“.

მოთხოვნის ბოლო ნაწილში კურელა და გურამი მშვიდად საუბრობენ სიკვდილ-სიცოცხლის მტკივნეულ საკითხებზე. მკითხველს აოცებს ამ საუბრის სიღრმე, განზოგადების უნარი, მოსაუბრენი იხსენებენ იმ ჯარისკაცს, რომელიც ორმოცდახუთი წლის ცხრა მაისამდე დაეცა უკანასკნელად გასროლილი ტყვიით გულგანგმირული და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ:

„ხალხს არ შეუძლია იდარდოს ყველა ერთად, ამიტომ დარდობს იმას, სწორედ იმას, ვინც რაღაცით გამოირჩევა, იმიტომ რომ „ის“ თავის სიკვდილით განსხვავდება სხვებისაგან. მთელი ომის უბედურებაც იმერთის სიკვდილში გადააქვთ“...

არის რაღაც დამაფიქრებელი და ნამდვილი ამ სიტყვებში. გურამი რჩეულიშვილიც ხომ ასე განსხვავდა თავისი სიკვდილით მათგან, ვინც უღროოდ გამოგვტაცა ცხოვრების მღელვარე ზღვამ. მართლაც შეუძლებელია „იდარდო ყველა ერთად“. ამ

ადრე დაღუპულთა სახით ყველას ვიდაც ახლობელი წარმოუდგება თვალწინ და ყველას უბედურება იმ სიკვდილით ესახება.

• • •

გ. რჩეულიშვილი ცოცხლობდა თანამედროვე ახალგაზრდის მისწრაფებებით. ყოველგვარი მანკიერი მოვლენა და წარსულის უღლეური გადმონაშთი მას წიზღს უღვიძებდა.

დროს თავისი გაუტანია, ძველ ეროვნულ დღესასწაულს თავისი მომხიბლავი შინაარსი გამოსცლია, ვაჟკაცობისა და რაინდული გართობის ასპარეზი ღამისთევით გამოყეყეჩებულ ლოთების ლაზღანდარობის მოედნად ქცეულა. თანამედროვე ადამიანის სულისკვეთებას ველარ ეგუება დამახინჯებული სახე ოდესღაც დიადისა და წარმტაცისა.

„ალავერდობა აღარ არის ალავერდობა, გრძნობ; ეს რელიგიური დღეობა. მხოლოდ ინერციაა, სასაცილომდე მისული ინერცია“.

მოთხრობის გმირს ბოღმა აღრჩობს, არ შეუძლია გულცივად უსქირონ ღვინის სმით გამოთაყვანებულ სახეებს. დაუსრულებლად. გულისამრევად მოცეკვავე წყვილებს... იგაივსება მოქმედების წყურვილით, იკუმშება ზამზარასავით, ხდება სახიფათო და პირქუში ირგვლივ მყოფთათვის.

„... აუცილებელია მოქმედება, რაიმეს გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას, არტიტულ არენად აქცევს ყველაფერს და მაყურებელს დააინტერესებს ერთი ამბით, ერთი მიზნით, ამ წუთში — ერთის ბედით. სწორედ ეს შინაგანი ინტენქტი არტიტისა — მოსცეს ყველას მის გარშემო ერთი ინტერესი, მიზანი — მთლიანად იპყრობს მას“.

კონფლიქტი სასაცილო ინერციასთან მოთხრობის გმირს ალავერდის გუმბათზე აიყვანს.

ამ დიდებული კვარცხლბეკიდან მას ეჩვენება, „რომ მიღწეა იმ საწაღელს, რომლის სახელი სიტყვებით აღარც კი ახსოვდა“.

მაგრამ რა იყო ეს წუთიერი აჯანყება „სასაცილომდე მისული ინერციისა“ და სიმანხინჯის წინააღმდეგ? რით, როგორ გაილაშქრა ჭაბუკმა ამ სიმანხინჯის აღმოსაფხვრელად? სახიფათოდ... წონასწორობა დაკარგა და ცხენით მიექრა ღამისმთეველებს. ამ ფიქრმა „მოულოდნელი სიცხადე“ დაუბრუნა ჭაბუკის გონებას.

„და იმავე წუთში საღლაც გაქრა მთელი მისი უსაზღვრო ვნებადქცეული სურვილი“.

• • •

ოთხი წელი ებრძოდა თვირთვილა ლაგამს. ებრძოდა, მაგრამ მინდიას მაჯა ძლიერი ჰქონდა, იმორჩილებდა. მაგრამ აი, დადგა წუთი და თვირთვილამ აიწყვიტა: მიშვებულნი სადავე იგრძნო, იგრძნო მთვრალი ხევსურის მოდუნებული მაჯა და ბედისწერამ აიტაცა. მხედარი ცხენიდან გადმოვარდა: სამღლეამეს დაეხეტებოდა უპატრონოდ თავისუფალი თვირთვილა. მეოთხე დღეს სოფელში დაბრუნდა.

„ეზოს შუაში მისი პატრონი იწვა და არ ინძრეოდა. თვირთვილამ თავი ასწია, კბილები გამოაჩინა და საზარლად დიკიხვინა: პატრონი არ ინძრეოდა. მის თავთან იღო საყვარელი ცხენის აღვირი. ულაყი დასწვდა ლაგამს და ღეჟვა დაუწყო.“

— ჰეი, ჰეი, — თვირთვილავე!

— ჰაიდედასა, მინდიავე!

— ვერ გასძლო:

— ვერა, ვერა, გუდანის ჯვრის მადლმა!

— სასწაულ არს.

თვირთვილა კი იღვა ცხედართან და ლაგამსა ღეჟავდა.

ლაშები დაიამა.

ახლა ზურგი აჰქავდა.

ტორტმანით მივიდა საჯინიბოს დაბალ კედელთან და

ზედ გაეხახუნა:

— ჰაი, ჰე, თვირთვილავე!

— ვაი დედასა, მინდიავე!

ხევსურებმა გლოვა განაგრძეს“.



ჭაბუკი მთავლელი ყინულზე ჰკიდია უფსკრულის პირას. საკმარისია უბრალო განძრევა და იგი დაიღუპება. ჭაბუკი საოცარ ნებისყოფას და ძალას იჩენს. აქ საკვირველი თითქოს არაფერია: ყველა შეძლებისდაგვარად შეეცდებოდა თავის გადარჩენას. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთებში წამოსვლის წინ, ამ ჭაბუკს გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა, მისი გული ჯერ განკურნებული არც არის ამ ტრადიკული ცთუნებისაგან. აი საუკეთესო შემთხვევა. ახლა საკმარისია ერთი განძრევა და... მაგრამ სიცოცხლე იმარჯვებს, იმარჯვებს ლამაზი სიცოცხლის ქინი. ნაპრალზე დაჭიდულს ახსენდება დედა. თავისი ბავშვობა: კბილი რომ ასტკივდებოდა, დედა მტკივან ადგილზე თბილ ლოყას მიაღებდა და ტკივილი გაუვლიდა.

რამდენად ადამიანური და მართალია ეს დეტალი.



ალავერდობაა. აღრიანი დილა. გალავანში დაბარბაცებენ მთვრალი მოჭეიფენი. მთვრალი პატრონების დანახვაზე ფრუტუნებენ ჟინზე მოსული ცხენები.

„დილის არაყი შეასვი, დილის არაყი!“ — ხორხოცებენ ლამენათევი მოალავერდენი.

მჯერა, ამას ნამდვილად იტყოდნენ. იტყოდნენ, მაგრამ ამის გაგონებას და გამოყენებას მწერლის ყური, თვალი და უნარი უნდოდა, ორიოდვე ფრაზით დაუვიწყარი სურათია დახატული.

გ. რჩეულიშვილს შეუძლია ყოველგვარი მომქანცავი აღწერილობის გარეშე გვაგარძნობინოს თავისი გმირების გარეგნობა.

„ბიჭის ფართე ნაფეხურები ღრმად აჩნდებოდა ქვიშას, გოგო კი თითქოს ფეხსაც არ აკარებდა მიწას, ისე მკრთალი იყო მისი ნატერფალი“.

ან კიდევ, დაგვიხატოს დაუვიწყარი სურათი ცხოვრები-

საგან განადგურებული და ყველასაგან მიტოვებული მოხუცი მეთევზისა, რომელსაც ადრე სიკაბუქეში ზღვამ აჩუქა ბედნიერება და მერე ისევ წაართვა.

„... ნაცრის ქვეშ ძლივსლა ცოცხლობდა ცეცხლი. მიმქრალ ნაღვერდალს ხელახლა აღვივებდა ახმედი. ალი უნათებდა შეკრულ კრიჭოს, დანაოჭებულ სახეს და ბერვის დროს წინ გაშვერილ ტუჩებს. ძაღლის ლეკვი იწვა ცეცხლის პირას, პატრონის შიშველ, ცივ ფეხზე ედო თავი და თვლემდა, ძაღლის სითბო გადადიოდა პატრონში“.

მწერალი გრძნობს ბუნებას. ხედავს. ამ სურათებში არ არის მოგონილი და გაკრიალებული, ჩვენ წინ დგას გამოცდილი, დაკვირვებული მხატვარი.

„დადგა წამი, როცა მკვეთრ შუქს შეჩვეული თვალი ვერ ამჩნევს წვირს, უძლურ მნათობებს. იდგა მთლიანი სიბნელე და ამ წყვილიანში მოჩანდა უსასრულო სიღრმიდან მომავალი უმანძილო მინდორი. კი არ მოჩანდა, ინტუიციით ხედავდა ადამიანის თვალი...“

მაგრამ:

„შეუმჩნევლად, მიპარვით შეეჩვია თვალი სიბნელეს, საიდანაც უცებ უცნაური ძალით ამოხეთქეს ვარსკვლავებმა და მთლიანად დაიპყრეს კახეთის ცა“.

მის მოთხრობებში აღწერილი მოქმედება და ბუნების სურათები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს:

„ჩქარა ქარმა სავარძნობლად იმატა და თოვლის ქულები მოაყარა ხეობას. სალამურა ადგილზე ურტყამდა ფლოქვებს. ბაკში შეყრილი ცხენები შფოთავდნენ. ქარმა ღრუბლები ისევ გადაყარა. ულაყები ერთმანეთს ახტებოდნენ. იმ დამესისევე აცივდა. სალამურამ განიერი მკერდით გააპო ჯოგი და ლობესთან შივიდა, ფართო ნესტოებიდან ორთქლის ნაკადს უშვებდა“.

ქარბუქიანი ღამის ნერვიული რიტმი შესანიშნავად ერთვის ბაკში გამომწყვდეული ცხენების მოუსვენრობას.

ზღვა ლამაზია, მაგრამ გააჩნია — როდის, ვისთვის. პოეტისთვის ზღვა ლამაზია, მრისხანე ან წყნარი სტიქიაა, რომელიც ანდამატივით იზიდავს ადამიანის თვალსა და გულს.

ამშვიდებს, მაგრამ მეთევზისათვის „წყალი იგივე იყო, რაც მიწა, უფრო მეტიც: ის აძლევდა თევზს, რითაც ცხოვრობდა. ზღვა მისთვის არც ლამაზი იყო და არც უშნო... ზღვას მაშინ ეძახდა კარგს, როცა ბევრი თევზის დაჭერას შესძლებდა“.



გურამ რჩეულიშვილი ჰემმარიტად მწერლობისათვის იყო დაბადებული. ამას ზემო ნათქვამთან ერთად ადასტურებს მისი ქართულიც. მის პირველსავე მოთხრობებში სისადავე და უბრალოება, ფრაზის ლაკონურობა და სიმკაცრე იგრძნობოდა. ჯერ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი მუდამ ცდილობდა ნათელი და გამჭვირვალე, ყოველგვარ მანქვა-გრეხას, მრავალსიტყვაობას მოკლებული ქართულით ეწერა. მისთვის სიტყვა თვითმიზანი ან ბჭყვრილა სამკაული კი არ იყო, არამედ მასალა მთავარი მიზნის მისაღწევად. მან იცოდა, რომ ყოველი სიტყვა თავის ადგილას ლამაზია. სიტყვის ასეთი გამოყენების შედეგად მისი ქართულის იქით მოვლენები და მდგომარეობანი საგნებივით ხელშესახები ხდებოდნენ.

მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას მისი უკანასკნელი მოთხრობების ენაზე. ვინც მის მუშაობას ვაკვირდებოდით, გამჩნევდით, რომ ბოლო ხანებში მისი ენა გაბუნდოვანდა, თავი იჩინა ქართულისათვის მიუღებელმა სინტაქსურმა წყობამ; რაც მის ადრეულ მოთხრობებს არ ახასიათებდა.

ამას თავისი მიზეზები ჰქონდა: მისი პირველი პატარა მოთხრობები, ესკიზები და სურათები დღიურების სახითაა დაწერილი, ჰაბუკი მწერლის ენობრივი მარაგი შეესაბამებოდა გმირთა მეტყველების პორიზონტს; შემდეგ, პირველი ნაბიჯის, პირველი მოთხრობების გამოქვეყნების შემდეგ იწყება ძიება, ფსიქოლოგიურ სიღრმეებში უფრო ღრმად ჩაწვდომის სურვილი, რაც ენის მეტ ცოდნას, ღრმა აზროვნების გამომხატველი ენობრივი საშუალებების ათვისებას მოითხოვს. დაჯაყაცებული მწერლის გულმკერდი ვეღარ ეტევა იმ ენობრივ პერანგში, რაც პირველი, ცდებისათვის შესაფერი იყო, ჩქარობს; ნერვიულობს, სცოდავს... სჭირდება შალაშინი.

ამის გამო არა ერთხელ მოგვსვლია კამათი.

კამათი კი შეურიგებელი იცოდა, ცხარე და მღელვარე.

ცხარე და მღელვარე იმის გამო, რომ მისი ჭაბუკური სული ლიტერატურით ცოცხლობდა. მწერლობის საკითხებს საკუთარი სისხლის დენასავით განიცდიდა, შეურიგებელი — იმის გამო, რომ უკვე თავისი შეხედულებები ჰქონდა ცხოვრებასა, ლიტერატურაზე და ენაზე. ბევრს ფიქრობდა და ნაფიქრის გადაჯერება უმძიმდა...

• • •

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ მოთხრობებზე, რომლებიც ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. სამი-ოთხის გარდა („მუნჯი ახმედი და ზღვა“, „ბათარეკა კინჭარაული“, „სალამურა“) ამ მოთხრობების გამოქვეყნებაზე, როგორც მე ვიცი, გურამ რჩეულიშვილი არ ფიქრობდა. ზოგი მათგანი უკვე აღარ მოსწონდა და რომ ეცოცხლა, ალბათ აღარც გამოაქვეყნებდა. იგი თავისი მომავლიდან დასცქეროდა ამ მოთხრობებს. უკვე გავლილ გზად თვლიდა. სწრაფად იზრდებოდა, მწიფდებოდა. ადრე დაწერილი თავის შესაძლებლობასა და გეგმებთან შედარებით სუსტად მიაჩნდა... მართალი იყო თუ არა? ამის გადაწყვეტა მკითხველისთვის მიგვინდვია. ის კი უნდა ვთქვათ, რომ ის პაწია მოთხრობები, ჩანახატები და დღიურები ორგანულად შეუერთდნენ იმას, რაც მთავარი იყო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში.

• • •

დიდი ხანია მინდოდა დამეწერა და აჰა, დავწერე.

ღირსი იყო... ის არ ჰგავდა იმ მწერლებს, ვისი შემოქმედებაც სიკვდილის შემდეგ კლებას იწყებს და დავიწყებას ეძლევა. ამიტომაც მივუძღვენ ეს სტრიქონები ადრე დაღუპული ჭაბუკის ხსოვნას. მან თავის დროზე, თავისი არსებობით და სიტყვით, ბევრი კარგი რამ მაგრძნობინა.

მისი დაღუპვით სიკვდილმა ერთხელ კიდევ გვაჩვენა თავისი უაზრო, შეუბრალებელი ძალა. კიდევ ერთხელ გავვახსენა ძველი ქართული ლექსი:



ნეტავი რა სკირს სიკვდილსა,  
ვერ მიხვდა ჩემი გონება,  
შიგ ამოარჩევს ვაჟიაცსა,  
რომელიც მოეწონება!

სიკვდილსაც კარგი და ლამაზი ჰყვარებია... და თუ მართალია მეორე ძველი ნათქვამი — ხელი მწერლისა ლპების, ხოლო სახელი მისი ჰგვიეს საუკუნოდო, — ვუსურვოთ სიკვამუკეშივე დაბრძენებული მწერლის სიტყვას, კეთილად მისულიყოს ქართველ მკითხველამდე, თავისი ადგილი დაეჭიროს მის გულში და ეცოცხლოს.

## ლექსი და სახლი

რამდენიმე თვის წინათ ერთმა, არცთუ ისე ახალგაზრდა, კაცმა ხუთიოდე ლექსი მომიტანა რედაქციაში...

ჩემსა და იმ კაცის ნაცნობობას თავისი პატარა ისტორია აქვს.

მე მას კარგა ხანია ვიცნობ: მისმა პირველმა ლექსებმა ჩემი ყურადღება მიიქცია. მახსოვს, ცუდი დაეუწუნე, კარგი შევუქე, გავამხნევე და დახმარებაც აღვუთქვი, თუ უკეთესს დაწერდა.

მაშინ ის სიცოცხლით სავსე, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ჰაბუკი იყო, მკვირცხლი და მიხვედრილი. საიმედოდ მეჩვენა და იმიტომაც შეეპირდი.

ჰაბუკი კარგა ხანს არ გამოჩენილა... ხანდახან გამახსენდებოდა ხოლმე და მიკვირდა, სად დაიკარგა, რატომ ლექსი აღარ მოაქვს, ალბათ სხვა გზას დაადგა-მეთქი.

მაგრამ ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ იგი ისევ გამოჩნდა.

ცნობილია, რომ ლექსის ჰია აგრე ადვილად არ ეშვება თავის საკბილოს.

ჰაბუკი გარეგნულად შეცვლილიყო. ადრინდელი სიმკვირცხლე და სითამამე, იმედიანი გამოხედვა აღარ ჩანდა მის თვალებში. სუფთა და ექვი შესჩვეოდა მის ჰირანახულ თვალს, ცხოვრება ენახა, მოკლე ხანში დიდი გზა გაეგლო, საფეთქლებთან პირველი ჰაღარაც შეჰპარვოდა... ამან დამაიშვდა და მისი ლურჯი რვეული ინტერესით გადაეფურცლე.

ჰაბუკი შეცვლილიყო, მაგრამ მისი ლექსი უცვლელი იყო. იგივე თემა, იგივე აზრი, ფერი... წინსვლა არ ჩანდა.

მაშინ, როცა იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, მისი სიტყვა

იმედის აღმძვრელი მეჩვენა, ახლა კი, როცა მათ ავტორს უფრო მეტი მოეთხოვებოდა, გული მეტყინა.

არ დაეუფარე და გულანდილად გამოვუტყდი.

ჩემი აზრი უფრო დატუქსვას ჰგავდა და ჩვენ დამდურებულელებივით დავშორდით.

ხშირად ცუდ დღეში ვარდებიან ხოლმე მწერლები და რედაქციის მუშაკები: არა ერთი დამწყები მწერალი ჯიუტად თხოულობს ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემას:

გამოვა თუ არა რამე ჩემგან?

ეს კითხვა ბუნებრივად ებადება ყველას, ვის კალამსაც წინააღმდეგობა შეხვდება.

ეს კითხვა ქვეყნად პირველი შემოქმედის გაჩენიდან არსებობს და აწვალებს ადამიანის მამიებელ სულს. უამკითხვოდ თვით დიდ შემოქმედებსაც კი არ უცხოვრიათ.

რა პასუხი უნდა გავცეთ ამ კითხვაზე?

ნათქვამია: სახარე ხბოს სასკორავზე შეეტყობაო.

ჰოდა, თუ ეტყობა, რომ დამწყები მწერალი „სახარედ“ ან „სამამულე რქად“ არ გამოდგება, პირდაპირ უნდა უთხრა, უნდა აარიდო გამოუცდელი კაცი იმ მაცთუნებელ გზას, სადაც იგი უსათუოდ დამარცხდება... ხშირ შემთხვევაში დიაგნოზი მართლდება: დამწყები ანებებს თავს ლექსის წერას და სხვა დარგის სახელოვან მუშაკად გვევლინება.

თუმცა რა ვიცი, აბა, თავი არ დაენებებინა წერისათვის, ჯიუტი შრომით და ნებისყოფით, ვინ იცის, რას მიაღწევდა!

ზოგჯერ, თუ არ გვითქვამს, გვიფიქრია მაინც — ამა და ამ კაცისგან არაფერი გამოვაო, მაგრამ გასულა დრო და იმ ხბოს, რომელსაც „სასკორავზე“ საიმედობა არ ეტყობოდა, შემდეგ „ხარობაც“ გაუწევია.

ეს, რა თქმა უნდა, გამონაკლისია, ერთია ათასიდან, მაგრამ მაინც არის, ამიტომ სახიფათოა ერთბაში სიტყვა...

ფიქრობ: უთხრა თუ არა?

ამ საკითხზე კარგად იხუმრა ლიონ ფოიჰტვანგერმა თავის ავტობიოგრაფიაში (Писатель Л. Ф., его жизнь и эпоха. Баланс одной жизни).

ამ დიდი ჰუმორითა და სარკაზმით დაწერილ ნოველა-ბიო-

გრაფიაში მწერალი თავის თავს დიდ დამსახურებად უთვლის იმას, რომ

„მან გადაარჩინა 1 ქალიშვილი დახრჩობას,

2 ჰაბუკი — მსახიობობას,

6 არცთუ ისე უნიჭო ახალგაზრდა — მწერლის პროფესიას, თუმცა, 106 მსგავს შემთხვევაში იგი უძლური აღმოჩნდა“.

ჰოდა, მეც, ვგონებ, რაღაც ამის მსგავსი ვუთხარი ჩემს ახალგაზრდა ნაცნობს და ჩვენ ნამდურავეებივით დავეშორდით.

ღრო გადიოდა. ჰაბუკი აღარ ჩანდა. ალბათ საბოლოოდ, ვფიქრობდი მე. ალბათ დარწმუნდა...

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, გამახსენდებოდა თუ არა ზოგჯერ ჩემი ძველი ნაცნობი, ის ჰიაც, წელან ლექსის ჰია რომ დავარქვი, ჩემს თვალწინ გაიგრაგნებოდა ხოლმე და მე ველოდი მის შესამედ მოსვლას.

აჰა, მოვიდა კიდევც...

მაგრამ მე ის ველარ ვიცანი.

ჩემ წინ კარგად შექალარავებული გამხდარი ვაჟკაცი იჯდა და მორცხვად იღიმებოდა.

„რა ვქნა, ვერ მოვეშვი, მიყვარს და...“ — ჩაიდუღუნა მან, როცა ჩემი გაოცებული სახე დაინახა.

ის ვერც კი მიხვდა, რომ მე მისმა შეცვლილმა სახემ და უდროო ჰალარამ გამოაცა, მოსვლამ კი არა.

ისევ ისეთი ლურჯი რვეული, ისეთივე ხელი... ეტყობა, ამ ხელს სიჭაბუკის შემდეგ აღარ უვარჯიშია.

მაგრამ ხელი სხვაა და ნახელავი სხვა. ვნახოთ.

მაგრამ არა, ჯერ ლექსებს არ წავიკითხავ... ჯერ გამოვკითხავ, როგორ ცხოვრობს; რით ცხოვრობს.

დაცოლშვილებულა, სამი ვაჟიშვილის მამაა. ამ ზაფხულს სამთვალთან სახლი აუშენებია.

სახლი...

სახლის ამენებაზე იტყვიან: სახლი ააშენე, ოჯახი დააქციეო!

ვიცოდი, რომ იგი დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო და ხელმოკლედ ცხოვრობდა თბილისის მახლობელი ერთ-ერთი

რაიონის სოფელში... როგორ ააშენა, რით? ისიც „ამ ზაფხულს“.

დასამალი არ არის, რომ ახლაც კი ზოგი არაკეთილსინდისიერი გზით აშენებს და ცხოვრობს.

ესეც ხომ არ...

არა, ჩემი ექვი არ გამართლდა, ჩემმა ნაცნობმა საოცარი რამ მიაგებო.

ის სამოთახიანი სახლი ამ ზაფხულს მხოლოდ მას, მარტოს აუშენებია. ქვის მტეხავიც თვითონ ყოფილა, ქვიშის და კირის ამრევიც, კალატოზიც, მიმტანიც, ღურგალიც და... ერთი სიტყვით, ყველაფრის ოსტატობა გაუწევია. თარაზოც თვითონ უზმანებია, ქაფჩაც თვითონ სჭერია, ხერხიც და ხელეჩოც, მსხვილ ქვასაც თვითონ ეზიდებოდა, მუშტასაც და კენქასაც!

მაგრამ ლექსი, ლექსისთვის როდისღა მოიცალა?

ძველი ლექსები ხომ არ გადაწერა ახალ რვეულში?

არა, როგორც ჩანს, ლექსისთვისაც მოუცლია. ლექსები ახალია.

მაინც ჯერ არ ვკითხულობ, მინდა მისი ლექსები კარგი იყოს, ის ამის ღირსია. ბევრი რამ არის მოსალოდნელი ასეთი ნებისყოფის კაცისგან. მან ხომ მარტოდმარტომ, სხვის დაუხმარებლად ააგო ახალი სახლი. მისი მტკიცე, ენერგიული გამოხედვა, ბევრი რამის მტკმელია. რა გახდა ერთი კარგი ლექსის დაწერა, უკანასკნელად რომ ლექსები მომიტანა, სახლის აშენებაც ხომ არ იცოდა!

ლექსის ნიჭი ადრე გამოიჩინა, ჰა, და ჰა, მათ გამოქვეყნებას და საბოლოო მოწონებას ცოტადა აკლდა... რა გახდა ერთი კარგი ლექსი?

არ მინდა ამ რვეულში ცუდი ლექსები იყოს... ვკითხულობ და ვფურცლავ, ხელახლა ვკითხულობ, ვკითხულობ და მალღა ვერ ამიხედავს, არ მინდა თვალეებში შევხედო ლექსების ტრფიალში გაქალარავებულ კაცს, რომელმაც გაუგონარი ნებისყოფით და შრომით მარტომ ააშენა თავისი სამი ვაჟიშვილისთვის სამთვალეიანი სახლი. მეშინია, მის თვალეებში ცრემლი არ დავინახო... მას ხომ სამი კარგი ლექსი ერჩია იმ სამთვალეიან სახლს.



მახსენდება სვეტიცხოვლის კედელზე დაკიდებული მარჯვენა უბადლო და უმსგავსო ოსტატისა.

ნეტავ რომელმა მეტი ღონე შეაღია თავის საქმეს, სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარმა თუ სამოთახიანი სახლის კალატოზმა?

თუ ფიზიკურ ღონეზე ვიტყვით, იქნებ ადრე გაქალაქავებულმა დამწყებმა პოეტმა უფრო მეტი ძალა დაახარჯა თავის პატარა სახლის მშენებლობას.

სვეტიცხოვლის მშენებელი შთაგონებული დირიჟორი იყო და, ალბათ, მხოლოდ თავის სულიერ ძალას აქსოვდა მცხეთის ტაძრის ცისფერ კედლებს.

სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის შემქმნელთა მძიმე უღელს ტოლს არ დაუდებდა ბარათაშვილის მიერ დახარჯული ღონე, როცა იგი „მერანს“ ქმნიდა. მისი ძლიერი სულის ნებისყოფა ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ნიაღვარივით მიედინებოდა მხოლოდ ერთდ მიმართულებით — ლექსისაკენ!

ალბათ ამიტომ ვერ აავიო სახლი მიუსაფარმა, არაპრაქტიკულმა ბარათაშვილმა და ალბათ ამიტომ ჩამორჩა პირადი ცხოვრების მოწყობაში ყველა ჯურის „ხახვის ფრანტებს“, რომელნიც თავის სულიერ ძალას მხოლოდ თანამდებობის მაღალ კიბეზე ასვლაში ფლანგავდნენ და ბრწყინვალე სასახლეებს იშენებდნენ.

ელავდნენ მუნდირები, ჟღრიალებდნენ დეზები რჩეულთა. ყველა მათ შეპყურებდა და მოხიბლული უსმენდა, ბარათაშვილის ბრწყინვალე ნიჭი და განათლება კი საჭირო არ აღმოჩნდა მაშინდელი საქართველოსათვის, ის ვერც კი შეამჩნია საქართველომ.



ჩვენმა დამწყებმა პოეტმა უთუოდ დიდი სულიერი კმაყოფილება განიცადა, როცა თავისი სამოთახიანი სახლის მშენებლობა დაამთავრა, დაბინავდა და ჭერი დალოცა... ეს ალბათ

ყველაზე ბედნიერი წუთი იყო მის ცხოვრებაში. შვება იგრძნო მისმა გულმა, დაისვენა მისმა მარჯვენამ.

მაგრამ განა მისი კმაყოფილების მასშტაბი ოდნავ მაინც შეედრება სვეტიცხოვლის ამშენებელი ოსტატის ან ბარათა-შვილის გრძნობას, როცა მათ თავისი ქმნილებანი დაამთავრეს და განცვიფრებით შეავლეს თვალი?

სახლის ამენების შემდეგ დამწყები პოეტის მარჯვენამ დაისვენა, სვეტიცხოვლის ოსტატს კი მარჯვენა მოკვეთეს...

არ გვინდა ვისურვოთ, დამწყები პოეტის ცხოვრებაში ის წუთები დარჩეს ბედნიერების მწვერვალად, როცა მან თავისი სახლის აგება დაამთავრა... ნამდვილი პოეტისათვის ყველაზე ბედნიერი ის წუთია, როცა იგი საუკეთესო ლექსს დაამთავრებს.

მაგრამ, სახლი?.. იგი ხომ აუცილებელია!

სახლი ყველას უნდა ჰქონდეს, რადგან არ არის ჩიტა, რომ ბუდე არ ჰქონდეს, არ არის ქვეწარმავალი, რომ სორო არ ჰქონდეს, არ არის თევზი, რომ დარანი არ ჰქონდეს... სახლი ყველას უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, ჩვენს დროში, მაგრამ აქ პოეტური ენერგიის სწორ განაწილებაზეა ლაპარაკი: სახლისთვის ზრუნვამ არ უნდა დააჰკნოს ლექსის ყვავილი.

ვინ იცის, ჩვენს დამწყებ პოეტს იმდენი დღემუდამი შრომა, გაუგონარი უჯიათობა და სულის ძალა რომ შეეწირა ლექსისათვის, რამდენი ფიზიკური ღონეც თავის სამოთახიან სახლს დაახარჯა, ეგებ კარგი ლექსი შეექმნა. ერთი კარგი ლექსის დაწერა კი მხოლოდ პოეტს შეუძლია.

პოეტის ოცნება ისეთი ლექსის დაწერა უნდა იყოს, რომ მისი მარჯვენა მოკვეთის ღირსი გახდეს.

ნურავის შეაშინებს ეს ნათქვამი!.. ამას მეშურნეთაგან და ბოროტთაგან ხელის ფიზიკურ მოკვეთაზე არ ვამბობ... აქ ადამიანის ძლიერი მარჯვენა და მისი სვეტიცხოვლის სიმაღლეზე ატანა იგულისხმება.

## დასაწყისი, დასასრული და სათაური

როდესაც უცნობ მხატვრულ ტილოს ან ქანდაკებას პირველად შეხედავ, თვალის ერთი გადავლებით, ერთბაშად აღიქვამ და შეიგრძნობ ნახატისა თუ ნაქანდაკევის ძირითად შინაარსს. შემდეგ თვალი იწყებს ფერებისა და დეტალების დაკვირვებას... რამდენ რამეს შეამჩნევს კაცი საგულდაგულო დათვალიერების დროს, რამდენი ფიქრი გაჰკრავს გულში. ხანდახან იმასაც კი გაითიქრებს, რომ ნახატს არა აქვს დასაწყისი და დასასრული.

ასე არ ხდება ადამიანის ხელით, გონებითა თუ გულით შექმნილი მხატვრული შემოქმედების სხვა დარგების, თუნდაც მუსიკის, პოეზიისა და პროზის ნიმუშების მოსმენისა და კითხვის დროს.

სიმღერას, ლექსსა თუ მოთხრობას თავისი დასაწყისი, განვითარება და დასასრული აქვს. შეუძლებელია სიმღერის მოსმენა ერთბაშად, ლექსისა და მოთხრობის თვალის ერთი გადავლებით დანახვა და შეგრძნობა... მაგრამ სიმღერის ბოლომდე მოსმენა, ან მოთხრობის წაკითხვა იგივე პროცესია, რაც სურათის ან ქანდაკების დათვალიერება, შემოქმედის ჩანაფიქრის, მიზნის გაგება.

რამდენი ბილიკი, ორლოზე და მისახვევ-მოსახვევი უნდა გადაგატაროს მწერალმა იმ უკანასკნელ მოჯნამდე, სარდნაც ისევ უკან უნდა მოიხედო, რომ შემოქმედის ხელით დახატული სამყარო მთლიანად დაინახო და წარმოიდგინო.

ამ თავისებურებათა გამო მკითხველის გულის მოსაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების დასაწყისსა და დასასრულს. კარგი და დამაინტერესებელი დასაწყისი, უბრალოდ რომ ვთქვათ, პირველი დასწრებული სილაა, რომე-



ლიც თავბრუს ახვევს, აღიზიანებს და ბრძოლაში იწვევს მკითხველს. მკითხველს თვლემას ჰგვრის, მწერლის ნდობასა და წიგნის წაკითხვის მადას უკარგავს ღუნე, არაფრისმთქმელი უფერული დასაწყისი.

მიხეილ ჯავახიშვილი მხატვრული თხრობის დიდი ოსტატი იყო და მან კარგად იცოდა მკითხველის გულის საიდუმლო. მისი მოთხრობები და რომანები თითქმის ყოველთვის მოქმედებითა და საქმით იწყება. პირველი სტრიქონებიდანვე მკითხველი გრძნობს ძლიერ ხელს, რომელიც მას უცნობი, მომხიბლავი სამყაროსკენ ეზიდება.

დადგა დრო მწერლის შემოქმედების იდეური და მხატვრული მრწამსის ყოველმხრივი შესწავლისა. შეუძლებელია ამ მცირე წერილს ასეთი მიზანი ჰქონდეს. ჩვენ გვინდა ორიოდ მოსაზრება გამოვთქვათ მწერლის შემოქმედებითი მუშაობის გამო თვით მის. ჯავახიშვილის ზოგი ნათქვამის მოშველიებით. თანამედროვე კრიტიკოსისა და ლიტერატურის მკვლევარის წინ კი თვალუწვდენი ბარაქიანი ხოდაბუნია გაშლილი, სადაც ჩვენი მღელვარე დროის ერთი დიდი გუთნისდედა შთაგონებით მღეროდა მშობლიურ ჰოროველას, ხნავდა, თესავდა და თავისი ჰირნახულით ხალხის სიყვარულს იმკიდა.

ამ პატარა წერილის შესავალში მხატვრული ქმნილების დასაწყის-დასასრულზე იმიტომ ჩამოვადგეთ სიტყვა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პროზას სხვა მრავალ მხატვრულ ღირსებასთან ერთად ახასიათებს თხრობის დაწყების ეფექტური ხერხი და ლოგიკური წერტილი, მიჯნა, რომლის იქით თხრობა წყდება. მაგრამ გრძელდება ფიქრი. ფიქრი უბრუნდება ამბის დასაწყისს, მის განვითარებას და კარგახანს დასტრიალებს თავს წაკითხულს.

მწერალს არც თუ ბევრი უცოცხლია, მაგრამ ბევრი იცხოვრა, ბევრი ნახა და განიცადა. მისი საოცრად მრავალმხრივი თავგადასავლიანი ცხოვრება თავის მწერალსა და ბიოგრაფს მოელის... მას მართლაც შეეძლო ერთ-ერთ თავის გმირსავით ეთქვა: „ვიცხოვრე, ვიარე, ვნახე და გავიგე“.

ამ ნაცხოვრებ, ბევრის მნახველსა და გამგონე კაცს ბევრის თქმა უნდოდა, ბევრიც თქვა და ბევრსაც იტყოდა. მაგრამ მარ-

ტო ბევრის თქმა კი არ არის საქმე, მწერალი მკითხველის მოთმინებას არ უნდა ენდოს. საქმე კარგად თქმა და ლამაზად ხატვაა.

„თუ მოთხოვნილი უშნოდ იცოხნება, ბავშვსაც ყურები დაუჭკნება. მაგრამ თუ მოთხოვნილი ოსტატობს, მკვდრებიც კი წამოიწევენ მოსასმენად“.

ავთანდილის სიმღერის შემდეგ, ოდეს „სმენად მხეცნიც მოვიდიან“, ამის ცოდნა ყოველი მწერლისათვის აუცილებელია.

მაგრამ რა პირობებმა უნდა შეუწყოს ხელი, რამ უნდა გამარჯვებინოს მწერალს?

უფორმო, უკომპოზიციო ნაამბობი გულში ცეცხლს ვერ დაუნთებს, სისხლს ვერ აუღუღებს მოწყურებულ მკითხველს.

„მოგეხსენებათ, რომ მოთხრობაში თავდაპირველად მთლიანი, შეკუმშული ამბავი უნდა იყოს ჩასხმული. ყოველივე დანარჩენი უბრალო სამკაულია“.

მიზანი. იდეა. განზრახვა? მათი უგულებელყოფა არ შეიძლება. „მოთხრობა ისარივით პირდაპირ მიზნისაკენ უნდა მიდიოდეს“. ლაკონიურად არის ნათქვამი, თითქმის არაფრის დამატება აღარ არის საჭირო. თითქოს ისრის შხუილიც კი გესმის, ისრისა, რომელიც სანიშნოსკენ მიჰქრის.

მაგრამ მწერალი არ კმაყოფილდება და ასე აკონკრეტებს თავის ნათქვამს: „ხელოვნების ერთადერთი მიზანი ის არის, რომ ბეჩავ ადამიანს ეკლიანი გზის გავლა გაუადვილოს, რომელიც დედის მუცელში იწყება და სასაფლაოზე თავდება“.

არის კიდევ სამი რაღაც. ეს სამი „რაღაც“ ბევრს მატებს მხატვრულ თხრობას. ეს არის მოთხრობის დასაწყისი, დასასრული და სათაური. ბევრი რამ ჰკიდია ამ სამი პირობის კარგად შესრულებაზე: „ისიც გეცოდინებათ, რომ მოთხრობის დასაწყისი, დასასრული და სათაური ნახევარ გამარჯვებას უდრის“.

ამგვარი აფორისტული თქმეები თუ სიბრძნის ნაკვესები ყაყაჩოებრივით ამშვენებს იმ ვრცელ და ბარაქიან ხოდაბუნებს, რომლებსაც მიხეილ ჯავახიშვილი გუთნისდედის სიჯიუტით დასტრიალებდა თავს, თავისი სიტყვის სახნის-საკვეთს მართალ

კვალში აგდებდა და ხან სევდიანი, ხან მხიარულ-ომახიანი ქართულით დამღეროდა.

მისი საუკეთესო მოთხრობებისა და რომანების დასაწყის-დასასრული ამართლებდა იმ მიზანს, რომელსაც მოთხრობის გული და სული მოითხოვდა. ამ მხრივ შესანიშნავია „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“, „ყბაჩამ დაიგვიანა“, „კურკას ქორწილი“, „გივი შადური“, „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“.

შესანიშნავია „ჯაყოს ხიზნების“ ენერგიული დასაწყისი. პატარა ქალაქის ვიწრო ქუჩა, ამ ქუჩაზე გახილული ჯაყო, რომლის ხორხოცი და ხითხითი, — „მაშა, მაშა, აგრე ვიცის ჯაყომა“, — დიდხანს ტრიალებს მკითხველის ყურში და მთელ რომანში ვნებაატეხილი ურა ცხენის ჭიხვინივით გაისმის.

მკითხველის მენსიერებაში სამუდამოდ რჩება „არსენა მარაბდელი“-ს ექსპოზიცია, რომელსაც თვით ავტორის სიტყვით, მთელი რომანის მესამედი მაინც უჭირავს, და შეუწელებელი ინტერესით იკითხება. უნებურად გახსენდება აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ჭიდაობის სცენა, გოლიათი აბდულ-შაჰილი და ტანწერწეტა ქართველი ჭაბუკი...

უბადლო ოსტატობითა და აზრის სიღრმით გამოირჩევა „ლამბალო და ყაშას“ დასაწყისი. პირველი თავი, რომელიც სამ გვერდსაც არ აღემატება, საოცრად შეკუმშული, მაგრამ მრავლისმთქმელი ისტორიაა ურმიის უცნაური ტბისა და მისი მიდამოებისა, რომელიც „ღმერთსაც დაუწყეველია და კაცსაც“, ეს „მკვდარი ურმია“ თოთხმეტ მდინარეს ისრუტავს, მაგრამ „შენაყადს ვერ ინელებს. დროგამოშვებით ზღაპრული ბაყაყივით გაიბერება, მოწამლულ წყალს უკანვე გადმოანთხევს, სოფლებს წალეკავს და ბალ-ვენახებს მყრალ ქაობად გადააქცევს. ზოგჯერ მისი შხამიანი დორბლი ისე შორს წამოვა, რომ ნაპირებიდან მოყოლებით მეთაე სოფელსაც კი შეაფუროთხებ-ხოლმე“.

ახალ ქართულ მწერლობაში: ილიასა და აკაკის შემდეგ იშვიათია ისეთი მწერალი, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილსა-ვით დაენახოს და ეგრძნოს მშობლიური ენის სიერცე, სიღრმე და სიმაღლე, — ეგრძნოს და ეგრძნობინებინოს თავისი მკითხ-

ველისათვის ქართული ენის მოქნილობა, სილამაზე და უბრალოება.

მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ: „სილამაზისა და უბრალოების მორიგება მეტად ძნელია, მაგრამ მშვენიერებაც სწორედ ამ ორი თილისმის შედუღებაშია“.

მიხეილ ჯავახიშვილი ამ ორი თილისმის მორიგებისათვის იბრძოდა და ამ მხრივ უთუოდ მშვენიერი განძი შეიტანა ახალი ქართული ლიტერატურისა და ენის განვითარებაში.

ერთ-ერთ წერილში მიხ. ჯავახიშვილი ერთ საინტერესო ფაქტსაც აღნიშნავს. „არსენა მარაბდელი“ რუსულად რომ უთარგმნია, რომანს „მცირე რამ მოუგია“, რომლის ქართულ გამოცემაში გადატანაც განზრახული ჰქონია. საინტერესოა, მოასწრო თუ არა მწერალმა ამ განზრახვის შესრულება? მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულმა მეკვლევარმა ამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება, გამოირკვიოს, და თუ რუსულ თარგმანში მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდება, დასვას საკითხი „არსენა მარაბდელის“ ამ „მონაგებით“ შევსებისა.

„არსენა მარაბდელის“ ავტორი ამას რომანის დამთავრებისა და რუსულად თარგმნის თოთხმეტ-თხუთმეტი თვის შემდეგ წერდა. შემოქმედის სული ისევ დაწერილს დასტრიალებდა, ისევ დიდი ინერციით იყო გაქლენთილი და, როგორც თვითონ ამბობს: „შემოქმედება თავისთავად გრძელდებოდა“.

კარგის საზღვარი არ არსებობს და მწერალი მუდამ სრულყოფისაკენ მიილტვოდა. ხედვდა თავის ნაკლს, რასაც არ მალავდა და მკითხველს გულწრფელად უმხელდა: „რომანს ეწერდი, თან ვბეჭდავდი... ამის გამო ნაწარმოებს უეჭველად რაღაც აკლდება“.

ნაწარმოებმა უნდა „დაისვენოს“, უნდა დაისვენოს მწერალმაც და კრიტიკული თვალთ და გულით მიუბრუნდეს. „ასე აყენებენ კარგ ღვინოს, ასე იწერება კარგი რომანიც“.

მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ ამჩნევს მწერალი, რომ თავისი ნაწარმოებისათვის ზოგან ჩუქურთმა დაუკლია. ზოგან მასალა...

„მასალას აქამდე მე დავდევი. ახლა კი თვითონ ის დამდევის, და გამოცდილებით ვიცი, რომ კიდევ რამდენიმე წელი-

წადს უხდა მდიოს და მაწვალოს. ასე დამდევენ დღემდე „ჯაყოს ხიზნები“ და „თეთრი საყელოც“. ამ მხრივ ხელოვანი იმ ბერძნულ მითიურ არსებას ჰგავს, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ველარ დააწყხარა“.

რა ნამდვილად და კარგად არის ნათქვამი!

მართლაც, ჰემმარიტ მწერალს უნდა აწუხებდეს არა მარტო დაუწერელისათვის ოცნება და ფიქრი, არამედ დაწერილი და გამოქვეყნებული ნაწარმოების ბედიც, როგორც ნამდვილ მამას ბედი თავისი შვილებისა, რომელთა აღზრდას თავისდაუნებურად რაღაც დააკლო.

---

## ს ა რ ჩ ე ვ ი

თვალადური ქართულის კაშნიკი	3
ძიება	139
წამოგონება	141
კავთა	146
კავთისხვეი და ქვათახვეი	156
მოგერიხება და გერი	159
შეკვეთალი	166
შინაბერა	179
სათალავნო ქვა	182
ნარბილი	185
ხაკმაკიკა კიკდებოდა	189
ხარება	199
კვირია — ცისკარი	225
სათრეველი და სართეველი	231
გიორგი მეფის სამძიმარი	240
დიდი პოეტის ხუმრობა და... კავთისხვეი	247
ბალადა ქართველი მოყმისა და ყივჩაღისა	253
მესხური სუფრული	287
პოეტური შემღერებანი	291
ძიმოგონება	299
ვახსენოთ, ეუთხრათ ქება	301
ჩემი პირველი მსაჯული	322
საში ძმის ქორწილი და კონსტანტინეს შეგონებანი	331
მუსიკა ჩვენი სულისა	341
ბარნოვის თქმით	347
გერონტი ქიქოძე	353
გალაკტიონის წლისთავზე	358
გურამ რჩეულიშვილი	361
ლეკსი და სახლი	377
დასაწყისი, დასასრული და სათაური	385

Георгий Иванович Шатберашвили

Чашники

(На грузинском языке)

Издательство

«Сაბჭოთა საქართველო»

Тбилиси, Марджანიшвили, 5.

1964

რედაქტორი ნ. ელენტი

მხატვარი თ. სამსონაძე

მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე

ტექნიკური რედაქტორი ე. აბდუშელიშვილი

კორექტორები: თ. შაჩაბელი, პ. დელეგვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-64 წ. ქალაქის  
ზომა 84 X 108<sup>1</sup>/<sub>32</sub> ნაბეჭდი თაბახი 20,09. სააღრ.-სავა-  
შომც. თაბახი 16,73.

უე 00624 ტირაჟი 5.000. შეკვ. № 305:

ფასი 28 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.  
მარჯანიშვილის ქ. 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.  
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.